

ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია
PHILOSOPHY, SOCIOLOGY, MEDIA THEORY

8

გიორგი თავაძე

ფილოსოფიური გეობრაფია

ისტორია, პრობლემები,
პერსპექტივები

ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია
PHILOSOPHY, SOCIOLOGY, MEDIA THEORY

8

გიორგი თავაძე

ფილოსოფიური გეოგრაფია

**ისტორია, პრობლემები,
პერსპექტივები**

GIORGI TAVADZE

PHILOSOPHICAL GEOGRAPHY

**HISTORY, PROBLEMS,
AND PERSPECTIVES**

თბილისი 2016 Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY
INSTITUTE OF PHILOSOPHY AND SOCIAL SCIENCES

– სამეცნიერო სერია / Scientific Series –

ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია
PHILOSOPHY, SOCIOLOGY, MEDIA THEORY

სერიის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:

თენგიზ ირემაძე (საქართველო)

THE FOUNDER OF THE SERIES AND EDITOR-IN-CHIEF:

Tengiz Iremadze (Georgia)

რედაქტორები / EDITORS:

იოახიმ ფონ ვედელი (პოლონეთი) • Joachim von Wedel (Poland)
ლალი ზაქარაძე (საქართველო) • Lali Zakaradze (Georgia)
გიორგი თავაძე (საქართველო) • Giorgi Tavadze (Georgia)
გიორგი ხუროშვილი (საქართველო) • Giorgi Khuroshvili (Georgia)

საკონსულტაციო საბჭო / EDITORIAL BOARD:

გიუნტერ არნოლდი (გერმანია) • Günter Arnold (Germany)
გიორგი ბარამიძე (საქართველო) • Giorgi Baramidze (Georgia)
მიხეილ გოგატიშვილი (საქართველო) • Mikheil Gogatishvili (Georgia)
ბერნჰარდ ვალდენფელსი (გერმანია) • Bernhard Waldenfels (Germany)
მარტა ვაცულინოვა (ჩეხეთი) • Marta Vaculínová (The Czech Republic)
გურამ თევზაძე (საქართველო) • Guram Tevzadze (Georgia)
ქრისტოფ იამე (გერმანია) • Christoph Jamme (Germany)
უდო რაინჰოლდ იეკი (გერმანია) • Udo Reinhold Jeck (Germany)
გიორგი კაპრიევი (ბულგარეთი) • Georgi Kapriev (Bulgaria)
ზდენეკ კუჩერა (ჩეხეთი) • Zdeněk Kučera (The Czech Republic)
დოდო ლაბუჩიძე (საქართველო) • Dodo Labuchidze (Georgia)
† ბურჰარდ მოიზიში (გერმანია) • † Burkhard Mojsisch (Germany)
იშტვან პერცელი (უნგრეთი) • Istvan Perczel (Ungarn)
იან რ. ვეენსტრა (ჰოლანდია) • Jan R. Veenstra (Netherlands)
ფერდინანდ ფელმანი (გერმანია) • Ferdinand Fellmann (Germany)
ჰელმუტ შნაიდერი (გერმანია) • Helmut Schneider (Germany)

ნორვეგიელი ხალხის საამაყო შვილის,
სახელოვანი მოგზაურისა და მამაცი ადამიანის
რუალ ამუნდსენის (1872-1928) ხსოვნას
ვუძღვნი ამ წიგნს

UDC (უკ) 1+316+070

ფ - 562

P - 57

PHILOSOPHY, SOCIOLOGY, MEDIA THEORY

Edited by Tengiz Iremadze

Volume 8:

Giorgi Tavadze

***Philosophical Geography
History, Problems, and Perspectives***

წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია ფილოსოფიური გეოგრაფიის, როგორც ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური ფილოსოფიური დარგის, ახალ საწყისებზე დაფუძნების მცდელობა. ფილოსოფიური გეოგრაფია გაგებულია, როგორც ერთგვარი „ხიდი“ ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებებს შორის. განსხვავებულ მოაზროვნეთა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე ავტორი აჩვენებს გეოგრაფიული კონცეპტების მნიშვნელობას ფილოსოფიური აზროვნებისათვის.

In this book the author proposes a new interpretation of philosophical geography. Situated in an intercultural and interdisciplinary dimension philosophical geography should serve as a “bridge” between philosophy and social sciences. By analyzing works of prominent philosophers and geographers the author shows the importance of geographical concepts for philosophical thinking.

© გიორგი თავაძე, 2016

© Giorgi Tavadze, 2016

Printed in Georgia

All rights reserved

გამომცემლობა „ნეკერი“, 2016

Publishing House “Nekeri”, 2016

ISSN 1987-9652

ISBN 978-9941-457-45-6

სარჩევი

შესავალი	7
თავი I. ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო.....	9
1.1 შესავალი	9
1.2 ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალური დონე.....	10
1.3 ფილოსოფიური გეოგრაფიის რეგიონალური დონე.....	13
1.4 ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალური დონე	15
1.5 ადგილისა და იდენტობის ცნებები, როგორც ფილოსოფიური გეოგრაფიის სამივე დონის კონცეპტუალური საყრდენები	17
1.6 დასკვნა.....	18
თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან.....	19
2.1 შესავალი	19
2.2 შარლ ლუი მონტესკიე: კლიმატის ზემოქმედება ადამიანზე.....	25
2.3 იოჰან გოტფრიდ ჰერდერი: ადამიანისა და გარემოს ურთიერთზემოქმედება	32
2.4 იმანუელ კანტი: გეოგრაფიული ცოდნის სისტემატიზატორი	41
2.5 ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი: ჰოლისტიური მიდგომა ემპირიული რეალობისადმი	50
2.6 კარლ რიტერი: ტელეოლოგიზმი და ისტორიციზმი გეოგრაფიაში.....	59
2.7 გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი: „მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძველი“.....	70
2.8 ერნსტ კაპის ფილოსოფიური გეოგრაფია	77
2.9 დასკვნა.....	86
თავი III. „სასიცოცხლო სივრციდან“ სივრცის პოეტიკამდე- ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალური, რეგიონალური და ლოკალური პარადიგმები	87
3.1 შესავალი	87
3.2 ფრიდრიხ რატცელი: ბრძოლა სასიცოცხლო სივრცისათვის	101

3.3 კარლ შმიტი: ადამიანი და მსოფლიო ელემენტების დაპირისპირება	116
3.4 მარტინ ჰაიდეგერი: ადგილი, როგორც სივრცის შემომკრები	130
3.5 ვაცუჟი ტეცუროს კლიმატის ფილოსოფია	138
3.6 კარლ ავგუსტ ვიტფოგელი ჰიდრავლიკური ცივილიზაციების შესახებ	150
3.7 გასტონ ბაშლიარის სივრცის პოეტიკა: სახლი, როგორც თაურსამყარო და ექსისტენციალური მნიშვნელობის ცენტრი.	160
3.8 დასკვნა	167
თავი IV. ადგილისა და იდენტობის ცნებები, როგორც ფილოსოფიური გეოგრაფიის საკვანძო მომენტები	169
4.1 შესავალი	169
4.2 მიშელ ფუკო: სხვა სივრცეები – უტოპიები და ჰეტეროტოპიები	190
4.3 ი-ფუ ტუანი: ჰუმანისტური გეოგრაფია – ადგილი – ტოპოფილია	196
4.4 ედუარდ რელფი: ადგილი და უადგილობა	204
4.5 დევიდ სიმონი დროით-სივრცითი რუტინისა და სხეულისა და ადგილის ქორეოგრაფიების შესახებ	223
4.6 ედუარდ კეისი: უკან, ადგილისაკენ!	230
4.7 ჯეფ მალპასი: ადგილი, როგორც ემპირიული გამოცდილების წინაპირობა	239
4.8 დასკვნა	251
თავი V. ფილოსოფიური გეოგრაფია: ნაშრომის შეჯამება და კვლევის სამომავლო პერსპექტივები	253
Synopsis	259
გამოყენებული ლიტერატურა	283
პირთა საძიებელი	311
ცნებათა საძიებელი	321
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	331
Index	339

შესავალი

XX საუკუნის II ნახევრიდან ფილოსოფიურ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება ფილოსოფიისა და გეოგრაფიის საზღვრითი პრობლემები.¹ თავის მხრივ, გეოგრაფები დაინტერესებულები არიან ფილოსოფიური პრობლემებით.² ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიჯნაზე არსებული პრობლემების ანალიზის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ცნებები, როგორებიცაა „გეოფილოსოფია“ (ჟ. დელიოზი და ფ. გატარი, მ. კაჩარი, შ. გიუნცელი), „ფილოსოფიური ტოპოგრაფია“ (ჯ. მალპასი), „ფილოსოფიის ატლასი“ (ე. ჰოლენშტაინი), „უადგილობა“ (ე. რელფი), „ტოპოფილია“ (გ. ბაშლიარი) და სხვ. ასეთი მრავალფეროვანი კვლევითი პერსპექტივების მიუხედავად, არ შემუშავებულა ერთიანი კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ფილოსოფიისა და გეოგრაფიის თანაკვეთის სიბრტყეში მოქცეული საკითხებისა და პრობლემების მეთოდური კვლევა. შესაბამისად, არ განხორციელებულა ისეთი ემპირიული კვლევებიც, რომლებიც მოცემულ თეორიულ საფუძველს დაემყარებოდა. ამგვარი მცდელობის განხორციელება პრინციპულად აუცილებელია, რადგან თანამედრო-

- 1 G. Deleuze, F. Guattari, *Qu'est-ce que la philosophie?* Paris: Les éditions de Minuit, 1991; E. S. Casey, *Getting Back into Place: Toward a renewed Understanding of the Place-World*. Bloomington: Indiana University Press, 1993; id., *The Fate of Place: A Philosophical History*. Berkeley: University of California Press, 1997; M. Cacciari, *Geofilosofia dell'Europa*. Milan: Adelphi, 1994; J. E. Malpas, *Place and Experience. A Philosophical Topography*. Cambridge: Cambridge University Press, 1999; S. Günzel, *Geophilosophie. Nietzsches philosophische Geographie*. Berlin: Akademie Verlag, 2001; E. Holenstein, *Philosophie-Atlas: Orte und Wege des Denkens*. Zürich: Ammann Verlag, 2004; H. Schneider, „Philosophische Geografie: Die Bedeutung des Wassers für die Geschichte – Europa und Asien“. In: *Interkulturelle Philosophie*. Hrsg. von H. Paetzold und W. Schmied-Kowarzik, Weimar: Bauhaus-Universität, 2007, გვ. 206-231; A. Schlitte, T. Hünefeldt, D. Romić, J. van Loon (Hrsg.), *Philosophie des Ortes. Reflexionen zum Spatial Turn in den Sozial- und Kulturwissenschaften*. Bielefeld: Transcript Verlag, 2014.
- 2 E. Relph, *Place and Placelessness*. London: Pion Press, 1976; Y.-F. Tuan, *Topophilia. A Study of Environmental Perceptions, Attitudes, and Values*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1974; id., *Space and Place: The Perspective of Experience*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press, 1977; D. Seamon, *A Geography of the Lifeworld. Movement, Rest and Encounter*. London: Croom Helm, 1979. D. Gregory, *Geographical Imaginations*. Cambridge, MA: Blackwell, 1994; S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*. Albany: State University of New York Press, 2011.

ვე სამყაროში **ინტერდისციპლინურობა ფილოსოფიის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად იქცა**. ასეთ მცდელობად, ასეთ ინტერდისციპლინურ „ხიდად“ ფილოსოფიასა და გეოგრაფიას შორის წინამდებარე ნაშრომში მიჩნეულია **ფილოსოფიური გეოგრაფია**.

ფილოსოფიური გეოგრაფიის ჩემუელი ხედვა ემყარება **ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალურ ჩარჩოს**.³ აღნიშნული კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებისაკენ იმ მოაზროვნეების შემოქმედებამ და იდეებმა მიბიძგა, რომლებიც მოცემულ კვლევაშია განხილული.⁴

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს 2013 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი კვლევის გადამუშავებულ ვერსიას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელებს: **პროფ. თენგიზ ირემიძეს** და **პროფ. ჰელმუტ შნაიდერს** განუელი დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის; ასევე მადლობას ვუხდის ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალურ შემფასებლებს: **პროფ. ლალი ზაქარაძეს** და **ასოც. პროფ. გიორგი ხეოშვილს**. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო **პროფ. მანანა სანაია** და **აკად. გურამ თევზაძე**, რომლებმაც დიდად შემინყვეს ხელი ჩემი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში. ჩემს მეგობართან და კოლეგასთან, **ასოც. პროფ. გიორგი ხუროშვილთან** ფილოსოფიის ამოცანების შესახებ საინტერესო საუბრები მნიშვნელოვნად დამეხმარა ფილოსოფიური გეოგრაფიის ბუნებისა და დანიშნულების გა(და)აზრებაში, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ. მადლობას ვუხდის ჩემს გამომცემელს, **გიორგი ბაგრატიონს**, რომელიც მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმით დამეხმარა ნაშრომის გამომცემის პროცესში. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, **ნინო ჭინჭარაულს**, რომლის მხარდაჭერასაც ყოველთვის ვგრძნობდი დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში. დაბოლოს, მადლობას ვუხდის ყველა იმ ადამიანს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა ამ ნაშრომის გამოცემა.

3 იხ. გ. თავაძე, „შატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ., გვ. 1-13.

4 წინამდებარე ნაშრომში მოცემული ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო არსებითად არ განსხვავდება იმ ხედვისაგან, რომელიც 2013 წელს მქონდა გადმოცემული (იხ. გ. თავაძე, „შატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“).

თავი I. ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო

1.1. შესავალი

გეოგრაფია შეისწავლის საზოგადოებასა და ფიზიკურ გარემოს შორის არსებულ მიმართებებს. ადამიანები გარდაქმნიან ბუნებას. თავის მხრივ, ბუნება, გეოგრაფიული ელემენტების სახით, გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე.⁵ ზოგიერთი გეოგრაფიული ელემენტის (მაგალითად, ადგილი, სივრცე) გავლენა ადამიანთა იდენტობაზე, მათ ცნობიერებასა და მოქმედებაზე მეტად მნიშვნელოვანია. ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ უნდა გამოიკვლიოს ის მიმართებები, რომლებიც არსებობს, ერთი მხრივ, აღნიშნულ გეოგრაფიულ ელემენტებსა და, მეორე მხრივ, ადამიანთა იდენტობებსა და მოქმედებებს შორის. კვლევისას ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ, თავისი ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, თანაბრად უნდა ისარგებლოს როგორც ჰუმანიტარული, ასევე, სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიებით.

იმისათვის, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რას შეისწავლის ფილოსოფიური გეოგრაფია, საჭიროა ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება. აღნიშნული ჩარჩო განსაზღვრავს ფილოსოფიური გეოგრაფიის კვლევის დონეებს, შესასწავლ საგანს მოცემულ დონეზე და შესატყვის კვლევით მეთოდოლოგიებს თითოეული დონისთვის. ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალურ ჩარჩოში გამოიყოფა კვლევის სამი დონე: ლოკალური, რეგიონალური და გლობალური. ქვემოთ თანმიმდევრობით განხილულია თითოეული მათგანი.

5 იხ. R. Peet, *Modern Geographical Thought*. Malden, MA: Blackwell Publishing, 2006, გვ. 1-2; R. Johnston, *Philosophy and Human Geography. An Introduction to Contemporary Approaches*. Baltimore: Edward Arnold, 1986, გვ. 3; C. Gibson, 'Human Geography'. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, 2009, vol. 5, გვ. 218.

1.2. ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალური დონე

ლოკალურ დონეზე ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ უნდა შეისწავლოს ის მიმართებები, რომლებიც არსებობს, ერთი მხრივ, **ადგილებს/სივრცეებს** და მეორე მხრივ, **ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებს** შორის. ადგილების/სივრცეების და ადამიანების ურთიერთქმედება ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალური დონის შესწავლის უმთავრესი ობიექტია.

წინამდებარე ნაშრომში ადგილი გაიგება არა როგორც სტატიკური წერტილი სივრცეში, არამედ, როგორც **მნიშვნელობის ცენტრი**, რომელსაც ხდომილების ხასიათი აქვს. **ადგილი არის პროცესი**,⁶ რომლის განმავლობაშიც ის კარგავს ძველ იდენტობას, რეინტერპრეტირდება, ახალ მნიშვნელობას იძენს, ურთიერთქმედებს ადამიანებთან და სხვა ადგილებთან და ა. შ. ფილოსოფიური გეოგრაფია ადგილის დინამიკურ გაგებას უნდა დაემყაროს.

ადგილები ქმნიან სივრცეებს.⁷ ადგილებისა და ადამიანების ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი სივრცეები განსხვავებული ბუნებისაა. ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ დონეზე მე გამოვყოფ სამი სახის სივრცეს: **საკრალურს, ისტორიულს და ყოველდღიურ მოძრაობისა და მოქმედების სივრცეს** (შემოკლებით: ყოველდღიურ სივრცეს). თითოეულ ამ სივრცეში შესაძლებელია იმ კომპონენტების (ადგილების) გამოყოფა, რომელთა ურთიერთქმედებაც (ადამიანებთან და ერთმანეთთან) მოცემულ სივრცეს წარმოქმნის. აღნიშნულ სივრცეებს შორის არსებობს დინამიკური დამოკიდებულება: სოციალური ცხოვრების პროცესში ისინი ერთმანეთს განმსჭვალავენ და განსაზღვრავენ. საკრალური, ისტორიული და ყოველდღიური სივრცეები ერთიანდებიან **სოციალური სივრცის** წიაღში, რომელიც საერთოდ ადამიანური მოქმედების სივრცეს წარმოადგენს. თავის

6 ადგილის, როგორც პროცესის, შესახებ იხ. E. S. Casey, 'How to Get from Space to Place in a Fairly Short Stretch of Time: Phenomenological Prolegomena'. In: S. Feld and K. H. Basso (eds.), *Senses of Place*. Santa Fe, NM: School of American Research Press, 1997, გვ. 26 და შმდ.; M. Heidegger, 'Bauen – Wohnen – Denken'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*, Bd. 7: *Vorträge und Aufsätze*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 2000, გვ. 145-164; A. Pred, 'Place as Historically Contingent Process: Structuration and the Time-Geography of Becoming Places'. *Annals of the Association of American Geographers*, 74 (1984), გვ. 279-297.

7 შდრ. M. Heidegger, Bauen – Wohnen – Denken, გვ. 156; E. S. Casey, How to Get from Space to Place in a Fairly Short Stretch of Time, გვ. 16 და შმდ.

თავი I. ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო

მხრივ, სოციალური სივრცე წარმოიშობა ადამიანთა მიერ **გეოგრაფიული სივრცის** გარდაქმნით, ანუ ადგილებისა და სივრცეების შექმნით.

ადამიანების, ადგილებისა და სივრცეების ურთიერთმიმართება ყოველთვის როდია ჰარმონიული. ამას ისიც აჩვენებს, რომ შესაძლებელია ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთუარყოფელი ადგილების არსებობა. ურთიერთქმედების დროს, შესაძლოა, გარკვეულმა დაძაბულობებმა იჩინოს თავი. ლოკალურ დონეზე ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ ეს დაძაბულობები და კონფლიქტებიც უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს.

ამრიგად, **ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ დონეზე საკვანძო ცნებებია: ადგილები – სივრცეები – იდენტობები – ურთიერთქმედებები**. მოცემულ შემთხვევაში მრავლობით რიცხვს განგებ ვიყენებ, რათა ამ ცნებების **დინამიკურ** ბუნებას გავუსვა ხაზი. ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია, კიდევ უფრო დავაზუსტოთ ლოკალურ დონეზე ფილოსოფიური გეოგრაფიის შესწავლის საგანი: *ლოკალურ დონეზე ფილოსოფიური გეოგრაფია შეისწავლის იმ მიმართებებს, რომლებიც არსებობს ადგილებსა (და ამ ადგილების ურთიერთქმედებით წარმოქმნილ სივრცეებს) და ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებს შორის*. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, *მოცემული ადგილის შემადგენელი სივრცეების⁸ კომპონენტების გამოვლენით ფილოსოფიური გეოგრაფია აანალიზებს: 1. რა გავლენას ახდენს ინდივიდთა ქმედებები ადგილზე და ადგილის, როგორც მთელის, შემადგენელ სივრცეებზე; 2. რა ზეგავლენას ახდენს ადგილის/სივრცის შემადგენელი ელემენტები ინდივიდთა იდენტობებსა და ქმედებებზე; 3. რა სახის დაძაბულობები/კონფლიქტები წარმოიშობა ინდივიდების, ადგილებისა და სივრცეების ურთიერთქმედების პროცესში*.

კვლევის ლოკალურ დონეზე ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ უნდა ისარგებლოს ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიით: ადგილის თეორიული კვლევისას, შესაძლოა, წარმატებით იქნეს გამოყენებული ფენომენოლოგიური მეთოდი, ხოლო ემპირიული კვლევების დროს – ჩართული დაკვირვება, გადმოცემებისა და თქმულებების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუები და ა. შ.⁹ აღნიშნული მეთოდების გამოყ-

8 როგორც აღვნიშნეთ, ადგილები ქმნიან სივრცეებს. მაგრამ ადგილში, როგორც მთლიანში, შეიძლება გამოყოს ამ ადგილის შემადგენელი სივრცეები, რომლებიც, თავის მხრივ, კონკრეტული ადგილებისგანაა წარმოქმნილი. მაგალითად, ქალაქში, როგორც ადგილში, შესაძლოა, გამოიყოს სივრცეები (რაიონები), რომლებსაც კონკრეტული ადგილები წარმოქმნიან. იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 33-34.

9 ადგილების კვლევისას ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენების შე-

ბიორბი თავაძე

ენებისას სასურველია მაქსიმალურად მოქნილი კვლევითი სტრატეგიის შემუშავება და ტრიანგულაციის აქტიური გამოყენება, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს, უკეთ ვწვდეთ ადგილების, სივრცეებისა და იდენტობების დინამიკური ურთიერთკავშირის ბუნებას.

სახებ, იხ. ქვეთავი 4.4, 4.5 და 4.6. ჩართული დაკვირვებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შესახებ იხ. გ. თავაძე, „მატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“.

1.3. ფილოსოფიური გეოგრაფიის რეგიონალური დონე

ფილოსოფიური გეოგრაფიის რეგიონალურ დონეზე შესწავლის ობიექტი რეგიონალურ სივრცობრივ ერთეულებსა და იდენტობებს შორის არსებული მიმართებებია. კვლევის ამ დონეზე ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ შეკითხვებს: რა მომენტები შეიძლება გამოვყოთ რეგიონის, როგორც ცნების, კონსტრუირების პროცესში? რა გავლენას ახდენს დედამიწის ზედაპირის რეგიონებად დაყოფა ამ რეგიონთა მაცხოვრებლების იდენტობებზე? ხომ არ იწვევს ასეთი დაყოფა განსხვავებას სააზროვნო ტრადიციებს შორის? ამ შეკითხვების ბუნებიდან გამომდინარე ნათელია, რომ **ფილოსოფიური გეოგრაფიის რეგიონალური დონე ინტერკულტურული ფილოსოფიის ჩრდილში უნდა გავიაზროთ.**

იმისათვის, რათა უფრო ნათელი გახდეს, თუ რა უნდა შეისწავლოს ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ რეგიონალურ დონეზე, მოვიყვანო კონკრეტულ მაგალითს. ეს მაგალითი ეხება საქართველოსა და ევროპის მიმართებას. ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესო შეკითხვები ასეთ სახეს მიიღებს: როგორ ხდებ(ოდ)ა საქართველოში ევროპის ცნების კონსტრუირების პროცესი? რას მოიაზრებდნენ ადრე ქართველები ევროპაში? რა საზღვრებში მოიაზრებოდა ევროპა? რა სახის ღირებულებები/პოლიტიკური ალტერნატივები უკავშირდებოდა ევროპის ცნებას სხვადასხვა ეპოქაში? თავის მხრივ, როგორ გაიაზრებდნენ ევროპელები საქართველოს? რას მოიაზრებდნენ ისინი ამ რეგიონალურ სივრცეში? რა გავლენას ახდენდა (და ახდენს) ევროპელობა/არაევროპელობის დიხოტომია ქართველთა იდენტობაზე? რა ვითარებაა ამ მხრივ დღეს? ხომ არ უიგივებოდა ევროპის ცნება ცენტრის ცნებას და ამით ხომ არ ექცეოდა საქართველო ცენტობრივ პერიფერიაზე? რა გავლენა ჰქონდა ამას ქართულ სააზროვნო ტრადიციაზე?¹⁰ რა კონტექსტში შეიძლება ვისაუბროთ კავკასიის რე-

10 უახლესი გამოკვლევა ამ მიმართულებით (ინტერკულტურული ფილოსოფიის ჩრდილში) ეკუთვნის თენგიზ ირემაძეს, რომელიც თავის ნაშრომში „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“ იკვლევს ქართული და ევროპული სააზროვნო ტრადიციების მიმართების საკითხებს იმ კონტექსტში, რომელიც სცდება საკითხისადმი ტრადიციული მიდგომის (პერიფერიის დაქვემდებარება ცენტრისადმი) საზღვრებს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ინტერკულტურული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური გეოგრაფიის კავშირს და მიუთითებს შემდგომი კვლევების აუცილებლობაზე ამ მიმართულებით. იხ. თ. ირემაძე, „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“. თბილისი: „ნეკერი“, 2013 წ., გვ. 117; მისივე, „აზროვნება

გიონზე საქართველო-ევროპის მიმართების ჭრილში? აი, ეს არის იმ კითხვების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც საქართველოსა და ევროპის მიმართების კონტექსტში ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის ინტერესს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ამ შეკითხვებს პასუხები ერთბაშად ვერ გაეცემა. ამისათვის საჭიროა სისტემატური მუშაობა, რომლის დროსაც მკვლევარმა უნდა გამოიყენოს ისეთი განსხვავებული მეთოდოლოგიები, როგორებიცაა ისტორიული წყაროების შედარებითი ანალიზი, დისკურსული პრაქტიკების ანალიზი, ანკეტური გამოკითხვები და ა.შ. მხოლოდ ასეთი ინტერდისციპლინური მიდგომის ფარგლებშია შესაძლებელი იმ კომპლექსური პრობლემების კვლევა, რომლებიც ფილოსოფიური გეოგრაფიის რეგიონალურ დონეზე იჩენს თავს.

გზაგასაყარზე: იერუსალიმი და ათენი“. იხ. ლ. შტრაუსი, „იერუსალიმი და ათენი“, ინგლისურიდან თარგმნა გ. ხუროშვილმა. თბილისი: „საუნჯე“, 2013 წ., გვ. 5-8. იხ., ასევე, G. Khuroshvili, 'Jerusalem and Athens in Medieval Georgian Thought', in: T. Iremadze, U. R. Jeck, and H. Schneider (eds.), *Philosophie und Sozialtheorie*, vol. 1, *Leben verstehen*. Berlin: Logos Verlag, 2014, გვ. 97-101; გ. თავაძე, „რუკების ძალა. გელათი და 'კავკასიური ფილოსოფიის' ცნება ინტერკულტურული ფილოსოფიის ჭრილში“, იხ. „ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე“, რედ.: თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 136-156; გ. თავაძე, „გელათი როგორც კავკასიური ფილოსოფიის საკვანძო ტოპოსი და მისი მნიშვნელობა ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის“, იხ. „ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში“, რედ.: თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016 წ., გვ. 179-193.

1.4. ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალური დონე

გლობალურ დონეზე ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ უნდა გააანალიზოს ის გლობალური პრობლემები და საკითხები, რომლებიც გეოგრაფიული ელემენტებისა და ადამიანთა ურთიერთქმედების შედეგადაა წარმოქმნილი. **გლობალური დათბობა და ადამიანთა სივრცობრივი ცნობიერების ჰორიზონტების მკვეთრი გაფართოება** ორი ასეთი მნიშვნელოვანი საკითხია. პირველი მათგანი სერიოზულ გამოწვევას უქმნის დედამიწის მოსახლეობას,¹¹ ხოლო მეორემ რადიკალურად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი.¹² კვლევის ამ საფეხურზე საკვანძო კონცეპტს წარმოადგენს დედამიწის ისეთი ცნება, რომელიც მას ადამიანთა საცხოვრებელ სახლად, ანუ ადგილად გაიაზრებს.¹³ ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალურ დონეზე დედამიწა მოიაზრება როგორც ისეთი ადგილი და მნიშვნელობის ცენტრი, რომელიც თავის თავში მოიცავს და ამდენად, შესაძლებელს ხდის ყველა სახის ადგილისა და სივრცის არსებობას. ადგილსა და რეგიონს შორის არსებული დიალექტიკური მიმართება სინთეზირდება დედამიწის, როგორც ადგილის ცნებაში, რომელიც ყველა ადგილსა და რეგიონს მოიცავს და ერთგვარ „ადგილთა ადგილად“ გვევლინება. ამრიგად, ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალურ დონეზე დედამიწის, როგორც საცხოვრებელი სახლის ცნება საშუალებას გვაძლევს, დინამიკურ ურთიერთქმედებაში გავიაზროთ ადგილის, რეგიონისა და დედამიწის ცნებები. სივრცობრივი ჰორიზონტების გაფართოებამ ადამიანებს საშუალება მისცა, განსხვავებული ადგილები დაეკავშირებინათ ერთმანეთთან და რეგიონალური კონცეპტები შეექმნათ. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებამ დრო და სივრცე „შეკუმშა“ და დედამიწა „გლობალურ სოფლად“ აქცია.¹⁴ თავის მხრივ, გლობალიზაცია იწვევს გლობალური ცნობიერების განვითარებას.

11 იხ. A. Giddens, *The Politics of Climate Change*. Cambridge: Polity Press, 2009. იხ., ასევე, B. R. Singh (ed.), *Climate Change. Realities, Impacts Over Ice Cap, Sea Level and Risks*. Rijeka: InTech, 2013; M. Voss (Hrsg.), *Der Klimawandel. Sozialwissenschaftliche Perspektiven*. Wiesbaden: VS Verlag, 2010.

12 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება“. გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ. თბილისი: „ნეკერი“, 2010 წ.

13 იხ. ქვეთავი 2.3, 2.6 და 4.3.

14 იხ. D. Harvey, *The Condition of Postmodernity. An Enquiry into the Origins of Cultural Change*. Cambridge, MA: Blackwell, 1992, გვ. 284 და შმდ.; M. McLuhan, *The Gutenberg Galaxy. The Making of Typographic Man*. Toronto: University of Toronto Press, 1962, გვ. 31.

გიორგი თაყაი

რებას და გლოკალიზაციის თანამდევ პროცესებს.¹⁵ ეს პროცესები გავლენას ახდენს ადამიანთა იდენტობებზე და მათ მიერ გლობალური სივრცეების აღქმაზე. აღნიშნული საკითხები ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნდა იკვლიოს.

15 იხ. R. Robertson, 'Glocalization: Time-Space and Homogeneity-Heterogeneity'. In: M. Featherstone, S. Lash, R. Robertson (eds.), *Global Modernities*. London: Sage, 1995, გვ. 25 და შმდ.

1.5. ადგილისა და იდენტობის ცნებები, როგორც ფილოსოფიური გეოგრაფიის სამივე დონის კონცეპტუალური საყრდენები

როგორც ვნახეთ, ადგილისა და იდენტობის ცნებები ფილოსოფიური გეოგრაფიის სამივე (ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ) დონეზე საკვანძო მნიშვნელობისაა. ამიტომ, უმართებულო არ იქნება იმის მტკიცება, რომ **ადგილისა და იდენტობის ცნებები ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალურ ბირთვს წარმოქმნის**. ლოკალურ დონეზე ადგილებისა და იდენტობების მიმართებები ინდივიდთა მიერ გეოგრაფიულ სივრცეში სოციალური სივრცის (რომელიც საკრალური, ისტორიული და ყოველდღიური სივრცეებისგან შედგება) შექმნას უკავშირდება; რეგიონალურ დონეზე ხდება განსხვავებული ადგილების გაერთიანება გარკვეულ რეგიონალურ კონცეპტებში, რომლებიც მძლავრ ზეგავლენას ახდენენ იდენტობებზე; დაბოლოს, გლობალურ დონეზე ადგილისა და იდენტობის ცნებები უკავშირდება გლობალური სივრცის (დედამინა, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი სახლი) ცნებას. ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია, მოვახდინოთ ფილოსოფიური გეოგრაფიის ისეთი განსაზღვრება, რომელიც მისი კონცეპტუალური ბირთვის შემადგენელ ელემენტებზე იქნება ფოკუსირებული: **ფილოსოფიური გეოგრაფიაა შეისწავლის ადგილებისა და იდენტობების ურთიერთქმედებას ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ ქრილში**.

1.6. დასკვნა

მოცემულ თავში ჩამოყალიბებულია ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც საფუძვლად უდევს წინამდებარე კვლევას. ქვემოთ მოყვანილი განაზრებები სწორედ მოცემულ კონცეპტუალურ ჩარჩოსთან მიმართებაში უნდა იქნეს განხილული. ეს ჩარჩო გამოყოფს ფილოსოფიური გეოგრაფიის შესწავლის სამ დონეს: ლოკალურს, რეგიონალურს და გლობალურს და ადგენს ფილოსოფიური გეოგრაფიის ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ ბუნებას. ფილოსოფიური გეოგრაფიის საფუძველმდებარე ცნებებად, მის კონცეპტუალურ ბირთვად, მიჩნეულია ადგილისა და იდენტობის ცნებები. ფილოსოფიური გეოგრაფიის ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური ბუნება განსაზღვრულია ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე ადგილებისა და იდენტობების დინამიკური ურთიერთქმედებებით.

შემდგომი თავი ეთმობა იმ მოაზროვნეების შემოქმედების ანალიზს, რომლებიც ფილოსოფიური გეოგრაფიის საწყისებთან დგანან. რა თქმა უნდა, ამ მოაზროვნეებიდან (ასევე, შემდგომ თავებში განხილული მოაზროვნეებიდანაც) ზოგიერთი, ალბათ, შეენიანაღმდეგებოდა კიდევ მათი ნააზრევის ლოკალიზებას ფილოსოფიური გეოგრაფიის კონტექსტში, თუმცა ეს არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე სერიოზულ მეთოდოლოგიურ დაბრკოლებას. ჩემი მიზანია ვაჩვენო, რომ აღნიშნული მოაზროვნეების შემოქმედება, შესაძლოა, ნაყოფიერი აღმოჩნდეს ფილოსოფიური გეოგრაფიის იმ პერსპექტივისათვის, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია მოცემული. ფილოსოფიური გეოგრაფიის განვლილი ტრადიციორიების მოხაზვით შესაძლებელია, უკეთ გავიგოთ მისი თანამედროვე ამოცანები.

თავი II. ფილოსოფიური გეობრაფიის სათავეებთან

2.1. შესავალი

XVII საუკუნის დასასრული და XVIII საუკუნე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მძლავრი განვითარების პერიოდი. ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ისააკ ნიუტონი, ედმუნდ ჰალეი, კარლ ლინე, ჟორჟ-ლუი ლეკლერკ ბუფონი, ბერნარდინ დე სენ-პიერი, პეტერ სიმონ პალასი, სერ ჯოზეფ ბენქსი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. ფიზიკაში, მათემატიკაში, ასტრონომიასა და ქიმიკაში გაკეთებულმა აღმოჩენებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. ამავე დროს, მოგზაურებს დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან განუწყვეტლივ ჩამოჰქონდათ ახალ-ახალი ინფორმაციები ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხალხების შესახებ. ამ ხალხთა ცხოვრების წესი და ზნე-ჩვეულებები, როგორც წესი, ძირეულად განსხვავდებოდა ევროპელთა ყოფა-ცხოვრებისაგან. მოაზროვნეები ცდილობდნენ, მეცნიერულად აეხსნათ ეს განსხვავებები. ინფორმაციის წყარობად ეს მოაზროვნეები კლასიკურ მემკვიდრეობასა და სხვადასხვა მოგზაურთა მიერ გამოქვეყნებულ ისტორიებს იყენებდნენ, სადაც ეს უკანასკნელნი თავიანთი თვალით დანახულსა და განცდილს გადმოსცემდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ისტორიებში ხშირად გამონაგონი და სიმართლე ერთმანეთში იყო არეული, უახლეს წყაროებზე დაყრდნობა მაინც წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მკვლევარი XVIII საუკუნეში შორეული ქვეყნების დასახასიათებლად მხოლოდ ჰეროდოტეს, ან კიდევ რომაულ წყაროებს ეყრდნობოდა!

XVIII საუკუნის II ნახევრიდან მნიშვნელოვან სამეცნიერო ექსპედიციებს (ჯეიმზ კუკის, ლუი ანტუან დე ბუგენვილის, ჟან ფრანსუა ლაპერუზის, ჯორჯ ვანკუვერის და სხვა საზღვაო ექსპედიციები) თან ახლდნენ მეცნიერ-ბუნებისმეტყველები, რომლებიც უშუალოდ აკვირდებოდნენ უცხო სამყაროს და ინფორმაციას იმ ეპოქის შესატყვისი მეცნიერული მეთოდების გამოყენებით აგროვებდნენ. ცხადია, რომ მათ მიერ მონოღებულ ინფორმაციას სანდოობის გაცილებით უფრო მაღალი ხარისხი ექნებოდა. ასეთი ექსპედიციებიდან, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს XVIII საუკუნეში, უნდა გამოიყოს ინგლისელი **ჯეიმზ კუკის (1728-1779 წწ.)** ექსპედიციები. კუკის მეორე ექსპედიციაში (1772-1775 წწ.) მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენი-

ლი გერმანელი მეცნიერი იოჰან რაინჰოლდ ფორსტერი (1729-1798 წწ.) და მისი ვაჟი, გეორგ ფორსტერი (1754-1794 წწ.). ექსპედიციის მსვლელობისას მამა-შვილი ფორსტერები საბუნებისმეტყველო დაკვირვებებს აწარმოებდნენ. გეორგ ფორსტერის წიგნმა „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ (1777 წ.) გადატრიალება მოახდინა სამეცნიერო წრეებში. ფორსტერების მიერ წყნარ ოკეანეში მოგზაურობისას მოპოვებულმა ინფორმაციამ დიდი გავლენა მოახდინა გეოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე.¹⁶ ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი პირადად იცნობდა გეორგ ფორსტერს. ფორსტერის შეხედულებებმა და მოგზაურობისაკენ სწრაფვამ გავლენა იქონიეს ახალგაზრდა ჰუმბოლდტზე.¹⁷ რაც შეეხება იოჰან რაინჰოლდ ფორსტერს, მან შემოქმედება თეორია წყნარი ოკეანის კუნძულების თანდათანობითი („ტალღური“) დასახლების შესახებ. თავის ნაშრომში „მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობის დროს გაკეთებული დაკვირვებები ფიზიკური გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა და ეთიკური ფილოსოფიის შესახებ“ (1778 წ.) ფორსტერმა, ტრადიციული სამოგზაურო ლიტერატურისაგან განსხვავებით, არა ქრონოლოგიური, არამედ, გადმოცემის სისტემატური მეთოდი გამოიყენა და წყნარი ოკეანის არეალი ლანდშაფტური ელემენტების მიზეზობრივი კავშირების ფონზე განიხილა. განხილვის ასეთი მეთოდით, მან, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე გეოგრაფიის განვითარებას.¹⁸

XVIII საუკუნეში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობდა კლიმატის საკითხი. ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ ბერნარ ფონტენელი (1657-1757 წწ.), ჟან შარდენი (1643-1713 წწ.), ჟან-ბატისტ დიუ ბუა (1670-1742 წწ.) და ჯონ არბეტნოტი (1667-1735 წწ.) განიხილავდნენ კლიმატის ზემოქმედებას ადამიანებზე. ფონტენელი თვლიდა, რომ ადამიანთა მენტალურ თავისებურებებს ის კლიმატი

16 იხ. M. Church, 'Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*. Albany: State University of New York Press, 2011, გვ. 24.

17 იხ. S. T. Jackson, 'George Forster'. In: A. von Humboldt, A. Bonpland, *Essay on the Geography of Plants*. Edited with an introduction by S. T. Jackson. Translated by S. Romanowski. Chicago and London: The University of Chicago Press, 2009, გვ. 235.

18 იხ. E. Plewe, *Carl Ritter. Neuere Forschungen von Ernst Plewe*. Mannheimer Geographische Arbeiten. Hrsg. von I. Dörrer, W. Gaebe, G. Höhl, C. Jentsch und R. Loose. Mannheim: Geographisches Institut der Universität Mannheim, 1982, გვ. 21; H. Beck, 'Johann Reinhold Forster – ein grosser Anreger der Geographie'. In: J. R. Forster, *Beobachtungen während der Cookschen Weltumseglung 1772-1775*. Stuttgart: Brockhaus Antiquarium, 1981, გვ. x-xi.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

განსაზღვრავს, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობენ. შარდენი სპარსეთის „ჩამორჩენილობას“ კლიმატით ხსნიდა, ხოლო დიუ ბუა განიხილავდა ხელოვნებისა და კლიმატის ურთიერთმიმართებას. მისი აზრით, ხელოვნების წარმოსაქმნელად გარკვეული კლიმატური პირობებია საჭირო.¹⁹ ჯონ არბეტნოტი, გამოჩენილი ინგლისელი ექიმი, ჰიპოკრატეს გავლენით, იკვლევდა დამოკიდებულებას ჰაერსა და ავადმყოფობებს შორის. შოტლანდიელი ფილოსოფოსი **დევიდ იუმი** (1711-1776 წწ.) თავის ნაშრომში „ეროვნული ხასიათების შესახებ“ (1748 წ.) ამტკიცებდა, რომ კლიმატის გავლენა ხალხებზე არც ისეთი დიდია, როგორც ამას სხვები მიიჩნევდნენ;²⁰ ხოლო ფრანგი ბუნებისმეტყველი **ჟორჟ-ლუი ბუფონი** (1707-1788 წწ.) თავის შრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ ზეგავლენაზე, რომელსაც ადამიანი ახდენს ბუნებაზე.

XVIII საუკუნეში ადამიანებზე კლიმატის ზემოქმედების ყველაზე გავლენიანი ანალიზი **შარლ ლუი მონტესკიეს** (1689-1755 წწ.) ეკუთვნის („კანონთა სული“, 1748 წ.). მიუხედავად ამისა, მონტესკიეს შეხედულებებს მრავალი მოაზროვნე აკრიტიკებდა. მათგან აღსანიშნავია **ვოლტერი** (1694-1778 წწ.) და **იოჰან გოტფრიდ ჰერდერი** (1744-1803 წწ.). ვოლტერის აზრით, კლიმატურ ფაქტორზე ყურადღების გამახვილება ადგილს არ ტოვებდა ცუდი მმართველობის ეფექტური კრიტიკისათვის;²¹ ხოლო ჰერდერი თვლიდა, რომ საჭირო იყო „კლიმატის“ ცნების უფრო ფართო გააზრება.

XVIII საუკუნის II ნახევრიდან გეოგრაფია თანდათანობით იღებს თანამედროვე კონტურებს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით გეოგრაფებს **ფილიპ ბუაშეს** (1700-1773 წწ.), **იოჰან მიქაელ ფრანცს** (1700-1761 წწ.), **იოჰან ქრისტოფ გატერერს** (1727-1799 წწ.) და **ანტონ ფრიდრიხ ბიუშინგს** (1724-1793 წწ.). ბიუშინგმა 1754-1792 წლებში გამოაქვეყნა „ახალი გეოგრაფია“²² თერთმეტ ტომად. ბიუშინგის მიხედვით, გეოგრაფია იყო მეცნიერება დედამიწის ზედაპირის ბუნებრივი და ცივილიზებული ასპექტების შესახებ. ბიუშინგის გეოგრაფიულმა შეხედულებებმა გავლენა იქონიეს კანტის გეოგრაფიის

19 იხ. C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore. Nature and Culture in Western Thought from Ancient Times to the End of the Eighteenth Century*. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1967, გვ. 552-556.

20 იქვე, გვ. 562-563; 585-586.

21 იქვე, გვ. 582.

22 სიზუსტისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ბიუშინგი გეოგრაფიის აღსანიშნავად იყენებდა ტერმინს *Erdbeschreibung* („დედამიწის აღწერა“).

ლექციებზე.²³

გეოგრაფია აღმავლობას განიცდის XVIII საუკუნის საქართველოშიც. ამ პერიოდის ქართული გეოგრაფიული აზროვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლია **ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონი) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“** (1745 წ.). ვახუშტი გეოგრაფიას „ადგილის აღწერას“ უწოდებს და მას ისტორიის ნაწილად მიიჩნევს.²⁴ მიუხედავად ამისა, „საქართველოს აღწერაში“ ვახუშტი ბატონიშვილი სისტემურად გადმოსცემს მასალას: იგი თანმიმდევრულად განიხილავს საქართველოს რეგიონებს და დაწვრილებით აღწერს მათ ჰავას, რელიეფს, ჰიდროგრაფიას, მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს და ა.შ. ვახუშტის ნაშრომის უმთავრეს ღირსებად ქართველი მეცნიერები მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მან ნათლად გადმოსცა საგანთა და მოვლენათა აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების პრინციპი კლიმატური პირობების, ბუნებრივი და კულტურული მცენარეულობის, ცხოველთა სამყაროს მიმართ. „ვახუშტი ერთი იმ მეცნიერთაგანია, ვინც ალ. ჰუმბოლდტის მიერ ვერტიკალური ზონალურობის კანონის ჩამოყალიბებამდე გაცილებით უფრო ადრე შენიშნა და აღწერა ეს მოვლენა. „საქართველოს გეოგრაფიაში“ ზუსტად არის მინიშნებული საზღვრები ბარისა და მთის დამახასიათებელი ველური და სამეურნეო მცენარეების, თევზთა სახეობების გავრცელების არე-

23 იხ. C. Withers, 'Kant's Geography in Comparative Perspective'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*. Albany: State University of New York Press, 2011, გვ. 54-55. კანტზე ი. მ. ფრანცის გავლენის შესახებ იხ. J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*. Toronto and Buffalo: University of Toronto Press, 1970, გვ. 51-52. იხ., ასევე, R. Hartshorne, 'The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner'. *Annals of the Association of American Geographers*, 48 (1958), გვ. 99.

24 იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941 წ., გვ. 3. აღნიშნული გამოცემის შესავალში ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ვახუშტის ეს ნაშრომი ისტორიული გეოგრაფიის ნიმუშს წარმოადგენს (იქვე, გვ. xx). ამ თვალსაზრისს არ იზიარებს ლ. მარუაშვილი, რომლის თანახმად, „დედაწმი ადგილი აქვს გეოგრაფიული და ისტორიოგრაფიული ნარკვევების მორიგეობას“. შესაბამისად, ის გეოგრაფიული ნაშრომი „ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.“ იხ. ლ. მარუაშვილი, „ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი)“, იხ.: „გამოჩენილი მოგზაურები და ბუნების მკვლევარები“. შ. ჯავახიშვილი, გ. დონდუა (რედ.), თბილისი: „განათლება“, 1989, გვ. 40. ჩემი აზრით, ვახუშტის ნაშრომის სტრუქტურა ამ უკანასკნელი დებულების გაზიარების შესაძლებლობას გვაძლევს.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ალეხს შორის ყველა მნიშვნელოვან ხეობაში.²⁵

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ, ასევე, გამოჩენილი ქართველი მოგზაურები **სულხან-საბა ორბელიანი** (1658-1725 წწ.), **რაფიელ დანიბეგაშვილი** (1780?-1827?), **იონა გედევანიშვილი** (1737-1821 წწ.), **ტიმოთე გაბაშვილი** (1703-1764 წწ.) და **გიორგი ავალიშვილი** (1769-1850 წწ.). საქართველოში გავრცელება ჰპოვა ფრანგ განმანათლებელთა იდეებმა. მონტესკიეს შეხედულებებმა კლიმატისა და კანონების ურთიერთმიმართების შესახებ გამოძახილი ჰპოვა ქართველი მოაზროვნის, **ალექსანდრე ამილახვარის** ნაშრომში „ბრძენი აღმოსავლეთისა“ (XVIII ს-ის II ნახ.).²⁶ თავის ნაშრომში „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“ (1826 წ.) ქართველი მოაზროვნე **იონა ხელაშვილი** (1778-1837 წწ.) გეოგრაფიული ელემენტების ადამიანებზე ზემოქმედების საინტერესო მაგალითს იძლევა. ხელაშვილის აზრით, ქართულ ენაში ხორხისმიერი და მკვეთრი ბგერების არსებობა საქართველოს გეოგრაფიული ლანდშაფტით აიხსნება; კერძოდ, მთაგორიან გარემოში, რომელიც ხეობებითა და ხევებითაა დასერილი, მაცხოვრებლებს მეტი ძალისხმევა ესაჭიროებათ, რათა ერთმანეთს თავიანთი ძახილი გააგონონ. ხელაშვილის მიხედვით, სწორედ ეს ხსნის კავკასიაში მცხოვრებ ერთა ენებში ხორხისმიერი ბგერების სიუხვეს, რაც არ გვხვდება დაბლობ და ვაკე ადგილებში მცხოვრებ ერების სამეტყველო ენებში.²⁷ ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებისა, საქართველოში გეოგრაფიული აზრის განვითარება არ შეფერხებულა.

XIX საუკუნის დასაწყისისათვის თანდათანობით დამკვიდრდა წარმოდგენა გეოგრაფიის, როგორც ემპირიული მეცნიერების შესახებ. ჯერ კიდევ 1757 წელს ფრანგი გეოგრაფი ნიკოლა დემარე აღნიშნავდა, რომ ფიზიკური გეოგრაფია სისტემატურ დაკვირვებებს უნდა ემყარებოდეს.²⁸ ამ მიდგომის ყველაზე თვალსაჩინო წარმომად-

25 იხ. ლ. მარუაშვილი, „ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი)“, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

26 იხ. ა. ამილახვარი, „ბრძენი აღმოსავლეთისა“. რჩეულთა ბიბლიოთეკა 26. გ. აღზაზიშვილისა და რ. ჩხეიძის რედაქციით. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვ. კიკნაძემ. თბილისი: „ლომისი“, 1997 წ., გვ. 21.

27 იხ. ი. ხელაშვილი, „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი. ფილოსოფიური ნაწილი“. გ. დედაბრიშვილის რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“, 1967 წ., გვ. 136-137.

28 იხ. M. Church, 'Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*, გვ. 24-25.

გენელია **ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი** (1769-1859 წწ.). ჰუმბოლდტის მოგზაურობა სამხრეთ ამერიკაში და მის მიერ წარმოებული დაკვირვებები ეტალონად იქცა შემდგომი თაობის მეცნიერებისათვის.

ჰუმბოლდტის უმცროსი თანამედროვე იყო გერმანელი გეოგრაფი **კარლ რიტერი** (1779-1859 წწ.). რიტერი იყო პირველი მეცნიერი, რომლისთვისაც 1820 წელს ბერლინის უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრა შეიქმნა.²⁹ მართალია, გერმანულ უნივერსიტეტებში გეოგრაფია რიტერამდეც ისწავლებოდა (ი. მ. ფრანცი, ა. ფ. ბიუშინგი, ი. კანტი), მაგრამ არ არსებობდა გეოგრაფიის სპეციალობა, როგორც ასეთი, უნივერსიტეტებს არ ჰყავდათ კურსდამთავრებულები გეოგრაფის კვალიფიკაციით. როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული ასპექტით, რიტერმა დიდი წვლილი შეიტანა გეოგრაფიის, როგორც საუნივერსიტეტო დარგის დამკვიდრებაში.

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა ფილოსოფოსმა **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა** (1770-1831 წწ.) განავითარა შეხედულებები მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძვლების შესახებ. ჰეგელის ნაზრევი განავრცო მისმა მიმდევარმა **ერნსტ კაპმა** (1808-1896 წწ.). თავის ნაშრომში „ფილოსოფიური გეოგრაფია“ (1845 წ.), კაპმა თანამედროვე გეოგრაფია ჰეგელისეული ფილოსოფიის კონტექსტში გაიაზრა.

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი გარდაიცვალა 1859 წელს. იმავე წელს გარდაიცვალა კარლ რიტერიც. ეს წელი იმითაცაა ცნობილი, რომ გამოქვეყნდა **ჩარლზ დარვინის** (1809-1882 წწ.) „სახეობათა წარმოშობა“. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება ახალ ფაზაში შევიდა. რაც შეეხება გეოგრაფიას, მას წინ ელოდა „იდენტობის კრიზისის“ პერიოდი, როდესაც წამყვანი გეოგრაფები ცდილობდნენ, მეცნიერებათა მზარდი სპეციალიზაციისა და მეცნიერული ცოდნის სწრაფი პროგრესის პირობებში, მოეხაზათ და დაედგინათ, გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, შესწავლის საგანი და მისი მეთოდები.

29 რიტერს უშუალო მემკვიდრე გეოგრაფიის კათედრაზე არ ჰყოლია. გეოგრაფიის ახალი კათედრა გერმანიაში მხოლოდ 1871 წელს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა. კათედრას სათავეში ჩაუდგა პროფ. ოსკარ პეშელი (1826-1875 წწ.). იხ. V. Mamadouh, 'Geography and War, Geographers and Peace'. In: C. Flint (ed.), *The Geography of War and Peace: From Death Camps to Diplomats*. New York: Oxford University Press, 2005, გვ. 28.

2.2. შარლ ლუი მონტესკიე: კლიმატის ზემოქმედება ადამიანზე

ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან მონტესკიე დგას. მის ნაშრომში „კანონთა სული“ (1748 წ.), ადამიანებზე კლიმატის³⁰ ზემოქმედების ანალიზს საგანგებო ყურადღება ეთმობა (XIV-XVII წიგნები). აქედან XIV წიგნში ზოგადი დებულებებია წარმოდგენილი; XV, XVI და XVII წიგნებში კი განხილულია მოქალაქეობრივი, საოჯახო და პოლიტიკური მონობის მიმართება კლიმატის ბუნებასთან.³¹

ზოგადი დებულებების ჩამოყალიბებას მონტესკიე ცივი და ცხელი კლიმატის ზემოქმედების განხილვით იწყებს: „ცივი ჰაერი ავინროებს ჩვენი სხეულის კიდურების გარეგან ბოჭკოებს; ეს ზრდის მათ ენერჯიას და ხელს უწყობს სისხლის მოძრაობას კიდურებიდან გულისაკენ. იგი ამცირებს ამ ბოჭკოთა სიგრძეს და, მაშასადამე, ამით კიდევ უფრო ზრდის მათ ძალას. ცხელი ჰაერი კი, პირიქით, ადუნებს ბოჭკოთა დაბოლოებებს, აფართოვებს მათ და, მაშასადამე, ამცირებს მათ ძალასა და ენერჯიას.“³² შესაბამისად, ცივი კლიმატში მცხოვრებ ადამიანებს მეტი ძალა აქვთ, ცხელი კლიმატის მაცხოვრებლებს კი – ნაკლები. ამის საფუძველზე მონტესკიე ასკვნის, რომ ცივი კლიმატის მაცხოვრებლები, ცხელი კლიმატის მაცხოვრებლებთან შედარებით, უფრო მეტი ვაჟკაცობით, საკუთარი უპირატესობის მეტი შეგნებით, შურისგების ნაკლები სურვილით და საკუთარ უსაფრთხოებაში მეტი დაჯერებულობით ხასიათდებიან.³³ ხასიათის ეს თვისებები ადამიანთა მორალზე ახდენს გავლენას: „ჩრდილოეთის კლიმატში თქვენ ნახავთ ადამიანებს, რომელთაც ცოტა ცოდვები,

30 კლიმატის მონტესკიესული ცნება მისი თანამედროვე გამოყენებისაგან განსხვავებულია. „კლიმატში“ მონტესკიე, უპირველეს ყოვლისა, ჰაერის ტემპერატურას გულისხმობს.

31 კ. გლაკენი მონტესკიეს კლიმატურ თეორიაში შემდეგ ასპექტებს გამოყოფს: 1. კლიმატი გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე; 2. ფიზიკური ზემოქმედება, თავის მხრივ, მენტალურ მდგომარეობებზე (ვნება, სიყვარული, სიამამაცე, სიმხდალე და ა.შ.) ახდენს გავლენას; 3. ეს მენტალური მდგომარეობები მთელ საზოგადოებებს მიეწერება. იხ. C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore. Nature and Culture in Western Thought from Ancient Times to the End of the Eighteenth Century*, გვ. 568.

32 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა გონი“. ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ. თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1994 წ., გვ. 253.

33 იქვე.

საკმაო ქველობა, დიდი სინრფელე და გულახდილობა აქვთ. რაც უფრო უახლოვდებით სამხრეთს, მით უფრო დაშორდებით მორალს, უფრო ცხოველი ვნებები დანაშაულთა სიმრავლეს იწვევენ.³⁴ რაც შეეხება ზომიერ სარტყელს, იქ მცხოვრები ადამიანები ცვალებადნი არიან. კლიმატის მერყეობა მათ ხასიათზეც აისახება.

ამ ზოგადი დებულებების დადგენის შემდეგ, მონტესკიე განიხილავს კლიმატისა და მოცემულ კლიმატურ რეგიონში მდებარე ქვეყნის კანონებს შორის არსებულ კავშირებს. გონიერმა კანონმდებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კლიმატის ზემოქმედება თავისი ქვეყნის მაცხოვრებლებზე³⁵ და საჭიროების შემთხვევაში, ისეთი კანონები მიიღოს, რომლებიც ხელს შეუწყობს კლიმატის ზეგავლენის შედეგად გამოწვეული მავნე მიდრეკილებების დაძლევისა და აღმოფხვრას. XIV წიგნის V თავის სათაური ასეთია: „ცუდი კანონმდებლები ისინი არიან, ვინც არ ენინააღმდეგებიან კლიმატით გამოწვეულ მანკიერებებს.“ ინდოეთისა და ჩინეთის მაგალითზე მონტესკიე აანალიზებს ცუდი და კარგი კანონმდებლობის შემთხვევებს: ინდოეთში არსებულმა კანონმდებლობამ კიდევ უფრო გააღრმავა კლიმატის მავნე ზემოქმედება და ადამიანებს უმოქმედობისა და სიზარმაცისაკენ უბიძგა, მაშინ, როცა ჩინელი კანონმდებლები „იხილავდნენ ადამიანს არა სიმშვიდის მდგომარეობაში, რომელსაც ისინი ოდესმე მიაღწევდნენ, არამედ იმ ქმედებაში, რომელიც აუცილებელია მათთვის ცხოვრებისეულ მოვალეობათა შესასრულებლად.“³⁶

ამ ადგილას განსაკუთრებული განაზრებაა საჭირო. თანამედროვეები მონტესკიეს გეოგრაფიულ დეტერმინიზმში ადანაშაულებდნენ.³⁷ ისინი მიიჩნევდნენ, რომ მონტესკიე გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კლიმატს, როდესაც მისი მეშვეობით ხსნიდა ხალხთა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. „კანონთა სულში“ მრავლად მოიპოვება ისეთი ადგილი, რომელიც ამის მტკიცების შესაძლებლობას იძლევა.³⁸ ამ პასაჟების სულისკვეთებას მოკლედ გამოხატავს

34 იქვე, გვ. 255.

35 ეს განსაკუთრებით ითქმის ცხელ კლიმატში არსებული ქვეყნების მმართველებზე. იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 256.

36 იქვე, გვ. 257.

37 იხ. C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore*, გვ. 581-587.

38 მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპაში პროტესტანტიზმის გავრცელებას მონტესკიე შემდეგნაირად ხსნის: „ამის მიზეზი ისაა, რომ ჩრდილოეთის ხალხებში არის და ყოველთვის იქნება დამოუკიდებლობის განსაკუთრებული სულისკვეთება, რომელიც არ გააჩნია სამხრეთის ხალხებს; ამიტომ რელიგია, რომელსაც არ ჰყავს ხილული წინამძღოლი, უკეთ ესადაგება ამ ჰავისათვის დამახასიათებელ დამოუკიდებლობას, ვიდრე ის რე-

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

შემდეგი დებულება: „კლიმატის ძალაუფლება უპირველესია ყველა ძალაუფლებათა შორის“.³⁹ თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს იმის საფუძველს, მონტესკიე მკაცრ დეტერმინისტად მივიჩნიოთ, რომლის თანახმად, კლიმატი **ცალსახად** განსაზღვრავს ადამიანთა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. კ. გლაკენი თვლის, რომ „კანონთა სულში“ ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრებია გამოთქმული, რომელთა ურთიერთმორიგება რთულია, რომ მონტესკიემ ვერ შეძლო ფიზიკური და სოციალური კაუზალობის თეორიების თანმიმდევრული სინთეზი.⁴⁰ ამის საპირისპიროდ, ფრანგი მარქსისტი მოაზროვნე ლ. ალთუსერი მიიჩნევს, რომ მონტესკიეს მიერ გამოთქმულ, ერთი შეხედვით ურთიერთსაპირისპირო დებულებებს შორის გარკვეული მწყობრი ურთიერთმიმართება არსებობს.⁴¹ ქვემოთ შევეცდები, ამ უკანასკნელი თვალსაზრისის მართებულობა რამდენიმე დამატებითი არგუმენტით გავამყარო. მონტესკიე **არ იყო** მკაცრი დეტერმინისტი. უფრო მართებულა, მისი პოზიცია დავახასიათოთ, როგორც „რბილი“ დეტერმინიზმი. ამით აიხსნება ის წინააღმდეგობებიც, რომლებიც კლიმატის თაობაზე მის გამონათქვამებს ახასიათებს.

1. XIV წიგნის V თავის დასასრულს მონტესკიე წერს: „რაც უფრო მეტი ფიზიკური მიზეზი ეწევა ადამიანებს მოსვენებისაკენ, მით უფრო მეტმა მორალურმა მიზეზებმა უნდა დააშორონ ისინი ამ უკანასკნელს.“⁴² იმავე წიგნის VI თავში აღნიშნული თეზისი კიდევ უფრო კონკრეტულადაა გამოხატული: „მინის დამუშავება ადამიანთა ყველაზე დიდი საქმეა. რაც უფრო მეტად უღვიძებს კლიმატი მათ შრომისაგან თავის არიდების სურვილს, მით უფრო

ლიგია, რომელსაც წინამძღოლი ჰყავს.“ იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 525. ოდნავ ქვემოთ ის თავისი მსჯელობის განზოგადებას ახდენს: „თუ ჰავის ბუნებაზე დაფუძნებული რელიგიის მოთხოვნები ძალზე შეენიწიანაღმდეგებოდა მეორე ქვეყნის ჰავას, აღნიშნული რელიგია იქ ვერ დამკვიდრდებოდა. თუ რომელიმე რელიგიას ასეთ ქვეყანაში შეიტანდნენ, იგი მაინც განიდევნებოდა შემდგომში. ადამიანური კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჰავამ დაუდგინა საზღვრები ქრისტიანულსა და მაჰმადიანურ რელიგიებს.“ იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 539 (გამოყოფა ჩემია – გ.თ.).

39 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 331.

40 იხ. C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore*, გვ. 580-581.

41 იხ. L. Althusser, *Politics and History. Montesquieu, Rousseau, Hegel and Marx*. Translated by B. Brewster. London: New Left Books, 1972, გვ. 54-56.

42 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 257 (გამოყოფა ჩემია – გ.თ.).

მეტად უნდა ალაგ ზნონ ეს სურვილი რელიგიამ და კანონებმა.⁴³ აქედან აშკარაა: კლიმატი „ენევა“, „უბიძგებს“ ადამიანებს გარკვეული მიმართულებით, მაგრამ ის ცალსახად არ განსაზღვრავს მათ მოქმედებებს და ზნე-ჩვეულებებს.⁴⁴

2. XIX წიგნის IV თავში მონტესკიე შემდეგ დებულებას ავითარებს: „ადამიანებს ბევრი რამ მართავს: კლიმატი, რელიგია, კანონები, მმართველობის მაქსიმები, წარსულის მაგალითები, ზნენი და ჩვევები; ყოველივე ამის შედეგად იქმნება ხალხის ზოგადი სულისკვეთება. ყოველ ერში, რაც უფრო მეტად მოქმედებს ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი, მით უფრო სუსტდება დანარჩენი მიზეზები.“⁴⁵ „სუსტდება“-ს გამოყენება „გაქრობის“ ნაცვლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მონტესკიესთან საქმე გვაქვს განსხვავებულ ფაქტორთა დინამიკურ ურთიერთქმედებასთან: შესაძლოა, გარკვეულ გარემოებათა გამო, მოცემულ მომენტში ერთი ფაქტორი იყოს დომინანტური, სხვები კი დაქვემდებარებულ როლს ასრულებდნენ. მაგრამ ეს ბალანსის შეცვლას არ გამოორიცხავს: მაგალითად, ინდოეთში, კანონმდებლების დაუდევრობის გამო, კლიმატური ფაქტორი გაძლიერებულად მოქმედებს.⁴⁶ თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კარგ მმართველს არ შეუძლია გონივრული კანონების დამკვიდრებით ამ ფაქტორის

43 იქვე, გვ. 258 (გამოყოფა ჩემია – გ.თ.).

44 ალთუსერი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კლიმატის ზემოქმედება ადამიანზე მის ტემპერამენტზე ზემოქმედებაში გამოიხატება. ეს აისახება უკიდურესობებისთვის თავისუფლების მიცემაში, ან მათ მოთოკვაში. სწორედ ამგვარად განპირობებული ადამიანები ქმნიან შემდეგში კონკრეტულ კანონებსა და ხელისუფლებებს. ალთუსერს მოჰყავს შემდეგი პასაჟი „კანონთა სულიდან“: „სხვადასხვა კლიმატებში მოთხოვნილებათა განსხვავებულობამ წარმოშვა ცხოვრების სხვადასხვა წესი, ხოლო ცხოვრების სხვადასხვა წესმა სხვადასხვა სახის კანონები გააჩინა“ („კანონთა სული“, XIV წიგნი, X თავი). ამრიგად, ასკენის ალთუსერი, კლიმატის მიერ წარმოქმნილი კანონები ბოლო რგოლია მოვლენათა ჯაჭვში. ამ რგოლის შუა წევრი, კლიმატის პროდუქტი და კანონთა ნამდვილი მიზეზი „ცხოვრების სხვადასხვა წესია“. ანალოგიური „გაშუალებული“ ზემოქმედება ახასიათებს, ალთუსერის მიხედვით, მინას და ვაჭრობას. იხ. L. Althusser, *Politics and History. Montesquieu, Rousseau, Hegel and Marx*, გვ. 55. „კანონთა სულის“ ზემოთმოყვანილი პასაჟისთვის იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 260.

45 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 324 (გამოყოფა ჩემია – გ.თ.).

46 იქვე, გვ. 258.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

შესუსტება.⁴⁷ კლიმატის ბუნებისა და ადამიანებზე მისი ზეგავლენის ცოდნა სწორედ ამისთვისაა საჭირო.

3. XVIII წიგნის VI თავში („ადამიანთა შრომისმოყვარეობით შექმნილი ქვეყნები“) მონტესკიე აღნიშნავს კავშირს ადამიანთა შრომისმოყვარეობასა და მმართველობის ფორმას შორის: „ქვეყნები, რომლებიც ადამიანთა შრომისმოყვარეობამ გახადა საცხოვრებლად ვარგისი და რომელთა არსებობაც ამავე შრომისმოყვარეობითაა განპირობებული, ილტვიან ზომიერი მმართველობისაკენ.“⁴⁸ მოცემულ შემთხვევაში აშკარაა, რომ მმართველობის ფორმას კლიმატი ყოველთვის არ განსაზღვრავს.
4. XVII წიგნის შემდეგ მონტესკიე განიხილავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ახლებურად აშუქებს და ავსებს XIV-XVII წიგნებში განხილულ მასალას: XVIII წიგნში იგი განიხილავს „მინის ბუნებას“, XIX წიგნში – ხალხთა ზნე-ჩვეულებებს, XX-XXII წიგნებში – ვაჭრობასა და ფულს, XXIII წიგნში – მოსახლეობის რაოდენობას, ხოლო XXIV წიგნში – რელიგიას. ამრიგად, „კანონთა სულის“ XIV-XVII წიგნებში განვითარებული მსჯელობა კლიმატის შესახებ, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც ერთგვარი „შესავალი“, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა ფაქტორთა ანალიზს. თუმცა, განსხვავებული ფაქტორების ანალიზის დაწყება კლიმატის განხილვით, რასაც თან ერთვის „კანონთა სულის“ სხვადასხვა წიგნებში გამოთქმული მოსაზრებები კლიმატის ბუნებისა და ადამიანებზე მისი ზემოქმედების შესახებ, დეტერმინიზმის ბრალდებას სავსებით როდი გამორიცხავს, მაგრამ, ეს არის არა მკაცრი, არამედ „რბილი“ დეტერმინიზმი:⁴⁹ მონტესკიე აღიარებს მრავალი განსხვავებული ფაქტორის ზემოქმედებას ადამიანთა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და, ამავე დროს, ხაზს უსვამს კლიმატის „ძალაუფლების“ პირველადობას,

47 „კანონთა სულის“ XIV წიგნის IX თავში მონტესკიე საუბრობს სხვადასხვა წამახალისებელ საშუალებებზე, რომლებიც, მისი აზრით, მიწათმოქმედების განვითარებას შეუწყობს ხელს. იმავე წიგნის X თავში იგი აღნიშნავს იმ კანონთა გონივრულობას, რომლებიც, კლიმატის შესაბამისად, კრძალავს ან ნებას რთავს მაგარი სასმელების მიღებას; ხოლო XI თავში განხილულია მსგავსი კანონები სხვადასხვა ავადმყოფობასთან მიმართებაში.

48 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 304.

49 კ. კრიზელი თვლის, რომ მონტესკიე არათუ „ხისტი“ ან „რბილი“ დეტერმინისტი, არამედ სულაც პოსიბილისტია. იხ. K. M. Kriesel, 'Montesquieu: Possibilistic Political Geographer'. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 58 (1968), გვ. 557 და შმდ.

რითაც მიუთითებს, რომ ამ ფაქტორებიდან კლიმატი ყველაზე მნიშვნელოვანია.⁵⁰ სწორედ ეს გარემოება ხსნის იმ წინააღმდეგობებს, რომელიც კლიმატის შესახებ მონტესკიეს მსჯელობებს ახასიათებს.⁵¹

მონტესკიეს კლიმატის თეორიაში მისი **ევროპოცენტრიზმი** ვლინდება. აზიისა და ევროპის შედარებისას, მონტესკიე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევროპის კლიმატურ თავისებურებაზე: აზიას არ გააჩნია ზომიერი სარტყელი. ის კლიმატური კონტრასტების სამყაროა, სადაც ძალიან ცხელ ქვეყნებს ასევე ძალიან ცივი ქვეყნები ესაზღვრება. რაც შეეხება ევროპას, იქ ჰავა „შეუმჩნევლად ცივდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ“, ამიტომ „ყოველი ქვეყანა თავისი ჰავით მეზობელი ქვეყნის მსგავსია.“⁵²

ზემოთქმულს მონტესკიესათვის პოლიტიკური შედეგები აქვს: აზიაში მეომარი ხალხები უშუალოდ უპირისპირდებიან სუსტ ხალხებს, ევროპაში კი ძლიერი ხალხები ერთმანეთს ესაზღვრებიან. სწორედ ეს განაპირობებს აზიის სისუსტესა და ევროპის სიძლიერეს.⁵³ ამ მსჯ-

50 ამასთან დაკავშირებით შდრ. ასევე, D. W. Carrithers, ‘Montesquieu and Tocqueville as Philosophical Historians: Liberty, Determinism, and the Prospects for Freedom’. In: R. E. Kingston (ed.), *Montesquieu and His Legacy*. Albany: State University of New York Press, 2009, გვ. 151.

51 მაგალითად, „კანონთა სულის“ XIV წიგნის VI თავში მონტესკიე „კლიმატით გამოწვეულ ინდოელთა ბუნებრივ სიზარმაცეზე“ საუბრობს (იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 258), ხოლო XV წიგნის VIII თავში იგი წერს: „დედამიწაზე, ალბათ, არ არსებობს ისეთი კლიმატი, სადაც შეუძლებელი იყოს შრომაში თავისუფალ ადამიანთა ჩაბმა. მაგრამ ვინაიდან კანონები ცუდად იყო შედგენილი, ადამიანები გაზარმაცდნენ, ამიტომ ისინი მონებად აქციეს“ (იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 272. ხაზგასმა ჩემია – გ.თ.). აღნიშნული წინააღმდეგობა ასე იხსნება: კლიმატი, სხვა ფაქტორებთან შედარებით, მნიშვნელოვანია, ამიტომ ის „ბუნებრივ სიზარმაცეს“ წარმოშობს („რბილი“ დეტერმინიზმი). თუმცა, მართებული კანონების დანერგვის შემთხვევაში, ამ ზეგავლენის დაძლევა შესაძლებელია.

52 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 297.

53 შ. გიუნცელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ზომიერი კლიმატის ცნებაზე მონტესკიესთან. ზომიერ სარტყელში სახელმწიფო წყობა და კლიმატი ერთმანეთთან ურთიერთშესატყვისობაშია. ბუნების მიერ წინასწარდადგენილი პირობებისაგან თავისუფლება ამ რეგიონს საშუალებას აძლევს, მსოფლიოს სხვა ნაწილების კოლონიზაცია მოახდინოს მათთვის კანონების დადგენის მეშვეობით. იხ. S. Günzel, ‘Geographie der Aufklärung. Klimapolitik von Montesquieu zu Kant’. In: *Aufklärung und Kritik*, 2 (2004.), გვ. 69-70.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ელობას მონტესკიე მის ხელთ არსებული ისტორიული მონაცემებით ამყარებს, რომელთა მიხედვით, აზია ცამეტჯერ იქნა დაპყრობილი, ევროპა კი – მხოლოდ ოთხჯერ და ისიც დიდი გაჭირვებით.⁵⁴

ევროპოცენტრიზმი მონტესკიესთან ევროპისა და აზიის რელიეფის შედარებაშიც ვლინდება. აზიაში დიდი ვაკეებია, ის ზღვებით უფრო დიდ ნაწილებადაა დაყოფილი და ბუნებრივი ბარიერები ნაკლებია, რაც აადვილებს დაპყრობებს და ხელს უწყობს დესპოტური იმპერიების წარმოშობას. რაც შეეხება ევროპას, იქ „ბუნებრივი დაყოფა რამდენიმე საშუალო სიდიდის სახელმწიფოს ქმნის, სადაც კანონთა ბატონობა სახელმწიფოს ინტერესებს უთავსდება.“⁵⁵ სწორედ ამიტომ, ევროპაში „თავისუფლების სულისკვეთება“ არსებობს და მისი ნებისმიერი ნაწილი საკმაოდ რთულად დასამორჩილებელია.⁵⁶

მონტესკიეს კლიმატური თეორია მრავალმხრივ საყურადღებოა: XVIII საუკუნის მოაზროვნეთაგან მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კლიმატზე და მის ზემოქმედებაზე, გააანალიზა კლიმატისა და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების (სახელმწიფო წყობა, რელიგია, ვაჭრობა, ზნე-ჩვეულებები) კავშირი და სისტემურად გადმოსცა თავისი შეხედულებები ამ საკითხების შესახებ. კ. გლაკენი მიიჩნევს, რომ „კანონთა სული“ გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებათა წინაისტორიაში. მისი აზრით, მონტესკიეს ეს ნაშრომი დასაბამს აძლევს გზას, რომელსაც, საბოლოოდ, საზოგადოებრივ გეოგრაფიამდე მივყავართ.⁵⁷ შ. გიუნცელის აზრით, მონტესკიესთან ერთად, ახალ დროში წინა პლანზე იწვევს ისტორიის გეოგრაფიული საფუძვლების გაგება. მონტესკიეს მიერ თემატიზებული კლიმატის ცნება, რომელიც მისი პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძველს წარმოადგენს, ჰეგელთან პოულობს დასრულებას.⁵⁸

მონტესკიეს შეხედულებებს XVIII საუკუნეში მრავალი მოაზროვნე აკრიტიკებდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია გერმანელი ფილოსოფოსი, იოჰან გოტფრიდ ჰერდერი.

54 იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 298.

55 იქვე, გვ. 300.

56 იქვე.

57 იხ. C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore*, გვ. 566.

58 იხ. S. Günzel, *Geographie der Aufklärung. Klimapolitik von Montesquieu zu Kant*, გვ. 66.

2.3. იოჰან გოტფრიდ ჰერდერი: ადამიანისა და გარემოს ურთიერთზემოქმედება

გეოგრაფიულ განაზრებებს ჰერდერის შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გეოგრაფიის მიმართ ჰერდერი ძალიან დადებითად იყო განწყობილი.⁵⁹ მის ძირითად ნაშრომში „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ“ (1784-1791 წწ.), სხვა პრობლემებთან ერთად, იმ ეპოქის გეოგრაფიული პრობლემატიკის ფილოსოფიური ანალიზია მოცემული.

კლიმატის არსებაზე ჰერდერი საუბრობს „იდეების“ VII წიგნის III თავში („რა არის კლიმატი და როგორ ზემოქმედებს ის ადამიანის სხეულისა და სულის ჩამოყალიბებაზე“). კლიმატის ცნება ჰერდერს მონტესკიესაგან განსხვავებულად ესმის. თუ მონტესკიესთან „კლიმატი“, არსებითად, ჰაერის ტემპერატურას აღნიშნავდა, ჰერდერთან

59 ამას ადასტურებს ჰერდერის სასკოლო სიტყვა „გეოგრაფიის სასიამოვნო ბუნების, მისი სარგებლიანობისა და აუცილებლობის შესახებ“, რომელიც მან 1784 წელს წაიკითხა ვაიმარში. თავის სიტყვაში ჰერდერი საუბრობს გეოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ და შემდეგ ძირითად მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას: ა). გეოგრაფია გადმოგვცემს ჩვენი ეპოქისათვის სასარგებლო და აუცილებელ ცოდნას, რომელიც სიამოვნებით შეიძლება შევისწავლოთ; ბ). გეოგრაფია საშუალებას გვაძლევს, შევიმეცნოთ ის „საოცარი სახლი,“ (ანუ დედამიწა) სადაც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ; გ). დედამიწის ზედაპირზე არსებული მოჩვენებითი ქაოსის მიღმა გეოგრაფია კანონებსა და წესრიგს აღმოაჩენს; დ). გეოგრაფიის შესწავლა (ისტორიის შესწავლასთან ერთად) აძლიერებს ჰუმანურობის გრძნობას. ეს მეცნიერებები გვიჩვენებენ საკუთარ უპირატესობებს და, ამავდროულად, სხვა ერებისადმი პატივისცემას გვინერგავენ; ე). გეოგრაფია ისტორიისა და ბუნებისმეტყველების საფუძველს წარმოადგენს. ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ეპოქებისა და ხალხების მოძრაობაში მოყვანილი გეოგრაფია; ვ). მხოლოდ გეოგრაფიის შესწავლით ვავიგებთ, თუ რა გზით მიდის მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარება. იხ. J. Birkenhauer, *Traditionslinien und Denkfiguren. Zur Ideengeschichte der sogenannten Klassischen Geographie in Deutschland*. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2001, გვ. 110 და შმდ.; S. Günzel, *Geographie der Aufklärung. Klimapolitik von Montesquieu zu Kant*, გვ. 73-74. ისტორიისა და გეოგრაფიის კავშირი „იდეებში“ ჰერდერის მიერ XII წიგნის VI თავის დასაწყისში ჩამოყალიბებულ ისტორიის მთავარ კანონშიც ვლინდება, რომლის თანახმად, იმ მოვლენებზე, რომლებიც დედამიწაზე ხდება, სხვა ფაქტორებთან ერთად, გეოგრაფიული მდებარეობა და ადგილის მოთხოვნილებებიც ახდენს ზეგავლენას. იხ. *И. Г. Гердер, Идеи к Философии Истории Человечества. Перевод А. Михайлова, Москва: "Наука", 1977, გვ. 344.*

ეს ცნება გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს. შეიძლება ითქვას, რომ „კლიმატის“ ცნება ჰერდერთან „გარემოს“ ცნების ტოლფასია და მასში მრავალი განსხვავებული ფაქტორი მოიაზრება:⁶⁰ „როგორი ზემოქმედებაც არ უნდა ჰქონდეს კლიმატს, ყოველ ადამიანს, ყოველ ცხოველს და ყოველ მცენარეს საკუთარი კლიმატი აქვს, რადგან ყოველგვარ გარეგან ზემოქმედებას თითოეული თავისებურად იღებს და ორგანულად გადაამუშავებს.“⁶¹

მონტესკიეს მიმართ დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, ჰერდერი აღნიშნავს, რომ ადამიანზე კლიმატის ზემოქმედების მისეული თეორია უმართებულო განზოგადებებს ემყარება: „თვით დიდ მონტესკიესაც კიცხავდნენ იმის გამო, რომ მან კანონთა კლიმატური სული ‘ცხვრის ენაზე’ ჩატარებულ ყალბ ექსპერიმენტზე დაამყარა.“⁶²

60 იხ. M. Schwind, ‘Die geographischen “Grundlagen” der Geschichte bei Herder, Hegel und Toynbee’. *Erdkunde*, Bd. 14 (1960), გვ. 6; H.-D. Schultz, ‘Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma?’ *Erdkunde*, Bd. 52 (1998), გვ. 128-129; მისივე, ‘Zwischen fordernder Natur und freiem Willen: das Politische an der „klassischen“ deutschen Geographie’. *Erdkunde*, Bd. 59 (2005), გვ. 3.

61 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 184 (გამოყოფა ჩემია – გ. თ.). როდესაც ჰერდერი ხალხებისა და იმ ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებაზე საუბრობს, სადაც ეს ხალხები ცხოვრობენ, იგი კლიმატის ცნებაში გარემოს მოიაზრებს: „მათი (ანუ, ამ ხალხთა – გ. თ.) სხეულის აღნაგობა, ცხოვრების წესი, ყველა ბედნიერება და საქმიანობა, რასაც ისინი ბავშვობიდანვე ეჩვევიან, – მათი სულის მთელი თვალსაწიერი, კლიმატითაა განსაზღვრული. წაართვით მათ თავიანთი მინა და ამით ყველაფერს წაართმევთ“ (იქვე, გვ. 175).

62 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 178. შდრ., ასევე, C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore*, გვ. 570; S. Günzel, *Geographie der Aufklärung. Klimapolitik von Montesquieu zu Kant*, გვ. 86. ცხვრის ენასთან დაკავშირებული ექსპერიმენტის შესახებ, იხ. შ. ლ. მონტესკიე, „კანონთა სული“, გვ. 254: „მე დავაკვირდი ცხვრის ენის გარეგან ქსოვილს იმ ადგილას, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს დვრილებითაა დაფარული. ამ დვრილებზე მიკროსკოპით დავინახე პატარა ბენეები, ანუ ერთგვარი ღინღლი, დვრილებს შორის კი იმყოფება პირამიდები, რომელთაც პატარა ფუნჯისებრი დაბოლოებები აქვთ. დიდად დასაშვებია, რომ ეს პირამიდებია გემოს მთავარი ორგანო.“

მე გავყინე ამ ენის ნახევარი და ერთი შეხედვით დავინახე, რა მნიშვნელოვნად შემცირდნენ დვრილები, ზოგიერთი მათგანი კი თავის გარსში ჩაეფლო. მიკროსკოპით დავაკვირდი ქსოვილს, მაგრამ ველარ დავინახე პირამიდები. როდესაც ენა გალღვა, შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანდა, თუ როგორ წარმოდგნენ ეს დვრილები, მიკროსკოპში კი ნერვულმა უჯრედებმაც დაინყეს გამოჩენა.

ეს დაკვირვება ასაბუთებს ჩემს ნათქვამს იმის შესახებ, რომ ცივ ქვეყ-

ის, რომ სიტბო სხეულის ბოჭკოთა გაფართოებას, ხოლო სიცივე – მათ შეკუმშვას იწვევს, საყოველთაოდ ცნობილია, მიიჩნევს ჰერდერი. ამ კანონის მეშვეობით მრავალი ფიზიოლოგიური მოვლენა ახსნილი. მაგრამ ის ზოგადი დასკვნები, რომლებიც მხოლოდ ამ კანონის საფუძველზე გამოჰქონდათ და რომლებსაც მთელ ხალხებზე, დედამიწის ვრცელ რეგიონებზე, ან სულაც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სფეროზე ავრცელებდნენ, არ არის მართებული და არ დასტურდება ისტორიული მაგალითებითა და ფიზიოლოგიური არგუმენტებით. ეს იმიტომ, რომ, ერთდროულად მოქმედებს რამდენიმე ძალა, თვით ურთიერთსაწინააღმდეგო ძალებიც კი.⁶³ „კლიმატის სურათს“ ჰერდერის მიხედვით, ქმნის მოცემული ადგილის დაშორება ზღვის დონიდან, მისი ლანდშაფტი, მცენარეები, ადამიანთა ცხოვრების წესი, თვით მათი ჩაცმულობაც კი.⁶⁴ „ვის ძალუძს მიზეზებისა და შედეგების მთელი ამ ქაოსის მოწესრიგება და ისეთი მთლიანობის შექმნა, სადაც ყოველ მოვლენას, ყოველ სფეროს, მისი დამსახურებისამებრ მიეგება და სადაც არაფერი დარჩება, რაც მართებულად არ იქნება შეფასებული?“⁶⁵ ყველაზე საუკეთესო მეთოდი, ჰერდერის აზრით, ცალკეული რეგიონების აღწერასა და დახასიათებაში მდგომარეობს. ზოგად დებულებებზე გადასვლა აურჩარებლად, თანდათანობით უნდა მოხდეს.⁶⁶

დედამიწის ცალკეული რეგიონების აღწერაში დიდი წვლილი შეიტანეს ბუნებისმეტყველებმა და ექიმებმა, რომლებსაც ჰერდერი, „ბუნების მოსწავლეებსა“ და „ფილოსოფიის მასწავლებლებს“ უწოდებს. ამიტომ, ჰერდერი ზოგადი დებულებების განხილვაზე გადადის:⁶⁷ 1. გარკვეულ გარემოებათა გამო, დედამიწაზე შენარჩუნებულია კლიმატური ერთიანობა, რაც ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებობის წინაპირობას წარმოადგენს. ყველა ცოცხალი არსება ერთი ატმოსფეროს ჰაერს ისუნთქავს. ზღვისგან ორთქლდება ტენი, რომელსაც შემდგომში მთები წვიმებისა და მდინარეების სახით დედამიწას უბრუნებენ. „დედამიწაზე ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია“;⁶⁸ 2. დედამიწაზე არსებული ხმელეთის

ნებში ნერვული უჯრედები ნაკლებად გამლილია, ისინი თავიანთ გარსში არიან ჩაფლული, რაც მათ იცავს გარეგან საგანთა ზემოქმედებისაგან.“

63 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 178.

64 იქვე, გვ. 179.

65 იქვე.

66 იქვე.

67 იქვე, გვ. 179-180.

68 იქვე, გვ. 180.

დასახლებული ნაწილი ისეთ ადგილებში მდებარეობს, სადაც ყოველი ცოცხალი არსებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. სამხრეთ ნახევარსფეროში ხმელეთი ცოტაა, ამიტომ იქ უფრო ცივა. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარე ხმელეთის სამი ნაწილი (ევროპა, აზია და აფრიკა) ერთმანეთს ათბობს. შესაბამისად, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უფრო თბილა. „სამხრეთ ნახევარსფერო განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ მთელი დედამიწის წყალსაცავი ყოფილიყო; იმისათვის, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უკეთესი კლიმატიტო ესარგებლა.“⁶⁹ აქ ჰერდერი ამკარად ტელეოლოგისტურ პოზიციაზე დგას; 3. ის ფაქტი, რომ მთელი ხმელეთი მთის ქედებთანაა შეერთებული, აურაცხელი კლიმატური ცვლილებების მიზეზი გახდა. მანვე შეუშალა ხელი ადამიანური მოდგმის გადაგვარებას. მთის ქედებსა და ზღვას შორის მდებარე ხმელეთი საუკეთესო კლიმატით ხასიათდება. სწორედ ამ ადგილებში „ალიზარდა“ ადამიანთა მოდგმა.⁷⁰

III თავის დასასრულს ჰერდერი იმეორებს დებულებას, რომლის თანახმად, კლიმატი „ძალებისა და ზეგავლენების“ ერთიანობას წარმოადგენს, რომელშიც თავისი წვლილი შეაქვს თითოეულ ცხოველსა თუ მცენარეს.⁷¹ მისი საბოლოო დასკვნა კი ასეთია: **კლიმატი კი არ აიძულებს, არამედ მიდრეკილებას წარმოშობს.**⁷² ყველანაირ ზნეჩვეულებაში და ცხოვრების წესში, შესაძლოა, შევნიშნოთ, რთულად შესამჩნევი მიდრეკილება ამა თუ იმ კლიმატისადმი, თუმცა,

69 იქვე.

70 იქვე, გვ. 181. ამ ადგილებს ჰერდერი, ასევე, ადამიანური მოდგმის „აღმზრდელ სახლს“ უწოდებს (იქვე, გვ. 30). რაც შეეხება დედამიწას, ჰერდერი მას განიხილავს როგორც სცენას, სადაც ადამიანური ისტორია თამაშდება (იქვე, გვ. 33). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჰერდერის მიერ დედამიწის, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი სახლის გააზრება (იქვე, გვ. 13; 20; 229). ეს შეხედულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალურ დონეზე. იხ. ქვეთავი 1.4.

71 იქვე, გვ. 181. ჰერდერი, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ფაქტორზე: „ეჭვს გარეშეა, რომ ადამიანი აქაც მინის ბატონ-ბატონადაა დადგენილი, რათა ის თავისი ხელოვნების მეშვეობით შეცვალოს. [...] ადამიანთა მოდგმა შეგვიძლია, ერთ მუჭა გოლიათებს შევადაროთ, რომლებიც სულაც არ არიან ბუმბერაზები! ისინი მთებიდან ეშვებიან, იმორჩილებენ მინას და თავიანთი სუსტი ხელებით ცვლიან კლიმატს. რას მიაღწევენ ისინი, ამას მომავალი გვიჩვენებს“ (იქვე).

72 იქვე, გვ. 182. შდრ. ასევე, M. Schwind, Die geographischen “Grundlagen” der Geschichte bei Herder, Hegel und Toynbee, გვ. 6; H.-D. Schultz, ‘Raumkonstrukte der klassischen deutschsprachigen Geographie des 19./20. Jahrhunderts im Kontext ihrer Zeit. Ein Überblick’. *Geschichte und Gesellschaft*, 28. Jahrg. (2002), გვ. 344.

ამ მიდრეკილების თვალსაჩინოდ წარმოჩენა საკმაოდ რთულია. უმჯობესია იმ „სასიცოცხლო ძალების“ დანახვა, რისთვისაც კლიმატი შექმნილი და რომლებიც, უკვე თავიანთი არსებობით, მრავალნაირად ცვლიან მას.⁷³ კლიმატი განსხვავებულ „მიზეზთა ქაოსია“, რომლებიც თანდათანობით მოქმედებენ და, ამის შედეგად, ცოცხალი ორგანიზმის არსებას ცვლიან. ამიტომ აისახება დამლუშველად ხალხებზე სხვა ნახევარსფეროში ან კლიმატურ სარტყელში ნაჩქარევი გადასახლება. ამასთან დაკავშირებით ჰერდერი განიხილავს ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. „ყველა ცოცხალი არსებობა ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და ეს კავშირი მხოლოდ სიფრთხილით უნდა შეიცვალოს.“ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნიერების უცხო ნაწილის ევროპად გადაქცევა მხოლოდ ტყეების გაკაფვითა და მიწის დამუშავებით, რადგან „ბუნებას არ უყვარს ზედმეტად ჩქარი და მკვეთრი ცვლილებები მაშინაც კი, როდესაც ადამიანები მათთვის შესაძლებელ საქმიანობათაგან ყველაზე საუკეთესო საქმეს – მიწათმოქმედებას – ეწევიან.“⁷⁴

73 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 182. „სასიცოცხლო ძალას“ ჰერდერი განსაზღვრავს, როგორც ორგანიზმის იმანენტურ, თანდაყოლილ ძალას, რომელიც მის ცხოველქმედებას უზრუნველყოფს. ცოცხალი ორგანიზმი სწორედ მისი მეშვეობით იზრდება, ვითარდება და მოქმედებს (იქვე, გვ. 183). „რამდენადაც სარწმუნოდ ვიცი, რომ ვაზროვნებ, თუმცა სააზროვნო ძალის ბუნება უცნობი რჩება ჩემთვის, ისეთივე დარწმუნებით ვგრძნობ, რომ ვცოცხლობ, თუმცა, სასიცოცხლო ძალის ბუნებაც უცხოა ჩემთვის“ – წერდა ჰერდერი (იქვე, გვ. 184). სასიცოცხლო, ანუ ორგანული ძალის ცნება ჰერდერთან კანტის მიერ იქნა გაკრიტიკებული, რომელიც აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია ამ ძალის ემპირიულად დადასტურება. იხ. F. Beiser, 'Johann Gottfried Herder'. In: *Routledge Encyclopedia of Philosophy*, 1998, CD-ROM Version 1.0.

74 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 191 (მდრ., ასევე, I. Berlin, *Vico and Herder. Two Studies in the History of Ideas*. London: Chatto & Windus, 1980, გვ 177). აქ ჰერდერი ემყარება ფინელი ბუნებისმეტყველის, პეტერ კალმის (1716-1779 წწ.) ცნობებს იმ ბუნებრივი ცვლილებების შესახებ, რომლებიც ამერიკაში მცხოვრებ ევროპელთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყო გამოწვეული. ტყეების გაჩეხვამ მიწების დამუშავების მიზნით, კალმის მიხედვით, კატასტროფულად შეამცირა ტყეში მცხოვრები ფრინველების რიცხვი. შემცირდა, ასევე, თევზის რაოდენობა მდინარეებსა და ტბებში, იკლო წვიმების სიხშირემ, შემცირდა ადგილობრივ მაცხოვრებელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ. იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 191. ევროპის ლანდშაფტზე საუბრისას ჰერდერი აღნიშნავს, რომ იქ, სადაც ადრე ჭაობიანი ტყე იყო, ახლა დამუშავებული მიწებია. ადამიანმა გააკაფა უღრანი ტყე, ხოლო კლიმატის შეცვლასთან ერთად,

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

კლიმატის თვისებების განხილვის გარდა, „იდეებში“ ჰერდერი განხილავს დედამიწის ზედაპირის ფორმებს. ამ მხრივ აღსანიშნავია „იდეების“ I წიგნის VI და VII თავები.⁷⁵

ჰერდერი თვლის, რომ მთაგრები არა მხოლოდ კვეთს მატერიკებს, არამედ ერთგვარ ჩონჩხს წარმოადგენს, რომელზეც ხმელეთია შეერთებული. ამის დასადასტურებლად ჰერდერს ამერიკის მაგალითი მოჰყავს. ამერიკაში მთათა სისტემები გრძივადაა განლაგებული, ხმელეთი კი მათ ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. რაც შეეხება ევროპას, აზიასა და აფრიკას, ისინი, ფაქტურად, ერთი ქვეყნის ნაწილს ქმნიან, რომლის ცენტრალურ ნაწილშიც აზიის მთათა სისტემა მდებარეობს. მთათა დანარჩენი სისტემები ამ ცენტრალური სისტემის განტოტებებს წარმოადგენს. ასე რომ, ქვეყნის ამ ნაწილის შემთხვევაშიც, ჰერდერის აზრით, ხმელეთი უშუალოდ ესაზღვრება მთებს. ხმელეთი არის მრავალფეროვანი და მრავალშრიანი მიწის მასა, რომელიც მთების ირგვლივ ჩამოყალიბდა და რომელზეც, შემდგომ, სიცოცხლე გავრცელდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჰერდერი ასკვნის, რომ ხმელეთის, ანუ მატერიკის ფორმა, პირველი მთათა სისტემების მიერ იყო განსაზღვრული.⁷⁶

მაგრამ მთათა სისტემების როლი მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება. აზიაში ყველაზე მაღალი და ვრცელი მთათა სისტემაა. გარდა ამისა, აქ მდებარეობს დაბლობი, რომელამდეც ზღვა ვერ აღწევდა. ამიტომ ქვეყნის ეს ნაწილი პირველად იქნა დასახლებული, მიიჩნევს ჰერდერი. კაცობრიობის აკვანი პირველად დაირწა სადღაც ამ მაღალი მთების ძირში ან სულაც მთათა შუაგულში.

მთებიდან ადამიანები, მდინარეთა ხეობების გაყოლებით, დაბლობებისაკენ დაეშვნენ. მათ სხვა ადამიანები, სხვა ხალხები მიჰყვნენ, რომლებმაც ერთმანეთის შევინროება დაიწყეს. ბოლოს კი ადამიანებმა ევროპას და ოკეანის ნაპირებს მიაღწიეს.⁷⁷ ასეთია ჰერდერის მიერ ხალხთა განსახლების გულუბრყვილო ახსნა. ამ ახსნაში მთებს

ადამიანებიც შეიცვალნენ (იქვე, გვ. 181).

75 დედამიწის ზედაპირის თანამედროვე ფორმების წარმოშობის საკითხს ჰერდერი „იდეების“ I წიგნის III თავში განიხილავს („ჩვენმა დედამიწამ მრავალი რევოლუცია გადაიტანა, ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა“). პ. შნაიდერის მიხედვით, ჰერდერი დედამიწის ზედაპირის განხილვისას ორ ფაქტორზე ამხვილებს ყურადღებას: 1. მთები; 2. ხმელეთისა და წყლის განაწილება. იხ. პ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია: წყლის მნიშვნელობა ისტორიისათვის – ევროპა და აზია“. გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ. თბილისი: „ნეკერი“, 2010 წ., გვ. 46.

76 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 27.

77 იქვე, გვ. 28.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.⁷⁸ თუ კლიმატის განხილვისას ჰერდერი, როგორც აღვნიშნეთ, მრავალ განსხვავებულ ფაქტორზე ამახვილებდა ყურადღებას, მათაა სისტემების ანალიზისას იგი დეტერმინისტულ პოზიციას იკავებს: მთები განსაზღვრავენ მატერიკის ფორმას, ხალხთა განსახლების წესს და ამით, ისტორიის მსვლელობაზეც ახდენენ გავლენას: „ამგვარად, ბუნებამ მის მიერ ამოზიდული მათაა ჯაჭვებისა და ჩამომდინარე მდინარეების მეშვეობით, თითქოს ზოგადი, მაგრამ მტკიცე საფუძველი მოხაზა მთელი ადამიანური ისტორიისა და მისი გადატრიალებებისთვის.“⁷⁹

მათაა სისტემებმა, ასევე, გავლენა მოახდინეს ადამიანთა საქმიანობაზეც: გარკვეული სახის მთები ადამიანებს მონადირეობისაკენ უბიძგებდა და მათში ველურობას აღძრავდა; ის მთები, სადაც სივრცე უფრო მეტი იყო, ხოლო კლიმატი – შედარებით რბილი, მწყემსთა სამშობლოდ იქცა; ზოგიერთი მთა მინათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს, ზოგიერთი კი – მდინარეების გამოყენებას და თევზჭერას, რასაც ვაჭრობის განვითარება მოჰყვა. კაცობრიობის ისტორიის ეს ეტაპები, ჰერდერის აზრით, დედამიწის აგებულებითა და მასზე არსებული პირობების მრავალფეროვნებითაა განპირობებული.⁸⁰

ზღვები, მთაგრეხილები და მდინარეები, ჰერდერის მიხედვით, ქვეყნებისა და ხალხების, განსხვავებული სახელმწიფოებისა და კულტურების განმაცალკევებელ ბუნებრივ საზღვრებს წარმოადგენს. თვით უდიდესი გადატრიალებების დროსაც კი მთები, ზღვები და მდინარეები მსოფლიო ისტორიის მიმართულებას განსაზღვრავდა: „სხვანაირად რომ ყოფილიყვნენ ეს მთები ამოზიდული, განსხვავებულად რომ ედინათ მდინარეებს, ხოლო ზღვებს სხვა მოხაზულობა

78 „ისინი (მთები – გ. თ.) მიწას უძღვნიან როგორც წყალს, ასევე ხალხებს. ისევე, როგორც წყარო ამოხეთქავს ხოლმე კლდიდან, ასევე ამოხეთქავს მთებიდან სიმამაცისა და თავისუფლების სული, როდესაც განაზებული დაბლობი კანონთა, ხელოვნებათა და ბინიერებათა უღელქვეშ იტანჯება“ (იქვე, გვ. 29).

79 იქვე, გვ. 29. ჰ.-დ. შულციის მიხედვით, ჰერდერის განაზრებებს საფუძველად ედო იმ პერიოდში გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად, მთელი მიწა (ზღვებისა და ოკეანეების ფსკერის ჩათვლით) წყალგამყოფი ქედების ჩაკეტილი სისტემითაა დაფარული. იხ. H.-D. Schultz, Zwischen fordernder Natur und freiem Willen: das Politische an der «klassischen» deutschen Geographie, გვ. 3.

80 იხ. И. Г. Гердер, *Идеи к Философии Истории Человечества*, გვ. 30. მიუხედავად იმისა, რომ ჰერდერი „პირობების მრავალფეროვნებას“ ახსენებს, ზემოთქმული მაინც ვერ არბილებს იმ პასაჟების შინაარსს, რომლებშიც მათაა სისტემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

რომ ჰქონოდათ, ადამიანები უსასრულოდ იქნებოდნენ მიმოფანტული ხალხთა სათამაშო მოედანზე!⁸¹ აზიის კულტურული ერთიანობა ამ მატერიკის შიგნით ვრცელი ზღვის არარსებობითაა განპირობებული. ამის გამო, განსხვავებული ტრადიციები იქ თავისუფლად ზემოქმედებდნენ ერთმანეთზე. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰერდერისათვის ზღვა უფრო განმაცალკევებელ როლს ასრულებს, ვიდრე მთები. აზიის ზნე-ჩვეულებათა ერთიანობაზე საუბრის შემდეგ, ჰერდერს მოჰყავს წითელი ზღვის, სპარსეთისა და მაღაის ყურის მაგალითები. ეთიოპიისა და ეგვიპტის, არაბეთისა და სპარსეთის, მაღაელებისა და კამბოჯის მაცხოვრებლებს შორის არსებული უზარმაზარი განსხვავებების გამომწვევ მიზეზად ჰერდერს ზღვა მიაჩნია. თავის განზოგადებებში ჰერდერი ისე შორს მიდის, რომ ევროპელთა მიერ ამერიკის იოლად დაპყრობის ასახსნელად ახალი სამყაროს სანაპირო ზოლის დანანევრებულობაზე მიუთითებს, რაც, მისი აზრით, ხელს უშლიდა ერთიანი კულტურის გავრცელებას ამ მატერიკზე.⁸² ასე რომ, დედამიწის ფორმები კიდევ ერთხელ გვევლინება ისტორიის განმსაზღვრელ ფაქტორად. რთულია ცალსახად ვამტკიცოთ, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჰერდერი აღნიშნული მაგალითების მეშვეობით ცდილობს, ევროპის განსაკუთრებული როლი და დანიშნულება გამოკვეთოს. ოდნავ ქვემოთ იგი შეინიშნავს, რომ ევროპის განსაკუთრებულობა მის ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას ეფუძნება, რის გამოც აზიის მთებიდან მოსულ ხალხებს აქ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები დახვდათ. ევროპა „ხალხთა ბაზრობად“ იქცა, სადაც მსოფლიოს ყველა ხალხი ირეოდა.⁸³

ამრიგად, როგორც მონტესკიე, ასევე, ჰერდერი, ევროპის გან-

81 იქვე, გვ. 30.

82 იქვე, გვ. 31.

83 იქვე. თუმცა, ჰერდერის მიერ ხმელთაშუა და ბალტიის ზღვების როლის შეფასება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის იმ დებულებასთან, რომლის თანახმად, ისტორიაში ზღვა განმაცალკევებლის როლს ასრულებს. ისე გამოდის, რომ ერთი და იგივე გეოგრაფიული ელემენტი ახალ სამყაროში ხელს უშლის კულტურის განვითარებას, ხოლო ძველ სამყაროში, პირიქით, ხელს უწყობს მის გავრცელებას!

„მხოლოდ ერთადერთი ხმელთაშუა ზღვა! რამდენად განსაზღვრა მან მთელი ევროპის სახე! შეიძლება სულაც ითქვას, რომ მხოლოდ ეს ზღვა იყო ის ხიდი, რომლის მეშვეობითაც ევროპაში ძველი და შუა საუკუნეების კულტურა შედიოდა“ (იქვე, გვ. 31-32). ბალტიის ზღვა, ჰერდერის მიხედვით, მართალია, მნიშვნელობით ჩამოუვარდება ხმელთაშუა ზღვას, სამაგიეროდ ის სარკმელია მთელი ჩრდილოეთ ევროპისათვის, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც, ევროპის ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხები ბარბაროსებად დარჩებოდნენ (იქვე).

საკუთრებულ როლს გეოგრაფიულ ფაქტორებზე მითითებით ხსნიან. მონტესკიე ევროპის ძლიერებას ზომიერ ჰავასა და ბუნებრივ პირობებს უკავშირებს, თუმცა, გადამწყვეტი ფაქტორი მასთან კლიმატია. რაც შეეხება ჰერდერს, იგი ევროპის პირველობას მისი ლანდაშაფტური მრავალფეროვნებით ხსნის. გარდა ამისა, ჰერდერი არ ეთანხმება მონტესკიეს კლიმატურ თეორიას და მიიჩნევს, რომ კლიმატის შესწავლისას მრავალ ფაქტორზე (ჰავა, მცენარეები, ცხოველები, ადამიანური ფაქტორი) უნდა გამახვილდეს ყურადღება. ჰერდერთან მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადამიანურ ფაქტორსაც: ადამიანს, თავისი საქმიანობის შედეგად, ბუნებაში არსებული ბალანსის დარღვევა იოლად შეუძლია, ამიტომ მან ფრთხილად უნდა იმოქმედოს. თუმცა, ადამიანური ფაქტორისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭებას ერთგვარად აფერმკრთალებს ჰერდერის მიერ მორფოლოგიური ფაქტორების (მთათა სისტემები) გადამწყვეტი როლის აღიარება. ამ მხრივ ჰერდერის ნააზრევს წინააღმდეგობები ახასიათებს. ეს, ალბათ, გარდაუვალიც კი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ ამოცანის სიდიდეს, რომელიც მას ჰქონდა დასახული – ისტორიის სინთეზი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.⁸⁴

XVIII საუკუნის აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმანუელ კანტს. მისი განაზრებები გეოგრაფიის შესახებ საგანგებო განხილვას იმსახურებს.

84 იხ. F. Beiser, Johann Gottfried Herder.

2.4. იმანუელ კანტი: გეოგრაფიული ცოდნის სისტემატიზატორი

1756-1796 წლებში, ორმოცი წლის განმავლობაში, კანტი კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის შესახებ კიონიგსბერგის უნივერსიტეტში. კანტმა დაიწყო ლექციების კითხვა გეოგრაფიაში 64 წლით ადრე, ვიდრე ბერლინის უნივერსიტეტში კარლ რიტერისათვის გეოგრაფიის კათედრა შეიქმნებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში, კანტმა ორმოცდაცხრაჯერ წაიკითხა გეოგრაფიის კურსი, რაც სიხშირით მხოლოდ მის მიერ წაკითხულ ლოგიკისა და მეტაფიზიკის კურსებს ჩამოუვარდება.⁸⁵ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1772-1773 წლების ზამთრის სემესტრის შემდეგ, კანტმა ანთროპოლოგიის კურსი (რომელიც, გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო) ოცდაოთხჯერ წაიკითხა,⁸⁶ ნათელი გახდება, რომ გეოგრაფიას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანტის პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ამ განსაკუთრებულობას განამტკიცებს შემდეგი ფაქტი: 1788 წელს პრუსიის განათლების მინისტრმა, კარლ აბრაამ ფრაიჰერ ფონ ცედლიცმა, კანტს ნება დართო, გეოგრაფიის კურსი საკუთარი სალექციო კონსპექტიდან წაეკითხა (იმ პერიოდში მსგავსი სალექციო კურსები უნივერსიტეტის ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა). თავის განკარგულებას ფონ ცედლიცი ხსნიდა იმ გარემოებით, რომ გეოგრაფიაში სათანადო სახელმძღვანელო, უბრალოდ, არ არსებობდა.⁸⁷

85 იხ. S. Elden, 'Reintroducing Kant's Geography'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*, გვ. 1. არსებობს განსხვავებული თვალსაზრისები იმის შესახებ, თუ რამდენჯერ წაიკითხა კანტმა გეოგრაფიის კურსი კიონიგსბერგის უნივერსიტეტში თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე. ვ. მეი თვლის, რომ კანტმა გეოგრაფიის კურსი 48-ჯერ წაიკითხა, ხოლო კ. პოჰაიზელი მიიჩნევს, რომ კანტმა გეოგრაფიის კურსი თავის მსმენელებს 47-ჯერ შესთავაზა. იხ. J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 4; K. Hoheisel, 'Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts'. In: M. Büttner (Hrsg.), *Wandlungen im geographischen Denken von Aristoteles bis Kant*. Paderborn – München – Zürich: Ferdinand Schöningh, 1979, გვ. 263.

86 იხ. K. Hoheisel, Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts, გვ. 263.

87 იქვე, გვ. 264. იხ., ასევე, J. A. May, *Kant's Concept of Geography and its*

მიუხედავად იმისა, რომ კანტი გეოგრაფიის კურსს 40 წლის განმავლობაში კითხულობდა, მას სალექციო მასალა გეოგრაფიაში ცალკე წიგნად არ გამოუქვეყნებია.⁸⁸ თუმცა, კანტის გეოგრაფიის კურსის სალექციო ჩანაწერები (რომელთა საერთო რაოდენობა ოცს აღემატებოდა) დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც კიონიგსბერგში, ასევე, მის საზღვრებს მიღმა.⁸⁹ 1801-1805 წლებში გოტფრიდ ფოლმერმა, კანტის ნებართვის გარეშე, გამოსცა „იმანუელ კანტის ფიზიკური გეოგრაფია“ ოთხ ტომად. 1802 წელს, უშუალოდ კანტის დავალებით, სტუდენტთა სალექციო ჩანაწერების საფუძველზე, თეოდორ რინკმა იგივე დასახელების წიგნი გამოსცა.⁹⁰

კანტის გეოგრაფიულ შეხედულებებს ზოგიერთი მკვლევარი მჭიდროდ უკავშირებს მის ფილოსოფიას. ჯ. მალპასი და კ. თილი თვლიან, რომ კანტის გეოგრაფიული შეხედულებები უშუალო კავშირშია მის ფილოსოფიურ პროექტთან. ამ მხრივ, აღნიშნული ავტორები კანტს „ფილოსოფიური ტოპოგრაფიის“ პიონერად თვლიან. მათი აზრით, ფილოსოფიური ტოპოგრაფიის მიზანია, გამოიკვლიოს, თუ რა ადგილი უკავია სივრცესა და ადგილს ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებაში. ეს პრობლემა, შესაძლოა, ორი ასპექტით განვიხილოთ: 1. სივრცე და ადგილი, როგორც ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ობიექტები და 2. სივრცე და ადგილი, როგორც ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილები. გეოგრაფიული და ფილოსოფიური ასპექტების კვეთა კანტთან მე-

Relation to Recent Geographical Thought, გვ. 4-5.

88 რაც შეეხება ანთროპოლოგიას, 1798 წელს ის კანტმა გამოაქვეყნა სათაურით „ანთროპოლოგია პრაგმატული თვალთახედვიდან.“ „ანთროპოლოგიის“ შესავალში კანტი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი, რომლითაც იგი ფიზიკური გეოგრაფიის სალექციო კურსს კითხულობდა, მხოლოდ მისთვისაა გასაგები (ცუდი კალიგრაფიის გამო). შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ ნაშრომის გამოცემა ფიზიკურ გეოგრაფიაში, მისი ასაკიდან გამომდინარე, არ მოხერხდება. იხ. ი. კანტ, 'Антропология с прагматической точки зрения'. // И. Кант, *Сочинения в шести томах*, Т. 6, Москва: "Мысль", 1966, გვ. 354; J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 74.

89 იხ. R. Hartshorne, 'The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner'. *Annals of the Association of American Geographers*, 48 (1958), გვ. 99; K. Hoheisel, *Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts*, გვ. 264.

90 იხ. I. Kant, *Immanuel Kant's physische Geographie*. 4 Bde in 7 Teilen, Hamburg und Mainz: Vollmer, 1801-1805; I. Kant, *Immanuel Kant's physische Geographie. Auf Verlangen des Verfassers aus seiner Handschrift herausgegeben und zum Teil bearbeitet von F. T. Rink*, 2 Bde, Königsberg: Göbbels und Unzer, 1802.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ტად მნიშვნელოვანია, როგორც კანტის კრიტიკული პროექტის უკეთ გასაგებად, ასევე, ზოგადად, გეოგრაფიულსა და ფილოსოფიურს შორის არსებული ისეთი კავშირების გამოსაკვეთად, რომლებიც სცდება კანტისეული ფილოსოფიის საზღვრებს.⁹¹

მოცემულ შემთხვევაში, ჩემს მიზანს არ წარმოადგენს კანტის გეოგრაფიულ და ფილოსოფიურ შეხედულებებს შორის არსებული კავშირების სიღრმისეული კვლევა. ამიტომ, წინამდებარე ანალიზისას, შემოვიფარგლები კანტის იმ შრომებით, სადაც გეოგრაფიის კანტისეული ხედვაა გადმოცემული. ამავე დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს კანტი გეოგრაფიას სხვა მეცნიერებებთან მიმართებაში. ეს შრომებია: „გეგმა და განაცხადი ფიზიკური გეოგრაფიის ლექციების შესახებ“ (1757 წ.), „განაცხადი ლექციების განრიგის შესახებ 1765-1766 წლების ზამთრის სემესტრისთვის“ (1765 წ.) და შესავალი მის „ფიზიკურ გეოგრაფიაში“, რომელიც, ჯ. მეის მიხედვით, 1772-1773 წლებით უნდა დავათარილოთ.⁹²

„ფიზიკური გეოგრაფიის ლექციების გეგმაში“ კანტი განასხვავებს სამი სახის გეოგრაფიას: მათემატიკურს, პოლიტიკურსა და ფიზიკურს. მათემატიკური პერსპექტივიდან, დედამიწა განიხილება, როგორც სფეროსებური ციური სხეული. მათემატიკა შეისწავლის ამ სხეულის სიდიდეს, ფორმასა და იმ წრეებს, რომლებიც მასზე აზრობრივად დატანილი. პოლიტიკური გეოგრაფია იკვლევს ხალხებს და მათ შორის არსებულ ურთიერთობებს, რომლებიც მმართველობის ფორმით, ვაჭრობითა და საერთო ინტერესებითაა განსაზღვრული. ის, ასევე, შეისწავლის რელიგიებს, წეს-ჩვეულებებსა და ა.შ. რაც შეეხება ფიზიკურ გეოგრაფიას, ის ყურადღებას ამახვილებს დედამიწის ბუნებრივ თვისებებზე და იმაზე, რაც დედამიწის ზედაპირზე მდებარეობს: ზღვებზე, ხმელეთზე, მთებზე, მდინარეებზე, ატმოსფეროზე, ადამიანზე, მცენარეებსა და მინერალებზე. მაგრამ ფიზიკური გეოგრაფია ყოველივე ამას სისრულითა და ფილოსოფიური სიზუსტით კი არ შეისწავლის (ეს ფიზიკისა და ბუნების ისტორიის საქმეა), არამედ იმ მოგზაურის ცნობისმოყვარეობით, რომელიც ყველგან ღირსშესანიშნავს, განსაკუთრებულსა და მშვენიერს ეძებს, ერთმანეთს უთანადებს თავის დაკვირვებებს და ამის საფუძველზე ადგენს საკუთარ გეგმას.⁹³

91 იხ. J. Malpas, K. Thiel, 'Kant's Geography of Reason'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*. გვ. 195-196.

92 იხ. J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 72.

93 იხ. И. Кант, 'План лекций по физической географии и уведомление о них'.

კანტი, ასევე, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მათემატიკური და პოლიტიკური გეოგრაფია საკმარისად ფლობენ დამხმარე საშუალებებს საკუთარი საგნის შესასწავლად. რაც შეეხება ფიზიკურ გეოგრაფიას, მისთვის აუცილებელი მასალა მრავალ სხვადასხვა ნაშრომშია უნესრიგოდ მიმოფანტული. შესაბამისად, არ არსებობს სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა ამ მეცნიერების გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის.⁹⁴ ქვემოთ კანტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იგი თავისი აკადემიური მოღვაწეობის დასაწყისშივე შეეცადა, აღნიშნული მეცნიერება შესაბამის ლექციებში გადმოეცა.⁹⁵ იგი, ასევე, ასახელებს იმ წყაროებს, რომლებიც ამ მიზნით გამოიყენა. ესენია: ვარენიუსის, ბუფონისა და ლულოფის შრომები, პარიზისა და სტოკჰოლმის მეცნიერებათა აკადემიების შრომები, ჰამბურგისა და ლაიფციგის ჟურნალები და სხვ.⁹⁶

კანტი გადმოსცემს იმ საკითხებს, რომლებიც სალექციო გეგმითაა განერილი. თავად ფიზიკურ გეოგრაფიას კანტი ორ ნაწილად ყოფს: ზოგად და სპეციალურ ნაწილებად. ზოგად ნაწილში იგი შემდეგ თავებს გამოყოფს: 1. ზღვის შესახებ; 2. ხმელეთისა და კუნძულების ისტორია; 3. ნაკადულებისა და წყაროების შესახებ; 4. მდინარეებისა და ნაკადულების ისტორია; 5. ატმოსფეროსა და ქარების ისტორია; 6. ამინდის კავშირი დედამიწის სარტყლებთან; 7. იმ დიდი ცვლილებების შესახებ, რომლებიც დედამიწამ გადაიტანა; 8. ნაოს-

// И. Кант, *Сочинения в шести томах*, Т. 1, Москва: “Мысль”, 1963, გვ. 367-368; K. Hoheisel, *Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts*, გვ. 266-267.

- 94 იხ. И. Кант, *План лекций по физической географии и уведомление о них*, გვ. 368.
- 95 XVIII საუკუნეში გეოგრაფია, არსებითად, პრაქტიკული მეცნიერება იყო. ის მოგზაურების, ვაჭრების და მკვლევრების დაკვირვებების პროდუქტს წარმოადგენდა. გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემატური შეგროვება, ძირითადად, სახელმწიფო და სავაჭრო მიზნებით იყო განპირობებული. გეოგრაფიული ცოდნა გაბნეული იყო სხვადასხვა მოგზაურთა და მკვლევართა წიგნებში, გამოკვლევებსა თუ ანგარიშებში. კანტის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეეცადა, არსებული მასალა სისტემატურად დაელაგებინა და წესრიგში მოეყვანა. იხ. M. Church, ‘Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography’. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant’s Geography*, გვ. 20-22; S. Elden, *Reintroducing Kant’s Geography*, გვ. 5.
- 96 იხ. И. Кант, *План лекций по физической географии и уведомление о них*, გვ. 368. ჰოჰაიზელი ასახელებს, ასევე, კ. ლინეს, გ. ვ. ლაიბნიცს, ფ. ბუაშეს და ა. ფ. ბიუშინგს. იხ. K. Hoheisel, *Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts*, გვ. 271.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ნობის შესახებ. თითოეულ ნაწილს თან ერთვის საკითხების ნუსხა, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ დიდი მასალა ჰქონდა კანტს დამუშავებულნი.⁹⁷

ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალური ნაწილი შეისწავლის სამ სამეფოს: ცხოველთა სამეფოს, მცენარეთა სამეფოს და მინერალების სამეფოს. ცხოველთა სამეფოში განიხილება ის განსხვავებები აგებულიებასა და კანის ფერში, რაც დედამიწის განსხვავებულ ნაწილებში მცხოვრებ ადამიანებს შორის არსებობს; ასევე, ხმელეთზე, წყალში და ჰაერში მცხოვრები ყველაზე უფრო გამორჩეული ცხოველები. ანალოგიურად, მცენარეებისა და მინერალების განხილვის დროს, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვთ მათ ადამიანისათვის.⁹⁸

თავის ნაშრომში „განაცხადი ლექციების განრიგის შესახებ 1765-1766 წლების ზამთრის სემესტრისთვის“, კანტი გეოგრაფიას უკვე ჰყოფს ფიზიკურ, მორალურ და პოლიტიკურ გეოგრაფიებად. ფიზიკური გეოგრაფია განიხილავს ბუნების სამივე სამეფოს განსაკუთრებულ თვისებებსა და მოვლენებს. გეოგრაფიის ეს ნაწილი ყველა მატერიკისა და ზღვის ბუნებრივ პირობებსა და მათ შორის არსებული კავშირის საფუძველს შეისწავლის. ფიზიკური გეოგრაფია ისტორიის ჭეშმარიტ საფუძველს წარმოადგენს. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისტორიის გარჩევა ზღაპრებისაგან.⁹⁹

მორალური გეოგრაფია შეისწავლის დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანებს შორის არსებულ ბუნებრივ და მორალურ განსხვავებებს.

97 იხ. И. Кант, План лекций по физической географии и уведомление о них, გვ. 369-373. მაგალითად, მეოთხე თავში, „მდინარეებისა და ნაკადულების ისტორია“, შემდეგი საკითხებია გაერთიანებული: მდინარეების წარმოშობა; დედამიწაზე არსებული მნიშვნელოვანი მდინარეების შედარება მათი სიგრძის, დინების სისწრაფის და წყალუხვობის მიხედვით; მათი მიმართულების, დახრის მაჩვენებლის, წყლის დონის აწევისა და წყალდიდობების, ასევე, კაშხლების, საგუბრებისა და ყველაზე უფრო ცნობილი არხების შესახებ; ჩანჩქერების შესახებ. იმ მდინარეების შესახებ, რომლებიც პერიოდულად შრება; იმ მდინარეების შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ მიწისქვეშ გაედინებიან, ხოლო ნაწილობრივ – დედამიწის ზედაპირზე; იმ მდინარეების შესახებ, რომელთა ქვიშაც ოქროს მარცვლებს შეიცავს; როგორ არის შესაძლებელი ოქროს მარცვლების გამოცალკევება ქვიში-საგან; მდინარის წყლის განსხვავებული სიმძიმის შესახებ (იქვე, გვ. 370-371).

98 იქვე, გვ. 373.

99 იხ. И. Кант, ‘Уведомление о расписании лекций на зимнее полугодие 1765/66 г.’ // И. Кант, *Сочинения в шести томах*, Т. 2, Москва: “Мысль”, 1964, გვ 287-288.

მორალური გეოგრაფია ისტორიასთანაა კავშირში, რადგან ის ადამიანთა ახლანდელ მორალს წინა ეპოქებში არსებულ მორალს ადარებს. მისი დახმარებით ჩვენს თვალწინ გადაიშლება ადამიანური მოდემის „დიადი სურათი“.¹⁰⁰ დაბოლოს, პოლიტიკური გეოგრაფია იკვლევს დედამიწაზე არსებული სახელმწიფოებისა და ხალხების მდგომარეობებს. ის ყურადღებას ამახვილებს არა შემთხვევით (ცალკეული ადამიანების ბედი, მთავრობათა ცვლა), არამედ, შედარებით მდგრად მიზეზებზე (ქვეყნების მდებარეობა, შრომის პროდუქტები, ზნეჩვეულებები, ხელოსნობა, ვაჭრობა, მოსახლეობა), რომლებზეც დამოკიდებულია ეს მდგომარეობები.¹⁰¹

„ფიზიკური გეოგრაფიის“ შესავალში კანტი აღნიშნავს, რომ ბუნებისა და ადამიანის ცოდნა ერთიანობაში სამყაროს ცოდნას შეადგენს. ცოდნას ადამიანის შესახებ გვანვდის ანთროპოლოგია, ბუნების შესახებ კი – ფიზიკური გეოგრაფია, რომელიც დედამიწის აღწერას წარმოადგენს. ფიზიკური გეოგრაფია გვანვდის ცოდნას, რომელიც მრავალმხრივ სასარგებლოა და რომლის შევსებაც შემდეგში გამოცდილებითაა შესაძლებელი.¹⁰²

აღნიშნულ „შესავალში“ კანტი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცოდნის ლოგიკურ და ფიზიკურ კლასიფიკაციებს. ცოდნის კლასიფიკაცია, რომელიც ცნებების მეშვეობით ხორციელდება, ლოგიკურია; ხოლო ის, რომელიც დროისა და სივრცის მეშვეობით – ფიზიკური. ლოგიკური კლასიფიკაციის მაგალითია კ. ლინეს მიერ შედგენილი ბუნების სისტემა (*Systema Naturae*), რომელშიც საგნები და მოვლენები კლასიფიცირებულია საერთო წარმომავლობის მიხედვით, იმისგან დამოუკიდებლად, თუ სად და როდის გვხვდება ისინი. ფიზიკური კლასიფიკაციის მაგალითია ბუნების გეოგრაფიული აღწერა. ლოგიკური კლასიფიკაციის დროს ნიანგი და ხვლიკი ერთ კლასში გაერთიანდებიან, ფიზიკური კლასიფიკაციის დროს ისინი განსხვავებულ კატეგორიებში მოხვდებიან, რადგან ნიანგი ნილოსში ცხოვრობს, ხოლო ხვლიკი – ხმელეთზე.¹⁰³ ლოგიკური კლასიფიკაცია სისტემური მეცნიერებების (ბოტანიკა, ზოოლოგია, ქიმია, ფიზიკა) მეცნიერულ საფუძველს ქმნის, ხოლო ფიზიკური კლასიფიკაცია – დროითი და სივრცითი მეცნიერებების (ისტორიისა და გეოგრაფიის) საფუძველს

100 იქვე, გვ. 288.

101 იქვე. იბ., ასევე, K. Hoheisel, Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts, გვ. 267-268.

102 იბ. I. Kant, 'Schriften zur Physischen Geographie'. Hrsg. von F. W. Schubert. In: I. Kant, *Sämtliche Werke*. Hrsg. von K. Rosenkranz und F. W. Schubert, sechster Theil, Leipzig: Leopold Voss, 1839, გვ. 422.

103 იქვე, გვ. 426.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

წარმოადგენს. ისტორია ქრონოლოგიური მეცნიერებაა, გეოგრაფია – ქოროლოგიური.

როგორც ისტორიას, ასევე, გეოგრაფიას, შესაძლებელია, აღწერა ვუნდოთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისტორია განიხილავს მოვლენებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით მოხდა; გეოგრაფია კი შეისწავლის მოვლენებს, რომლებიც სივრცეში ერთდროულად ხდება. ისტორია ნარაციაა, გეოგრაფია – აღწერა. გეოგრაფია შესაძლებელია დაიყოს ფიზიკურ, მათემატიკურ, პოლიტიკურ, მორალურ, თეოლოგიურ და კომერციულ გეოგრაფიებად. ფიზიკური გეოგრაფია ყოველი შესაძლებელი გეოგრაფიის საფუძველს წარმოადგენს.¹⁰⁴

კანტის გავლენა შემდგომი თაობის გეოგრაფებზე წინააღმდეგობრივია. რ. ჰერტსჰორნი მიიჩნევდა, რომ გვიანდელ პერიოდში აღექსანდრე ფონ ჰუმბოლდტზე კანტის „ფიზიკურმა გეოგრაფიამ“ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა.¹⁰⁵ თუმცა, XIX ს-ის II ნახევარში კანტის გავლენა გეოგრაფებზე მინიმალური იყო.¹⁰⁶ ო. პეშელი თავის ნაშრომში „გეოგრაფიის ისტორია აღექსანდრე ფონ ჰუმბოლდტსა და კარლ რიტერამდე“ (1877 წ.) კანტს მხოლოდ გაკვრით ასხენებს.¹⁰⁷

XX საუკუნეში კანტის გეოგრაფიისადმი ინტერესი გამოცოცხლდა. სხვადასხვა ავტორები კანტის გეოგრაფიას განსხვავებული პერსპექტივებით განიხილავდნენ (გ. გერლანდი, ე. ადიკესი, ვ. კამინსკი, რ. ჰერტსჰორნი, ჯ. მეი). კანტის შეხედულებების მნიშვნელობა აღიარა ცნობილმა გერმანელმა გეოგრაფმა ა. ჰეტნერმა.¹⁰⁸ XX საუკუნის II ნახევარში გეოგრაფებმა ყურადღება გაამახვილეს კანტის ფილოსოფიის მნიშვნელობაზე გეოგრაფიის განვითარებისათვის.¹⁰⁹

104 იქვე, გვ. 426-431. იხ., ასევე, K. Hoheisel, Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts, გვ. 270.

105 იხ. R. Hartshorne, The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner, გვ. 99-102. იხ., ასევე, K. Hoheisel, Immanuel Kant und die Konzeption der Geographie am Ende des 18. Jahrhunderts, გვ. 274; J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 75-78.

106 იხ. R. Hartshorne, The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner, გვ. 103-105.

107 იხ. J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 80.

108 იხ. R. Hartshorne, The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner, გვ. 97-98 და 105-107; J. A. May, *Kant's Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 81-82.

109 იხ. D. N. Livingstone, R. T. Harrison, 'Immanuel Kant, Subjectivism, and Human Geography: A Preliminary Investigation'. *Transactions of the Institute of British*

ინტერესი კანტის გეოგრაფიის მიმართ დღესაც დიდია.¹¹⁰

კანტის ნააზრევმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გეოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით, მ. ჩერჩი ორ ასპექტს გამოყოფს: 1. კანტის ცოდნის თეორიის თანახმად, ღმერთის არსებობის ემპირიული დადასტურება შეუძლებელია. შესაბამისად, ემპირიულ მეცნიერებებს (მათ შორის, გეოგრაფიას) არ ძალუძთ, რეალობაში მოიპოვონ ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი. კანტმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა ბიბლიაზე დაფუძნებულ ტელეოლოგისტურ გეოგრაფიებს და დედამიწის ისტორიას;¹¹¹ 2. კანტის მიხედვით, გეოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც დედამიწის ზედაპირზე არსებულ ფენომენებს აღწერს (ადამიანისა და საზოგადოებების გარეგანი და მატერიალური ასპექტების ჩათვლით). კანტმა მიიღო დედამიწის ზედაპირის ქოროგრაფიის კლასიკური ცნება, რომელიც, მას შემდეგ აკადემიური და პრაქტიკული გეოგრაფიის ერთ-ერთ ცენტრალურ ლაიტმოტივად რჩება.¹¹² გეოგრაფიას კანტი მიიჩნევდა „პროპედევტიკად“ რამდენიმე აზრით: როგორც განათლების საფუძველს, როგორც შესავალს უფრო თეორიული სისტემური მეცნიერებებისათვის, როგორც ცოდნის მომწესრიგებელ პრინციპს და როგორც თავისთავად მიზანს. ის არის წინასწარი ვარჯიში სამყაროს შესაცნობად.¹¹³

Geographers, vol. 6 (1981), გვ. 359 და შმდ.

110 იხ. S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*.

111 იხ. M. Church, 'Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*, გვ. 25-26. იხ., ასევე, M. Büttner, 'Kant und die Überwindung der physikotheologischen Betrachtung der geographisch-kosmologischen Fakten: Ein Beitrag zur Geschichte der Geographie in ihren Beziehungen zur Theologie und Philosophie'. *Erdkunde*, 29 (1975), გვ. 162 და შმდ. ჰ. ბეკის მიხედვით, ქრისტიანობის დამოკიდებულებისაგან გეოგრაფიის გათავისუფლებით, კანტმა გეოგრაფიაში კოპერნიკისებური გადატრიალება მოახდინა. იხ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*. Berlin: Dietrich Reimer Verlag, 1982, გვ. 91.

112 იხ. M. Church, Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography, გვ. 26; C. Withers, 'Kant's Geography in Comparative Perspective'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*, გვ. 53. „ფიზიკური გეოგრაფიის“ შესავალში კანტი წერდა: „დედამიწაზე კონკრეტული ადგილის აღწერას ტოპოგრაფია ეწოდება, რეგიონისა და მისი თავისებურებების აღწერას – ქოროგრაფია, მთის ქედების აღწერას – ოროგრაფია, წყლის აღწერას – ჰიდროგრაფია.“ იხ. I. Kant, *Schriften zur Physischen Geographie*. Hrsg. von F. W. Schubert, გვ. 425.

113 იხ. И. Кант, Уведомление о расписании лекций на зимнее полугодие 1765/66 г., гв. 287; C. Withers, Kant's Geography in Comparative Perspective, გვ. 53.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ამდენად, ფილოსოფიური გეოგრაფიის ისტორიის პერსპექტივიდან, კანტი საკვანძო ფიგურას წარმოადგენს განმანათლებლობის ეპოქის დასასრულს. კანტის გარდაცვალების შემდეგ, გეოგრაფიულ ასპარეზზე გამოდის ადამიანი, რომელსაც მკვლევარები „ახალი ისტორიის უდიდეს გეოგრაფს“ და „თანამედროვე გეოგრაფიის დამფუძნებელს“ უწოდებენ.¹¹⁴ ეს მოაზროვნეა ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი.

114 იხ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 83; G. J. Martin, *All Possible Worlds. A History of Geographical Ideas*. New York – Oxford: Oxford University Press, 2005, გვ. 107.

2.5. ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი: ჰოლისტური მიდგომა ემპირიული რეალობისადმი

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტმა დიდი წვლილი შეიტანა გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიისა და ზოგადად, გეოგრაფიის განვითარებაში. მის მიერ გამოყენებულმა მეთოდებმა დიდი გავლენა მოახდინეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაზე XIX საუკუნეში. ჰუმბოლდტი შეეცადა, თავის ნაშრომებში (განსაკუთრებით, „კოსმოსში“, 1845-1862 წწ.) სამყაროს უნივერსალური ხედვა კონკრეტული ფაქტების მეცნიერულ ანალიზთან შეეთავსებინა.

ჯერ კიდევ 1793 წელს, 24 წლის ასაკში, ჰუმბოლდტმა გამოაქვეყნა ლათინურენოვანი ნაშრომი *Florae Fribergensis Specimen*, სადაც დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა შემდეგნაირი კლასიფიკაცია მოახდინა: 1. ფიზიოგრაფია, ანუ ბუნების აღწერა (*Physiographia, Naturbeschreibung*); 2. დედამიწის ისტორია (*Historia telluris, Erdgeschichte*) და 3. გეოგნოზია (*Geognosia, Erdkunde*).¹¹⁵ ფიზიოგრაფია შედგება ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოლოგიისაგან; დედამიწის ისტორია – ზოოლოგიის ისტორიისაგან, მცენარეთა ისტორიისაგან და კლდეთა ისტორიისაგან, ხოლო გეოგნოზია – კლდეთა გეოგრაფიისაგან (*Geographia oryctologica*), ზოოლოგიური გეოგრაფიისაგან (*Geographia zoologica*) და მცენარეთა გეოგრაფიისაგან (*Geographia phytologica*).¹¹⁶ მკვლევრები თვლიან, რომ ჰუმბოლდტის აღნიშნულ კლასიფიკაციაზე გავლენა მოახდინა გერმანელი გეოლოგის, აბრაჰამ

115 ტერმინთა ლათინურ და გერმანულ წყვილებს ჰუმბოლდტი სინონიმებად თვლიდა. მათი ფრანგული შესატყვისები ასეთია: ფიზიოგრაფიისათვის – *Histoire naturelle descriptive*, დედამიწის ისტორიისათვის – *Histoire du globe*, გეოგნოზიისათვის – *Théorie de la terre, Géographie physique*. იხ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 90.

116 იხ. R. Hartshorne, *The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner*, გვ. 100. გეოგრაფიასა და ბუნების აღწერას, ანუ ფიზიოგრაფიას შორის არსებულ განსხვავებას ჰუმბოლდტი მცენარეთა გეოგრაფიისა და ბოტანიკის (*phytognosia*) განსხვავების მაგალითზე აჩვენებს. მცენარეთა გეოგრაფია შეისწავლის იმ კავშირებს, რომლებიც მცენარეთა შორის არსებობს; აღწერს, თუ რომელ ქვეყნებში და როგორ ატმოსფერულ პირობებში გვხვდება ესა თუ ის მცენარე. რაც შეეხება ბოტანიკას, ის ინდივიდუალური მცენარეების ფორმებს, მათ აგებულებასა და მათში მიმდინარე პროცესებს შეისწავლის (იქვე). იხ., ასევე, M. Church, *Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography*, გვ. 43.

გოტლობ ვერნერის (1749-1817 წწ.) შეხედულებებმა.¹¹⁷

117 იხ. M. Church, Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography, გვ. 30 და 43; R. Hartshorne, The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner, გვ. 100. პ. ბეკი ჰუმბოლდტის მიერ *Florae Fribergensis Specimen*-ში მოცემულ კლასიფიკაციას კანტის „ფიზიკური გეოგრაფიის“ შესავალში გამოცდილებისეული ცოდნის სამწევრა კლასიფიკაციას (1. ლოგიკური, ცნებების საფუძველზე; 2. დროითი და 3. სივრცითი. ეს ორი უკანასკნელი ფიზიკურ კლასიფიკაციაში შედის) უკავშირებს. იგი თვლის, რომ კანტისეული კლასიფიკაცია ჰუმბოლდტმა დედამიწის მეცნიერებებზე გადმოიტანა. იხ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 90. შდრ., ასევე, S. T. Jackson, ‘Humboldt, Ecology and the Cosmos’. In: A. von Humboldt, A. Bonpland, *Essay on the Geography of Plants*. Edited with an introduction by S. T. Jackson. Translated by S. Romanowski. Chicago – London: The University of Chicago Press, 2009, გვ. 7. ამ თვალსაზრისს ამყარებს ის გარემოებაც, რომ 1785 წელს ჰუმბოლდტს მცირე ხნით ასწავლიდა მარკუს ჰერცი, კანტის ცნობილი მოსწავლე, რომელიც კარგად იცნობდა კანტის ლექციებს გეოგრაფიის შესახებ; ხოლო 1788 წლიდან ჰუმბოლდტმა თავად დაიწყო კანტის შრომების შესწავლა. მიუხედავად ამისა, უცნობია, იცნობდა თუ არა იგი უშუალოდ კანტის „ფიზიკური გეოგრაფიის“ რომელიმე სალექციო ჩანაწერს. იხ. J. A. May, *Kant’s Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ. 75. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმბოლდტი ძალიან კარგად იცნობდა გამოჩენილ მოგზაურს, ვ. კუკის II ექსპედიციის მონაწილე გეორგ ფორსტერს (1754-1794 წწ.), რომელთან ერთადაც 1790 წელს ევროპაში იმოგზაურა. ფორსტერი კარგად იცნობდა კანტის ნააზრევს. 1786 წელს, ჟურნალ *Der Teutsche Mercur*-ში მან გააკრიტიკა კანტის ნაშრომი „ადამიანის რასის ცნების განსაზღვრება“ (1785 წ.). კანტმა ფორსტერს უპასუხა 1788 წელს თავის ნაშრომში „ტელეოლოგიური პრინციპების გამოყენების შესახებ ფილოსოფიაში“ (დაიბეჭდა ჟურნალ *Der Teutsche Mercur*-ში, იანვარ-თებერვალში). კანტი მიუთითებდა, რომ აუცილებელია გატარდეს განსხვავება ბუნების აღწერასა და ბუნების ისტორიას შორის. იხ. И. Кант, ‘О применении телеологических принципов в философии’. // И. Кант, *Сочинения в шести томах*, Т. 5, Москва: “Мысль”, 1966, გვ. 69-71; J. A. May, *Kant’s Concept of Geography and its Relation to Recent Geographical Thought*, გვ.76-77. შესაბამისად, ფორსტერის მეშვეობით, ჰუმბოლდტს უნდა სცოდნოდა ამ ორ მოაზროვნეს შორის არსებული კამათის შესახებ, თუმცა, დანამდვილებით ამის თქმა ძნელია. მაგრამ, სუთი წლის შემდეგ, ჰუმბოლდტმა, კანტის მსგავსად, ერთმანეთისაგან განასხვავა ფიზიოგრაფია (ბუნების აღწერა) და დედამიწის ისტორია. მ. ჩერჩი აღნიშნავს, რომ თუ ჰუმბოლდტის შეხედულებებზე კანტის ნაშრომებმა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა, მაშინ, დიდი ალბათობით, ეს უნდა ყოფილიყო გერმანელი ფილოსოფოსის ნაშრომი „საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეტაფიზიკური საფუძველები“ (1786 წ.) და არა კანტის ლექციები გეოგრაფიის შესახებ. იხ. M. Church, Immanuel Kant and the Emergence of Mod-

ჰუმბოლდტის მდიდარი მეთოდოლოგიური არსენალიდან ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მისი ორიენტაცია, ერთი მხრივ, უშუალო დაკვირვებასა და ექსპერიმენტზე (ემპირიზმი) და, მეორე მხრივ, ჰოლისტიური მიდგომა, უფრო სწორედ, ამ ორი ასპექტის უნიკალური სინთეზი. პირველი მომენტი ჰუმბოლდტის მეცნიერული განვითარების ადრეულ საფეხურზევე გვხვდება: 1792 წელს იგი დაინიშნა მოხელედ პრუსიის სამთო მრეწველობის სამინისტროში (ანსბახ-ბაიროითში, პრუსიის მიერ ახლად შეერთებულ ტერიტორიაზე). ჰუმბოლდტი მალაროებში მიწისქვეშა მცენარეებზე ატარებდა ექსპერიმენტებს. ამ შრომის შედეგი იყო ზემოთ ნახსენები ნაშრომი *Florae Fribergensis Specimen*. ჰუმბოლდტი, ასევე, დაინტერესებული იყო გალვანიზმის პრინციპით. 1792-1797 წლებში იგი ინტენსიურად მუშაობდა ამ საკითხზე. მან მრავალი ექსპერიმენტი ჩაატარა, ბევრი მათგანი – საკუთარ თავზე. ჰუმბოლდტი საკმაოდ ახლოს იდგა ელექტრული ბატარეის შექმნასთან. საერთო ჯამში, მან დაახლოებით 4 000 ექსპერიმენტი ჩაატარა 300 სახეობის ცხოველსა და მცენარეზე. თავისი შედეგები მან გადმოსცა ნაშრომში „ცდები გალიზიანებულ კუნთებსა და ნერვულ ბოჭკოებზე“ (1797 წ.).¹¹⁸

მაგრამ ჰუმბოლდტის სწრაფვა უშუალო დაკვირვებისადმი ყველაზე სრულყოფილად გამოვლინდა ე. ბონპლანთან ერთად ამერიკაში მოგზაურობის დროს (1799-1804 წწ.).¹¹⁹ ექსპედიციის განმავლობაში

ern Geography, გვ. 31.

118 იხ. G. J. Martin, *All Possible Worlds. A History of Geographical Ideas*, გვ. 110; S. T. Jackson, 'Humboldt, Ecology and the Cosmos'. In: A. von Humboldt, A. Bonpland, *Essay on the Geography of Plants*, გვ. 7.

119 თავდაპირველად ჰუმბოლდტი და ბონპლანი ჩავიდნენ ქ. კუმანაში (ვენესუელა). ოთხი თვის შემდეგ ისინი კარაკასში გაემგზავრნენ. 1800 წლის თებერვალში ჰუმბოლდტმა და ბონპლანმა ქვეყნის სიღრმისაკენ აიღეს გეზი. მათ შეისწავლეს ვალენსიის ტბა, რომლის მაგალითზეც (უშუალო დაკვირვებების საფუძველზე) ჰუმბოლდტმა დაადასტურა კავშირი ტყეების გაჩეხვასა და მდინარეების დაშრობას შორის. შემდეგ მოგზაურები აუყვნენ მდ. ორინოკოს. მათ მეცნიერულად დაადასტურეს, რომ ორინოკოს ერთი ტოტი, კასიკიარე, მდინარე რიო-ნეგროს უერთდება და ამაზონის აუზს ეკუთვნის. კასიკიარე დღემდე ითვლება მდინარის ბიფურკაციის (ორად განშტოების) კალსიკურ მაგალითად. საერთო ჯამში ჰუმბოლდტმა და ბონპლანმა, თერთმეტ თანამგზავრთან ერთად, 2700 კმ-ზე მეტი გაიარეს. 1800 წლის ბოლოს, ჰუმბოლდტი და ბონპლანი კუმანაში დაბრუნდნენ და იქიდან კუბაზე გაემგზავრნენ.

1801 წლის მარტში მოგზაურები კუბიდან კარტახენაში (კოლუმბია) ჩავიდნენ, საიდანაც, ექსკვირიანი რთული და მომქანცველი მოგზაურობის

შემდეგ, ბოგოტაში ჩააღნიეს. 1801 წლის სექტემბერში ისინი ბოგოტიდან კიტოში (ეკვადორი) გაემგზავრნენ, სადაც 1802 წლის იანვარში ჩავიდნენ. კიტოში ჰუმბოლდტმა და ბონპლანმა ექვსი თვე დაჰყვეს. ამ ხნის განმავლობაში მათ ანდების მრავალი მწვერვალი დალაშქრეს. 1802 წლის 23 ივნისს ისინი ჩამქრალი ვულკანის, ჩიმბორასოს (6 267 მ. იმ პერიოდისთვის ჩიმბორასო მსოფლიოში ყველაზე მაღალ მწვერვალად ითვლებოდა), დაპრობას შეეცადნენ და 5 878 მ. სიმაღლეს მიაღწიეს (არსებობს განსხვავებული მონაცემებიც. ს. ჯექსონი 6 327 მ-ს ასახელებს, თუმცა, ჩიმბორასოს აქტუალური სიმაღლის ნიშნებით, ეს მონაცემი არ უნდა იყოს სწორი). მაღალ მწვერვლებზე ყოფნისას ჰუმბოლდტი აკვირდებოდა სიმაღლის ზემოქმედებას ადამიანზე. მან აღწერა მთის ავადმყოფობის (რომელიც გამოწვეულია დიდ სიმაღლეზე ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობით) სიმპტომები.

1802 წლის ოქტომბერში ჰუმბოლდტი და ბონპლანი ლიმაში (პერუ) ჩავიდნენ. ჰუმბოლდტმა იქ მთელი რიგი დაკვირვებები აწარმოა. შემდეგ იგი და ბონპლანი, ლიმასთან ახლოს მდებარე კალაოს გავლით, გუაიაკილში (ეკვადორი) გაემგზავრნენ. გუაიაკილიდან მოგზაურები გაჰყვეს ხომალდს აკაპულკოში (მექსიკა), სადაც 1803 წლის მარტში ჩავიდნენ. ჰუმბოლდტმა და ბონპლანმა მექსიკაში თითქმის ერთი წელი დაჰყვეს (ძირითადად, მეხიკოში). ჰუმბოლდტი აქ, ძირითადად, არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობდა და აგროვებდა ინფორმაციას ახალი ესპანეთის (ასე ეწოდებოდა მაშინ მექსიკას) სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. იგი, ასევე, აწარმოებდა ტრადიციულ დაკვირვებებსაც (კონკრეტული ადგილების გრძედისა და განედის დადგენა, ატმოსფერული წნევისა და ჰაერის ტემპერატურის გაზომვა და ა. შ.).

1804 წლის მარტში ჰუმბოლდტი და ბონპლანი ვერაკრუსიდან (მექსიკა) კუბაში გაემგზავრნენ. ჰავანაში მათ მცირე ხანი დაჰყვეს. ვეროპაში წასვლის წინ ისინი ფილადელფიაში (აშშ) გაემგზავრნენ, რომელიც იმდროინდელი ამერიკის სოციალურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენდა. ფილადელფიიდან ისინი, პრეზიდენტ თომას ჯეფერსონის მიწვევით, ვაშინგტონში ჩავიდნენ. ჯეფერსონი ნატურალისტი იყო, ამიტომ მასა და ჰუმბოლდტს შორის სწრაფად ჩამოყალიბდა მეგობრული ურთიერთობა (ისინი ჯეფერსონის გარდაცვალებამდე წერდნენ ერთმანეთს). ვაშინგტონში ჰუმბოლდტმა და მისმა თანამგზავრმა ბრიტანეთის კონსულისაგან მიიღეს *laisser passer*, საშვი, რომელიც მათ თავისუფალი გადაადგილების ნებას აძლევდა (ბრიტანეთი და საფრანგეთი მაშინ ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ). ჰუმბოლდტი და ბონპლანი ვეროპაში დაბრუნდნენ ფრანგული გემით, რომელიც ბორდოში (საფრანგეთი) მიდიოდა. 1804 წლის აგვისტოში ჰუმბოლდტი უკვე პარიზში იყო. ასე დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც ჰუმბოლდტს მსოფლიო დიდება მოუტანა. ექსპედიციის შედეგად ჰუმბოლდტმა და ბონპლანმა ვეროპაში

ჰუმბოლდტი ადგენდა კონკრეტული ადგილების კოორდინატებს, რეგულარულად ზომავდა ატმოსფერულ წნევასა და ელექტრობას, ჰაერის ტენიანობასა და ტემპერატურას, სინათლის ინტენსივობის ხარისხს, ატმოსფერულ აირებსა და ა. შ. იგი სწავლობდა სიმაღლისა და ჰაერის ტემპერატურის ზეგავლენას მცენარეთა საფარზე, ასევე, სიმაღლის ზეგავლენას ადამიანზე, ვულკანურ ქანებს, ფაქტიურად ყველაფერს, რაც მისი ინტერესების სფეროში შედიოდა. ექსპედიციის შედეგები მან გადმოსცა ოცდაათტომიან თხზულებაში „მოგზაურობა ახალი სამყაროს ეკვატორულ რეგიონებში“ (1805-1834 წწ.), რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო XXVIII-XXX ტომები საერთო სათაურით „1799-1804 წლებში ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტისა და ემე ბონპლანის მიერ ახალი სამყაროს ეკვატორულ რეგიონებში ჩატარებული მოგზაურობის ისტორიული რელაცია“ (1814-1825 წწ.), სადაც აღწერილი იყო ჰუმბოლდტისა და ბონპლანის თავგადასავალი ამერიკაში, ასევე, მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები და გაზომვები.¹²⁰ „ისტორიული რელაციის“ I ტომში ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, რომ მის ექსპედიციას ორმაგი მიზანი ჰქონდა: 1. უცხო ქვეყნების გაცნობა და 2. ფაქტების შეგროვება იმ მეცნიერების განსაზღვრებად, რომელსაც დედამიწის ფიზიკა, დედამიწის თეორია ან ფიზიკური გეოგრაფია ეწოდება. ამ ორი მიზნიდან უკანასკნელი ჰუმბოლდტს ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა.¹²¹ ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი ვერ იქნებოდა ცალკეული ექსპერიმენტების, დაკვირვებებისა და გაზომვების ჩატარება (მათი დიდი რაოდენობისა და სიზუსტის მიუხედავად). აუცილებელი იყო ჰოლისტური მიდგომა, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდებოდა კავშირები და მიმართებები დაკვირვებად ფენომენებს შორის. ამის აუცილებლობას თავად ჰუმბოლდტიც გრძნობდა: „თუნდაც ახალი, მაგრამ იზოლირებული

მცენარეთა 60 000-მდე ნიმუში ჩაიტანეს. იხ. S. T. Jackson, Humboldt, Ecology and the Cosmos, გვ. 10-16; G. J. Martin, *All Possible Worlds. A History of Geographical Ideas*, გვ. 111-115; E. Knobloch, 'Alexander von Humboldt – The Explorer and the Scientist'. *Centaurus*, vol. 49 (2007), გვ. 3-14. ჰუმბოლდტის ბიოგრაფიის შესახებ იხ., H. Beck, *Alexander von Humboldt. Von der Bildungsreise zur Forschungsreise: 1769-1804*. Bd. 1, Wiesbaden: Steiner, 1959; მისივე, *Alexander von Humboldt. Vom Reisewerk zum "Kosmos": 1804-1859*. Bd. 2, Wiesbaden: Steiner, 1961; A. Wulf, *The Invention of Nature. Alexander von Humboldt's New World*. New York: Knopf, 2015.

120 იხ. A. von Humboldt, *Voyage aux régions équinoxiales du Nouveau Continent*. 30 vol., Paris, 1805-1834; მისივე, *Relation historique du Voyage aux régions équinoxiales du Nouveau Continent, fait en 1799, 1800, 1801, 1802, 1803, et 1804 par Al. de Humboldt et A. Bonpland*. Paris, 1814-1825.

121 იხ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 94.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ფაქტების აღმოჩენას, იმთავითვე მერჩივნა დიდი ხნის განმავლობაში დაკვირვებადი ფაქტების ურთიერთდაკავშირება. ამიტომ მცენარეთა შორის არსებულ გეოგრაფიულ მიმართებებზე დაკვირვება უფრო მნიშვნელოვნად მიმჩნდა, ვიდრე რომელიღაც უცნობი გვარის აღმოჩენა.¹²² ჰოლისტური მიდგომა ჰუმბოლდტის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს.¹²³

„ესე მცენარეთა გეოგრაფიის შესახებ“ (1805 წ.)¹²⁴ იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც ჰუმბოლდტმა ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა. შესავალში ჰუმბოლდტი აცხადებს, რომ ნაშრომში თავი მოუყარა ყველა იმ ფიზიკურ მოვლენას, რომლებზეც დაკვირვება შესაძლებელია დედამიწის ზედაპირზე და ატმოსფეროში. იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ, ნაშრომზე მუშაობისთვის უფრო მეტი დრო რომ ჰქონოდა, ის კიდევ უფრო მცირე იქნებოდა მოცულობით.¹²⁵ აქედან ცხადია, რომ ჰუმბოლდტი უპირატესობას ანიჭებდა არა ცალკეული დაკვირვებების გადმოცემას, არამედ დაკვირვებადი ფაქტების განზოგადებას და ზოგადი კავშირების დადგენას. აღნიშნულ ნაშრომში ჰუმბოლდტმა დაიწყო იმ იდეის განვითარება, რომელიც სრულად თავის „კოსმოსში“ განახორციელა. ეს იყო იდეა უნივერსალური საბუნებისმეტყველო მეცნიერების, „დედამიწის ფიზიკის“ (*Physique du monde*) შესახებ. ეს არის მეცნიერება დედამიწის შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაკვირვება და ექსპერიმენტი აქვს.¹²⁶ დედამიწის აღწერას თან უნდა ერთვოდეს განზოგადებები

122 იქვე.

123 ჰუმბოლდტის ჰოლისტური მიდგომის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მისმა კონტაქტმა იენის წრესთან (ი. ვ. გოეთე, ფ. შილერი, ი. გ. ჰერდერი, ი. გ. ფიხტე). ჰერდერისაგან ჰუმბოლდტმა შეითვისა არა მხოლოდ გამოცდილების მნიშვნელობა ბუნების შესასწავლად, არამედ გამოცდილების ფაქტების განზოგადების აუცილებლობაც. გოეთეს ორგანული მორფოლოგიის ცნებამ, ასევე, გავლენა მოახდინა ჰუმბოლდტის შეხედულებებზე. იხ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 96; M. Church, *Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography*, გვ. 28; S. T. Jackson, *Humboldt, Ecology and the Cosmos*, გვ. 8.

124 „მცენარეთა გეოგრაფიის“ გერმანული გამოცემა 1807 წელს განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ ის ჰუმბოლდტმა გოეთეს მიუძღვნა.

125 იხ. A. von Humboldt, A. Bonpland, *Essay on the Geography of Plants*. Edited with an introduction by S. T. Jackson. Translated by S. Romanowski. Chicago – London: The University of Chicago Press, 2009, გვ. 61.

126 ამ იდეის კონტურები ჰუმბოლდტის ნააზრევში ჯერ კიდევ 1790-იან წლებში შეინიშნება. 1796 წელს, მარკ-ავგუსტ პიქტისადმი მიწერილ წერილში ჰუმბოლდტი აღნიშნავდა: „მე ჩამოვაყალიბე იდეა დედამიწის ფიზიკის შესახებ“. იხ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter –*

დაკვირვებადი ფენომენების შესახებ. მცენარეთა ზონების დამოკიდებულება ტემპერატურასა და სიმაღლესთან ანდებში, რომელიც ჰუმბოლდტმა აღწერა, ამის თვალსაჩინო მაგალითია. მოგვიანებით, „ისტორიულ რელაციაში“ (1814 წ.), ჰუმბოლდტმა „დედამიწის ფიზიკა“ „ფიზიკურ გეოგრაფიას“ გაუიგივა. ტერმინ „ფიზიკური გეოგრაფიის“ შემოტანით ნათელი ხდება, რომ ჰუმბოლდტს კვლევის საგნად მიაჩნდა მცენარეთა, ცხოველთა და საზოგადოებრივი გეოგრაფია. კანტის მსგავსად, ფიზიკური გეოგრაფია, ჰუმბოლდტთან, ადამიანებსაც შეისწავლის.¹²⁷

მ. ჩერჩის მიხედვით, ჰუმბოლდტის გეოგრაფიაში სამი მნიშვნელოვანი მომენტი შეიძლება გამოვყოთ: 1. გაზომვები უაღრესად მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტი გაზომვა იქნება ჩატარებული ბუნებაში, მით უფრო უკეთეს სურათს მივიღებთ; 2. ლანდშაფტის შეფასებაში უნდა ფიგურირებდეს ჰოლისტური და ესთეტიკური ასპექტები; 3. გეოგრაფია ლანდშაფტის შესახებ არსებული ფაქტების კომპილაციასა და სინთეზს წარმოადგენს. ის არ ახდენს ისტორიულ, ან მიზეზობრივ ინტერპრეტაციას.¹²⁸ ამ სამი პრინციპის ხორცშესხმად, შესაძლოა, მივიჩნიოთ ჩიმბორასოსა და კოტოპაქსის ვულკანების ფერადი პროფილი სახელწოდებით „ეკვატორულ მცენარეთა გეოგრაფია: ანდებისა და მეზობლად მდებარე ქვეყნების ფიზიკური ცხრილი“, რომელიც დანართის სახით ერთვის „მცენარეთა გეოგრაფიას.“ „ფიზიკურ ცხრილში“, ჩიმბორასოსა და კოტოპაქსის ფერადი პროფილის გარდა, მოცემულია მცენარეთა ზონებისა და ინდივიდუალურ მცენარეთა დასახელებები, რომელთა მდებარეობა შეესატყვისება იმ სიმაღლეს, რომელზეც აღნიშნული მცენარე(ები)ა გავრცელებული. გარდა ამისა, სურათზე მოცემულია კონკრეტული სიმაღლეები (ვეზუვის, მონბლანის, ქ. კიტოს, ჰუმბოლდტისა და მისი თანამგზავრების ასვლის წერტილი ჩიმბორასოზე და სხვ.). „ფიზიკურ ცხრილში“ ჰუმბოლდტს, ფაქტიურად, სქემატური სახით აქვს გადატანილი ექსპედიციის შედეგები. სურათს მარცხენა და მარჯვენა მხარეს (11 სვეტი მარცხენა მხარეს, 9 – მარჯვენა მხარეს) დართული აქვს ტექსტი, სადაც განმარტებულია სურათზე დატანილი წარწერები, გადმოცემულია გაზომვების შედეგები და ა.შ. ს. ჯეკსონი თვლის, რომ „ფიზიკური ცხრილი“ ელევანტურად და ეკონომიურად გადმოსცემს ჰუმბოლდტისა და ბონპლანის მიერ მოპოვებულ

Gelehrte, გვ. 91.

127 იხ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 93; M. Church, *Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography*, გვ. 28-29.

128 იხ. M. Church, *Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography*, გვ. 29. შდრ., ასევე, S. T. Jackson, *Humboldt, Ecology and the Cosmos*, გვ. 36-37.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

მდიდარ ინფორმაციას. მასში ჰუმბოლდტის ჰოლისტური მიდგომა თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი.¹²⁹

ჰუმბოლდტის შემოქმედებას აგვირგვინებს მისი მონუმენტური შრომა „კოსმოსი“ (ხუთ ტომად, 1845-1862 წწ., მეხუთე ტომი ჰუმბოლდტის სიკვდილის შემდეგ გამოცა, მისი ჩანაწერების საფუძველზე), სადაც ჰუმბოლდტი შეეცადა, სამყაროს შესახებ თავისი შეხედულებები და კვლევები ერთ ნაშრომში გადმოეცა. პირველი ტომის წინასიტყვაობაში მან განსაზღვრა ნაშრომის მიზნები: მოვლენათა წვდომა მათ ურთიერთკავშირში; ბუნების, როგორც შინაგანი ძალებით გასულიერებული და ამოძრავებული მთლიანობის, წარმოჩენა.¹³⁰ „კოსმოსში“ ჰუმბოლდტმა ხელახლა გაამახვილა ყურადღება უშუალო დაკვირვებისა და ექსპერიმენტის როლზე, თუმცა, ამავე დროს, იგი მიუთითებდა ზოგადი მიმართებების ფორმულირების აუცილებლობაზე, რაც ცალკეული დაკვირვებების შედარებითი ანალიზის გზით მიიღწევა.¹³¹

ჰუმბოლდტის მნიშვნელობა ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის ძალიან დიდია (მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყენებდა ამ ტერმინს): ჰუმბოლდტი არ იყო ფილოსოფოსი, თუმცა მის შეხედულებებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ჰერდერისა და გოეთეს ფილოსოფიურმა შეხედულებებმა; გ. ფორსტერის მეშვეობით იგი კანტის შეხედულებებსაც იცნობდა. მისი გვიანდელი ნაშრომები, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც 1790-იან წლებში აღმოცენებული იდეების განვითარებისა და განვრცობის შედეგი. ყველაზე არსებითი, რაც ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ უნდა შეითვისოს ჰუმბოლდტის მეცნიერული მემკვიდრეობიდან, მისი **ჰოლისტური მიდგომა**: ფილოსოფიური გეოგრაფია უნდა ემყარებოდეს ემპირიულ დაკვირვებებს, განზოგადებების საფუძველი ფილოსოფიურ გეოგრაფიაში ყოველთვის ემპირიული რეალობა უნდა იყოს. ისევე, როგორც ჰუმბოლდტი ცდილობდა, უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის გამაერთიანებელი ერთიანი კონცეპტუალური ბაზისის შექმნას, ასევე, ფილოსოფიური გეოგრაფიაც უნდა ეცადოს, კვლევის სამივე დონისათვის ერთიანი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური აპარატის ჩამოყალიბებას და ემპირიული რეალობის კვლევის ადეკვატური მეთოდების სინთეზს ტრადიციულ და ინოვაციურ ფილოსოფიურ მიდგომებთან. მხოლოდ ასე შეძლებს ის, თავი აარიდოს, ერთი მხრივ, ფილოსოფიურ სპეკულაციებს, რომლებსაც მხოლოდ თეორიულ სივრცეში აქვთ ძალა და,

129 იხ. S. T. Jackson, Humboldt, Ecology and the Cosmos, გვ. 23-26 და 31.

130 იხ. A. von Humboldt, *Cosmos. Sketch of a Physical Description of the Universe*.

Translated by E. C. Otte, vol.1, New York: Harper & Brothers, 1858, გვ. vii.

131 იქვე, გვ. 60.

გიორგი თაყაი

მეორე მხრივ, უკიდურეს ფრაგმენტაციას და მეცნიერული ცოდნის კლასტერიზაციას, რაც თანამედროვე სოციალური მეცნიერებების უმთავრეს ნიშან-თვისებად, უფრო მეტიც, მათ ბედისწერად იქცა.

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის შემდეგ, განვიხილავთ მისი თანამედროვისა და თანამემამულის, კარლ რიტერის შემოქმედებას, რომელიც, ჰუმბოლდტთან ერთად, თანამედროვე გეოგრაფიის ერთ-ერთ დამფუძნებლადაა მიჩნეული.

2.6. კარლ რიტერი: ტელეოლოგიზმი და ისტორიციზმი გეოგრაფიაში

1820 წელს კარლ რიტერი დაინიშნა პროფესორად გეოგრაფიის კათედრაზე ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე (1859 წ.) ასწავლიდა. ეს იყო გეოგრაფიის პირველი კათედრა გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ იმანუელ კანტი კიონიგსბერგის უნივერსიტეტში გეოგრაფიის ლექციებს ორმოცი წლის განმავლობაში კითხულობდა, გეოგრაფიის კათედრა იქ არ შექმნილა. ასე რომ, გეოგრაფიის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინის დაფუძნება, მჭიდროდ უკავშირდება რიტერის სახელს.¹³² ამას შემდეგი გარემოებებიც უწყობდა ხელს: კანტს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პრობლემები ჰქონდა პრუსიის ხელისუფლებასთან თავისი ნაშრომის, „რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში“ (1792-1793 წწ.) გამოქვეყნების გამო. მ. ჩერჩის მიხედვით, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი თავის თხზულებებში პირდაპირ არ უთითებდა კანტზე.¹³³ რაც შეეხება რიტერს, იგი ბერლინში მიწვეულ იქნა ისეთი გავლენიანი პირების მიერ, როგორებიც იყვნენ გენერლები ფონ ვოლცოგენი და ფონ გნაიზენაუ.¹³⁴ გარდა ამისა, უნივერსიტეტში რიტერის მიწვევით დაინტერესებულები იყვნენ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, ფრიდრიხ შლაიერმახერი და სხვები.¹³⁵ ბერლინში რიტერმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა: იგი იყო პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების (*Gesellschaft für Erdkunde zu Berlin*) დამფუძნებელი (1828 წ.) და კადეტთა სასწავლებლის დირექტორი. პრუსიის სამეფო ხელისუფლებასთან რიტერს საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის

132 ა. შახის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ კანტმა გეოგრაფია მეცნიერებად აღიარა, ამას არ მოჰყოლია გეოგრაფიის, როგორც თეორიულად დაფუძნებული თანამედროვე მეცნიერების, დამკვიდრება საუნივერსიტეტო დისციპლინად. იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie. Erkenntnistheoretische Überlegungen, Reform der Geographie und mögliche heutige Implikationen*. Münster: LIT Verlag, 1996, გვ. 18.

133 იხ. M. Church, *Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography*, გვ. 30-31.

134 იხ. K. E. Müller, 'Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen.' *Paideuma*, Bd. 11 (1965), გვ. 28.

135 იხ. E. Plewe, *Carl Ritter: Neuere Forschungen von Ernst Plewe*, გვ. 28.

განმტკიცებას. გარდა ამისა, რიტერისადმი საკმაოდ დადებითად იყო განწყობილი თავად ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტიც. როგორც ცნობილია, რიტერი და ჰუმბოლდტი ხშირად ესწრებოდნენ ერთმანეთის ლექციებს. თავის ნაშრომებში რიტერი მოწინებთა და პატივისცემით ახსენებს ჰუმბოლდტსა და მის შრომებს.¹³⁶

რიტერის მთავარი ნაშრომია „დედამიწისმცოდნეობა და მისი მიმართება ბუნებასა და ადამიანის ისტორიასთან ანუ საყოველთაო შედარებითი გეოგრაფია, როგორც სწავლებისა და სწავლის ჭეშმარიტი საფუძველი ფიზიკურ და ისტორიულ მეცნიერებებში“, რომლის პირველი გამოცემა 1817-1818 წლებში განხორციელდა.¹³⁷ ბერლინში გადასვლის შემდეგ რიტერმა მეორე გამოცემაზე დაიწყო მუშაობა. ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, „დედამიწისმცოდნეობის“ ცხრამეტ ტომში რიტერმა მხოლოდ აფრიკის (სრულად) და აზიის (ნაწილობრივ) მიმოხილვა შეძლო.¹³⁸

რიტერის გეოგრაფიულ ნააზრევში, შესაძლოა, სამი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოვყოთ: 1. გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დამკვიდრების მცდელობა; 2. გეოგრაფიისა და ისტორიის კავშირი; 3. ტელეოლოგისტური მიდგომა. აღნიშნული მომენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ეს განსაკუთრებით ითქმის მესამე ასპექტზე, რომელიც პირველ ორს მსჭვალავს.

რიტერმა საგრძნობი ძალისხმევა წარმართა გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დამკვიდრებისათვის. დედამიწის ცალკეული რეგიონების აღწერა (თუნდაც დეტალური) არ უნდა იყოს გეოგრაფიის საქმე, მიიჩნევადა რიტერი. ადრეული გეოგრაფიის ნაკლი სწორედ ეს იყო.¹³⁹ საერთოდ უგულებელყოფილი იყო რო-

136 იხ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 98 და 111; K. E. Müller, *Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen*, გვ. 28-29; C. Ritter, *Comparative Geography*. Translated by W. L. Gage. Philadelphia: J. B. Lippincott & Co, 1865, გვ. xv, xx და xxvi.

137 იხ. C. Ritter, *Die Erdkunde im Verhältnis zur Natur und zur Geschichte des Menschen, oder allgemeine vergleichende Geographie als sichere Grundlage des Studiums und Unterrichts in physikalischen und historischen Wissenschaften*. 2 Bde, Berlin: Georg Reimer, 1817-1818.

138 იხ. C. Ritter, *Die Erdkunde im Verhältnis zur Natur und zur Geschichte des Menschen, oder allgemeine vergleichende Geographie als sichere Grundlage des Studiums und Unterrichts in physikalischen und historischen Wissenschaften*. 19 Bde, Berlin: Georg Reimer, 1822-1859.

139 რიტერი მიიჩნევს რომ ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი თავად სიტყვა „გეოგრაფიაში“ უნდა ვეძიოთ, რომელიც სიტყვასიტყვით „დედამიწის

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

გორც „ორგანული მთლიანობის პრინციპი, რომელიც მთელს განმსჭვალავს“, ასევე, შესწავლის ობიექტებს შორის არსებული ურთიერთკავშირები.¹⁴⁰ გეოგრაფია არ უნდა იყოს მშრალი ფაქტების უსისტემო ერთობლიობა, რომელიც მოვლენებს იზოლირებულად განიხილავს. გეოგრაფიამ უნდა განიხილოს დედამიწა, როგორც მუდმივი განვითარების პროცესში მყოფი და გამოიკვლიოს ბუნების კანონები ადამიანთან და ისტორიასთან მიმართებაში.¹⁴¹

ადამიანს რიტერის გეოგრაფიაში ცენტრალური ადგილი უკავია. ეს ნათლად ვლინდება დედამიწაზე მსჯელობისას. გეოგრაფია, რიტერის მიხედვით, დედამიწას განიხილავს, როგორც ადამიანური მოდგმის საცხოვრებელ სახლს. დედამიწა წარმოადგენს ერთგვარ სცენას, სადაც კაცობრიობის ისტორია თამაშდება.¹⁴² ადამიანის, როგორც ცენტრალური მომენტის გარეშე, ბუნება გეოგრაფიასთვის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, მიიჩნევა რიტერი. დედამიწა არა მხოლოდ საუკეთესოდ შესწავლილი პლანეტაა, არამედ, ყველაზე საინტერესოც.¹⁴³ დედამიწა ადამიანურ ძალისხმევათა ასპარეზი და ღვთაებრივი გამოცხადების ადგილია. ის არა მხოლოდ ადამიანთა საცხოვრებელი სახლი, არამედ მათი აღსაზრდელი ადგილიცაა.¹⁴⁴ რიტერის ტელეოლოგიზმი აქ მკვეთრად იჩენს თავს: დედამიწა ადამიანისთვისაა შექმნილი, ის ადამიანებს ანიჭებს ძალას და ეხმარება მათ თავიანთი დანიშნულების აღსრულებაში.¹⁴⁵ ღვთაებრივი გონებისა და

აღწერას“ ნიშნავს. იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xix. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიტერი გეოგრაფიის აღსანიშნავად იყენებდა ტერმინს *Erdkunde*, რაც სიტყვასიტყვით „დედამიწისმცოდნეობას“ ნიშნავს. ამით რიტერმა თავი აარიდა ჰუმბოლდტის მიერ გამოყენებულ ტერმინს *Erdbeschreibung* („დედამიწის აღწერა“).

140 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xv.

141 იქვე, გვ. xvii; A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 23.

142 აქ ჰერდერის გავლენა იგრძნობა. იხ. J. Birkenhauer, *Traditionslinien und Denkfiguren. Zur Ideengeschichte der sogenannten Klassischen Geographie in Deutschland*, გვ. 43. ა. შახის მიხედვით, საერთო ჯამში, ჰერდერის (ისევე როგორც კანტის) გავლენა რიტერის გეოგრაფიულ შეხედულებებზე უმნიშვნელოა. იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 52-60; იხ. ასევე, K. E. Müller, *Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen*, გვ. 44.

143 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xiv-xv.

144 იქვე, გვ. xvi.

145 „ჩვენ მას (იგულისხმება დედამიწა – გ. თ.) განვიხილავთ არა როგორც ძალების, კანონებისა და მოვლენების ასპარეზს, არამედ როგორც ღვთის

ნების თანახმად, ბუნება ადამიანს მორჩილებს. ამ კავშირის შემეცნება მხოლოდ ადამიანური მოდემის ისტორიის შესწავლითაა შესაძლებელი. საგანთა და მოვლენათა ეს ორმხრივი კავშირი ღვთაებრივი განგების, და არა შემთხვევითობის შედეგია. ბუნების ბრმა ძალები ღვთაებრივ ნებას რომ არ ემორჩილებოდნენ, მაშინ ადამიანთა მოდემი უკვალოდ გაქრებოდა. დედამიწის აგებულება უეჭველად ემსახურება ადამიანთა გვარის შენარჩუნებასა და სრულყოფას.¹⁴⁶ მხოლოდ

მიერ ბოძებულ ზეგარდმო ძღვენს, რომელიც შესანიშნავადაა მორგებული ჩვენს მოთხოვნილებებს და მშვენიერებითა და საოცრებებითაა აღსავსე. ის არის ღვთაებრივი სიბრძნის გამოვლინება ხილული სამყაროს სახით. რა დიდებულად აღწერა ეს შთაგონებულმა დავითმა 104-ე ფსალმუნში!“
 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xvi. რიტერის ტელეოლოგიზმის შესახებ, იხ. A. Hettner, *Die Geographie. Ihre Geschichte, ihr Wesen und ihre Methoden*. Breslau: Ferdinand Hirt, 1927, გვ. 302.

146 რიტერის აზრით, ეს განსაკუთრებით ვლინდება კონტინენტების განლაგებაში. კონტინენტებს რიტერი დედამიწის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, ინდივიდუალურ ნაწილებად (*Individuen der Erde*) მიიჩნევს. რეგიონალური ანალიზის ერთეულად რიტერი კონტინენტებს თვლის. თითოეული კონტინენტი საკუთარ, განუმეორებელ ფუნქციას ასრულებს ბუნებისა და კაცობრიობის განვითარებაში. იხ. A. Hettner, *Die Geographie. Ihre Geschichte, ihr Wesen und ihre Methoden*, გვ. 300-301; G. J. Martin, *All Possible Worlds. A History of Geographical Ideas*, გვ. 123. კონტინენტების მდებარეობა, მათი აგებულება, ერთმანეთისაგან დამორება და სხვა ფაქტორები, რიტერის მიხედვით, გავლენას ახდენს ხალხთა განვითარებაზე, მოსახლეობის რაოდენობაზე, ახალი მიწების ათვისებაზე, სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობაზე და ა.შ. იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. 47: „არსთგანმრიგეს კონტინენტებისათვის ახლანდელი მდებარეობა რომ შეეცვალა, მაშინ იმ დღიდან კაცობრიობის ისტორიაში თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყებოდა!“ (იქვე) აღნიშნულმა ფრაზამ, შეუძლებელია, არ გაგვახსენოს ჰერდერის გამონათქვამი ლანდშაფტის ფორმების შესახებ (იხ. ქვეთავი 2.3). რიტერი მიიჩნევს, რომ კონტინენტების განლაგებას გარკვეული კანონზომიერება უდევს საფუძვლად, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ხმელეთის მასას დიდი სივრცე უკავია, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში კონტინენტები, ასე ვთქვათ, „იკუმშება.“ კონტინენტების ასეთ სტრუქტურას, რიტერი, ჰუმბოლდტის გავლენით, „პირამიდულს“ უწოდებს. კონტინენტების პირამიდული განლაგება (ფუძით ჩრდილოეთისაკენ და წვეროთი სამხრეთისაკენ) და მათი მიმართულება უნივერსალური კანონზომიერებაა. ასეთი განლაგება, რიტერის მიხედვით, განაპირობებს დაბალ ტემპერატურას სამხრეთ ნახევარსფეროში, ასევე, მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას ჩრდილოეთ ნახევარსფეროში სამხრეთ ნახევარსფეროსთან შედარებით. თუმცა, რიტერი მხოლოდ მოსახლეობის მრავალრიცხოვნებაზე მითითებით არ შემოიფარგლება და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მაცხოვრებლებს, კონტი-

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ზემოთქმულის გათვალისწინებითაა შესაძლებელი გეოგრაფიული მეცნიერების დაფუძნება.¹⁴⁷

არ უნდა ვიფიქროთ, რომ რიტერის ტელეოლოგიზმი წარმოადგენს უკან დაბრუნებას იმ თეორიებისაკენ, რომელთა უარყოფასაც კანტი ცდილობდა. რიტერისათვის ტელეოლოგიზმი, რომელსაც საფუძვლად ქრისტიანული რწმენა უდევს, თვითმიზანი კი არ არის, არამედ ამოსავალი პუნქტია.¹⁴⁸ ნებისმიერ მეცნიერებას სჭირდება

ნენტების პირამიდული სტრუქტურის საფუძველზე, უკეთეს მენტალურ და მორალურ შესაძლებლობებს მიაწერს. იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. 48-49. აქ რიტერი აშკარად ღალატობს საკუთარ პრინციპს, რომლის თანახმად, გეოგრაფიული კვლევა-ძიება, უპირველეს ყოვლისა, დაკვირვებებს უნდა ეყრდნობოდეს და ევროპოცენტრიზმის ტყვეობაში ექცევა. „პირამიდული სტრუქტურა“ და მიმართულება თავს იჩენს არა მხოლოდ კონტინენტების განლაგებასა და მათ მოხაზულობაში, არამედ, ცალკეული კონტინენტების ფარგლებშიც: ევროპაში აღნიშნული კანონის დადასტურებად რიტერი პირენეის, აპენინის, სკანდინავიისა და ყირიმის ნახევარკუნძულებს მიიჩნევს, ხოლო აზიაში (კიდევ უფრო დიდი მასშტაბით) – არაბეთის, ინდოეთის, კორეისა და კამჩატკის ნახევარკუნძულებს. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, რიტერი მას გამონაკლისად თვლის იმ მიზეზით, რომ „ეს კუნძული დღემდე განსაკუთრებულ როლს თამაშობს თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში.“ იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. 49. რიტერის კონტინენტების შესახებ თეორიის კრიტიკისათვის იხ. A. Hettner, *Die Geographie. Ihre Geschichte, ihr Wesen und ihre Methoden*, გვ. 303-306.

147 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xvii.

148 სრულიად საპირისპირო თვალსაზრისს იზიარებს ი. ბირკენჰაუერი. იხ. J. Birkenhauer, *Traditionslinien und Denkfiguren. Zur Ideengeschichte der sogenannten Klassischen Geographie in Deutschland*, გვ. 43-48. იგი დაჟინებით ცდილობს, რიტერი მაინცდამაინც „სტრუქტურულ გეოდეტერმინისტად“ გამოიყვანოს და გერმანული გეოგრაფიის განვითარებაში მისი როლი ჰერდერის ხარჯზე დააკნინოს. ბირკენჰაუერი გამოყოფს პოსიბილისტურ მოტივებს რიტერის ნააზრევში, თუმცა მათ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. იგი, ასევე, არ ითვალისწინებს ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის დამოკიდებულებას რიტერის მიმართ (საერთოდ, უცნაურია, რომ მის ნაშრომში ჰუმბოლდტმა ადგილი ვერ ჰპოვა), რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ დადებითად იყო განწყობილი რიტერის მიმართ და არც ა. ჰეტნერის მიერ რიტერის შეფასებას. ჰეტნერის აზრით, რიტერი იყო პირველი მოაზროვნე, რომელმაც დედამიწის სივრცეთა სრულყოფილი სისტემა წარმოადგინა და ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ სივრცეების მთლიანობით ხასიათს. იხ. A. Hettner, *Die Geographie. Ihre Geschichte, ihr Wesen und ihre Methoden*, გვ. 299. რიტერის შესახებ ბირკენჰაუერის შეხედულებების კრიტიკისათვის იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 59; რი-

„იდეალური საფუძველი“, რომელსაც ის დაემყარება. ეს საფუძველი არის რწმენა.¹⁴⁹ ამრიგად, ქრისტიანული რწმენა და მასთან დაკავშირებული ტელეოლოგიზმი რიტერთან ფუნდამენტის როლს ასრულებს, რომელსაც გეოგრაფიული მეცნიერება ემყარება. თავად გეოგრაფია, რიტერის მიხედვით, ემპირიული მეცნიერებაა. კვლევა დაკვირვებებს უნდა ემყარებოდეს და არა თეორიას. დაკვირვებების მეშვეობით უნდა შემოწმდეს არსებული გეოგრაფიული ცოდნა და შემდგომი კვლევაც დაკვირვებებს უნდა დაემყაროს.¹⁵⁰ წმინდა მეცნიერება, რომელიც მხოლოდ გონების პრინციპებს ეფუძნება და გამოცდილებას არ ეყრდნობა, ვერ იქნება გეოგრაფია. ამ უკანასკნელის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ერთი დაკვირვებიდან (დაკვირვებათა რიგიდან) სხვა დაკვირვებაზე (დაკვირვებათა რიგზე) გადასვლით და არა შეხედულებიდან ან ჰიპოთეზიდან დაკვირვებაზე გადასვლით. ერთი სიტყვით, რიტერი ინდუქციის მომხრეა და ფილოსოფიური სპეკულაციებისა და დედუქციის წინააღმდეგი. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია რიტერისათვის, საკუთარი მეტაფიზიკური სპეკულაციები განევითარებინა, როდესაც დედამიწის შესახებ მსჯელობდა.¹⁵¹

გარდა იმისა, რომ დედამიწა ადამიანისთვისაა შექმნილი და ადამიანური მოდგმის შენარჩუნებას ემსახურება, რიტერი მოითხოვს, რომ ის განვიხილოთ, როგორც „თითქმის ცოცხალი ორგანიზმი“.¹⁵² დედამიწის ნაწილების და მის ზედაპირზე არსებულ მოვლენებზე უწინარესია დედამიწის, როგორც მთლიანის ცნება, რომელიც თავისთავად და თავისთვის არსებობს. როგორც ორგანული არსება, ის ვითარდება და უფრო სრულყოფილი და მშვენიერი ხდება შინაგანი აუცილებლობის წყალობით. ოდნავ ქვემოთ რიტერი განმარტავს, თუ რას გულისხმობს „თითქმის ცოცხალი ორგანიზმის“ ბუნდოვან ცნებაში: დედამიწაზე სიცოცხლის თესლი ღმერთის მიერაა მოვლინებული. ეს სასიცოცხლო ძალა დედამიწას თანდათან გარდაქმნის და მას ადამიანისათვის უფრო და უფრო შესაფერის ადგილად აქცევს. დე-

ტერის დეტერმინისტობის უარყოფისათვის იხ. K. E. Müller, Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen, გვ. 34. ის გარემოება, რომ რიტერი ტელეოლოგისტი იყო, სრულიად არ ამცირებს მის წვლილს გეოგრაფიის განვითარების ისტორიაში.

149 იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 27-28.

150 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xviii.

151 იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 25-26.

152 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xxi.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

დამინას ეთიკური დანიშნულება აქვს.¹⁵³ სივრცეში არსებული შესაძლებლობების შეცნობით ადამიანი არა მხოლოდ თვითონ ვითარდება, არამედ საკუთარი ცოდნის რეალიზაციის მეშვეობით, სივრცესაც ავითარებს. განვითარების იდეას საფუძვლად უდევს ღმერთისადმი პასუხისმგებლობის პრინციპი.¹⁵⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიტერისათვის ტელეოლოგიზმი ამოსავალი წანამძღვარია. შესაბამისად, დედამინაზე მსჯელობის შემდეგ, რიტერს მკაფიოდ უნდა განესაზღვრა გეოგრაფიის შესწავლის საგანი. გეოგრაფიას აინტერესებს დედამინა არა სხვა ციურ სხეულებთან მიმართებაში, არამედ როგორც თავისთავადი და თავისთვის არსებული (როგორც ამას დედამინის ცნება გულისხმობს). „გე“ თავსართი „გეოგრაფიაში“ იმთავითვე მიუთითებს დედამინის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ მეცნიერებისათვის. შესაბამისად, გეოგრაფია შეისწავლის დედამინას მის მთლიანობაში (მის თვისებებს, მოვლენებსა და მათ შორის არსებულ კავშირებს), როგორც დამოუკიდებელ ერთეულს და აჩვენებს ამ ერთიანი მთლიანის მიმართებას ადამიანთან და მის შემოქმედთან ანუ ღმერთთან.¹⁵⁵ ამრიგად, გეოგრაფია მოვლენათა პოზიტიურ გადმოცემას კი არ უნდა ესწრაფოდეს, არამედ მან უნდა აუხსნას ადამიანებს დედამინის, ამ ერთიანი ორგანიზმის, არსება.¹⁵⁶

გეოგრაფიის შესწავლის ობიექტის განსაზღვრებით რიტერი ახერხებს მისთვის სათანადო ადგილის მიჩენას სხვა მეცნიერებებს შორის. ადრე გეოგრაფია ითვლებოდა ისტორიის, პოლიტიკისა და სამხედრო მეცნიერებების, ბუნებისმეტყველებისა და ვაჭრობის დამხმარე დისციპლინად, რომელსაც დამოუკიდებელი შესწავლის საგანი არ გააჩნდა. ის აღნიშნულ დარგებს მზა მასალებს აწვდიდა ამ მასალებისადმი სისტემური მიდგომის გარეშე. გეოგრაფიის სახელმძღვანელოები წარმოადგენდა კომპენდიუმებს, სადაც მასალა ყოველგვარი სისტემატიზაციისა და შედარების გარეშე იყო თავმოყრილი, ეს ლექსიკონები უფრო იყო, ვიდრე სახელმძღვანელოები.¹⁵⁷ ასეთ ვითა-

153 იქვე; იხ., ასევე, A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 28; A. Hettner, *Die Geographie. Ihre Geschichte, ihr Wesen und ihre Methoden*, გვ. 300.

154 იხ. E. Plewe, *Carl Ritter. Neuere Forschungen von Ernst Plewe*, გვ. 53-54.

155 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xx.

156 იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 27.

157 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xxii-xxiv. რიტერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიის სწავლების და, ზოგადად, დიდაქტიკისა და პედაგოგიკის საკითხებს. საუნივერსიტეტო კარიერის დაწყებამდე რიტერი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა: 1798-1813 წლებში იგი

რებაში, როდესაც გეოგრაფია სხვა მეცნიერებების მსახურის როლს ასრულებს, გეოგრაფია, შესაძლოა იყოს როგორც ისტორია, ასევე, სტატისტიკა, ფიზიკა და კიდევ სხვა მრავალი მეცნიერება. მაგრამ, რიტერის მიხედვით, ასეთი ვითარება დამლუშველია გეოგრაფიისათვის. ის ვერ შეძლებს ყველა მეცნიერების აგრეგატად არსებობას და „ნაირფეროვან მოზაიკად“ დარჩენას. დეზინტეგრაციული ძალებისაგან თავის დასაღწევად ის ერთ მყარ პრინციპს უნდა ჩაეჭიდოს. ეს პრინციპია ბუნების ყველა მოვლენისა და ფორმის დამოკიდებულება ადამიანთა მოდგმასთან.¹⁵⁸

რიტერის ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოგრაფიისა და ისტორიის ურთიერთმიმართებას. „შედარებით გეოგრაფიაში“ ერთ-ერთი ქვეთავის სათაურია „ისტორიული ელემენტი გეოგრაფიაში.“ აქ რიტერის ძირითადი თეზისი ასეთია: ადამიანთა მოდგმა უფრო და უფრო თავისუფლდება ბუნების ძალების ზეგავლენისაგან. ცალკეული რეგიონების და მთელი კონტინენტების ისტორია, რიტერის მიხედვით, ამას ადასტურებს.¹⁵⁹ დედამიწის ზე-

ფრანკფურტელი ბანკირის, ჰოლვეგის ვაჟების კერძო მასწავლებელი იყო (იმავე პერიოდში იგი ასწავლიდა, ასევე, ცნობილი ფრანკფურტელი ანატომისა და ქირურგის, ზიომერინგის ვაჟსაც). რიტერი პირადად იცნობდა ცნობილ შვეიცარიელ პედაგოგს, იოჰან ჰაინრიხ პესტალოცის (1746-1827 წწ.). პესტალოცის პედაგოგიურმა შეხედულებებმა გარკვეული ზეგავლენა იქონიეს რიტერზე. იხ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Ausenseiter – Gelehrte*, გვ. 106-110; E. Plewe, *Carl Ritter. Neuere Forschungen von Ernst Plewe*, გვ. 17-23; A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 61-72. რიტერისათვის გეოგრაფია სასწავლო დისციპლინა და ის ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას ემსახურება. ბერლინის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში რიტერი თანაბარი ყურადღებით ეკიდებოდა როგორც კვლევას, ასევე, სწავლებას. იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 24 და 99; K. E. Müller, *Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen*, გვ. 26-28.

158 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xxvii-xxviii; A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 24. ამ მიმართებით რიტერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს *ეთნოგრაფიაზე* და მას „გეოგრაფიის უდიდეს დამხმარეს“ უწოდებს. იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xxviii.

159 შტრ. C. Ritter, *Einleitung zur allgemeinen vergleichenden Geographie, und Abhandlungen zur Begründung einer mehr wissenschaftlichen Behandlung der Erdkunde*. Berlin: Georg Reimer, 1852, გვ. 152 და შმდ.; C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. 58-68. რიტერი განიხილავს დედამიწის სხვადასხვა რეგიონებზე ადამიანთა აქტივობის შედეგებს: ნილოსის ქვიშიანი ხეობა ეგვიპტელების შრომის შედეგად ნაყოფიერ მიწებად იქცა; ალპები, რომ-

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

დაპირის შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს ისტორიული განვითარების ანალიზი. ანმყოფ ანალიზს წარსულის ანალიზი უნდა უსწრებდეს წინ. რიტერისათვის ემპირიული რეალობის შესწავლა ანალიზის დროს ისტორიული მომენტის გათვალისწინებას მოითხოვს,¹⁶⁰ რაც, თავის მხრივ, ისტორიული წყაროების (აქ შედის მოგზაურთა ჩანაწერებიც) კრიტიკულ ანალიზს გულისხმობს.¹⁶¹ ამრიგად, გეოგრაფიის

ლემბიც ერთ დროს ევროპის სამხრეთსა და ჩრდილოეთს ერთმანეთისაგან აცალკევებდა, ტურისტების საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა; საჰარის უდაბნო საქარავნო გზებმა დასერა; ზღვები კი არ აცალკევებენ კონტინენტებს, როგორც ადრე იყო, არამედ, საზღვაო ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, ისინი დამაკავშირებლის როლს ასრულებენ. თუ ასი წლის წინ ჩინეთამდე მოგზაურობას რვა თვე სჭირდებოდა, ახლა იგივე მანძილის დაფარვას ოთხი თვე სჭირდება; სამყაროს განცალკევებული ნაწილები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა: ხორბლის მოსავალი ავსტრალიაში განსაზღვრავს პურის ფასს ლონდონში, ხოლო ბამბის ფასი ამერიკაში განსაზღვრავს საქონლის ფასს ევროპაში. ზემოთქმული მიანიშნებს იმაზე, რომ დრომ დიდი ზეგავლენა მოახდინა დედამიწის გეოგრაფიულ განვითარებაზე. თუმცა, ეს ზეგავლენა დედამიწის ყველა ნაწილზე ერთნაირი როდია. ზოგიერთი ადგილი და ერი აღმავლობას განიცდის, ზოგიერთი კი – არა. ევროპა ქვეყნის ყველაზე უფრო პროგრესული ნაწილია. დანაწევრებულმა სანაპირო ზოლმა ხელი შეუწყო ზღვოსნობის განვითარებას და ევროპას გაბატონებული მდგომარეობა მოუპოვა. მაგრამ რიტერი ქვეყნის სხვა ნაწილებზე ევროპის მუდმივი დომინანტობის მომხრე როდია. იგი სხვა რეგიონების განვითარების შესაძლებლობასაც აღიარებს. მაგალითად, მისი აზრით, ცენტრალური აფრიკის ისტორია თავიდან ბოლომდე მომავლის კუთვნილებათაა. ქვეყნის ამ ნაწილის პოტენციალი ჯერ კიდევ არაა რეალიზებული, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ამოცანა განუხორციელებლია. იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. 59-64. ასევე, ძველი სამყარო შემამზადებელი საფეხური იყო ახალი სამყაროსათვის. ამერიკის აღმოჩენით ახალი ეტაპი იწყება კაცობრიობის ისტორიაში (იქვე, გვ. 56). გარდა ამისა, რიტერი ოპტიმისტურდაა განწყობილი ტექნიკური პროგრესის მიმართ. სუეცისა და პანამის არხების მშენებლობას; ურალის, კავკასიონისა და ჰიმალაის მთათა სისტემების გზებით დაქსელვას; რკინიგზების მშენებლობას ცენტრალური აფრიკის პლატოზე იგი გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევს (იქვე, გვ. 66). ტექნიკური პროგრესისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი ე. კაპთან, რომელსაც ქვემოთ საგანგებო ქვეთავი ეთმობა (2.8).

¹⁶⁰ მკვლევარები მიუთითებენ მსგავსებაზე, რომელიც, ამ მიმართებით, გერმანელი ფილოსოფოსის, ფ. ვ. შელინგისა და რიტერის ნააზრევს შორის არსებობს. იხ. A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 30.

¹⁶¹ იქვე, გვ. 29-30.

ამოცანას ემპირიული და ისტორიული მოცემულობების ანალიზი და მათი სინთეზი წარმოადგენს.

კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში რიტერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონს, რომელიც „აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ტროპიკული სამხრეთის დაპირისპირების საზღვარზე“ მდებარეობს. რიტერს მხედველობაში აქვს ტერიტორია „ინდოეთის მთიანეთიდან იტალიამდე და ნილოსიდან დონამდე, ევფრატისა და გიჰონის¹⁶² ხეობების ჩათვლით. აღნიშნულ რეგიონს რიტერი კაცობრიობის აზროვნებისა და კულტურის აკვნად მიიჩნევს.¹⁶³ აზია-აფრო-ამერიკულმა სარტყელმა უდიდესი გავლენა მოახდინა კაცობრიობის ისტორიაზე, რასებისა და ენების განსხვავებაზე, ახალი ტერიტორიების ათვისებაზე და ა.შ.¹⁶⁴ შემდგომში პროგრესმა ცენტრალური რეგიონიდან პერიფერიებისაკენ გადაინაცვლა. კულტურული განვითარების რიტერისეული მოდელი მზარდი კონცენტრული წრეების სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელიც ცენტრალური რეგიონის ირგვლივ ხორციელდება.¹⁶⁵ განვითარების ეს მოდელი, რიტერის მიხედვით, ნათლად აჩვენებს კულტურული განვითარების დამოკიდებულებას გეოგრაფიულ პირობებზე.¹⁶⁶ ამ კავშირის გარეშე

162 მდ. გიჰონი (გიხონი) ძველ აღთქმაშია ნახსენები იმ ოთხ მდინარეთა შორის, რომლებიც ედემის ბაღიდან გამოედინება: „მეორე მდინარის სახელია გიხონი; იგი გარს უვლის მთელს ქუშის ქვეყანას“ (დაბ. 2:13). ცნობილია, რომ „ქუშის ქვეყანა“ ეთიოპიაა. თავად რიტერი, „გიჰონში“, სავარაუდოდ, მდ. ამუდარიას გულისხმობს. შდრ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History. Introduction: Reason in History*. Translated by H. B. Nisbet, Cambridge: Cambridge University Press, 1998, გვ. 192.

163 რიტერი რატომღაც არ ასახელებს მდინარეების, ხუანხესა და იანძის ხეობებს, რომლებშიც უძველესი ცივილიზაციები ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში წარმოიშვა.

164 იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. 67. როგორი დამოუკიდებელიც არ უნდა ჩანდეს ახალი სამყაროსა და ავსტრალიის განვითარება, მათი ისტორიის შესწავლისას, რიტერის მიხედვით, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს მათი მიმართება ძველ სამყაროსთან (იქვე, გვ. 68).

165 იხ. K. E. Müller, *Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen*, გვ. 36.

166 რიტერი დარწმუნებული იყო, რომ კულტურის ისტორიაზე გარემო პირობები დიდ ზეგავლენას ახდენდა: „ცალკეული მხარის ზეგავლენა მისი მაცხოვრებლების რაოდენობაზე, კანის ფერზე, მეტყველებაზე და ტემპერამენტზე, აშკარაა. [...] ხალხში აირეკლება ის ქვეყანა, სადაც ეს ხალხი ცხოვრობს.“ იხ. C. Ritter, *Comparative Geography*, გვ. xviii. იხ., ასევე, K. E. Müller, *Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen*, გვ. 31-32.

ისტორიულ მოვლენათა მსვლელობა სრულიად განსხვავებული გზით წარიმართებოდა. კულტურული პროგრესი ცალსახად დაიწყო „გეოგრაფიული ცენტრიდან“, ანუ იმ რეგიონიდან, რომლის არეალიც ზემოთ იქნა მოცემული.¹⁶⁷

რიტერს დიდი დამსახურება მიუძღვის გეოგრაფიის განვითარებაში. თავის „დედამიწისმცოდნეობაში“ მან სისტემურად განიხილა დედამიწის ზედაპირი, როგორც ბუნებისა და ისტორიული ქმნადობის ასპარეზი და მკვეთრად გამოიჯნა გეოგრაფიის შესწავლის საგანი და კვლევის მეთოდები სხვა მეცნიერებებისაგან.¹⁶⁸ სხვადასხვა დროს რიტერის ლექციებს ესწრებოდნენ ჰელმუტ ფონ მოლტკე, კარლ მარქსი, კომპოზიტორი ფელიქს მენდელსონ-ბერთოლდი, ცნობილი გერმანელი ეგვიპტოლოგი ჰაინრიხ კარლ ბრუგში და სხვები. რიტერის მოსწავლეები იყვნენ ცნობილი გეოგრაფები, ელიზე რეკლიუ (1830-1905 წწ.) და არნოლდ გიო (1807-1884 წწ.).¹⁶⁹

რიტერის კოლეგა ბერლინის უნივერსიტეტში იყო მისი უფროსი თანამედროვე, გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, რომელიც ამ უნივერსიტეტში 1818 წლიდან გარდაცვალებამდე (1831 წ.) მოღვაწეობდა. მომდევნო ქვეთავში განხილულია ჰეგელის შეხედულებები ისტორიის, გეოგრაფიისა და ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

167 იხ. K. E. Müller, Carl Ritter und die Kulturhistorische Völkerkunde Darstellung und Überlegungen, გვ. 31-32.

168 იხ. E. Plewe, *Carl Ritter. Neuere Forschungen von Ernst Plewe*, გვ. 38-39.

169 რიტერის სიცოცხლეში მისი შეხედულებები გააკრიტიკა იულიუს ფრიობელმა თავის ნაშრომში „გეოგრაფიული მეცნიერებების სისტემის მონახაზი“ (1836 წ.). ფრიობელი ეწინააღმდეგებოდა რიტერის რეგიონალურ მიდგომას. იგი გეოგრაფიის ამოცანად დედამიწის ზედაპირის სისტემატურ აღწერას მიიჩნევდა და ამ მხრივ, ახლოს იდგა ა. ფონ ჰუმბოლდტისა და ი. კანტის შეხედულებებთან. თუმცა, ფრიობელის კრიტიკას (ისევე, როგორც რიტერის პასუხს), სამეცნიერო წრეებში გამოხმაურება არ მოჰყოლია. იმ პერიოდის გეოგრაფები რიტერს, ძირითადად, „დედამიწისმცოდნეობაში“ განვითარებული აზრებით აფასებდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ ერთი შეხედვით „წვრილმან“ მეთოდოლოგიურ კამათს. იხ. R. Hartshorne, *The Concept of Geography as a Science of Space, from Kant and Humboldt to Hettner*, გვ. 102-103; A. Schach, *Carl Ritter (1779-1859): Naturphilosophie und Geographie*, გვ. 34-36; M. Church, *Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography*, გვ. 33-34.

2.7. გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი: „მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძველი“

თავის ნაშრომში „ლექციები მსოფლიო ისტორიის ფილოსოფიის შესახებ“ (1822 წ. და შმდ.), ჰეგელმა ცალკე თავი დაუთმო ისტორიისა და გეოგრაფიის კავშირის განხილვას. აღნიშნულ თავს ეწოდება „მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძველი.“¹⁷⁰

დასაწყისში ჰეგელი გადმოსცემს ზოგად ნაწინამძღვარს, რომლის თანახმად, მსოფლიო ისტორია წარმოადგენს სულის იდეას, რომელიც რეალობაში გარეგანი ფორმების თანმიმდევრობის სახით ვლინდება. შესაბამისად, ყოველი ხალხი, რომელიც სულის განვითარების კონკრეტულ საფეხურს განასახიერებს, ერს წარმოადგენს. თვითცნობიერების საფეხური, რომელსაც სული აღწევს, მსოფლიო ისტორიაში ეროვნული სულის ანუ მოცემულ მომენტში არსებული ერის სახით მჟღავნდება. თვითცნობიერების ეს საფეხური დროსა და სივრცეში არსებობს. თითოეულ მსოფლიო-ისტორიულ ერს განსხვავებული პრინციპი აქვს. ყოველი კერძო ეროვნული პრინციპი ბუნებრივ განსაზღვრულობას ექვემდებარება. ასე რომ, ის ბუნებრივი პრინციპის სახითაც გვევლინება. განსხვავებული ეროვნული სულები დროსა და სივრცეში განცალკევებულად არსებობენ. ამ მიმართებით, ბუნებრივი კონტექსტის გავლენა ანუ სულიერსა და ბუნებრივს (ეროვნულ სულისკვეთებას და ა. შ.) შორის დამოკიდებულება საგრძნობი ხდება. ეს დამოკიდებულება წმინდად გარეგნული ფორმისაა, თუმცა ის მსოფლიო სულის მოძრაობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.¹⁷¹

სულის განვითარების კონკრეტულ საფეხურს ჰეგელთან კონკრეტული ბუნებრივი ფორმა შეესატყვისება. ეს კონკრეტულობა ბუნებრივი პრინციპის ანუ კონკრეტული ბუნებრივი განსაზღვრულობის სახით არსებობს. ბუნებრივი ექსისტენციის დროს, ჰეგელის მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ განმსაზღვრელი რეალობის ორი ასპექტი: ერთი მხრივ, ერის ბუნებრივი ნება ანუ მისი სუბიექტური დისპოზიცია; მეორე მხრივ, კონკრეტულად არსებული გარე-

170 ჰეგელის შეხედულებებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ჰერდერის ნააზრევმა. ჰ. შნაიდერის მიხედვით, „ეს მამინაც ვლინდება, როდესაც ჰეგელი პირდაპირ ჰერდერზე არ უთითებს.“ იხ. ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია: წყლის მნიშვნელობა ისტორიისათვის – ევროპა და აზია“, გვ. 50.

171 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History. Introduction: Reason in History*, გვ. 152.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

განი ბუნების ფორმა. რადგან ბუნებრივი განსაზღვრულობის ფარგლებში ადამიანი არ არის თავისუფალი, იგი, შესაძლოა, აღწეროთ, როგორც გრძნობათა ქმნილება. გრძნობათა სამყარო, ასევე, ორი ასპექტისაგან შედგება: სუბიექტურობა და გარეგნული ბუნება. ეს უკანასკნელი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გეოგრაფიული ასპექტი.¹⁷²

შემდეგ ჰეგელი გადადის იმ განსხვავებების განხილვაზე, რომლებიც ბუნებაში არსებობს. ამ განსხვავებებს იგი განიხილავს როგორც შესაძლებლობებს, საიდანაც სული ვითარდება. ეს შესაძლებლობები სულის გეოგრაფიულ საფუძველს ქმნის. ერის ხასიათი ვლინდება იმით, თუ რა ადგილს იკავებს ის მსოფლიო ისტორიაში. ჰეგელი უარყოფს თვალსაზრისს, რომლის თანახმად ერის ხასიათის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს გარემო პირობები ასრულებს. კლიმატის ზეგავლენას გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. ჰეგელს მოჰყავს იონიის სანაპირო ზოლის მაგალითი. გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, იონიის რბილმა კლიმატმა წარმოშვა ჰომეროსი და ხელი შეუწყო მისი პოემების სურათოვნებას. თუმცა, იონიის კლიმატს შემდგომში ჰომეროსები არ წარმოუშვია, განსაკუთრებით კი თურქების მმართველობის პირობებში, შენიშნავს ჰეგელი.¹⁷³

მიუხედავად ამისა, ჰეგელი კლიმატის **გარკვეულ** ზეგავლენას მაინც აღიარებს: ცხელი და ცივი რეგიონები ვერ იქნება ადამიანური თავისუფლების ან მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ერების საფუძველი. რადგან ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, გრძნობათა ქმნილებაა, ბუნებასთან გრძნობადი კავშირის ფონზე, მან უნდა შეძლოს შინაგანი თავისუფლების მიღწევა. მაგრამ იქ, სადაც ბუნება საკმაოდ ძლიერია, იგი ამას ვერ შეძლებს.¹⁷⁴ მკაცრი ბუნებრივი პირობები არ არის ხელსაყრელი სულიერი განვითარებისათვის. ჰეგელი უთითებს არისტოტელეზე, რომლის თანახმად, ადამიანი მხოლოდ არსებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ იწყებს ამაღლებულ საგნებზე ფიქრს.¹⁷⁵ ცხელ და ცივ ზონებში ადამიანზე ბუნებაა გაბატონებული. ამგვარ კლიმატურ პირობებში ბუნების ძალა საკმაოდ დიდია იმისათვის, რათა ადამიანმა ბუნებისაგან თავის დაღწევა შეძლოს ან საკუთარი ძალების მობილიზება მოახდინოს

172 იქვე, გვ. 153.

173 იქვე, გვ. 154. იხ., ასევე, ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 71.

174 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History. Introduction: Reason in History*, გვ. 154.

175 შდრ. არისტოტელე, „მეტაფიზიკა“, A, 982b11-982b28.

მის წინააღმდეგ. ასეთ რეგიონებში ადამიანი იძულებულია, მთელი ყურადღება ბუნებისადმი ჰქონდეს მიპყრობილი. ცივი და ცხელი რეგიონები არ არის ის ასპარეზი, სადაც, შესაძლოა, მსოფლიო ისტორია განვითარდეს. ასეთი უკიდურესობები შეუთავსებელია სულიერ თავისუფლებასთან. მსოფლიო ისტორიის მსვლელობა ზომიერ სარტყელში (განსაკუთრებით კი, ზომიერი სარტყლის ჩრდილოეთ ნაწილში) ხორციელდება.¹⁷⁶

ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი განსაზღვრულობებიდან ჰეგელი **ხმელეთსა და ზღვას** გამოყოფს. ხმელეთზე სამი ძირითადი ფორმა შეიძლება გამოიყოს: 1. ზეგანი; 2. დაბლობი, სადაც მდინარე გაედინება; 3. სანაპირო რეგიონი. პირველი მათგანი – **ზეგანი** – ჩაკეტილი და ამორფულია. ზეგანზე, ძირითადად, ნომადური ტომები ცხოვრობენ. ისინი არ არიან მინას მიჯაჭვულები და მათ შორის ხშირია ურთიერთდაპირისპირება. მთიანი გარემო ხელს უწყობს მის მაცხოვრებლებში სიმამაცისა და დამოუკიდებლობის გრძნობის განვითარებას. მათი ცხოვრების წესი პატრიარქალურია და მათ არ გააჩნიათ სამართლებრივი სისტემა, რომელიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს მაცხოვრებლებს შორის.¹⁷⁷

ხმელეთის მეორე ფორმა **დაბლობია**, სადაც წყალუხვი მდინარე გაედინება. მდინარის მიერ ჩამოტანილი შლამის შედეგად ნიადაგი ასეთ დაბლობზე ნაყოფიერია. ნაყოფიერი ნიადაგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და მომთაბარე ცხოვრების წესიდან მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლას. ადამიანთა მოთხოვნილებები მხოლოდ აწმყოთი როდია შემოფარგლული. სეზონური მონაცვლეობა, რომელიც დაბლობში უფრო მკვეთრადაა გამოხატული, ადამიანებს სამუშაო იარაღების შექმნისა და მომავლის გათვალისწინებისაკენ უბიძგებს. სწორედ ასეთი დაბლობი წარმოადგენს ცივილიზაციის ცენტრს, სადაც პირველად ჩნდება **შინაგანი თავისუფლება**. ეს თავისუფლება თავისი კონკრეტულობით განსხვავდება ზეგანზე მაცხოვრებელი ნომადური ტომების **აბსტრაქტული თავისუფლებისაგან**.¹⁷⁸

ჰერდერისაგან განსხვავებით, ჰეგელი მიიჩნევს, რომ წყალი (მდინარეები, ზღვები, ოკეანეები) არ გვევლინება ბუნებრივ განმაცალკევებელ ფაქტორად განსხვავებულ ხალხებს შორის. პირიქით, წყალი აერთიანებს, მიიჩნევს ჰეგელი. ბუნებრივი მიჯნის ფუნქციას

176 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History. Introduction: Reason in History*, გვ. 155. იხ., ასევე, ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 68-70.

177 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 156-158.

178 იქვე, გვ. 158-159; ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 59-62.

მხოლოდ მთაგრეხილები ასრულებს.

ამასთან დაკავშირებით ჰეგელი განიხილავს ხმელეთის მესამე ფორმას – სანაპირო რეგიონს – და **დამოკიდებულებას ხმელეთსა და ზღვას** შორის. **ზღვა** ხელს უწყობს ვაჭრობისა და ნაოსნობის განვითარებას. ის ადამიანებში გაბედულებას აღძრავს: ვაჭრები, რომლებიც შორეულ ქვეყნებში მიემგზავრებიან, საკუთარ სიცოცხლეს გამუდმებით საფრთხეში აგდებენ.¹⁷⁹

ძველი და ახალი სამყაროს განხილვისას ჰეგელი ევროპოცენტრისტად გვევლინება. იგი გამუდმებით ხაზს უსვამს ამერიკის კონტინენტის მაცხოვრებლების ჩამორჩენილობასა და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ჩანასახოვან მდგომარეობას.¹⁸⁰ რაც შეეხება ძველ სამყაროს, ჰეგელი მის შემადგენელ ქვეყნის ნაწილებს (ევროპა, აზია, აფრიკა) ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ აჯგუფებს. **ხმელთაშუა ზღვის** მაგალითზე ჰეგელი აჩვენებს, რომ ზღვა დამაკავშირებლის ფუნქციას ასრულებს: საუკუნეების განმავლობაში ხმელთაშუა ზღვა ძველი სამყაროს ცენტრად რჩებოდა. მაგრამ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ძველი სამყაროთი როდი შემოიფარგლება: ხმელთაშუა ზღვა, ასევე, მსოფლიო ისტორიის ცენტრს წარმოადგენს. მსოფლიო ისტორია მის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. იულიუს კეისრის მიერ გალიის დაპყრობა ეპოქალური მოვლენაა, რადგან ამის შედეგად ევროპის დანარჩენი ნაწილი ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ცივილიზაციების გავლენის ქვეშ მოექცა.¹⁸¹

ძველი სამყაროს შემადგენელ ნაწილებს ჰეგელი ხმელეთის რომელიმე ფორმის დომინანტურობის პრინციპის თანახმად განიხილავს: აფრიკაში გაბატონებული ხმელეთის ფორმა ზეგანია, რასაც ჰეგელი კულტურულ ჩამორჩენილობასთან აიგივებს; აზიაში ხმელეთის ორი ფორმის – ზეგანისა და დაბლობის – დაპირისპირება ანტითეზისს ქმნის, მაგრამ დომინანტური პრინციპი იქ მაინც დაბლობია, სადაც წყალუხვი მდინარეები გაედინება; რაც შეეხება ევროპას, ის სამივე პრინციპის (ზეგანი, დაბლობი, სანაპირო რეგიონი) ერთიანობას გა-

179 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 159-161; ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 62-65.

180 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 163-171. მიუხედავად ამისა, ჰეგელი ამერიკას მომავლის კონტინენტს უწოდებს (იქვე, გვ. 170).

181 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 171-172; ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 51-56. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, კარლ შმიტმა, თავის ნაშრომში „ხმელეთი და ზღვა“ (1942 წ.), ანალოგიურ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება (იხ. ქვეთავი 3.3).

ნასახიერებს.¹⁸² ჰეგელი აქ კარლ რიტერის ზეგავლენას განიცდის, რომელზეც მიუთითებს კიდევ. რიტერის მსგავსად, რომელიც ყოველ კონტინენტს გარკვეულ ფუნქციას ანიჭებდა, ჰეგელისთვისაც ქვეყნის ნაწილები გარკვეული პრინციპის გამოხატულებას წარმოადგენს: აფრიკაში ყველაზე მკვეთრად გამოხატული გრძნობადი პრინციპია, აქ დიდი ფიზიკური ძალა თვითცნობიერების დაბალ საფეხურს შეესატყვისება. აზია ანტითეზისია; დაპირისპირების პოლუსებზე, ერთი მხრივ, ეთიკური ცხოვრების წესია, რომელიც მუდამ უცვლელი რჩება, მეორე მხრივ კი, მისი საპირისპირო – ეგოტიზმი, დაუკმაყოფილებელ სურვილთა ურიცხვი რაოდენობა და თავისუფლების განვრცობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. რაც შეეხება ევროპას, ის განასახიერებს სულიერ ერთიანობას, უსაზღვრო თავისუფლების უარყოფას და კონკრეტულისაკენ მიბრუნებას, კონკრეტულობის უნივერსალურ პრინციპამდე აღმასვლას, სულის საკუთარ თავთან დაბრუნებას. ჰეგელის აზრით, აღნიშნული განსხვავებები რიტერის მიერაა ფორმულირებული და გამოხატული. იგი მიიჩნევს, რომ რიტერის შრომები საგულისხმო ცნობებს შეიცავს გეოგრაფიის ისტორიული წანამძღვრების შესახებ.¹⁸³ ამრიგად, ჰეგელთან ძველი სამყაროს ნაწილების მორფოლოგიურ აგებულებას მაცხოვრებელთა მორალური ცხოვრების წესი და თვითცნობიერების განვითარების საფეხურები შეესატყვისება. ევროპა მორფოლოგიურად ყველაზე უფრო სრულქმნილია, შესაბამისად, სულის განვითარება სწორედ აქ აღწევს კულმინაციას.¹⁸⁴

იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიო ისტორიის განვითარების შესახებაც. აფრიკა არ არის მსოფლიო ისტორიის განვითარების ადგილი. გარემო პირობები, რომლებშიც შავკანიანები ცხოვრობენ, გამოორიცხავს მათ შორის კულტურის განვითარებას და მსოფლიო ისტორიული ერების ჩამოყალიბებას. გრძნობათა დომინირება ქვეყნის ამ ნაწილის მაცხოვრებლებზე ხელს უშლის მორალური პრინციპების ფორმულირებას. აფრიკა „არაისტორიული კონტინენტია.“¹⁸⁵

182 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 172; ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 56-57.

183 მომდევნო გვერდებზე აფრიკის განხილვისას, ჰეგელი აღნიშნავს, რომ აფრიკის საუკეთესო ზოგადგეოგრაფიული აღწერა რიტერს ეკუთვნის. იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 176.

184 იქვე, გვ. 173.

185 იქვე, გვ. 190. აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელიც ისტორიულად ძველ სამყაროს ეკუთვნოდა (ეგვიპტე, კართაგენი) ჰეგელი არც კი თვლის საკუთრივ აფრიკად: კართაგენი ფინიკიური კოლონია იყო, ხოლო ეგვიპტური კულტურა წარმოადგენდა სულის აღმოსავლეთიდან

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

აზია მსოფლიო ისტორიის „ნამდვილი ასპარეზია“.¹⁸⁶ აქ ბუნებისა და სულის სამყაროები ისტორიულ მთლიანობას ქმნიან. აზიის ფიზიკური აგებულება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბსოლუტურ ანტითეზისებს და მათ შორის არსებით კავშირებს წარმოადგენს. სხვადასხვა გეოგრაფიული პრინციპები აზიაში სრულყოფილ ფორმებს ქმნის. აზიის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთის ხეობებს და მათ მაცხოვრებლებს, რომლებიც დაბლობსა და მთიან ზეგანს შორის ცხოვრობენ. ზეგანისა და მთის ხეობის მაცხოვრებლები განუწყვეტლივ ესწრაფვიან ნაყოფიერი ნიადაგის მქონე უხვწყლიან დაბლობებს და ნომადური ცხოვრების მკვიდრი ცხოვრების წესით შეცვლას. ამ გზით, ბუნებრივად განსხვავებული რეგიონები ისტორიულ პროცესში ერთმანეთს უკავშირდებიან.¹⁸⁷

ევროპაში ფიზიკური განსხვავებები ისეთ კონტრასტებს არ ქმნის, როგორც აზიაში. გარდა ამისა, ზღვა ევროპის ისტორიაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რასაც ვერ ვიტყვით აზიის შესახებ. ზღვის პრინციპმა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ინდივიდუალური თავისუფლების განვითარებას შეუწყო ხელი.¹⁸⁸

ამრიგად, ჰეგელისთვის მსოფლიო ისტორიას გეოგრაფიული საფუძველი გააჩნია. ამ საფუძვლის ფარგლებში სული ახორციელებს თავის სვლას თავისუფლებისაკენ. გეოგრაფიული საფუძველი ისტორიის მსვლელობას **არ** განსაზღვრავს, ის ისტორიის მსვლელობას **შეესატყვისება**. ჰეგელთან ეს კარგად ჩანს ზღვის მაგალითზე. „ზღვა ადამიანს დაპყრობისა და ძარცვისაკენ, ასევე, სარგებლის მიღებისა და ქონების მოხვეჭისაკენ მოუწოდებს.“¹⁸⁹ მაგრამ ევროპაში ზღვაოსნობა განვითარდა, ჩინეთში კი – არა. ჩინელებისათვის ზღვა, უბრალოდ, ხმელეთის დასასრულია.¹⁹⁰ ეს იმიტომ, რომ ჰეგელთან მსოფლიო ისტორია, რომელიც თავისუფლების განხორციელების ისტორიაცაა, აღმოსავლეთში იწყება და შემდგომ დასავლეთის მიმართულებით მოძრაობს.¹⁹¹ ამრიგად, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სვლის ერთ-ერთ საფეხურს და მას „აფრიკულ სულთან“ არანაირი შეხება არ ჰქონია (იქვე).

186 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 190.

187 იქვე, გვ. 191-194.

188 იქვე, გვ. 196.

189 იქვე, გვ. 160.

190 იქვე, გვ. 161.

191 იქვე, გვ. 196 და შმდ.; ჰ. შნაიდერი, „თავისუფლების ისტორია ჰეგელთან“ // თ. ირემაძე (რედ.), „რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ“. თბილისი: „ნეკერი“, 2010 წ., გვ. 36-61;

თისაკენ სვლის დროს, მსოფლიო ისტორიას შესატყვისი გეოგრაფიული საფუძველი ხვდება, რომელზეც ის მოძრაობს. მსოფლიო ისტორია, აზიის გავლით, კულმინაციას ევროპაში აღწევს. ამის საფუძველს ევროპის ლანდშაფტური ფორმების ერთიანობა ქმნის.¹⁹²

ჰეგელის შეხედულებები მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძველების შესახებ მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა: XX საუკუნეში ამის მაგალითებია გერმანელი სამართალმცოდნე და ფილოსოფოსი კარლ შმიტი (1888-1985 წწ.) და გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ფერნანდ ბროდელი (1902-1985 წწ.). პირველმა თავის „ხმელეთსა და ზღვაში“ განავრცო ჰეგელის ძირითადი დებულებები ისტორიისა და გეოგრაფიის დამოკიდებულების შესახებ, რაც ქვემოთ უფრო დანვრილებითაა განხილული. რაც შეეხება ბროდელს, იგი თავის მონუმენტურ ნაშრომში „ხმელთაშუაზღვისპირეთი და მისი სამყარო ფილიპე II ეპოქაში“ ხმელთაშუა ზღვის ფიზიკური თავისებურებების განხილვას პირველი ტომის თითქმის მთელ პირველ ნაწილს უთმობს, რაც 250 გვერდს აღემატება.¹⁹³ ჰეგელის დებულებამ, რომლის თანახმად გეოგრაფია მსოფლიო ისტორიის საფუძველს წარმოადგენს, ბროდელთან თვალსაჩინო გამოხატულება ჰპოვა.

თუმცა, ჰეგელის ნააზრევი გეოგრაფიისა და ფილოსოფიის შესახებ უკვე XIX საუკუნეში მეტად ორიგინალურად და საინტერესოდ განავითარა მისმა მიმდევარმა, ერნსტ კაპმა (1808-1896 წწ.).

E. Holenstein, *Philosophie-Atlas: Orte und Wege des Denkens*, გვ. 48-49.

192 იხ. G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History*, გვ. 194-196. მ. შვინდი მიიჩნევს, რომ ჰეგელის განაზრებებში გეოგრაფიული გარემოს შესახებ, შესაძლებელია, ორი ასპექტი გამოვყოთ: 1. ბუნება სულის განვითარების კონკრეტულ საფეხურთან შესატყვისობაშია; 2. ბუნება სულს აქტიურობისაკენ აღძრავს. ბუნებისა და სულის ურთიერთქმედების შედეგია კულტურა, ხოლო ლანდშაფტში ადამიანური ნება ობიექტივირდება. იხ. M. Schwind, *Die geographischen "Grundlagen" der Geschichte bei Herder, Hegel und Toynbee*, გვ. 5-6.

193 იხ. F. Braudel, *The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II*. Translated by S. Reynolds, vol. 1. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1995, გვ. 23-275.

2.8. ერნსტ კაპის ფილოსოფიური გეოგრაფია

ერნსტ კაპის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ქართულ სინამდვილეში თითქმის არაფერია ცნობილი,¹⁹⁴ ამიტომ, მისი შემოქმედების განხილვამდე, ქვემოთ მოკლედ განვიხილავ მისი ცხოვრების გზას.

ე. კაპი დაიბადა 1808 წელს ქ. ლუდვიგშტადტში (გერმანია) სამართლო მოხელის ოჯახში. ექვსი წლის ასაკში კაპს მშობლები და ორი დედამიწვილი (სულ კაპს თერთმეტი და-ძმა ჰყავდა) ტიფთი გარდაეცვალა. დაობლებული კაპი გაიზარდა მისი უფროსი ძმის, გიმნაზიის მასწავლებლის, ფრიდრიხ კაპის ოჯახში. 1824-1828 წლებში კაპი ბონის უნივერსიტეტში კლასიკურ ფილოლოგიას სწავლობდა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კაპი, ძმის მსგავსად, გიმნაზიის მასწავლებელი გახდა. 1830-1849 წლებში იგი ქალაქ მინდენის გიმნაზიაში ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიდა. 1845 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „ფილოსოფიური ანუ შედარებითი საყოველთაო გეოგრაფია, როგორც დედამიწაზე არსებული მიმართებებისა და ადამიანთა ცხოვრების მეცნიერული გადმოცემა მათი შინაგანი კავშირების მიხედვით.“¹⁹⁵

1848 წელს გერმანიაში რევოლუცია დაიწყო. კაპი ლიბერალი იყო და რევოლუციას აშკარად თანაუგრძობდა. მისი რევოლუციური იდეალები გამოხატულია ნაშრომში „კონსტიტუირებული დესპოტიზმი და კონსტიტუციური თავისუფლება“.¹⁹⁶ საბოლოო ჯამში, კაპი იძულებული გახდა, გერმანია დაეტოვებინა და ოჯახთან ერთად აშშ-ში გადასახლებულიყო.¹⁹⁷ კაპების ოჯახი ცენტრალურ ტენასში

194 გამონაკლისის სახით გამოვყოფდი ორ შემთხვევას: ჰ. შნაიდერი თავის ნაშრომში „ფილოსოფიური გეოგრაფია. წყლის მნიშვნელობა ისტორიისათვის: ევროპა და აზია“ მიუთითებს ე. კაპსა და კ. შმიტს შორის არსებულ კავშირზე (გვ. 73 და 75). შმიტი კაპზე საუბრობს თავისი ნაშრომის, „ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება“, მეოთხე თავის დასაწყისში (გვ. 61-62). თუმცა, იგი მხოლოდ კაპის მიერ ისტორიის სამსაფეხუროვან დაყოფაზე (რომელსაც წყლის პრინციპი უდევს საფუძვლად) ამახვილებს ყურადღებას.

195 იხ. E. Kapp, *Philosophische oder vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung der Erdverhältnisse und des Menschenlebens nach ihrem innern Zusammenhang*. 2 Bde, Braunschweig: George Westermann, 1845.

196 იხ. E. Kapp, *Der constituirte Despotismus und die constitutionelle Freiheit*. Hamburg: Hoffmann und Campe, 1849.

197 იხ. H.-M. Sass, 'Die Novemberrevolution in Berlin 1848.' *Aufklärung und Kritik*,

დასახლდა. შეერთებულ შტატებში კაპი აქტიურად მონაწილეობდა ტეხასის გერმანული კოლონიის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აშშ-ს სამოქალაქო ომში კაპის შვილებიც იღებდნენ მონაწილეობას (ერთი შვილი კონფედერაციის მხარეს იბრძოდა). ომის დასრულების შემდეგ კაპი გერმანიას ესტუმრა ვიზიტით. თუმცა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ექიმებმა მას ურჩიეს, აშშ-ში დაბრუნებისაგან თავი შეეკავებინა. კაპი გერმანიაში დარჩა. იგი იყო პრივატ-დოცენტი დიუსელდორფის უნივერსიტეტში. 1868 წელს კაპმა თავისი „ფილოსოფიური გეოგრაფია“ მეორეჯერ გამოსცა ახალი სათაურით „შედარებითი საყოველთაო გეოგრაფიის მეცნიერული გადმოცემა.“¹⁹⁸ 1877 წელს მან გამოსცა მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი: „ტექნიკის ფილოსოფიის საფუძვლები“.¹⁹⁹ კაპი გარდაიცვალა დიუსელდორფში 1896 წელს.²⁰⁰

„შედარებით საყოველთაო გეოგრაფიაში“²⁰¹ კაპი გამოყოფს ფიზიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გეოგრაფიას. ფიზიკური გეოგრაფიის შესწავლის საგანს დედამიწა წარმოადგენს.²⁰² თავდაპირველად კაპი განიხილავს დედამიწას მზესთან, მთვარესთან და საკუთარ თავთან მიმართებაში²⁰³ (ამ მიმართებებს კაპი „პლანეტარულ მიმართებებს“ უწოდებს). შემდეგ იგი გადადის დედამიწის ზედაპირის თვისებების განხილვაზე. ძველი ტრადიციის მიხედვით, რომელიც

1 (2003), გვ. 49.

198 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*. Zweite verbesserte Auflage, Braunschweig: George Westermann, 1868.

199 იხ. E. Kapp, *Grundlinien einer Philosophie der Technik. Zur Entstehungsgeschichte der Cultur aus neuen Gesichtspunkten*. Braunschweig: George Westermann, 1877.

200 იხ. C. Mitcham, *Thinking through Technology: The Path between Engineering and Philosophy*. Chicago: The University of Chicago Press, 1994, გვ. 20-23.

201 წინამდებარე განხილვისას დავემყარე კაპის „ფილოსოფიური გეოგრაფიის“ მეორე გამოცემას. იხ. შენიშვნა 198.

202 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 33-34.

203 აქ კაპი განიხილავს დედამიწის სიდიდეს, მისი მოძრაობის სიჩქარეს და სხვა ასტრონომიულ მახასიათებლებს. აღნიშნულ თავში კაპი დედამიწის „ინდივიდუალურობაზე“ (*die Individualität des Erdkörpers*) საუბრობს. იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 39-44. დედამიწის, როგორც ერთიანი ორგანიზმის წარმოდგენა (რა თქმა უნდა, არა პირდაპირი მნიშვნელობით) რიტერთანაც გვხვდება. იხ. ქვეთავი 2.6.

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ოთხ ძირითად ელემენტს (ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა) გამოყოფს, კაპი განიხილავს ჯერ ატმოსფეროს,²⁰⁴ შემდეგ ვულკანებსა და წყლებს (ოკეანეები, ზღვები, მდინარეები და ტბები),²⁰⁵ ბოლოს კი – ხმელეთის ფორმებს.²⁰⁶ ფიზიკური გეოგრაფიის განხილვას იგი ასრულებს მინერალების, მცენარეებისა და ცხოველების გეოგრაფიის განხილვით.²⁰⁷ ფიზიკურ გეოგრაფიას კაპის ფილოსოფიური გეოგრაფიის პროექტში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. კაპი მის გადმოცემას ას გვერდაც კი არ უთმობს და ნაშრომის დანარჩენ ნაწილში²⁰⁸ პოლიტიკურ და კულტურულ გეოგრაფიას განიხილავს.

ნაშრომის მეორე ნაწილი პოლიტიკურ გეოგრაფიას ეძღვნება. კაპი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კაცობრიობისა და ადამიანის იდეებზე. კაცობრიობის იდეა მარადიული იდეაა. ის განაპირობებს დედამიწის „დიდი სასიცოცხლო პროცესის“ დასაწყისსა და მის შემდგომ განვითარებას. ადამიანი ორგანული და არაორგანული განვითარების გრძელი მწკრივის უკანასკნელ საფეხურზე იმყოფება. ის ძალზე მჭიდრო კავშირშია მის გარემომცველ ბუნებასთან და „კონკრეტულ მიკროკოსმოსს“ წარმოადგენს.²⁰⁹ ადამიანი ბუნების მომწესრიგებელი პრინციპია. იგი არ უნდა იყოს ბუნებაზე დაქვემდებარებული, როგორც ეს იყო ანტიკურობაში; არც ქედმაღლურად უნდა უყურებდეს ბუნებას, როგორც შუა საუკუნეებში, არამედ მან უნდა გაითავისოს, რომ იგი ბუნების „არსება და ჭეშმარიტებაა“, რომ მისი ამოცანა არა ბუნებისადმი მტრობა, არამედ მისი შეცნობისაკენ სწრაფვაა.²¹⁰ თავის მხრივ, ბუნების შექმნა მხოლოდ ადამიანის შექმნით სრულდება, ბუნება მხოლოდ ადამიანისთვის და მისი

204 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 47-50.

205 იქვე, გვ. 50-57.

206 იქვე, გვ. 57-68.

207 იქვე, გვ. 69-89.

208 იქვე, გვ. 81-685.

209 იქვე, გვ. 82.

210 იქვე, გვ. 83. აქ კაპს სულაც არა აქვს მხედველობაში ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობა. ადამიანი აქტიური არსებაა, რომელიც მინათმოქმედებისაკენ პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე ენერგიულად იწყებს ბუნების დამორჩილებას. იხ. H.-D. Schultz, 'Fortschrittsfreunde! Die andere seite der Geographie am Beispiel der "Philosophischen Erdkunde" Ernst Kapps.' *Materialien zur Didaktik der Geographie*, H. 16 (1992), გვ. 71. ის ხალხები, რომლებიც ბუნებასთან ჰარმონიულად თანაარსებობენ და მის დამორჩილებას არ ცდილობენ, მსოფლიო ისტორიის ასპარეზიდან გაუჩინარდებიან (იქვე, გვ. 76).

მოთხოვნები დასაკმაყოფილებლად არსებობს.²¹¹

სახელმწიფო არის ის სფერო, სადაც ადამიანის ცნობიერება ორგანულ ფორმებში ვლინდება და საკუთარ თავს ხალხის სულის სახით წარმოაჩენს. ყოველ კონკრეტულ ხალხის სულში ანუ ყოველ ცალკეულ ერში, კაცობრიობის ზოგადი სული სასრული სახითაა განსაზღვრული და შეზღუდული. ცალკეული სახელმწიფოების გაქრობისას შეზღუდულობები მოიხსნება და ხალხებისა და სახელმწიფოების ისტორიის განსაკუთრებული მომენტები საყოველთაო მსოფლიო ისტორიაში გაშუალდება.²¹² აქ ჰეგელის გავლენა აშკარაა.²¹³ სახელმწიფოში ადამიანები გარკვეული ბუნებრივი მოცემულობების პირობებში ცხოვრობენ: ისინი გადაადგილდებიან მთებზე, დაბლობებზე და სანაპიროებზე, თავიანთი საქმიანობების დროს მათ უწევთ ტყეების, მდინარეებისა და ზღვების გადალახვა. პოლიტიკური გეოგრაფია შეისწავლის სახელმწიფოების „ბუნებრივ მხარეს“ (*Naturseite*), მათ გეოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ ექსისტენციას.²¹⁴

ფიზიკურ გეოგრაფიაში განხილული ობიექტები სულის ბუნებრივ განსაზღვრულობებს წარმოადგენს. ჰეგელის მსგავსად, კაპი მიიჩნევს, რომ ტროპიკულ და პოლარულ ზონაში სულს არ ძალუძს ბუნების დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება. თვითრეფლექსიის შესაძლებლობა სულს მხოლოდ ზომიერ სარტყელში ეძლევა.²¹⁵ ის, თუ როგორ გაიაზრებს ესა თუ ის ხალხი თავის ღმერთს, თუ როგორ გამოხატულებას პოულობს ეს ნააზრევი ხელოვნებაში, მეცნიერებასა და რელიგიაში და როგორ იქმნება მისი შესატყვისი სახელმწიფოებრივი წყობა, დიდწილადაა დამოკიდებული ბუნებრივ განსაზღვრულობაზე (ყოველ შემთხვევაში, სანყის სტადიაზე მაინც). სულის აღნიშნული მიმართულებებით განვითარება მსოფლიო ისტორიას ქმნის. მსოფლიო ისტორიის განვითარების საფუძველმდებარე პრინციპს, კაპის მიხედვით, წყალი და მისი გამოვლინების ფორმები (მდინარე, ზღვა და ოკეანე) წარმოადგენს.²¹⁶ ამ პრინციპის საფუძ-

211 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 90.

212 იქვე, გვ. 83-84.

213 იხ. H.-M. Sass, 'Die philosophische Erdkunde des Hegelianers Ernst Kapp. Ein Beitrag zur Wissenschaftstheorie und Fortschrittsdiskussion in der Hegelschule.' *Hegelstudien*, Bd. 8 (1973), გვ. 166.

214 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 84.

215 იქვე.

216 წყლის პრინციპი მხოლოდ კაპის პოლიტიკურ გეოგრაფიაშია როდია დომინანტური. კაპი, როგორც პრაქტიკოსი, დიდ მნიშვნელობას

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ველზე, კაპი, პოლიტიკურ გეოგრაფიაში სამ სამყაროს გამოყოფს: პოტამურს, თალასურ-კლასიკურს და ოკეანურს.²¹⁷

პოლიტიკური გეოგრაფია აზიის განხილვით უნდა დაიწყოს, რადგან სულის სინათლე პირველად სწორედ აზიას მოეფინა.²¹⁸ განვითარების უმთავრეს მომენტებად აღმოსავლური სამყაროს ისტორიაში, კაპი, ჰეგელის გავლენით, ჩინეთის, ინდოეთის და სპარსეთის ისტორიებს გამოყოფს. რადგან, კაპის მიხედვით, გეოგრაფია „ისტორიასთან ერთად და ისტორიის პროცესში“ წარმოიშობა, იგი გეოგრაფიული ანალიზისათვის გამოყოფს შემდეგ რეგიონებს: ხუანხესა და იანძის აუზებს შორეულ აღმოსავლეთში, ინდისა და განგის აუზებს სამხრეთ აზიაში და ტიგროსისა და ევფრატის აუზებს (მესოპოტამიას) წინა აზიაში.²¹⁹ **პოტამურ** სამყაროში სული ჯერ კიდევ ბუნებასთან უშუალო ერთიანობაში იმყოფება.

თალასური სამყარო ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროა. ხმელთაშუა ზღვას ევროპის ისტორიისათვის ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება. თალასურ სამყაროში კაპი ბერძნულ და რომაულ სამყაროებს გამოყოფს. იგი, ასევე, განიხილავს ხალხთა გადასახლებას IV საუკუნის II ნახევარში და მის მნიშვნელობას ევროპისათვის. ბიზანტიის იმპერიას კაპი აღმოსავლური, ელინისტური და რომაული მემკვიდრეობის სინთეზად მიიჩნევს.²²⁰ თალასურ სამყაროში ბუნებრივი განსაზღვრულობა, სულთან მიმართებაში თავის უპირატესობას კარგავს.

მესამე სამყარო **ოკეანური** სამყაროა და ის გერმანულ ტომებს

ანიჭებდა წყლის სამკურნალო თვისებებს. ტეხასში ყოფნისას მან მონაყო ჰიდროტერაპიის ცენტრი, რომელიც 1851-1865 წლებში ფუნქციონირებდა. შემორჩენილია გრავიურაც, სადაც ეს დანესებულება გამოსახული. იხ. H.-M. Sass, 'Einleitung'. In: E. Kapp, *Grundlinien einer Philosophie der Technik*. Photomechanischer Neudruck der 1. Auflage Braunschweig 1877, Düsseldorf: Stern-Verlag Janssen & Co., 1978, გვ. xxiii.

217 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 89; H.-M. Sass, *Die philosophische Erdkunde des Hegelianers Ernst Kapp*, გვ. 166; H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde! Die andere Seite der Geographie am Beispiel der "Philosophischen Erdkunde" Ernst Kapps*, გვ. 81. „პოტამოს“ ბერძნულად „მდინარეს“ ნიშნავს, ხოლო „თალასა“ – ზღვას.

218 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 90.

219 იქვე, გვ. 92-93. აღნიშნული რეგიონების კაპისეული აღწერა ორიგინალურობით არ გამოირჩევა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა კაპისეული კლასიფიკაციის პრინციპი, ვიდრე ის, რასაც კაპი ამ პრინციპის საფუძველზე აღწერს.

220 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 245.

უკავშირდება.²²¹ ოკეანურ სამყაროში სული ბუნების ფარგლებს ცდება და მას თავისუფლად მიემართება.²²² ოკეანური სამყაროს ცენტრი უკვე ხმელთაშუაზღვისპირეთი კი არა, არამედ ევროპაა. ევროპის ცენტრს, თავის მხრივ, გერმანია წარმოადგენს. ევროპაში კაპი გამოყოფს კონტინენტურ, ხმელთაშუაზღვისპირა და ოკეანურ მხარეებს. პირველს შეესატყვისებთან სლაგური სახელმწიფოები, მეორეს – რომანული სახელმწიფოები, ხოლო მესამეს – გერმანული სახელმწიფოები.²²³

კაპის კულტურის გეოგრაფიის ცენტრში შრომის ცნება დგას. „შრომა კულტურის სულია, რომელიც ბუნებასა და სულს შორის არსებულ უფსკრულს ავსებს და მატერიიდან აზრისაკენ გადებულ ხიდს წარმოადგენს.“²²⁴ დრო და სივრცე სულის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. სულის არსება კი შეუფერხებელ მოძრაობაში მდგომარეობს. თავისი აქტივობით სული გარდაქმნის დროსა და სივრცეს, რაც ადამიანის საქმიანობის პროცესში პოულობს გამოხატულებას. თავისი საქმიანობით ადამიანი „ასულიერებს“ კულტურას, გარდაქმნის მას.²²⁵ ადამიანის საქმიანობა დროსა და სივრცეშია გაშლი-

221 რომაელებისთვის რომი და ხმელთაშუა ზღვა იყო სამყაროს ცენტრი. რაც შეეხება სლავებს, ისინი კონტინენტურ ხალხად რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ოკეანეების პირას ცხოვრობენ. ოკეანური სამყაროს ცენტრს გერმანია წარმოადგენს, ხოლო ამ სამყაროს განმსაზღვრელი ოკეანე ატლანტის ოკეანეა. იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 251-252. კაპის მიხედვით, გერმანიას მესიანისტური დანიშნულება აქვს: მან დანარჩენი ერები რეფორმატორული სულისკვეთებით უნდა განმსჭვალოს, ხელი შეუწყოს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებასა და ერთა შორის მშვიდობის დამკვიდრებას. იხ. H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde! Die andere Seite der Geographie am Beispiel der "Philosophischen Erdkunde" Ernst Kapps*, გვ. 84-85; მისივე, *Raumkonstrukte der klassischen deutschsprachigen Geographie des 19./20. Jahrhunderts im Kontext ihrer Zeit. Ein Überblick*, გვ. 354.

222 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 249.

223 იქვე, გვ. 260.

224 იქვე, გვ. 607. იხ., ასევე, J. Birkenhauer, *Traditionslinien und Denkfiguren*, გვ. 50; H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 75. ადამიანის სუბიექტურ თავისუფლებას უპირისპირდება ბუნების ობიექტური აუცილებლობა. შრომის პროცესში ეს დაპირისპირება იხსნება. იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 610.

225 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 608; H.-M. Sass, *Die philosophische Erdkunde des Hegelianers Ernst Kapp*, გვ. 166. კაპი იყენებს ტერმინებს *Begeisterung* და *Verklärung*.

ლი. შესაბამისად, კაპი გამოყოფს სივრცისა და დროის კულტურებს. სივრცის კულტურა მოიცავს 1. მიწათმოქმედებას, სამთო საქმეს და სახლთმშენებლობას; 2. მცენარეული და ცხოველური პროდუქციის გარდაქმნას ადამიანისათვის გამოსაყენებელ პროდუქციად; 3. სახ-მელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებს.²²⁶ დროის კულტურაში კაპი განიხილავს საშუალებებს, რომელთა მეშვეობით სივრცის დაძლევა ხდება. მოძრაობა ხორციელდება სივრცეში და გარკვეული დროის განმავლობაში. ის შეიძლება ხორციელდებოდეს ორგანული, მექანიკური ან სულიერი ძალებით. ორგანულ მოძრაობას ადამიანებისა და ცხოველების მოძრაობა განეკუთვნება, მექანიკური მოძრაობა ქარის, წყლის, ცეცხლის და ელექტრომაგნეტიზმის საშუალებით ხორციელდება (იალქინიანი გემი, ორთქლმავალი, ტელეგრაფი და ა. შ.).

კაპის აზრით, „ენა ყველაზე უფრო გამჭვირვალე მასალაა, რომელშიც სული გამოვლინდება.“²²⁷ სწრაფი სატრანსპორტო საშუალებები ხელს უწყობს სივრცობრივ სიახლოვეს, ენა კი – სულიერს. დროის კულტურას განეკუთვნება, ასევე, დიდი აღმოჩენები და გამოგონებები ფიზიკაში, ქიმიასა და მექანიკაში და მათი დანერგვა მრწველობაში. მრწველობა შრომის მეშვეობით მატერიალურ სამყაროზე სულიერი ბატონობის მოპოვების გზაა. სამრწველო გამოგონებები ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხისათვის გადაცემული შეტყობინებე-

226 ტექნიკური პროგრესისადმი უაღრესად ოპტიმისტურად განწყობილ კაპს სწამდა, რომ ადამიანები, ადრე თუ გვიან, ჰაერის დაპყრობასაც შეძლებდნენ. იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 650-651. სწორედ ტექნიკისადმი უსაზღვრო რწმენა აძლევს კაპის მიერ ისტორიის გაგებას განსხვავებულ შეფერილობას, რომელიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმაოდ ძნელი გასარჩევი იქნებოდა ჰეგელის შეხედულებებისაგან. ტექნიკურ-ინდუსტრიული პროგრესი თანდათანობით მთელ დედამიწას მოიცავს. ასეთ ფონზე, არ არსებობს რაიმე რეგიონი, რომელსაც სული, თავისი განვითარების გზაზე, გვერდს აუქცევს. ჰ. დ. შულცის მიხედვით, კაპი „ჰიპერინდუსტრიული, საზღვრების არმქონე კომუნიკაციური საზოგადოების ფუტურისტულ გეგმას“ გვთავაზობს. იხ. H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 86. 1877 წელს გამოცემულ „ტექნიკის ფილოსოფიის საფუძვლებში“ ჰეგელის გავლენა უფრო შერბილებულია: აქ ისტორიის კანონების განხორციელებასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება ადამიანის მიერ შრომისა და ტექნიკის მეშვეობით გარემოს გარდაქმნის პრინციპს. ჰეგელთან ბუნება გაიგება, როგორც სულის „სხვადა-ყოფნა“, კაპთან კი ბუნება სულისგან დამოუკიდებელ ძალად გვევლინება, რომლის დამორჩილებასაც სული ესწრაფვის. იხ. H.-M. Sass, 'Einleitung'. In: E. Kapp, *Grundlinien einer Philosophie der Technik*, გვ. xxii და xxxiii.

227 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 671.

ბია.²²⁸ განსხვავებული ენებისა და აღმოჩენების ურთიერთმიმართებას კაპი „უნივერსალურ ტელეგრაფიკას“ უწოდებს.²²⁹ „უნივერსალური ტელეგრაფიკა“, ფაქტიურად, გლობალიზაციას აღნიშნავს: ეს არის დედამიწის ყოველი კუთხე-კუნჭულის გასულიერება ადამიანის მიერ, სივრცისა და დროის უმაღლესი კულტურის მიერ ყოველივე სასრულის განმსჭვალვა. როდესაც ეს განხორციელდება (რაშიც კაპს ეჭვიც არ ეპარება), მაშინ დასრულდება ადამიანის მიერ ბუნების გარდაქმნის პროცესიც.²³⁰ კულტურის გეოგრაფიის განხილვას კაპი სწორედ ამ პროცესის განხილვით ასრულებს.²³¹

228 იქვე, გვ. 673.

229 იქვე, გვ. 675. თავად ტერმინი რიტერისეულია და ამას კაპიც აღნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ „ფილოსოფიურ გეოგრაფიაში“ კაპი არაერთხელ აცტირებს რიტერს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. კაპისა და რიტერის მიმართების შესახებ იხ. H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 89-90.

230 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 677. ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილებას, „გარეგან კოლონიზაციას“, თან უნდა ახლდეს „შინაგანი კოლონიზაცია“ ანუ ადამიანური გარემოს გარდაქმნა. იხ. C. Mitcham, *Thinking through Technology: The Path between Engineering and Philosophy*, გვ. 23; H.-M. Sass, 'Einleitung'. In: E. Kapp, *Grundlinien einer Philosophie der Technik*, გვ. xix; H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 73.

231 „შედარებითი საყოველთაო გეოგრაფიის“ მესამე ნაწილის უკანასკნელ თავში, რომელსაც „ბუნების დამორჩილება“ ეწოდება, კაპი ავითარებს სოციალურ უტოპიას „მომავლის სახელმწიფოს“ (*Staat der Zukunft*) შესახებ. იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 682 და შმდ. კ. მარქსის მსგავსად, იგი მიიჩნევს, რომ „თავისუფლების სამეფო“ დედამიწაზე მაშინ იარსებებს, როდესაც ადამიანი გარეგანი აუცილებლობით თავსმოხვეული შრომისაგან გათავისუფლდება (შდრ. H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 78). „მომავლის სახელმწიფოში“ ყოველი ადამიანი ისეთ პროფესიას აირჩევს, რომლისკენაც მიდრეკილება აქვს. აქ არ იარსებებს „უდაბლესი“ და „უმაღლესი“, რადგან ყველას თავისი ადგილი ექნება მიჩენილი. მომავლის სახელმწიფო მშვენიერების ყოვლისმომცველი სამყარო იქნება (იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 683; H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 79-80). საკუთარი შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ კაპმა ვრცლად გადმოსცა თავის ნაშრომში „კონსტრუირებული დესპოტიზმი და კონსტიტუციური თავისუფლება“. აღნიშნულ ნაშრომში კაპმა ერთმანეთისაგან განასხვავა მექანიკური და ორგანული სახელმწიფოები. რაც უფრო მექანიკურად იმართება სახელმწიფო, მით უფრო დესპოტიურია ის; ხოლო რაც უფრო ორგანულად ხორციელდება სახელმწიფოს მართვა, მით უფრო მეტია თავისუფლების

თავი II. ფილოსოფიური გეოგრაფიის სათავეებთან

ამრიგად, კაპის მიხედვით, ფილოსოფიური გეოგრაფია დედამიწას განიხილავს, არა როგორც მხოლოდ თავისთვის მყოფს (*in ihrem Fürsichsein*), არამედ როგორც სულის განვითარების განმსაზღვრელს და, თავის მხრივ, როგორც სულის მიერ განსაზღვრულსა და შეცვლილს. ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ უნდა აჩვენოს, რომ მსოფლიო ისტორიის მსვლელობისას დედამიწის განსხვავებული სივრცეები სახელმწიფოების „ბუნებრივ მხარეებად“ გვევლინება. ასე რომ, ფილოსოფიური გეოგრაფია ყოველი ისტორიის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.²³²

კაპის ფილოსოფიური გეოგრაფია ჰეგელისა და რიტერის გავლენას განიცდის. ის უფრო სპეკულატიურ-დესკრიფციულია და ნაკლებად არის ემპირიულ რეალობაზე ორიენტირებული, რის გამოც მას აკრიტიკებდნენ კიდეც. ამას თან დაერთო ის გარემოებაც, რომ 1870-იანი წლების შემდგომ გეოგრაფიის განვითარება უფრო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს დაუკავშირდა, ვიდრე ისტორიას. შემდგომი თაობის გეოგრაფებს არ სურდათ, რომ გეოგრაფია ისტორიის „მსახური“ ყოფილიყო.²³³ მიუხედავად ამისა, კაპის ნააზრევი ერთბაშად როდი იქცა დისციპლინის ისტორიის შემადგენელ ნაწილად. მან გარკვეული გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ გეოგრაფზე, ფრიდრიხ რატცელზე (1844-1904 წწ.).

ხარისხი. კონსტრუირებული დესპოტიზმი თავისუფლების პროგრესს არათავისუფლების მექანიკური სტაბილურობით ანაცვლებს. ამის საპირისპიროდ, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო შინაგანი კოლონიზაციის პროცესს უწყობს ხელს. იხ. H.-M. Sass, *Die philosophische Erdkunde des Hegelianers Ernst Kapp*, გვ. 169; მისივე, 'Einleitung'. In: E. Kapp, *Grundlinien einer Philosophie der Technik*, გვ. xxiv-xxv. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კაპის პოლიტიკური აქტივობა მხოლოდ თეორიული სფეროთი როდი შემოიფარგლებოდა. ტეხასში ყოფნისას იგი აქტიურად მონაწილეობდა გერმანულ კოლონისტთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1852 წელს გერმანულ კოლონისტთა გაერთიანებამ *Der Freie Verein* იგი თავის თავმჯდომარედ აირჩია. 1854 წლის 14-15 მაისს სან-ანტონიოში (ტეხასი) გერმანულ კოლონისტთა ყრილობამ, რომელიც *Der Freie Verein*-ის ინიციატივით ჩატარდა, შეიმუშავა რადიკალური პროგრამა, რომელიც სხვა რეფორმებთან ერთად, მონობის გაუქმებასაც ითვალისწინებდა. იხ. H.-M. Sass, 'Einleitung', გვ. xxviii; R. L. Biesele, 'Texas State Convention of Germans in 1854'. *The Southwestern Historical Quarterly*, 33 (1930), გვ. 247-261.

232 იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. vii; H.-M. Sass, *Die philosophische Erdkunde des Hegelianers Ernst Kapp*, გვ. 164-165.

233 იხ. H.-D. Schultz, *Fortschrittsfreunde*, გვ. 87.

2.9. დასკვნა

ერნსტ კაპის განხილვით სრულდება ფილოსოფიური გეოგრაფიის ისტორიის პირველი პერიოდის განხილვა. როგორც ვნახეთ, გეოგრაფიული აზრის განვითარება ამ პერიოდში ფილოსოფიურ იმპულსებს მოკლებული სულაც არ ყოფილა. მონტესკიეს გეოგრაფიული შეხედულებები ზედმინევენით ასახვდა იმ ეპოქის სულს, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მოგვიანებით, ჰერდერმა თავის „იდეებში“ გააკრიტიკა მონტესკიე. როგორც ცნობილია, თავის მხრივ, ჰერდერის „იდეები“ კანტის მიერ იქნა გაკრიტიკებული. კანტმა თავის გეოგრაფიულ შეხედულებებს საკუთარი ცოდნის თეორია დაუდო საფუძვლად. კანტთან პოლემიკა ჰქონდა უმცროს ფორსტერს, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტზე. ჰუმბოლდტმა თავისი ამერიკული ექსპედიციით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ახალ ეპოქას დაუდო სათავე. ჰუმბოლდტის შეხედულებებს კარგად იცნობდა მისი კოლეგა ბერლინის უნივერსიტეტში, კარლ რიტერი, რომელმაც დიდი შრომა გასწია გეოგრაფიის, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინის დასაფუძნებლად. რიტერის კონცეფციაში გეოგრაფია და ისტორია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მოიაზრებოდა. რიტერისა და ჰუმბოლდტის კოლეგა ბერლინის უნივერსიტეტში, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ასევე, მიიჩნევდა, რომ გეოგრაფია ისტორიასთან განუყრელ კავშირში იყო. ჰეგელის მიმდევარმა ერნსტ კაპმა სპეკულატიური სისტემა ააგო, სადაც რიტერის ეპოქის გეოგრაფია და ჰეგელის თანახმად გააზრებული ისტორია ერთმანეთს დაუკავშირა.

ამრიგად, XVIII საუკუნის ბოლოს უკვე მოიხაზა თანამედროვე გეოგრაფიის კონტურები, XIX საუკუნის დასაწყისში კი გეოგრაფიამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი საუნივერსიტეტო დისციპლინებს შორის. ამავე პერიოდში განხორციელდა წამყვანი გეოგრაფიული და ფილოსოფიური პარადიგმების სინთეზის მცდელობა. ფილოსოფიური გეოგრაფიის ისტორიის პირველი პერიოდი მდიდარი იყო ისეთი იმპულსებით, რომელთა აქტიუალიზება მეორე პერიოდში განხორციელდა.

**თავი III. „სასიცოცხლო სივრციდან“
„ჰიდრაპლიკურ ცივილიზაციებამდე“.**

**ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალური,
რეგიონალური და ლოკალური პარადიგმები**

3.1. შესავალი

რიტერისა და ჰუმბოლდტის გარდაცვალების შემდეგ (1859 წ.) გერმანიაში, რომელიც წამყვანი ქვეყანა იყო გეოგრაფიული მეცნიერების დარგში, ამ დისციპლინის განვითარება დროებით შეფერხდა. ხელახალი აღმავლობა დაიწყო 1871 წლიდან, გერმანიის გაერთიანების შემდეგ. პრუსიის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა გეოგრაფიის განვითარება გერმანიის იმპერიისათვის. 1874 წელს, პრუსიის მთავრობის გადაწყვეტილებით, გეოგრაფიის კათედრა ყველა მნიშვნელოვან გერმანულ უნივერსიტეტში შეიქმნა.²³⁴ იმ პერიოდის მნიშვნელოვანი გეოგრაფებიდან აღსანიშნავია **ოსკარ პეშელი** (1826-1875 წწ.) და **ფერდინანდ ფრაიჰერ ფონ რიხტჰოფენი** (1833-1905 წწ.).

პეშელი თანამედროვე ფიზიკური გეოგრაფიის ერთ-ერთ დამფუძნებლად ითვლება. იგი აკრიტიკებდა რიტერის შედარებით გეოგრაფიას და მიუთითებდა, რომ რიტერის მიერ მთელი კონტინენტების ან კონტინენტების დიდი ნაწილების ურთიერთშედარება არ იყო მართებული გეოგრაფიული მეთოდი, რადგან ეს ერთეულები თავის თავში დიდ მრავალფეროვნებას მოიცავდნენ და უბრალოდ, არ გამოდგებოდნენ შესადარებლად. პეშელი საზოგადოებრივ და ფიზიკურ გეოგრაფიას განცალკევებულად განიხილავდა და მიიჩნევდა, რომ გეოგრაფიამ, უმთავრესად, დედამიწის ზედაპირზე არსებული ფიზიკური მოვლენები უნდა შეისწავლოს.²³⁵ პეშელის მნიშვნელოვანი

234 XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის ინტერნაციონალიზაცია. პირველი საერთაშორისო გეოგრაფიული კონგრესი ჩატარდა ანტვერპენში 1871 წელს, მეორე – პარიზში 1875 წელს, მესამე – ვენეციაში 1881 წელს... 1922 წელს შეიქმნა საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი, რომლის მიზანი იყო გეოგრაფთა ქმედებების კოორდინირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იხ. G. J. Martin, *All Possible Worlds. A History of Geographical Ideas*, გვ. 158.

235 იხ. G. J. Martin, *All Possible Worlds*, გვ. 162-165. ამ მხრივ კიდევ უფრო რადიკალური იყო გ. გერლანდი (1833-1919 წწ.), გეოგრაფიის პროფესორი

შრომებია: „დედამინისმცოდნეობის ისტორია ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტსა და კარლ რიტერამდე“,²³⁶ „შედარებითი დედამინისმცოდნეობის ახალი პრობლემები, როგორც მცდელობა დედამინის ზედაპირის მორფოლოგიისათვის“,²³⁷ „ფიზიკური დედამინისმცოდნეობა“. ²³⁸

ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გეოგრაფიის მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავებაში. 1883 წელს, ლაიფციგის უნივერსიტეტში ნაკითხულ საინაუგურაციო ლექციაზე მან თანამედროვე გეოგრაფიის ამოცანებისა და მეთოდების შესახებ ისაუბრა. რიხტჰოფენის აზრით, გეოგრაფიის შესწავლის უმთავრესი ობიექტი დედამინის ზედაპირია,²³⁹ ხოლო გეოგრაფიის უმთავრესი მიზანი დედამინის ფიზიკურ ფენომენებთან ადამიანთა მიმართების ანალიზია. რიხტჰოფენმა საფუძველი ჩაუყარა გეომორფოლოგიას, რომელიც დედამინის ზედაპირის ტოპოგრაფიულ ფორმებს შეისწავლის.

გეოგრაფიის განვითარება XIX საუკუნის II ნახევრის საფრანგეთში მჭიდროდ უკავშირდება კ. რიტერის მოსწავლის, **ელიზე რეკლიუს** (1830-1905 წწ.) სახელს. რეკლიუს გამოჩენილი ანარქისტი იყო და ცხოვრების დიდი ნაწილი გადასახლებებში გაატარა. მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია ცხრამეტტომიანი „ახალი საყოველთაო გეოგრაფია“ (1876-1894 წწ.),²⁴⁰ რომელიც ნათელი და გასაგები სტილით გამოირჩევა.²⁴¹ რეკლიუს ნაშრომებიდან, ასევე, აღსანიშნავია

სტრასბურგის უნივერსიტეტში, გამოჩენილი გერმანელი გეოგრაფის, ალფრედ ჰეტენერის (1859-1941 წწ.) სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი. გერლანდი მიიჩნევდა, რომ გეოგრაფიის მიზანს საერთოდ არ წარმოადგენს ადამიანის შესწავლა რაიმე ასპექტით. იხ. R. D. Dikshit, *Geographical Thought. A Contextual History of Ideas*. New Delhi: Prentice Hall, 1999, გვ. 67.

236 იხ. O. Peschel, *Geschichte der Erdkunde bis auf A. v. Humboldt und Carl Ritter*. München: J. G. Cotta, 1865.

237 იხ. O. Peschel, *Neue Probleme der vergleichenden Erdkunde als Versuch einer Morphologie der Erdoberfläche*. Leipzig: Duncker & Humblot, 1870.

238 იხ. O. Peschel, *Physische Erdkunde*. Leipzig: Duncker & Humblot, 1879.

239 იხ. F. von Richthofen, *Aufgaben und Methoden der heutigen Geographie (Akademische Antrittsrede, gehalten in der Aula der Universität Leipzig am 27. April 1883)*. Leipzig: Verlag von Veit & Comp, 1883, გვ. 7-8.

240 იხ. E. Reclus, *La Nouvelle Geographie Universelle*. 19 vols. Paris: Hachette, 1876-1894.

241 აღნიშნული ნაშრომი 1894 წელს მიმოიხილა ჰ. მაკინდერმა „გეოგრაფიულ ჟურნალში“. იხ. H. J. Mackinder, Reclus' 'Universal Geography'. *The Geographical Journal*, vol. 4 (1894), გვ. 158-160. მაკინდერის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

„ადამიანი და დედამიწა“ (1905 წ.).²⁴² რიტერის მოსწავლეებიდან ალ-სანიშნავია, ასევე, **არნოლდ გიო** (1807-1884 წწ.), რომელიც აშშ-ში მოღვაწეობდა და რომელმაც დიდი როლი ითამაშა ახალ სამყაროში რიტერის იდეების გავრცელებაში.

ზემოთ დასახელებული გეოგრაფების ფილოსოფიურ საფუძველს **პოზიტივიზმი** წარმოადგენდა. წამყვანი გეოგრაფები ცდილობდნენ, მყარად დაემკვიდრებინათ გეოგრაფია სხვა მეცნიერებებს შორის. მათთვის ამოსავალი იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დამკვიდრებული მეთოდოლოგია, რომელიც შესასწავლი ფენომენების გაზომვასა და ზუსტ გათვლებზე იყო დაფუძნებული.²⁴³

XIX საუკუნის მიწურულს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში მოღვაწეობდა სამი მნიშვნელოვანი მოაზროვნე, რომლებმაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს გეოგრაფიის შემდეგ განვითარებაზე. ესენია: **ფრიდრიხ რატცელი** (1844-1904 წწ.), **პოლ ვიდალ დე ლა ბლაში** (1845-1918 წწ.) და **ჰალფორდ მაკინდერი** (1861-1947 წწ.).

რატცელმა თავისი „ანთროპოგეოგრაფიით“ (1882-1891 წწ.) ფაქტიურად, საზოგადოებრივ გეოგრაფიას ჩაუყარა საფუძველი. მანვე განავითარა „სასიცოცხლო სივრცის“ (*Lebensraum*) ცნება, რომელიც

242 იხ. E. Reclus, *L'Homme et la Terre*. 6 vols., Paris: Librairie Universelle, 1905-1908. ანარქისტული ტრადიციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოაზროვნე გახლდათ რუსი გეოგრაფი პეტრე კროპოტკინი (1842-1921 წწ.), რომელმაც სოციალური ეკოლოგიის რადიკალური თეორია განავითარა. კროპოტკინი გეოგრაფიას სოციალურ პრობლემატიკას უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ აკადემიური გეოგრაფიის შინაარსი და მეთოდოლოგია სოციალურად რელევანტური უნდა ყოფილიყო. გეოგრაფიას, კროპოტკინის აზრით, უნდა განევითარებინა ურთიერთპატივისცემა განსხვავებულ ერებს შორის. ევროპული იმპერიალიზმის აღზევების ეპოქაში კროპოტკინის შეხედულებები საკმაოდ პროგრესული და ჰუმანური იყო. შდრ. R. D. Dikshit, *Geographical Thought. A Contextual History of Ideas*, გვ. 96-100.

243 ამ მხრივ გამონაკლისი იყო ფ. მართეს მცდელობა, გეოგრაფიის უმაღლეს საფეხურად „გეოსოფია“ დაემკვიდრებინა. მართე თვლიდა, რომ ჭეშმარიტი გეოგრაფია აუცილებლად ფილოსოფიური უნდა იყოს. „ვერც ერთი გეოგრაფი ვერ ამაღლდება ჭეშმარიტი მეცნიერის დონემდე, თუ მას ფილოსოფიური უნარები არ გააჩნია.“ იხ. F. Marthe, Begriff, Ziel und Methode der Geographie und Richtofens 'China'. *Zeitschrift der Gesellschaft für Erdkunde zu Berlin*, Bd. 12 (1877), გვ. 445. მაგრამ იმ ეპოქაში, სადაც პოზიტივიზმი დომინანტური მსოფლმხედველობა იყო, მართესა და მისი მიმდევარს, ი. ვიმერის პროექტები განუხორციელებელი დარჩა. იხ. E. Winkler, 'Geosophie'. In: *Historisches Wörterbuch der Philosophie*. Hrsg von J. Ritter, K. Gründer und G. Gabriel, Bd. 3, Basel: Schwabe Verlag, 1980, გვ. 328-329; S. Günzel, *Geophilosophie. Nietzsches philosophische Geographie*, გვ. 51.

შემდეგში დიდი პოლემიკის საგნად იქცა.²⁴⁴ რაც შეეხება ვიდალ დე ლა ბლაშს, იგი გეოგრაფიის პროფესორი იყო სორბონაში 1898-1918 წლებში. მისი განვითარების პირველ პერიოდზე გავლენა მოახდინა კარლ რიტერის შეხედულებებმა. 1891 წელს ვიდალმა დააარსა ჟურნალი „გეოგრაფიის ანალები“, რომელსაც გარდაცვალებამდე რედაქტორობდა.²⁴⁵ ვიდალმა საგრძნობლად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი გეოგრაფიის განვითარებას. მას არასწორად მიაჩნდა მკვეთრი ხაზის გავლება ფიზიკურ და საზოგადოებრივ გეოგრაფიებს შორის. ვიდალის აზრით, დედამიწის ზედაპირის ფიზიკური ასპექტების შესწავლა განუყრელ კავშირშია კულტურული ასპექტების შესწავლასთან, რადგან ადამიანები ყველგან გარდაქმნიან დედამიწის ზედაპირს. იგი იმედოვნებდა, რომ მცირე, ჰომოგენური რეგიონების შესწავლით უკეთ ახსნიდა ადამიანსა და გარემოს შორის არსებულ ურთიერთობას. ბუნება საზღვრებს უწესებს ადამიანს, თუმცა მას განვითარების შესაძლებლობებს უტოვებს. თუ როგორ ადაპტირდება ადამიანი მოცემულ გარემო პირობებთან, მისი ცხოვრების წესზეა დამოკიდებული (ეს მიდგომა გეოგრაფიაში **პოსიბილიზმის** სახელითაა ცნობილი). ვიდალისეული „ცხოვრების წესის“ (*genre de vie*) ცნება მოიცავს ყველა იმ აქტივობას, პრაქტიკებსა და ტექნიკებს, რომელიც ახასიათებს გარემოსადმი (*milieu*) ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ადაპტაციას. „ცხოვრების წესის“ მეშვეობით გარემო სპეციფიკურად ადამიანურ განზომილებას იძენს, რაც გამოხატულებას პოულობს მის ლანდშაფტში (*paysage*). დროთა განმავლობაში, კულტურული ლანდშაფტის ყოველი ცალკეული სეგმენტი უნიკალური ხდება.²⁴⁶ ვიდალმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფრანგული

244 რ. პიტი მიჩნევს, რომ გეოგრაფიამ თანამედროვე მეცნიერებებს შორის თავისი ადგილი დაიკავა, როგორც კაპიტალიზმის „იარაღმა.“ რატცელის შემთხვევაში პიტი თვლის, რომ „სასიცოცხლო სივრცის“ ცნება და სხვა გეოგრაფების მიერ განვითარებული კონცეპტები (მაგ., ე. ჩ. სემპლის „ენერგიული ანგლო-საქსური რასა“) ევროპული იმპერიალიზმის მიზნებს ემსახურებოდა. იხ. R. Peet, 'The Social Origins of Environmental Determinism'. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 75 (1985), გვ. 316 და შმდ. რატცელის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. ქვეთავი 3.2.

245 ვიდალი აქტიურად ეხმარებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სიახლეებს. 1898 წელს მან „ანალებში“ გამოაქვეყნა რეცენზია ფ. რატცელის „პოლიტიკური გეოგრაფიის“ შესახებ. იხ. P. Vidal de la Blache, 'La géographie politique. À propos de écrits de Frédéric Ratzel'. *Annales de géographie*, 7 (1898), გვ. 97-111.

246 იხ. G. J. Martin, *All Possible Worlds*, გვ. 196-206; H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 180-190; J. Birkenhauer, *Traditionslinien und Denkfiguren*, გვ. 58-62.

გეოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე: 1921 წლისთვის საფრანგეთის უმრავლეს უნივერსიტეტებში მისი სტუდენტები ასწავლიდნენ.²⁴⁷ ვიდალის მნიშვნელოვანი შრომებია: „საფრანგეთის გეოგრაფიის სურათი“,²⁴⁸ „საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები“.²⁴⁹

სერ ჰალფორდ მაკინდერის სახელს უკავშირდება დიდ ბრიტანეთში „ახალი გეოგრაფიის“ დამკვიდრება. 1885 წლიდან იგი დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქში კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის შესახებ (ოქსფორდის უნივერსიტეტის ინიციატივით წამოწყებული პროექტის ფარგლებში), ხოლო 1887 წელს მან სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე წაიკითხა ცნობილი მოხსენება „გეოგრაფიის საზღვრები და მეთოდები“.²⁵⁰ იმავე წელს მაკინდერი დაინიშნა გეოგრაფიის ლექტორად ოქსფორდის უნივერსიტეტში. იგი თვლიდა, რომ გეოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ურთიერთქმედებებს ადამიანებსა და მათ ფიზიკურ გარემოს შორის და რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს განათლების პროცესში.²⁵¹ საზოგადოებრივი გეოგრაფია და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, პოლიტიკური გეოგრაფია, მაკინდერის აზრით, ფიზიკურ გეოგრაფიას ეფუძნებოდა.

1904 წელს სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე მაკინდერმა წაიკითხა მოხსენება სათაურით „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“,²⁵² რომელშიც წამოაყენა დებულება, რომლის თანახმად, აზიის ერთ-ერთი ნაწილი ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს ქმნიდა. შემდეგში მაკინდერმა ამ ღერძს „ჰერტლენდი“ (*Heartland*) უწოდა. შემდგომ წლებში მაკინდერი განაგრძობდა მუშაობას თავის იდეებზე, რომლებიც წარმოადგინა ნაშრომში „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“ (1919 წ.).²⁵³ მსოფლიო რუკაზე მაკინდერი გამოყოფდა

247 ვიდალ დე ლა ბლაჟის მოსწავლეებიდან აღსანიშნავია ჟან ბრუნე (1869-1930 წწ.) და ემანუელ დე მარტონი (1873-1955 წწ.).

248 იხ. P. Vidal de la Blache, *Tableau de la géographie de la France*. Paris: Hachette, 1903.

249 იხ. P. Vidal de la Blache, *Principes de géographie humaine*. Paris: Armand Colin, 1922.

250 იხ. H. J. Mackinder, ‘On The Scope and Methods of Geography’. *Proceedings of the Royal Geographical Society*, vol. 9 (1887), გვ. 141-160.

251 იხ. H. J. Mackinder, ‘Geography as a Pivotal Subject in Education’. *The Geographical Journal*, vol. 57 (1921), გვ. 376-384.

252 იხ. H. J. Mackinder, ‘The Geographical Pivot of History’. *The Geographical Journal*, vol. 33 (1904), გვ. 421-437.

253 იხ. H. J. Mackinder, *Democratic Ideals and Reality: A Study in the Politics of Reconstruction*. London: Constable and Company Ltd, 1919.

„მსოფლიო კუნძულს“, რომელიც ევროპის, აზიისა და აფრიკისაგან შედგებოდა.²⁵⁴ აზიის ნაწილს ურალის მთებიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდე და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან ვიდრე არაბეთის ნახევარკუნძულამდე, ინდოეთამდე და ჩინეთის სამხრეთ ნაწილამდე „ჰერთლენდი“ ეწოდება.²⁵⁵ „ჰერთლენდს“ გარშემო ნახევარმთავრისებურად გარს ეკვრის სხვადასხვა ტერიტორიები და სახელმწიფოები, ე. წ. „შიდა ნახევარმთვარე“ (სკანდინავიის სახელმწიფოები, ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები, თურქეთი, არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, კორეა), ხოლო ამ ნახევარმთვარის მიღმა („გარე ნახევარმთვარე“) მდებარეობს საზღვაო სახელმწიფოები: ინგლისი, აშშ და იაპონია. „ჰერთლენდის“ ტერიტორია რუსეთის იმპერიას ეკუთვნის, რომელიც „ანვება“ შიდა ნახევარმთვარის სახელმწიფოებს. შესაბამისად, ეს ზონა პოლიტიკური არასტაბილურობისა და ცვლილებების ზონაა. „დემოკრატიულ იდეალებსა და რეალობაში“ მაკინდერმა, ასევე, ჩამოაყალიბა, თავისი ცნობილი ფორმულა, სადაც ვლინდება დამოკიდებულება „ჰერთლენდსა“ და მის მომიჯნავე ტერიტორიებს შორის:

„ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, მართავს ‘ჰერთლენდსაც’.
 ვინც მართავს ‘ჰერთლენდს’, მართავს მსოფლიო კუნძულსაც.
 ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, მართავს მსოფლიოსაც.“²⁵⁶

ამ დებულებიდან გამომდინარე, მაკინდერი აუცილებლად მიიჩნევდა, შექმნილიყო ბუფერული ზონა გერმანიასა და რუსეთს შორის, რათა ვერც ერთ მათგანს ვერ მოეხერხებინა აღმოსავლეთ ევროპაში გაბატონება და დომინანტური პოზიციის მოპოვება ჯერ „ჰერთლენდში“, შემდეგ კი – მთელ მსოფლიოში.²⁵⁷

254 იხ. G. J. Martin, *All Possible Worlds*, გვ. 216-217.

255 იხ. H. J. Mackinder, *Democratic Ideals and Reality*, გვ. 95 და შმდ.

256 იქვე, გვ. 194.

257 შდრ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 229-240; G. J. Martin, *All Possible Worlds*, გვ. 215-218. იხ., ასევე, M. Bassin, ‘Mackinder and the Heartland Theory in Post-Soviet Geopolitical Discourse’. *Geopolitics*, 11 (2006), გვ. 99-118. უნდა აღინიშნოს, რომ მაკინდერი აქტიურად იყო ჩართული თანამედროვე პოლიტიკაში: 1910-1922 წლებში იგი დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი იყო, 1920-1945 წლებში – იმპერიული სავაჭრო კომიტეტის თავმჯდომარე, 1925-1930 წლებში – იმპერიული ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე. მიუხედავად ამისა, მისი პოლიტიკური კარიერა წარმატებული არ ყოფილა: 1922 წელს იგი დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში. ვიდრე სრულად ჩაებმებოდა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაკინდერი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა: იგი ასწავლიდა ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში,

რატცელთან ერთად გერმანულ გეოგრაფიაში თვალსაჩინო ფიგურა იყო ალფრედ ჰეტნერი (1859-1941 წწ.), რომელმაც დიდი როლი შეასრულა რეგიონალური გეოგრაფიის განვითარების საქმეში. იგი თვლიდა, რომ გეოგრაფიას უნდა შეესწავლა რეგიონალური განსხვავებები სხვადასხვა მასშტაბებით. ჰეტნერი ერთმანეთისაგან განსხვავებდა შედარებით რეგიონალურ გეოგრაფიასა (*Vergleichende Länderkunde*) და რეგიონალურ გეოგრაფიას (*Länderkunde*). ჰეტნერის მიერ გეოგრაფიის, როგორც ქოროლოგიური (რეგიონალურ-დესკრიფციული) სივრცობრივი მეცნიერების დახასიათება, სწრაფად იქნა მიღებული აკადემიურ წრეებში.²⁵⁸ 1895 წელს ჰეტნერმა დააარსა „გეოგრაფიული ჟურნალი“, რომელსაც 40 წლის განმავლობაში რედაქტორობდა. „გეოგრაფიულ ჟურნალში“ გამოქვეყნებულ სტატიებში ჰეტნერი საგანგებო ყურადღებას უთმობდა გეოგრაფიის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებას.²⁵⁹ 1927 წელს მან გა-

ოქსფორდის უნივერსიტეტში და რიდინგის კოლეჯში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო ლონდონის ეკონომიკური სკოლის დირექტორი. იგი, ასევე, იყო პირველი ევროპელი, რომელიც აფრიკის სიმაღლით მეროე მთაზე (5200 მ.) ავიდა (1899 წ.). მაკინდერის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური შეხედულებების შესახებ იხ. G. Kearns, *Geopolitics and Empire. The Legacy of Halford Mackinder*. Oxford: Oxford University Press, 2009.

258 იდეა გეოგრაფიის, როგორც ქოროლოგიური მეცნიერების შესახებ ჰეტნერისაგან განსხვავებული პერსპექტივით აშშ-ში განავითარა კარლ საუერმა (1889-1975 წწ.). თავის ცნობილ სტატიაში „ლანდშაფტის მორფოლოგია“ (1925 წ.) საუერი დაუპირისპირდა გეოგრაფიულ დეტერმინიზმს გეოგრაფიაში. იხ. C. O. Sauer, 'Morphology of Landscape'. *Publications in Geography*, vol. 2 (1925), გვ. 271-302. სხვა ცნობილი გეოგრაფებიდან აშშ-ში აღსანიშნავია რატცელის მოწაფე ელენ ჩერჩილ სემპლი (1863-1932 წწ.), უილიამ მორის დევისი (1850-1934 წწ.), მარკ ჯეფერსონი (1863-1949 წწ.) და ელსუორთ ჰანთინგტონი (1876-1947 წწ.).

259 ჰეტნერის მიერ მეთოდოლოგიური საკითხებით დაინტერესება, შესაძლოა, იმ გარემოებითაც აიხსნას, რომ მას, გარდა გეოგრაფიულისა, ფილოსოფიური განათლებაც ჰქონდა მიღებული. ჰეტნერის მეთოდოლოგიური შრომებისათვის იხ. A. Hettner, 'Neue Äusserungen über Wesen und Aufgaben der Geographie'. *Geographische Zeitschrift*, 6. Jahrg. (1900), გვ. 574-577; მისივე, 'Das Wesen und die Methoden der Geographie'. *Geographische Zeitschrift*, 11. Jahrg. (1905), გვ. 545-564; მისივე, 'Die Geographie des Menschen'. *Geographische Zeitschrift*, 13. Jahrg. (1907), გვ. 401-425; მისივე, 'Methodologische Streifzüge'. *Geographische Zeitschrift*, 13. Jahrg. (1907), გვ. 694-699; მისივე, 'Der Begriff der Ganzheit in der Geographie'. *Geographische Zeitschrift*, 40. Jahrg. (1934), გვ. 141-144. მისივე, 'Gesetzmässigkeit und Zufall in der Geographie'. *Geographische Zeitschrift*, 41.

მოსცა მნიშვნელოვანი ნაშრომი „გეოგრაფია. მისი ისტორია, არსი და მეთოდები“.²⁶⁰ ჰეტნერის ნააზრევმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ გეოგრაფზე რ. ჰერთსჰორნზე (1899-1992 წწ.)²⁶¹

გერმანული გეოგრაფიის აღმავლობის პარალელურად, XX საუკუნის დასაწყისში, გერმანიაში საფუძველი ეყრება ახალ ფილოსოფიურ მიმართულებას – **ფენომენოლოგიას**. ამ მიმართულებამ დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ ფილოსოფიაზე და ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე, არამედ სოციალურ მეცნიერებებზე და გეოგრაფიაზეც.²⁶² ფენომენოლოგიური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი **ედმუნდ ჰუსერლია** (1859-1938 წწ.). ჰუსერლის მოძღვრებაში „**სასიცოცხლო სამყაროს**“ (*Lebenswelt*) ცნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სასიცოცხლო სამყაროს აღქმაში ცენტრალური როლი აკისრია **სხეულს** (*Leib*),²⁶³ რომელიც მე-ს მატარებელი და შეგრძნებათა ლოკუსია. სხეული ყოველთვის განიცდება, როგორც „აქ“ მყოფი, ხოლო ყოველივე, რაც აღიქმება, სხეულის ირგვლივ აღიქმება. „მე“

Jahrg. (1935), გვ. 2-15. ჰეტნერის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ გეოგრაფიაში იხ. E. Plewe, 'Alfred Hettner. Seine Stellung und Bedeutung in der Geographie'. In: *Geographie in Vergangenheit und Gegenwart. Ausgewählte Beiträge zur Geschichte und Methode des Faches von Ernst Plewe*. Herausgegeben von E. Meynen und U. Wardenga, Stuttgart: Franz Steiner Verlag, 1986, გვ. 379-391.

260 იხ. A. Hettner, *Die Geographie. Ihre Geschichte, ihr Wesen und ihre Methoden*. Breslau: Ferdinand Hirt, 1927.

261 შდრ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 213-227; G. J. Martin, *All Possible Worlds*, გვ. 171-175; U. Wardenga, 'German Geographical Thought and the Development of Länderkunde'. *Inforgeo*, 18/19 (2006), გვ. 140 და შმდ. ფ. ჰარვი და უ. ვარდენგა მიიჩნევენ, რომ ჰერთსჰორნმა არასწორად გაიგო ჰეტნერის ნააზრევის მთელი რიგი ასპექტები, რითაც ანგლო-ამერიკულ გეოგრაფიაში ჰეტნერის შეხედულებების არასწორად გაგებას შეუწყო ხელი. იხ. F. Harvey, U. Wardenga, 'The Hettner-Hartshorne Connection: Reconsidering the Process of Reception and Transformation of a Geographical Concept'. *Finisterra*, 33 (1998), გვ. 137 და შმდ.

262 იხ. მეოთხე თავი, ქვეთავები, რომლებიც ე. რელფს, დ. სიმონსა და ე. კეისის ეძღვნება.

263 როდესაც ჰუსერლი საუბრობს სხეულზე, როგორც ფიზიკურ ობიექტზე, იგი იყენებს ცნებას *Körper*. „ევროპული მეცნიერებების კრიზისში“ ჰუსერლი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ XVII საუკუნის ფიზიკამ წაშალა განსხვავება სხეულს, როგორც სხეულსა და სხეულს, როგორც ფიზიკურ ობიექტს შორის და უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა. იხ. E. S. Casey, *The Fate of Place: A Philosophical History*, გვ. 222-223.

ნივთების ცენტრშია მოქცეული და ასეთ მე-ს ჰუსერლი **მე-ცენტრს** (*Ichzentrum*) უწოდებს. მე-ს მიერ ადგილი აღიქმება კუნთური მგრძნობელობის ანუ კინესთეზიის მეშვეობით. აბსოლუტური სივრცის ჰომოგენურობა სხეულისა და **სხეულის სივრცის** (*Leibesraum*) მეშვეობით ირღვევა. მოძრაობის ცნების ანალიზის მეშვეობით ჰუსერლი ასკვნის, რომ მოძრაობა, ერთი მხრივ, აყალიბებს მდგრად ნივთებს მე-ს ირგვლივ, ხოლო, მეორე მხრივ, ის ადგილების ფიქსირებულ სისტემას წარმოშობს. გვიანდელ პერიოდში ჰუსერლთან ადგილის ცნება მეტ დინამიზმს იძენს და ის სხეულის მიერ განცდილ, აღქმულ ადგილად იქცევა.²⁶⁴ ჰუსერლის და შემდგომ **მორის მერლო-პონტის** (1908-1961 წწ.) შეხედულებებმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინეს ჰუმანიტურ გეოგრაფიაზე XX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში.

ისევ დავუბრუნდეთ გერმანულ გეოგრაფიას XX საუკუნის დასაწყისში. I მსოფლიო ომის შემდეგ გერმანული გეოგრაფია კვლავ მონოდების სიმალეზე იდგა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ გეოგრაფები ოტო შლუტერი (1872-1952 წწ.), ჰერმან ლაუტენზახი (1886-1971 წწ.), ალოიზ გაისტბეკი (1853-1925 წწ.), ალბრეხტ პენკი (1858-1945 წწ.), ჰაინრიხ შმიტჰენერი (1887-1957 წწ.), კარლ ტროლი (1899-1975 წწ.), ვალტერ კრისტალერი (1893-1969 წწ.), ჰანს შპეტმანი (1885-1957 წწ.), პეტერ ჰაინრიხ შმიდტი (1870-1954 წწ.) და სხვები. ხელისუფლებაში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის შემდეგ (1933 წ.), გერმანული გეოგრაფია, მეცნიერების სხვა დარგების მსგავსად, პოლიტიზებული გახდა.²⁶⁵

1937 წელს **პეტერ ჰაინრიხ შმიდტმა** გამოაქვეყნა „ფილოსოფიური დედამიწისმცოდნეობა. გეოგრაფიის საზოგადოებრივი სივრცე და მისი ნაციონალური ამოცანები“.²⁶⁶ შმიდტი ჰოლისტური მიდგომის მომხრეა. იგი მიიჩნევს, რომ ფილოსოფია გეოგრაფიული ცოდნის ანი და ჰოეა. მისი უგულებელყოფა არც ერთ გეოგრაფიულ დისკურსში არ შეიძლება. როდესაც გეოგრაფი საკუთარი დარგის საფუძვლებსა და ამოცანებს ანალიზებს, როდესაც იგი განსაზღვრავს საკუთარ მეთოდოლოგიას და მომიჯნავე დარგებთან დამოკიდებულებას, იგი მუდამ ფილოსოფიურ მეთოდებს იყენებს. ფილოსოფიის შემეცნები-

264 შდრ. E. S. Casey, *The Fate of Place: A Philosophical History*, გვ. 217-226.

265 აღნიშნული პერიოდის გერმანული გეოგრაფიის ისტორიის ანალიზი მოცემული აქვს კარლ ტროლს თავის სტატიაში „გეოგრაფიული მეცნიერება გერმანიაში 1933-1945 წლებში“. იხ. C. Troll, 'Die geographische Wissenschaft in Deutschland in den Jahren 1933 bis 1945'. *Erdkunde*, Bd. 1 (1947), გვ. 3-48.

266 იხ. P. H. Schmidt, *Philosophische Erdkunde. Die Gedankenwelt der Geographie und ihre nationalen Aufgaben*. Stuttgart: Ferdinand Enke Verlag, 1937.

თი მეთოდების გარეშე იგი უძლურია, გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანები. როდესაც მას არა მხოლოდ დედამიწის აღწერა, არამედ მისი საზრისის შეფასებაც სურს, იგი უკვე ფილოსოფოსი ხდება.²⁶⁷

ამრიგად, ფილოსოფია გეოგრაფიის სახით ღირებულ თანამებრძოლს მოიპოვებს. თუ გეოგრაფია ადამიანთა გარესამყაროს სივრცობრივი კავშირების გაშუქებას ესწრაფვის, ფილოსოფია მიზნად ისახავს ყველა იმ მიმართების მთლიანობაში მოაზრებას, რომლებიც ჩვენ დედამიწასთან გვაკავშირებს. გეოგრაფიის უპირატესობა ისაა, რომ ის ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის იმყოფება. გეოგრაფიული განაზრებების ბირთვის წარმოადგენს დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანური სულის მრავალმხრივი ურთიერთზემოქმედების (ყველა კულტურულ საფეხურზე და ყველა გეოგრაფიულ ზონაში) შესწავლა. თავისი უნიკალური პოზიციის გამო, გეოგრაფიას შეუძლია, ხელი შეუწყოს ისეთი ცნებითი აპარატის შემუშავებას, რომელიც თანაბრად შეუწყობს ხელს როგორც სულის, ასევე, ბუნების შემცენებას.²⁶⁸

გეოგრაფიული ფაქტების ფილოსოფიური ანალიზი გეოგრაფიული მოვლენების არსის პრობლემას წამოჭრის, რომელიც სცილდება ზოგადი გეოგრაფიის ფარგლებს და დედამიწის, როგორც ასეთის, ინტერპრეტაციას ესწრაფვის. ჩვენი გარემომცველი სამყარო ანალიზის შედეგად ჩვენში ხელახლა უნდა წარმოიშვას. შესაძლოა, ამის შედეგად მან ჩვენთვის ახალი ფორმები მიიღოს და მისმა ანარეკლმა ჩვენს უშუალო გამოცდილებაზე დადებითად იმოქმედოს, მიიჩნევს შმიდტი.²⁶⁹

ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვანია იაპონელი ფილოსოფოსის, **ვატუჯი ტეცუროს** (1889-1960 წ.) კლიმატის ფილოსოფია, რომელიც მან განავითარა ნაშრომში „ქარი და მინა“ (1935 წ.). ვატუჯიზე დიდი იყო გერმანელი ფილოსოფოსის, **მარტინ ჰაიდეგერის** (1889-1976 წ.) გავლენა. თავის მხრივ, გვიანდელ პერიოდში ჰაიდეგერმა საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა სივრცესა და ადგილს. რაც შეეხება გერმანელ იურისტს, **კარლ შმიტს** (1888-1985 წ.), თავის ნაშრომში „ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-

267 იქვე, გვ. 3-4.

268 იქვე, გვ. 4.

269 იქვე, გვ. 5. შმიდტის „ფილოსოფიური გეოგრაფია“ 1938 წელს მიმოიხილა ე. პლევემ. იგი შმიდტის ნაშრომს ფორსტერების შემოქმედებისა და ე. კაპის „ფილოსოფიური გეოგრაფიის“ ფონზე განიხილავს და მას მაღალ შეფასებას აძლევს. იხ. E. Plewe, 'Philosophische Erdkunde'. In: *Zeitschrift für Erdkunde*, 6. Jahrg. (1938), გვ. 97-102.

ისტორიული განაზრება“, მან მსოფლიო ისტორია ხმელეთისა და ზღვის მეტაფიზიკური დაპირისპირების პლანში განიხილა. გერმანელმა მარქსისტმა **კარლ ავგუსტ ვიტფოგელმა** (1896-1988 წწ.) წყლის ელემენტზე გაამახვილა ყურადღება, როდესაც განავითარა თეორია ჰიდრავლიკური ცივილიზაციების შესახებ. რაც შეეხება ფრანგ ფილოსოფოსს **გასტონ ბაშლიარს** (1884-1962 წწ.), მან თავის ნაშრომში „სივრცის პოეტიკა“ (1957 წ.) სახლის და სივრცის ცნებები „ემოციურ“ კონტექსტში განიხილა. ბაშლიარის განაზრებანი სახლში არსებული „მყუდრო კუთხე-კუნჭულების“ შესახებ ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ პარადიგმად შეიძლება მივიჩნიოთ.

1945 წელს ფრანგმა ფილოსოფოსმა მორის მერლო-პონტიმ გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „აქემის ფენომენოლოგია“,²⁷⁰ სადაც ყურადღება გაამახვილა ცოცხალ სხეულზე, რომელსაც, გონების ინტენციონალობისაგან განსხვავებით, საკუთარი, **სხეულებრივი ინტენციონალობა** გააჩნია. სხეულებრივი ინტენციონალობა, „ინტენციონალური თაღის“ მეშვეობით, აუქმებს მკაცრ დიხოტომიას სულსა და სხეულს შორის და ადამიანებს თავიანთ სასიცოცხლო სამყაროსთან აკავშირებს. სხეულებრივი ინტენციონალობა იმდენად სენსიტიურია, რომ მისი მეშვეობით სხეული მუდამ „ჩაჭიდებული“ სამყაროს. ეს „ჩაჭიდება“, რომელიც **სხეულის მოძრაობის** მეშვეობით ხორციელდება, საფუძვლად უდევს სივრცის წარმოშობას. სხეულის მოძრაობის აქტმა წინარეობიექტურია. მერლო-პონტის შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს მომდევნო თაობის გეოგრაფებსა და ფილოსოფოსებზე.²⁷¹

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოსტმოდერნული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა, ფრანგმა ფილოსოფოსებმა **ჟილ დელიოზმა** (1925-1995 წწ.) და **ფელიქს გატარიმ** (1930-1992 წწ.) ფილოსოფიურ დისკურსში „გეოფილოსოფიის“ ცნება დაამკვიდრეს. თავიანთ ერთობლივ ნაშრომში „რა არის ფილოსოფია?“ (1991 წ.) მათ გეოფილოსოფიის ცნებას ცალკე თავი მიუძღვნეს. დელიოზი და გატარი მიიჩნევენ, რომ ფილოსოფია ორიენტირებული უნდა იყოს არა ტემპორალობასა და ისტორიულობაზე, არამედ სივრცობრიობასა და გეოგრაფიაზე, რადგან „აზროვნება ტერიტორიასა და დედამიწასთან მიმართებაში ხორციელდება.“²⁷² გეოფილოსოფიის ცნებასთან კავშირშია **დეტერიტორიალიზაციის** და **რეტერიტორიალიზაციის** ცნებები, რომლებიც დელიოზმა და გატარიმ შემოიტანეს თავიანთ

270 იხ. M. Merleau-Ponty, *Phénoménologie de la perception*. Paris: Gallimard, 1945.

271 იხ. ქვეთავები დევიდ სიმონისა და ელუარდ კეისის შესახებ მეოთხე თავში.

272 იხ. G. Deleuze, F. Guattari, *What Is Philosophy?* Translated by H. Tomlinson and G. Burchell. New York: Columbia University Press, 1994, გვ. 85.

ნაშრომში „ანტი-ოედიპუსი“ (1972 წ.). გეოფილოსოფია აჩვენებს, რომ ფილოსოფია საბერძნეთში გაჩნდა შემთხვევითობის და არა აუცილებლობის, გარემოს და არა რაიმე სანყისის, გეოგრაფიის და არა ისტორიოგრაფიის შედეგად. ფილოსოფია არ დაიყვანება თავის ისტორიაზე.²⁷³ დელიოზი და გატარი ყურადღებას ამახვილებენ ქმნადობის არაისტორიულ ხასიათზე და პარალელს ავლებენ ნიცშესთან, რომლის თანახმად არაისტორიული იმ ატმოსფეროს ჰგავს, რომლის გაჩენასთან ერთად ჩნდება სიცოცხლე, მაგრამ რომლის გაქრობა სიცოცხლის გაქრობასაც გამოიწვევს.²⁷⁴ დელიოზისა და გატარის შეხედულებებზე დაყრდნობით, გერმანელმა ფილოსოფოსმა შტეფან გიუნცელმა „ნიცშეს ფილოსოფიური გეოგრაფია“ გააანალიზა.²⁷⁵ თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ გიუნცელის მიერ ტერმინ „ფილოსოფიური გეოგრაფიის“ გამოყენება განსხვავდება ფილოსოფიური გეოგრაფიის იმ ხედვისაგან, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია მოცემული. გიუნცელის ფილოსოფიური გეოგრაფიის პროექტი ემპირიული მონაცემების ანალიზს არ ითვალისწინებს.²⁷⁶ ამისგან

273 „ფილოსოფია ზუსტად ისევეა გეოფილოსოფია, როგორც ბროდელისთვის ისტორია არის გეოისტორია.“ იხ. G. Deleuze, F. Guattari, *What Is Philosophy?*, გვ. 95.

274 იხ. G. Deleuze, F. Guattari, *What Is Philosophy?*, გვ. 96-97; M. Bonta, J. Protevi, *Deleuze and Geophilosophy. A Guide and Glossary*. Edinburgh: Edinburgh University Press, 2006, გვ. 92-93 დელიოზისა და გატარის ეკუთვნით, ასევე, განსხვავება „გლუე“ და „სტრიატულ“ (ზოლოვან) სივრცეებს შორის. სტრიატული სივრცე ჰომოგენურია და ის ერთგვაროვანი წერტილებისაგან შედგება, ხოლო გლუვი სივრცე ჰეტეროგენულია, მრავალფეროვნებითაა აღსავსე და ის ენიანალმდეგება უნივერსალიზაციის ყოველ მცდელობას. გლუვი და სტრიატული სივრცეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ მუდმივად გადადიან ერთიმეორეში. იხ. G. Deleuze, F. Guattari, *A Thousand Plateaus. Capitalism and Schizophrenia*. Translated by B. Massumi. Minneapolis: University of Minnesota Press, 2005, გვ. 370 და შმდ.; E. S. Casey, *The Fate of Place: A Philosophical History*, გვ. 303 და შმდ.

275 იხ. S. Günzel, *Geophilosophie. Nietzsches philosophische Geographie*. Berlin: Akademie Verlag, 2001.

276 გიუნცელის ფილოსოფიური გეოგრაფია (რომლის პარალელურ ფორმად იგი „გეოფილოსოფიასაც“ იყენებს) კრიტიკული პერსპექტივაა, რომლის მიზანს ნიცშეს ფილოსოფიურ შრომებში არსებული გეოგრაფიული მეტაფორების – როგორც მოცემული ნაშრომების საკვანძო მომენტების – ანალიზი წარმოადგენს. იხ. S. Günzel, *Geophilosophie. Nietzsches philosophische Geographie*, passim. თუმცა, გვიანდელ ნაშრომებში სივრცის ცნების ფილოსოფიური ანალიზისას გიუნცელმა ინტერდისციპლინურ ასპექტებზე საგანგებო ყურადღება გაამახვილა. იხ. S. Günzel, 'Einleitung'. In: J. Dünne, S. Günzel (Hrsg.), *Raumtheorie. Grundlagentexte aus Philosophie*

განსხვავებით, ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც წინამდებარე ნაშრომის შესავალშია ჩამოყალიბებული, ემპირიული რეალობის კვლევაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით კვლევის ლოკალურ დონეზე) და სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი კვლევის მეთოდების (სიღრმისეული ინტერვიუები, ჩართული დაკვირვება, ფოკუს-ჯგუფები) გამოყენებას მოითხოვს. დებულება, რომლის თანახმად ფილოსოფიური გეოგრაფია ინტერდისციპლინური ნამონყებაა, ექსპლიციტურად გულისხმობს, რომ სოციალური მეცნიერებების პრობლემატიკასა და მეთოდოლოგიაზე ყურადღების გამახვილებაა საჭირო.

დელიოზისა და გატარისაგან განსხვავებით, შვეიცარიელი ფილოსოფოსი ელმარ ჰოლენშტაინი ინტერკულტურული ფილოსოფიის კონტექსტში ფილოსოფიის განვითარების გზებს რეალურ გეოგრაფიულ რუკაზე მოხაზავს. მისი ფილოსოფიური ატლასის მიზანია, ვიზუალურად წარმოაჩინოს ფილოსოფიის ისტორია გეოგრაფიულ სივრცეში. ჰოლენშტაინის ფილოსოფიური ატლასი იმითაცაა საინტერესო, რომ მასზე დატანილია შუა საუკუნეების ქართული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა – გელათი.²⁷⁷ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერკულტურული ფილოსოფიის ქრილში ქართველი ფილოსოფოსის, თენგიზ ირემადის ნაშრომზე „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“ დაყრდნობით შესაძლებელია, ჰოლენშტაინის ატლასში კავკასიის რეგიონში არსებული გარკვეული ვექტორები განსხვავებული სახით წარმოვიდგინოთ.²⁷⁸

und Kulturwissenschaften. Frankfurt am Main: Suhrkamp, 2006, გვ. 19-43; 105-128; მისივე, 'Raum – Topographie – Topologie'. In: S. Günzel (Hrsg.), *Topologie: zur Raumbeschreibung in den Kultur- und Medienwissenschaften*. Bielefeld: Transcript Verlag, 2007, გვ. 13-29; მისივე, 'Einleitung'. In: S. Günzel (Hrsg.), *Raumwissenschaften*. Frankfurt am Main: Suhrkamp, 2009, გვ. 7-13; S. Günzel (Hrsg.), *Raum: ein interdisziplinäres Handbuch*. Stuttgart: J. B. Metzler, 2010; S. Günzel (Hrsg.), *Lexikon der Raumphilosophie*. Darmstadt: WBG, 2012; S. Günzel, L. Nowak (Hrsg.), *KartenWissen: territoriale Räume zwischen Bild und Diagramm*. Wiesbaden: Reichert, 2012; S. Günzel (Hrsg.), *Texte zur Theorie des Raums*. Stuttgart: Reclam, 2013.

277 E. Holenstein, *Philosophie-Atlas: Orte und Wege des Denkens*, გვ. 85.

278 აღნიშნული ნაშრომის უმთავრეს ცნებას „გზაგასაყარი“ წარმოადგენს. „ეს ის ტოპოსია, რომელიც განსხვავებული კულტურების, შეხედულებებისა და მსოფლმხედველობების შეყრისა და გაყრის ადგილად შეიძლება გავიგოთ. [...] გზაგასაყარს ის თავისებურება აქვს, რომ აზროვნების ამ ტოპოსში სხვადასხვა კულტურები მთელი თავიანთი სისავსით ხვდებიან ერთმანეთს. ეს ის ამოსავალი წერტილია, სადაც იგივესა და სხვის მარადიული შეყრა და გაყრა, მაშასადამე, მათი ნამდვილი შეხვედრა ხდება.“

გიორგი თაყაიძე

ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალური და ლოკალური პარადიგმების მონაცვლეობა განსხვავებული პერსპექტივების არსებობაზე მიუთითებს. წინამდებარე თავის მიზანია, ამ დინამიური პროცესის საკვანძო მომენტებზე მოახდინოს რეფლექსია.

იხ. თ. ირემაძე. „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“, გვ. 12. ჰოლენ-შტაინის ატლასში გელათისკენ მომართული ვექტორი ალექსანდრიიდან მოდის და შემდეგ წყვეტილი ხაზის სახით, რომელიც „სიბრძნისმეტყველებით ლიტერატურას“ – როგორც ნამდვილი ფილოსოფიისაგან განსხვავებული ტიპის ჟანრს – აღნიშნავს, გელათისკენ მიემართება. თ. ირემაძის „გზაგასაყარის“ ცნებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია კავკასიის რეგიონის არა როგორც ფილოსოფიური აზროვნების პერიფერიის, არამედ როგორც ევროპისა და ელინური სამყაროს თანაბარმნიშვნელოვანი და თანასწორუფლებიანი რეგიონის დადგენა. იხ., ასევე, გ. თავაძე, „რუკების ძალა. გელათი და ‘კავკასიური ფილოსოფიის’ ცნება ინტერკულტურული ფილოსოფიის ჭრილში“, იხ. „ახალი დროის ქართული ფილოსოფია და მისი მთავარი წარმომადგენლები. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე“, რედ.: თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2014 წ., გვ. 136-156; გ. თავაძე, „გელათი როგორც კავკასიური ფილოსოფიის საკვანძო ტოპოსი და მისი მნიშვნელობა ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის“, იხ. „ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში“, რედ.: თ. ირემაძე, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016 წ., გვ. 179-193. აღნიშნულ კვლევებს ფილოსოფიური გეოგრაფიის კვლევის რეგიონალურ დონეს მივაკუთვნებ. შდრ. ქვეთავი 1.3.

3.2. ფრიდრიხ რატცელი: ბრძოლა სასიცოცხლო სივრცისათვის

ფრიდრიხ რატცელის სახელს დღეს განსხვავებული, უფრო მეტიც, ურთიერთსაპირისპირო წარმოდგენები უკავშირდება. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ რატცელმა, ფერდინანდ ფონ რიხტ-ჰოფენთან ერთად, ხელი შეუწყო ინტელექტუალური დისკურსის ჩამოყალიბებას, რომელმაც უშუალო ზეგავლენა მოახდინა 1904-05 წლებში ჰერეროსა და ნამას ტომების გენოციდზე აფრიკაში და ნიადაგი შეუმზადა გენოციდს II მსოფლიო ომის დროს.²⁷⁹ ზოგიერთის აზრით, იგი საუკეთესო განსახიერებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება ეხმარებოდეს გეოგრაფია და გეოგრაფი იმპერიალიზმსა და სამხედრო მეცნიერებას;²⁸⁰ სხვები კი მიიჩნევენ, რომ რატცელმა განავითარა სივრცის დინამიკური და თანამედროვე თეორია; რომ მან ნაწილობრივ მაინც მოახდინა არათანაბარი განვითარების დებულების კონსტანტირება და რომ უმართებულოა მისი თეორიის პირდაპირი დაკავშირება ნაციონალ-სოციალიზმის სამსახურში მდგარ გერმანულ გეოპოლიტიკასთან.²⁸¹

279 იხ. S. K. Danielsson, 'Creating Genocidal Space: Geographers and the Discourse of Annihilation, 1880-1933'. *Space and Polity*, 13 (2009), გვ. 55-68. 1904 წელს გერმანიის კუთვნილ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში (ახლანდელი ნამიბია) ჰერეროს ტომი გერმანელთა კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყება გერმანელთა მხრიდან სასტიკად იქნა ჩახშობილი. გენოციდის შედეგად ჰერეროს მოსახლეობა 90%-ით შემცირდა. იხ. J. Sarkin, *Germany's Genocide of the Herero: Kaiser Wilhelm II, His General, His Settlers, His Soldiers*. Cape Town: UCT Press, 2011. ს. დანიელსონის მსგავსად, ჰ.-დ. შულცი თვლის, რომ რატცელის გეოგრაფიული თეორია ნაციონალ-სოციალიზმის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. იხ. H.-D. Schultz, Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma?' *Erdkunde*, Bd. 52 (1998), გვ. 142. იხ., ასევე, R. Peet, *The Social Origins of Environmental Determinism*, გვ. 317.

280 იხ. E. Mendieta, 'War the School of Space: The Space of War and the War for Space'. *Ethics, Place and Environment*, 9 (2006), გვ. 213.

281 იხ. M. Bassin, 'Race contra space: the conflict between German Geopolitik and National Socialism'. *Political Geography Quarterly*, 6 (1987.), გვ 115-134; J. Lossau, 'Anthropogeography (After Ratzel)'. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, vol. 1, გვ. 146; G. H. Müller, *Friedrich Ratzel (1844-1904): Naturwissenschaftler, Geograph, Gelehrter. Neue Studien zu Leben und Werk und sein Konzept der "Allgemeinen Biogeographie"*. Stuttgart: Verlag für Geschichte der Naturwissenschaft

რატცელის შეხედულებების განხილვისას ყურადღებას გავამახვილებ სივრცის, უფრო სწორედ კი, „სასიცოცხლო სივრცის“ (*Lebensraum*) მისეულ ცნებაზე, რომელიც ერთობ წინააღმდეგობრივი ცნებაა, რადგან, არსებითად, სწორედ „სასიცოცხლო სივრცის“ ცნების შემოტანის გამო დასდეს რატცელს ბრალი იმპერიალიზმის მხარდაჭერაში. სივრცის ცნება მეტად მნიშვნელოვანია ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის. შესაბამისად, გამართლებული უნდა იყოს ამ ცნების რეცეფციის ანალიზი. მით უმეტეს, თუ ეს რეცეფცია XIX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ გერმანელ გეოგრაფს ეკუთვნის. ფილოსოფიის ერთ-ერთ ამოცანას კონკრეტული მეცნიერებების მიერ მოპოვებულ ცოდნაზე კრიტიკული რეფლექსია წარმოადგენს. ასეთ რეფლექსიას შესატყვისი ცნებების დაზუსტება ან მათი დესტრუქცია მოჰყვება.²⁸² ფილოსოფიური რეფლექსია „ძველი“ ცნებების ახლებურად და თანამედროვე კონტექსტთან შესატყვისობაში გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

რატცელის მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები“,²⁸³ „ანთროპოგეოგრაფია“,²⁸⁴ „ხალხთ-მცოდნეობა“,²⁸⁵ „პოლიტიკური გეოგრაფია“,²⁸⁶ „სასიცოცხლო სივრცე-ბიოგეოგრაფიული გამოკვლევა“,²⁸⁷ „დედამიწა და სიცოცხლე. შე-

ten und der Technik, 1996, გვ. 153 და შმდ.; W. Natter, 'Friedrich Ratzel's Spatial Turn. Identities of Disciplinary Space and its Borders Between the Anthro- and Political Geography of Germany and the United States'. In: H. van Houtum, O. Kramsch, W. Zierhofer (eds.), *B/ordering Space*. Aldershot: Ashgate, 2005, გვ. 175.

282 იხ. T. A. C. Reydon, P. Hoynigen-Huene, 'Philosophie und ihr Verhältnis zu den Einzelwissenschaften'. In: M. van Ackeren, T. Kobusch, J. Müller (Hrsg.), *Warum noch Philosophie? Historische, systematische und gesellschaftliche Positionen*. Berlin: Walter de Gruyter, 2011, გვ. 127.

283 იხ. F. Ratzel, *Die Vereinigten Staaten von Nord-Amerika*. 2 Bde, München: R. Oldenbourg, 1878-1880.

284 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie oder Grundzüge der Anwendung der Erdkunde auf die Geschichte*. Stuttgart: J. Engelhorn, 1882; Zweiter Teil: *Die Geographische Verbreitung des Menschen*. Stuttgart: Verlag von J. Engelhorn, 1891.

285 იხ. F. Ratzel, *Völkerkunde*. 3 Bde, Leipzig: Bibliographisches Institut, 1885-1888.

286 იხ. F. Ratzel, *Politische Geographie*. München und Leipzig: R. Oldenbourg, 1897.

287 იხ. F. Ratzel, *Der Lebensraum. Eine Biogeographische Studie*. Unveränderter reprografischer Nachdruck aus: *Festgaben für Albert Schäffle*. 1901, 101-189, Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft, 1966.

დარებითი დედამიწისმცოდნეობა“.²⁸⁸ უკანასკნელ წლებში რატცელ-ლი აპირებდა, დაენერა ნაშრომი „ზოგადი ბიოგეოგრაფიის“ შესახებ თუმცა ნაადრევმა სიკვდილმა მას ამ ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა.²⁸⁹

რატცელის სასიცოცხლო სივრცის თეორიის განხილვამდე მიზანშეწონილად მიმაჩნია, განვიხილო „ანთროპოგეოგრაფია“, რომელიც მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად მიიჩნევა, კერძოდ, რატცელის შეხედულებები ანთროპოგეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების შესახებ.²⁹⁰

„ანთროპოგეოგრაფიის“ პირველი ტომის ქვესათაურია: „ისტორიაზე დედამიწისმცოდნეობის გამოყენების ძირითადი ნიშან-თვისებები“.²⁹¹ ის შვიდ ქვეთავად იყოფა, რომლებშიც რატცელი განიხილავს ანთროპოგეოგრაფიის მეთოდებსა და ამოცანებს, ისტორიული მოძრაობის პროცესს, ადგილისა და სივრცის ცნებებს, ხალხთა საზღვრებს, დედამიწის ზედაპირს, ცოცხალ ბუნებასა და კლიმატს.

ანთროპოგეოგრაფია, გეოგრაფიის მსგავსად, უპირველეს ყოვ-

288 იხ. F. Ratzel, *Die Erde und das Leben. Eine vergleichende Erdkunde*. 2 Bde, Leipzig: Bibliographisches Institut, 1901-1902.

289 იხ. G. H. Müller, *Friedrich Ratzel*, გვ. 119. რატცელის „ზოგადი ბიოგეოგრაფიის“ შესახებ იხ. G. H. Müller, 'Das Konzept der "Allgemeinen Biogeographie" von Friedrich Ratzel (1844-1904): Eine Übersicht'. *Geographische Zeitschrift*, H. 1 (1986), გვ. 3-14. იხ. ასევე, G. H. Müller, *Friedrich Ratzel*, passim.

290 რატცელის ანთროპოგეოგრაფიის ადგილისათვის საზოგადოებრივი გეოგრაფიის განვითარების ისტორიაში იხ. D. Fliedner, 'Anthropogeographie, Paradigmenwechsel, Kulturelle Evolution'. *Geographische Zeitschrift*, 1 (1992), გვ. 1 და შმდ. რატცელის ანთროპოგეოგრაფიაზე გავლენა მოახდინა მ. ვაგნერის (1813-1887 წწ.) მიგრაციის თეორიამ. იხ. J. Lossau, 'Anthropogeography (After Ratzel)'. In: *International Encyclopedia of Human Geography*, გვ. 143. რატცელის „ანთროპოგეოგრაფიისა“ და სხვა ნაშრომების ზოგადი მიმოხილვისთვის იხ. H. Beck, *Grosse Geographen. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 171 და შმდ.

291 „ანთროპოგეოგრაფიის“ პირველი ტომის განხილვისას ვემყარები მის მესამე გამოცემას (1909 წ.), რომელიც მეორე გამოცემის უცვლელ ვერსიას წარმოადგენს. იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie. Erster Teil: Grundzüge der Anwendung der Erdkunde auf die Geschichte*. Dritte, unveränderte Auflage, Stuttgart: Verlag von J. Engelhorn, 1909. მეორე გამოცემა, რომელიც რატცელის სიცოცხლეში, 1899 წელს გამოიცა, რატცელმა საფუძვლიანად გადაამუშავა. შესაბამისად, რატცელის შეხედულებები იქ უფრო სრულყოფილად-აა გადმოცემული.

ლისა აღწერითი მეცნიერებაა.²⁹² თუმცა, აღწერა მის თვითმიზანს არ წარმოადგენს. ანთროპოგეოგრაფიამ უნდა მოახდინოს განსხვავებული ხალხების კლასიფიკაცია გეოგრაფიული ნიშნების (მდებარეობა, საცხოვრებელი ადგილის ბუნება) მიხედვით. კლასიფიკაცია პირველი ნაბიჯია ინდუქციის გზაზე. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხალხთა ტიპების კლასიფიციების ნებისმიერი მცდელობა შედარების გამოყენებას გულისხმობს. ამ აზრით, ანთროპოგეოგრაფია შედარებითი მეცნიერებაა.²⁹³ „ანთროპოგეოგრაფია [...] აღწერს იმ ადგილებს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ. შემდეგ ის ამ ადგილებს რუკაზე მონიშნავს. დედამიწის დასახლებულ ადგილებს („ოიკუმენე“) ის გამოყოფს დაუსახლებელი ადგილებისაგან. [...] რადგან კაცობრიობა რასების, ხალხებისა და სხვა მცირე ჯგუფებისაგან შედგება, რომლებიც ბუნებით ან ისტორიის მსვლელობის გამო ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ანთროპოგეოგრაფია იკვლევს ამ განსხვავებების გავრცელებას და ადგენს შესატყვის რასობრივ, ეთნოგრაფიულ, ენობრივ და პოლიტიკურ რუკებს.“²⁹⁴ ეს ამოცანა რატცელს ანთროპოგეოგრაფიული ამოცანებიდან უპირველესად მიაჩნია (სულ იგი სამ ასეთ ამოცანას გამოყოფს).

გეოგრაფია არ არის მხოლოდ დედუქციური მეცნიერება. გეოგრაფის ყურადღება ყოველთვის მიმართულია მთელი დედამიწისაკენ. ამიტომაც, გეოგრაფიული მეთოდი ჰოლოგეისტურია ანუ ჰოლისტურია. ის მთლიანად დედამიწაზე ამახვილებს ყურადღებას. ანალოგიურად, ანთროპოგეოგრაფია ხალხებს განიხილავს, როგორც მთლიან, ერთმანეთზე დამოკიდებულ სხეულებს. მისგან განსხვავებით, ეთნოგრაფია უფრო განსხვავებებზე ამახვილებს ყურადღებას. განსხვავებული ზღვების შედარებისას გეოგრაფს არასდროს ავიწყდება ოკეანის გამაერთიანებელი იდეა. ასევე, განსხვავებული ხალხების განხილვისას ანთროპოგეოგრაფს მუდამ მხედველობაში აქვს კაცობრიობის იდეა. იმ ეპოქაში, როდესაც მეცნიერული ამოცანები უკიდურესად დანაწევრებულია, რატცელის აზრით, ჰოლოგეისტური მიდგომა უაღრესად მნიშვნელოვანია.²⁹⁵

კაცობრიობის მთელი ისტორია დედამიწაზე მისი განვითარების

292 „ანთროპოგეოგრაფიის“ პირველ თავში რატცელი აღნიშნავს, რომ მონახაზისა და ძირითადი იდეების სახით ანთროპოგეოგრაფია უკვე არსებობდა პერდერსა და რიტერთან. თუმცა, მათ არ ჩამოუყალიბებიათ ანთროპოგეოგრაფიის კონკრეტული ამოცანები. იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 19.

293 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 57-59.

294 იქვე, გვ. 49.

295 იქვე, გვ. 59-60.

და დედამიწასთან ერთად ცხოვრების ისტორიაცაა. შესაბამისად, ანთროპოგეოგრაფიის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს წმინდა გეოგრაფიული მოცემულობების (მთების, ზღვების, ქედების) შესწავლა. გეოგრაფიული ელემენტები ანთროპოგეოგრაფიას მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ისინი კავშირში არიან დანარჩენ კაცობრიობასთან.²⁹⁶

ანთროპოგეოგრაფია არ ესწრაფვის ისეთი კანონების აღმოჩენას, რომლებიც მათემატიკური ფორმულებით იქნება გამოხატული. თუმცა, ის მაინც ესწრაფვის გარკვეული სახის კანონების დადგენას. აქ თავს იჩენს დეტერმინისტული პოზიცია:²⁹⁷ ხალხს, ადამიან-

296 იქვე, გვ. 61-63.

297 ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რატცელთან მიმართებაში მისი „ხისტ“ დეტერმინისტად მონათვლა, შესაძლოა, ნაჩქარევი და გაუმართლებელი აღმოჩნდეს. რატცელი თავად მიუთითებს ასეთი პოზიციის უმართებულობაზე. მუნცინგერის მიერ აღმოსავლეთ აფრიკაში მოგზაურობის ამსახველი პასაჟის განხილვისას რატცელი აღნიშნავს, რომ დებულებები, რომლებიც ადამიანებზე და მათ სოციალურ ცხოვრებაზე ბუნების ზემოქმედებას ეხება, „უდიდესი სიფრთხილით“ უნდა გამოითქვას (იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie. Dritte Auflage*, გვ. 27). რატცელი, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დროის ფაქტორზე: იმისათვის, რათა ბუნებამ ადამიანებზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინოს, საჭიროა, რომ მოცემული ხალხი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდეს მოცემულ ტერიტორიაზე. დეტერმინიზმის მომხრეები სათანადო ყურადღებას არ ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ისტორიული პროცესის განმავლობაში მსოფლიოს ხალხები ერთი ტერიტორიიდან მეორე ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ (იქვე, გვ. 38). ჰ.-დ შულცის თანახმად, გვიანდელ პერიოდში რატცელთან დეტერმინიზმი უფრო აშკარად იჩენს თავს, რაზეც გავლენა მოახდინა მისმა პოლიტიკურ-გეოგრაფიულმა აზროვნებამ (იხ. H.-D. Schultz, Herder und Ratzel: *Zwei Extreme, ein Paradigma?* გვ. 136). მკვლევარები, ასევე, აღნიშნავენ, რომ რატცელის „დეტერმინისტობის“ საკითხი ერთობ წინააღმდეგობრივია. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, რატცელის ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი გამონათქვამები, ხოლო, მეორე მხრივ, დარჯინისტული თეორიის ამბივალენტური ხასიათია. კაცობრიობის გააზრება ბუნების ნაწილად გულისხმობდა იმის დაშვებას, რომ სიცოცხლე დედამიწაზე ურთიერთდაკავშირებულია და განვითარების ერთსა და იგივე კანონებს ემორჩილება. კაცობრიობა ზეგავლენას განიცდის გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს გარემოზე. ასე რომ, „რატცელის გეოგრაფიული დეტერმინიზმი ბოლომდე განიცდიდა ეკოლოგიური თვალსაზრისის ზეგავლენას, რომელიც ხაზს უსვამდა გარემოში არსებული ურთიერთქმედებების მთლიანობასა და ორმხრივობას და ის სრულებით არ ჰგავს იმ მიმართულებას, რომელიც მოგვიანებით იმავე სახელით განვითარდა, განსაკუთრებით ანგლო-საქსურ გეოგრაფიაში“. იხ. G. H. Müller, *Friedrich*

ნის მსგავსად, საკუთარი ნება აქვს. მაგრამ ეს ნება ყოველმხრივ „შემოსაზღვრულია“, შეზღუდულია გეოგრაფიული გარემოთი. ამის ნათელ მაგალითად რატცელს მიაჩნია შემდეგი გარემოება: ადამიანები ვერასოდეს შეძლებენ ჩრდილოეთ პოლუსზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსებას; საჰარაში ვერასოდეს წარმოიქმნება მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ქალაქი. ადამიანთა სივრცობრივი გავრცელების არეალი ყოველთვის გარკვეული ტერიტორიით იქნება შემოფარგლული.²⁹⁸

მიუხედავად ამისა, რატცელი სრულებით როდი უარყოფს ხალხის უნარს, გავლენა მოახდინოს გეოგრაფიულ გარემოზე. ადამიანებს შეუძლიათ, გააფართოონ შემზღუდველი საზღვრები ან უფრო ასატანი გახადონ გარკვეული გეოგრაფიული პირობები, თუმცა, ამ საზღვრების სრული მოსპობა შეუძლებელია. შესაბამისად, ყოველი ხალხი მოცემული ქვეყნისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებს. ანთროპოგეოგრაფია ყოველ ხალხს თავის მიწასთან კავშირში განიხილავს და მასთან მიმართებაში ადგენს თავის კანონებს. ის შეისწავლის ისეთ კანონებს, რომელთა გეოგრაფიული ფორმულირებაა შესაძლებელი (ხალხთა ზრდა მოცემულ გეოგრაფიულ არეალში, კუნძულის ზეგავლენა მის მაცხოვრებლებზე, ძლიერი ხალხების სწრაფვა ზღვისკენ და ა. შ.). იმისათვის, რათა მართებულად შეფასდეს ქვეყნის ზეგავლენა მის მაცხოვრებლებზე, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სივრცის, ადგილისა და ფორმის ცნებები. ეს ფაქტორები მუდამ ერთსა და იმავე ზეგავლენას ახდენს, თუმცა, გარკვეული ისტორიული გარემოებების გამო, ეს ზეგავლენა ზოგჯერ აშკარად იჩენს თავს, ზოგჯერ კი ისევ სუსტდება.²⁹⁹ მოცემული ხალხის თავის მიწაზე დამოკიდებულების კვლევა **მეორე** მთავარ ანთროპოგეოგრაფიულ ამოცანას წარმოადგენს. დედამიწის ზედაპირზე ხალხთა გადაადგილებას გარკვეული გეოგრაფიული ფაქტორები (რელიეფი, ჰიდროგრაფიული ქსელი, მცენარეული საფარი) აფერხებს ან აჩქარებს. ამ პროცესების შესწავლისას გეოგრაფია მჭიდრო კავშირშია ისტორიასთან.³⁰⁰ ანთროპო-

Ratzel, გვ. 155.

298 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage. გვ. 63.

299 იქვე, გვ. 64.

300 ისტორიისა და გეოგრაფიის კავშირის ანალიზის დროს რატცელი კანტის „ფიზიკურ გეოგრაფიაზე“ რეფერირებს, რომლის თანახმად, ისტორიას გეოგრაფია უდევს საფუძვლად. ამავე დროს, რატცელი უარყოფს თვალსაზრისს, თითქოს გეოგრაფია მხოლოდ ისტორიის დამხმარე დისციპლინა იყოს. ყოველ მეცნიერებას შეუძლია, გაუწიოს სამსახური მეორე მეცნიერებას ისე, რომ მის მსახურად არ იქცეს. რატცელის აზრით,

გეოგრაფია აანალიზებს, თუ როგორ მოხვდა და დასახლდა ესა თუ ის ხალხი ამა თუ იმ ტერიტორიაზე.³⁰¹

არ არსებობს მეცნიერება, რომელსაც მხოლოდ დამხმარე მეცნიერების სტატუსი ექნება. ასევე, ყოველ მეცნიერებას გარკვეულ დროს მეზობელი დისციპლინების დახმარება ესაჭიროება. შესაბამისად, გეოგრაფია და ისტორია ისეთივე მონათესავე მეცნიერებებია (*Schwesterwissenschaften*), როგორც, მაგალითად, გეოგრაფია და დედამიწის ისტორია. იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie. Dritte Auflage*, გვ. 50 და 54. ისტორიის შესახებ რატცელის შეხედულებებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ე. კაპის „ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ“. ისტორიისა გეოგრაფიის კავშირის კაპისეულ კონცეფციას რატცელი მაღალ შეფასებას ანიჭებდა (იქვე, გვ. vi, 22 და 24).

301 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie. Dritte Auflage*, გვ. 49. 1899 წელს თავის „სოციოლოგიურ წელიწადულში“ ე. დიურკემმა განიხილა რატცელის „ანთროპოგეოგრაფია“. დიურკემის აზრით, რატცელმა დაიხსნა გეოგრაფია იზოლაციისაგან და ის ქვეშარიტ სოციალურ მეცნიერებად აქცია. თუმცა, დიურკემი თვლის, რომ ანთროპოგეოგრაფიის საგანი და მეთოდები ბუნდოვანია. ანთროპოგეოგრაფია, რატცელის მიხედვით, შეისწავლის ყველა იმ ზეგავლენას, რასაც მიწა (*Boden*) ახდენს სოციალურ ცხოვრებაზე. მაგრამ ამ გავლენების შესწავლა მხოლოდ ერთი მეცნიერების საქმე არ არის. მიწისა და კლიმატის ბუნება, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს კოლექტიურ წარმოდგენებზე, მითებსა და ლეგენდებზე, მაგრამ ამ გავლენების შესწავლა აღნიშნული ასპექტით რელიგიის სოციოლოგიის საქმეა. რაც შეეხება ხალხთა თავისებურებებს, მათ კოლექტიური ეთნოლოგია შეისწავლის. დიურკემის აზრით, ერთი მკვლევარი ვერ მოახერხებს პრობლემათა ამ ფართო სპექტრთან გამკლავებას. გარდა ამისა, მიიჩნევს დიურკემი, რატცელი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს გეოგრაფიულ ფაქტორებს. ის გარემოება, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში ერთი და იგივე სოციალური ტიპები გვხვდება, რატცელის დებულების უმართებულობაზე მიგვანიშნებს. დაბოლოს, გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ისტორიის განსხვავებულ მომენტებში სხვადასხვანაირია. ნაკლებად განვითარებული საზოგადოებების რელიგიებში აღბეჭდილია იმ მიწის კვალი, სადაც ეს რელიგია ჩამოყალიბდა, მაგრამ დღეს მეცნიერული ქვეშარიტებები არ არის ლოკალურ კონტექსტზე დამოკიდებული. მიწა კი არ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე, არამედ, პირიქით. გეოგრაფიული ფაქტორი კი არ ჰფენს ახალ შუქს სოციოლოგიას, არამედ, საპირისპიროდ, მხოლოდ სოციოლოგიის მეშვეობით გავიგებთ გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას. იხ. E. Durkheim, *Selected Writings*. New York: Cambridge University Press, 1998. გვ. 86-88. ე. ნატერის აზრით, დიურკემმა, სავარაუდოდ, სათანადო ყურადღება არ გაამახვილა ტერმინ *Boden*-ის მნიშვნელობაზე რატცელთან. ადამიანებთან მიმართებაში *der Boden*, ერთი მხრივ, აღნიშნავს მიწას, დედამიწის ფიზიკურ ზედაპირს, რომელზეც ადამიანები გადაადგილდებიან; მეორე მხრივ, ის გამოიყენება სატრანსპორტო და სავაჭრო გზებისა და ქსელების დასახასიათებლად,

ანთროპოგეოგრაფიულ ამოცანათა **მესამე** ჯგუფს განეკუთვნება ბუნების ზემოქმედების შესწავლა ინდივიდებზე და მათი მემკვიდრეობით, მთელ ხალხებზე. „ბუნების ზემოქმედებაში“ რატცელი მოიაზრებს კლიმატის, ნიადაგის აგებულების, მცენარეული და ცხოველური სამყაროს ზეგავლენას ადამიანის სხეულზე. მისი აზრით, ზოგიერთ შემთხვევაში ეს გავლენები აშკარაა, ზოგჯერ კი – ფარული. ამ გავლენათა სრული სპექტრის ანალიზი, რატცელის მიხედვით, უფრო ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ამოცანას შეადგენს, თუმცა, ანთროპოგეოგრაფიამ აქტიურად უნდა გამოიყენოს ამ სფეროში მოპოვებული ცოდნა ქვეყნებისა და ხალხების აღწერის დროს.³⁰²

ანთროპოგეოგრაფია გეოგრაფიის ნაწილია,³⁰³ თუმცა, რადგან ის ადამიანებითაა დაინტერესებული, ის, ამავე დროს, წარმოადგენს იმ მეცნიერების ნაწილს, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელებას შეისწავლის. ამ მეცნიერებას რატცელი ბიოგეოგრაფიას უწოდებს.³⁰⁴ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რატცელს არ დასცალდა „ზოგად ბიოგეოგრაფიასთან“ დაკავშირებული ნაშრომის გამოცემა.

სივრცის ცნებას რატცელი „ანთროპოგეოგრაფიის“ პირველი ტომის მესამე თავში განიხილავს. სივრცე და სიცოცხლე, რატცელის მიხედვით, მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ადამიანთა რაოდენობის ზრდა მოცემულ ტერიტორიაზე მათ შორის არსებული სივრცობრივი მიმართებების ცვლილებას იწვევს, რადგან, ადამიანთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, მცირდება ის სივრცე, რომელიც მათი არსებობისთვისაა საჭირო. სივრცობრივი მიმართებების ცვლილებას სხვა

რომლებიც, ხელს უწყობს ან აფერხებს ადამიანთა გადაადგილებას. ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ხალხთა თვისებებზე, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანთა გადაადგილებისა და მოძრაობის შედეგად, გარემოც იცვლება. შესაბამისად, ასკენის ნატერი, „რატცელი მართლაც ესწრაფოდა კაცობრიობის ახსნას დედამიწის მემკვიდრეობით (როგორც ამას დიურკემი აღნიშნავდა), მაგრამ ეს იყო მცდელობა დინამიკური სივრცით-დროითი მატრიცის შესაქმნელად, რომელიც ადამიანის განვითარების ახსნისათვის ეფექტურად კვეთდა სივრცისა და დროის ფარულ მექანიზმებს.“ იხ. W. Natter, Friedrich Ratzel's Spatial Turn, გვ. 181.

302 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 49-50; H.-D. Schultz, Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma? გვ. 135.

303 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 6.

304 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie. Zweiter Teil: Die Geographische Verbreitung des Menschen*. Stuttgart: Verlag von J. Engelhorn, 1891, გვ. xxiv-xxv; მისივე, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 1, 5-6; G. H. Müller, *Friedrich Ratzel*, გვ. 103 და შმდ.

სასიცოცხლო პირობების ცვლილება მოჰყვება.³⁰⁵ შესაბამისად, „უმთავრესი ბიოგეოგრაფიული სივრცობრივი პრობლემა არის სიცოცხლის მიმართება დედამიწის სივრცესთან.“³⁰⁶

დიდი სივრცე ხელს უწყობს სიცოცხლის მრავალფეროვნებას. სიცოცხლის ახალი ფორმების განვითარება ყოველთვის მოცემულ სივრცეზეა დამოკიდებული. სიცოცხლის ახალ ფორმას სჭირდება სივრცე, რათა გახდეს ის, რაც ის არის და კიდევ უფრო მეტი სივრცე იმისათვის, რათა განამტკიცოს და მემკვიდრეობით გადასცეს საკუთარი სახეობის ნიშან-თვისებები.³⁰⁷ სიცოცხლის ახალი ფორმების წარმოქმნას სივრცე სჭირდება, დედამიწაზე არსებული სივრცე კი შეზღუდულია. შესაბამისად, წარმოიშობა „ბრძოლა სივრცისათვის“.³⁰⁸ დარვინისეული „არსებობისათვის ბრძოლა“ რატცელთან იქცა „ბრძოლად სივრცისათვის“, რომელიც არა მხოლოდ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე, არამედ ხალხებსა და სახელმწიფოებზეც ვრცელდება.³⁰⁹ ძლიერი ხალხები სუსტებს ავიწროებენ და მათ სასიცოცხლო სივრცეს იკავებენ.³¹⁰ „არა მხოლოდ ცალკეუ-

305 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 149.

306 იქვე.

307 იქვე, გვ. 149-150.

308 შდრ. იქვე, გვ. 150, 158 და შმდ.; F. Ratzel, *Anthropogeographie. Zweiter Teil*, გვ. xxiii; მისივე, *Der Lebensraum*, გვ. 51 და შმდ.

309 „არსებობისათვის ბრძოლა, უწინარეს ყოვლისა, სივრცისათვის ბრძოლას ნიშნავს, რადგან სივრცე სიცოცხლის უპირველეს წინაპირობას წარმოადგენს.“ იხ. F. Ratzel, *Der Lebensraum*, გვ. 51. შდრ., ასევე, F. Ratzel, *Anthropogeographie. Zweiter Teil*, გვ. xxii; H.-D. Schultz, Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma? გვ. 137; E. Mendieta, War the School of Space, გვ. 214. რატცელი შენიშნავს, რომ, მიუხედავად ამისა, დარვინსა და მის მიმდევრებს ამ საკითხზე სათანადო ყურადღება არ გაუმახვილებიათ. იხ. F. Ratzel, *Der Lebensraum*, გვ. 52.

310 სასიცოცხლო სივრცე მოიცავს გეოგრაფიულ სივრცეს, რომელიც საჭიროა იქ მცხოვრები სახეობების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სახეობის სასიცოცხლო სივრცის საზღვრები სახეობის ზრდასთან ერთად იცვლება. სასიცოცხლო სივრცე დარვინისეულ ბუნებრივ გადარჩევას სივრცობრივ განზომილებაში აქცევს. სახეობების ისტორია (ადამიანის ჩათვლით) წარმოადგენს სასიცოცხლო სივრცის ცვალებადი შაბლონებისადმი ადაპტაციას. სასიცოცხლო სივრცისადმი ადაპტაციას, ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, კულტურის მეშვეობით ახდენენ. იხ. W. D. Smith, 'Friedrich Ratzel and the Origins of Lebensraum'. *German Studies Review* (1980), vol. 3, გვ. 53. სმითის მიხედვით, რატცელის „სასიცოცხლო სივრცის“ ცნებაზე გავლენა მოახდინა ფსიქოლოგ გ. ფენხერის (1801-1887 წწ.) შეხედულებებმა (იქვე, გვ. 54).

ლი ხალხების, არამედ მთელი კულტურების აღმავლობა და დაცემა სივრცობრივ მიმართებებზეა დამოკიდებული. მთელ ისტორიას სივრცობრივი საკითხები მართავს.³¹¹ რაც უფრო დიდია სივრცის მოცემული ნაწილი, მით უფრო თავისუფლად შეუძლიათ იქ მაცხოვრებელ ხალხებს განვრცობა და მით უფრო მეტადაა შესაძლებელი ახალი ადგილების გამოჩენა ძლიერი ხალხისაგან შევიწროების შემთხვევაში: ტანსამანიელებმა ვერ გაუძლეს ევროპელთა შემოტევას და განადგურდნენ, ადგილობრივმა ავსტრალიელებმა კი არსებობა შეინარჩუნეს.³¹² დიდი სივრცე გაფართოებისაკენ მოუწოდებს ხალხებს, მცირე სივრცე კი მათ შევიწროებას უწყობს ხელს. ამ აზრით სივრცე პოლიტიკურ ძალად გვევლინება.³¹³

რატცელი გამოყოფს ხალხებისა და სახელმწიფოების სივრცობრივი ზრდის კანონებს. ძირითადი განსხვავება ამ ორი ტიპის კანონებს შორის შემდეგში მდგომარეობს: ხალხის რაოდენობის ზრდა ყოველთვის „ბუნებრივ გამრავლებაზე“ დამოკიდებული, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ზრდას, შესაძლოა, თავდასხმისადმი ნებამ შეუწყოს ხელი. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს საზღვრები სცდება ხალხის საზღვრებს. აქედან, ასკენის რატცელი, გამომდინარეობს შემდეგი უმნიშვნელოვანესი კანონი: სახელმწიფო მით უფრო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია, რაც უფრო ემთხვევა მისი ტერიტორია იქ მცხოვრები ხალხის განსახლების არეალს და რაც უფრო თანაბარ-ზომიერად ხდება სახელმწიფოს ზრდა ხალხის რაოდენობის ზრდის შესატყვისად.³¹⁴ სახელმწიფოების სივრცობრივი ზრდის კანონები შემდეგში ვლინდება: კულტურის განვითარებას თან სდევს სახელმ-

311 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 150.

312 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Zweiter Teil, გვ. xxxiv; მისივე, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 153 და 160.

313 იხ. F. Ratzel, *Politische Geographie oder die Geographie der Staaten, des Verkehrs und des Krieges*. Zweite umgearbeitete Auflage. München und Berlin: Verlag von R. Oldenbourg, 1903, გვ. 369-370.

314 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 155. ბიოგეოგრაფია, რატცელის მიხედვით, სახელმწიფოს განიხილავს, როგორც დედამიწაზე სიცოცხლის გავრცელების ერთ-ერთ ფორმას. იხ. F. Ratzel, *Politische Geographie*. Zweite Auflage, გვ. 3. სახელმწიფოს რატცელი განსაზღვრავს, როგორც მიწისა და ადამიანების კომბინაციას (იქვე, გვ. 4). „სახელმწიფო უკიდურესად არასრულყოფილი ორგანიზმია“ (იქვე, გვ. 11). ინდივიდი სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ცხოველურ ორგანიზმში ნაწილი ყოველთვის მთელის მიმართაა დაქვემდებარებული და დამოუკიდებლობა არ გააჩნია. ამის საპირისპიროდ, სრულყოფილ სახელმწიფოში მოქალაქეები თავიანთ თავისუფლებას სახელმწიფო სამსახურში სრულყოფენ (იქვე, გვ. 13-15).

ნიფოს ზრდა; სახელმწიფოს ზრდა ხორციელდება შედარებით მცირე ერთეულების ანექსირებით; საზღვრები სახელმწიფოს პერიფერიულ ორგანოს წარმოადგენს. სახელმწიფოს ორგანიზმის ტრანსფორმაციის შედეგად ისინიც იცვლებიან. სახელმწიფოები ესწრაფვიან პოლიტიკურად ხელსაყრელი პოზიციების დაკავებას. სახელმწიფოს ზრდის პირველი სტიმულები ექსტერნალური ხასიათისაა; ტერიტორიული ანექსიის ტენდენცია სახელმწიფოდან სახელმწიფოს გადაეცემა და ამასთან ერთად, მისი ინტენსივობა იზრდება.³¹⁵

მიუხედავად ამისა, სასიცოცხლო სივრცისათვის ბრძოლას რატცელი პოზიტიურ კონტექსტში განიხილავს: კულტურების განვითარებას სახელმწიფოებისა და ხალხების სივრცობრივი ზრდის პროცესში ბრძოლის ველის გაფართოება და შიდა უთანხმოებების შემცირება მოჰყვება, რაც დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთდაცილებითაა გამოწვეული. ამ პროცესის მაგალითად რატცელს ჩრდილოეთ ამერიკა მოჰყავს, სადაც 400 წლის განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა სხვადასხვა მცირე ხალხებს შორის. მაგრამ ახლა, მიიჩნევს რატცელი, იქ ადგილი აქვს მშვიდობიან შეჯიბრს ორ ევროპულ ხალხს შორის, რომლებმაც კონტინენტი დაიწინაურეს.³¹⁶

ამ პაციფისტური კონოტაციის მიუხედავად, მკვლევარები მიუთითებენ იმ იმპერიალისტურ წანამძღვრებზე, რომლებიც სივრცის შესახებ რატცელის განაზრებებში არსებობს. „პოლიტიკურ გეოგრაფიაში“ რატცელი ომს „სივრცის სკოლას“ უწოდებს,³¹⁷ ხოლო ხალხთა შორის ბრძოლას მხოლოდ სივრცისათვის ბრძოლად მიიჩნევს.³¹⁸ ე. მენდიეტა რატცელის ორი დებულების („სიცოცხლე არის ბრძოლა სივრცისათვის“ და „ომი არის სივრცის სკოლა“) საფუძველზე ასკვნის, რომ რატცელთან სივრცე ომითაა განსაზღვრული. ომის ინტენსივობა სივრცეზეა დამოკიდებული.³¹⁹ მენდიეტა, ასევე, ყურადღებას ამახვილებს რატცელის მიერ ზღვის მნიშვნელობის შეფასებაზე. თავის ნაშრომში „ზღვა, როგორც ხალხთა სიდიადის წყარო. პოლი-

315 იხ. F. Ratzel, *Politische Geographie*. Zweite Auflage, გვ. 241 და შმდ.; E. Mendieta, *War the School of Space*, გვ. 214; H.-D. Schultz, *Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma?* გვ. 136-137.

316 იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie*. Dritte Auflage, გვ. 159.

317 იხ. F. Ratzel, *Politische Geographie*. Zweite Auflage, გვ. 373.

318 იქვე, გვ. 381.

319 იხ. E. Mendieta, *War the School of Space*, გვ. 213-214. როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოთა ზრდის ანალიზისას რატცელი მნიშვნელობას ანიჭებდა დიდ და მცირე სივრცეებს. იხ. F. Ratzel, *Politische Geographie*. Zweite Auflage, გვ. 382.

ტიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა³²⁰ რატცელი განიხილავს ზღვის ზემოქმედებას ხალხებზე. „ზღვის ხალხებმა ყველაზე მეტად შეუწყვეს ხელი პოლიტიკური მასშტაბების განვრცობას. [...] ღია ზღვა არა მხოლოდ ვაჭრის, არამედ სახელმწიფო მოღვაწის თვალსაწიერსაც აფართოებს. მხოლოდ ზღვას შეუძლია ნამდვილი მსოფლიო სახელმწიფოების წარმოქმნა.“³²¹ დიდი პოლიტიკის იდეალს კონტინენტური და ოკეანური მოტივების დაკავშირება წარმოადგენს.³²² გერმანიამ, რატცელის მიხედვით, ზღვაზე ძლიერება უნდა მოიპოვოს, რათა თავისი მსოფლიო დანიშნულება აღასრულოს.³²³ საბოლოო ჯამში, მენდიეტას აზრით, „რატცელმა იმგვარად დააკავშირა ხალხის, რასისა და სივრცის ცნებები, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაო ძალისხმევა გვჭირდება მათგან გასათავისუფლებლად.“³²⁴

კიდევ უფრო რადიკალურია ს. დანიელსონი, რომელიც „სასიცოცხლო სივრცის“ ცნებას გენოციდის სივრცეს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ რატცელის მიერ ფორმულირებულ „სახელმწიფოების სივრცობრივი ზრდის კანონებში“ იმპლიციტურად იგულისხმებოდა

320 იხ. F. Ratzel, *Das Meer als Quelle der Völkergrösse. Eine politisch-geographische Studie*. München und Leipzig: Oldenbourg, 1900.

321 იხ. F. Ratzel, *Das Meer als Quelle der Völkergrösse. Eine politisch-geographische Studie*. Zweite, verbesserte Auflage, München und Berlin: Druck und Verlag von R. Oldenbourg, 1911, გვ. 40.

322 იქვე, გვ. 73.

323 იქვე, გვ. iii. იხ., ასევე, E. Mendieta, *War the School of Space*, გვ. 215. რატცელის აღნიშნულ ნაშრომთან საინტერესო მსგავსებებს ამჟღავნებს კარლ შმიტის „ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება“ (1942 წ.). იხ. ქვეთავი 3.3.

324 იხ. E. Mendieta, *War the School of Space*, გვ. 215. გ. მიულერი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომელიც, მისი აზრით, აქამდე შეუმჩნეველი რჩებოდათ სხვა მკვლევარებს. რატცელი თავის ესეში „სული, რომელიც წყლის ზედაპირზე მოძრაობს“ (1901 წ.) წერს: „ჩემი პატარა ნიგნი ‘ზღვა როგორც ხალხთა სიდიადის წყარო’ იმ შეგრძნებით დაეასრულე, რომ ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი, რისი თქმაც შეიძლებოდა ზღვის შესახებ და რაც ნათქვამი უნდა ყოფილიყო, სრულიად უთქმელი დარჩა.“ იხ. F. Ratzel, *Kleine Schriften von Friedrich Ratzel*. Ausgewählt und herausgegeben durch H. Helmolt. Bd. 1, München und Berlin: Oldenbourg, გვ. 237; G. H. Müller, *Friedrich Ratzel*, გვ. 154-155. რატცელს სურს, აჩვენოს „ზღვის მნიშვნელობა ხალხის სულზე“ (იხ. F. Ratzel, *Kleine Schriften*, Bd. 1, გვ. 237), გამოვლინოს მიმართებები ზღვასა და ადამიანის მიერ უსასრულოს შეცნობის მარადიულ მისწრაფებას შორის. ამ მიზნით იგი განიხილავს მსოფლიოს ხალხების წარღვნის მითებს, გადმოცემებს სამყაროს შესაქმნის შესახებ და ა.შ.

ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიების ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის გამართლება.³²⁵ უარყოფით დასკვნამდე მიდის ჰანს-დიტრის შულციც, რომელიც ჰერდერისა და რატცელის ნააზრევის შედარების საფუძველზე აჩვენებს, რომ რატცელმა მოახდინა კლასიკური გეოგრაფიული პარადიგმის დინამიზირება და მისი იმპერიული ვერსია ჩამოაყალიბა.³²⁶

საყურადღებოა საპირისპირო პოზიციებიც. მ. ბეისინი ყურადღებას ამახვილებს რატცელის ანტირასისტულ პოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ რატცელი ულტრანაციონალისტური „პანგერმანული

325 იხ. S. K. Danielsson, 'Creating Genocidal Space: Geographers and the Discourse of Annihilation, 1880-1933'. *Space and Polity*, 13 (2009), გვ. 63.

326 იხ. H.-D. Schultz, Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma? გვ. 139; მისივე, Raumkonstrukte der klassischen deutschsprachigen Geographie des 19./20. Jahrhunderts im Kontext ihrer Zeit. Ein Überblick, გვ. 348-349; მისივე, Zwischen fordernder Natur und freiem Willen: das Politische an der „klassischen“ deutschen Geographie, გვ. 12. კლასიკური გეოგრაფიული პარადიგმის თანახმად, რომლის საფუძველსაც შულციც ჰერდერთან ხედავს, სახელმწიფოს, ქვეყნის (ბუნებრივი მოცემულობის) და ხალხის თანდათანობითი შერწყმის შედეგად ჰარმონიული ერთიანობა მიიღებოდა (იხ. H.-D. Schultz, Herder und Ratzel: Zwei Extreme, ein Paradigma? გვ. 133). რატცელის ვერსიაში ეს ერთიანობა დარღვეულია, რადგან ხალხი ტოვებს ბუნებრივი მოცემულობის საზღვრებს და ახალ ტერიტორიას ითვისებს. ხალხის მოძრაობას თან სდევს სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება და ექსპანსია (იქვე, გვ. 138). მაშინ, როდესაც ჰერდერისათვის მშვიდობა კაცობრიობის ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენდა, რატცელისათვის ომი სივრცის სკოლა იყო, რომლის მეშვეობითაც ხალხები მცირე სივრცეებიდან უფრო დიდ სივრცეებს იკავებდნენ. თუ ეს პროცესი ბუნებრივი კანონებითა ნაკარნახევი, შენიშნავს შულციც, მაშინ იკარგება პასუხისმგებლობა ომის გაჩაღების გამო (იქვე, გვ. 140; J. Lossau, 'Anthropogeography (After Ratzel)'. In: *International Encyclopedia of Human Geography*, გვ. 144-145). საინტერესოა „სასიცოცხლო სივრცის“ ცნების ანალიზი, რომელიც ვ. სმითს ეკუთვნის. მისი აზრით, რატცელის მიერ „სასიცოცხლო სივრცის“ ცნების შემოტანაზე გავლენა მოახდინა რატცელის პოზიტიურმა დამოკიდებულებამ სოფლის მეურნეობის მიმართ. ეს დამოკიდებულება აიხსნება როგორც ბიოგრაფიული მომენტებით, ასევე, საშუალო ფენის (რომელსაც რატცელის ოჯახი ეკუთვნოდა) იდეოლოგიით, რომელიც სოფლის მეურნეობის პრიმატს ეფუძნებოდა. „სასიცოცხლო სივრცის“ ცნება, სმითის აზრით, წარმოადგენდა აგრარული იდეოლოგიის მეცნიერულ მხარდაჭერას, რადგან სასიცოცხლო სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ის სივრცე, რომელიც ადამიანის მიერ იყო დამოუკიდებელი. იხ. W. D. Smith, Friedrich Ratzel and the Origins of Lebensraum, გვ. 55 და შმდ.

ლიგის“ (*Alldeutscher Verband*) ნევრი იყო,³²⁷ იგი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა იმ იდეას, რომლის თანახმად, ნაციონალური ერთობის საფუძვლად ეთნიკური ან რასობრივი ერთიანობა მოიაზრებოდა.³²⁸ ჯ. ჰანთერი იცავს რატცელის შეხედულებებს რ. პიტის მარქსისტული კრიტიკისაგან. ჰანთერი თვლის, რომ რატცელის მიერ ფორმულირებული „სახელმწიფოების სივრცობრივი ზრდის კანონების“ აბსოლუტურ კანონებად გააზრება რატცელის შეხედულებების დამახინჯება და გამარტივებაა. „სივრცობრივი ზრდის კანონებში“ რატცელი არ გულისხმობდა, რომ სახელმწიფოების ზრდა ცალსახად ნიშნავდა დიდი სახელმწიფოების მიერ მცირე სახელმწიფოების ანექსირებას.³²⁹ ჰ. ბეკი მიიჩნევს, რომ რატცელის გამოცხადება ნაციონალ-სოციალისტების წინამორბედად ცალსახად ემყარება მისი ნააზრევის ვერგაგებას.³³⁰ გ. მიულერი მიუთითებს ანგლო-საქსურ სივრცეში რატცელის შეხედულებების ცალმხრივ, ნეგატიურ გააზრებაზე და მოითხოვს, რომ რატცელის ნააზრევის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნეს მისი შრომების განსხვავებული ასპექტები.³³¹

იყო თუ არა რატცელი, საბოლოო ჯამში, დეტერმინისტი? იყო თუ არა „სასიცოცხლო სივრცის“ ცნება იმპერიალისტური პოლიტიკისა და გენოციდური პრაქტიკების მეცნიერული გამართლების მცდელობა? მართლაც შეუწყო თუ არა ხელი რატცელის ნაშრომებმა ნაციონალ-სოციალისტური დისკურსის ჩამოყალიბებას? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა აღნიშნული გამოკვლევის მიზანს არ წარმოადგენს. ფილოსოფიური გეოგრაფიის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ამა თუ იმ მოაზროვნის დამსახურების გამოკვეთა და არა მისი ნააზრევის დეკონსტრუქცია. მთავარია, ნაჩვენები იქნეს

327 რატცელი იყო, ასევე, „კოლონიალური გაერთიანების“ (*Kolonialverein*, 1882 წ.) და მისი მემკვიდრის „კოლონიური საზოგადოების“ (*Kolonialgesellschaft*, 1887 წ.), ერთ-ერთი თანადამფუძნებელი.

328 იხ. M. Bassin, *Race contra space: the conflict between German Geopolitik and National Socialism*, გვ. 118-119.

329 იხ. J. M. Hunter, ‘Commentary on “The Social Origins of Environmental Determinism”’. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 76 (1986), გვ. 279; R. Peet, *The Social Origins of Environmental Determinism*, გვ. 316 და შმდ.

330 იხ. H. Beck, *Grosse Geographien. Pioniere – Aussenseiter – Gelehrte*, გვ. 177.

331 იხ. G. H. Müller, *Friedrich Ratzel*, გვ. 154. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გ. მიულერმა საფუძვლიანად გააანალიზა, რატცელის ბიოგეოგრაფიული ნააზრევაა. მიულერი თვლის, რომ რატცელის შეხედულებების საერთო სურათის გამოკვეთაში, ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მისი კორესპონდენციის მეცნიერული ანალიზი (იქვე).

ტრადიციის უწყვეტობა, იდეების მონაცვლეობა, ახალი იდეების გაჩენა, ძველი იდეების ახლებური გააზრების მცდელობები და ამ მცდელობათა გავლენები შემდგომი პერიოდის მოაზროვნეებზე. თუ ფრიდრიხ რატცელის ნააზრევს ამ კუთხიდან განვიხილავთ, მაშინ ზემოთ მოყვანილ შეკითხვებზე პასუხების გაცემის საჭიროება, მოცემული კვლევის ფარგლებში, არ იქნება აუცილებელი. როგორც უალრესად პროდუქტიულმა მკვლევარმა,³³² რატცელმა დიდი როლი შეასრულა გეოგრაფიის განვითარებისათვის. თავის შრომებში, სადაც იგი ადამიანთა ისტორიულ-გეოგრაფიულ განვითარებას დედამიწის ზედაპირთან მიმართებაში განიხილავდა, მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადამიანურ ფაქტორზე, რომელსაც XIX საუკუნის II ნახევრის აკადემიურ გეოგრაფიაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა³³³ (ო. პეშელი და ფ. ფონ რიხტჰოფენი, ძირითადად, ფიზიკურ გეოგრაფიაზე იყვნენ ორიენტირებულნი).³³⁴ რატცელმა, ასევე, გეოგრაფიული კუთხით განიხილა კომუნიკაციის საშუალებები და ვაჭრობა.³³⁵ დაბოლოს, რატცელის იდეებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს კარლ შმიტზე, რომლის შეხედულებებიც შემდგომ ქვეთავშია განხილული.

332 რატცელს 1200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის. იხ. V. Hantzsch, *Ratzel-Bibliographie 1867-1905. Verzeichnis der selbständigen Werke, Abhandlungen und Bücherbesprechungen Friedrich Ratzels*. München und Berlin: Druck und Verlag von R. Oldenbourg, 1906, გვ. v-lxii.

333 იხ. W. Natter, *Friedrich Ratzel's Spatial Turn*, გვ. 179-180; J. Lossau, 'Anthropogeography (After Ratzel)'. In: *International Encyclopedia of Human Geography*, გვ. 142.

334 შდრ. ქვეთავი 3.1.

335 იხ. F. Ratzel, *Politische Geographie*. Zweite Auflage, გვ. 447 და შმდ. კომუნიკაციის საშუალებებს რატცელი „სივრცის დამძლევს“ უწოდებს (იქვე, გვ. 447).

3.3. კარლ შმიტი: ადამიანი და მსოფლიო ელემენტების დაპირისპირება

კარლ შმიტის ფილოსოფიური გეოგრაფიის ანალიზისას ყურადღებას გავამახვილებ მის ნაშრომზე „ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება“ (1942 წ.). აღნიშნულ ნაშრომში გადმოცემული ზოგიერთი დებულება შმიტმა უფრო სრულად განავითარა თავის ნაშრომში „დედამინის ნომოსი *Jus Publicum Europaeum*-ის საერთაშორისო სამართალში“ (1950 წ.). როდესაც „ხმელეთი და ზღვა“ გამოქვეყნდა, ყველასთვის აშკარა იყო, რომ ომის დასრულების შემდეგ (ვის სასარგებლოდაც არ უნდა დასრულებულიყო ბრძოლა) ძველი მსოფლიო წესრიგი (ნომოსი) აღარ იარსებებდა. ის მსოფლიოს ახალ წესრიგს, მსოფლიოს მოწყობის ახალ სქემას დაუთმოდა ადგილს. სწორედ ამაზე მიუთითებდა შმიტი, როდესაც წერდა: „ახალი ნომოსი მხოლოდ ბრძოლაში თუ წარმოიშვება. ბევრი ადამიანი ამაში მხოლოდ სიკვდილსა და განადგურებას ხედავს. ზოგიერთ მათგანს სწამს, რომ სამყაროს ალსასრული დადგა. სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ ზღვასა და ხმელეთთან უწინდელი დამოკიდებულების გაქრობის მომსწრენი ვართ.“³³⁶

„ხმელეთსა და ზღვაში“ შმიტი შეეცადა, გაეაზრებინა მსოფლიოში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებები და მათი გამომწვევი მიზეზები. თუ ასეთი პერსპექტივიდან განვიხილავთ, მაშინ „ხმელეთი და ზღვა“ სისტემურ, მწყობრ ნაშრომად წარმოგვიდგება, სადაც შემდეგი ძირითადი მომენტები გამოიყოფა:

1. ხმელეთი და ზღვა, როგორც დაპირისპირებული, ანტაგონისტური ელემენტები;
2. სივრცობრივი რეკოლუცია;
3. პროტესტანტიზმისა და კათოლიციზმის მსოფლიო მასშტაბის დაპირისპირება ხმელეთისა და ზღვის ანტაგონიზმის ფონზე;
4. სამრეწველო გადატრიალება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, როგორც ახალი ელემენტური ძალების დამამკვიდრებელი ფაქტორები.

ჩემი აზრით, სწორედ ზემოთ წარმოდგენილი ოთხი მომენტი წარმოქმნის შმიტის ფილოსოფიური გეოგრაფიის ბირთვს. ქვემოთ თანმიმდევრობით განვიხილავ თითოეულ მათგანს.

336 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება“. გერმანულიდან თარგმნა გ. თავაძემ. თბილისი: „ნეკერი“, 2010 წ., გვ. 152.

ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირებას შმიტი უნივერსალურ-ისტორიულ დებულებად მიიჩნევს: „მსოფლიო ისტორია საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების ისტორიაა.“³³⁷ ამ მსოფლიო-ისტორიული დაპირისპირების აღსანიშნად შმიტი ბიბლიურ სიმბოლოებს მიმართავს. სახმელეთო სახელმწიფოს სიმბოლურად ხმელეთის გიგანტი, ბეჰემოთი განასახიერებს, საზღვაო სახელმწიფოს სიმბოლოდ კი ლევიათანი, ვეშაპი გვევლინება.³³⁸

აღნიშნული დიხოტომია დედამიწის მაცხოვრებლებზეც ვრცელდება. შმიტი ერთმანეთისაგან განასხვავებს „ავტოქთონურ“ ანუ ხმელეთზე მიჯაჭვულ და „ავტოთალასურ“ ანუ ზღვის სტიქიით განპირობებულ ხალხებს. სივრცისა და დროის შესახებ ამ ხალხთა წარმოდგენები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.³³⁹ მაგრამ ადამიანი იმთავითვე გარკვეულ ელემენტზე როდია „მიჯაჭვული“: მას შეუძლია თავისუფალი არჩევანის გაკეთება და ახალი სასიციოცხლო ელემენტის არჩევა: ადამიანს „შეუძლია არჩევა, მეტიც, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში მას თვით იმ ელემენტის არჩევაც შეუძლია, რომელსაც საკუთარი ქმედებებითა და წარმატებებით თავისი ისტორიული არსებობის ახალ ფორმას უკავშირებს და რომლის გარშემოც იგი საკუთარი თავის ორგანიზებას ახდენს.“³⁴⁰ ქვემოთ ვნახავთ, რომ გარკვეულ მომენტში ადამიანს არა მხოლოდ ელემენტის არჩევა, არამედ მისი დაპყრობაც ძალუძს.

შმიტი აღიარებს ელემენტთა მარადიულ დაპირისპირებას (ამ მეტაფიზიკურ პოზიციას ჰერაკლიტესეული ელფერი დაჰკრავს), მაგრამ ეს დაპირისპირება „ხისტი“ როდია: ელემენტთა ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის ფონზე სწორედ **ადამიანს** ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. შმიტის მიხედვით, ადამიანებს მომავალი განსხვავებული პერსპექტივების სახით ეძლევათ და თუ რა არჩევანს გააკეთებენ ისინი, ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

რა თქმა უნდა „არჩევანი“ აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ: ნებისმიერ ისტორიულ არჩევანს წინ უძღვის მთელი რიგი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომელთა უგულვებელყოფა ისტორიული მოვლენების ტრივიალურ გაგებამდე მიგვიყვანს. თავად შმიტი მრავალ ასეთ ფაქტორს გამოყოფს (ვეშაპის რენვა, ცვლილებები ეკონომიკაში, ტექნიკური პროგრესი და ა. შ.). გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ ფაქტორებმა, შმიტის მიხედვით,

337 იქვე, გვ. 54.

338 იქვე, გვ. 55.

339 იქვე, გვ. 49-50.

340 იქვე, გვ. 54.

წარმოშვეს კონკრეტული ისტორიული სიტუაცია და კონკრეტული ხალხი კონკრეტული ისტორიული პერსპექტივების წინაშე დააყენეს: მიჰყოლოდა ძველი ცხოვრების წესს ან სრულიად ახალი ელემენტისთვის მიენდო თავისი მომავალი. ახალი ელემენტის არჩევას, როგორც ვნახავთ, თან მოსდევს ისტორიული ცნობიერების ფუნდამენტური ცვლილება.

მაგრამ ვიდრე თავად „არჩევანზე“ გადავიდოდეს, შმიტი თანმიმდევრულად აღწერს „შემამზადებელ“ ისტორიულ ფაქტორებს. თავდაპირველად იგი ისტორიული მაგალითების მოშველიებით ცდილობს, ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირების თეზისი უფრო დამაჯერებელი გახადოს: შმიტი განხილავს ძვ. ათენს, რომს, ბიზანტიას, ბოლოს კი თავის ყურადღებას ვენეციის რესპუბლიკაზე აჩერებს.³⁴¹

ვენეციას შმიტი „თალასური“, ზღვიური სახელმწიფოს ტიპიურ ნიმუშად მიიჩნევს და მას ახასიათებს, როგორც „მაღალგანვითარებულ სანაპირო (ლაგუნების) კულტურას.“³⁴² თუმცა, იგი იქვე დასძენს, რომ „ჩვეულებრივი ზღვაოსნობა და მოხერხებული სანაპირო ზოლის გამოყენებაზე დაფუძნებული კულტურა სრულიად განსხვავდება ისტორიული არსებობის ხმელეთიდან ზღვაზე, როგორც განსხვავებულ ელემენტზე, გადატანისაგან.“ შმიტი ცდილობს, აჩვენოს, თუ რატომ მოხდა ვენეციის სტაგნაცია „თალასურ“ საფეხურზე. იგი მიუთითებს, რომ *sposalizio del mare*-ს („ზღვასთან ქორწინება“) დღესასწაულის არარსებობა ვიკინგებთან სწორედ იმის წინაპირობაა, რომ ისინი ზღვის ნამდვილ „ამქაფებლებად“ შევრაცხოთ: „ზღვასთან დანიშვნის ან დაქორწინების ცერემონიებზე ისინი (ვიკინგები – გ. თ.) ნაკლებად ფიქრობდნენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ზღვის

341 თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზისას შმიტი, როგორც თავად აღნიშნავს, ერნსტ კაპის ისტორიული განვითარების სამსაფეხუროვან სქემას ეყრდნობა (იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 61-62). თუმცა, შმიტის ანალიზში განვითარების პირველი, „პოტამური“ (მდინარის კულტურათა) საფეხური გამოტოვებულია. როგორც პ. შნაიდერი შენიშნავს, „კარლ შმიტის თვალსაწიერი მხოლოდ ევროპით და ევროპის გავლენის სფეროთა შემოსაზღვრული“ (იხ. პ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 95). შმიტზე კაპის გავლენა მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება: თუ გავითვალისწინებთ კაპის განაზრებებს კოპერნიკის, კოლუმბისა და ევროპის წამყვანი როლის შესახებ (იხ. E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*, გვ. 258 და შმდ.), რომლებიც ძლიერ მსგავსებას ამჟღავნებს „ხმელეთსა და ზღვაში“ განვითარებულ იდეებთან, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ კაპმა იმაზე მეტი გავლენა მოახდინა შმიტზე, ვიდრე ეს უკანასკნელი ამას აღიარებდა „ხმელეთსა და ზღვაში“.

342 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 63.

ნამდვილი შვილები იყვნენ. თავიანთ თავს ისინი ზღვის სტიქიას უი- გივებდნენ. სიმბოლური ნიშნობები და ქორწინებები, პირიქით, იმაზე მიუთითებს, რომ მსხვერპლის გამლები და ის ღვთაება, რომელსაც მსხვერპლს სწირავენ, განსხვავებული, სულაც ერთმანეთისადმი და- პირისპირებული არსებებია. ამგვარი მსხვერპლშენიერვა უცხო ძალის მოღობას ისახავს მიზნად. ვენეციური ცერემონია ნათლად მიან- იშნებს იმ გარემოებაზე, რომ მისი სიმბოლური აქტის მნიშვნელობა ელემენტური ზღვიური არსებობიდან არ არის მიღებული.³⁴³

ვენეციის მიერ განვითარების თალასურ საფეხურზე შეყოვნების მიზეზი თავად მის **გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაში** უნდა ვეძიოთ. აპენინის ნახევარკუნძული ხმელთაშუა ზღვის შუაგულში მდებარეობს და ამ გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც ვენე- ციისათვის, ასევე მისი კონკურენტი გენუისათვის ოკეანური აღ- მოჩენების გაკეთება ადვილი საქმე არ იყო. შემთხვევითი როდია, რომ საოკეანო ზღვასწობა სწორედ **ოკეანის მიმდებარე ქვეყნებში** განვითარდა: სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებმა ვი- კინგებმა გრენლანდიას და ამერიკას მიაღწიეს, ესპანელებმა და პორ- ტუგალიელებმა ახალი სამყარო აითვისეს. მათ სწრაფად მიჰყვნენ ჰოლანდიელები, ფრანგები და ინგლისელები. ყველა ამ ერს ფართო გასასვლელი აქვს ატლანტის ოკეანეზე. თუმცა ოკეანეში გასულმა პიონერმა მოგზაურებმა გამოცდილება ხმელთაშუა ზღვაში შეიძინეს: დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მრავალი გამოჩენილი მეზღვაური იტალიური წარმოშობის იყო (ქრისტეფორე კოლუმბი, ჯონ კაბოტი, ამერიგო ვესპუჩი).³⁴⁴

343 იქვე.

344 ვენეციის „ოკეანურ“ საფეხურზე გადასვლას მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამაც „შეუშალა“ ხელი. ვენეციამ თავის ძლიერებას ბიზანტიის იმპერიასთან ბრძოლით მიაღწია: 1081 წელს ის ბიზანტიის გავლენისა- გან გათავისუფლდა. 1085 წელს ვენეციელებმა ნორმანები დაამარცხეს, შემდგომ წლებში კი, ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად, წინა აზიაში ვაჭრობის განსაკუთრებული პრივილეგიები მოიპოვეს. 1124 წელს მათ ტიროსი ჩაიგდეს ხელთ. XIII-XIV საუკუნეებში ვენეცია წარმატებით დაუ- პირისპირდა გენუას, ხოლო XV საუკუნის I ნახევარში პადუის (1406 წ.) და რავენის (1441 წ.) დაპყრობით რესპუბლიკამ აპენინის ნახევარკუნ- ძულზე განიმტკიცა მდგომარეობა. ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ვენეციის პოზიციები. კონსტანტინოპოლის დაცემიდან (1453 წ.) ნახევარ საუკუნეში თურქები ადრიატიკის ზღვის სამხრეთ ნაწილს დაეპატრონნენ. ვენეციას მოეჭრა აღმოსავლეთის სა- ვაჭრო გზები, რომლითაც ის ევროპას სანელებლებით ამარაგებდა (იხ. J. Corfield, 'Venice'. In: *Encyclopedia of World History. The Expanding World. 600 C.E. – to 1450.* Vol. 2, edited by M. E. Ackermann, M. J. Schroeder, J. J.

მაგრამ ახალი სასიცოცხლო ელემენტის არჩევა უშუალოდ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს არ მოჰყოლია. „მხოლოდ ახალი კონტინენტებისა და ოკეანეების აღმოჩენა არ იყო საკმარისი მსოფლიო ოკეანეზე გაბატონებისა და ზღვის, როგორც ელემენტის არჩევისათვის.“³⁴⁵ „ხმელეთისა და ზღვის“ V-VIII თავებში შმიტი აანალიზებს ცალკეულ ფაქტორებს, რომლებმაც **სივრცობრივი რევოლუცია** შეამზადეს და ახალი ელემენტის (ზღვის) არჩევა განაპირობეს. ეს ფაქტორებია ვეშაპის რწევა, ბენვიან ცხოველებზე ნადირობა ციმბირში, ტექნიკის პროგრესი და მეკობრეობა. ადვილი შესამჩნევია, რომ ოთხივე საქმიანობას ეკონომიკური მოგების მიღების სურვილი უდევს საფუძვლად. მეკობრეობისა და ვეშაპჭერის შემთხვევაში ოკეანე გვევლინება როგორც „შემტყუებელი“ ელემენტი, რომელიც ადამიანებს გამდიდრების უსაზღვრო პერსპექტივებს სთავაზობს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია შმიტის ფილოსოფიურ გეოგრაფია-

Terry, J.-H. Lo Upshur, and M. F. Whitters, New York: Infobase Publishing, 2008, გვ. 412-413). ამიტომ ესპანეთისა და პორტუგალიის ოკეანგაღმთი ექსპედიციები, ფაქტიურად, ეკონომიკური მოტივებით იყო განპირობებული. **გეოგრაფიული მდებარეობა** და **გეოპოლიტიკური მდებარეობა** განსხვავებული ცნებებია: პირველი ნმინდა გეოგრაფიული აზრით უნდა გავიგოთ, მაშინ, როცა მეორე ერთსა და იმავე გეოგრაფიულ გარემოში **ცვალებად** პოლიტიკურ სიტუაციას გულისხმობს. მაგალითად, საქართველო თავისი ისტორიული განვითარების პროცესში ერთ გეოგრაფიულ სივრცეში იყო მოქცეული, მაგრამ გეოპოლიტიკური სიტუაცია მის ირგვლივ **იცვლებოდა**. შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაციისა და შუა საუკუნეებში შავ ზღვაზე ნაოსნობის მიუხედავად, შავი ზღვა არასოდეს გამხდარა ქართული სახელმწიფოსათვის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ადრიატიკის ზღვა იყო ვენეციისათვის. კონსტანტინოპოლის დაცემისა და შავ ზღვაზე ოსმალების გაბატონების შემდეგ თალასური განვითარების პერსპექტივა საქართველოსათვის გაქრა. სახმელეთო სახელმწიფოებთან მუდმივმა ბრძოლამ საქართველოს საზღვაო პოტენციალის შესუსტება, ქვეყნის ტერიტორიალიზაცია და მისი „მეჩეჩზე შეჯდომა“ (შმიტისეული ტერმინი) გამოიწვია. ამას თან ერთვოდა შიდააშლილობები და ცენტრალიზებული ხელისუფლების სისუსტე. ოსმალების ბატონობის პერიოდში შავი ზღვა ტყვეთა განუწყვეტელი ტრანზიტის წყაროს წარმოადგენდა. ქართველი ხალხისათვის ზღვის ელემენტი ტანჯვასთან უფრო ასოცირდებოდა, ვიდრე ისტორიულად მოცემული პერსპექტივების განვითარებასთან. ამდენად, ისტორიული ექსისტენციის ხმელეთიდან ზღვაზე გადატანის საკითხი საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში არც დამდგარა. ზღვისა და ქართველების დამოკიდებულების შესახებ იხ. თ. ბერაძე, „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“. თბილისი: „ნაკადული“, 1981 წ.

345 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 67.

ში.³⁴⁶

მაშასადამე, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში ოკეანემ, როგორც ახალმა ელემენტმა, ადამიანებს სრულიად ახალი პერსპექტივები შესთავაზა. მეკობრეობა და ვეშაპის რენვა, ფაქტიურად, ადამიანთა მხრიდან ამ გამოწვევის მიღება იყო. რაც შეეხება ციმბირელ მონადირეებს, შმიტი მათ ნაკლებ ყურადღებას უთმობს, რადგან ციმბირის გამოკვლევამ და იქ წარმოებულმა ექსპედიციებმა მხოლოდ რუსეთის იმპერიაზე იქონია ზეგავლენა მაშინ, როდესაც ატლანტისა და წყნარ ოკეანეში გაჭრა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო.

იმ ეკონომიკური პერსპექტივებიდან, რომლებსაც ოკეანე სთავაზობდა ადამიანს, მეკობრეობა გამდიდრების ყველაზე იოლი საშუალება იყო (თუმცა, ყველაზე უფრო საშიშიც). დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პირველ პერიოდში მეკობრესა და სახელმწიფო მოსამსახურეს შორის ზღვარი მეტად პირობითი იყო: პორტუგალიის სამეფო კარის სამსახურში მყოფი მეზღვაურების – ვასკო და გამას, ფრანსისკო ალმეიდას და ალფონსო ალბუკერკის მეთოდები ინდოეთის ოკეანეში დიდად არ განსხვავდებოდა კარიბის ზღვის მეკობრეების მეთოდებისაგან. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ თავიანთ მონინალმდეგეებს და არავის ინდობდნენ.³⁴⁷ შმიტის მიერ შემოტანილი

346 „ხმელეთისა და ზღვის“ მესამე გამოცემის (1981 წ.) ბოლოსტყვაობაში შმიტი, ჰეგელის გავლენით, მეტ ყურადღებას უთმობს თავად სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ სწრაფვას ექსპორტისა და კოლონიზაციისაკენ. გარდა ამისა, „შმიტის ბოლოთქმაში ადრე უარყოფილი მარქსიზმის გავლენა იგრძნობა“ (იხ. ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 112-113). ეს იგრძნობა „დედამიწის ნომოსშიც“: შმიტის მიხედვით, ყველა ადრინდელი წესრიგი მიწასთან იყო დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, გვექონდა თუ არა საქმე თალასოკრატიულ სახელმწიფოებთან. ვითარება შეიცვალა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, რამაც წარმოქმნა დედამიწის პირველი ნომოსი, რომელიც 400 წლის განმავლობაში ევროპოცენტრული საერთაშორისო სამართლის საფუძველს წარმოადგენდა. XVI ს-ში ინგლისმა სახმელეთო ექსისტენცია ზღვიური ექსისტენციით შეცვალა. ნიშანდობლივია, რომ სამრეწველო რევოლუცია სწორედ ამ ქვეყანაში განხორციელდა. შმიტის მიხედვით, დედამიწის ამ ახალი ნომოსის საიდუმლოებას მხოლოდ ჰეგელი მიხვდა, როდესაც მრეწველობის მამოძრავებელ ელემენტად ზღვა მიიჩნია. იხ. C. Schmitt, *The Nomos of the Earth in the International Law of the Jus Publicum Europaeum*. Translated by G. Ulmen. New York: Telos Press, 2006, გვ. 49; იხ. ასევე, G. Ulmen, ‘Translator’s Introduction’. In: C. Schmitt, *The Nomos of the Earth in the International Law of the Jus Publicum Europaeum*, გვ. 9 და შმდ.

347 იხ. И. Магидович, В. Магидович, *Очерки по истории географических открытий*. Издание в пяти томах, 3-е изд, т. 2, Москва: “Просвещение”,

განსხვავება მტერსა და მოყვარეს შორის საკმაოდ კარგად ახასიათებს იმ დროს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას.³⁴⁸

ვიდრე საკუთრივ სივრცობრივი რევოლუციის არსის განხილვაზე გადავიდოდეს, შმიტი კიდევ ერთხელ ანალიზებს ისტორიულ ფაქტორებს: არც ალექსანდრე მაკედონელის და არც კეისრის ლაშქრობებს სივრცობრივი რევოლუცია არ გამოუწვევიათ, თუმცა ანტიკურობაში ჩამოყალიბებული მსოფლიოს ხატი შუა საუკუნეებს მემკვიდრეობით გადაეცა. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ევროპა ხელახლა აზიარა აღმოსავლეთს. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდისთვის ევროპა ერთ მთლიან ქვეყნის ნაწილს წარმოადგენდა.³⁴⁹ პარალელურად, ქალაქების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო **სივრცობრივი ცნობიერების** ცვლილებას. ქალაქში მცხოვრები ადამიანის სივრცობრივი ცნობიერება განსხვავდება ციხე-სიმაგრეში და

1982, გვ. 82-98.

348 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 123.

349 შმიტი ვიკინგებს „ზღვის ამქაფებლებად“ მოიხსენიებს (იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 63), თუმცა მათ შუა საუკუნეების ისტორიაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მართალია, ვიკინგთა ლაშქრობებს ჯვაროსნული ლაშქრობების მსგავსი ზეგავლენა არ მოუხდენიათ, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ვიკინგებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული ხაზართა ხაკანატთან, არაბებთან და ბიზანტიელებთან. ქრისტიანობის მიღებამ დააჩქარა სკანდინავიის ნახევარკუნძულის ხალხების ჩართვა ერთიან ევროპულ სივრცეში. (იხ. S. Brink, N. Price (eds.), *The Viking World*. London / New York: Routledge, 2008). შმიტისაგან განსხვავებით, ვიკინგების ზღვაოსნობას განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა ფ. ენგელსი: „ჩვენი თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ფლოტების ჭეშმარიტი სამშობლო ჩრდილოეთის ზღვაა. დაახლოებით იმ ეპოქაში, როდესაც ცენტრალურ ევროპაში ტევტონთა უზარმაზარი მასა დაცემის პირას მყოფი რომის იმპერიის გასანადგურებლად აღდგა, მათმა თანამომემებმა ჩრდილოეთის სანაპიროზე (ფრიზებმა, საქსებმა, ანგლებმა, დანიელებმა და სკანდინავიელებმა) ზღვაოსნობა დაიწყეს. მათი გემები იყო მტკიცე და გამძლე ნავები, გამოწეული კილითა და მკვეთრი კონტურებით. მეზღვაურები მხოლოდ აალქნებს ენდობოდნენ და არ უშინდებოდნენ ჩრდილოეთის ზღვის ქარიშხლებს. სწორედ ასეთი გემებით ცურავდნენ ანგლები და საქსები ელბისა და ოდერის შესართავიდან ინგლისის სანაპიროებამდე, ხოლო ნორმანები თავიანთ ყაჩაღურ თავდასხმებს ახორციელებდნენ. მათ, ერთი მხრივ, კონსტანტინოპოლს მიაღწიეს, ხოლო, მეორე მხრივ, – ამერიკას.“ იხ. Ф. Энгельс, 'Военно-Морской Флот'. // К. Маркс, Ф. Энгельс, *Сочинения*. т. 14, издание второе, Москва: Государственное Издательство Политической Литературы, 1959, გვ. 381.

სოფლად მცხოვრები ადამიანების სივრცობრივი ცნობიერებისაგან. უნივერსიტეტების შექმნამ, ხელოვნების ფორმების ცვლილებამ და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მეცნიერების პროგრესმა, რომელიც უსასრულო, ცარიელი სივრცის ცნების შემოტანით დაგვირგვინდა, შმიტის აზრით, ფუნდამენტური გადატრიალება მოახდინა. უკანასკნელ მომენტზე შმიტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს: „ისეთი ცვლილება, რომელსაც უსასრულო, ცარიელ სივრცეზე წარმოადგენა გულისხმობს, ადამიანებისათვის ცნობილი სივრცის მხოლოდ გეოგრაფიული გაფართოებით ვერ აიხსნება. ეს ცვლილება იმდენად ფუნდამენტური და რევოლუციურია, რომ ასეთივე წარმატებით შეიძლება საპირისპიროც ვამტკიცოთ, კერძოდ, რომ ახალი კონტინენტების აღმოჩენა და დედამიწის ირგვლივ პირველი მოგზაურობა მხოლოდ სიღრმეში მიმდინარე ცვლილებების გამოვლენის ფორმებსა და შედეგებს წარმოადგენდა.“³⁵⁰ სივრცის გაფართოების პერსპექტივა ადამიანთა ცნობიერებაში იმთავითვეა მოცემული. გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებით ადამიანთა სივრცობრივი ცნობიერების ცვლილებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს მათთვის ნაცნობი გეოგრაფიული არეალის გაფართოებაც: „XVI-XVII საუკუნეების გასაოცარ, უმაგალითო სივრცობრივ რევოლუციას აუცილებლობით უნდა მოჰყოლოდა ასეთივე გასაოცარი და უმაგალითო კოლონიზაცია. ევროპელი ხალხების წინაშე ახალი, ერთი შეხედვით უსასრულო სივრცეები გაიხსნა და ისინიც მიაწყდნენ ამ სივრცეებს.“³⁵¹

ახალ დროში ევროპელების მიერ ახალი სამყაროს კოლონიზაციის პროცესი, შმიტის მიხედვით, კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის მსოფლიო დაპირისპირების ფონზე წარიმართა: „ამიერიდან ეს იყო მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი განსხვავება მტერსა და მოყვარეს შორის.“³⁵² ხმელეთზე ორიენტირებული კათოლიციზ-

350 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 108-109. სწორედ ამ გარემოების გამო არ ანიჭებს შმიტი ვიკინგების მიერ ამერიკის აღმოჩენას დიდ მნიშვნელობას. მისი აზრით, ეს აღმოჩენა უფრო შემთხვევითობა იყო, ვიდრე ადამიანთა ცნობიერებაში მომხდარი სივრცობრივი რევოლუციის შედეგი, რადგან მას ევროპელთა სივრცობრივი ჰორიზონტის გაფართოება არ გამოუწვევია.

351 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 113. შდრ. ასევე, ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 94: „ევროპის ზღვისკენ შეტრიალების შესაძლებლობა უკვე ანტიკურობაში იყო ჩანასახოვანი ფორმით მოცემული, ხოლო ახალი დროის დასაწყისში ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის.“

352 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 123.

მი ზღვის სტიქიას მინდობილ პროტესტანტიზმს დაუპირისპირდა. ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირება ორი განსხვავებული კონფესიის დაპირისპირებაში აისახა.

შექმნილ ვითარებას ყველაზე კარგად ალლო ინგლისმა აულო. დედოფალი ელისაბედ I მოხერხებულად იყენებდა მეკობრეებს ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლისის ეკონომიკური აღმავლობის დასაწყისი სწორედ ამ ეპოქაზე მოდის. XVI-XVII საუკუნეებში ინგლისელებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მთელი რიგი სავაჭრო კომპანიები დააარსეს (მოსკოვის კომპანია, გვინეის კომპანია, აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია, პლიმუთის კომპანია და სხვ.) და მსოფლიო ოკეანეზე გაბატონდნენ.

ინგლისის მსოფლიო საზღვაო ჰეგემონია თავისუფალი ზღვის პრინციპს ემყარებოდა. ამ იდეის ავტორი XVII საუკუნის გამოჩენილი იურისტი ჰუგო გროციუსია (1583-1645 წწ.).³⁵³ ზღვაზე გაბატონებით და ზღვიური ექსისტენციის არჩევით ინგლისმა საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობა შეცვალა.³⁵⁴

353 თავისი აზრები თავისუფალ ზღვასთან დაკავშირებით გროციუსმა გამოხატა ნაშრომში *De Jure Praedae* („ნადავლის კანონის შესახებ“), რომელიც 1604 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომის ერთ-ერთი თავი იყო *Mare Liberum* („ზღვევის თავისუფლება“). თავისუფალი ზღვის გროციუსისულმა კონცეპტმა დომინანტური ადგილი დაიკავა ევროპულ საერთაშორისო სამართალში (შდრ. C. L. Connery, 'Ideologies of Land and Sea: Alfred Thayer Mahan, Carl Schmitt, and the Shaping of Global Myth Elements'. *Boundary*, 28 (2001), გვ. 178). XVI საუკუნის შუა პერიოდში ახალი ნომოსის (ნესრიგის) დამახასიათებელი თავისებურება სახმელეთო და საზღვაო კოლონიზაციებს (*Landnahme* და *Seenahme*) შორის განსხვავება იყო. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, თავისუფალი ზღვის ცნებას ემყარებოდა.

354 ამასთან დაკავშირებით შმიტი შენიშნავს: „ინგლისის წმინდა ზღვიურ ექსისტენციაზე გადასვლის შემდეგ არსებითად უნდა შეცვლილიყო მისი დამოკიდებულება დანარჩენ მსოფლიოსთან, განსაკუთრებით, კონტინენტური ევროპის ქვეყნებთან. ინგლისური პოლიტიკის მასშტაბები და პროპორციები უკვე აღარ შეესაბამებოდა ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ განზომილებას“. იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 138; შდრ., ასევე C. Schmitt, *The Nomos of the Earth in the International Law of the Jus Publicum Europaeum*, გვ. 177 და შმდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იმავე გეოგრაფიული გარემოს პირობებში, სხვადასხვაგვარი გეოპოლიტიკური სიტუაციები შეიძლება წარმოიშვას. ოსმალთა ბატონობის პერიოდში საქართველოსთვის შავი ზღვა სტრატეგიულად წამგებიანი იყო: მისი მემკვიდრით თურქები სანაპირო ზოლზე ახორციელებდნენ ბატონობას და ქვეყნის სიღრმეშიც ინარჩუნებდნენ გავლენას. მაგრამ თანამედროვე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, იგივე გეოგრაფიული პირობები საქართველოს სასარგებლოდ მოქმედებს: ის

თავი III. „სანიცოცხლო სივრცე“ „ჰიდრაპლიკურ ცივილიზაციებში“

სამრეწველო გადატრიალებამ XVIII ს-ში ფუნდამენტურ ცვლილებებს ჩაუყარა საძირკველი: თავისუფალმა ზღვამ თავისუფალი ვაჭრობა წარმოშვა. „თავისუფალი ზღვისა და თავისუფალი მსოფლიო ბაზრის ცნებები თავისუფლების ცნებაში გაერთიანდა.“³⁵⁵ ტექნიკის მზარდმა პროგრესმა არა მარტო შეცვალა საზღვაო ბრძოლების წარმოების წესი, არამედ ზღვის ელემენტის შესუსტებაც გამოიწვია. შმიტი უპირისპირდება ამერიკელი ადმირალის, ალფრედ თეიერ მეჰენის (1840-1914 წწ.) შეხედულებას აშშ-თვის ოკეანის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ.³⁵⁶

„ხმელეთისა და ზღვის“ უკანასკნელ თავს „პლანეტარული სივრცობრივი რევოლუციის ახალი სტადია“ ეწოდება. თავდაპირველად შმიტი გერმანიის სწრაფ ტექნიკურ პროგრესზე მიუთითებს, შემდეგ კი ადამიანის ექსისტენციაში ახალი ელემენტის შემოჭრაზე საუბრობს. ეს ელემენტი ცეცხლია, რომელიც, შიგანვის ძრავის სახით, განასახიერებს ადამიანის ბატონობას მეოთხე ელემენტზე – ჰაერზე. მისი მეშვეობით „ადამიანი მოწყდა როგორც ხმელეთს, ასევე ზღვის ზედაპირს. მან გადაადგილების სრულიად ახალი საშუალება და ამავდროს, ახალი იარაღი შეიძინა. ზომები და მასშტაბები კიდევ უფრო

ერთადერთი ქვეყანა ამიერკავკასიაში, რომელსაც ზღვის მეშვეობით ევროპასთან პირდაპირი კავშირის დამყარება შეუძლია (ბულგარეთისა და რუმინეთის გავლით): კასპიის ზღვა აზერბაიჯანს შუა აზიასთან და რუსეთთან აკავშირებს, მაგრამ არა ევროპასთან; სომხეთს საერთოდ არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი, ხოლო საქართველოს შავი ზღვის სახით (თურქეთის აზიური ნაწილის გვერდის ავლით) ევროპასთან უშუალო კონტაქტის საშუალება აქვს. ამ მხრივ, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებსა და პორტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ. XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის იმპერიის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებული ომები (1768-1774 წწ., 1787-1792 წწ., 1806-1812 წწ., 1828-1829 წწ., 1853-1856 წწ., 1877-78 წწ.) ბალკანეთში, კავკასიასა და შავ ზღვაზე გაბატონებისკენ იყო მიმართული.

355 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 140.

356 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 144-147. ფ. რუმის მიხედვით, ტექნოლოგიის განვითარებამ, მართალია, შეცვალა დამოკიდებულება ვეშაპსა და ვეშაპზე მონადირეს შორის, მაგრამ ზღვის ხატი, როგორც ასეთი, არ შეცვლილა. ზღვა დარჩა ისეთ სივრცედ, სადაც ძალისმიერ პოლიტიკას თავისუფლად შეუძლია თავის გამოხატვა. იხ. F. Ruschi, 'Space, Law and Power in Carl Schmitt', *Jura Gentium. Journal of Philosophy of International Law and Global Politics*. <http://www.juragentium.org/topics/thil/en/nomos.htm> (წვდომა განხორციელდა). მეჰენის შესახებ, იხ. C. L. Connery, *Ideologies of Land and Sea: Alfred Thayer Mahan, Carl Schmitt, and the Shaping of Global Myth Elements*, გვ. 183 და შმდ.; E. Mendieta, *War the School of Space: The Space of War and the War for Space*, გვ. 216-217.

შეიცვალა. ბუნებაზე და სხვა ადამიანებზე ბატონობის შესაძლებლობები უსაზღვროდ გაფართოვდა. [...] მათგან მომდინარე სივრცობრივ-რევოლუციური ზეგავლენა ყველაზე უფრო ძლიერი, უშუალო და თვალშისაცემია.³⁵⁷ რამ განაპირობა ადამიანის თვალსაწიერში ახალი ელემენტების გამოჩენა? ტექნიკის პროგრესმა. „ელექტრობამ, ავიაციამ და რადიომ იმდენად შეცვალა ყველა სივრცობრივი წარმოდგენა, რომ, სულ მცირე, პირველი პლანეტარული რევოლუციის ახალი სტადია გამოიწვია. შესაძლოა, სულაც მეორე, ახალ სივრცობრივ რევოლუციაზე ვისაუბროთ.“³⁵⁸

ახალი ელემენტების შემომატებით და ტექნიკის მძლავრი წინსვლის შედეგად ძველი წესრიგი ინგრევა, „ზღვის სამყარო ადამიანისათვის ელემენტურად შეიცვალა. და თუ ეს ასეა, მაშინ საფუძველი ეცლება ხმელეთისა და ზღვის განცალკევებას, რომელზედაც ზღვისა და მსოფლიო ბატონობის უწინდელი კავშირი უნდა დამყარებულიყო. საფუძველი ეცლება ბრიტანულ კოლონიზაციას და დედამიწის ადრინდელ ნომოსს.“³⁵⁹ როგორც აღვნიშნეთ, „ხმელეთისა და ზღვის“ გამოქვეყნების პერიოდში ნაციონალურ-სოციალისტურმა რეჟიმმა ძლიერების ზენიტს მიაღწია. შმიტი პრინციპულად აკეთებს ახალი ელემენტური ძალების უპირატესობის პოსტულირებას ძველ წესრიგთან შედარებით (შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ვლინდება მისი სიმპათიები ნაციონალ-სოციალისტების მიმართ).³⁶⁰ ბრიტანე-

357 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 149. შეიძლება ითქვას, რომ ცეცხლს შმიტის ელემენტურ იერარქიაში ყველაზე აღმატებული ადგილი უკავია. თუ ადრე ადამიანს მხოლოდ იმ ელემენტის (მაგალითად, ზღვის) არჩევა შეეძლო, რომელსაც შემდგომ თავის ისტორიულ არსებობას დაუკავშირებდა, თანამედროვე ეპოქაში ტექნიკის არნახულმა პროგრესმა შესაძლებელი გახდა, ახალი ელემენტის (ცეცხლის) არჩევით სხვა ელემენტებზე (მინა, წყალი, ჰაერი) ბატონობის განხორციელება.

358 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 147.

359 იქვე, გვ. 151.

360 „ხმელეთსა და ზღვაში“ არსად გვხვდება ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის ღია მხარდაჭერა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შმიტის „სიმპათიები“ წინააღმდეგობებს მოკლებული არაა. „ხმელეთსა და ზღვაში“ შმიტი საკმაოდ დადებითადაა განწყობილი ებრაელების მიმართ: მე-3-ე თავში („ხმელეთი ზღვის წინააღმდეგ“) შმიტი მალალ შეფასებას აძლევს ებრაელ ფილოსოფოსს – ისააკ აბრაჰანელს: „იგი 1437-1508 წლებში, დიდი აღმოჩენების ეპოქაში ცხოვრობდა, ჯერ პორტუგალიის, შემდეგ კი კასტილიის მეფის ხაზინადარი იყო, გარდაიცვალა ვენეციაში 1508 წელს ყველასგან პატივცემული. ასე რომ, აბრაჰანელი იცნობდა ამ სამყაროს და მის სიმდიდრეებს და იცოდა, რასაც ამბობდა“ (იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 56). შმიტისაგან ანალოგიურ შეფასებას

თის საზღვაო იმპერიის დიდების მზე ჩაესვენა. მისი ადგილი, შმიტის მიხედვით, ახალმა ძალამ უნდა დაიკავოს, რომელიც თვისებრივად ახალ წესრიგს დაამყარებს. ამ ძალაში, შმიტი, დიდი ალბათობით, ფაშისტურ გერმანიას მოიაზრებს.³⁶¹ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ „ხმელეთისა და ზღვის“ დასასრულს შმიტი ახალი ნომოსის ბრძოლით დამკვიდრების აუცილებლობაზე მიუთითებს: „ახალი ნომოსი მხოლოდ ბრძოლაში თუ წარმოიშვება. ბევრი ადამიანი ამაში მხოლოდ სიკვდილსა და განადგურებას ხედავს. ზოგიერთ მათგანს სწამს, რომ სამყაროს აღსასრული დადგა. სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ ზღვასა და ხმელეთთან უწინდელი დამოკიდებულების გაქრობის მომსწრენი ვართ. [...] ბევრი მხოლოდ ქაოსს ხედავს იქ, სადაც სინამდვილეში ახალი საზრისი ბრძოლით იკაფავს გზას ახალი წესრიგის დასამყარებლად. რა თქმა უნდა, ძველი ნომოსი ქრება და მასთან ერთად უწინარდება მემკვიდრეობით მიღებული ზომების, ნორმებისა და მიმართებების მთელი სისტემა. მაგრამ მის ადგილს არათანაბარზომიერება და ნომოსისადმი მტრულად განწყობილი არარა როდი იკავებს. თვით ძველი და ახალი ძალების სასტიკ ბრძოლაშიც წარმოიშვება მართებული სიდიდეები და თანაბარზომიერი პროპორციები.“³⁶²

იმსახურებს ბენჯამინ დიზრაელი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი დედოფალ ვიქტორიას მმართველობის დროს: „დიზრაელი XIX საუკუნის აბრაგანელი იყო, განდობილი და სიონის ბრძენი. მას მრავალი მოსწრებული და ზუსტი ფორმულირება თუ შემოთავაზება ეკუთვნის, რომლებიც არაებრაელებმა ხარბად შეისრუტეს. ასე რომ, მან იცოდა, რასაც ამბობდა, როდესაც ასეთ წინადადებებს აყენებდა“ (იქვე, გვ. 139-140).

361 სწორედ ამით იხსნება შმიტის მიერ მეჰენის კრიტიკა. მეჰენმა აშშ-სა და ბრიტანეთის დაახლოების თეზისი წამოაყენა: „ამერიკა დიდი კუნძულია, რომელმაც უნდა უკვდავყოს ბრიტანული საზღვაო კოლონიზაცია. ანგლო-ამერიკული საზღვაო ჰეგემონია მთელ მსოფლიოში გაცილებით უფრო ფართო მასშტაბებით უნდა განხორციელდეს“ (იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 145-146). ასეთი გაერთიანება ხელს შეუშლიდა ახალი ელემენტური ძალების განმასახიერებელ გერმანიას, ამიტომ შმიტი მის თეორიულ დისკრედიტაციას ახდენს. ამ თვალსაზრისს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ნაციონალ-სოციალისტების კოლაფსის შემდეგ გამოქვეყნებულ „დედამიწის ნომოსში“ (1950 წ.) მეჰენის კრიტიკა არ გვხვდება. ამ პერიოდისთვის შმიტმა გააცნობიერა, რომ სწორედ საზღვაო ძლიერებაზე დამყარებული აშშ-ს დინამიური ბატონობა იქნებოდა ახალი წესრიგის დამამკვიდრებელი. იხ. F. Ruschi, *Space, Law and Power in Carl Schmitt*; C. L. Connery, *Ideologies of Land and Sea*, გვ. 193. იხ., ასევე, C. Minca, R. Rowan, ‘The question of space in Carl Schmitt’. *Progress in Human Geography*, vol. 39 (2015), გვ. 268-289.

362 იხ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 152. ნაწარმოების დამამთავრებელ ფრაზად ჰერაკლიტეს ციტატის („აქაც მბრძანებლობენ ღმერთები,

შმიტის მიხედვით, ადამიანის განვითარების პერსპექტივები მის მიერ ელემენტების არჩევას და ამ ელემენტების ირგვლივ ისტორი-

დაუსაზღვრელი მათი სიდიადე“) მოყვანა ომის, როგორც ახალი ნომოსის დამკვიდრების ერთადერთი გზის, აუცილებლობის ჩვენებას ისახავს მიზნად. იგივე კონტექსტში მოჰყავს შმიტს ჰერაკლიტეს ფრაზა („ომი აერთიანებს, ხოლო დაპირისპირება თავად არის სამართლიანობა“) მე-13-ე თავის ბოლოს, როდესაც ახალი სამყაროს ევროპულ კოლონიზაციაზე საუბრობს. ე. მენდიეტას აზრით, ჰერაკლიტეს მოშველიებით, შმიტი ახდენს სივრცის კონცეპტუალიზებას ომის მეშვეობით (ისევე, როგორც ეს ადრე რატცელმა გააკეთა). შმიტის ეს ნაბიჯი სამართლის მისეულ ცნებას უკავშირდება. სამართალი სივრცის დანაწილებას ემყარება, ხოლო „ყოველი დიდი ეპოქა დიდი კოლონიზაციით იწყება“, რაც, თავის მხრივ, სივრცის დანაწილებას გულისხმობს (შდრ. კ. შმიტი, „ხმელეთი და ზღვა“, გვ. 113; E. Mendieta, War the School of Space, გვ. 220-222. რაც შეეხება რატცელს, უნდა აღინიშნოს, რომ შმიტი მას საერთოდ არ ასახელებს. თუმცა, ნაკლებად წარმოსადგენია, რომ შმიტს არ სცოდნოდა მისი შრომები (განსაკუთრებით, „ანთროპოგეოგრაფია“, „პოლიტიკური გეოგრაფია“ და „ზღვა, როგორც ხალხთა სიდიადის წყარო“), მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ რატცელი მეტად გავლენიანი მოაზროვნე იყო. გერმანული გეოპოლიტიკური სკოლა, კ. ჰაუსჰოფერის მეთაურობით, კარგად იცნობდა რატცელის შემოქმედებას. ჰაუსჰოფერს პირადი მოგონებებიც კი აქვს გამოქვეყნებული რატცელზე (იხ. K. Haushofer, 'Friedrich Ratzel im raumpolitischen Umbruch seiner und unserer Zeit: Nach persönlichen Jugenderinnerungen'. *Geographische Zeitschrift*, H. 3/4 (1944), გვ. 81-87. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შმიტი იცნობდა ე. კაპის „ფილოსოფიურ გეოგრაფიას“, მაშინ საკმაოდ დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იცნობდა რატცელის შემოქმედებასაც; უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ ასპექტებში იგი მის გავლენასაც განიცდიდა. ამას ადასტურებს შემდეგი პარალელები: „ანთროპოგეოგრაფიაში“ რატცელი საუბრობს ზღვისა და ხმელეთის ხალხების „დიდი დაპირისპირების“ შესახებ (იხ. F. Ratzel, *Anthropogeographie. Erster Teil: Grundzüge der Anwendung der Erdkunde auf die Geschichte. Dritte Auflage*, 1909, გვ. 58). მისი ნაშრომის „ზღვა, როგორც ხალხთა სიდიადის წყარო“ ქვესათაურია: „პოლიტიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა.“ ნაშრომში შესულია შემდეგი თავები: „ზღვის სიდიადე“, „ზღვაზე ბატონობისა და ზღვის ხალხების არსების შესახებ“, „ზღვის ხალხების ისტორიული მნიშვნელობა“, „ზღვის სახელმწიფო და ხმელეთის სახელმწიფო“ და ა.შ. როდესაც საუბრობს ინგლისის ოკეანურ ექსისტენციაზე გადასვლის შესახებ, რატცელი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ინგლისის განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოკეანურმა პოლიტიკამ გაიმარჯვა სახმელეთო პოლიტიკაზე. იგი, ასევე, საუბრობს ტექნიკური წინაპრობების არსებობაზე და ა. შ. შდრ. F. Ratzel, *Das Meer als Quelle der Völkergrösse. Eine politisch-geographische Studie. Zweite Auflage*, 1911, *passim*.

თავი III. „სანიცოცხლო სივრცედან“ „ჰიდრავლიკურ ცივილიზაციებად“

ული არსებობის ორგანიზების ფორმას უკავშირდება. ეს არჩევანი კომპლექსური ისტორიული ფაქტორებითაა განპირობებული, თუმცა „განპირობება“ აქ ცალსახა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს არ გულისხმობს: იმისათვის, რათა ახალი ელემენტის არჩევა განხორციელდეს, ადამიანის ცნობიერებაში მთელი რიგი ცვლილებები უნდა მოხდეს. ამ არჩევანში ადამიანი თავისუფალია. ტექნიკის პროგრესი ადამიანს უსაზღვრო შესაძლებლობებს აძლევს, თუმცა, ამავე დროს, საფრთხეს უქმნის გარემომცველ გარემოს.³⁶³ მაგრამ ადამიანს აქვს უნარი, გაუმკლავდეს ბუნების გამონვევებს. ახალი ელემენტური ძალების ზრდა შმიტს ამ დებულების ნათელ დადასტურებად მიაჩნია.

სივრცის, ადგილისა და „ყოფიერების ტოპოლოგიის“ შესახებ უალრესად საყურადღებო განაზრებები ეკუთვნის კარლ შმიტის თანამედროვეს, გამოჩენილ გერმანელ ფილოსოფოსს, მარტინ ჰაიდეგერს, რომლის შეხედულებებსაც შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ.

363 იხ. „ხმელეთი და ზღვის“ მეხუთე თავი, ვეშაპის რენჯის მაგალითი შმიტთან.

3.4. მარტინ ჰაიდეგერი: ადგილი, როგორც სივრცის შემომკრები

სივრცობრივი თემატიკა ჰაიდეგერის აზროვნებაში განსაკუთრებულად იჩენს თავს გვიანდელ პერიოდში როდესაც „ყოფიერების მნიშვნელობისა“ და „ყოფიერების ქეშმარიტების“ ძიებას, „ყოფიერების ადგილის“ გარკვევის მცდელობა ჩაენაცვლა.³⁶⁴ სივრცისა და ადგილის შესახებ ჰაიდეგერი ბევრგან საუბრობს, თუმცა საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისი ნაშრომი „შენება – ცხოვრება – აზროვნება“ (1951 წ.),³⁶⁵ რადგან მასში შეკუმშული სახითაა გადმოცემული ჰაიდეგერის ძირითადი შეხედულებები აღნიშნული თემატიკის შესახებ.

დასაწყისში ჰაიდეგერი სვამს შეკითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა სურს. ესენია: 1. რა არის ცხოვრება? (*wohnen*) და 2. რამდენად განეკუთვნება შენება ცხოვრებას?

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ცხოვრება შენების მეშვეობით მიიღწევა. თითქოს შენების მიზანი ცხოვრება იყოს.³⁶⁶ თუმცა, ჰაიდეგერის აზრით, ასეთი წარმოდგენა არსებითი მიმართებების წვდომის გზას გვიხშობს. შენება არა მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს ცხოვრებისათვის, არამედ ის უკვე თავის თავში მოიცავს ცხოვრებას.³⁶⁷ ის ფენომენი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვწვდეთ აღნიშნულ სიღრმისეულ მიმართებას, არის ენა. ჰაიდეგერი ანალიზებს სიტყვა „შენების“ (*bauen*) ძირებს. „შენების“ შესატყვისი ძველ ინგლისურსა და ზემო გერმანულში არის „buan“, რაც ცხოვრებას ნიშნავს. ეს მნიშვნელობა თანამედროვე მეტყველებაში დაკარგულია, მიიჩნევა ჰაიდეგერი. ასევე, სიტყვა „neahgeburt“ ძველ ინგლისურში მეზობელს, მეზობლად მცხოვრებს აღნიშნავდა. ამრიგად, „bauen“ უსაკუთრივესი მნიშვნელობით ცხოვრებას, საცხოვრებელ ადგილს აღნიშნავს.³⁶⁸ ეს სიტყვები გვაძლევს მინიშნებებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია

364 იხ. A. Berque, 'The Question of Space: From Heidegger to Watsuji'. *Ecumene*, 3 (1996), გვ. 374; 202. J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*. Cambridge / London: MIT Press, 2006, გვ. 2-3.

365 იხ. M. Heidegger, 'Bauen – Wohnen – Denken'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 7: *Vorträge und Aufsätze*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 2000, გვ. 147-164.

366 იხ. M. Heidegger, *Bauen – Wohnen – Denken*, გვ. 147.

367 იქვე, გვ. 148.

368 იქვე.

გავიგოთ, თუ რა იგულისხმება „ცხოვრებაში.“

„Bauen“-ს ჰაიდეგერი უკავშირებს „bin“-ს, ანუ „ყოფნას“. ასე რომ, იქმნება უმინაგანესი კავშირი ძველ სიტყვა „buan“-სა და „bin“-ს ანუ „ყოფნას“ შორის. ის წესი, რომლითაც ადამიანები დედამიწაზე არიან, არის „buan“ ანუ ცხოვრება. ადამიანად ყოფნა ნიშნავს მოკვდავად ყოფნას, ხოლო მოკვდავად ყოფნა ნიშნავს ცხოვრებას.³⁶⁹

„შენების“ ძველი მნიშვნელობა გულისხმობს, ასევე, „მოვლას“, „ზრუნვას“, „მინის დამუშავებას“, „ვენახის მოვლას.“ ასე გაგებულნი შენება მხოლოდ მოვლას გულისხმობს. ის არ მოიცავს დამზადებას, გემის ან ტაძრის აგების აზრით. შენების ეს ორივე სახე (შენება, როგორც მოვლა და შენება, როგორც რაღაცის დამზადება) გაერთიანებულია შენების ჭეშმარიტ მნიშვნელობაში, ცხოვრებაში.³⁷⁰

„შენების“ უსაკუთრივესი მნიშვნელობის („ცხოვრების“) დაკარგვას სავალალო შედეგები მოჰყვება: ცხოვრება აღარ განიცდება, როგორც ადამიანთა ყოფიერება (*Sein des Menschen*), ცხოვრება საერთოდ აღარ მოიზრება, როგორც ადამიანად ყოფნის (*Menschsein*) უმთავრესი მახასიათებელი.³⁷¹

ზემოთქმულის შეჯამებას ჰაიდეგერი სამი დებულების მეშვეობით ახდენს: 1. შენება ნიშნავს საკუთრივ ცხოვრებას; 2. ცხოვრება არის მოკვდავთა დედამიწაზე ყოფნის წესი; 3. შენება, როგორც ცხოვრება ვლინდება შენებაში, რომელიც ზრუნავს და შენებაში, რომელიც აგებს. აქვე ავითარებს ჰაიდეგერი თავის მნიშვნელოვან თეზისს, რომელიც ნაშრომის დასაწყისში განხილული დამკვიდრების საპირისპიროს წარმოადგენს, კერძოდ: „ჩვენ იმიტომ კი არ ვცხოვრობთ, რადგან ვაშენებთ, არამედ ჩვენ ვაშენებდით და ვაშენებთ იმიტომ, რომ ვცხოვრობთ, რადგან მაცხოვრებლები (*die Wohnende*) ვართ.“³⁷² რა თქმა უნდა, აქ წარმოიშობა „ცხოვრების“ განმარტების აუცილებლობა, რასაც ჰაიდეგერი კვლავ ამ სიტყვის ძირებში ჩაძიებით ახორციელებს. როგორც ძველსაქსონური *wuon*, ასევე, გოთური *wunian*, ნიშნავს „დარჩენას“, „ადგილზე გაჩერებას“. თუმცა, გოთური *wunian*, გარდა ამისა, აღნიშნავს „ემყოფილებას“, „მშვიდობით ყოფნას“. სიტყვა *Friede*, რომელიც „მშვიდობას“ აღნიშნავს, გულისხმობს „თავისუფალს“ (*Frye*), ხოლო *fry*, თავის მხრივ, ნიშნავს საფრთხისა და ზიანისაგან დაცულს, დანდობილს. გათავისუფლება, უსაკუთრივესი

369 იქვე, გვ. 149.

370 იქვე.

371 იქვე, გვ. 149-150.

372 იქვე, გვ. 150.

აზრით, დანდობას ნიშნავს.³⁷³ დანდობა (*schonen*), საკუთრივი აზრით, ნიშნავს რაიმეს საკუთარ თავთან მინებებას, მისი არსების შენარჩუნებას. ცხოვრება ანუ მშვიდობით ყოფნა ნიშნავს მშვიდობით ყოფნას ისეთ თავისუფლებაში, რომელიც ყოველივე არსებულის უსაკუთრივეს არსებას ინდობს. „ცხოვრების უმთავრეს თვისებას სწორედ ასეთი დანდობა წარმოადგენს“,³⁷⁴ რომელიც ცხოვრებას მთლიანად განმსჭვალავს. ეს ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ გავაცნობიერებთ, რომ ადამიანად ყოფნა ცხოვრებას ეფუძნება, რაც, თავის მხრივ, დედამიწაზე მოკვდავთა ყოფნას გულისხმობს.

აქ ჰაიდეგერს შემოაქვს ოთხი კომპონენტი დედამიწის, ცის, ღვთაებრივებისა (*Göttliche*) და მოკვდავების სახით, რომლებიც „თავდაპირველი ერთიანობის“ ძალით ერთმანეთს განეკუთვნებიან.³⁷⁵ ამ

373 იქვე, გვ. 150-151.

374 იქვე, გვ. 151; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 273.

375 აღნიშნული სტრუქტურა ჩანასახოვანი სახით მოცემულია ჰაიდეგერის ნაშრომში „ხელოვნების ქმნილების დასაბამი“ (1935-1936 წწ.), სადაც ჰაიდეგერი „მინა – სამყაროს“ შორის არსებულ დაპირისპირებაზე საუბრობს (იხ. M. Heidegger, 'Der Ursprung des Kunstwerks'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 5: *Holzwege*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 1977, გვ. 28 და შმდ.). ოთხნევრა სტრუქტურა პირველად თავს იჩენს ნაშრომში „ნარკვევები ფილოსოფიის შესახებ“ (დაიწერა 1936-1938 წლებში, პირველად გამოქვეყნდა 1989 წელს) და მას შემდეგი სახე აქვს: „მინა – სამყარო; ადამიანი – ღმერთები (თან)“. აღნიშნული ორი წყვილი ჯგუფდება „ხდომილების“ (*Ereignis*) ირგვლივ (იხ. M. Heidegger, 'Die Grundung'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 65: *Beiträge zur Philosophie (Vom Ereignis)*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 1989, გვ. 310). ოთხსახოვნების ისეთი სტრუქტურა, რომელიც მოცემულია „შენება – ცხოვრება – აზროვნება“-ში, გვხვდება, ასევე, ჰაიდეგერის ნაშრომში „ნივთი“ (1950 წ.). იხ. M. Heidegger, 'Das Ding'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 7: *Vorträge und Aufsätze*. გვ. 175. იხ., ასევე, J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*, გვ. 225 და შმდ.

„ღვთაებრივებთან“ მიმართებაში მალპასი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მკითხველისათვის, ალბათ, ოთხსახოვნების აღნიშნული ელემენტი ყველაზე ბუნდოვანია. იგი თვლის, რომ ჰაიდეგერის შესხედულებებზე ღმერთებთან მიმართებაში გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ბერძნულმა აზროვნებამ. მალპასი რეფერირებს ჰაიდეგერის „პარმენიდეზე“ (ზამთრის სემესტრის ლექციების ციკლი ფრაიბურგის უნივერსიტეტში, 1942-1943 წწ.), სადაც ჰაიდეგერი წერს, რომ ბერძნული ღმერთები არ უნდა გავიგოთ, როგორც პიროვნებები, რომლებიც ყოფიერებაზე ბატონობენ; ისინი უნდა გავიაზროთ, როგორც არსებულთა განმსჭვალავი ყოფიერება (*in das Seiende hereinblickende Sein*). იხ. M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 54: *Parmenides*. Frankfurt am Main: Vittorio

ოთხი კომპონენტის მარტივ ერთიანობას ჰაიდეგერი „ოთხსახოვნებას“ (*das Geviert*) უწოდებს. მოკვდავნი ოთხსახოვნებას ეკუთვნიან, რადგან ისინი ცხოვრობენ. „მაგრამ ცხოვრების არსებითი მახასიათებელი დანდობაა. მოკვდავნი თავისი ცხოვრების წესით ოთხსახოვანს მის არსებაში ინდობენ. ამიტომაც არის მცხოვრები დანდობა (*das wohnende Schonen*) ოთხმაგი.“³⁷⁶

ადამიანები ცხოვრობენ, რამდენადაც ისინი დედამიწის მხსნელები არიან. „ხსნა“ აქ მხოლოდ რაიმე საშემოებისაგან ხსნას კი არ გულისხმობს, არამედ რაიმეს მინებებას თავისი არსებისადმი. დედამიწის ხსნა უფრო მეტია, ვიდრე მისი უბრალო გამოყენება და მასზე გაბატონება. ადამიანები ცხოვრობენ იმდენად, რამდენადაც ისინი ცას იღებენ, როგორც ცას. ისინი არ ერევიან ციურ სხეულთა მოძრაობაში და ღამეს დღედ როდი აქცევენ. ადამიანები ცხოვრობენ იმდენად, რამდენადაც ისინი ღვთაებრივებს, როგორც ღვთაებრივებს მოელიან. „დედამიწის ხსნაში, ცის მიღებაში, ღვთაებრივთა მოლოდინსა და მოკვდავთა თანხლებაში ხორციელდება ცხოვრება, როგორც ოთხსახოვნების ოთხმაგი დანდობა (*das vierfältige Schonen des Gevierts*).“³⁷⁷

ცხოვრება, როგორც დანდობა, ოთხსახოვნებას ინახავს საგნებში, რომლებთანაც ადამიანები ჩერდებიან. ამრიგად, ცხოვრებას ჰაიდეგერი საგნებს უკავშირებს. ამ აზრით ცხოვრება შენებაა.³⁷⁸ ამით ჰაიდეგერი გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე: რამდენად განეკუთვნება შენება ცხოვრებას?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას ჰაიდეგერი ცდილობს შენების პროდუქტის, ნაგებობის (მოცემულ შემთხვევაში, ხიდის) არსის წვდომით.

ხიდი მხოლოდ მდინარის ორ ნაპირს კი არ აერთებს, არამედ ის „თავს უყრის მიწას, როგორც ლანდშაფტს, მდინარის ირგვლივ“.³⁷⁹ მდინარის ნაპირები მხოლოდ ხიდის მეშვეობით იჩენს თავს. ამრიგად, „თავისებურად, თავის გარშემო ხიდი თავს უყრის მიწასა და ცას, ღვთაებრივებსა და მოკვდავებს.“³⁸⁰ თავმოყრას, შეგროვებას ძველ გერმანულში *thing*, „ნივთი“ ეწოდება. ხიდი ნივთია და ის ოთხსახ-

Klostermann, 1992, გვ. 164; J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*, გვ. 274.

376 იხ. M. Heidegger, *Bauen – Wohnen – Denken*, გვ. 152.

377 იქვე, გვ. 153.

378 იქვე.

379 იქვე, გვ. 154.

380 იქვე, გვ. 155.

ოვანის თავმოყრას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მისთვის (ოთხსახოვანისათვის) შესაძლებელს ხდის სამყოფელს (*Stätte*). „მაგრამ მხოლოდ იმას, რასაც ადგილი ეწოდება, შეუძლია სამყოფელის შემოსაზღვრა.“³⁸¹ თავის მხრივ, ადგილი არ არსებობს ხიდამდე. **ამრიგად, ხიდი კი არ დგას ადგილზე, არამედ ადგილი წარმოიშობა ხიდის მემკვიდრით.**³⁸²

ის ნივთები, რომლებიც ამ სახით ადგილები არიან, სივრცის შესაძლებლობას ქმნიან. სიტყვა „სივრცის“ ძველი მნიშვნელობა, *Rum*, ნიშნავს დასახლებისა და დაბანაკებისათვის გამოთავისუფლებულ ადგილს. სივრცე არის რაღაც, რაც გარკვეულ საზღვრებშია გამოთავისუფლებული. „საზღვარში“ ჰაიდეგერი არ მოიაზრებს რაიმეს დასასრულს, არამედ იმას, საიდანაც რაიმეს არსება იწყება. **შესაბამისად, სივრცეები თავიანთ არსებას არა „სივრცის“, არამედ ადგილების მემკვიდრით იღებენ.**³⁸³

იმ ნივთებს, რომლებიც, როგორც ადგილები, სამყოფელს ქმნიან, ჰაიდეგერის მიხედვით, ნაგებობები ეწოდება. ეს სამყოფელი სივრცის არსებობას განაპირობებს. ამასთან დაკავშირებით ჰაიდეგერს აინტერესებს, თუ რა მიმართება არსებობს, ერთი მხრივ, ადგილსა და სივრცეს, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანსა და ადგილს შორის. სივრცეები, რომლებშიც ადამიანები ყოველდღიურად მოძრაობენ,

381 იქვე, გვ. 156.

382 იქვე. თავის ნაშრომში „ენა ლექსში“ (1952 წ.) ჰაიდეგერი წერს ადგილის შესახებ: „თავდაპირველად, სიტყვა *Ort* „შუბის წვერს“ აღნიშნავდა. მასში ყველაფერი თავს იყრის. ადგილი თავის თავში შემოიკრებს უმაღლესსა და უკიდურესს. შემომკრები განმსჭვალავს ყოველივეს. ადგილი, ანუ შემომკრები იზიდავს საგნებს თავის საფარქვეშ“ (იხ. M. Heidegger, 'Die Sprache im Gedicht'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 12: *Unterwegs zur Sprache*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 1985, გვ. 33). ამ მხრივ საგულისხმოა ჰაიდეგერის მიერ ბერძნული ტაძრის დახასიათება ნაშრომში „ხელოვნების ქმნილების დასაბამი.“ ტაძარი, როგორც ქმნილება, აქ შემომკრებად, გამართიანებლად გვევლინება (იხ. M. Heidegger, 'Der Ursprung des Kunstwerks'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 5: *Holzwege*, გვ. 27-28). იგივე მოტივი გვხვდება „თემშარში“ (1949 წ.), სადაც თემშარა შემოიკრებს იმას, რაც გზის ირგვლივ არსებითია (იხ. M. Heidegger, 'Der Feldweg'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 13: *Aus der Erfahrung des Denkens*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann, 1983, გვ. 88). ნაშრომში „ხელოვნება და სივრცე“ (1969 წ.) ჰაიდეგერი საუბრობს ადგილზე, როგორც შემომკრებზე და, ამავე დროს, როგორც მიდამოს განმსშველზე (იხ. M. Heidegger, 'Die Kunst und der Raum'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 13: *Aus der Erfahrung des Denkens*. გვ. 207 და შმდ.).

383 იხ. M. Heidegger, *Bauen – Wohnen – Denken*, გვ. 156.

ადგილებითაა შემოფარგლული. მათი არსება ეფუძნება ნივთებს ანუ შენობებს. რაც შეეხება ადამიანებს, გავრცელებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, ისინი სივრცისგან მოწყვეტილად არ უნდა განვიხილოთ. ადამიანად ყოფნა ნიშნავს ცხოვრებას, ხოლო „ცხოვრებაში“ სივრცე იმთავითვე იგულისხმება.³⁸⁴ „ადამიანთა მიმართება ადგილებთან და, ადგილების მეშვეობით – სივრცეებთან, ცხოვრებას ეფუძნება.“³⁸⁵

ნაშრომის დასასრულს ჰაიდეგერი კიდევ ერთხელ მსჯელობს ადგილების შესახებ. სივრცეებში სამყოფელის აღმართვით ადგილი მიწის, ცის, ღვთაებრივებისა და მოკვდავების მარტივ ერთიანობას წარმოქმნის. ადგილი შესაძლებლობას ქმნის ოთხსახოვნებისათვის და, ამავე დროს, ადგენს კიდევ მას. ასე რომ, ადგილი ოთხსახოვნების სახლად გვევლინება. ასეთი ადგილებში არსებული ნივთები (მაგალითად, ზემოთ ნახსენები ხიდი) ადამიანთა თავშესაფრებია (მაგრამ არა აუცილებლად საცხოვრებელი სახლის აზრით). ამ ნივთების წარმოქმნა შენების მეშვეობით ხდება. შენების პროდუქტი ადგილია, რომელიც სივრცის შესაძლებლობას წარმოშობს. ამიტომ, შენება სივრცეთა დადგენასა და შეკავშირებას ემსახურება,³⁸⁶ ხოლო შენობები ოთხსახოვნების „მცველებად“ გვევლინებიან.³⁸⁷ ისინი ნივთებია, რომლებიც თავისი წესით (მიწის ხსნა, ცის მიღება, ღვთაებრივთა მოლოდინი, მოკვდავთა თანხლება) ოთხსახოვნებას ინდობენ. ეს ოთხმაგი დანდობა კი ცხოვრების მარტივ არსებას შეადგენს. ამრიგად, ნამდვილი შენობები ცხოვრებას არსობრივად განსაზღვრავენ.³⁸⁸ „მხოლოდ მაშინ გვექნება შენების უნარი, როდესაც ცხოვრებას შევძლებთ“,³⁸⁹ რადგან ცხოვრება ყოფიერების უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს.

384 იქვე, გვ. 158-159.

385 იქვე, გვ. 160.

386 იქვე. იხ., ასევე, J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*, გვ. 271-272.

387 შენობებთან დაკავშირებით უალრესად საყურადღებოა ჰაიდეგერის მიერ შვარცვალდის ტყეში, ტოდტნაუბერგში მდებარე საკუთარი ქოხის აღწერა, სადაც იგი ფილოსოფოსობას, ფილოსოფოსის საქმიანობას შვარცვალდის ლანდშაფტსა და გლეხების საქმიანობას უკავშირებს. „მთელი ჩემი მუშაობა ამ მთებისა და მისი გლეხების სამყაროთა ნასულდგამულები.“ იხ. M. Heidegger, 'Schöpferische Landschaft: Warum bleiben wir in der Provinz?'. In: M. Heidegger, *Gesamtausgabe*. Bd. 13: *Aus der Erfahrung des Denkens*, გვ. 11.

388 იხ. M. Heidegger, *Bauen – Wohnen – Denken*, გვ. 161.

389 იქვე, გვ. 162.

აზროვნება, შენების მსგავსად, ცხოვრებას განეკუთვნება. ცალ-ცალკე, ერთმანეთის გარეშე, აზროვნებასა და შენებას არ შეუძლიათ ცხოვრების უზრუნველყოფა. აზროვნება ცდილობს, გაიაზროს ცხოვრების არსება. ცხოვრების „ნამდვილ საჭიროებად“ ჰაიდეგერი არ მიიჩნევს საცხოვრებელი სახლების ნაკლებობას, დედამიწის მოსახლეობის ზრდას ან კიდევ მუშათა მდგომარეობას. ცხოვრების საკუთრივი საჭიროება ისაა, რომ ადამიანები კვლავ და კვლავ ეძიებენ ცხოვრების არსს, „მათ ჯერ კიდევ უნდა ისწავლონ, თუ რა არის ცხოვრება“.³⁹⁰ როგორც კი ადამიანი ჩაუფიქრდება თავის „უსახლკარო“ მდგომარეობას, ეს უკვე არ არის უბედურება. ადამიანებმა უნდა სცადონ ცხოვრების სისრულის განხორციელება. „ამას კი ისინი მხოლოდ მაშინ შეძლებენ, როდესაც ცხოვრების საფუძველზე ააშენებენ და ცხოვრების შესახებ იფიქრებენ.“³⁹¹

„შენება – ცხოვრება – აზროვნება“-ში ჰაიდეგერი ყოფიერების საკითხს ცხოვრების საკითხს უკავშირებს. ცხოვრების საკითხი, თავის მხრივ, განუყრელ კავშირშია შენებისა და აზროვნების საკითხთან. შენება ოთხსახოვანის შენახვა და მისი დანდობაა. შენების პროდუქტი, ნივთი, ადგილს წარმოშობს; ადგილი კი თავის ირგვლივ სივრცეს შემოკრებს. ჰაიდეგერის განაზრებანი ადგილისა და სივრცის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის.³⁹² ად-

390 იქვე, გვ. 163.

391 იქვე, გვ. 164.

392 ჯ. მალპასის აზრით, ჰაიდეგერის განაზრებებში ყოფიერების შესახებ ადგილის კონცეპტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. უფრო მეტიც, იგი თვლის, რომ დასავლურ აზროვნებაში ჰაიდეგერი ის მოაზროვნეა, რომლის შრომებში ადგილის ცნება, ალბათ, ყველაზე სრულყოფილადაა დამუშავებული. მალპასი, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ჰაიდეგერის გავლენებზე ამ მიმართებით. უკანასკნელ წლებში ფილოსოფიაში ადგილის ცნების რეაქტუალიზებას მალპასი ჰაიდეგერის სახელს უკავშირებს (იხ. J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*, გვ. 3-4). „ჰაიდეგერი, შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც მოაზროვნე, რომელიც დასავლური აზროვნების ტოპოლოგიით ოპერირებს იმისათვის, რათა აჩვენოს ამ აზროვნების საფუძველმდებარე ტოპოლოგიური ხასიათი და ორიენტაცია“ (იქვე, გვ. 7). მალპასი აღნიშნავს, რომ გვიანდელ პერიოდში ჰაიდეგერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა „ყოფიერების ადგილზე“ (*die Ortschaft des Seyns*) და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ტოპოლოგია ჰაიდეგერთან არის მცდელობა, გააშუქოს ადგილი, სადაც ადამიანი, თავისი არსებობის წესიდან გამომდინარე, იმთავითვე მყოფობს და სადაც მის წინაშე ვლინდებიან სამყაროში არსებული ნივთები (იქვე, გვ. 33-34). იხ., ასევე, J. Malpas, *Heidegger and the Thinking of Place. Explorations in the Topology of Being*. Cambridge, MA / London, 2012.

თავი III. „სასიცოცხლო სივრცეიდან“ „ჰიდრავლიკურ ცივილიზაციებამდე“

გილი, ჰაიდგერის ნაკითხვით, შესაძლებელია გავიგოთ, როგორც ექსისტენციალური ადგილი, რომელთანაც ადამიანები განსაკუთრებულ მიმართებაში იმყოფებიან. ექსისტენციალური ადგილების სიმრავლე ადამიანურ ყოფიერებას ავსებს და მას დინამიურ ხასიათს ანიჭებს. ჰაიდგერის შეხედულებები (განსაკუთრებით მისი საკვანძო დებულება, რომლის თანახმად სივრცის არსებას ადგილები ქმნიან) ნათლად აჩვენებს, რომ ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ დონეზე ერთ-ერთ ცენტრალურ კონცეპტს ადგილი წარმოადგენს.

1927 წელს ჰაიდგერის ლექციებს ბერლინში ისმენდა იაპონელი ფილოსოფოსი ვაცუჯი ტეცურო, რომელსაც მომდევნო ქვეთავი ეთმობა.

3.5. ვაცუჯი ტეცუროს კლიმატის ფილოსოფია

ვაცუჯი ტეცურო XX საუკუნის იაპონური ფილოსოფიური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელია ისეთ მოაზროვნებთან ერთად, როგორებიცაა ნიშიდა კიტარო (1870-1945 წწ.) და ჰაჯიმე ტანაბე (1885-1962 წწ.). ვაცუჯის ნააზრევი მჭიდრო კავშირშია ე. წ. „კიოტოს სკოლის“ ფილოსოფიასთან, რომლის დამფუძნებელი და ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი ნიშიდა კიტარო იყო. ვაცუჯი მეტად პროდუქტიული მოაზროვნე იყო: მისი თხზულებების სრული კრებული 27 ტომს შეადგენს³⁹³ და მოიცავს პრობლემათა და საკითხთა ერთობ ფართო სპექტრს (ეთიკა, ესთეტიკა, კლიმატის ფილოსოფია, რელიგია, აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციები, აღმოსავლური და დასავლური ფილოსოფია). ვაცუჯი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც იაპონელ მკითხველს ფრიდრიხ ნიცშესა და სიორენ კირკეგორის ნააზრევი გააცნო. ვაცუჯის შემოქმედების გავლენა თანამედროვე იაპონურ ფილოსოფიასა და კულტურაზე დღესაც დიდია.³⁹⁴

ვაცუჯი ტეცურო დაიბადა 1889 წელს ჰიოგოს პრეფექტურაში, სოფ. ნიბუნოში (ამჟამად ქ. ჰიმეჯის ნაწილი) ექიმის ოჯახში. მან იმ ეპოქისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო: 1906 წელს იგი ტოკიოს №1 უმაღლეს სკოლაში შევიდა,³⁹⁵ ხოლო 1909 წელს სწავლა განაგრძო ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტში ფილოსოფიის მიმართულებით. ახალგაზრდობის პერიოდში ვაცუჯი სერიოზულად იყო დაინტერესებული ლიტერატურით (იგი წერდა მოთხრობებსა და პიესებს. გარდა ამისა, მან იაპონურად თარგმნა ჯორჯ ბაირონი და ბერნარდ შოუ). ვაცუჯიზე დიდი იყო ცნობილი იაპონელი მწერლის, ნაცუმე სოსეკის (1867-1916 წწ.) გავლენა. 1912 წლის ივლისში ვაცუჯიმ დაასრულა სწავლა უნივერსიტეტში. მისი სადიპლომო ნაშრომი ნიცშეს შესახებ უკუგდებულ იქნა, რადგან იმ პერიოდში ნიცშეს უფრო პოეტ-ფილოსოფოსად აღიქვამდნენ, ვიდრე საკუთრივ ფილო-

393 იხ. T. Watsuji, *Watsuji Tetsurō Zenshū* (Complete Works of Watsuji Tetsurō). 27 vols., Abe Yoshishigo et al., Tokyo: Iwanami Shoten, 1992.

394 იხ. R. N. Bellah, 'Japan's Cultural Identity: Some Reflections on the Work of Watsuji Tetsurō'. *The Journal of Asian Studies*, 24 (1965), გვ. 578; D. Dilworth, 'Watsuji Tetsurō (1889-1960): Cultural Phenomenologist and Ethician'. *Philosophy East and West*, 24 (1974), გვ. 3; I. Nagami, 'The Ontological Foundation in Tetsurō Watsuji's Philosophy: Kū and Human Existence. Philosophy'. *East and West*, vol. 31 (1981), გვ. 279;

395 აქ მისი თანაკლასელი იყო შემდგომში ცნობილი ფილოსოფოსი კუკი შუცო (1888-1941 წწ.).

სოფოსად. ვაცუჯი იძულებული გახდა, სწრაფად დაენერა მეორე ნაშრომი შოპენჰაუერის შესახებ და ის წარედგინა საუნივერსიტეტო კომისიისათვის.³⁹⁶

1915 წელს ვაცუჯი აქვეყნებს ნაშრომს სიორენ კირკეგორის ფილოსოფიის შესახებ. ითვლება, რომ ეს პირველი ნაშრომია იაპონიაში კირკეგორზე,³⁹⁷ ხოლო 1918 წელს მან გამოსცა „კერპების აღორძინება“, სადაც ძველ იაპონურ კულტურაზე გაამახვილა საგანგებო ყურადღება. ამ ნაშრომს სწრაფად მოჰყვა ვაცუჯის სხვა მნიშვნელოვანი შრომები: „მომლოცველობა უძველეს ტაძრებში“ (1919 წ.) და „ძველი იაპონური კულტურა“ (1920 წ.). აღნიშნულ ნაშრომებში ვაცუჯიმ დიდი ყურადღება გაამახვილა იაპონიის წარსულ კულტურულ მემკვიდრეობაზე და მის მნიშვნელობაზე თანამედროვეობისათვის.³⁹⁸

1925 წელს, ნიშიდა კიტაროს ინიციატივით, ვაცუჯი კიოტოს საიმპერატორო უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც მან დაიწყო ლექციების კითხვა ეთიკის შესახებ. 1927 წელს ვაცუჯიმ მოიპოვა დაფინანსება განათლების სამინისტროდან და ცოდნის გასაღრმავებლად ევროპაში გაემგზავრა. იგი ესტუმრა პარიზს, ჟენევას, ლონდონს, ბერლინს, რომს, ნეაპოლს, ფლორენციას, ვენეციას... ბერლინში ყოფნისას იგი უსმენდა მარტინ ჰაიდეგერის ლექციებს და გაეცნო მის ნაშრომს „ყოფიერება და დრო“, რომელიც სწორედ იმ პერიოდში გამოიცა. სწორედ ამ ნაშრომის ნაკითხვამ უზიძგა ვაცუჯის, დაენერა თავისი ყველაზე გახმაურებული ნაშრომი „ქარი და მინა“ (1935 წ.).³⁹⁹

სამი წლის ნაცვლად ვაცუჯიმ ევროპაში თოთხმეტი თვე და-

396 იხ. R. N. Bellah, *Japan's Cultural Identity: Some Reflections on the Work of Watsuji Tetsurō*, გვ. 578; T. Furukawa, 'Watsuji Tetsurō, the Man and His Work'. In: Watsuji Tetsurō, *Climate and Culture: A Philosophical Study*. Translated by G. Bownas. New York: Greenwood Press, 1988, გვ. 219; D. Dilworth, Watsuji Tetsurō, გვ. 4. ვაცუჯის ნაშრომი ნიცშეს შესახებ 1913 წელს გამოქვეყნდა სათაურით „ნიცშეანური კვლევები.“

397 იხ. D. Dilworth, Watsuji Tetsurō, გვ. 5.

398 იქვე.

399 ნაშრომს იაპონურად ეწოდება „ფუ-დო“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქარსა და მინას.“ ინგლისურ თარგმანში „ფუდოს“ „კლიმატი და კულტურა“ ეწოდება (პირველ გამოცემაში „ფუდო“ სულაც თარგმნეს, როგორც მხოლოდ „კლიმატი“. იხ. R. N. Bellah, *Japan's Cultural Identity*, გვ. 588. იხ., ასევე, D. Dilworth, Watsuji Tetsurō, გვ. 7; I. Nagami, *The Ontological Foundation in Tetsurō Watsuji's Philosophy*, გვ. 281-282; C. S. Jones, 'Politicizing Travel and Climatizing Philosophy: Watsuji, Montesquieu and the European Tour'. *Japan Forum*, 14 (2002), გვ. 49.

ჰყო.⁴⁰⁰ 1934 წელს, ვაცუჯი გახდა პროფესორი (ეთიკის მიმართულე-ბით) ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტში, სადაც 1949 წლამდე მოღვაწეობდა. 1935 წელს მან გამოაქვეყნა თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომი „ეთიკა, როგორც გამოკვლევა ადამიანის შესახებ“, ხოლო მომდევნო წლებში გამოსცა ამ ნაშრომის გადამუშავებული ვერსია სამ ტომად (პირველი ტომი – 1937 წ., მეორე ტომი – 1942 წ., მესამე ტომი – 1949 წ.) საერთო სახელწოდებით – „ეთიკა.“

ვაცუჯის კლიმატის ფილოსოფია გადმოცემული აქვს თავის ნაშრომში „ქარი და მიწა“. ნაშრომის შესავალში ვაცუჯი მიუთითებს თავის მიზანზე: ადამიანური ექსისტენციის სტრუქტურაში კლიმატის ფუნქციის ნათელყოფა. იგი, ასევე, აღნიშნავს, რომ ნაშრომში კლიმატური ფენომენები განხილულია არა როგორც ბუნებრივი მოვლენები, არამედ როგორც ადამიანის სუბიექტური ექსისტენციის გამოსატყულებები.⁴⁰¹

„ყოფიერებასა და დროში“ ჰაიდეგერი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დროის ფაქტორზე ადამიანის სუბიექტური ექსისტენციის სტრუქტურის ფარგლებში. ვაცუჯი მიიჩნევს, რომ ასეთი ანალიზი ვერ იქნება სრულყოფილი, რადგან სივრცეს ჰაიდეგერის აღნიშნულ შრომაში სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება. **ხოლო დრო, რომელიც არ უკავშირდება სივრცეს, არც არის დრო ნამდვილი აზრით.** გარდა ამისა, ადამიანური ყოფნა (*Dasein*) ჰაიდეგერთან ინდივიდუალური ადამიანის ყოფნაა. ადამიანური ექსისტენციის **დუალური სტრუქტურიდან** (ინდივიდუალური და სოციალური) ჰაიდეგერმა მხოლოდ ერთი ასპექტის აბსტრაქცირება მოახდინა. მაგრამ დრო და სივრცე მხოლოდ მაშინ უკავშირდება ერთმანეთს ჭეშმარიტი აზრით, როდესაც ადამიანური ექსისტენცია განხილულია მის კონკრეტულ დუალობაში. ასეთ შემთხვევაში საცნაური ხდება ისტორია და კლი-

400 რ. კარტერის მიხედვით, ამის მიზეზი ვაცუჯის მამის გარდაცვალება გახდა, ქ. ჯოუნსის თანახმად კი – ნოსტალგია. თავისუფლად შესაძლებელია, რომ ორივე ფაქტორმა ერთად უბიძგა ვაცუჯის სამშობლოში დაბრუნებისაკენ. იხ. R. Carter, 'Watsuji Tetsurō'. *Stanford Encyclopedia of Philosophy*. <http://plato.stanford.edu/entries/watsuji-tetsuro/>; C. S. Jones, *Politicizing Travel and Climatizing Philosophy*, გვ. 48.

401 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture: A Philosophical Study*. New York: Greenwood Press, 1988, გვ. v. დ. დიღვორთის მიხედვით, „ადამიანური კლიმატის“ ვაცუჯისეულ ცნებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ნიშიდა კიტაროს მიერ შემუშავებულმა „ბაშო“-ს დიალექტიკურმა ცნებამ. „ბაშო“ არის ნოეზის-ნოემა მიმართების ტოპოსი, ანუ ადგილი. იხ. D. Dilworth, *Watsuji Tetsurō*, გვ. 14.

მატის კავშირი ისტორიასთან.⁴⁰²

„ქარი და მიწის“ საკვანძო ნაწილს წარმოადგენს პირველი თავი, რომლის სათაურია „კლიმატის ძირითადი პრინციპები.“ პირველივე წინადადებაში ვაცუჯი განმარტავს, თუ რას გულისხმობს ტერმინ „ფუ-დო“-ში. ეს არის მოცემული ქვეყნის ბუნების, კლიმატის, ამინდის, ნიადაგის ნაყოფიერებისა და მისი გეოლოგიური მახასიათებლების, ქვეყნის ტოპოგრაფიული თავისებურებებისა და მისი პეიზაჟების აღმნიშვნელი ცნება.⁴⁰³

ვაცუჯის ანტიერესებს, არის თუ არა კლიმატი (რომელიც ადამიანის ყოველდღიურ გამოცდილებაში გვხვდება) ბუნებრივი ფენომენი. რა თქმა უნდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა კლიმატი უნდა განიხილონ როგორც ბუნებრივი ფენომენი, მაგრამ ვაცუჯის უფრო ანტიერესებს, არის თუ არა კლიმატური ფენომენები თავისი არსებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის ობიექტები. აღნიშნულ პრობლემას ვაცუჯი სიცივის ფენომენის მაგალითზე განიხილავს. იგი იმთავითვე უკუაგდება იმ აზრს, რომლის თანახმად, სიცივე ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. ეს შეუძლებელია, „რადგან როგორ შეიძლება ვიცოდეთ სიცივის დამოუკიდებელი არსებობის შესახებ, ვიდრე სიცივეს არ შევიგრძნობთ? [...] მხოლოდ სიცივის შეგრძნებით აღმოვაჩინთ სიცივეს.“⁴⁰⁴ ინტენციონალური მიმართების არსებობა არ არის დამოკიდებული გარე ობიექტზე. სუბიექტს თავად აქვს **საკუთარი ინტენციონალური სტრუქტურა**, რომელსაც რალაციკენ მიმართავს. „ამრიგად, ამ რელაციური სტრუქტურის ინტენციონალობა, სიცივესთან მიმართებაში, სუბიექტის სტრუქტურად გვევლინება. *სიცივის შეგრძნება*, უპირველეს ყოვლისა, ასეთი სახის *ინტენციონალური გამოცდილებაა*.“⁴⁰⁵

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ასეთ შემთხვევაში, სიცივე გავიაზროთ, როგორც წმინდად სუბიექტური გამოცდილება? სუბიექტივიზმის ბრალდებას ვაცუჯი შემდეგი მსჯელობით იცილებს თავიდან: ინტენციის ობიექტი არ არის მენტალური ხდომილება. როდესაც სიცივეს ვგრძნობთ, „სიცივის შეგრძნებას“ კი არ ვგრძნობთ, არამედ თავად ჰაერის სიცივეს. ასე რომ, ინტენციონალურ გამოცდილებაში აღქმული სიცივე სუბიექტური კი არ არის, არამედ ობიექტურია. „სიცივე, როგორც ტრანსცენდენტალური ექსისტენცია, მხოლოდ ამ

402 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. v-vi; D. Dilworth, Watsuji Tetsurō, გვ. 15-16.

403 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 1.

404 იქვე, გვ. 2.

405 იქვე.

ინტენციონალობაში არსებობს.⁴⁰⁶ სიცივის შეგრძნება უკვე ნიშნავს სიცივეში ანუ სამყაროში ყოფნას (აქ ვაცუფვი ჰაიდეგერის *ex-sistere*-ს ცნებაზე რეფერირებს და თვლის, რომ ექსისტირება მე-ს სტრუქტურის ფუნდამენტური პრინციპია, რომელსაც ინტენციონალობა ემყარება). „შესაბამისად, სიცივის შეგრძნებით ჩვენ სიცივეში საკუთარ თავს აღმოვაჩინეთ.“⁴⁰⁷ ეს მყისიერად ხდება. „სიცივის შეგრძნება ინტენციონალური გამოცდილებაა, რომელშიც ჩვენ აღმოვაჩინეთ საკუთარ თავს ექსისტირების მოდუსში ანუ სიცივეში ყოფნით.“⁴⁰⁸

მაგრამ ვაცუფვი არ კმაყოფილდება მხოლოდ „მე“-ს სუბიექტური სტრუქტურისა და ინტენციონალობის აღწერით. შემდეგი საფეხური მის მსჯელობაში არა ცალკეულ ინდივიდს („მე“), არამედ ინდივიდთა ჯგუფს („ჩვენ“) ეხება. სიცივეს მხოლოდ „მე“ არ შეიგრძნობს. სიცივეს სხვებიც შეიგრძნობენ. ის ფაქტი, რომ სიცივის შეგრძნება განსხვავებულია სხვადასხვა ინდივიდებს შორის, ვაცუფვის აზრით, განპირობებულია სიცივის საერთო შეგრძნებით. „ამრიგად, სიცივეში მხოლოდ მე კი არ არის, არამედ მე როგორც ჩვენ და ჩვენ, როგორც მე.“⁴⁰⁹ ექსისტირება ნიშნავს სხვა მე-ებთან ერთად ყოფნას. „ეს არის არა ინტენციონალური მიმართება, არამედ ექსისტენციისათვის დამახასიათებელი *ორმხრივი მიმართება*.“⁴¹⁰

ის, რაც სიცივის შესახებ ითქვა, ვაცუფვის თანახმად, თანაბრად მიეყენება ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე და ა. შ. ამ ფენომენების ერთობლიობა ქმნის ამინდს. მაგრამ ამინდიც არ განიცდება იზოლირებულად, როგორც „მხოლოდ ამინდი“, არამედ ის აღიქმება მოცემული ქვეყნის ტოპოგრაფიული თავისებურებებისა და მისი პეიზაჟების ფონზე. „სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ საკუთარ თავს, როგორც *ორმხრივი მიმართების* ნაწილს, *კლიმატში* აღმოვაჩინეთ.“⁴¹¹ ადამიანები ამზადებენ თბილ ტანსაცმელს, რათა სიცივეს შეენიანაღმდეგონ; მათ სიამოვნებთ გაზაფხულის კარგი ამინდი და ცდილობენ, მეგობრებთან ერთად გაატარონ დრო და ა. შ. გარდა ამისა, ადამიანები ერთობლივ ძალისხმევას მიმართავენ, რათა წინ აღუდგნენ „ბუნების ტირანიას.“

406 იქვე, გვ. 2-3.

407 იქვე, გვ. 3.

408 იქვე, გვ. 4.

409 იქვე. ინტერსუბიექტურობის შესახებ ვაცუფვისთან იხ. J. Krueger, ‘Watsuji’s Phenomenology of Embodiment and Social Space’. *Philosophy East & West*, vol. 63 (2013), გვ. 127-152.

410 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 4.

411 იქვე, გვ. 5.

ამ მიზნით, ადამიანები ქმნიან სხვადასხვა საშუალებებს (სახლები, ხიდები, კაშხლები, ტანსაცმელი და ა. შ.).⁴¹² ამ ასპექტით განხილული კლიმატური ფენომენები განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ შესწავლილი კლიმატური ფენომენებისაგან. „ყველაზე უფრო გავრცელებული მცდარი შეხედულება კლიმატის შესახებ არის წარმოდგენა, რომლის თანახმად, არსებობს ზეგავლენები ადამიანსა და მის ბუნებრივ გარემოს შორის.“⁴¹³ მნიშვნელოვანი მომენტი ვაცუჯისთან არის ის, რომ იგი კლიმატს განიხილავს, როგორც ადამიანის ექსისტენციის სტრუქტურის ნაწილს. მაგრამ რას მოიაზრებს ვაცუჯი „ადამიანის“ ცნებაში? „ადამიანში“ იგი ცალკეულ ინდივიდს კი არ გულისხმობს, არამედ ინდივიდუალურისა და სოციალურის ერთობლიობას.⁴¹⁴ შესაბამისად, არც ანთროპოლოგიას, რომელიც ცალკეულ ინდივიდზეა ორიენტირებული და არც სოციოლოგიას, რომელიც მხოლოდ სოციალურ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, არ ძალუძთ, სრულად ჩანვდნენ ადამიანის ბუნებას. ადამიანური ექსისტენციის სტრუქტურის კვლევისას მხოლოდ დროის ასპექტზე ყურადღების გამახვილება ნიშნავს ადამიანური ექსისტენციის წვდომას ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე. ამიტომ, აუცილებელია, რომ სივრცეს სათანადო ყურადღება მიექცეს.⁴¹⁵

412 იქვე, გვ. 5-6, 12 და შმდ.

413 იქვე, გვ. 8.

414 ამ მხრივ ვაცუჯისთან საყურადღებოა „აიდაგარა“-ს ცნება, რაც გულისხმობს მიმართებას ადამიანსა და ადამიანს, ადამიანსა და მის ოჯახს, ადამიანსა და საზოგადოებას, დაბოლოს, ადამიანსა და ბუნებას შორის. „აიდაგარა“ ნიშნავს, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ ინდივიდი ან მხოლოდ სოციალური არსება. იგი იმთავითვე ჩართულია მიმართებებში სხვა ადამიანებთან, ოჯახთან, საზოგადოებასთან და ბუნებასთან. ადამიანის ექსისტენცია მხოლოდ ამ მიმართებების ქრილში უნდა იქნეს განხილული (იხ. I. Nagami, *The Ontological Foundation in Tetsurō Watsuji's Philosophy*, გვ. 284). ვაცუჯისთან, ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძღვრებას ორმაგი ნეგაციის შესახებ: ინდივიდმა უნდა მოახდინოს ნეგაცია, რათა განამტკიცოს საკუთარი ინდივიდუალობა სხვა ინდივიდებთან მიმართებაში. მაგრამ იმისათვის, რათა სოციუმის სრულფასოვანი წევრი გახდეს, მან „ნეგაციის ნეგაცია“ ანუ ორმაგი ნეგაცია უნდა განახორციელოს და ამჯერად საკუთარი ინდივიდუალობის უარყოფით, ჯგუფის მნიშვნელობა განამტკიცოს (იხ. R. Carter, *Watsuji Tetsurō*). თავის მხრივ, ყოველი სოციალურ ინსტიტუტი საკუთარ თავში თვითნეგაციის მომენტს შეიცავს. ნეგაციათა ეს „კიბე“ დასასრულს პოულობს სახელმწიფოში, რომელიც ნეგაციის ბოლო საფეხურს წარმოადგენს. იხ. R. Carter, *Watsuji Tetsurō*; I. Nagami, *The Ontological Foundation in Tetsurō Watsuji's Philosophy*, გვ. 292.

415 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 8-9.

სწორედ ამის საფუძველზე აყალიბებს ვაცუჯი თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებას: „ადამიანური ექსისტენციის დროით-სივრცითი სტრუქტურა ვლინდება კლიმატისა და ისტორიის სახით. დროისა და სივრცის განუყოფლობა ისტორიისა და კლიმატის განუყოფლობის საფუძველია.“⁴¹⁶ ამ დებულებას შემდეგი გარემოებაც ამყარებს: როგორც აღვნიშნეთ, ვაცუჯის თანახმად, ადამიანი კლიმატში აღმოაჩენს საკუთარ თავს. მაგრამ ეს თვითშემეცნება, როგორც აქტივობა, ადამიანის ექსისტენციის დუალური სტრუქტურიდან გამომდინარე, ამავე დროს, ისტორიული ბუნებისაა. „შესაბამისად, კლიმატი არ არსებობს ისტორიისაგან განცალკევებით და, პირიქით – ისტორიაც არ არსებობს კლიმატისაგან განცალკევებით.“⁴¹⁷ „ადამიანის დუალურ – ისტორიულ და კლიმატურ – სტრუქტურაში, ისტორია კლიმატური ისტორიაა და კლიმატი – ისტორიული კლიმატია.“⁴¹⁸ ამრიგად, ვაცუჯისთან შესაძლოა გამოვყოთ ექვსი ცნება (სამი წყვილი), რომელიც მისი კლიმატის ფილოსოფიის ბირთვს ქმნის. ესენია: **დრო – სივრცე, ინდივიდუალური – სოციალური, კლიმატი – ისტორია.**

როგორც აღინიშნა, ადამიანები კლიმატში საკუთარ თავს აღმოაჩენენ. ისინი ქმნიან გარკვეულ საშუალებებს (სახლი, ტანსაცმელი), რომლებიც, თავისი არსებით, კლიმატურია. რადგან ადამიანი კლიმატში აღმოაჩენს თავს, ეს კონკრეტული კლიმატი უნდა იყოს. შესაბამისად, ადამიანის თვითცნობიერება მოცემული კლიმატის ხასიათს იძენს.⁴¹⁹ ვაცუჯი სულ სამ კლიმატურ ტიპს გამოყოფს: **მუსონური ტიპი, უდაბნოს ტიპი და მინდვრის/მდელოს ტიპი.**⁴²⁰ კლიმატის თითოეულ ტიპს ვაცუჯისთან კულტურათა გარკვეული ტიპი შეესაბამება. მუსონური კლიმატის ტიპს ძირითადად შეესატყვისება ინდური, ჩინური და იაპონური კულტურები; უდაბნოს კლიმატურ ტიპს – არაბული და ებრაული კულტურები, მინდვრის/მდელოს კლიმატურ ტიპს – ევროპული კულტურა.

„მუსონი სეზონური ქარია, უფრო კი ზაფხულში ოკეანის თბილი ზონიდან ხმელეთის მიმართულებით მქროლავი ქარი. ამიტომ,

416 იქვე, გვ. 9.

417 იქვე, გვ. 8.

418 იქვე, გვ. 10.

419 იქვე, გვ. 15-16.

420 ა. ბერკის მიხედვით, „ქარი და მინის“ პირველ და დანარჩენ თავებს შორის წინააღმდეგობა არსებობს. პირველ თავში ვაცუჯი გამოკვეთს იმ ფენომენოლოგიურ მექანიზმს, რომლითაც კლიმატი ინდივიდის არსებობის წესს განაპირობებს, ხოლო ნაშრომის არათეორიულ ნაწილში იგი კულტურულ თვისებებს ბუნებრივი ფაქტორებით ხსნის. იხ. A. Berque, *The Question of Space: From Heidegger to Watsuji*, გვ. 380.

მუსონური რეგიონის კლიმატი გამოირჩევა სიცხისა და ტენიანობის თავისებური შეზავებით.⁴²¹ ტენის სიჭარბეს მუსონურ რეგიონში თან ახლავს ბუნების გამანადგურებელი ძალა, რაც ვლინდება მძლავრი წყალდიდობებისა და ქარიშხლების სახით. ადამიანის ბუნება მუსონურ ზონაში თვინიერი და დამთმობია. უკიდურეს გამოხატულებას ეს ტიპი ნახულობს წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებ ხალხებში. ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, მათ, ფაქტიურად, არ უხდებოდათ დიდი ძალისხმევის განევა საკვების მოსაპოვებლად. შესაბამისად, აქ არ გვხვდება სტიმული, რომელიც ბიძგს მისცემდა პროდუქტიულ განვითარებას.⁴²² ვაცუჯი ამით ხსნის იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ხალხები ადვილად მოექცნენ ევროპელთა კოლონიური უღლის ქვეშ.⁴²³

421 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 18.

422 ვაცუჯის ნააზრევი აქ ჰეგელის შეხედულებებთან მსგავსებას ამჟღავნებს. იხ. ქვეთავი 2.7.

423 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 22-23. ასეთი დებულებებით ვაცუჯი დეტერმინისტულ პოზიციას უახლოვდება. მკვლევართა პოზიციები ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია. ბ. იანცის მიხედვით, ვაცუჯი არ იყო გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრე, თუმცა იგი იქვე შენიშნავს, რომ მიუხედავად ამისა, ღია საკითხია, ემხრობოდა თუ არა შინაგანად იგი ასეთ პოზიციას (იხ. B. B. Janz, 'Watsuji Tetsurō, Fudo and Climate Change'. *Journal of Global Ethics*, vol. 7 (2011), გვ. 176). ა. ბერკი მიიჩნევს, რომ ვაცუჯის მოძღვრება „ფუ-დოს“ შესახებ ცალსახად დეტერმინისტულია, რადგან დამოუკიდებელი ცვლადი მასთან ბუნებაა, ხოლო დამოკიდებული ცვლადი – კულტურა. ბერკს ამის დადასტურებად მიაჩნია მესამე თავის სათაურიც – „მუსონური კლიმატის განსაკუთრებული ბუნება“ (იხ. A. Berque, *The Question of Space: From Heidegger to Watsuji*, გვ. 379). გამოკვეთილად პოზიტიური მიდგომა აქვს რ. ნ. ბელას, რომლის თანახმად, ვაცუჯი არ განიხილავს კლიმატს, როგორც გარეგან ფიზიკურ ფაქტორს. კლიმატი და კულტურა განუყრელ კავშირშია ერთმანეთთან. ამდენად, ვაცუჯის აინტერესებს „სუბიექტურად გაგებული და კულტურულად მანიპულირებული“ კლიმატი და არა კლიმატის მეტეოროლოგიური ასპექტები (იხ. R. N. Bellah, *Japan's Cultural Identity*, გვ. 588). რაც შეეხება თავად ვაცუჯის, იგი მიუთითებს, რომ ადამიანს შეუძლია „კლიმატის დაპყრობა“ (იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 39). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამით კლიმატური განსხვავებები გაქრება (იქვე, გვ. 117). კლიმატურ განსხვავებულობათა წვდომითა და გაცნობიერებით ყოველ ხალხს შეუძლია, თავისებურად გაამდიდროს მსოფლიო კულტურა, რითაც „პირველად მიეცემა ნამდვილი მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს ყოველ ნაწილს თავისი განსაკუთრებული ბუნება აქვს“ (იქვე, გვ. 207); „ბუნება“ აქ არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. მოცემულ შემთხვევაში „ბუნებაში“ იგულისხმება „ხასიათი“, „ტიპი“,

მუსონური კლიმატის ტიპის კლასიკურ ნიმუშად ვაცუჯი ინდოეთს მიიჩნევს. გლეხები, რომლებიც ინდოეთის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს შეადგენენ, ვაცუჯის მიხედვით, მუსონზე არიან დამოკიდებულნი. მოსავლის სიდიდე ცალსახად დამოკიდებულია მუსონის ხანგრძლივობასა და ნალექის რაოდენობაზე. ადამიანებს არ ძალუძთ, წინ აღუდგნენ ბუნების ძალებს. შესაბამისად, ისინი პასიურ, მორჩილ პოზიციას იკავებენ ბუნების მიმართ.⁴²⁴ ეს პოზიცია გამოხატულებას პოულობს ისტორიული ცნობიერების არარსებობაში, გრძნობათა სიჭარბესა და ნებისყოფის სისუსტეში. აღნიშნული კლიმატური თავისებურების პერსპექტივიდან ვაცუჯი მსჯელობს ინდური რელიგიის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის შესახებ. „რიგვედაში“ შემავალი ჰიმნების უმრავლესობა ღმერთებისადმი კი არ არის მიძღვნილი, არამედ ბუნებისადმი. ასეთი სახის რწმენა, რომელსაც ბუნების მრავალფეროვნება უდევს საფუძვლად, არსებითად განსხვავდება უდაბნოში წარმოშობილი რწმენისაგან.⁴²⁵ ბუნების მრავალფეროვნებითაა გამომწვეული ის ვითარებაც, რომ ინდურ ფერწერაში, ქანდაკებასა და არქიტექტურაში ჭარბად გვხვდება ფორმათა მრავალფეროვნება, მაგრამ კომპოზიციური ერთიანობა საკმაოდ სუსტია.⁴²⁶ რაც შეეხება ინდურ ფილოსოფიას, ვაცუჯი თვლის, რომ „გრძნობათა სიჭარბემ“ აქ გამოხატულება ჰჰოვა ინტუიციისადმი ერთგულებაში. აქ არ გვხვდება მრავალფეროვნების ერთ პრინციპზე დაყვანის მცდელობა, როგორც ეს, მაგალითად, იონიურ ფილოსოფიაში იყო.⁴²⁷

უდაბნოს კლიმატური ტიპის უმთავრეს მახასიათებლად ვაცუჯი სიმშრალეს მიიჩნევს. ეს იწვევს ბრძოლას სიცოცხლისათვის, რაც წყლის ძიებაში გამოიხატება. უდაბნოში მცხოვრებ ადამიანს სიცოცხლის შენარჩუნება ყოველდღიური ბრძოლის ფასად უხდება. ჭებისა და ოაზისების გამო ადამიანთა ჯგუფები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ფაქტის გამო უდაბნოში ადამიანთა შორის თანამშრომლობა ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს. ადამიან-

ანუ დებულების აზრი ასეთია: მსოფლიოს ყოველი კუთხე თავისებურად უნიკალურია). რ. ნ. ბელას აზრით, ამ დებულებებით ვაცუჯი (ციდილობა და, შედარებითი კულტუროლოგიის პრობლემები გადაეჭრა და იაპონური კულტურის სპეციფიკურად იაპონური ხასიათი დაეცვა. იხ. R. N. Bellah, *Japan's Cultural Identity*, გვ. 588.

424 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 24-25.

425 იქვე, გვ. 27-28.

426 იქვე, გვ. 31.

427 იქვე, გვ. 35.

ები ერთობლივი ძალისხმევით უპირისპირდებიან ბუნებას.⁴²⁸ ეს დაპირისპირება მათი ნომადური ცხოვრების წესში აისახება.

თუ არ ვიგულისხმებთ იმ რელიგიებს, რომლებიც ინდოეთში აღმოცენდა, მაშინ მსოფლიოს ძირითადი რელიგიები (იუდაიზმი, ქრისტიანობა, მაჰმადიანობა), შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც უდაბნოში წარმოქმნილი რელიგიები. უდაბნოს ერთიანობამ ერთი ტომის ღმერთი ანთროპომორფულ ღვთაებად აქცია. „ღმერთი წარმოადგენდა ადამიანის უნიკალობის რეალიზაციას ბუნებასთან მისი დაპირისპირების ფონზე, ასე რომ, აქ არ გვხვდება ბუნების ძალების დეიფიკაციის ნიშნები. ამისგან განსხვავებით, ძველი ბერძნების ღმერთები ან ბუნების ძალების (ზევისი, აპოლონი) ან კიდევ ადამიანის შინაგანი ბუნების ასპექტების (აფროდიტე, აპოლონი) დეიფიკაციას წარმოადგენდნენ.“⁴²⁹

ევროპის კლიმატურ თავისებურებად ვაცუჯის ევროპის ლანდშაფტში მწვანე ბალახის, მდელოს სიჭარბე მიაჩნია. ევროპის კლიმატი არც ტენიანია და არც მშრალი, ის ტენისა და სიმშრალის თავისებურ ნაზავს წარმოადგენს. ვაცუჯი საგანგებო ყურადღებას უთმობს ხმელთაშუა ზღვის აღწერას, თუმცა, დიდწილად, საკუთარ შთაბეჭდილებებს ეყრდნობა.⁴³⁰ ჰეგელის მსგავსად, ვაცუჯი მიიჩნევს, რომ მთები განმაცალკევებლის, ხოლო ზღვა – დამაკავშირებლის როლს ასრულებს. მაგრამ იაპონიისათვის ზღვა, უპირველეს ყოვლისა, საკვების მოპოვების წყარო იყო და არა კომუნიკაციის საშუალება.⁴³¹ ამისგან განსხვავებით, ხმელთაშუა ზღვა ვერ სთავაზობს ადამიანს საკვებს ზღვის ბინადართა სახით. ამ მხრივ ვაცუჯი აშკარად აჭარბებს, როდესაც ხმელთაშუა ზღვას „მკვდარს“ უწოდებს.⁴³² მისი აზრით, სწორედ ხმელთაშუა ზღვის უსიცოცხლობამ უბიძგა ძველ ბერძნებს ზღვაოსნობისაკენ.

ევროპის ბუნება არც ზედმეტად გულუხვია და არც ზედმეტად სასტიკი. ეს განაპირობებს იმას, რომ ამ კლიმატურ სივრცეში არ წარმოიშობა არც ზედმეტად მორჩილი და არც ზედმეტად მებრძოლი

428 იქვე, გვ. 45-46.

429 იქვე, გვ. 54.

430 იქვე, გვ. 63 და შმდ. „ქარი და მიწის“ მესამე თავში „მუსონური კლიმატის განსაკუთრებული ბუნება“ ვაცუჯი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ უშუალო შთაბეჭდილებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლიმატის შესწავლისას (იქვე, გვ. 122). საკუთარ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობის გამო ვაცუჯი ა. ბერკის კრიტიკის ობიექტი გახდა. იხ. A. Berque, *The Question of Space: From Heidegger to Watsuji*, გვ. 381.

431 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 65.

432 იქვე.

კლიმატური ხასიათი.⁴³³ აქვე ვაცუფვი კიდევ ერთხელ აზუსტებს კლიმატის ფაქტორის როლს ადამიანურ ექსისტენციაში. სხვა ფაქტორების მსგავსად, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებაზე ზემოქმედებს, კლიმატიც, ზოგჯერ მეტ, ზოგჯერ კი ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს. კლიმატის ზემოქმედება ყველაზე საგრძნობი კულტურის ფორმირების საწყის სტადიაზეა.⁴³⁴

მესამე თავში ვაცუფვი იაპონიის კლიმატზე და იაპონელთა კლიმატურ ხასიათზე საუბრობს. იაპონიის კლიმატი ყველაზე უფრო გამორჩეულია მუსონურ სარტყელში. ის ორმაგი ბუნებისაა და საკუთარ თავში აერთიანებს ტროპიკული სარტყლისა და ცივი სარტყლის ბუნებას. შესაბამისად, მიიჩნევს ვაცუფვი, იაპონელთა ხასიათიც ორსახოვანია: ემოციათა მუდმივი ცვალებადობის მიღმა შინაგანი სიმტკიცე იმალება.⁴³⁵

უკანასკნელ, მეოთხე თავში, რომლის სათაურია „კლიმატი ხელოვნებაში“, ვაცუფვი თავის ნააზრევს აჯამებს. რადგან ადამიანი საკუთარ თავს კლიმატში აღმოაჩენს, იგი ბუნების თვისებებს საკუთარ თვისებებად აქცევს. „საბერძნეთის მარადიული შუადღის სიკამქაშე იმთავითვე ბერძენთა ნათელი ბუნება იყო.“⁴³⁶ გარემომცველი ბუნების „სირბილიდან“ გამომდინარე, ევროპელი უფრო აგრესიულია და ყოველი კუთხე-კუნჭულის დაპყრობას ესწრაფვის. მისგან განსხვავებით, აღმოსავლეთში ბუნების ტირანიული ხასიათი ადამიანს არ აღუძრავს მასთან ბრძოლის სურვილს.⁴³⁷ ევროპაში ბუნება განიხილება ისეთ რამედ, სადაც ნესრიგი და კანონები უნდა იქნეს აღმოჩენილი. როდესაც ბუნებას ხოტბას ასხამენ, მხედველობაში აქვთ ბუნება, რომელიც ღმერთმა შექმნა ან რომელშიც ღმერთია განსხეულებული. აღმოსავლეთში კი ბუნება აღიქმება, როგორც ირაციონალური საწყისი, რომლის სრულად წვდომაც შეუძლებელია. აქ პოეტებისა და ფილოსოფოსების ძალისხმევა მიმართული იყო არა ბუნების შემეცნებისაკენ, არამედ მასთან ჰარმონიული ერთიანობის მიღწევისაკენ.⁴³⁸

ვაცუფვის ნააზრევი დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას. ამას ადასტურებს უკანასკნელ წლებში ვაცუფვის შემოქმედების სხვადასხვა კუთხით გააზრების მცდელობები. ამ მხრივ საინტერესოა ბ. იანცის მცდელობა, რომელიც იკვლევს „ქარისა და მინის“ აქტუ-

433 იქვე, გვ. 77.

434 იქვე, გვ. 78.

435 იქვე, გვ. 137-138.

436 იქვე, გვ. 204.

437 იქვე, გვ. 203.

438 იქვე, გვ. 206.

აღობას კლიმატის ცვლილების შესახებ არსებული დისკუსიების კონტექსტში. თავის ნაშრომში იანცი ვაცუჯისა და ფრანგი ფილოსოფოსის, ჟ. დელიოზის ნააზრევის დაკავშირებას ცდილობს.⁴³⁹ ს. იაკობოვიჩი თავის ნაშრომში „ვაცუჯი, დელიოზი და გატარი კულტურის კლიმატურ სიბრტყეში“ ერთი მხრივ ვაცუჯის, ხოლო, მეორე მხრივ, დელიოზი-გატარის ნააზრევის შეპირისპირებას ახდენს.⁴⁴⁰

„ქარსა და მიწაში“ ვაცუჯი ჩინელებს ახასიათებს, როგორც „ემოციების არმქონე“ ხალხს.⁴⁴¹ ჩინელებისა და ჩინეთის შეფასებაში დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია ეკავა გერმანელ მოაზროვნეს, კარლ ავგუსტ ვიტფოგელს, რომელმაც განავითარა თეორია ჰიდრაპლიკური ცივილიზაციების შესახებ.

439 იხ. B. B. Janz, Watsuji Tetsurō, Fudo and Climate Change, გვ. 180-181.

440 იხ. S. Jacobowitz, ‘Watsuji and Deleuze and Guattari in the Climate of Culture’. *CLCWeb. Comparative Literature and Culture*. vol. 7 (2005), <http://docs.lib.purdue.edu/clcweb/vol7/iss3/9>. იაკობოვიჩი საკმაოდ მკაცრია ვაცუჯის მიმართ და მას რასიზმსა და ანტისემიტიზმში ადანაშაულებს. საპირისპირო პოზიცია უჭირავს დ. დილვორტს, რომლის აზრით, „ქარისა და მიწის“ დაყვანა იდეოლოგიურ კონცეპტებზე მხოლოდ ამ ნაშრომის ფილოსოფიური ხარისხის დამახინჯებით მიიღწევა (იხ. D. Dilworth, Watsuji Tetsurō, გვ. 12). ძნელია, არ დაეთანხმო დილვორტს ამ მიმართებით. იაკობოვიჩის მიკერძოებულობას, ჩემი აზრით, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თავის ნაშრომში იგი არ განიხილავს „ქარი და მიწის“ პირველ თავს, რომლის სათანადოდ გააზრების გარეშე, ვაცუჯის შეხედულებების ადეკვატურად გაგება, უბრალოდ, შეუძლებელია. იხ., ასევე, P. Couteau, ‘Watsuji Tetsurō’s Ethics of Milieu’. In: J. W. Heisig, (ed.), *Frontiers of Japanese Philosophy*. Nagoya: Nanzan Institute for Religion and Culture, 2006, გვ. 269-290.

441 იხ. T. Watsuji, *Climate and Culture*, გვ. 122, 127, *passim*.

3.6. კარლ ავგუსტ ვიტფოგელი ჰიდრაულიკური ცივილიზაციების შესახებ

ქართულ სამეცნიერო დისკურსში კარლ ავგუსტ ვიტფოგელის სახელის შემოტანა პროფ. ჰელმუტ შნაიდერის სახელს უკავშირდება. თავის ნაშრომში „ფილოსოფიური გეოგრაფია. წყლის მნიშვნელობა ისტორიისათვის – ევროპა და აზია“ ჰ. შნაიდერი ვიტფოგელის შეხედულებებს კომპარატივისტულ ძრილში განიხილავს, კერძოდ, იგი ერთმანეთს ადარებს გ. ვ. ფ. ჰეგელის, კ. შმიტისა და კ. ა. ვიტფოგელის შეხედულებებს.⁴⁴² ნაშრომის მოცულობის გამო, ჰ. შნაიდერის მიზანი არ ყოფილა ვიტფოგელის ნააზრევის დეტალური ანალიზი. წინამდებარე ქვეთავში შევეცდები, ვიტფოგელის შეხედულებებში გამოვყო ის არსებითი მომენტები, რომლებიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის. ვიტფოგელის შეხედულებების გადმოცემისას, ძირითადად, დავემყარები მის ნაშრომებს: „აღმოსავლური საზოგადოების თეორია“⁴⁴³ (1938 წ.) და „აღმოსავლური დესპოტია. ტოტალური ძალაუფლების შედარებითი ანალიზი“ (1957 წ.).⁴⁴⁴

„აღმოსავლური საზოგადოების თეორიაში“ ვიტფოგელი ცდილობს, ახსნას აღმოსავლური სამყაროს⁴⁴⁵ ისტორიული განვითარება ჩინეთის ისტორიის ანალიზის საფუძველზე. შესავალში მას შემოაქვს სოციალური კომპლექსის **სტაგნაციის** ცნება, რომელსაც აღმოსავლეთის სოციალურ ისტორიას უკავშირებს.⁴⁴⁶

„სოციალური ფენომენები, რომლებსაც ჩვენ შევისწავლით, ვითარდება ისტორიულ ეტაპზე, რომელიც კაპიტალისტური ინდუსტრიის საფეხურზე დაბლა დგას, მაგრამ პრიმიტიული სოფლის მეურნეო-

442 იხ. ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 108 და შმდ.

443 იხ. K. A. Wittfogel, 'The Theory of Oriental Society'. In: A. M. Bailey and J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production. Science and Politics*. London, Boston and Henley: Routledge & Kegan Paul, 1981, გვ. 141-157.

444 იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism. A Comparative Study of Total Power*. New Haven and London: Yale University Press, 1957.

445 „აღმოსავლურის“ ცნებაში ვიტფოგელი მოიაზრებს ნიადაგისა და კლიმატის სპეციფიკას, რომელიც აზიის მოცემული რეგიონისთვის (ამ შემთხვევაში, ჩინეთი) არის დამახასიათებელი. ამ სპეციფიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც ვიტფოგელი „აღმოსავლურს“ (ჰიდრაულიკურს) უწოდებს. შდრ. K. A. Wittfogel, *The Theory of Oriental Society*, გვ. 149.

446 იხ. K. A. Wittfogel, *The Theory of Oriental Society*, გვ. 142.

ბის საფეხურზე მაღლა მდებარეობს.⁴⁴⁷ სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესში ვიტფოგელი ორ ელემენტს – მინას და წყალს – გამოყოფს და გადამწყვეტ მნიშვნელობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. წყლის სიჭარბე (ნალექების დიდი რაოდენობა, ტენიანობა, წყალუხვი მდინარეები) დამატებით ირიგაციას არასაჭიროდ ხდის, ხოლო წყლის ნაკლებობა მოცემულ რეგიონში აუცილებლობით წარმოშობს ხელოვნური ირიგაციის საჭიროებას.⁴⁴⁸ ხელოვნურ ირიგაციას ვიტფოგელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სოფლის მეურნეობა მხოლოდ მაშინ აღწევს მაღალ პროდუქტიულობას, როდესაც ხელოვნური ირიგაციის მეშვეობით ადამიანები სოფლის მეურნეობაში წყლის დამატებით რესურსებს იყენებენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოვნური ირიგაციის დროს ადამიანებს უნევთ წყლის დიდი მასებთან (დიდი მდინარეები და ტბები) „შეჯახება“, საჭირო ხდება სოციალური ჯგუფების ქმედებათა კოორდინირება, რათა მიზანმიმართულად განხორციელდეს არხების, კაშხლებისა და ჯებირების მშენებლობა და მათი მეთვალყურეობა. ამ საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან კიდევ ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ამ ამოცანების შესრულების პროცესში ერთიანდებიან, აღწევენ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ძალაუფლებას და სახელმწიფოს აყალიბებენ.⁴⁴⁹

სოფლის მეურნეობაში ხელოვნური ირიგაციის დომინანტური როლი ზუსტი კალენდარული აღრიცხვისა და ასტრონომიული გამოანგარიშებების საჭიროებას წარმოშობს. შესაბამისი სოციალური ჯგუფის წევრები ანგარიშობენ წვიმების სეზონის დაწყებისა და დასრულების დროს; ასევე, მდინარეების მომატებისა და კლების პერიოდებს და ამის მიხედვით ავალეებენ დაქვემდებარებულ კლასს შესატყვისი ჰიდრავლიკური სამუშაოების (არხების გაყვანა და შეკეთება, კაშხლებისა და ჯებირების მშენებლობა) შესრულებას. მმართველი კლასის ბიუროკრატიული აპარატი ან იმთავითვე გვევლინება გლეხების ცხოვრების განმკარგველად ან კიდევ ბოლოს, თავისი ორმაგი ეკონომიკური ფუნქციის (წყლის სამუშაოების მენეჯმენტი და ასტრონომიული გამოანგარიშებები) მზარდი მნიშვნელობის გამო.⁴⁵⁰ საზოგადოების ასეთ ტიპს ვიტფოგელი „**აღმოსავლურ საზოგადოებას**“ უწოდებს.

„აღმოსავლური საზოგადოების“ შიგნით ვიტფოგელი ორ ქვე-

447 იქვე.

448 იქვე, გვ. 143.

449 იქვე, გვ. 147.

450 იქვე.

ტიპს გამოყოფს: **მარტივი და განვითარებული აღმოსავლური საზოგადოებები**. მარტივი აღმოსავლური საზოგადოების ნიმუშად იგი ინკების სახელმწიფოს ასახელებს. გლახობა აქ კლანებად იყო ორგანიზებული და სოფლის მეურნეობის რეგულირება კოლექტიურად ხდებოდა. ნამეტ პროდუქციას სახელმწიფო პირდაპირი გზით ითვისებდა. მმართველი კლასი და სახელმწიფო ბიუროკრატია აქ ერთმანეთის იდენტურია.⁴⁵¹

წარმოების საშუალებების ზრდასთან ერთად მარტივი აღმოსავლური საზოგადოება ადგილს უთმობს განვითარებულ აღმოსავლურ საზოგადოებას. საზოგადოების ამ ტიპში გვხვდება ახალი სოციალური კლასები, უპირველეს ყოვლისა, ბიუროკრატია მინათმფლობელები და მსხვილი და წვრილი ვაჭრები, რომლებიც, ზოგჯერ მინათმფლობელებიც არიან (ყველაზე მკვეთრად გამოხატული ფორმა ამ ჯგუფს ჩინეთში ჰქონდა). მინა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცევა. ამით კი მსხვილი მამულების წარმოქმნის შესაძლებლობა ჩნდება. ყველაზე მსხვილ მინათმფლობელად მაინც ბიუროკრატიული აპარატი რჩება, რომლის ხელშიც კონცენტრირდება ნამეტი პროდუქციისა და იძულებითი მუშახელის უდიდესი წილი. ბიუროკრატის ხელში კაპიტალის კონცენტრაცია იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის შემცირებას და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას, რაც აფერხებს აღმოსავლური დესპოტიის ზემოქმედებას, თუმცა მისი საბოლოო გაუქმება მაინც ვერ ხერხდება.⁴⁵²

ბიუროკრატის გაძლიერებასა და სახელმწიფოს ბიუჯეტის შემცირებას თან სდევს ჰიდრავლიკური სამუშაოების შემცირება, რასაც ჯაჭვისებურად მოჰყვება სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემცირება, რადგან ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია ასეთ სამუშაოებთან. მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში იზრდება აჯანყებებისა და მლეღვარებების რიცხვი, რადგან სახელმწიფო შემცირებული ბიუჯეტის გაზრდას გადასახადების გაზრდით ცდილობს. იმ შემთხვევაში, თუ ამ პერიოდში მეზობლად მცხოვრებმა ნომადურმა ტომებმა კონსოლიდაცია მოახდინეს, მაშინ ირიგაციული სახელმწიფო, შესაძლოა, მათი მსხვერპლი გახდეს.⁴⁵³ დინასტიის დაცემა, შესაძლოა, ასევე, ყოფილი მმართველი კლასის წევრების მიერ ორგანიზებული აჯანყების შედეგად მოხდეს. ახალი დინასტია ახალ სარეფორმო პოლიტიკას იწყებს, თუმცა აღმოსავლური დესპოტიის არსი უცვლელი რჩება. კრიზისის შედეგად აღმოსავლურ

451 იქვე, გვ. 150.

452 იქვე, გვ. 150-152.

453 იქვე, გვ. 154-155.

საზოგადოებაში განვითარება კი არ ხდება, არამედ „სოციალურ-ეკონომიკური სისტემა საკუთარი თავის რეპროდუქციას ახდენს“.⁴⁵⁴ ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში განვითარდა **სანარმოო ძალის სპეციფიკური ტიპი**, რომელიც ბუნებრივად და კულტურულად იყო განპირობებული (საირიგაციო წყალი, საირიგაციო საშუალებები, ინტენსიური ფიზიკური შრომა). სანარმოო ძალის ასეთი ტიპი დასავლეთში არ განვითარებულა. შესაბამისად, აღმოსავლეთში სოფლის მეურნეობა უფრო მეტი პროდუქტიულობით ხასიათდებოდა, ვიდრე დასავლეთში. ამას განაპირობებდა ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი სამუშაოები, სადაც ინტენსიურად გამოიყენებოდა იძულებითი მუშახელის ძალა. დაბოლოს, აღმოსავლური ტიპის სახელმწიფო პირდაპირ ითვისებს მიწის შემოსავალს, მაშინ როდესაც ფეოდალურ ევროპაში მიწის რენტა ფეოდალების კუთვნილება იყო.⁴⁵⁵ ინდუსტრიული კაპიტალიზმის განვითარება დასავლეთში სასოფლო-სამეურნეო სანარმოო ძალების დეცენტრალიზებულმა სტრუქტურამ განაპირობა. ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო კაპიტალის დაგროვების პროცესს. რაც შეეხება აღმოსავლურ სახელმწიფოს, აქ მაღალპროდუქტიული აგრარული სისტემა ცენტრალიზებულ მმართველობას ემორჩილებოდა და ხელს უწყობდა სისტემის რეპროდუქციასა და მის სტაგნაციას.⁴⁵⁶ ამრიგად, ვიტფოგელის მიხედვით, აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა საზოგადოების სპეციფიკური (ჰიდრავლიკური) ტიპი, რომელიც, დასავლური ტიპის საზოგადოებებისაგან განსხვავებით, განვითარების წრფივ მოდელს კი არ შეესატყვისება, არამედ სტაგნაციურ, ანუ სტაციონარულ მოდელს.

„აღმოსავლური დესპოტია“ ათი თავისაგან შედგება. პირველი თავი ჰიდრავლიკური საზოგადოების გეოგრაფიული ასპექტების განხილვას ეთმობა, მეორე თავი – ჰიდრავლიკური საზოგადოების ეკონომიკას, მესამე-მეხუთე თავები – ჰიდრავლიკურ საზოგადოებაში არსებულ დესპოტიას, მეექვსე თავი – ჰიდრავლიკური საზოგადოების სხვადასხვა ტიპებს, მეშვიდე თავი – საკუთრების ტიპებს ჰიდრავლიკურ საზოგადოებაში, მერვე თავი – კლასებს ჰიდრავლიკურ საზოგადოებაში, მეცხრე თავი – წარმოების აზიური წესის ცნებას, მეათე თავი – აღმოსავლური საზოგადოების დინამიკას. ისევე, როგორც „აღმოსავლური საზოგადოების თეორიის“ განხილვის დროს, ყურადღებას გავამახვილებ იმ ასპექტებზე, სადაც, ჩემი აზრით, ყველაზე ნათლად ვლინდება გეოგრაფიულ საკითხებთან კავშირი. ამ მხ-

454 იქვე, გვ. 156.

455 იქვე.

456 იქვე, გვ. 157.

რივ საყურადღებოა პირველ თავში განვითარებული შეხედულებები. ვიტფოგელის ამოსავალი თეზისი ასეთია: მარტივი ან კომპლექსური მიზეზების გამო, ადამიანი საგრძნობლად ცვლის ტექნოლოგიურ საშუალებებს, თავის სოციალურ ორგანიზაციასა და მსოფლმხედველობას. ასეთ მნიშვნელოვან ცვლილებებს თან სდევს ბუნების მნიშვნელოვანი ცვლილებებიც. ადამიანი მუდამ ზემოქმედებს ბუნებაზე და „მუდამ გარდაქმნის მას“.⁴⁵⁷ ერთნაირი ინსტიტუციონალური პირობების არსებობის შემთხვევაში განსხვავება ბუნებრივ გარემოებებს შორის ხელს უწყობს ან აფერხებს ტექნოლოგიისა და სოციალური კონტროლის განვითარებას. ეს ფაქტორი, ასევე, გავლენას ახდენს საარსებო საშუალებების მოპოვების პროცესზეც.

ჰიდრავლიკური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის რამდენიმე წინაპირობა არსებობს: 1. მოცემული რეგიონის სოფლის მეურნეობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ნალექზე წვიმის სახით. ჰავა უნდა იყოს მშრალი; 2. უნდა არსებობდეს წყლის მისანვდომი რესურსები (მდინარეები, ტბები); 3. საწარმოო ძალების განვითარების დონე შედარებით მაღალი უნდა იყოს. თუ ადამიანებს სურდათ მშრალი, მაგრამ პოტენციურად ნაყოფიერი მიწების დამუშავება, მაშინ მათ უნდა შეექმნათ წყლის უწყვეტი ნაკადი ამ მიწებისაკენ, რათა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა უზრუნველყოს.⁴⁵⁸ წყლის კონტროლის საჭიროებამ სოციალური კონტროლის ჰიდრავლიკური მეთოდების განვითარება გამოიწვია⁴⁵⁹ ვიტფოგელი განასხვავებს ჰი-

457 იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 11.

458 ვიტფოგელი ერთმანეთისაგან განასხვავებს მცირემასშტაბიან ირიგაცი-აზე დამყარებულ სოფლის მეურნეობას (*Hydroagriculture*) და ფართომასშტაბიან ირიგაციაზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობას (*Hydraulic agriculture*). ჰიდრავლიკურ საზოგადოებას უკანასკნელი ტიპის სოფლის მეურნეობა შეესატყვისება. იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 12.

459 იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 13. თუმცა ვიტფოგელი იქვე ამახვილებს ყურადღებას სხვა ფაქტორებზეც, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის წარმატებული ფუნქციონირება. ესენია: სასოფლო-სამეურნეო მცენარეები, დამუშავებადი მიწა, სათანადო ტენიანობა და ჰაერის ტემპერატურა, რელიეფი (იქვე). ამ ფაქტორებიდან ორი (ჰაერის ტემპერატურა და დედამიწის რელიეფი) განსაკუთრებულად ზღუდავდა ადამიანის ქმედებებს წინაინდუსტრიულ პერიოდში. ამ ხისტი ფაქტორების ფონზე წყალი გვევლინება მოქნილ ელემენტად და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მშრალ რეგიონებში. წყლის ფაქტორის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება წყლის დიდი რესურსის არსებობის შემთხვევაში (იქვე, გვ. 15). თუმცა ვიტფოგელი იმასაც მიუთითებს, რომ ხელსაყრელი ფაქტორების არსებობა აუცილებლობით კი არ განაპირობებს ჰიდრავლიკური საზოგადოების არსებობას, არამედ

დრავლიკური საზოგადოების ორ ტიპს: „კომპაქტურსა“ და „განვრცობილს“. **კომპაქტურ ჰიდრავლიკურ საზოგადოებებში** (ძველი ეგვიპტე, შუამდინარეთის ადრეული ცივილიზაციები) ირიგაცია სტანდარტული პრაქტიკა იყო და მისი მეშვეობით მიიღებოდა მოსავლის ნახევარზე მეტი. **„განვრცობილ“ ჰიდრავლიკურ საზოგადოებებში** (ჩინეთი, ინდოეთი) ირიგაციას დამუშავებადი მიწის შედარებით მცირე ნაწილი ეჭირა, თუმცა, ის მიწები, რომელთა ირიგაცია ხორციელდებოდა, მძლავრ ეკონომიკურ ცენტრებად ყალიბდებოდა, რომლებიც ვაჭვლენას ახდენდა პერიფერიულ (ნალექებზე დამოკიდებულ) რეგიონებზე.⁴⁶⁰

ჰიდრავლიკური ეკონომიკის აღწერისას ვიტყვოვლი სამ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: 1. ჰიდრავლიკურ საზოგადოებაში არსებობს შრომის დანაწილების სპეციფიკური ტიპი; 2. შრომის სპეციფიკურ დანაწილებას მოჰყვება მიწის კულტივაციის ინტენსიფიკაცია; 3. ჰიდრავლიკურ საზოგადოებაში კოოპერაცია ფართო მასშტაბებს იღებს.⁴⁶¹

შრომის დანაწილების სპეციფიკური ტიპი გულისხმობს სამუშაოთა ორ ტიპს. პირველის მიზანია ირიგაცია და ის მოიცავს **მოსამზადებელ სამუშაოებს ირიგაციისათვის** (არხების გაყვანა, კაშხლების აგება და ა. შ.), ხოლო მეორის მიზანია წყალდიდობების კონტროლი და ის მოიცავს **თავდაცვითი ნაგებობების** (ჯებირები) **მშენებლობას** და წყლის ადიდების პერიოდების განსაზღვრას.⁴⁶²

ჰიდრავლიკური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ადამიანთა დიდი ჯგუფების ჩართულობა საირიგაციო და სხვა სახის საქმიანობებში. ჰიდრავლიკურ სახელმწიფოში გლეხები ვალდებულები იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სახის სამშენებლო საქმიანობებში.⁴⁶³ ამ ჯგუფების კონტროლს ჰიდრავლიკური ბიურო-

მხოლოდ მისი ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის (იქვე, გვ. 12). ვიტყვოვლი ხაზს უსვამს „ისტორიული სიტუაციის ღიაობას“, რამაც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს ჰიდრავლიკური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ უბიძგა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად ჰიდრავლიკურ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფებიდან ყველა როდი აკეთებს „ჰიდრავლიკურ“ არჩევანს (იქვე, გვ. 16). ბუნებასთან მიმართებით ადამიანი „პასიური ინსტრუმენტი“ როდია. პირიქით, იგი აქტიურად მონაწილეობს საკუთარი მომავლის განსაზღვრაში (იქვე, გვ. 17).

460 იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 166; D. Worster, *Rivers of Empire. Water, Aridity, and the Growth of the American West*. New York and Oxford: Oxford University Press, 1992, გვ. 41-42.

461 იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 22.

462 იქვე, გვ. 23-24.

463 იქვე, გვ. 25-26.

კრატია ახორციელებს, რომელიც ფლობს კიდევ გადამწყვეტ პოლიტიკურ ძალაუფლებას.⁴⁶⁴ ეს ჯგუფი აწარმოებს ასტრონომიულ გამოთვლებსაც, რომელთა გარეშეც ჰიდრავლიკური საზოგადოება, უბრალოდ, ვერ იარსებებს.⁴⁶⁵

როგორც აღინიშნა, ჰიდრავლიკურ სახელმწიფოში ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მონაწილეობას იღებდა სამშენებლო საქმიანობებში.⁴⁶⁶ ეს მოიცავდა როგორც აკვედუკების და არხების⁴⁶⁷, ასევე, გიგანტური თავდაცვითი ნაგებობების,⁴⁶⁸ გზების, სამეფო სასახლეების, ტაძრებისა და ქალაქების მშენებლობას.⁴⁶⁹

ჰიდრავლიკური სახელმწიფო, ვიტფოგელის თანახმად, დესპოტური სახელმწიფოა. ტოტალური ძალაუფლება მმართველი ბიუროკრატის ხელშია კონცენტრირებული, ხოლო დომინანტური რელიგია აგრარული დესპოტიზმის ძალაუფლების სტრუქტურაშია ინტეგრირებული.⁴⁷⁰

ვიტფოგელის თეორიას ჰიდრავლიკური საზოგადოების შესახებ ბევრი მონიშნაღმდეგე ჰყავს. თავად ვიტფოგელის პოზიციის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მან „მარქსის მატერიალიზმი⁴⁷¹ გეოგრაფიული ან ეკოლოგიური დეტერმინიზმის სახით გაიაზრა, სადაც საწარმოო ძალები, რომლებიც საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას განსაზღვრავენ, თავის მხრივ, კლიმატით, ნიადა-

464 იქვე, გვ. 27.

465 იქვე, გვ. 29.

466 ასეთ სამუშაოებს ვიტფოგელი „წყლის მძიმე სამუშაოებს“ (*Heavy water works*) უწოდებს (იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 28), თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჰიდრავლიკურ სახელმწიფოებში „წყლის მძიმე სამუშაოების“ გარდა სხვა სახის მძიმე სამუშაოებიც არსებობდა.

467 ჩინეთის საიმპერატორო არხის სიგრძე (დაახლოებით 800 მილი), ვიტფოგელის მიხედვით, უტოლდება მანძილს ჰამბურგიდან რომამდე. მისი ერთი ნაწილის ასაგებად სუის დინასტიამ ერთ მილიონზე მეტ ადამიანს მოუყარა თავი. იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 33-34.

468 მაგალითად, ჩინეთის დიდი კედელი.

469 ეს სტრუქტურები თავიანთ ესთეტიკურ ეფექტს ახდენდნენ მასალის მაქსიმალური და იდეების მინიმალური გამოყენებით. იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 44.

470 იხ. K. A. Wittfogel, *Oriental Despotism*, გვ. 96.

471 გარდა მარქსისა და ენგელსის შრომებისა, ვიტფოგელზე გავლენა მოახდინა, ასევე, მ. ვებერის სოციოლოგიამ და ფრანკფურტის სკოლამ, რომელსაც ვიტფოგელი 1925 წელს შეუერთდა. იხ. D. Worster, *Rivers of Empire*, გვ. 23-24.

გით, ჰიდროგრაფიით და სხვა ფაქტორებით არის განსაზღვრული“.⁴⁷² ვიტფოგელის საპირისპიროდ გ. ლევინი შენიშნავს, რომ მარქსი და ენგელსი არსად საუბრობენ სოციალური განვითარებისათვის ბუნებრივი ფაქტორების გადამწყვეტ როლზე. მისი აზრით, ვიტფოგელი ადამიანის შრომას აბსოლუტურად დამოკიდებულს ხდის ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში.⁴⁷³ ა. ტოინბის მიხედვით, ირიგაციაზე დამყარებულ „აზიურ“ სახელმწიფოებს შორის განსხვავებები უფრო დიდია, ვიდრე მათ შორის არსებული მსგავსებები.⁴⁷⁴ იგივე აზრისაა ვ. ებერჰარდიც. იგი თვლის, რომ თეორიული მოდელი, რომელიც მრავალ განსხვავებულ საზოგადოებას აერთიანებს, მოუხეშავი და არამეცნიერულია.⁴⁷⁵

472 იხ. A. M. Bailey, J. R. Llobera, 'Editors' Introduction'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production. Science and Politics*, გვ. 109. ჯერ კიდევ 1929 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გეოპოლიტიკა, გეოგრაფიული მატერიალიზმი და მარქსიზმი“, ვიტფოგელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „ადამიანი – ბუნება“ მიმართებაზე და ბუნებრივი ფაქტორების როლზე ადამიანთა ცხოვრებისათვის. იხ. K. A. Wittfogel, 'Geopolitik, geographischer materialismus und Marxismus'. *Unter dem Banner des Marxismus*, 4 (1929), გვ. 506 და შმდ.

473 იხ. G. Levin, 'Wittfogel on the Asiatic Mode of Production'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 159-160.

474 იხ. A. Toynbee, 'Wittfogel's *Oriental Despotism*'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 167.

475 იხ. W. Eberhard, '*Oriental Despotism: Political Weapon or Sociological Concept?*' In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 179. აღნიშნული კრიტიკა მიმართულია ვიტფოგელის „აღმოსავლური დესპოტიის“ წინააღმდეგ. ტოინბიცა და ებერჰარდიც ყურადღებას ამახვილებენ ნაშრომის პოლიტიკურ აქცენტებზე. ებერჰარდი მიიჩნევს, რომ ვიტფოგელის თეორია, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, როგორც პოლიტიკური იარაღი, მაგრამ არა როგორც სოციოლოგიური ანალიზის ინსტრუმენტი (იქვე, გვ. 181). ტოინბი ვიტფოგელის ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ვიტფოგელს არ უცდია, აეხსნა ტოტალური ძალაუფლების მექანიზმი დასავლეთში, კერძოდ, ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის შემთხვევაში (იხ. A. Toynbee, *Wittfogel's Oriental Despotism*, გვ. 164 და შმდ.). ვიტფოგელის აღმოსავლური დესპოტიის თეორიის სხვადასხვა ასპექტებით კრიტიკისათვის იხ. ასევე, I. Levada, 'Wittfogel's *Oriental Despotism: A Soviet Review*'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 182-194; E. Leach, 'Hydraulic Society in Ceylon'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 207-215; B. Price, 'Irrigation: Sociopolitical Dynamics and the Growth of Civilization'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 216-232.

კრიტიკის მიუხედავად, ვიტფოგელის თეორიას მომხრეებიც გამოუჩნდნენ, განსაკუთრებით, ანთროპოლოგიაში (ე. წ. „კულტურული ეკოლოგიის“ მიდგომის მომხრეები). ჯ. პ. მერდოკი ვიტფოგელის „აღმოსავლურ დესპოტიას“ მნიშვნელობით ე. ტაილორის „პირველყოფილ კულტურას“ (1871 წ.) ადარებს.⁴⁷⁶ ჯ. სტიუარდის მიხედვით, ვიტფოგელის დამსახურება ისაა, რომ როდესაც კულტურის ისტორიკოსები ცივილიზაციათა შორის არსებულ განსხვავებებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ვიტფოგელმა თავისი თეორიით მოახდინა ერთი ბაზისური ფაქტორის ფორმულირება, რომელიც საერთო იყო ამ ცივილიზაციებისათვის.⁴⁷⁷ ვიტფოგელის გასამართლებლად შეიძლება ისიც ითქვას, აღნიშნავს დ. უორსთერი, რომ მას არასოდეს წამოუყენებია თეზისი, რომლის თანახმად, ყოველი სახელმწიფო წარმოიშვა წყალზე კონტროლის მექანიზმების განვითარების შედეგად. თუმცა, ვიტფოგელს მიაჩნდა, რომ ირიგაცია ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაციის საკითხში.⁴⁷⁸

ბუნებრივი ფაქტორების განსაკუთრებული მნიშვნელობის აღიარების გარდა ვიტფოგელის შეხედულებებისათვის საფუძველმდებარე იყო იმის რწმენა, რომ აზიურმა საზოგადოებებმა, დასავლური საზოგადოებებისგან განსხვავებით, სხვა ევოლუციური გზა განვლეს. ეს საკითხი მარქსისტულ სამეცნიერო წრეებში „წარმოების აზიური წესის“ ცნებას უკავშირდება, რომელმაც სოციალურ მეცნიერებაში არაერთი თავსატეხი გამოიწვია.⁴⁷⁹

476 იხ. G. P. Murdock, 'Wittfogel's *Oriental Despotism*'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 173

477 იხ. J. H. Steward, 'Wittfogel's Irrigation Hypothesis'. In: A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 196. დ. უორსთერის მიხედვით, ვიტფოგელის „აღმოსავლური საზოგადოების თეორიამ“ საგრძნობი ზეგავლენა იქონია ჯ. სტიუარდის შეხედულებებზე (იხ. D. Worster, *Rivers of Empire*, გვ. 29-30). თუმცა უორსთერი თვლის, რომ, როგორც ვიტფოგელის, ასევე, ეკოლოგიური ანთროპოლოგების ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ ისინი, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდნენ წინაინდუსტრიულ საზოგადოებებზე მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში (უორსთერი განიხილავს აშშ-ს დასავლეთს) ირიგაციის საკითხი განუყრელადაა დაკავშირებული დომინირებისა და კონტროლის საკითხებთან (იქვე, გვ. 30, 48-50).

478 იხ. D. Worster, *Rivers of Empire*, გვ. 39.

479 წარმოების აზიური წესის ცნებასთან ვიტფოგელისა და საბჭოთა მეცნიერების დამოკიდებულების შესახებ იხ. ჰ. შნაიდერი, „ფილოსოფიური გეოგრაფია“, გვ. 97 და შმდ. უფრო დანვრილებითი განხილვისთვის იხ. A. M. Bailey, J. R. Llobera (eds.), *The Asiatic Mode of Production*, გვ. 13-106.

წყლის საკითხი დღესაც აქტუალურია მსოფლიოში. ძალაუფლება და ბატონობა წყალს მხოლოდ წინანდუსტრიულ პერიოდში როდი უკავშირდებოდა. კაპიტალისტურ სამყაროში, რომელიც აღსავსეა წინააღმდეგობებით, ორ მილიარდამდე ადამიანს არა აქვს სუფთა წყლის მიღების საშუალება, რაც ხშირად სახელმწიფოებს მასშტაბური პროექტების განხორციელებისაკენ უბიძგებს.⁴⁸⁰ ვიტფოგელის დამსახურება ისაა, რომ მან აჩვენა, თუ რა მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს გეოგრაფიული ფაქტორის (ამ შემთხვევაში, წყლის) როლი სოციალურ ისტორიაში. თუ ვიტფოგელის შეხედულებებს დეტერმინიზმ-არადეტერმინიზმის ვიწრო პერსპექტივიდან არ განვიხილავთ, მაშინ ნათელი გახდება მისი ანალიზის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. ადამიანი იმთავითვე ჩაფესვილია ბუნებაში, იგი ბუნებაში და ბუნებასთან ერთად ცხოვრობს. ადამიანის ნებისმიერი ქმედება კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე ხორციელდება და მასთან გარკვეულ მიმართებაშია. ერთი ფაქტორის მეორე ფაქტორზე შეუქცევადი ზეგავლენის მტკიცების ნაცვლად, უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ მუდმივად მხედველობაში ვიქონიებთ მათ დინამიკურ ურთიერთზემოქმედებას, რაც სოციალური ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ, ურთიერთქმედების სულ უფრო და უფრო ახალ ფორმებს წარმოშობს.

„აღმოსავლური დესპოტიის“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ ფრანგმა ფილოსოფოსმა გასტონ ბაშლიარმა გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო ნაშრომი „სივრცის პოეტიკა“, რომლის განხილვითაც სრულდება მეორე თავი. ამჯერად ფილოსოფიური გეოგრაფიის ვექტორი, გლობალური პარადიგმის ნაცვლად, ლოკალურზე იქნება მიმართული.

480 იხ. T. Tvedt, E. Jacobsson, 'Introduction: Water History is World History'. In: T. Tvedt, E. Jacobsson (eds.), *A History of Water. Water Control and River Biographies*. London and New York: I. B. Tauris, 2006, გვ. xii-xiii.

3.7. გასტონ ბაშლიარის სივრცის პოეტიკა: სახლი, როგორც თაურსამყარო და ექსისტენციალური მნიშვნელობის ცენტრი

„სივრცის პოეტიკაში“ (1958 წ.) ბაშლიარი პოეტური ხატის ფენომენს ანალიზებს. პოეტურ ხატს იგი განსაზღვრავს, როგორც „უეცარ გამოზნექილობას სულის ზედაპირზე, რომლის მცირე ფსიქოლოგიური მიზეზებიც ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი.“⁴⁸¹ პოეტური ხატი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დინამიზმით გამოირჩევა. პოეტური აქტის, წარმოსახვაში ყოფიერების „ანთების“, უეცარი პოეტური ხატის წარმოქმნის პროცესების სიღრმისეული ანალიზისათვის, ბაშლიარის მიხედვით, საჭიროა, მივმართოთ წარმოსახვის ფენომენოლოგიას, რომელიც შეისწავლის პოეტური ხატის ფენომენს აქტუალობაში, როგორც ადამიანის „გულის, სულისა და ყოფიერების უშუალო პროდუქტს“, რომელიც ცნობიერებაში წარმოიშობა. მხოლოდ ფენომენოლოგიის მეშვეობითაა შესაძლებელი პოეტურ ხატთა სუბიექტურობის აღდგენა და მათი სისავსისა და ტრანსსუბიექტურობის წვდომა.⁴⁸²

პოეტურ ხატებს ბაშლიარი სივრცობრივ კონტექსტში განიხილავს. „ის ხატები, რომელთა განხილვასაც ვაპირებ, **ბედნიერი სივრცის** ერთობ მარტივი ხატებია. ამ მიმართებით, წინამდებარე გამოკვლევები ტოპოფილიის სახელს იმსახურებს.“⁴⁸³ შესაბამისად, ბაშლიარს სივრცის ცნებაში ემოციური ასპექტი შეაქვს. „ბედნიერი სივრცე“ ისეთი სივრცეა, რომელიც ადამიანებს უყვართ, რომლის მიმართაც ისინი მიჯაჭვულობას გრძნობენ და რომელსაც უფრთხილდებიან. სივრცე, რომელსაც წარმოსახვა სწვდება, ვერ იქნება ინდიფერენტული და ჰომოგენური. ასეთი სივრცე ყოველთვის „განცდილი“ და ემოციური ასპექტებით შეფერადებულია.

პირველი პოეტური ხატი, რომელიც ბედნიერი სივრცის კონტექსტში იჩენს თავს, **სახლის** ხატია. სახლის ხატი სახლის პოეტიკის განუყოფელი ნაწილია. სახლის პოეტიკა შემდეგ შეკითხვებს სვამს: როგორ ხდება სახლის ოთახები დაუვიწყარი წარსულის შემადგენელი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოთახები, შესაძლოა, აქტუალურად აღარ არსებობდნენ? როგორ შეიძლება აიხსნას ის გარემოება,

481 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*. Translated by M. Jolas. Boston: Beacon Press, 1994, გვ. xv.

482 იქვე, გვ. xviii-xix.

483 იქვე, გვ. xxxv.

რომ ზოგჯერ ადამიანები ისეთ მნიშვნელობას ანიჭებენ დროებით ან შემთხვევით თავშესაფარს, რაც ობიექტურ საფუძველს მოკლებულია? ამ შეკითხვებზე პასუხს იძლევა ტოპოანალიზი, რომელიც შემდეგ თეორიულ დოქტრინებს ეფუძნება: აღწერითი ფსიქოლოგია, სიღრმის ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი და ფენომენოლოგია.⁴⁸⁴ „რომელი თეორიული ჰორიზონტიდანაც არ უნდა განვიხილოთ სახლის ხატი, ის მაინც ჩვენი უშინაგანესი ყოფიერების ტოპოგრაფიად დარჩება.“⁴⁸⁵ სახლის ხატი ბაშლიარისთვის ადამიანის სულის გასაანალიზებელი ხელსაწყოა. ის, ამავე დროს, ტოპოანალიზის ხელსაწყოა.⁴⁸⁶

„სახლი არის ჩვენი კუთხე სამყაროში. [...] ის ჩვენი პირველი სამყაროა, ნამდვილი კოსმოსია ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით.“⁴⁸⁷ სახლში ადამიანებს აქვთ საკუთარი კუთხე-კუნჭულები, სადაც ისინი თავს მყუდროდ და ბედნიერად გრძნობენ. სახლის არსება განმსჭვალავს ყველა იმ სივრცეს, რომლებშიც ადამიანები „ნამდვილად“ ცხოვრობენ, ანუ სადაც ისინი ემოციურად არიან განწყობილი მათ ირგვლივ მდებარე სივრცეების მიმართ. გარესამყაროს შესახებ მოგონებები არსებითად განსხვავდება იმ მოგონებებისაგან, რომლებიც ადამიანებს მშობლიურ სახლთან აკავშირებს. სახლი ხელს უწყობს ოცნებებს და წარმოსახვის თამაშს. ის მფარველობს მეოცნებეს და მას სიმშვიდეს ანიჭებს.⁴⁸⁸ „შესაბამისად, ის ადგილები, სადაც ჩვენ ვოცნებობდით, ახალი ოცნების სახით რეკონსტიტუორდებიან. რადგან ჩვენს ადრეულ საცხოვრებლებთან დაკავშირებული მოგონებები ოცნებების სახით ცოცხლდება, წარსულის ეს ადგილები ჩვენში მუდამ რჩებიან.“⁴⁸⁹ ამრიგად, სახლი, ბაშლიარის მიხედვით, არის კაცობრიობის აზრების, ფიქრებისა და ოცნებების მაინტეგრირებელი ძალა. საკვანძო მომენტს ამ ძალაში ოცნება, წარმოსახვა ქმნის.

484 ტოპოანალიზი წარმოადგენს ადამიანის შინაგანი ცხოვრების მხარეების სისტემატურ ფსიქოლოგიურ შესწავლას. როგორც ასეთი, ტოპოანალიზი ფსიქოანალიზის დამხმარედ გვევლინება. იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 8.

485 იქვე, გვ. xxxvi.

486 იქვე, გვ. 47; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 288.

487 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 4.

488 ოცნებასთან დაკავშირებით ბაშლიარი შემდეგს შენიშნავს: „ადამიანურ ღირებულებებს მხოლოდ აზროვნება და გამოცდილება როდი ადგენს. ის ღირებულებები, რომლებიც ოცნებებს განეკუთვნება, კაცობრიობას სიღრმისეულად განმსჭვალავს.“ იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 6.

489 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 6; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 290.

ექსისტენციალურ თეზისს „სამყაროში გადაგდებულობის“ შესახებ ბაშლიარი უპირისპირებს სახლის, როგორც ადამიანის პირველადი აკვნის ცნებას, რომელიც ზრუნვითა და სიყვარულითაა გამთბარი. „ცხოვრება იმთავითვე ღირებულებაა. ის ბედნიერად იწყება სახლის თბილ წიაღში, სადაც ის საგულდაგულოდ დაცულია.“⁴⁹⁰ სახლის ფიზიკურ სტრუქტურას კავშირი აქვს ადამიანის სულიერ სამყაროსთან: სახლის მეშვეობით ადამიანთა მოგონებების დიდი ნაწილი „დაბინავებულია“ და თუ სახლს აქვს სარდაფი, სხვენი და სხვა მრავალი კუთხე-კუნჭული, მაშინ ადამიანთა მოგონებებს ბევრი თავშესაფარი აქვს, რომლებსაც ისინი ოცნებებში უბრუნდებიან. „თავის ურიცხვ ღრმულში სივრცე შეკუმშულ დროს შეიცავს. სივრცე სწორედ ამისთვის არსებობს.“⁴⁹¹

ბაშლიარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ადგილებს, სადაც ადამიანები მარტოობაში ოცნებობენ. ტოპოანალიზისათვის სწორედ ეს ასპექტია მნიშვნელოვანი, რადგან აქ თავს იჩენს შემდეგი კითხვები: იყო თუ არა ოთახი დიდი? იყო თუ არა ის კუთხე, სადაც ადამიანი ოცნებობდა, თბილი („თბილი“ აქ ემოციურ დატვირთვაზე მიანიშნებს)? როგორ იყო ის განათებული და ა. შ. „სიმყუდროვის გასაგებად უფრო მნიშვნელოვანია სიმყუდროვის სივრცეებში ლოკალიზაცია, ვიდრე თარიღების დადგენა.“⁴⁹² ადგილები, რომლებიც მარტოობას და ოცნებას უკავშირდება, მყარად ფიქსირდება ადამიანთა მეხსიერებაში.⁴⁹³ შესაძლოა, უკვე აღარ არსებობდეს სხვენი ან სარდაფი, სადაც ინდივიდი თავის ბავშობაში მარტოობაში ოცნებობდა, მაგრამ რჩება ის ფაქტი, რომ იგი მიდოდა სხვენი ან სარდაფში და იქ ოცნებობდა. ამ ადგილებს ინდი-

490 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 7.

491 იქვე, გვ. 8.

492 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 9; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 288.

493 ე. კეისი მიიჩნევს, რომ „სახლში ყოფნა“ ბაშლიართან უფრო დეტალური და კონკრეტულია, ვიდრე „სამყაროში ყოფნა“ ჰაიდეგერთან. „თვით ჰაიდეგერის მიერ ცხოვრებაზე ხაზგასმას გვიანდელ ნაშრომში „შენება – ცხოვრება – აზროვნება“ კონკრეტულობა და სპეციფიკურობა აკლია. [...] ჩვენ გაცილებით მეტს ვიგებთ შენებისა და ოთხსაზოვნების შესახებ, ვიდრე – ცხოვრების შესახებ [...] „სივრცის პოეტიკა“, რომელიც ექვსი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, უფრო მეტს გვეუბნება ადამიანური ცხოვრების სპეციფიკის შესახებ [...] ტოპოანალიზის არსებას მოცემული *topos*-ის უწვრილმანესი დეტალების შესწავლა შეადგენს, რითაც ის საკმაოდ უახლოვდება ფენომენოლოგიას.“ იხ. E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 292.

ვიდი თავის ღამეულ სიზმრებში უბრუნდება. „როდესაც ჩვენ ძილის ლაბირინთების დასასრულს ვაღწევთ, [...] მაშინ ჩვენ, შესაძლოა, განვიცადოთ ისეთი სიმშვიდე, რომელიც თავისი არსებით წინარე ადამიანურია.“⁴⁹⁴ ოცნებებში გაცოცხლებული ადგილების სივრცე ყოველთვის მყუდრო და თბილია. „ასეთ პირობებში ტოპონალიზი ტოპოფილიის ნიშანს ატარებს.“⁴⁹⁵

სახლის ფიზიკურ სტრუქტურას მხოლოდ ადამიანის სულიერ სამყაროსთან როდი აქვს კავშირი: „სახლი, რომელშიც დავიბადეთ, ფიზიკურად ამოტივტივებულია ჩვენში. ის ორგანული ჩვევების ერთობლიობას წარმოადგენს.“⁴⁹⁶ ძველ სახლში დაბრუნების შემდეგ ადამიანში უეცრად შეუმცდარად ცოცხლდება ადრეული ყესტები და ქმედებები. „ჩვენ ამ კონკრეტულ სახლში ცხოვრების ფუნქციების დიაგრამები ვართ. ყველა სხვა სახლი ამ ფუნდამენტურ თემაზე ვარიაციას წარმოადგენს.“⁴⁹⁷ სახლსა და იქ მაცხოვრებელ ადამიანის სხეულს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. სახლი, ასევე, ოცნებების განსხეულებას წარმოადგენს, რადგან მისი კუთხე-კუნჭულები ემოციური მიჯაჭვულობის ადგილებს ქმნიდა. მეხსიერება ამ ოცნებების შესახებ იმდენად ძლიერია, რომ სახლი განაგრძობს არსებობას მას შემდეგაც, რაც ის უკვე ფიზიკურად აღარ არსებობს. „სახლში არსებული მონყენილობის, მარტობისა და ოცნებების ცენტრები ჯგუფდებიან და ქმნიან სიზმრისეულ სახლს“,⁴⁹⁸ რომლის ფენომენოლოგიურ ანალიზსაც ბაშლიარი აწარმოებს.

ამ ანალიზში ორი ძირითადი ასპექტი გამოიყოფა: 1. სახლი წარმოიდგინება, როგორც **ვერტიკალური სტრუქტურა**. სახლის დიფერენცირება ვერტიკალურობის პრინციპის საფუძველზე ხდება; 2. სახლი წარმოიდგინება, როგორც **კონცენტრირებული ყოფიერება**. ის ცენტრალურობის ცნობიერებას მიემართება.

სახლის ვერტიკალურობას სარდაფისა და სხვენის პოლარულობა განსაზღვრავს: სახურავის რაციონალურობას სარდაფის ირაციონალურობა უპირისპირდება.⁴⁹⁹ სხვენში ადამიანის სხვადასხვა შიში ადვილად რაციონალიზდება: აქ, „სახურავთან ახლოს, ყველა აზრი

494 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 10.

495 იქვე, გვ. 12.

496 იქვე, გვ. 14.

497 იქვე, გვ. 15.

498 იქვე, გვ. 17.

499 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 17-18; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 291-292.

ნათელია“⁵⁰⁰ სარდაფში კი რაციონალიზაცია გაცილებით ნელი და ნაკლებად ნათელია. „სარდაფში დღისითაც და ღამითაც ბნელა. მაშინაც კი, როდესაც ხელში ანთებული სანთელი გვიჭირავს, ჩვენ ვხედავთ, როგორ ცეკვავენ ჩრდილები მრუმე კედლებზე.“⁵⁰¹ ქვემოთ ბაშლიარი წერს: „სარდაფის მეოცნებემ იცის, რომ სარდაფის კედლები დამარხული კედლებია, [...] რომელთა უკან მხოლოდ მინაა და მეტი არაფერი. ასე რომ, სიტუაცია უფრო დრამატული ხდება, ხოლო შიში – უფრო გადაჭარბებული. [...] სარდაფი იქცევა დამარხულ სიგიჟედ, შემოღობილ ტრაგედიად.“⁵⁰² ამრიგად, სახლის ყოველი ფიზიკური ელემენტი ადამიანის ფსიქოფიზიკურ სამყაროსთან განუყოფელ კავშირშია და მასზე ზემოქმედებს.

ურბანულ სივრცეში მდებარე სახლების მიმართ ბაშლიარი უარყოფითადაა განწყობილი. „დიდ ქალაქში სახლს არ გააჩნია კოსმიურობა, რადგან იქ, სადაც სახლები აღარ შენდება ბუნებრივ გარემოში, დამოკიდებულება სახლსა და სივრცეს შორის ხელოვნური ხდება.“⁵⁰³ მიუხედავად ცათამბჯენებისა, ქალაქის სახლებისათვის უფრო ჰორიზონტალურობაა დამახასიათებელი, რადგან „კიბეების გამირობას“ აქ ლიფტები უღებს ბოლოს. გარდა ამისა, ერთ სართულზე განლაგებულ ოთახებს არ გააჩნიათ ის პრინციპი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სიმყუდროვის ღირებულებების კლასიფიცირება, როგორც ეს იყო შესაძლებელი ისეთი სახლის შემთხვევაში, რომლის ვერტიკალურობასაც სარდაფი-სხვენის ღერძი განსაზღვრავს. ქალაქში არსებული სახლი გაცილებით უსაფრთხო და კომფორტულია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბუნებრივი სტიქიების დროს. ტყის პირას, ეულად მდგარ განდეგილის სახლს ქარიშხალი მთელი სიმძლავრით უტევს და ადამიანს შეუძლია, სახლის ქრიალისა და რყევის მეშვეობით უშუალოდ შეიგრძნოს კოსმიურ ძალთა დაპირისპირება. ქალაქში ასეთი რამის განცდა შეუძლებელია. „სახლი არ კანკალებს ჩვენში და არც ჩვენს მეშვეობით.“⁵⁰⁴ ბუნების სტიქიონების ზემოქმედებას ადამიანის შინაგან სამყაროზე იმ სახლის მეშვეობით, სადაც ადამიანი ცხოვრობს, ბაშლიარის ტოპოანალიზში საგანგებო ყურადღება ექცევა.

კონცენტრირებული ყოფიერების ნიმუშად ბაშლიარი განდეგილის ქოხს განიხილავს. ქოხის ხატი იმდენად მარტივია, რომ ის

500 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 18.

501 იქვე, გვ. 19.

502 იქვე, გვ. 20.

503 იქვე, გვ. 27.

504 იქვე.

უბრალოდ ჩვენს მოგონებებს კი არ ეკუთვნის, არამედ ლეგენდის ნაწილი ხდება. „როდესაც უკუნ სიბნელებაში დაკარგულები სინათლის კიაფს მოვკრავთ თვალს, [...] ვინ არ დაინწყებს ოცნებას განდევნილის ქობის შესახებ?“⁵⁰⁵ განდევნილის ქობი სიმარტივისა და მარტოობის სამყაროა. „განდევნილი მარტოა ღვთის წინაშე. მისი ქობი მონასტრის საპირისპიროს წარმოადგენს. და ამ კონცენტრირებული მარტოობიდან ასხივებს მედიტაციისა და ლოცვის სამყარო. [...] ქობი უკიდურესი სიდუხჭირის ბედნიერებას ფლობს.“⁵⁰⁶ სინათლე, რომელიც ქობიდან გამოკრთის, მიანიშნებს სიფხიზლესა და ლოდინზე. „ლამპრის მეშვეობით სახლიც ხედავს და სიფხიზლეს ინარჩუნებს. ის ფხიზლად იცდის.“⁵⁰⁷ მიუხედავად თავისი კოსმიურობისა, რომელსაც ქობი ლამპრის მეშვეობით იღებს, ის მაინც მარტოობის სიმბოლოდ რჩება. საბოლოო ჯამში, ქობი და ქობიდან გამომავალი სინათლე, რომელიც სიფხიზლეზე მიანიშნებს, ბაშლიარისათვის სიმყუდროვის კონცენტრაციის ნიშნადაა ყველაზე პრიმიტიული ფორმით, რაც, თავის მხრივ, უსაფრთხოების გრძობას წარმოშობს და განმტკიცებს ადამიანს. სწორედ ასეთ სიმყუდროვეში ხორციელდება ყოფიერება თავისი ექსისტენციალური მნიშვნელობით.⁵⁰⁸

„სივრცის პოეტიკის“ მეორე თავს „სახლი და სამყარო“ ეწოდება, სადაც ბაშლიარი სახლისა და სამყაროს დიალექტიკას განიხილავს. სხვადასხვა ლიტერატურული მაგალითების ანალიზის საფუძველზე (თომას დე ქუინსის, ბოდლერის, რემბოს, რილკეს, ჰენრი ბოსკოს შემოქმედებიდან) ბაშლიარი აჩვენებს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ადამიანს, სახლსა და სამყაროს შორის. ბუნების სტიქიების ბესტიალიზმს სახლის სიმყარე და სიმტკიცე უპირისპირდება, რომელიც შემდეგ სახლში მაცხოვრებელი ადამიანის თვისებებად იქცევა. „ასეთი ტიპის სახლი კაცობრიობას კოსმიური პროპორციების გმირობისაკენ მოუწოდებს. ის ხელსაწყოა, რომლის მეშვეობითაც ხდება კოსმოსთან დაპირისპირება.“⁵⁰⁹ ბაშლიარის მიხედვით, მეტაფიზიკურმა სისტემებმა, რომელთა თანახმად, ადამიანი „სამყაროში გადაგდებულია“, ყურადღება უნდა გაამახვილონ სახლზე, რომელიც ქარიშხალს ეულად ებრძვის. ქარიშხალი აქ კოსმიურ ძალებს განასახიერებს. ამრიგად, სახლსა და სამყაროს შორის დინამიკური დაპირისპირება არსებობს. ხოლო სახლის მაცხოვრებლები, თავ-

505 იქვე, გვ. 31.

506 იქვე, გვ. 32.

507 იქვე, გვ. 34.

508 იქვე, გვ. 50.

509 იქვე, გვ. 46.

ვად ცხოვრების მეშვეობით, ჩართული არიან ამ დაპირისპირებაში. ცხოვრების ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან „სახლი, რომელიც აღიქმება და განიცდება, არ არის ინერტული ყუთი. სივრცე, სადაც ცხოვრობენ, სცდება გეომეტრიული სივრცის საზღვრებს“.⁵¹⁰ მაგრამ სახლი მხოლოდ მყარი წერტილი როდია, რომელიც კოსმიურ გრიგალებს უძლებს. ის, შესაძლოა, უსასრულოდ დიდი გახდეს. გეორგ სპირიდიაკის და რენე კასელესის შემოქმედების ანალიზისას ბაშლიარი საუბრობს „უზარმაზარი კოსმოსური სახლის“ შესახებ, რომელიც პოეტს სამყაროში ცხოვრების საშუალებას აძლევს. წარმოსახვის ძალის მეშვეობით სახლის კედლები ფართოვდება და მთელ სამყაროს მოიცავს, სახლი ხდება სამყარო „ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყარო შემოდის სახლში“.⁵¹¹

„სივრცის პოეტიკაში“ სახლი გვევლინება, როგორც თაურსამყარო და ექსისტენციალური მნიშვნელობის ცენტრი. სახლის ფიზიკური სტრუქტურა უმჭიდროეს კავშირშია სახლის მაცხოვრებლების ფსიქოფიზიკურ სამყაროსთან. ამ კავშირის მეშვეობით ადამიანები ერთვებიან კოსმიურ ძალებთან დაპირისპირებაში. ადამიანი ისეთ სამყაროში კი არ არის გადაგდებული, რომელიც მისთვის უცხო და მტრულია, არამედ იგი იმთავითვე სახლის თბილ წიაღშია მოქცეული და მისი მეშვეობით იმეცნებს სამყაროს. სახლის კუთხე-კუნჭულებში ადამიანი ოცნებობს და ეს ოცნება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ლოგიკური აზროვნება. ადამიანი სივრცესთან ემოციურ დამოკიდებულებაში იმყოფება. სწორედ ამიტომ გვხვდება ბაშლიართან ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ბედნიერი სივრცე“ და „ტოპოფილია“. ემოციური დამოკიდებულება სივრცესთან,⁵¹² სხეულის როლი სივრცის აღქმაში, ადგილის მეშვეობით უფრო ფართო სივრცეებში თანამონაწილეობა – ეს ის იდეებია, რომელთა უაღრესად საინტერესო ანალიზიც ბაშლიარმა თავის „სივრცის პოეტიკაში“ შემოგვთავაზა.

510 იქვე, გვ. 47; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 294.

511 იხ. G. Bachelard, *The Poetics of Space*, გვ. 51.

512 სივრცის მიმართ ემოციური მიმართებების შესახებ თანამედროვე მიდგომებისათვის იხ. G. Lehnert (Hrsg.), *Raum und Gefühl: der Spatial Turn und die neue Emotionsforschung*. Bielefeld: Transcript Verlag, 2011.

3.8. დასკვნა

აღნიშნულ თავში ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალური, რეგიონალური და ლოკალური პარადიგმები განხილულია. ფრიდრიხ რატცელმა თავისი შრომებით საზოგადოებრივ გეოგრაფიასა და პოლიტიკურ გეოგრაფიას დაუდო საფუძველი. მანვე შემოიტანა „სასიცოცხლო სივრცის“ მეტაფიზიკური კონცეპტი, რომელიც შემდგომი ათწლეულების განმავლობაში ცხარე დისკუსიის საგნად იქცა (ეს დისკუსიები დღესაც გრძელდება!). რატცელის ნაშრომებში არსებული იმპულსები თავისებურად გაიაზრა კარლ შმიტმა, რომელიც მსოფლიო ისტორიის ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირების ფონზე განიხილავდა. შმიტმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა ადამიანის მიერ გეოგრაფიული ელემენტის არჩევის შესაძლებლობაზე და სივრცობრივი ცნობიერების გაფართოების პოტენციალზე.

მარტინ ჰაიდეგერის „ყოფიერება და დრომ“ იაპონელ ფილოსოფოსს, ვაცუჯი ტეცუროს კლიმატის შესახებ განაზრებებისაკენ უბიძგა. ვაცუჯი აკრიტიკებდა ჰაიდეგერს სივრცითი ასპექტის სათანადო შეუფასებლობის გამო. გვიანდელ პერიოდში ჰაიდეგერმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა სივრცესა და ადგილზე. ადგილს იგი მოიაზრებდა, როგორც სივრცის შემომკრებს. ჰაიდეგერის განაზრებანი ადგილის შესახებ, რომელიც მან წარმოადგინა თავის ნაშრომში „შენება – ცხოვრება – აზროვნება“ უაღრესად მნიშვნელოვანია ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის.

ჰაიდეგერის თანამედროვე კარლ ავგუსტ ვიტფოგელმა განავითარა თეორია ჰიდრავლიკური ცივილიზაციების შესახებ, ხოლო ფრანგმა ფილოსოფოსმა გასტონ ბაშლიარმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სივრცისადმი ემოციურ დამოკიდებულებაზე. ბაშლიარისა და ჰაიდეგერის შეხედულებები სივრცისა და ადგილის შესახებ ერთობ ნაყოფიერად შესაძლოა იქნეს გამოყენებული ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ დონეზე, ხოლო რატცელის, შმიტის, ვაცუჯისა და ვიტფოგელის შეხედულებები – ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალურ და რეგიონალურ დონეებზე. მაგრამ გლობალურთან შედარებით, ლოკალურის ცნება უფრო პირველადია ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის, რადგან ჩვენ საკუთარ თავს სწორედ ლოკალურში აღმოვაჩინეთ.⁵¹³ ლოკალურის ბირთვს ქმნის ის,

513 მუდამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ლოკალურის პირველადობის აღიარება არ ნიშნავს ლოკალურისა და გლობალურის (და, ასევე, რეგიონალურის) ტოლმნიშვნელობის უარყოფას. როგორც ნინამდებარე ნაშრომის შესავალშია აღნიშნული, ფილოსოფიური გეო-

გიორგი თავაძე

რასაც ფილოსოფოსები და გეოგრაფები **ადგილს** უწოდებენ. ადამიანები ადგილებში ცხოვრობენ და საკუთარ თავს მათთან მიმართებაში განსაზღვრავენ. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მეოთხე თავი ფილოსოფიური გეოგრაფიის საფუძველმდებარე კონცეპტების – ადგილისა და იდენტობის ურთიერთმიმართების ანალიზს ეთმობა.

გრაფიისათვის **თანაბრად** მნიშვნელოვანია როგორც ლოკალური, ასევე, რეგიონალური და გლობალური დონეები.

თავი IV. ადგილისა და იდენტობის ცნებაჲი, როგორც ფილოსოფიური გეოგრაფიის საკვანძო მომენტაჲი

4.1. შესავალი

აღნიშნული თავის მიზანს იმის ჩვენება წარმოადგენს, რომ ადგილისა და იდენტობის ცნებები ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის საკვანძო მნიშვნელობისაა. შესავალში განხილულია ადგილის ცნების აქტუალიზაციის ისტორია გეოგრაფიული დისციპლინის კონტექსტში და ადგილების/სივრცეების შესახებ არსებული პერსპექტივები სოციალური თეორიებისა და სოციალური მეცნიერებების კონტექსტში (ანრი ლეფევერი, მიშელ დე სერტო, დევიდ ჰარვი, დორინ მასი, რობერტ დევიდ სეკი). რაც შეეხება დანარჩენ ქვეთავებს, აქ განხილულია ის მოაზროვნეები (მიშელ ფუკო, ი-ფუ ტუანი, ედუარდ რელფი, დევიდ სიმონი, ედუარდ კეისი და ჯეფ მალპასი), რომელთა შეხედულებებიც, ჩემი აზრით, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის იმ კვლევებისთვის, რომლებიც ადგილებისა და იდენტობების ურთიერთქმედების ემპირიულ შესწავლას ისახავს მიზნად.

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გეოგრაფიაში მოხდა ე. წ. „რაოდენობრივი და თეორიული რევოლუცია“: რეგიონალური გეოგრაფია (რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებიც იყვნენ პ. ვიდალ დე ლა ბლასი, ა. ჰეტენერი და რ. ჰერთსჰორნი),⁵¹⁴ თანდათანობით სივრცობრივი გეოგრაფიით ჩანაცვლდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ანგლო-საქსურ სამყაროზე. სივრცობრივი გეოგრაფია ემყარებოდა რაოდენობრივ მეთოდებს, სტატისტიკურ მონაცემებს და კანონების ფორმულირებაზე იყო ორიენტირებული, განსხვავებით რეგიონალური გეოგრაფიისაგან, რომელიც მოცემული რეგიონის უნიკალურობის ჩვენებას ცდილობდა ამ რეგიონში განსხვავებული გეოგრაფიული ფაქტორების უნიკალურ კომბინაციებზე მითითებით. სივრცობრივი გეოგრაფიის წარმომადგენლებს (ფრედ კ. შეფერი, ედუარდ აკერმანი, ვალტერ კრისტალერი, ედუარდ ულმენი, ბრაიან ბერი, უილიამ ბუნგე, თორსტენ ჰეგერსტრენდი და სხვ.), რომლებიც პოზიტივისტური ფილოსოფიის დიდ გავლენას განიცდიდნენ, ნაკლებად აინტერესებდათ უნიკალური გეოგრაფიული რეგიონების „მეტაფორული

514 იხ. ქვეთავი 3.1.

და პოეტური ცნებებით“ აღწერა.⁵¹⁵ ისინი ორიენტირებულნი იყვნენ აბსტრაქტული სივრცობრივი მიმართებების, ქსელებისა და ინტერაქციების შესწავლაზე. ამ სფეროებში, მათი აზრით, შესაძლებელი იყო ზოგადი მოდელების აღმოჩენა და მათი შესწავლა და ანალიზი რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. ერთი სიტყვით, მათ მიაჩნდათ, რომ გეოგრაფია უფრო ნომოთეტური მეცნიერება უნდა ყოფილიყო და არა იდეოგრაფიული. სივრცობრივი გეოგრაფიის აქტუალობას კიდევ უფრო ზრდიდა II მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში მომხდარი სწრაფი ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია და ისეთი პრაქტიკული ცნებების ანალიზის საჭიროება, როგორებიცაა ტრანსპორტირების სისტემები და ინდუსტრიული მდებარეობა.⁵¹⁶

სივრცობრივი გეოგრაფიის ფარგლებში ადგილის ცნებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ადგილი გაიგებოდა, როგორც უბრალო მდებარეობა (*location*) სივრცეში, რომელიც სხვა მდებარეობებთან გარკვეული წესით იყო დაკავშირებული. გარდა ამისა, სივრცობრივი გეოგრაფიის წარმომადგენლები თავიანთ კვლევებში ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანურ ფაქტორს ანუ თავად გეოგრაფიულ სუბიექტს და მის მიერ გეოგრაფიული გარემოს აღქმის პროცესს.

სწორედ ამის გამო, 1960-წლების დასასრულიდან, განსა-

515 იხ. R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 20.

516 იხ. R. Johnston, ‘Spatial Science’. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, 2009, vol. 10, გვ. 384-395; A. Paasi, ‘Regional Geography I’. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, 2009, vol. 9, გვ. 220; R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 19 და შმდ.; F. K. Schaefer, ‘Exceptionalism in Geography: A Methodological Examination’. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 43 (1953), გვ. 226 და შმდ. რეგიონალური გეოგრაფიის პარადიგმის სივრცობრივი გეოგრაფიის პარადიგმით ჩანაცვლების მიუხედავად, ზოგიერთი გეოგრაფი მიიჩნევს, რომ ცვლილებები გეოგრაფიულ დისციპლინაში თ. კუნის მიერ შემუშავებული მოდელის თანახმად არ ხდება. რ. ჯონსტონის აზრით, II მსოფლიო ომის შემდგომ გეოგრაფიულ დისციპლინაში განვითარებული მოვლენები არ აისხნება სქემით, რომლის მიხედვით, სამეცნიერო რევოლუციის შედეგად ერთ პარადიგმას მეორე პარადიგმა ენაცვლება. ჯონსტონი მიიჩნევს, რომ კუნის იდეები არ მიესადაგება სოციალურ მეცნიერებებს, განსაკუთრებით კი გეოგრაფიის განვითარებას 1945 წლის შემდეგ. იგი თვლის, რომ გეოგრაფია მულტიპარადიგმული მეცნიერებაა და რომ ცვლილებები ხორციელდება არა რევოლუციების მეშვეობით, არამედ „ფრთხილად“ და ნელა. იხ. R. Johnston, ‘Paradigms and Revolutions or Evolution?: Observations on Human Geography since the Second World War’. *Progress in Human Geography*, vol. 2 (1978), გვ. 189-206.

კუთრებით კი 1970-იან წლებში, სივრცობრივი გეოგრაფია ახლად აღმოცენებული ჰუმანისტური⁵¹⁷ და ფენომენოლოგიური⁵¹⁸ გეო-

517 ჰუმანისტური გეოგრაფიის უმთავრეს მიზანს, მისი წარმომადგენლების აზრით, „სოციალური მეცნიერებისა და ადამიანის შერიგება“ წარმოადგენს. იხ. D. Ley, M. Samuels, 'Introduction: Contexts of Modern Humanism in Geography'. In: D. Ley, M. Samuels (eds.), *Humanistic Geography. Prospects and Problems*. Chicago: Maaroufa Press, 1978, გვ. 9. იხ. ასევე, J. N. Entrikin, 'Contemporary Humanism in Geography'. *Annals of the Association of American Geographers*, 66 (1976), გვ. 615-632; A. Buttimer, D. Seamon (eds), *The Human Experience of Space and Place*. New York: St. Martin's Press, 1980; A. Buttimer, 'Geography, Humanism, and Global Concern'. *Annals of the Association of American Geographers*, 80 (1990), გვ. 1-33; მისივე, *Geography and the Human Spirit*. Baltimore: The Johns Hopkins University Press, 1993; P. C. Adams, S. Hoelscher, K. E. Till (eds), *Textures of Place. Exploring Humanist Geographies*. Minneapolis / London: University of Minnesota Press, 2001; D. Seamon, 'Lived Emplacement and the Locality of Being: A Return to Humanistic Geography?' In: S. Aitken, G. Valentine (eds.), *Approaches to Human Geography. Philosophies, Theories, People and Practices*, 2nd edition, London: Sage, 2015, გვ. 35-48.

518 ფენომენოლოგიური გეოგრაფია სწავლობს მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესს სივრცობრივ კონტექსტებში. ფენომენოლოგი გეოგრაფების აზრით, ფენომენოლოგიას შეუძლია, პასუხი გასცეს შეკითხვებს, თუ რას ნიშნავს ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე და თუ რას ნიშნავს სახლის ქონა. ფენომენოლოგიური გეოგრაფია, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „სასიცოცხლო სამყაროს“ (*Lebenswelt, Lifeworld*) ცნებაზე, რომელიც გამოცდილების წინარეფიქსურ განზომილებას მოიცავს. სივრცე დინამიკური კონტინუუმი, სადაც სუბიექტი ცხოვრობს და მნიშვნელობებს ეძიებს. ამრიგად, სივრცის მხოლოდ გეომეტრიული აღწერა არასაკმარისია ადამიანური გამოცდილების გასაგებად. ა. ბუტიმერი თვლის, რომ ფენომენოლოგიის მეშვეობით შესაძლებელია იმ დუალიზმის დაძლევა, რომელიც არსებობს სუბიექტურ და რეპრეზენტაციულ სივრცეებს შორის. იხ. A. Buttimer, 'Grasping the Dynamism of Lifeworld'. *Annals of the Association of American Geographers*, 66 (1976), გვ. 281. ფენომენოლოგიური მიდგომის შესახებ იხ. E. Relph, *Place and Placelessness*. London: Pion Press, 1976; მისივე, *Rational Landscapes and Humanistic Geography*. London: Croom Helm, 1981; D. Seamon, *A Geography of the Lifeworld. Movement, Rest and Encounter*. London: Croom Helm, 1979; J. Pickles, *Phenomenology, Science and Geography. Spatiality and the Human Sciences*. Cambridge: Cambridge University Press, 1985; D. Seamon, R. Mugerauer (eds), *Dwelling, Place and Environment*. Dordrecht: Martinus Nijhoff, 1985; D. Seamon (ed.), *Dwelling, Seeing, and Designing: Toward a Phenomenological Ecology*. Albany, NY: State University of New York Press, 1993; R. Mugerauer, *Interpretations on Behalf of Place. Environmental Displacements and Alternative Responses*. Albany: State University of New York Press, 1994; I. L. Stefanovic, *Safeguarding Our Common Future. Rethinking Sustainable Development*. Alba-

გრაფიების კრიტიკის ობიექტი გახდა. ჰუმანისტი გეოგრაფების მიერ ადგილი აღიქმებოდა არა როგორც უბრალო წერტილი სივრცეში, არამედ როგორც მნიშვნელობის მქონე ცენტრი და ადამიანის ემოციური მიჯაჭვულობის ობიექტი. თავის შრომებში ჩინური წარმომავლობის ამერიკელი გეოგრაფი ი-ფუ ტუანი იკვლევს ადგილის მნიშვნელობას ადამიანისთვის და ადგილების აღქმის თავისებურებებს. ტუანმა ბაშლიარის მიერ შემოტანილი „ტოპოფილის“ ცნება ანგლო-საქსურ გეოგრაფიაში დაამკვიდრა. სუბიექტის მიერ ადგილების აღქმის პროცესზე ყურადღება გაამახვილეს ფენომენოლოგიური გეოგრაფიის წარმომადგენლებმა. მათგან აღსანიშნავია ედუარდ რელფი, რომელიც თავის კლასიკურ ნაშრომში „ადგილი და უადგილობა“ (1976 წ.) განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ადგილის იდენტობა, ადგილების აღქმა, უადგილობის გაჩენა და ა. შ. ჰუმანისტური და ფენომენოლოგიური გეოგრაფიის კვლევების შემდეგ ადგილის ცნებამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა და ის მყარად დამკვიდრდა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში. ადგილის შესახებ თეორიული რეფლექსიები გაჩნდა ისეთ განსხვავებულ გეოგრაფიულ მიდგომებშიც, როგორებიცაა რადიკალური გეოგრაფია (დ. ჰარვი) და ფემინისტური გეოგრაფია (ჯ. როუზი).

ადგილების შესახებ არსებული თეორიები, შესაძლებელია, რამდენიმე ჯგუფში მოვაქციოთ. მაგალითად, ტიმ კრესველი ადგილის შესახებ არსებულ თეორიებს სამ ჯგუფად ჰყოფს: 1. **დესკრიფციული** მიდგომები ყურადღებას ამახვილებენ ადგილების უნიკალურობასა და თავისთავადობაზე. რეგიონალური გეოგრაფების იდეოგრაფიული მიდგომები ამ ჯგუფის თეორიებს მიეკუთვნება; 2. **სოციალური კონსტრუქციონიზმი** ფოკუსირებულია ადგილების საფუძველმდებარე სოციალურ პროცესებზე და ის აერთიანებს ისეთ განსხვავებულ მიდგომებს, როგორებიცაა მარქსიზმი, ფემინიზმი და პოსტსტრუქტურალიზმი; 3. **ფენომენოლოგიური მიდგომა** დაინტერესებულია ადამიანის ექსისტენციით იმდენად, რამდენადაც ის კავშირშია ადგილთან. ამ მიდგომაში გაერთიანებულია ჰუმანისტური გეოგრაფია, ნეო-ჰუმანისტური და ფენომენოლოგიური ფილოსოფიები.⁵¹⁹ ჯონ ეგნიუ ადგილის შესახებ არსებულ თეორიებში ოთხ ძირითად მიმართულებას გამოყოფს: ნეომარქსისტულს, ჰუმანისტურს, ფემინის-

ny: State University of New York Press, 2000; D. Seamon, 'Place Attachment and Phenomenology: The Synergistic Dynamism of Place'. In: L. Manzo, P. Devine-Wright (eds.), *Place Attachment: Advances in Theory, Methods and Research*, New York: Routledge/Francis & Taylor, 2014, გვ. 11-22;

519 იხ. T. Cresswell, *Place. A Short Introduction*. London: Blackwell Publishing, 2004, გვ. 51.

ტურს და პერფორმატიულს.⁵²⁰ თავად ადგილის სტრუქტურაში ეგნიუსამ ელემენტს გამოყოფს. ესენია **მდებარეობა (location)**, **მოქმედების ადგილი (locale)** და **გრძნობა ადგილის მიმართ (sense of place)**. მდებარეობა აღნიშნავს ადგილს სივრცეში, რომელსაც თავისი კოორდინატები გააჩნია და რომელიც სხვა ადგილებიდან გარკვეული მანძილებითაა დაცილებული. მოქმედების ადგილი არის ის ველი, სადაც ყოველდღიური მოქმედებები ვითარდება. მოქმედების ადგილი განსაზღვრავს იმას, თუ როგორ გამოიყურება ესა თუ ის ადგილი (სახლები, ეკლესიები, ქუჩები, პარკები და ა. შ. მოქმედების ადგილს განეკუთვნება). ადგილის მიმართ გრძნობა აღნიშნავს იმ გრძნობებსა და მნიშვნელობებს, რომლებსაც კონკრეტული ადგილი აღძრავს. ეს მნიშვნელობები, შესაძლოა იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე, კოლექტიურიც. გარდა ამისა, ეგნიუს ჩამოთვლის ადგილის სხვა თვისებებსაც: ა). ადგილები არ არის იზოლირებული ერთეულები. ისინი სხვადასხვა გეოგრაფიული მასშტაბის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ქსელების შემადგენლობაში შედიან; ბ). მობილობა არ უქმნის საფრთხეს ადგილებს. პირიქით, ის მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ზოგიერთი ადგილის ბუნებას (მოგზაურები, მიგრანტები და ნომადები განსაზღვრავენ საკუთარ ადგილებს).⁵²¹ დაბოლოს, ეგნიუსთვის, როგორც გეოგრაფისთვის უფრო მნიშვნელოვანია ადგილის კონკრეტული ზეგავლენების შესწავლა, ვიდრე ადგილის ბუნების შესახებ აბსტრაქტული თეორიების ჩამოყალიბება. „ადგილი არის მეტა-კონცეპტი, რომელიც კონკრეტული ადგილების შესახებ კონკრეტული ისტორიების მოყოლის საშუალებას გვაძლევს.“⁵²² თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ადგილის შესახებ აბსტრაქტულმა, ფილოსოფიურმა განაზრებებმა გამოიწვია ადგილის ცნების რეაქტუალიზება საზოგადოებრივ გეოგრაფიაში და ამას ეგნიუსც აღიარებს.⁵²³ ადგილის „კონკრეტული ისტორიების“ შესწავლის აუცილებლობა განსაკუთრებით მაშინ ხდება აქტუალური, როდესაც, ადგილის ცნების მნიშვნელობის შესახებ თეორიული განაზრებების მხრივ სიმწირე არ გვხვდება.

ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი **ანრი ლეფევრი (1901-1991 წწ.)** თავის შრომებში ურბანიზაციისა და სოციალური სივრცის შესახებ არა ადგილების, არამედ სივრცის შესახებ საუბრობ-

520 იხ. J. A. Agnew, 'Space and Place'. In: J. A. Agnew, D. N. Livingstone (eds.), *The Sage Handbook of Geographical Knowledge*. London: Sage Publications, 2011, გვ. 324.

521 იქვე, გვ. 326-327; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 7-8.

522 იხ. J. A. Agnew, *Space and Place*, გვ. 318.

523 იქვე, გვ. 321-322.

და.⁵²⁴ თუმცა, მისი შეხედულებების განხილვა აუცილებელია, რადგან ლეფევერის შეხედულებები სივრცის შესახებ დღესაც საკმაოდ აქტუალურია სოციალურ მეცნიერებებში და მისი აზრები, პირდაპირ თუ ირიბად, გავლენას ახდენს იმ მკვლევარებზე, რომლებიც სივრცისა და ადგილების თემატიკით არიან დაინტერესებული.

ლეფევერი მიიჩნევდა, რომ გეოგრაფიული სივრცე, თავისი არსებით, სოციალური სივრცეა. სოციალური სივრცე სოციალური პროდუქტია.⁵²⁵ ეს ლეფევერის ერთ-ერთ ცენტრალურ დებულებას წარმოადგენს. ლეფევერი მიიჩნევდა, რომ „სივრცე თავისთავად“ არ არსებობს. სივრცე ინარმოება, ის წარმოების პროდუქტია. სივრცეს და დროს ლეფევერი რელაციურად გაიაზრებს. ამ გაგების თანახმად, სივრცე და დრო არ წარმოადგენენ წმინდად მატერიალურ ფაქტორებსა თუ აპრიორულ კონცეპტებს. სივრცე და დრო, ლეფევერის მიხედვით, სოციალური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია.⁵²⁶

სივრცე კონტროლის, დომინირებისა და ძალაუფლების საშუალებას წარმოადგენს. **ყოველი საზოგადოება, წარმოების ყოველი წესი, თავის საკუთარ სივრცეს წარმოშობს.**⁵²⁷ ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სივრცეები მხოლოდ კონკრეტული საზოგადოების კონტექსტში შეიძლება გაგიაზროთ. ამრიგად, დროსა და სივრცეს არა მხოლოდ რელაციური, არამედ ისტორიული ბუნებაც აქვთ.⁵²⁸ მაგრამ სოციალური სივრცის წარმოების პროცესი არსებითად განსხვავდება საქონელწარმოების პროცესისაგან, რადგან სივრცე მრავალ განსხვავებულ ობიექტსა და მათ შორის არსებულ მიმართებებს მოიცავს. სივრცე მოიცავს ობიექტებს, თუმცა თავად არ არის მატერიალური ობიექტი. ის ობიექტებს შორის არსებული მიმართებების ერთობლიობაა. შესაბამისად, სოციალური სივრცეები ერთმანეთს განმსჭვალავს.⁵²⁹

სივრცის წარმოების პროცესში ლეფევერი გამოყოფს სამ მო-

524 იმ ნაშრომებიდან, რომლებიც სივრცეს ეხება, ყველაზე მნიშვნელოვანია „სივრცის წარმოება“. იხ. H. Lefebvre, *La production de l'espace*, Paris: Anthropos, 1974.

525 იხ. H. Lefebvre, *The Production of Space*. Translated by D. Nicholson-Smith. Oxford: Blackwell, 1991, გვ. 26.

526 იხ. C. Schmid, 'Henri Lefebvre's Theory of the Production of Space. Towards a three-dimensional dialectic'. In: K. Goonewardena, S. Kipfer, R. Milgrom, C. Schmid (eds). *Space, Difference. Everyday Life. Reading Henri Lefebvre*. New York: Routledge, 2008, გვ. 28-29.

527 იხ. H. Lefebvre, *The Production of Space*, გვ. 31.

528 იხ. C. Schmid, Henri Lefebvre's Theory of the Production of Space. Towards a three-dimensional dialectic, გვ. 29.

529 იხ. R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 103.

მენტს, რომლებიც ერთმანეთს დიალექტიკურად უკავშირდებიან: 1. სივრცობრივი პრაქტიკა; 2. სივრცის რეპრეზენტაციები და 3. რეპრეზენტაციული სივრცეები. საზოგადოების სივრცობრივი პრაქტიკა (ყოველდღიური ინტერაქციები და კომუნიკაციური პროცესები, სანარმოო და საბაზრო ურთიერთობები) საზოგადოების სივრცის წარმოშობს: ის ქმნის კონკრეტულ ადგილებსა და სივრცობრივ მიმართებებს, რომლებიც მოცემული სოციალური ფორმაციისთვისაა დამახასიათებელი. სივრცობრივი პრაქტიკა სოციალური ფორმაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს. სივრცის რეპრეზენტაციებში ლეფვერი გულისხმობს კონცეპტუალიზებულ სივრცეს, რომელიც მეცნიერების, დამგეგმავების, ურბანისტების, ტექნოკრატებისა და სოციალური ინჟინრების სივრცეა და მის პროდუქტებს – სივრცის დეფინიციებს, აღწერებს და თეორიებს სივრცის შესახებ. აქვე შედის რუკები, გეგმები, სურათებით და ზოგადად, ნიშნების მეშვეობით გადმოცემული ინფორმაცია. აღნიშნული რეპრეზენტაციების წარმოქმნაში დიდი წვლილი მიუძღვის არქიტექტურას, დაგეგმარებასა და სოციალურ მეცნიერებებს, განსაკუთრებით – გეოგრაფიას. დაბოლოს, რეპრეზენტაციული სივრცეები სივრცის სიმბოლურ განზომილებას ქმნის. ეს უშუალო ურთიერთობების სივრცეა, რომელიც სიმბოლიზითა და მნიშვნელობებითაა დატვირთული. სივრცის სიმბოლოები, შესაძლოა, ბუნებიდან იყოს აღებული (ხეები, მნიშვნელოვანი ადგილები ბუნებაში და ა.შ.) ან ადამიანთა მიერ იყოს შექმნილი (შენობები, ძეგლები). აღნიშნული ცნებით ლეფვერი უპირისპირდება როგორც ცალსახად მატერიალისტურ ანალიზს (რომელსაც ყველაფერი მხოლოდ სივრცობრივ პრაქტიკებზე დაჰყავს), ასევე, იდეალისტურ ინტერპრეტაციას, რომელიც პოლიტიკურ განზომილებას უგულვებლყოფს.⁵³⁰

აღნიშნული კონცეპტები დიალექტიკურ მიმართებაში არიან ერთმანეთთან. ისტორიული ეპოქისა და წარმოების წესის შესაბამისად, ამ კონცეპტების ესა თუ ის კომბინაცია კონკრეტული სოციალური სივრცის პროდუქციას ემსახურება. ლეფვერის აზრით, ეს შესაძლებლობას გვაძლევს, შევისწავლოთ სივრცის ისტორია არა მხოლოდ

530 იხ. H. Lefebvre, *The Production of Space*, გვ. 38-39; C. Schmid, Henri Lefebvre's Theory of the Production of Space. Towards a three-dimensional dialectic, გვ. 36-37; S. Elden, 'Space I'. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, 2009, vol. 10, გვ. 265. ქ. შმიდის მიხედვით, ლეფვერის აღნიშნულ სამწევრა სტრუქტურას საფუძვლად უდევს მისი თეორია ენის შესახებ, რომელზეც დიდია ნიცშეს გავლენა. იხ. C. Schmid, Henri Lefebvre's Theory of the Production of Space, გვ. 34-36.

სივრცობრივი პრაქტიკების ჭრილში, არამედ სივრცის რეპრეზენტაციების ისტორიებიც, მათი ურთიერთმიმართება და კავშირი იდეოლოგიებთან.⁵³¹

ზემოთ მოცემულ სამწევრა დიალექტიკურ სტრუქტურას (სივრცობრივი პრაქტიკა, სივრცის რეპრეზენტაციები და რეპრეზენტაციული სივრცეები) ლეფვერი უთანადებს სამ ფენომენოლოგიურ კონცეპტს. ესენია: **აღქმული** (le perçu) სივრცე, **მოაზრებული** (le conçu) სივრცე და **განცდილი** (le vécu) სივრცე. აღქმული სივრცე ყოველდღიური ინტერაქციებისა და პერცეფციის სივრცეა. პერცეფცია (ხედვა, ყნოსვა და ა.შ.) ნებისმიერი სოციალური პრაქტიკის წინაპირობას წარმოადგენს. მოაზრებული სივრცე ექსპერტების (კარტოგრაფების, დამგეგმავების და ა.შ.) „საკუთრებას“ წარმოადგენს, ხოლო განცდილი სივრცე ისეთი სივრცეა, სადაც ცხოვრება⁵³² განიცდება და შეიგრძნობა და რომლის განცდაშიც ხელოვნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აქ ლეფვერზე გავლენა მოახდინეს მ. ჰაიდეგერის, გ. ბაშლიარის, მ. მერლო-პონტისა და ფ.-ჰ. სარტრის შეხედულებებმა.⁵³³

ამრიგად, სივრცის წარმოების პროცესში ლეფვერი სამ მომენტს გამოყოფს: მატერიალური წარმოება, ცოდნის წარმოება და მნიშვნელობის წარმოება. ქ. შმიდის მიხედვით, აქედან ნათელია, რომ ლეფვერს არ აინტერესებს „სივრცე თავისთავად“ ან სივრცეში ობიექტებს შორის არსებული მიმართებები. სივრცე ნეიტრალური ფენომენი კი არ არის, რომელშიც ადამიანები მოქმედებენ, არამედ ის განუწყვეტილად პროდუცირდება, რეპროდუცირდება და განიცდება აქტორების მიერ. ანალიზის ობიექტად სწორედ კონკრეტულ დროში მიმდინარე წარმოების პროცესი უნდა იქცეს.⁵³⁴

531 იხ. R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 104.

532 შდრ. „ცხოვრების“ ცნება მ. ჰაიდეგერთან. იხ. ქვეთავი 3.4.

533 იხ. H. Lefebvre, *The Production of Space*, გვ. 39-40; C. Schmid, Henri Lefebvre's Theory of the Production of Space, გვ. 37-40; R. Shields, 'Henri Lefebvre'. In: P. Hubbard, R. Kitchin (eds.), *Key Thinkers on Space and Place*. London: Sage Publications, 2011, გვ. 281.

534 იხ. C. Schmid, Henri Lefebvre's Theory of the Production of Space, გვ. 41. სივრცესთან მიმართებაში ლეფვერის შეხედულებების ანალიზისათვის იხ., ასევე, S. Elden, *Understanding Henri Lefebvre. Theory and the Possible*. London: Continuum, 2004; მისივე, 'Between Marx and Heidegger: Politics, Philosophy, and Lefebvre's *The Production of Space*'. *Antipode*, 36 (2004), გვ. 86-105; C. Schmid, *Stadt, Raum und Gesellschaft: Henri Lefebvre und die Theorie der Produktion des Raumes*. Stuttgart: Steiner, 2005; K. Goonewardena, S. Kipfer, R. Milgrom, C. Schmid (eds). *Space, Difference. Everyday Life*. Reading

ლეფვერისგან განსხვავებით, ფრანგი ისტორიკოსი, სოციოლოგი და კულტურის ფილოსოფოსი **მიშელ დე სერტო** (1925-1986 წწ.) ადგილებისა და სივრცეების ანალიზისას ყურადღებას ამახვილებს არა სივრცის წარმოების მექანიზმებზე, არამედ თავად მოქმედ სუბიექტებზე ანუ „მომხმარებლებზე“, უფრო სწორედ, მათი მოქმედების „ტაქტიკებზე“. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „ყოველდღიურობის გამოგონება. ტომი 1: დამზადების ხელოვნება“ (1980 წ.),⁵³⁵ რომლის მიზანია, გააანალიზოს სუბიექტთა ქცევის მოდელები. ამ სუბიექტთა დაქვემდებარებული სტატუსი საზოგადოების შიგნით შენიღბულია იმ ტერმინით („მომხმარებლები“), რომლებითაც მათ მოიხსენებენ ხოლმე.⁵³⁶

Henri Lefebvre. New York: Routledge, 2008; D. Gregory, *Geographical Imaginations*. Cambridge, MA: Blackwell, 1994, გვ. 382 და შმდ.; E. W. Soja, *Postmodern Geographies. The Reassertion of Space in Critical Social Theory*. London: Verso, 1989, გვ. 47-51; მისივე, *Thirdspace. Journeys to Los Angeles and Other Real-and-Imagined Places*. Cambridge, MA: Blackwell, 1996, გვ. 26 და შმდ.; E. Menideta, 'The Production of Urban Space in the Age of Transnational Metropolises. Lefebvre's Rhythmanalysis or Henri Lefebvre: the Philosopher of May '68'. *City: analysis of urban trends, culture, theory, policy, action*, 12 (2008), გვ. 148-153; L. Stanek, *Henri Lefebvre on Space Architecture, Urban Research, and the Production of Theory*. Minneapolis: University of Minnesota Press, 2011; S. Kipfer, P. Saberi, T. Wieditz, 'Henri Lefebvre: Debates and Controversies'. *Progress in Human Geography*, 37 (2012), გვ. 115-134. იხ., ასევე, A. Merrifield, *Henri Lefebvre. A Critical Introduction*. London: Routledge, 2006; L. Stanek, C. Schmid, Á. Moravánszky (eds.), *Urban Revolution Now. Henri Lefebvre in Social Research and Architecture*. Farnham: Ashgate, 2014. სივრცისა და ადგილების შესახებ სოციოლოგიური პერსპექტივებისათვის იხ. M. Löw, *Raumsoziologie*, Frankfurt am Main: Suhrkamp, 2001; J. Urry, 'The Sociology of Space and Place'. In: J. R. Blau (ed.), *The Blackwell Companion to Sociology*. Oxford: Blackwell, 2004, გვ. 3-15; M. Schroer, *Räume, Orte, Grenzen. Auf dem Weg zu einer Soziologie des Raums*, Frankfurt am Main: Suhrkamp, 2006; A. Zieleniec, *Space and Social Theory*. London: Sage, 2007; S. Rau, *Räume. Konzepte, Wahrnehmungen, Nutzungen*. Frankfurt am Main: Campus Verlag, 2013.

535 იხ. M. de Certeau, *L'Invention du Quotidien*. Vol. 1: *Arts de Faire*. Paris: Union générale d'éditions, 1980.

536 იხ. M. de Certeau, *The Practice of Everyday Life*. Translated by S. Rendall. Berkeley, CA: University of California Press, 1988, გვ. xi-xii. თუმცა, ეს დაქვემდებარებული სტატუსი, დე სერტოს აზრით, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პასიურები არიან და უპირობოდ ემორჩილებიან არსებულ წესრიგს (იქვე, გვ. xii). ასეთი წინააღმდეგობის ნიმუშად დე სერტოს მოჰყავს ამერიკელ ინდიელთა მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელმა კოლონიზატორებმა დაიმორჩილეს ინდიელები, ამ უკანასკნელებმა მაინც მოახ-

დე სერტო განიხილავს მ. ფუკოს მიერ „ზედამხედველობა და სასჯელში“⁵³⁷ გაანალიზებულ დისციპლინარულ პრაქტიკებს და აღნიშნავს, რომ „ძალაუფლების მიკროფიზიკა“ უპირატესობას ანიჭებს დისციპლინის წარმომქმნელ მექანიზმებს. მაგრამ თუკი დისციპლინარული პრაქტიკები უფრო და უფრო ყოველსომომცველი ხდება, დე სერტოს აზრით, მით უფრო მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ როგორ ენიანალმდეგება მთელი საზოგადოება ასეთ ძალაუფლებრივ მექანიზმებს, თუ როგორ ხდება ყოველდღიურობაში მიკროსკოპული კონტრ-მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც ეფექტურად უსხლტებიან დისციპლინარული კონტროლის ტექნოლოგიებს ისე, რომ არ გადიან მათი მოქმედების ველიდან. ამ კონტრ-მექანიზმების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა პრაქტიკულად ამოუწურავია, მომხმარებლები გარდაქმნიან სოციოკულტურული წარმოების ტექნიკების მიერ ორგანიზებულ სივრცეს. დე სერტოს მიზანია, აჩვენოს იმ ინდივიდებისა თუ ჯგუფების მოქმედების ფარული ფორმები, რომლებიც უკვე იმყოფებიან დისციპლინარული პრაქტიკების ქსელში. მომხმარებელთა ეს პროცედურები და ხრიკები, დე სერტოს აზრით, თავის მხრივ, ანტი-დისციპლინის ქსელს აყალიბებს.⁵³⁸

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია დე სერტოს მიერ შემოტანილი განსხვავება „სტრატეგიასა“ და „ტაქტიკას“ შორის. სტრატეგია ძალაუფლებრივ მიმართებებს უკავშირდება. როდესაც გარკვეული სუბიექტი (მესაკუთრე, ქალაქი, სამეცნიერო დაწესებულება) შემოსაზღვრავს საკუთარ სივრცეს და ამ სივრცის გარეთ მდებარე სუბიექტებთან (კონკურენტები, მტრები, კვლევის „ობიექტები“) ამყარებს მიმართებას, ის სტრატეგიულ მოდელს ემყარება. აღნიშნული მოდელი საფუძვლად უდევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და მეცნიერულ რაციონალობას.⁵³⁹ სტრატეგიები ისეთი ქმედებებია, რომლებიც ყოველსომომცველი დისკურსების შექმნას ესწრაფვიან.⁵⁴⁰

რაც შეეხება „ტაქტიკას“, ის მომხმარებლებს უკავშირდება. მას,

ერხეს ის, რომ მათთვის თავს მოხვეული რიტუალები, წარმოდგენები და კანონები **საკუთარ** მიზნებს მიუხადაგვს. ამრიგად, მათთვის უცხო კულტურულ ელემენტებს ადგილობრივებმა საფუძველი გამოაცალეს არა პირდაპირი უარყოფის ან შეცვლის გზით, არამედ მათი იმ მიზნებისათვის გამოყენებით, რომლებიც უცხო იყო კოლონიზატორებისათვის. „შესაბამისად, ისინი ხელიდან დაუსხლტნენ [გაბატონებულ სოციალურ წესრიგს] ისე, რომ არ დაუტოვებიათ მისი საზღვრები“ (იქვე, გვ. xiii).

537 იხ. M. Foucault, *Surveiller et punir*. Paris: Gallimard, 1975.

538 იხ. M. de Certeau, *The Practice of Everyday Life*, გვ. xiv-xv.

539 იქვე, გვ. xix.

540 იქვე, გვ. 38.

ვინც ტაქტიკას ეყრდნობა, საკუთარი სივრცე არ გააჩნია. ის სხვისი სივრცის დროებით მისაკუთრებას ახდენს. თუკი სტრატეგია სივრცის გამარჯვებაა დროზე, ტაქტიკა დროის უპირატესობას გულისხმობს, რადგან სუსტი მუდამ ხელსაყრელ დროს ელოდება იმისათვის, რათა საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაცია მოახდინოს. ყოველდღიური პრაქტიკების (საუბარი, კითხვა, მოძრაობა, საქმლის მომზადება და ა.შ.) დიდი ნაწილი, დე სერტოს მიხედვით, თავისი ბუნებით, ტაქტიკურია. ისინი შეიძლება შევადაროთ „მონადირის ცბიერებას“, მანევრებს, მრავალფეროვან სიმულაციებს, რომლებიც, როგორც პოეტური, ასევე, საბრძოლო სულისკვეთებით არიან განმსჭვალული.⁵⁴¹

ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „სეირნობა ქალაქში“, დე სერტო ქალაქის მაცხოვრებელთა ყოველდღიურ ტრანექტორიებს განიხილავს. ქალაქში მოსეირნეთა „სხეულები მიუყვებიან იმ ურბანული „ტექსტის“ ზვეულებს, რომლებსაც თავად წერენ, მაგრამ რომლის ნაკითხვაც მათ არ ძალუძთ. [...] ამ მოძრავი და ურთიერთმკვეთი ნაწერების ქსელები ქმნიან მრავალგანზომილებიან ამბებს, რომლებსაც არც ავტორი ჰყავთ და არც მაცურებელი...“⁵⁴² ამ მრავალფეროვან ტრანექტორიებს, რომლებსაც მომხმარებლები ყოველდღიურად ახორციელებენ ქალაქის სივრცეში, დე სერტო უპირისპირებს ვიზუალური, პანოპტიკური ან თეორიული კონსტრუქციების „გეომეტრიულ“ სივრცეს, რომელიც მოჩვენებით მთლიანობებს ქმნის. „ურბანული ტექსტის“ ნაკითხვის ასეთი ხერხი საშუალებას გვაძლევს, დაგვემიღი და „კარგად კითხვადი“ ქალაქის შიგნით მიგრაციული და მეტაფორული ქალაქი დავინახოთ.⁵⁴³ ფეხით მოსიარულეთა აურაცხელი და ხშირად დაუგეგმავი ტრანექტორიები შესაძლოა, ტაქტიკურ ილეთებად განვიხილოთ ანუ ისეთ სივრცობრივ პრაქტიკებად, რომლებიც ხელიდან უსხლტებიან დისციპლინარული კონტროლის მექანიზმებს.⁵⁴⁴

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დე სერტო ადგილისა და სივრ-

541 იქვე, გვ. xix.

542 იქვე, გვ. 93.

543 იქვე.

544 ქალაქში მოხეტიალის, მოსეირნის პერსპექტივის უაღრესად საინტერესო და გავლენიანი აღწერა ეკუთვნის გერმანელ ფილოსოფოსს ვალტერ ბენიამინს (1892-1940 წწ.). იხ. W. Benjamin, 'Einbahnstrasse'. In: W. Benjamin, *Gesammelte Schriften*. Bd. 4. Frankfurt am Main: Suhrkamp, 1991, გვ. 83-148; მისივე, 'Berliner Kindheit um Neunzehnhundert'. In: W. Benjamin, *Gesammelte Schriften*. Bd. 4, გვ. 235-304; მისივე, 'Berliner Chronik'. In: W. Benjamin, *Gesammelte Schriften*. Bd. 6. Frankfurt am Main: Suhrkamp, 1991, გვ. 465-519.

ცის ცნებებს განსხვავებულად იყენებს. „ადგილის“ (*lieu*) ცნება მისთვის გულისხმობს წესრიგს, რომლის ფარგლებშიც ელემენტები თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე არიან განაწილებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილის ყოველ ელემენტს „საკუთარი“ მდებარეობა აქვს. ამრიგად, ადგილი, დე სერტოსთვის სტაბილურობას განასახიერებს.⁵⁴⁵ ამისგან განსხვავებით, სივრცე (*espace*) მოძრაობას, გადაადგილებას გულისხმობს. „ის მობილური ელემენტების ურთიერთკვეთისაგან შედგება. [...] სივრცე პრაქტიკაში განხორციელებული ადგილია. მაგალითად, ურბანული დაგეგმარების შედეგად გეომეტრიულად განსაზღვრული ქუჩა სივრცედ ფეხით მოსიარულეთა მემკვიდრით გარდაიქმნება.“⁵⁴⁶

ამრიგად, დე სერტოსთვის ადგილი, სამეტყველო ენის მსგავსად, წინასწარაა მოცემული და სტრუქტურირებული. მიუხედავად ამისა, მომხმარებლებს შეუძლიათ, თავიანთი პრაქტიკებით გადაადგილების კომბინაციების უსასრულო რაოდენობა განახორციელონ (ისევე, როგორც სამეტყველო ენის გამოყენების შემთხვევაში). მომხმარებელთა სივრცობრივი პრაქტიკები ტაქტიკური ხელოვნებაა (ტაქტიკის ცნების დე სერტოსეული აზრით), რომელიც ძალაუფლებისა და კონტროლის ცენტრების მიერ შექმნილ ადგილებში დისციპლინური მექანიზმებისაგან დამოუკიდებელ სივრცეებს ქმნის.⁵⁴⁷

გეოგრაფი **დევიდ ჰარვი** (დაიბ. 1935 წ.), ლეფვერის მსგავსად, ყურადღებას ამახვილებს ადგილებისა და სივრცეების საფუძველმდებარე **სოციალურ** პროცესებზე. „რა სახითაც არ უნდა არსებობდეს ადგილი, ის, დროისა და სივრცის მსგავსად, სოციალური კონსტრუქტია.“⁵⁴⁸ ამ დეფინიციის ფონზე ერთადერთი საინტერესო შეკითხვა, რომელიც ჰარვისთვის არსებობს ადგილთან მიმართებაში, ასეთია: რა სოციალური პროცესები წარმოქმნიან ადგილს?

ჰარვი მარქსისტული გეოგრაფიის წარმომადგენელია. ამიტომ იგი ადგილის ცნებას წარმოების წესის (მოცემულ შემთხვევაში, კა-

545 ადგილის ცნებას დე სერტო ი-ფუ ტუნის მსგავსად გაიაზრებს. შდრ. ქვეთავი 4.3.

546 იხ. M. de Certeau, *The Practice of Everyday Life*, გვ. 117.

547 იხ. M. Augé, *Non-Places. Introduction to an Anthropology of Supermodernity*. Translated by J. Howe. London: Verso, 1995, *passim*; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 38-39.

548 იხ. D. Harvey, 'From space to place and back again: Reflections on the condition of postmodernity'. In: J. Bird, B. Curtis, T. Putnam, G. Robertson, L. Tickner (eds.), *Mapping the Futures. Local Cultures, Global Change*. London: Routledge, 1993, გვ. 4; მისივე, *Justice, Nature and the Geography of Difference*. Cambridge, MA: Blackwell, 1996, გვ. 293-294.

პიტაგორის ნარმოების ნესის) ცნებასთან მიმართებაში განიხილავს. კაპიტალიზმი, თავისი არსებით, ტექნოლოგიურად დინამიური, ზრდაზე ორიენტირებული და, ამავე დროს, კრიზისებისადმი მიდრეკილი სისტემაა. კაპიტალის ზეჭარბი დაგროვებით გამოწვეულ კრიზისებს ის **გეოგრაფიული ექსპანსიის** მეშვეობით უმკლავდება. ეს პროცესი ორი ასპექტით ხასიათდება: 1. შესაძლოა, მოხდეს ჭარბი კაპიტალის ექსპორტი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე იმისათვის, რათა ახალი ადგილი შეიქმნას; 2. შესაძლოა, განხორციელდეს სივრცობრივი მიმართებების რევოლუცია ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებებით, რომლებიც, დროის მეშვეობით, სივრცის ანიჰილაციას ახდენენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ნარმოქმნება ადგილების ახალი ქსელები, რომლის საფუძველიც მინაზე ფიქსირებული კაპიტალია. ამ ახალი ადგილების ირგვლივ წარმოიშვება შრომის ახალი ტერიტორიული დანაწილება, ყალიბდება ადამიანთა ახალი კონცენტრაციები და იწყება რესურსების მოპოვება. რადგან ეს პროცესები თანაბრად არ ხორციელდება ყველა ადგილზე, ამიტომ ახლადწარმოქმნილი გეოგრაფიული ლანდშაფტიც არათანაბრადაა განვითარებული. არათანაბარი კაპიტალდაბანდებები სივრცეში განსხვავებების წარმოშობას უწყობს ხელს. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი მთელი რიგი დაძაბულობებით ხასიათდება, რომელთაგან უმთავრესია დაძაბულობა სპეკულატურ ინვესტიციებსა (რომლებიც კაპიტალის ერთ ადგილზე ფიქსაციით ხასიათდება) და კაპიტალის სხვა ფორმების გეოგრაფიულ მობილობას შორის. ეს **ადგილებს შორის კონკურენციასა და ანტაგონიზმს** იწვევს, რაც გამოსატყულებას პოულობს „სამომხმარებლო სპექტაკლებში, ადგილების იმიჯების გაყიდვაში, კონკურენციაში სიმბოლური და კულტურული კაპიტალის განსაზღვრების გამო და ადგილებთან დაკავშირებული ადგილობრივი ტრადიციების აღორძინებაში“.⁵⁴⁹ ადგილები ისევე იყიდება, როგორც სხვა სახის ნებისმიერი საქონელი. გლობალური კაპიტალი ადგილების ჰომოგენიზაციას უწყობს ხელს.

„ფიქსირებულობასა და მობილობას შორის არსებული დაძაბულობა ზოგადი კრიზისების სახით მაშინ ვლინდება, როდესაც ლანდშაფტი, რომელიც განვითარების გარკვეულ ფაზასთან მიმართებაშია ფორმირებული, შემდგომი აკუმულაციის შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა.“⁵⁵⁰ ეს აუცილებელს ხდის ძველი ადგილების გადაფასებასა და განადგურებას და ახალი ადგილების შექმნას, რათა ისინი თავსება-

549 იხ. D. Harvey, *From space to place and back again: Reflections on the condition of postmodernity*, გვ. 7. იხ., ასევე, D. Harvey, *Justice, Nature and the Geography of Difference*, გვ. 295-296.

550 იხ. D. Harvey, *From space to place and back again*, გვ. 6.

დობაში იყვნენ ახალ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემებთან, წარმოებისა და მოხმარების ახალ სტილთან და შეცვლილ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან. **კაპიტალიზმის ისტორია სივრცის განუწყვეტელი რეორგანიზების ისტორიაა.** ეს ისტორია ბრძოლებითა და დაპირისპირებებითაა აღსავსე, რადგან ადამიანები ხშირად იბრძვიან სოციალურად სამართლიანი ინვესტიციებისათვის. აქ ჰარვი უთითებს ლეფევრზე, რომლის თანახმად, კლასობრივი ბრძოლა ყოველთვის სივრცეშია მოქცეული ადგილების თავისებურებების არათანაბარი განვითარების გამო.⁵⁵¹

ჰარვი აკრიტიკებს ადგილების მიმართ ჰაიდეგერის მიდგომას, რომელსაც იგი ვინროდ, ნაციონალისტურად და „სხვების“ (ანუ გარკვეული ჯგუფების) გამომრიცხავად მიიჩნევს. ჰარვის აზრით, ჰაიდეგერი უარყოფს ბაზრის ან სხვა მედიუმის მეშვეობით გაშუალებული სოციალური ურთიერთობების არსებობას სხვა ადამიანებთან ან ობიექტებთან. ადგილზე მიჯაჭვულობის გრძნობისათვის პრიორიტეტის მინიჭების გამო, ვერ ხერხდება კომუნიკაციის დამყარება იმ ჯგუფებთან, რომლებსაც არ ახასიათებთ რომელიმე ადგილისადმი მიჯაჭვულობა. მაგრამ, ჰარვის აზრით, იმის გაგება რაც მოცემულ ადგილზე ხდება, შეუძლებელია იმ სივრცობრივი მიმართებების გათვალისწინების გარეშე, რომლებთანაც ამ ადგილს აქვს კავშირი.⁵⁵² ნიუ-იორკის თაიმზ-სქვერისა და რელიგიური ლიდერის ოშოს მიერ დაარსებული დასახლების, რაჯნიშპურამის ანალიზის მაგალითზე, ჰარვი აჩვენებს, რომ ადგილების შექმნის სწრაფვას განსაზღვრავს როგორც კულტურის პოლიტიკა, ასევე, ფინანსური მოგების მიღების სურვილი. ეს ორი ასპექტი ყოველთვის მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.⁵⁵³ ამ კონტექსტში „ადგილის ძალაზე“ საუბარი ჰარვის „უდიდეს ფეტიშიზმად“ მიაჩნია. ერთადერთი სწორი ანალიზი ამ მიმართულებით ისაა, რომელიც დაინტერესებულია, რატომ და რა საშუალებებით ანიჭებენ ადამიანები ადგილებს სოციალურ ძალაუფლებას და როგორ და რა მიზნებით გამოიყენება ეს ძალაუფლება ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ დიფერენცირებული ადგილების სისტემის ფარგლებში.⁵⁵⁴ ჰარვი ლეფევრის მიერ სივრცის ანალიზისთვის შემუშავებულ სქემას (სივრცობრივი პრაქტიკა, სივრცის რეპრეზენტაციები და რეპრეზენტაციული სივრცეები) ადგილებთან მიმართებაში იყენებს. ამრიგად, ადგილების კონსტრუირების პოლიტიკა დიალექ-

551 იქვე, გვ. 8.

552 იქვე, გვ. 13-14.

553 იქვე, გვ. 19-21.

554 იქვე, გვ. 21.

ქტიკურად ვრცელდება მატერიალურ, რეპრეზენტაციულ და სიმბოლურ ქმედებებზე. ინდივიდები გარკვეულ ინვესტიციებს დებენ ადგილებში (ეს ინვესტიცია შეიძლება იყოს, როგორც განუვლი შრომა, ასევე, ადგილის შენარჩუნებისთვის დაღვრილი სისხლიც) და ამ ინვესტიციების მეშვეობით მხარს უჭერენ ერთმანეთს.⁵⁵⁵

ამრიგად, ჰარვისთვის ადგილები წარმოადგენს „შინაგანად ჰეტეროგენულ, დიალექტიკურ და დინამიკურ კონფიგურაციებს“,⁵⁵⁶ რომლებიც სოციალური ძალების მიერაა კონსტრუირებული.⁵⁵⁷ გლობალური კაპიტალის მობილობა საფრთხეს უქმნის „ძველ“ ადგილებს და ადგილებს შორის მწვავე კონკურენციას წარმოშობს. ადგილების სოციალური ბუნების გასაანალიზებლად ჰარვი ლეფევრის მიერ სივრცის ანალიზისათვის შემუშავებულ სქემას ეყრდნობა. ამ სქემის თანახმად, ადგილების კონსტრუირება სოციალურ-სივრცობრივი პრაქტიკების მეშვეობით ხდება. თუმცა, ეს პროცესი შეიცავს საფრთხეს, რომ ადგილების კონსტრუირების პროცესში, მოხდეს იმ ჯგუფების სტერეოტიპიზაცია და ექსკლუზია, რომლებიც მოცემულ ადგილს არ ეკუთვნიან.⁵⁵⁸

555 იქვე.

556 იხ. D. Harvey, *Justice, Nature and the Geography of Difference*, გვ. 294.

557 ფილოსოფოსი ჯეფ მალპასი მიიჩნევს, რომ „სოციალური კონსტრუქტის“ ცნება, რომელსაც ჰარვი იყენებს, თავადაა პრობლემური. ეს კიდევ უფრო აშკარა ხდება მაშინ, როდესაც აღნიშნული ცნება მიეყენება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ადგილი, სივრცე და დრო. მალპასი მიიჩნევს, რომ ჰარვი დეტერმინიზმის მსხვერპლი ხდება: სოციალური მასთან ადგილის, სივრცისა და დროის მიღმა მდებარეობს, მაგრამ, ამავე დროს, განსაზღვრავს ადგილსაც, დროსაც და სივრცესაც. თავის მხრივ, ადგილი, დრო და სივრცე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენენ სოციალურზე. სოციალურის ცნების ასეთი რეიფიკაცია, თვლის მალპასი, ამ ცნებას რალაც ფუნდამენტურ, თუმცა, ამავე დროს, გაუგებარ და აუხსნელ ცნებად აქცევს. იხ. J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*. Cambridge / London: the MIT Press, 2006, გვ. 319. უნდა აღინიშნოს, რომ მალპასის კრიტიკა ერთობ საგულისხმოა არა მხოლოდ ჰარვის, არამედ ყველა ისეთი მიდგომის მიმართ, რომლებიც ადგილს განიხილავენ, როგორც **მხოლოდ** სოციალური ძალების ურთიერთქმედების შედეგს.

558 იხ. D. Harvey, *Justice, Nature and the Geography of Difference*, გვ. 325-326; R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 221-222; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 55-63. ტიმ კრესველის აზრით, ადგილების „ბუნებრივი“ მნიშვნელობები იმ ჯგუფების მიერაა შექმნილი, რომლებიც, სხვა ადამიანებთან შედარებით, უფრო მეტ ძალაუფლებას ფლობენ. ეს ჯგუფები განსაზღვრავენ, თუ ვის შეუძლია მოცემულ ადგილზე ყოფნა და ქცევის რა წესებია მისაღები ამა თუ იმ ადგილზე (მაგალითად,

ჰარვისაგან განსხვავებით, ინგლისელი გეოგრაფი **დორინ მასი** მიიჩნევს, რომ გლობალური პროცესები ადგილებს საფრთხეს არ უქმნის. იგი არ ეთანხმება, ასევე, ჰარვის დებულებას, რომლის თანახმად სივრცის აღქმასა და გაგებაზე წარმოების წესი ახდენს გავლენას.⁵⁵⁹ „დროისა და სივრცის შეკუმშვა“ (*time-space compression*, ჰარვის ტერმინი) განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებსა და ინდივიდებზე განსხვავებულად აისახება. ამ კონტექსტში მასი საუბრობს „**ძალაუფლების გეომეტრიის**“ (*power-geometry*) შესახებ: გარკვეული სოციალური ჯგუფები კიდევ უფრო მეტ მოგებას ნახულობენ დროისა და სივრცის შეკუმშვისა და კაპიტალის მობილობის შედეგად, თუმცა, გარკვეული ჯგუფები (მაგალითად, რიოს ფაველებში მცხოვრები ლატაკები, გვატემალელი ლტოლვილები, არალეგალი ემიგრანტი მუშები აშშ-ში და სხვ.) დაქვემდებარებულ მდგომარეობაში რჩებიან, რადგან მათ არ შეუძლიათ აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობის მიღება (მართვაზე რომ არაფერი ვთქვათ). ამრიგად, სივრცისა და მობილობის შესახებ ისეთი წარმოდგენები, რომლებიც ყველა სოციალურ ჯგუფს ერთ სიბრტყეში აქცევს, მასისთვის მიუღებელია. ასეთ წარმოდგენას ის **ადგილის არაპროგრესულ გრძნობას** უკავშირებს.⁵⁶⁰

როგორია მასის ალტერნატიული ხედვა? რას ნიშნავს **ადგილის პროგრესული გრძნობა** (*a progressive sense of place*)? ის მოაზროვნეები, რომლებიც თვლიან, რომ დროისა და სივრცის შეკუმშვა საფრთხის შემცველია, ადგილს აღიქვამენ, როგორც სტაბილურობისა და უცვლელი იდენტობის წყაროს. ჰარვის მსგავსად, მასი აკრიტიკებს ადგილის ჰაიდეგერისეულ გაგებას. ადგილებს არ გააჩნიათ ერთი, არსებითი იდენტობა თვლის მასი. გარდა ამისა, ჰაიდეგერთან დგება საზღვრების გავლების პრობლემაც: ყოველი ადგილი, გარკვეულწილად, შემოსაზღვრული უნდა იყოს.⁵⁶¹ ადგილის საკუთარი

მანანალებს და უსახლკაროებს აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებში მკაცრად ეპყრობიან). იხ. T. Cresswell, *In Place/Out of Place. Geography, Ideology, and Transgression*. Minneapolis: University of Minnesota Press, 1996; მისივე, *Place. A Short Introduction*, გვ. 27 და 102-109.

559 იხ. D. Massey, 'Power-Geometry and a Progressive Sense of Place'. In: J. Bird, B. Curtis, T. Putnam, G. Robertson, L. Tickner (eds.), *Mapping the Futures. Local Cultures, Global Change*, გვ. 61.

560 იქვე, გვ. 62-64.

561 მაღპასი სამართლიანად შენიშნავს, რომ, როგორც ჰარვი, ასევე, მასი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ჰაიდეგერის ტექსტებს. ჰარვი და მასი აკრიტიკებენ ჰაიდეგერის პოზიციას, რომელსაც მაღპასი შემოფარგლავს 1935-1947 წლებით. მაგრამ მნიშვნელოვანი შეხედულებები სივრცისა და

გაგების სადემონსტრაციოდ მასის მოჰყავს ლონდონის ერთ-ერთი უბნის, ქილბერნის მაგალითი. ქილბერნს არ გააჩნია ერთი, ფიქსირებული იდენტობა, რომელსაც ყველა მისი მაცხოვრებელი იზიარებს. ქილბერნის მოსახლეობა ეთნიკურად საკმაოდ მრავალფეროვანია, ამიტომ ეს არცაა გასაკვირი. ადამიანების მსგავსად, ადგილებსაც მრავალი იდენტობა აქვთ. მრავალი იდენტობა, შესაძლოა, იყოს როგორც მრავალფეროვნების, ასევე, კონფლიქტისა და დაძაბულობის წყაროც.⁵⁶² სწორედ ასეთი პერსპექტივიდანაა შესაძლებელი ადგილის ცნების ალტერნატიული ინტერპრეტაცია. ადგილის უნიკალურობა კონსტრუირდება სოციალურ მიმართებებს, სოციალურ პროცესებსა და აღქმებს შორის კონკრეტული ინტერაქციების შედეგად. ეს მიმართებები, პროცესები და აღქმები, თავის მხრივ, სხვა, უფრო მასშტაბურ დონეზე ყალიბდება. ასე რომ, ადგილი უნდა აღვიქვათ, როგორც კონკრეტული მომენტი სოციალური მიმართებებისა და აღქმების ქსელში, როგორც მსოფლიოს სხვა ადგილებთან და რეგიონებთან დაკავშირებული. აღნიშნულის ნათელსაყოფად მასის მოჰყავს მაგალითი ეკონომიკური გეოგრაფიიდან: ქალაქის შიდა ნაწილში არსებულ პრობლემებს (მაგალითად, სამუშაო ადგილების შემცირება) ვერ გავიგებთ მხოლოდ ქალაქის შიდა ნაწილის კვლევით. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის ამ ნაწილს უფრო ფართო გეოგრაფიულ კონტექსტში გავიაზრებთ.⁵⁶³

ზემოთ მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე მასი ავითარებს ადგილის „პროგრესულ“ კონცეპტს, რომელსაც ოთხი ძირითადი თვისება ახასიათებს: 1. ადგილის კონცეპტი არ არის სტატიკური. ადგილები უნდა გავიაზროთ, როგორც პროცესები;⁵⁶⁴ 2. ადგილებს

ადგილების შესახებ ჰაიდეგერმა გვიანდელ პერიოდში განავითარა. ჰარვისა და მასის სტრატეგია ჰაიდეგერის პოლიტიკურ ანგაჟირებაზე დაყრდნობით მისი გვიანდელი, გაცილებით მნიშვნელოვანი იდეების დისკრედიტირებას ახდენს. გარდა ამისა, ადგილისა და ცხოვრების ჰაიდეგერიული ცნებები არც ისე ექსკლუზიონისტურია, როგორც ამას ჰარვი და მასი წარმოაჩენენ (იხ. J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*, გვ. 18-20; მისივე, *Place and Experience*, გვ. 21). მალპასი მიიჩნევს, რომ საზღვრის ცნება ჰაიდეგერთან მასის არასწორად ესმის: საზღვარი ჰაიდეგერთან ნიშნავს არა რაიმეს დასასრულს, არამედ, პირიქით, – დასაწყისს. იხ. J. Malpas, *Heidegger's Topology*, გვ. 29. იხ., ასევე, ქვეთავი 3.4.

562 იხ. D. Massey, *Power-Geometry and a Progressive Sense of Place*, გვ. 66; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 73.

563 იხ. D. Massey, *Power-Geometry and a Progressive Sense of Place*, გვ. 67.

564 აღან პრედის თანახმად, „ადგილი [...] ყოველთვის გულისხმობს სივრცისა და ბუნების ათვისებასა და ტრანსფორმაციას, რაც განუყრელ კავშირშია დროსა და სივრცეში საზოგადოების რეპროდუქციასა და ტრანსფორ-

არ გააჩნიათ ისეთი საზღვრები, რომლებიც ადგილს რაღაც შემოზღუდულად აქცევს; 3. ადგილებს არ გააჩნიათ ერთი, ფიქსირებული იდენტობა. ისინი შინაგანი განსხვავებებითა და კონფლიქტებით ხასიათდებიან; 4. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი თვისება არ აკნინებს ადგილის სპეციფიკურობასა და უნიკალურობას. ადგილის სპეციფიკურობა მუდმივად რეპროდუცირდება, თუმცა ეს თავისებურება ხანგრძლივი, ინტერნალიზებული ისტორიიდან არ მომდინარეობს. ადგილის სპეციფიკურობას ხელს უწყობს გლობალიზაცია (რომელიც მხოლოდ ჰომოგენიზაციას როდი გულისხმობს), უფრო სწორედ, სოციალური ურთიერთობების გლობალიზაცია, რაც არათანაბარი გეოგრაფიული განვითარების და, შესაბამისად, ადგილების სპეციფიკურობის წყაროა.⁵⁶⁵ ადგილის სპეციფიკურობას ლოკალური და გლობალური სოციალური მიმართებების და ადგილის ისტორიის ურთიერთქმედება განსაზღვრავს, რაც ყველა ადგილს თავისებურად

მაციასთან“ (იხ. A. Pred, ‘Place as Historically Contingent Process: Structuration and the Time-Geography of Becoming Places’. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 74 (1984), გვ. 279). პრედი თვლის, რომ ჰუმანისტი გეოგრაფები ადგილს მოიაზრებენ, როგორც ინერტულსა და სტატიკურ კონცეპტს. სტრუქტურაციის თეორიის გავლენით პრედი მიიჩნევს, რომ ადგილი არის პროცესი, რომლის მეშვეობით სოციალური და კულტურული ფორმების რეპროდუქცია, ბიოგრაფიების ფორმირება და ბუნების ტრანსფორმაცია განუწყვეტილად გადის ერთმანეთში (იქვე, გვ. 282. იხ., ასევე, T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 34-35; R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 161-162).

565 კოლუმბიელი ანთროპოლოგი, არტურო ესკობარი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის ფონზე ადგილის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის, რომლებიც ადგილების „დაცვას“ ადგილთან დაკავშირებული ძველი ტრადიციების დაცვით კი არ ცდილობენ, არამედ ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბებით, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან თანამედროვეობასა და ტრანსნაციონალიზმთან. სოციალური მოძრაობების მიერ ამოქმედებული ლოკალიზაციის სტრატეგიები ტერიტორიის, ეკოლოგიისა და კულტურისადმი მიჯაჭვულობას ეყრდნობა. ეს ჯგუფები ხშირად უკავშირდებიან გლობალურ ქსელებს (მაგალითად, გაეროში), რომელთა მეშვეობით ლოკალურის მნიშვნელობას განამტკიცებენ. ეს ქსელები წარმოქმნიან „გლოკალობებს“, კულტურულ და სივრცობრივ კონფიგურაციებს, რომლებიც განსხვავებულ ადგილებს ერთმანეთთან აკავშირებს და ამის მეშვეობით რეგიონალურ სივრცეებს ქმნის. ერთი სიტყვით, არა მხოლოდ კაპიტალი ახდენს სივრცის რეორგანიზებას, არამედ ლოკალური ბრძოლებიც (ქსელების მეშვეობით). იხ. A. Escobar, ‘Culture Sits in Places: Reflections on Globalism and Subaltern Strategies of Localization’. *Political Geography*, 20 (2001), გვ. 166 და შმდ.; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 83-85.

უნიკალურს ხდის.⁵⁶⁶ ამრიგად, მასის აზრით, საჭიროა „ლოკალურის გლობალური გრძობა ანუ ადგილის გლობალური გრძობა.“⁵⁶⁷ თავის გვიანდელ ნაშრომში „სივრცისთვის“ (2005 წ.) მასიმ ადგილის შესახებ ჩამოყალიბებული დებულებები სივრცის ცნებას მიუყენა და სივრცის ჰეტეროგენული, პროგრესული პოლიტიკის აუცილებლობაზე მიუთითა.⁵⁶⁸

ჰარვისა და მასისგან განსხვავებით, განსხვავებული თვალსაზრისის მქონეა გეოგრაფი **რობერტ დევიდ სეკი**. იგი მიიჩნევს, რომ სოციალური კონსტრუქციონიზმი ისეთივე რედუქციონისტული მიდგომაა, როგორც გეოგრაფიული დეტერმინიზმი. სეკის აზრით, სოციალური კონსტრუქციონიზმი, სივრცობრივთან შედარებით, სოციალურს ანიჭებს უპირატესობას. „ასეთი დაშვება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ, საბოლოო ჯამში, სოციალური მიმართებები განსაზღვრავს მნიშვნელობებს. ეს კი არ არის დამტკიცებული.“⁵⁶⁹ სოციალური უდავოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ არა უნივერსალური. გეოგრაფიის საფუძვლად სოციალურის მიჩნევა, სეკის აზრით, მცდარია.

სეკი ავითარებს კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ადგილისა და სივრცის ძალებს, თვითობას (*self*) და განსხვავებულ პერსპექტივებს. სეკის კონცეპტუალური ჩარჩო მოხაზავს იმ დინამიკურ მიმართებებს, რომლებიც ჩარჩოს შემადგენელ ელემენტებს შორის არსებობს. ადამიანები, სეკის მიხედვით, გეოგრაფიული არსებები არიან, რომლებიც დედამიწას გარდაქმნიან და მას თავის სახლად აქცევენ. თავის მხრივ, გარდაქმნილი სამყარო

566 იხ. D. Massey, *Power-Geometry and a Progressive Sense of Place*, გვ. 68-69; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 74.

567 იხ. D. Massey, *Power-Geometry and a Progressive Sense of Place*, გვ. 70.

568 იხ. D. Massey, *For Space*. London: Sage, 2005. მასი სამ დებულებას გამოყოფს: 1. სივრცე **ურთიერთმიმართებათა პროდუქტია**. ლოკალურიდან გლობალურ დონემდე ის ინტერაქციების მეშვეობით კონსტიტუირდება; 2. სივრცე **მრავალფეროვნების** შესაძლებლობას გულისხმობს. ეს არის სფერო, სადაც განსხვავებული ტრანსფორმაციები ერთმანეთს კვეთს. სივრცის გარეშე არ არსებობს მრავალფეროვნება, ხოლო მრავალფეროვნების გარეშე – სივრცე; 3. სივრცე ყოველთვის **ქმნადობის პროცესშია**, ის არასოდეს გვევლინება დასრულებული პროდუქტის სახით (იქვე, გვ. 9). იხ., ასევე, B. Anderson, 2008. 'For Space (2005): Doreen Massey'. In: P. Hubbard, R. Kitchin, G. Valentine (eds.), *Key Texts in Human Geography*. London: Sage, 2008, გვ. 225-233.

569 იხ. R. D. Sack, 'The Geographic Problematic: Empirical Issues'. *Norwegian Journal of Geography*, vol. 55 (2001), გვ. 111; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 30-31.

გავლენას ახდენს ადამიანებზე. „ჩვენი გეოგრაფიული ბუნება გვაყალიბებს ჩვენ და ჩვენს სამყაროსაც.“⁵⁷⁰ საკუთარი გეოგრაფიული ბუნების გაცნობიერება ზრდის ჩვენი მოქმედების ეფექტურობას და განამტკიცებს ჩვენს მორალურობას. ეს პრობლემა მით უფრო აქტუალურია თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ადამიანები „გეოგრაფიულ ლევიათანებად“ იქცნენ, როდესაც მათი ქმედებები სულ უფრო და უფრო მძლავრად უცვლის სახეს დედამიწას. ასეთ ფონზე, მორალურ არსებად ყოფნა გულისხმობს საკუთარი მოქმედებების შედეგების (როგორც ლოკალური, ასევე, გლობალური მასშტაბით) გათვალისწინებას ბუნებასა და კულტურასთან მიმართებაში.⁵⁷¹

ადგილი და სივრცე, სეკის მიხედვით, არის ძალები, რომლებშიც ბუნება და კულტურა (რომელიც სოციალურ მიმართებებსა და მნიშვნელობებს მოიცავს) ერთმანეთს ერწყმის და რომელთა მეშვეობით ხდება თვითობის ფორმირება. ამ პროცესში არც ერთი კომპონენტი არ დაიყვანება სხვა კომპონენტზე. სეკი ადგილს საქსოვ დაზგას ადარებს: საქსოვი დაზგის მსგავსად, ადგილი რეალობის სხვადასხვა კომპონენტებს ერთ ტილოზე უყრის თავს. ამ კომპონენტებში სეკი გამოყოფს სამ სამყაროს: ემპირიულს, მორალურს და ესთეტიკურს, რომელთაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ემპირიულსა და მორალურს. ემპირიული და მორალური სამყაროები სამ-სამ სფეროს მოიცავს: ემპირიული სამყარო მოიცავს მნიშვნელობის, ბუნებისა და სოციალური მიმართებების სფეროებს; მორალური – ჭემმარიტების, სამართლიანობისა და ბუნებრივის სფეროებს. თითოეული ადგილი, როგორც საქსოვი დაზგა, განსხვავებულად „რთავს“ ამ ელემენტებს, რის შედეგადაც განსხვავებული ლანდშაფტები მიიღება. ამრიგად, სეკთან ადგილი როგორც მორალური,⁵⁷² ასევე, ემპი-

570 იხ. R. D. Sack, *Homo Geographicus. A Framework for Action, Awareness and Moral Concern*. Baltimore: The Johns Hopkins University Press, 1997, გვ. 1; მისივე, *The Geographic Problematic: Empirical Issues*, გვ. 111.

571 იხ. R. D. Sack, *Homo Geographicus*, გვ. 1-2. როდესაც ადამიანები არ ითვალისწინებენ საკუთარი ქმედებების შედეგებს, მაშინ ისინი ადგილებთან მიმართებაში უბრალო მომხმარებლებად იქცევიან. თავად ადგილები იქცევა ისეთ წერტილებად, სადაც მომხმარებელს განსხვავებულ პროდუქციას სთავაზობენ. უფრო დანვრილებით იხ. R. D. Sack, *Place, Consumption and Modernity*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1992.

572 „თვით უმცირესი ადგილის შექმნაც კი მორალური აქტია, რადგან ეს პროცესი მოიცავს რაღაცის განადგურებას, რაღაცის ჩართვას და რაღაცის გამორიცხვას“ (იხ. R. D. Sack, 'The Geographic Problematic: Moral Issues'. *Norwegian Journal of Geography*, vol. 55 (2001), გვ. 117). ისევე, როგორც ადგილის თეორია აჩვენებს, თუ რა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა მნიშვნელობა, ბუნება

რიული სამყაროს ცენტრად გვევლინება.⁵⁷³

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჰუმანისტური და ფენომენოლოგიური მიდგომები გეოგრაფიაში ერთგვარი საპასუხო რეაქციები იყო გეოგრაფიული დისციპლინის შიგნით რაოდენობრივი მეცნიერების დომინანტურ პოზიციაზე. ადგილებისა და სივრცეების მნიშვნელობის რეაქტუალიზება ოდნავ უფრო ადრე ფილოსოფიურ დისკურსშიც განხორციელდა და თან ისეთი მოაზროვნის მიერ, რომლისთვისაც პრინციპულად მიუღებელი იყო დისციპლინური საზღვრები. საუბარია მიშელ ფუკოსა და იმ მოვლენის შესახებ, რომელსაც მკვლევარები „სივრცობრივ შემოტრიალებას“ (*spatial turn*) უწოდებენ.⁵⁷⁴

და სოციალური მიმართებები, ასევე, ადგილის მორალური თეორია გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს მორალური მსჯელობების განხორციელება გეოგრაფიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მორალის გეოგრაფიული თეორია, სეკის აზრით, დაგვეხმარება ისეთი ადგილების შექმნაში, რომლებიც რეალობას უკეთესობისკენ გარდაქმნიან.

573 იხ. R. D. Sack, *A Geographical Guide to the Real and the Good*. London: Routledge, 2003, გვ. 41 და შმდ.; მისივე, *The Geographic Problematic: Empirical Issues*, გვ. 108 და შმდ. სეკის შეხედულებები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ფილოსოფოს ჯეფ მალპასის შეხედულებებთან. სეკი მიიჩნევს, რომ სივრცობრიობის გაგება მხოლოდ ადგილის ცნების ანალიზითაა შესაძლებელი. მალპასის შეხედულებების შესახებ იხ. ქვეთავი 4.7.

574 „სივრცობრივი შემოტრიალების“ შესახებ იხ. J. Döring, T. Thielmann (Hrsg.) *Spatial turn: das Raumparadigma in den Kultur- und Sozialwissenschaften*. Bielefeld: Transcript, 2008.

4.2. მიშელ ფუკო:

სხვა სივრცეები – უტოპიები და ჰეტეროტოპიები

უტოპიებისა და ჰეტეროტოპიების შესახებ ფუკო საუბრობს თავის ლექციაში, რომელიც მან 1967 წლის მარტში წაიკითხა. მეოცე საუკუნის დამახასიათებელ ძირითად თვისებას იგი მეცხრამეტე საუკუნის მთავარ იდეასთან შეპირისპირებით ავლენს: მეცხრამეტე საუკუნე ისტორიით იყო შეპყრობილი. მისი ძირითადი იდეები იყო განვითარება, შეფერხება, კრიზისი და ციკლი. ამისგან განსხვავებით, „თანამედროვე ეპოქა, უწინარეს ყოვლისა, სივრცის ეპოქა იქნება.“⁵⁷⁵ ფუკო მიიჩნევს, რომ ჩვენ თანადროულობის, გვერდიგვერდ თანაარსებობის, სიშორისა და სიახლოვის, ერთი სიტყვით, სივრცობრივი ცნებებით განსაზღვრულ სამყაროში ვცხოვრობთ. ჩვენ სამყაროს აღვიქვამთ არა როგორც ტემპორალურ განშლადობას, არამედ უფრო როგორც ქსელს, რომელიც სხვადასხვა ნერტილებს ერთმანეთთან აკავშირებს და, ამავე დროს, საკუთარ თავსაც გადაკვეთს. შუა საუკუნეების სივრცისაგან განსხვავებით, რომელიც ადგილების იერარქიულ ერთობლიობას (საკრალური და პროფანული, დაცული და ღია, ქალაქის და სოფლის ადგილები) წარმოადგენდა, თანამედროვე სამყაროს სივრცე მის შემადგენელ ელემენტებს შორის სიახლოვის მიმართებებით განისაზღვრება. ეს მიმართებები ფორმალურად, შესაძლოა, აღწერილ იქნეს თანმიმდევრობების, დიაგრამების ან საკოორდინატო ბადის მეშვეობით. „ჩვენს ეპოქაში სივრცე ჩვენთვის ადგილებს შორის არსებული მიმართებების სახეს იღებს.“⁵⁷⁶

მიუხედავად სივრცის დესაკრალიზაციისა, რომელსაც გალილიემ ჩაუყარა საფუძველი უსასრულო, ღია სივრცის ცნების შემოტანით,⁵⁷⁷ ჩვენს ეპოქაში მაინც რჩება სივრცეთა საპირისპირო წყვილები, რომლე-

575 იხ. M. Foucault, 'Of Other Spaces'. Translated by J. Miskowiec. *Diacritics*, 16 (1986), გვ. 22.

576 იქვე, გვ. 23.

577 ამ კონტექსტში ფუკო აღნიშნავს, რომ სივრცეს თავისი ისტორია აქვს დასავლურ გამოცდილებაში (იქვე, გვ. 22). კეისის აზრით, ეს დებულება ფუკოსთან საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სივრცის ისტორიულობის კონსტანტირება მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არ არსებობს სივრცის (და ადგილის) ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, ობიექტური აღწერა. აღნიშნული ცნებების ისტორიულობა მიუთითებს განსხვავებულ ეპოქებში მათი განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობაზე. იხ. E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 297-298.

ბიც დიდ როლს თამაშობს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ესენია პირადი და საჯარო, ოჯახური და სოციალური, კულტურული და სასარგებლო, დასვენებისა და სამუშაო სივრცეები. თავის ნაშრომებში ბაშლიარმა და ფენომენოლოგმა ფილოსოფოსებმა აჩვენეს, რომ ადამიანები არ ცხოვრობენ ჰომოგენურ და ცარიელ სივრცეში: არსებობს როგორც ოცნებების, ასევე, ვნებების სივრცეც. სივრცე მათთვის ემოციებით განმსჭვალული სივრცეა. თუმცა, ფუკო მიიჩნევს, რომ მათი ანალიზი, ძირითადად, ინტერნალურ, შიდა სივრცეს ეხებოდა. ფუკო უფრო დაინტერესებულია გარე ანუ ექსტერნალური სივრცის ცნებით.

როგორც აღვნიშნეთ, ფუკოს აზრით, ადამიანები ჰეტეროგენულ სივრცეში ცხოვრობენ. ისინი ცხოვრობენ იმ მიმართებებს შორის, რომლებიც განსხვავებულ, ერთმანეთზე არარედუციურებად ადგილებს შორის არსებობს. რა თქმა უნდა, ამ ადგილების აღწერა შესაძლებელია იმ მიმართებების ანალიზით, რომლებიც ამა თუ იმ ადგილს ახასიათებს (მაგალითად, სატრანსპორტო ადგილებისათვის დამახასიათებელი მიმართებების აღწერა). თუმცა, ფუკო განსხვავებულ სტრატეგიას ირჩევს: იგი აღწერს ისეთ ადგილებს, რომლებიც უკავშირდებიან ყველა სხვა ადგილს, მაგრამ ისე, რომ ამ დროს ისინი ანეიტრალენ ან ინვერსიას უკეთებენ იმ მიმართებების ერთობლიობას, რომელსაც თავად ასახავენ.⁵⁷⁸ ეს სივრცეები, რომლებიც სხვა სივრცეებს უკავშირდება, მაგრამ რომლებიც, ამავე დროს, წინააღმდეგობაში მოდის სხვა ადგილებთან,⁵⁷⁹ ორ ტიპად – უტოპიებად და ჰეტეროტოპიებად იყოფა. უტოპიებს რეალური ადგილი არ გააჩნიათ. ისინი ასახავენ საზოგადოების სრულყოფილ ფორმას ან პირიქით. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, უტოპიები – ეს არარეალური სივრცეებია.

578 იხ. M. Foucault, *Of Other Spaces*, გვ. 23-24.

579 ე. კეისი მიიჩნევს, რომ ფუკო არ აკეთებს მკვეთრ განსხვავებას ისეთ ცნებებს შორის, როგორებიცაა „ადგილი“ (*lieu*), „მდებარეობა“ (*emplacement*) და „სივრცე“ (*espace*). იხ. E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 300. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მართლაც ასეა. მიუხედავად ამისა, ჰეტეროტოპიები მაინც ადგილებია (უფრო სწორად, კონტრ-ადგილები). კეისისა და ფუკოს შორის განსხვავება ამკარაა: კეისი ცდილობს, ადგილის, როგორც ასეთის, ექსპლიკაციას, ხოლო ფუკო ადგილის კონკრეტულ გამოვლინებებს (მოცემულ შემთხვევაში, ჰეტეროტოპიებს) აანალიზებს. კეისის შესახებ იხ. ქვეთავი 4.6. ჰეტეროტოპიების ბუნების შესახებ იხ. S. Elden, *Mapping the Present: Heidegger, Foucault and the Project of a Spatial History*, London / New York: Continuum, 2001, გვ. 116 და შმდ.; M. Dehaene, L. De Caeter (eds.), *Heterotopia and the City. Public Space in a Postcivil Society*. London / New York: Routledge, 2008; D. Gregory, *Geographical Imaginations*, გვ. 150-151.

უტოპიებისგან განსხვავებით, ფუკოს აზრით, ყველა საზოგადოებაში არსებობს რეალური ადგილები, რომლებიც, რაღაც აზრით, კონტრ-ადგილები ანუ ეფექტურად ამოქმედებული უტოპიებია. ასეთ ადგილებში ყველა სხვა დანარჩენი ადგილი ერთდროულადაა წარმოდგენილი, ეჭვქვეშაა დაყენებული და „შეტრიალებული“. „ასეთი ტიპის ადგილები ყველა დანარჩენი ადგილის მიღმა მდებარეობს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მათი მდებარეობის ზუსტი მითითება რეალობაში.“⁵⁸⁰ ასეთ ადგილებს ფუკო **ჰეტეროტოპიებს** უწოდებს. ჰეტეროტოპიების შესწავლა უნდა მოხდეს სისტემატური აღწერის, – **ჰეტეროტოპოლოგიის**, – მეშვეობით, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში „ამ განსხვავებული სივრცეების, ამ სხვა ადგილების“ მნიშვნელობას დაადგენს. ჰეტეროტოპოლოგიის „პირველ პრინციპს წარმოადგენს დებულება, რომლის თანახმად, მსოფლიოში, ალბათ არ არსებობს კულტურა, რომელსაც ჰეტეროტოპიები არ შეექმნას.“⁵⁸¹ სწორედ ამიტომ, ჰეტეროტოპიები საკმაოდ განსხვავებულ ფორმებს იღებს, არ არსებობს ჰეტეროტოპიის უნივერსალური ფორმა. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია ორ ძირითად ტიპად: **კრიზისულ** და **დევიაციურ** ჰეტეროტოპიებად. კრიზისული ჰეტეროტოპიების ნიმუშად ფუკოს მოჰყავს ე. წ. პრიმიტიულ საზოგადოებებში არსებული საკრალური/აკრძალული ადგილები. ისინი იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც, საზოგადოების წარმოდგენით, კრიზისულ სიტუაციებში იმყოფებიან (მოზარდები, ქალები მენსტრუაციის პერიოდში, ორსული ქალები, მოხუცები და ა. შ.).⁵⁸² თანამედროვე საზოგადოებაში კრიზისული ჰეტეროტოპიები თითქმის აღარ არსებობს, თუმცა გვხვდება მისი გადმონაშთები. სკოლა-ინტერნატი მეცხრამეტე საუკუნეში და სამხედრო სამსახური ასეთ ადგილებად მიიჩნეოდა, რადგან ითვლებოდა რომ მამაკაცების სექსუალური სიმწიფის პირველი მანიფესტაციები სახლისგან „მოშორებით“ უნდა მომხდარიყო. ანალოგიური მნიშვნელობისაა, ფუკოს მიხედვით, თაფლობის თვის ტრადიცია ქალებისთვის, რადგან ამ შემთხვევაში დეფლორაცია ხდება სახლისგან „შორს“ (მა-

580 იხ. M. Foucault, Of Other Spaces, გვ. 24.

581 იქვე.

582 ხევსურეთში ადრე არსებული ე. წ. „სამრელოები“ და „საჩეხები“, სადაც ქალები მენსტრუაციის ან მშობიარობის პერიოდში იმყოფებოდნენ, კრიზისული ჰეტეროტოპიების ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ. სამრელოებისა და საჩეხების შესახებ იხ. ს. მაკალათია, „ხევსურეთი“. თბილისი: „ნაკადული“, 1984 წ., გვ. 180 და შმდ. ემპირიული კვლევებისათვის ჰეტეროტოპიის ცნების გამოსადეგობის შესახებ იხ. გ. თავაძე, „მატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, გვ. 70-71.

ტარებელში, სასტუმროში), ჰეტეროტოპიულ ადგილზე, რომელსაც გეოგრაფიული საზღვრები არ გააჩნია.⁵⁸³

თანამედროვე სამყაროში კრიზისულ ჰეტეროტოპიებს დევიაციური ჰეტეროტოპიები ანაცვლებს. ასეთ ადგილებში ათავსებენ იმ ადამიანებს, რომელთა საქციელი არღვევს დადგენილ ნორმებსა და წესებს. დევიაციური ჰეტეროტოპიების ნიმუშებია ციხეები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, მოხუცებულთა თავშესაფრები და ა. შ.

ჰეტეროტოპოლოგიის **მეორე** პრინციპის თანახმად, საზოგადოების ისტორიული განვითარების შედეგად, შესაძლოა, ჰეტეროტოპიის ფუნქციები შეიცვალოს.⁵⁸⁴ აღნიშნულ დებულებას ფუკო სასაფლაოს მაგალითზე განიხილავს. სასაფლაო ჰეტეროტოპიაა, რადგან ის საზოგადოების ყველა სხვა დანარჩენ ადგილს უკავშირდება, საზოგადოების ყველა წევრს ჰყავს სასაფლაოზე „თავისი“ მიცვალებული. თუმცა, სასაფლაოს ფუნქცია შეიცვალა. მეთვრამეტე საუკუნემდე სასაფლაო ევროპულ ქალაქებში ქალაქის ცენტრში, ეკლესიასთან ახლოს მდებარეობდა. სულის უკვდავების რწმენა ინდივიდუალური სხეულების უგულვებელყოფაში ვლინდებოდა (საერთო აკლამები და საფლავები), თუმცა, მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ ადამიანებმა თანდათან დაკარგეს უკვდავების რწმენა. შესაბამისად, გარდაცვლილ სხეულს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ. სასაფლაოზე ყველა გარდაცვლილს თავისი ინდივიდუალური ადგილი მიეკუთვნა. იმავე პერიოდიდან დაიწყო სასაფლაოების განთავსება ქალაქგარეთ. სასაფლაოები უკვე აღიქმებოდა არა როგორც ქალაქის შიდა ნაწილი, არამედ, როგორც „ცალკე ქალაქი“.⁵⁸⁵

ჰეტეროტოპოლოგიის **მესამე** პრინციპად ფუკო ასახელებს ჰეტეროტოპიის უნარს, ერთ რეალურ ადგილზე, ერთმანეთის გვერდით განათავსოს რამდენიმე შეუთავსებელი ადგილი (მაგალითად, კინოთეატრი, სადაც მაცურებელი ორგანოზომილებიან ეკრანზე სამგანზომილებიან სივრცეს ხედავს; აღმოსავლური ბაღი, რომელიც, გავრცელებული წარმოდგენის თანახმად, მიკროკოსმოსი იყო და თა-

583 იხ. M. Foucault, *Of Other Spaces*, გვ. 24-25; E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 300.

584 კეისის აზრით, ჰეტეროტოპოლოგიის პირველი და მეორე პრინციპები ურთიერთნინაალმდებლობრივია. თუკი ყველა საზოგადოებას აქვს საკუთარი ჰეტეროტოპიები და თუ შესაძლებელია, რომ ჰეტეროტოპიის ფუნქციები შეიცვალოს, ხომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჰეტეროტოპიები საერთოდ გაქრეს? იგი მიიჩნევს, რომ პირველი პრინციპის უნივერსალურობა არაა თავსებადი მეორე პრინციპის ისტორიციზმთან. იხ. E. S. Casey, *The Fate of Place*, გვ. 301.

585 იხ. M. Foucault, *Of Other Spaces*, გვ. 25.

ვის თავში სამყაროს ოთხივე მხარეს აერთიანებდა და ა. შ.). **მეოთხე** დებულების თანახმად, „ჰეტეროტოპია მაშინ იწყებს სრულად ფუნქციონირებას, როდესაც ტრადიციული დროის დინება აბსოლუტურად წყდება“.⁵⁸⁶ სასაფლაო, ამ აზრით, ნამდვილად ჰეტეროტოპიული ადგილია, რადგან იქ ინდივიდისთვის ტრადიციული დრო თავის მნიშვნელობას კარგავს. ასეთ შემთხვევაში ჰეტეროტოპია **ჰეტეროქრონიებზე** მიუთითებს. დროსთან დაკავშირებული ჰეტეროტოპიები რთული ბუნებისაა. მუზეუმები და ბიბლიოთეკები ისეთი ჰეტეროტოპიებია, რომლებიც დროს უსასრულოდ აგროვებენ და ისინი თანამედროვე ეპოქის პროდუქტებია. მათგან განსხვავებით, არსებობს ჰეტეროტოპიები, რომლებშიც დრო გასაოცარი სისწრაფით მიქრის (ბაზრის მოედნები).

ჰეტეროტოპოლოგიის **მეხუთე** პრინციპი ასეთია: ჰეტეროტოპიები ყოველთვის გულისხმობს გახსნისა და დახურვის ისეთ სისტემებს, რომლებიც ერთსა და იმავე დროს, იზოლირებას უკეთებს მათ, მაგრამ მისანვდომსაც ხდის. როგორც ნესი, ჰეტეროტოპიული ადგილი, საჯარო ადგილისაგან განსხვავებით, თავისუფლად არ მიიწვდომება. იქ შესვლა ან სავალდებულოა (მაგალითად, ყაზარმის ან ციხის შემთხვევაში), ან მხოლოდ გარკვეული წესების დაცვითაა შესაძლებელი (იმისათვის, რათა მუზეუმში შეხვიდეთ, ჯერ ბილეთი უნდა იყიდოთ). დაბოლოს, ჰეტეროტოპიები სხვა სივრცეებთან მიმართებაში ან ილუზიებს აღძრავენ (ამის ნიმუშად ფუკოს ბორდელები მიაჩნია), ან კიდევ მათ კომპენსირებას ახდენენ (მეჩვიდმეტე საუკუნეში მცხოვრები პურიტანების კოლონიები ახალ სამყაროში). თავის ლექციას ფუკო ნავის ჰეტეროტოპიულ ბუნებაზე მითითებით ასრულებს.⁵⁸⁷

ფუკოს მიერ წარმოებული ჰეტეროტოპოლოგიური ანალიზი მეტად საინტერესო პერსპექტივებს სთავაზობს საზოგადოებრივ გეოგრაფიას.⁵⁸⁸ ის ფილოსოფიური გეოგრაფიის იმ ხედვისთვისაც უაღრესად საინტერესოა, რომელიც მოცემულ ნაშრომშია ჩამოყალიბებული. საზოგადოებაში ჰეტეროტოპოლოგიური ადგილების ანალიზი მხოლოდ თეორიული განზომილებით როდი შემოიფარგლება. რადგან

586 იქვე, გვ. 26.

587 ნავის იდეის (კერძოდ, „შეშლილთა ნავის“) შესახებ იხ. მ. ფუკო, „შეშლილობის ისტორია კლასიკურ ეპოქაში“. ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ. იხ.: თ. ირემაძე, თ. ცხადაძე, გ. ხეოშვილი (რედ.), „შემეცნება და ზნეობა. ფილოსოფიური წერილები“. თბილისი: „ნეკერი“, 2012 წ., გვ. 216 და შმდ.

588 ფუკოს ნააზრევის გეოგრაფიასთან კავშირის შესახებ იხ. J. W. Crampton, S. Elden (eds), *Space, Knowledge and Power. Foucault and Geography*. Aldershot: Ashgate, 2007.

თავი IV. ადგილისა და იდენტობის ცნებები, როგორც ფილოსოფიური ...

ფუკოს მიერ აღწერილ ჰეტეროტოპიულ ადგილებს რეალური არსებობა აქვთ და რადგან ფუკო სივრცეს ადგილებს შორის არსებული მიმართებების ქსელად აღიქვამს, ჰეტეროტოპიული ადგილების ემპირიული ანალიზი სავსებით შესაძლებელი და, ამავე დროს, უაღრესად საინტერესო წამოწყება უნდა იყოს. ფილოსოფიური გეოგრაფიის ემპირიული განზომილება პრობლემათა ამ სპექტრსაც მოიცავს.

4.3. ი-ფუ ტუანი:

ჰუმანისტური გეოგრაფია – ადგილი – ტოპოფილია

ი-ფუ ტუანი (დაიბ. 1930 წ.) ჰუმანისტური გეოგრაფიის ერთ-ერთი მესაძირკველია. თავისი ხანგრძლივი აკადემიური კარიერის განმავლობაში მან არაერთი ნაშრომი დაწერა, სადაც ახლებურად გააშუქა ტრადიციული გეოგრაფიის მთელი რიგი ცნებები. მისი „ტოპოფილია“ (1974 წ.)⁵⁸⁹ და „სივრცე და ადგილი“ (1977 წ.)⁵⁹⁰ კლასიკურ ნაშრომებადაა მიჩნეული საზოგადოებრივ გეოგრაფიაში.⁵⁹¹ ტუანი გეოგრაფია, რომელიც გეოგრაფიულ საკითხებს ფილოსოფიურ ქრილში განიხილავს. ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ადგილის ცნების ახლებური შეფასება, რომელიც „სივრცისა და ადგილის“ გამოქვეყნების შემდეგ, ერთგვარ წყალგამყოფ დეფინიციად იქცა როგორც გეოგრაფიაში, ასევე, მომიჯნავე დისციპლინებშიც.⁵⁹²

ტუანი ჩინელი დიპლომატის შვილი იყო. 1948-1951 წლებში იგი ოქსფორდში სწავლობდა, ხოლო 1951 წელს ბერკლიში (აშშ) გადაინაცვლა. დოქტორის ხარისხი ტუანმა 1957 წელს მიიღო. სხვადასხვა დროს იგი მოღვაწეობდა ინდიანას, ჩიკაგოს, ნიუ-მექსიკოს, ტორონტოს, მინეაპოლისის, ვისკონსინის უნივერსიტეტებში; მიღებული აქვს საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირისა და ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ჯილდოები.⁵⁹³ მისი სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია „შიშის ლანდშაფტები“ (1979 წ.),⁵⁹⁴ „სეგმენტირებული სამყაროები და თვითობა. ჯგუფური ცხოვრება და ინდივიდუალური

589 იხ. Y.-F. Tuan, *Topophilia: A Study of Environmental Perception, Attitudes, and Values*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1974.

590 იხ. Y.-F. Tuan, *Space and Place: The Perspective of Experience*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press, 1977.

591 იხ. T. Cresswell, ‘Space and Place (1977): Yi-Fu Tuan’. In: P. Hubbard, R. Kitchin, G. Valentine (eds.), *Key Texts in Human Geography*. London: Sage, 2008, გვ. 53.

592 იხ. T. Cresswell, ‘Place’. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, 2009, vol. 8, გვ. 172.

593 იხ. T. Cresswell, ‘Yi-Fu Tuan’. In: R. Kitchin and N. Thrift (eds.), *International Encyclopedia of Human Geography*. Amsterdam: Elsevier, 2009, vol. 11, გვ. 499-500.

594 იხ. Y.-F. Tuan, *Landscapes of Fear*. New York: Pantheon Books, 1979.

ცნობიერება“ (1982 წ.),⁵⁹⁵ „კარგი ცხოვრება“ (1986 წ.),⁵⁹⁶ „მორალი და წარმოსახვა. პროგრესის პარადოქსები“ (1989 წ.),⁵⁹⁷ „კოსმოსი და კერია. კოსმოპოლიტის თვალსაზრისი“ (1996 წ.),⁵⁹⁸ „ძვირფასი კოლეგა. ჩვეულებრივი და უჩვეულო დაკვირვებები“ (2002 წ.),⁵⁹⁹ „ადამიანური სიკეთე“ (2008 წ.),⁶⁰⁰ „რელიგია. ადგილიდან უადგილობისაკენ“ (2010 წ.).⁶⁰¹

ჰუმანისტური გეოგრაფია, ტუანის მიხედვით, კრიტიკული და რეფლექსურია.⁶⁰² ის განიხილავს გეოგრაფიულ ფენომენებს იმისათვის, რათა უკეთ სწვდეს ადამიანის არსებას. შესაბამისად, დედამიანის მცოდნეობა ჰუმანისტური გეოგრაფიის საბოლოო მიზანს არ წარმოადგენს. ჰუმანისტური გეოგრაფია სწვდება ადამიანის სამყაროს ბუნებასთან ადამიანის მიმართებების, ადამიანთა გეოგრაფიული ქცევის, ასევე, სივრცისა და ადგილის მიმართ ადამიანთა გრძნობებისა და შეხედულებების შესწავლით. ჰუმანიზმი ტუანს ესმის, როგორც შეხედულებათა ერთობლიობა იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი და რა შეუძლია მას.⁶⁰³

თავიანთ კვლევებში მეცნიერები ხშირად უგულებელყოფენ ადამიანის გათვითცნობიერებისა (awareness) და ცოდნის მნიშვნელობას. „ამისგან განსხვავებით, ჰუმანისტური გეოგრაფია საგანგებოდ ცდილობს, გაიგოს თუ როგორ ვლინდება ადამიანთა გათვითცნობიერება გეოგრაფიულ ქმედებებსა და ფენომენებში.“⁶⁰⁴ სხვადასხვა გეოგრაფიული თემების (გეოგრაფიული ცოდნა, ტერიტორია და ადგილი, ადამიანთა სიმჭიდროვე, პირადი სივრცე და სხვ.) ანალიზის საფუძ-

595 იხ. Y.-F. Tuan, *Segmented Worlds and Self: Group Life and Individual Consciousness*. Minneapolis: University of Minnesota Press, 1982.

596 იხ. Y.-F. Tuan, *The Good Life*. Madison: University of Wisconsin Press, 1986.

597 იხ. Y.-F. Tuan, *Morality and Imagination: Paradoxes of Progress*. Madison: University of Wisconsin Press, 1989.

598 იხ. Y.-F. Tuan, *Cosmos and Hearth: A Cosmopolite's Viewpoint*. Minneapolis-London: University of Minnesota Press, 1996.

599 იხ. Y.-F. Tuan, *Dear Colleague: Common and Uncommon Observations*. Minneapolis: University of Minnesota Press, 2002.

600 იხ. Y.-F. Tuan, *Human Goodness*. Madison: University of Wisconsin Press, 2008.

601 იხ. Y.-F. Tuan, *Religion: From Place to Placelessness*. Chicago: Center for American Places, 2010.

602 იხ. Y.-F. Tuan, 'Humanistic Geography'. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 66 (1976), გვ. 276.

603 იქვე, გვ. 266.

604 იქვე, გვ. 267.

ველზე ტუანი აჩვენებს, რომ ჰუმანისტურ გეოგრაფიას შეუძლია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მიდგომის საფუძველზე შეისწავლოს აღნიშნული საკითხები და ხელი შეუწყოს მათ უკეთ გააზრებას. ადამიანის გამოცდილება და აზროვნება, ემოციის ინტენსივობა, ღირებულებებისა და მიმართებების ამბივალენტურობა, სიმბოლოსა და ადამიანის ინტენციების ბუნება პრობლემათა და საკითხთა ის სპექტრია, რომელიც ტრადიციული მეცნიერების მიღმა რჩება, მაგრამ რომლებითაც ჰუმანისტური გეოგრაფია ინტერესდება. მაგრამ ამ საკითხების სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელია ფილოსოფიის გარეშე. ამიტომ, „ჰუმანისტ გეოგრაფს ცხოველი ინტერესი უნდა ჰქონდეს ფილოსოფიის მიმართ.“⁶⁰⁵ თავისი საქმიანობით ჰუმანისტმა გეოგრაფმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილის გრძნობის გაღვივებას.⁶⁰⁶

1991 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „შეხედულება გეოგრაფიაზე“ ტუანი გეოგრაფიას შემდეგნაირად განსაზღვრავს: გეოგრაფია არის დედამიწის, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი სახლის, შესწავლა.⁶⁰⁷ შემდეგ ტუანი აანალიზებს ამ დეფინიციის შემადგენელ

605 იქვე, გვ. 275. ტუანი თვითონ ასახელებს რამდენიმე ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს, რომლებმაც გავლენა იქონიეს მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. ესენია: მ. მერლო-პონტი, ე. კასირერი, ს. ლანგერი და ნ. გუდმენი (იქვე).

606 იქვე. ე. რელფი აკრიტიკებდა ტუანის მიერ ჰუმანისტური გეოგრაფიის გაგებას. იგი თვლიდა, რომ ჰუმანიზმი სცდება დისციპლინის შიგნით და დისციპლინებს შორის არსებულ საზღვრებს. ამ აზრით, ჰუმანისტი გეოგრაფი შეიძლება იყოს გეომორფოლოგიც და რეგიონალური სპეციალისტიც. მიუხედავად იმისა, რომ ტუანის მიერ წამოჭრილი საკითხები და პრობლემები რელფს უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, მისი აზრით, ჰუმანისტური გეოგრაფიის მიჩნევა გეოგრაფიის ქვედისციპლინად, მცდარი იყო (იხ. E. Relph, Y.-F. Tuan, A. Buttner, 'Humanism, Phenomenology, and Geography'. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 67 (1977), გვ. 178). თუმცა, დრომ აჩვენა, რომ რელფი თავად ცდებოდა. 1978 წელს დ. ლისა და მ. სემუელსის რედაქტორობით გამოცემული კრებული „ჰუმანისტური გეოგრაფია: პერსპექტივები და პრობლემები“, იმის ნათელი დასტური იყო, რომ საზოგადოებრივ გეოგრაფიაში ახალი მიმართულება ჩამოყალიბდა. იხ. D. Ley, M. Samuels (eds.), *Humanistic Geography. Prospects and Problems*. Chicago: Maaroufa Press, 1978.

607 იხ. Y.-F. Tuan, 'A View of Geography'. *Geographical Review*, vol. 81 (1991), გვ. 99. ეს განსაზღვრება თავად ტუანს არ ეკუთვნის. იგი აღნიშნავს, რომ აღნიშნული დეფინიცია პოპულარული იყო XX ს-ის 40-50-იან წლებში (იქვე). 1975 წელს ტუანი წერდა: „გახდება თუ არა დედამიწა კაცობრიობის მშობლიური სახლი? დედამიწა ნაყოფიერი მტვრის წერტილია უსიცოცხლო კოსმოსში. ის ჩვენი ერთადერთი შესაძლებელი სახლია. სახლისა და გალავნით შემოზღუდული ქალაქის მსგავსად,

ელემენტებს: დედამიწას, ადამიანებს, სახლს. იგი თვლის, რომ სახლის ცნება ცენტრალურია გეოგრაფიისათვის. სახლი არის სივრცის ერთეული, რომელიც იმგვარადაა ორგანიზებული, რომ დააკმაყოფილოს ადამიანთა ბიოსოციალური და ესთეტიკურ-პოლიტიკური მოთხოვნები.⁶⁰⁸ სახლის ცნება გეოგრაფებს უნიკალურ პერსპექტივას სთავაზობს. დედამიწისა და ადამიანის ცნებები ამ პერსპექტივაში ერთიანდება. მთლიანობაში აღებული, ამ სამი ცნების ერთობლიობა პროგრამატულ დატვირთვას კი არ ატარებს, არამედ ის უფრო ტემპერამენტს ან ბუნებრივ მიდრეკილებას გამოხატავს. თუ გეოგრაფები მოწყდებიან ამ პერსპექტივას და მხოლოდ კვანტიფიკაციაზე გააკეთებენ აქცენტს, მაშინ ისინი ვერასოდეს გაიგებენ დედამიწას, როგორც ადამიანთა სახლს.⁶⁰⁹

დედამიწაც შემოსაზღვრული ერთეულია. იხ. Y.-F. Tuan, 'Place: An Experiential Perspective'. *Geographical Review*, vol. 65 (1975), გვ. 163-164. დედამიწის, როგორც ადამიანთა საცხოვრებელი სახლის შესახებ, იხ., ასევე, ქვეთავები 2.3 და 2.6.

608 იხ. Y.-F. Tuan, *A View of Geography*, გვ. 101-103. სახლის შესახებ იხ. ასევე, Y.-F. Tuan, *Place: An Experiential Perspective*, გვ. 154-156; მისივე, *Space and Place. The Perspective of Experience*. Minneapolis / London: University of Minnesota Press, 2001, გვ. 144-146. ვფიქრობ, რომ აქ ტუანზე გავლენა მოახდინა გ. ბაშლიარის შეხედულებებმა. რატომღაც ტუანი მას არ ასახელებს იმ ფილოსოფოსთა შორის, რომლებმაც მასზე გავლენა მოახდინეს. მაგრამ ეს გავლენა იგრძნობა ტუანის მიერ სახლის ცნების დახასიათებისას. იხ. ზემოთ დამონმებული პასაჟები. იხ., ასევე, ქვეთავი 3.7.

609 იხ. Y.-F. Tuan, *A View of Geography*, გვ. 106; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 24. სახლთან დაკავშირებით, ასევე, საინტერესოა ტუანისეული „კერიისა“ (*Hearth*) და „კოსმოსის“ (*Cosmos*) ცნებები. კერია გამოხატავს უსაფრთხოებას, ნესრიგს, დაცულობას, ხოლო კოსმოსი თავგადასავლების შესაძლებლობას, ღიაობას, რისკს. კერია და კოსმოსი, ტუანის მიხედვით, ადამიანის დუალურ ბუნებას შეესაბამება, რომელიც სხეულისა და ინტელექტისაგან შედგება. უნდა აღინიშნოს, რომ, ადგილის ცნებისაგან განსხვავებით, ტუანი კოსმოსსა და კერიას სტატიკურ ცნებებად არ განიხილავს. იგი საუბრობს „კოსმოპოლიტური კერიისა“ და „კოსმოსში, როგორც სახლში, ყოფნაზე“ (იხ. Y.-F. Tuan, *Cosmos and Hearth: A Cosmopolite's Viewpoint*, გვ. 182 და შმდ.; მისივე, 'Introduction. Cosmos versus Hearth'. In: P. C. Adams, S. Hoelscher, K. E. Till (eds), *Textures of Place. Exploring Humanist Geographies*. Minneapolis / London: University of Minnesota Press, 2001, გვ. 319-325). სახლის ის გაგება, რომელიც ჰუმანისტურ გეოგრაფიაში არსებობდა, ფემინისტური გეოგრაფიის წარმომადგენლების კრიტიკის ობიექტი გახდა. ჯ. როუზის აზრით, ჰუმანისტი გეოგრაფები სახლის მასკულინისტური ცნებით

მაგრამ სახლი ადგილია. „ადგილი არის მნიშვნელობის ცენტრი, რომელიც გამოცდილების საფუძველზე იქმნება.“⁶¹⁰ გამოცდილება განსხვავებული მასშტაბის მქონე ადგილებს ქმნის. ბუხარი და სახლი ადგილებია. მაგრამ, რაიონი, ქალაქი და თვით მთელი ერიც კი გარკვეული ადგილებია. ამ განსხვავებული ზომის ადგილებს ის საერთო აქვთ, რომ ისინი ინდივიდების ან ჯგუფებისათვის მნიშვნელობის ცენტრებს წარმოადგენენ.⁶¹¹ ადგილების შეცნობაში დიდ მნიშვნელობას თამაშობს ხელოვნება, განათლება და პოლიტიკა. ხელოვნების ნიმუშს (მაგალითად, ქანდაკებას ან ნაგებობას) შეუძლია, თავად შექმნას ადგილი. განათლება დიდ როლს ასრულებს ერის ცნების ჩამოყალიბებაში. ბავშვებს თავიდანვე ასწავლიან, რომ მათი სამშობლო და მათი ერი ისეთივე ხელშესახები ადგილია, როგორც მათი სახლი. პოლიტიკა ქმნის ადგილებს მათი ხილვადობის გაზრდით ან საერთოდ მათთვის ხილვადობის მინიჭებით. ამ პროცესში მთავრობა ეფექტურად იყენებს თავის ხელში არსებულ უზარმაზარ სიმბოლურ არსენალს (მედია, პროპაგანდა და ა. შ.).⁶¹²

ტუანისთვის ადგილი, როგორც მნიშვნელობის ცენტრი, არ არსებობს ემპირიული გამოცდილების გარეშე. მაგრამ გამოცდილება დროშია მოქცეული. შესაბამისად, ადგილის ცოდნას ამ ადგილზე ხანგრძლივად ცხოვრება და ინტენსიური ჩართულობა სჭირდება.⁶¹³

ოპერირებენ, რადგან სახლი ბევრი ქალისთვის არა სიმყუდროვისა და უსაფრთხოების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცთა დომინირების, ჩაგვრისა და ქალთა იდენტობის დათრგუნვის ცენტრია (იხ. G. Rose, *Feminism and Geography: The Limits of Geographical Knowledge*. Cambridge: Polity Press, 1993, გვ. 53 და შმდ.; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 25). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთქმული სულაც არ აკნინებს თავად სახლის, როგორც ინდივიდის ექსისტენციალური ცენტრის, მნიშვნელობას. ის გარემოება, რომ ზოგიერთი ქალისთვის სახლი ჩაგვრისა და ექსპლუატაციის კერაა, არ ნიშნავს იმას, რომ სახლი, როგორც ასეთი, ჩაგვრისა და ექსპლუატაციის კერაა და არც იმას, რომ სახლის ფემინისტური ცნება უფრო ობიექტური და სამართლიანი იქნება, ვიდრე მასკულინისტური. ამ კონტექსტში, ალბათ, მიზანშეწონილია, სახლის **ზოგადადამიანურ** ცნებაზე ვისაუბროთ.

610 იხ. Y.-F. Tuan, *Place: An Experiential Perspective*, გვ. 152.

611 იქვე, გვ. 153.

612 იქვე, გვ. 161-163.

613 თუმცა, ტუანი იქვე მიუთითებს, რომ ადამიანი, შესაძლოა, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ცხოვრობდეს ერთ ადგილზე და ის მაინც ისეთივე არარეალური იყოს მისთვის, როგორც ნაუკითხავი წიგნები მის თაროებზე. ამავე დროს, სხვა პიროვნება, შესაძლოა, უფრო ღრმად წვდეს ამ ადგილს, დაეუშვათ, ხუთი წლის ცხოვრების შემდეგ (იხ. Y.-F. Tuan,

ადგილის ცოდნა გულისხმობს მისი წარსულის ცოდნას. ეს წარსული ერთგვარად უნდა „გადადიოდეს“ პირად მოგონებებში, რათა მას საერთო წარსული ერქვას და ის ობიექტივირებული უნდა იყოს გარკვეულ საგნებში, რომელთა უშუალო აღქმაც შესაძლებელია. მაგრამ ადგილის აღსაქმელად მხოლოდ „შიდა“ პერსპექტივა არ არის საკმარისი. ხანდახან საჭიროა საკუთარ გამოცდილებაზე „გარედან“ დაკვირვება.⁶¹⁴

სივრცე ტუანის მიხედვით, აბსტრაქტულია. ის ღია და ცარიელია, ის არის შესაძლებლობა და მომავალი. ამისგან განსხვავებით, ადგილი ტუანის აზრით, სტატიკური კონცეპტია, ის წარსული და აწმყო და სტაბილურობას, მდგრადობას განასახიერებს. დედამინაც ასეთი ადგილია. ის ადამიანთა სახლია. გეოგრაფიაში არსებულ გეომეტრიულ და იდეოგრაფიულ პერსპექტივებს ემპირიული, გამოცდილებისეული პერსპექტივა უნდა დაემატოს. გამოცდილება და ადგილი განუყრელ კავშირშია ერთმანეთთან, რადგან ადგილი ადამიანების მიერ იქმნება გარკვეული მიზნებისათვის. მაგრამ ადგილი, რომ ადგილად იქცეს, მასში ცხოვრება უნდა განხორციელდეს.⁶¹⁵ ადგილზე ცხოვრება კი მის აღქმას და გაშინაგანებას ნიშნავს. ადგილს მხოლოდ მატერიალური მასალა როდი ქმნის, მას ადამიანური გათვითცნობიერების ხარისხიც აყალიბებს.⁶¹⁶ ეს გათვითცნობიერება გამოიხატება **ტოპოფილიაში**. ტოპოფილია – ეს არის ყველა იმ აფექტურ-ემოციური კავშირის ერთობლიობა, რომელიც ადამიანებს

Place: An Experiential Perspective, გვ. 164). როგორც ჩანს, აქ გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის ღიაობა ახალი გამოცდილებების მიმართ. იხ., ასევე, Y.-F. Tuan, *Space and Place. The Perspective of Experience*, გვ. 183 და შმდ.

614 იხ. Y.-F. Tuan, *Place: An Experiential Perspective*, გვ. 164; მისივე, *Topophilia. A Study of Environmental Perceptions, Attitudes, and Values*. New York: Columbia University Press, 1990, გვ. 99; მისივე, *Space and Place. The Perspective of Experience*, გვ. 18.

615 რა თქმა უნდა, აქ აშკარაა ჰაიდეგერის გავლენა. „სივრცე და ადგილის“ ეპილოგში ტუანი აღნიშნავს, რომ თანამედროვე გეოგრაფი არ ესწრაფვის „სამყაროში ყოფნის“ აღწერასა და მის გაგებას. იგი ცდილობს, ადგილისა და სივრცის შესახებ მხოლოდ ნიგნებზე და რუკებზე დაყრდნობით ისაუბროს. ტუანისთვის ამგვარი პერსპექტივა მიუღებელია. იხ. Y.-F. Tuan, *Space and Place*, გვ. 200-201.

616 იხ. Y.-F. Tuan, *Place: An Experiential Perspective*, გვ. 165; მისივე, *Space and Place*, გვ. 3; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 20. თავისი ნაშრომის – „სივრცე და ადგილი“ – უმთავრეს მიზნად ტუანი სწორედ „გაცნობიერებულობის ტვირთის გაზრდას“ (to increase the burden of awareness) მიიჩნევს. იხ. Y.-F. Tuan, *Space and Place*, გვ. 203.

აქეთ ადგილის ან ფიზიკური გარემოს მიმართ.⁶¹⁷ ის ყველაზე უკეთ და ინტენსიურად ვლინდება მცირე რეგიონებთან მიმართებაში. ტოპოფილია ვერ იარსებებს ადამიანსა და იმპერიას შორის.⁶¹⁸

„სივრცესა და ადგილში“ ტუანი მსჯელობს დიალექტიკურ დამოკიდებულებაზე სივრცესა და ადგილს შორის. შემოზღუდული და „ჭუმანიზებული“ სივრცე ადგილია. „სივრცესთან შედარებით, ადგილი დამკვიდრებული ღირებულებების მშვიდი ცენტრია. ადამიანებს სჭირდებათ როგორც სივრცე, ასევე, ადგილი. ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს დიალექტიკურ მოძრაობას თავშესაფარსა და რისკს, მიჯაჭვულობასა და თავისუფლებას შორის. ღია სივრცეში, შესაძლოა, ინტენსიურად შევიგრძნოთ ადგილი, ხოლო ადგილის საფარქვეშ, სიმარტოვეში, სივრცის უსაზღვროება მომაჯადოებელ ბუნებას იძენს.“⁶¹⁹ აქ, ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სივრცესა და ადგილში“ ტუანი ადგილის დინამიკური მოდელისკენ დგამს ნაბიჯს, თუმცა აღნიშნული ნაშრომის მეცამეტე თავში („დრო და ადგილი“) ტუანი წერს: „ადგილი მნიშვნელობის ორგანიზებული სამყაროა. ის, არსებითად, სტატიკური კონცეპტია.“⁶²⁰

მიუხედავად ამისა, ადგილის სტატიკური მოდელის შემუშავება ტუანს არსებით ნაკლად ვერ ჩაეთვლება. ადგილის, როგორც მნიშვნელობის ცენტრის გააზრება გადამწყვეტი უნდა იყოს ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის ლოკალურ დონეზე. იმდენად, რამდენადაც ადამიანები ადგილს მნიშვნელობის ცენტრად აღიქვამენ, ისინი მასთან მიმართებაში გარკვეულ ქმედებებს ახორციელებენ.⁶²¹ თუმცა,

617 იხ. Y.-F. Tuan, *Topophilia*, გვ. 4 და 93. ტუანი აქაც არ უთითებს ბაშლიარზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი ფრანგ ფილოსოფოსთან უფრო ადრე გვხვდება. იხ. ქვეთავი 3.7. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორზე ყურადღება გამამახვილეს ანგლო-საქსური გეოგრაფიის ფარგლებშიც. იხ. D. R. Stoddart, 'Topophilia'. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 76 (1986), გვ. 283. ტუანის შემოქმედების ანალიზისას მასზე გ. ბაშლიარის ზეგავლენას, ვფიქრობ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

618 იხ. Y.-F. Tuan, *Topophilia*, გვ. 101; R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 52.

619 იხ. Y.-F. Tuan, *Space and Place*, გვ. 54.

620 იქვე, გვ. 179.

621 იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი, ერთი შეხედვით, მხოლოდ ფონს ქმნის ადამიანთა ქმედებებისათვის, რომლებიც, თითქოს, სხვა სოციალურ-კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული, უფრო ღრმა ანალიზი აჩვენებს, რომ ადგილი და, ზოგადად, სივრცე, განუყოფელ კავშირშია ადამიანთა ქმედებებთან. იხ. O. F. Bollnow, *Mensch und Raum*, Stuttgart: Kohlhammer, 1963; D. Seamon, 'Body-Subject, Time-Space Routines, and Place-

თავი IV. ადგილისა და იდენტობის ცნებები, როგორც ფილოსოფიური ...

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიური გეოგრაფიის იმ ხედვაში, რომელიც მოცემულ ნაშრომშია წარმოდგენილი, არ არსებობს მკვეთრი დაპირისპირება ადგილსა და სივრცეს შორის. ადგილები წარმოქმნიან სივრცეებს, ხოლო სივრცეები ადგილებისაგან შედგებიან. ადამიანები განუწყვეტლივ მოძრაობენ ამ სივრცეებში და ადგილებში. ისინი ერთმანეთთან და ადგილებთან ურთიერთქმედებენ და ამ პროცესში მნიშვნელობებისა და იდენტობების პროდუცირებასა და რეპროდუცირებას ახდენენ.⁶²²

ადგილის ცნებისადმი ახალი მიდგომის პიონერად, ტუნთან ერთად, სამართლიანად ითვლება ედუარდ რელფი, რომელიც ე. წ. „ფენომენოლოგიური გეოგრაფიის“ წარმომადგენელია.

Ballets'. In: A. Buttimer, D. Seamon (eds.), *The Human Experience of Space and Place*. New York: St. Martin's Press, 1980, გვ. 148; T. F. Gieryn, 'A Space for Place in Sociology'. *Annual Review of Sociology*, 26 (2000), გვ. 463.

622 იხ. გ. თავაძე, „მატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, *passim*.

4.4. ედუარდ რელფი: ადგილი და უადგილობა

ედუარდ რელფის ნაშრომი „ადგილი და უადგილობა“ (1976 წ.)⁶²³ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ მასში ფენომენოლოგიური მეთოდი გამოყენებულია გეოგრაფიული პრობლემების ანალიზისათვის,⁶²⁴ რაც მნიშვნელოვანი სიახლე იყო იმ პერიოდის ანგლო-საქსურ გეოგრაფიაში,⁶²⁵ არამედ იმითაც, რომ აღნიშნულ ნაშრომში გადმოცემული კონცეპტუალური აპარატი მოქნილად აღწერს სივრცესა და ადგილს შორის დამოკიდებულებას და ისეთი ასპექტებით აშუქებს ადგილის ფენომენს, რომლებიც მეტად საინტერესოა ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის.

„ადგილსა და უადგილობაში“ რელფის მთავარი მიზანია ადგილების აღქმის განსხვავებული მოდუსების ანალიზი. ამასთან დაკავშირებით, რელფი ოთხ მნიშვნელოვან თემას გამოყოფს: 1. ადგილისა და სივრცის ურთიერთმიმართება; 2. ადგილის აღქმის განსხვავებული კომპონენტები და ინტენსივობა; 3. ადგილებისა და ადგილის მქონე ადამიანების იდენტობა; 4. ადგილის გრძნობისა და ადგილისადმი მიჯაჭვულობის როლი ადგილებისა და ლანდშაფტების შექმ-

623 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*. London: Pion Press, 1976.

624 რელფი თავად მიუთითებს, რომ მის ნაშრომში ფენომენოლოგიური მეთოდი მხოლოდ იმპლიციტურად იგულისხმება, რადგან მისი ინტერესის უმთავრეს ობიექტს ადგილის ფენომენი წარმოადგენს (იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 7). გეოგრაფიის ფენომენოლოგიური საფუძვლების შესახებ იხ. E. Relph, 'Geographical Experience and Being-in-the-World: The Phenomenological Origins of Geography'. In: D. Seamon, R. Mugerauer (eds.), *Dwelling, Place and Environment*. Dordrecht: Nijhoff, გვ. 15-32. აღნიშნულ სტატიაში რელფი საუბრობს მეცნიერული გეოგრაფიის, გეოგრაფიული გამოცდილებისა და სამყაროში ყოფნის ერთიანობის შესახებ. ლანდშაფტი, რეგიონი, სივრცე და ადგილი, რელფის თანახმად, ექსისტენციის გეოგრაფიული მოდუსებია. ეს მოდუსები, შესაძლოა, დავეუკავშიროთ როგორც მეცნიერულ ცოდნას, ასევე, სამყაროში ყოფნას. თანამედროვე სამყაროში ამ მოდუსების მიმართ რაციონალისტური, ფორმალურ-მეცნიერული დამოკიდებულება გამოცდილების უშუალოდ დაჩრდილვას იწვევს. რელფი გამოსავალს ხედავს გეოგრაფიული გამოცდილების გაცნობიერების ხარისხის ამაღლებასა და დედამიწის მრავალფეროვანი ადგილებით გამოწვეული გაცნობის ფუნდამენტური მნიშვნელობის სხვებისთვის გაზიარებაში (იქვე, გვ. 28-29). აქ რელფისთვის ამოსავალ წერტილს ჰაიდეგერის შეხედულებები წარმოადგენს (იქვე, *passim*).

625 იხ. I. L. Stefanovic, *Safeguarding Our Common Future. Rethinking Sustainable Development*. Albany: State University of New York Press, 2000, გვ. 102.

ნაში. ამ თემების გამაერთიანებელი საფუძველია დებულება, რომლის თანახმად, განსხვავებული ადგილები ამ ადგილებზე მცხოვრები ადამიანების ღრმა მიჯაჭვულობის მანიფესტაციაა და რომ ბევრი ადამიანისათვის ადგილისადმი ასეთი ღრმა მიჯაჭვულობა ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. შესაბამისად, რელფის ინტერესს წარმოადგენს ადგილის, როგორც გეოგრაფიული ფენომენის შესწავლა ყოველდღიური ადამიანური გამოცდილების ქრილში.⁶²⁶

ყოველდღიური პრაქტიკული ცოდნის ფარგლებში ადამიანებს ესაჭიროებათ გარკვეული ადგილების ცოდნა (სადაც ისინი მუშაობენ, სწავლობენ და ა.შ.). მაგრამ ადგილების პრაქტიკული ცოდნა, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ზედაპირულია და ძირითადად, ემყარება იმ ექსპლიციტურ ფუნქციებს, რომლებიც ადგილებს გააჩნიათ ადამიანებისათვის. ის, რომ ადგილის მნიშვნელობა ადამიანისათვის გაცილებით დიდია, რელფის მიხედვით, იმაში გამოიხატება, რომ ადამიანები (როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად), ცდილობენ, დაიცვან თავიანთი ადგილები გარე გამანადგურებელი ძალებისაგან. ასევე, ადამიანებს აქვთ ნოსტალგიის გრძნობა კონკრეტული ადგილების მიმართ. ადამიანად ყოფნა ნიშნავს მნიშვნელოვანი ადგილებით სავსე სამყაროში ცხოვრებას. ადამიანად ყოფნა ნიშნავს საკუთარი ადგილის ქონას და მის ცოდნას.⁶²⁷

„თუ ადგილები სამყაროში ადამიანური ექსისტენციის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, თუკი ისინი ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის უსაფრთხოებისა და იდენტობის გარანტიად გვევლინებიან, მაშინ ძალზე მნიშვნელოვანია, არ დაიკარგოს მნიშვნელოვანი ადგილების შექმნის, განცდისა და შენარჩუნების საშუალებები.“⁶²⁸ ამავდროს, მიიჩნევს რელფი, ეს საშუალებები თანდათან ქრება და მათ ადგილს იკავებს „უადგილობა“ – ადგილების განცდისა და ადგილების იდენტობების მრავალფეროვნების შესუსტება. ეს პროცესები ადამიანის ექსისტენციის გეოგრაფიულ საფუძველს ადგილებზე მიჯაჭვულობიდან უადგილობისკენ გადაწევს. ასეთი ცვლილება უალერესად არასასურველია. ამ ფონზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გააზრებას, თუ რა წარმოადგენს ადგილებისა და ადამიანების მიერ

626 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, Preface.

627 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 1. ადგილი იმითაცაა მნიშვნელოვანი ფენომენი, რომ ის გეოგრაფიული გამოცდილების საფუძველს წარმოადგენს. ადამიანის გეოგრაფიული გამოცდილება დასაბამს ადგილიდან იღებს. იხ. E. Relph, *Geographical Experience and Being-in-the-World: The Phenomenological Origins of Geography*, გვ. 27.

628 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 6.

ამ ადგილების განცდის არსებით მახასიათებლებს. ასეთი ცოდნის გარეშე ამ ადგილების შენარჩუნება, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება.⁶²⁹ მაგრამ ამ მახასიათებლების დადგენამდე რელფი აუცილებლად მიიჩნევს ადგილსა და სივრცეს შორის არსებული მიმართებების ნათელყოფას. „სივრცის განსხვავებული ფორმები კონტინუუმს ქმნის, რომლის ერთ ბოლოში უშუალო გამოცდილება, ხოლო მეორეში – აბსტრაქტული აზროვნებაა მოქცეული.“⁶³⁰ რელფი სივრცის ექვს ტიპს გამოყოფს: 1. პრაგმატული ანუ პრიმიტიული სივრცე; 2. პერცეპტუალური სივრცე; 3. ექსისტენციალური სივრცე, რომელშიც, შესაძლოა, გამოიყოს საკრალური სივრცე და გეოგრაფიული სივრცე; 4. არქიტექტურული სივრცე; 5. კოგნიტური სივრცე; 6. აბსტრაქტული სივრცე. სივრცის აღნიშნული ტიპოლოგია რელფისთვის მხოლოდ ევრისტიკული ინსტრუმენტია სივრცესა და ადგილს შორის არსებული მიმართებების უკეთ გასაგებად.⁶³¹

პრაგმატული ანუ პრიმიტიული სივრცე ინსტინქტური ქცევის სივრცეა, სადაც ადამიანები რეფლექსიის გარეშე მოქმედებენ და მოძრაობენ. ამ საფეხურზე ძნელია სივრცისა და ადგილის ერთმანეთისაგან განსხვავება. **პერცეპტუალური სივრცე** – ეს არის ეგოცენტრული სივრცე, რომელიც თითოეული ინდივიდის მიერ აღიქმება. მის ცენტრს ადამიანი, სუბიექტი წარმოადგენს.⁶³²

ექსისტენციალური სივრცე წარმოადგენს იმ სივრცის შინაგან სტრუქტურას, რომელიც ადამიანებს, როგორც კულტურული ოჯახის წევრებს, კონკრეტულ გამოცდილებაში მოეცემათ. ის ინტერსუბიექტური სივრცეა და მასში არსებული მნიშვნელობები კულტურული მნიშვნელობებია. სივრცის ამ ფორმას რელფი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ექსისტენციალური სივრცე პასიურად კი არ აღიქმება ინდივიდთა მიერ, არამედ ის განუწყვეტილად იქმნება და ტრანსფორმირდება ამ ინდივიდთა ზემოქმედების შედეგად. ექსისტენციალური სივრცის შიგნით, შესაძლოა, გამოიყოს საკრალური და გეოგრაფიული სივრცეები. პირველს რელფი ტრადიციულ, ხოლო მეორეს – დასავლურ, „ინდუსტრიულ და ტექნიკურ“ კულტურებს

629 იქვე.

630 იქვე, გვ. 8.

631 დ. სიმონის მიხედვით, რელფის თეზისი, რომლის თანახმად სივრცე ჰეტეროგენულია და განსხვავებულ გამოცდილებებს აერთიანებს, დღეს ამოსავალ წერტილადაა ქცეული გეოგრაფებისათვის საკრალური, გენდერული და სხვა ტიპის სივრცეების ანალიზისას. იხ. D. Seamon, J. Sowers, 'Place and Placelessness (1976): Edward Relph'. In: P. Hubbard, R. Kitchin, G. Valentine (eds.), *Key Texts in Human Geography*. London: Sage, 2008, გვ. 44.

632 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 8-10.

უკავშირებს. საკრალური სივრცე საკრალური ადგილების (ტაძრები, ეკლესიები, ტაბუირებული ადგილები) ირგვლივ ყალიბდება, რაც შეეხება გეოგრაფიულ სივრცეს, „ის გამოხატავს ადამიანის გამოცდილებებს და მის ინტენციონალურ კავშირებს გარემოსთან მიმართებაში. ის არის მოცემული კულტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც „ჰუმანიზებულია“ ადგილებისათვის სახელების დარქმევის საშუალებით და [...] მისი გარდაქმნით საზოგადოებრივი მოთხოვნილებების უკეთ დასაკმაყოფილებლად.“⁶³³

არქიტექტურული სივრცე მოიცავს გამიზნულ სწრაფვას სივრცის შესაქმნელად, ხოლო **კოგნიტური სივრცე** – სივრცის აბსტრაქტული კონსტრუქტია, რომელიც მიიღება სივრცის, როგორც რეფლექსიის ობიექტის აღქმით და მის შესახებ შესაბამისი თეორიების განვითარებით. კოგნიტური სივრცე ჰომოგენური, ნეიტრალური სივრცეა, რომელიც გეომეტრიაში, რუკებსა და სივრცობრივი ორგანიზაციის თეორიებში გვხვდება.⁶³⁴ **აბსტრაქტული სივრცის** ცნება ევკლიდური გეომეტრიის შეზღუდულობის გაცნობიერების შედეგად წარმოიშვა. „აბსტრაქტული სივრცე ლოგიკურ მიმართებათა სივრცეა. ის საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ სივრცე ამ აღწერების ემპირიული დასაბუთების გარეშე.“⁶³⁵

სივრცის ფორმების დახასიათების შემდეგ რელფი **ადგილის არსების** ანალიზზე გადადის. იგი განიხილავს ადგილის ისეთ ფენომენებთან მიმართებაში, როგორებიცაა მდებარეობა, ლანდშაფტი, დრო, საზოგადოება და ადგილზე ზრუნვა.

ამერიკელი ფილოსოფოსის, ს. ლანგერის მსგავსად, რელფი თვლის, რომ **მდებარეობა** არ წარმოადგენს ადგილის არსებით თვისებას. ადგილი ამა თუ იმ კულტურის მიერ განისაზღვრება, ხოლო მდებარეობა, მკაცრი კარტოგრაფიული აზრით, ადგილის შემთხვევითი თვისებაა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოშათა ბანაკი გარკვეულ ადგილზე მდებარეობს, თუმცა, ბოშათა ბანაკი **თავად** არის ადგილი, მიუხედავად მისი მდებარეობისა. ეს და სხვა მაგალითები, რელფის მიხედვით, აჩვენებს იმას, რომ **მობილობა და ნომადიზმი არ გამორიცხავს ადგილისადმი მიჯაჭვულობას**. ბრაზილიაში მცხოვრებ ბოროროს ხალხს ყოველ სამ წელიწადში თავისი სოფელი სხვა ადგილზე გადააქვს, თუმცა, ისინი ინარჩუნებენ მიჯაჭვულობის გრძნობას იმ განსხვავებული ადგილების მიმართ, სადაც ცხოვრო-

633 იქვე, გვ. 16.

634 იქვე, გვ. 24-25.

635 იქვე, გვ. 26.

ბენ.⁶³⁶ რაც შეეხება **ლანდშაფტს**, ის ადგილის ვიზუალური ასპექტის თვალსაჩინო გამოხატულებაა. ვიზუალური ასპექტი ყველა ადგილის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს.

დრო ადგილებს ცვლის. გარკვეული დროის შემდეგ, ადგილებმა, შესაძლოა, დაკარგონ თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობა. რიტუალები და ტრადიციები, რომლებიც ადგილებს უკავშირდება, განამტკიცებს ადგილის გრძნობას და ხელს უწყობს ადგილების შენარჩუნებას. როდესაც რიტუალები და მითები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, ადგილები ეფემერულები ხდებიან და ცვლილებებს ადვილად ექვემდებარებიან.⁶³⁷

საზოგადოებასა და ადგილს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. ადგილი ხელს უწყობს საზოგადოების იდენტობის განმტკიცებას და პირიქით. ლანდშაფტი, შესაძლოა, ერთობლივი რწმენებისა და ღირებულებების გამოხატულება იყოს. მბუტის პიგმეები კონგოში თავიანთი ქოხების კარებს სოფელში მცხოვრები მეგობრებისა და მტრების მიხედვით აძლევენ ორიენტაციას. კონცეპტუალურად, ჩვენ, შესაძლოა, ერთმანეთისაგან განვაცალკევოთ ადგილი და საზოგადოება, თუმცა, პრაქტიკულად ამის განხორციელება რთულია. ამ კონტექსტში ადგილები „საჯაროა“ – ისინი საერთო გამოცდილების საფუძველზე იქმნება და აღიქმება.⁶³⁸ არსებობს საჯარო ადგილის სხვა სახეობაც. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია არა ადგილისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე, არამედ იმ ფიზიკურ, თუ სიმბოლურ თვისებებზე (გამორჩეული ლანდშაფტი, მნიშვნელოვანი მოვლენა და ა. შ.), რაც ადგილს უნიკალურობას ანიჭებს. ასეთი ადგილები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ კარგავენ თავის მნიშვნელობას (მაგალითად, ნიაგარის ჩანჩქერი, აკროპოლისი). ხშირად საჯარო ადგილებს ძალაუფლების მქონენი ქმნიან საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით. ასეთი ადგილები გამოირჩევა თავისი მონუმენტურობით (გრანდიოზული სასახლეები, ცათამბჯენები, ფართო მოედნები), თუმცა მონუმენტურობა არ არის აუცილებელი. მთელი რიგი ადგილები, სადაც რეალური გადანწყვტილებები მიიღება, არ არის საჯარო (დაუნიგ სთრითის 10 ლონდონში, ოვალური კაბინეტი თეთრ სახლში და ა.შ.).⁶³⁹

ადგილების საჯარო აღქმის გარდა, ინდივიდებს ადგილებთან პირადი მიმართებები აქვთ. ადგილებთან ინდივიდუალურ-ემოციური

636 იქვე, გვ. 29-30; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 22.

637 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 30-33.

638 იქვე, გვ. 34.

639 იქვე, გვ. 35-36.

დამოკიდებულების აღსანიშნავად რელფი რეფერირებს ტუანისეულ (და ბაშლიარის მიერ დამკვიდრებულ!) „ტოპოფილიის“ ცნებაზე.⁶⁴⁰ ადგილების მიმართ ემოციური დამოკიდებულებიდან ამოიზრდება ადგილისადმი ზრუნვა და ადგილთან მიჯაჭვულობის შეგრძნება.⁶⁴¹ ადგილისადმი მიჯაჭვულობის სურვილი მნიშვნელოვან ადამიანურ მოთხოვნილებას წარმოადგენს. ის ადგილები, რომლებთანაც ადამიანები მიჯაჭვულები არიან, წარმოქმნიან გარკვეული ზრუნვის ველს. ეს ნიშნავს პასუხისმგებლობას და პატივისცემას მოცემული ადგილის მიმართ. ამ კონტექსტში რელფი რეფერირებს ჰაიდეგერზე, რომლის თანახმად, დანდობა ნიშნავს ნივთების (მოცემულ შემთხვევაში, რელფის მიხედვით, ადგილების) თავის არსებაში მინებებას, მათზე ზრუნვას მათი დაქვემდებარების გარეშე. მიჯაჭვულობა ყველაზე ბუნებრივად მშობლიურ სახლთან მიმართებაში ვლინდება. სახლი ის ადგილი კი არ არის, სადაც ადამიანი უბრალოდ ცხოვრობს, არამედ მნიშვნელობის შეუცვლელი ცენტრია. თუმცა, ადგილებთან დამოკიდებულება მხოლოდ ზრუნვასა და მიჯაჭვულობას როდი გულისხმობს. ადგილზე ცხოვრება ნიშნავს ადგილის მიღებას თავისი შესაძლებლობებითა და შეზღუდულობებით.⁶⁴² „ადგილისა და სახლის ჩვენეული გამოცდილება დიალექტიკურია. ადგილზე დარჩენის მოთხოვნილებას ადგილიდან თავის დაღწევის სურვილი აბალანსებს.“⁶⁴³

აღნიშნული მიმართებების ანალიზის შემდეგ რელფი გადადის საკუთრივ **ადგილის არსების** ანალიზზე. მისი აზრით, ადგილი მოქმედებისა და ინტენციის ცენტრია. ადგილები ადამიანის ცნობიერების ინტენციონალური სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ადგილი, შესაძლოა, ინტენციონალურად განსაზღვრული ობიექტის ან ობიექტთა ჯგუფის კონტექსტს წარმოადგენდეს, ან კიდევ თავად იყოს ინტენციის ობიექტი. ამრიგად, ადგილის არსება, რელფის თანახმად, არ ემყარება მის ფიზიკურ მდებარეობას, მის ფუნქციას, იქ მცხოვრებ საზოგადოებას, თუ ინდივიდუალურ აღქმას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოცემულობები ადგილების საერთო და, ალბათ, აუცილებელ ასპექტებს ქმნის. **ადგილის არსება, დიდწილად, მდგომარეობს არაცნობიერ ინტენციონალობაში, რომელიც ადგილებს განსაზღვრავს, როგორც**

640 იქვე, გვ. 37.

641 რელფი საუბრობს, ასევე, „ტოპოფობიის“ ცნებაზე. ტოპოფობია ადგილების ისეთი გამოცდილებაა, რომელიც არასასიამოვნო და დამთრგუნველია. იხ. E. Relph, *Geographical Experience and Being-in-the-World*, გვ. 27; D. Seamon, *A Geography of the Lifeworld. Movement, Rest and Encounter*. London: Croom Helm, 1979, გვ. 88.

642 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 38-42.

643 იქვე, გვ. 42.

ადამიანური ექსისტენციის უმნიშვნელოვანეს ცენტრებს.⁶⁴⁴

ადგილის ფენომენის გასაგებად აუცილებელია **ადგილის იდენტობის** ცნების ანალიზი. ამისათვის რელფი განიხილავს: 1. ადგილების იდენტობის შემადგენელ კომპონენტებს; 2. ინდივიდთა გარემოფობისა და ჩართულობის ფორმებსა და ხარისხს ადგილებთან მიმართებაში; 3. ადგილების იდენტობასა და ადგილების ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ხატებს შორის არსებულ კავშირებს; 4. იდენტობის განვითარების, შენარჩუნებისა და ცვლილებების გზებს.

ადგილების იდენტობას ქმნის სამი კომპონენტი: 1. სტატიკური ფიზიკური გარემო; 2. ადამიანთა ქმედებები; 3. მნიშვნელობები, რომლებიც ადგილს ენიჭება. პირველი ორი კომპონენტის აღქმა შედარებით ადვილია, მესამესი კი – არა, რადგან ადგილების მნიშვნელობები ადამიანთა ინტენციებსა და გამოცდილებებს უკავშირდება. ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტიდან არც ერთი არ დაიყვანება მეორეზე. ამავე დროს, ადგილების აღქმის დროს ისინი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.⁶⁴⁵

ამ სამი კომპონენტის გარდა, რელფი გამოყოფს ადგილის იდენტობის კიდევ ერთ ასპექტს, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ფორმალურ განსაზღვრებას. ესაა „**ადგილის სული**“ (*genius loci*). „რა თქმა უნდა, ადგილის სული მოიცავს ადგილის ტოპოგრაფიას, მის ეკონომიკურ ფუნქციებს და იმ სოციალურ აქტივობებს, რომლებიც ამ ადგილზე მიმდინარეობს, ასევე, იმ მნიშვნელობას, რომელიც ადგილს გააჩნია წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და რომელსაც ანმყოფი ინარჩუნებს – თუმცა, ადგილის სული უფრო მეტია, ვიდრე ყოველივე ამის მექანიკური ერთობლიობა. ადგილის სული, ადგილის იდენტობის განმსაზღვრელ ბაზისურ კომპონენტებში მომხდარი ძირეული ცვლილებების მიუხედავად, შესაძლოა, შენარჩუნდეს.“⁶⁴⁶

ადგილებთან მიმართებაში შესაძლებელია ჩართულობისა და გარემოფობის განსხვავებული ხარისხების არსებობა. „ადგილთან ჩართულობა ნიშნავს ამ ადგილისადმი კუთვნილებას და მასთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. [...] გარედან შეიძლება შეხედო

644 იქვე, გვ. 42-43.

645 იქვე, გვ. 47; D. Seamon, J. Sowers, *Place and Placelessness* (1976): Edward Relph, გვ. 45.

646 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 48; E. Relph, 'Modernity and the Reclamation of Place'. In: D. Seamon (ed.), *Dwelling, Seeing, and Designing: Toward a Phenomenological Ecology*. Albany, NY: State University of New York Press, 1993, გვ. 26-27 და 38. ადგილის სულის შესახებ იხ., ასევე, C. Norberg-Schulz, *Genius Loci: Towards a Phenomenology of Architecture*. New York: Rizzoli, 1985.

ადგილს ისე, როგორც მოგზაური შეხედავს ქალაქს; შიგნიდან კი ადგილს აღიქვამ, ადგილით ხარ გარშემორტყმული და მისი ნაწილი ხარ.⁶⁴⁷ ჩართულობა-გარემყოფობის დუალიზმის გათვალისწინება, რელფის მიხედვით, აუცილებელია ადგილის არსების გაგებისათვის.

ჩართულობის ხარისხების კლასიფიკაციისას რელფი ეყრდნობა სოციოლოგ პ. ბერგერის მიერ შემუშავებულ სამსაფეხუროვან სქემას. აღნიშნული სქემა ასახავს ანთროპოლოგის ჩართულობის ხარისხს იმ კულტურაში, რომელსაც იგი შეისწავლის. თავის სქემაში ბერგერი ჩართულობის შემდეგ ხარისხებს გამოყოფს: ბიჰევიორული ჩართულობა, ემფათეტური ჩართულობა და კოგნიტური ჩართულობა. აღნიშნული სქემის საფუძველზე რელფი აყალიბებს ჩართულობა-გარემყოფობის საკუთარ სქემას, რომელიც შემდეგი სახისაა: 1. ექსისტენციალური გარემყოფობა (*Existential outsideness*); 2. ობიექტური გარემყოფობა (*Objective outsideness*); 3. შემთხვევითი გარემყოფობა (*Incidental outsideness*); 4. ჩანაცვლებული ჩართულობა (*Vicarious insideness*); 5. ბიჰევიორული ჩართულობა (*Behavioural insideness*); 6. ემფათეტური ჩართულობა (*Empathetic insideness*); 7. ექსისტენციალური ჩართულობა (*Existential insideness*).

ექსისტენციალური გარემყოფობა გულისხმობს ადგილის მნიშვნელობისგან გაუცხოებულად შეგრძნებას და ადგილის მნიშვნელობების წვდომის უუნარობას. ეს არის გაცნობიერებული გაუცხოება ადგილებისა და გარემომცველი რეალობისაგან. ექსისტენციალური გარემყოფობის დროს ყველა ადგილი ერთნაირად უმნიშვნელოა. **ობიექტური გარემყოფობა** ადგილების მიმართ გაცნობიერებულად ისეთი პოზიციის მიღებაა, როდესაც ადგილები ობიექტურად, ემოციური მიმართების გარეშე, განიხილება, როგორც სივრცეში მდებარე წერტილები. ასეთი მიდგომა ახასიათებთ გეოგრაფებს, რომლებიც სივრცობრივი ორგანიზაციის საკითხებს შეისწავლიან.⁶⁴⁸

შემთხვევითი გარემყოფობა, ობიექტური გარემყოფობისაგან განსხვავებით, არსებითად, არაცნობიერი დამოკიდებულებაა, რომლის დროსაც ადგილები აღიქმება როგორც გარკვეული მოქმედებების ფონი, რომელიც სრულიად შემთხვევითია ამ მოქმედებებთან მიმართებაში. ასეთია, მაგალითად სატვირთო ავტომობილის მძღოლის დამოკიდებულება იმ ადგილების მიმართ, სადაც იგი ჩერდება. შემთხვევით გარემყოფობას ინდივიდის ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი, რადგან **რასაც** ადამიანები აკეთებენ, ხშირად გადაწონის ხოლმე იმას, თუ **სად** ხდება აღნიშნული ქმედება.⁶⁴⁹

647 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 49.

648 იქვე, გვ. 51-52; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 44.

649 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 52.

გარემყოფობის ფორმების ანალიზის შემდეგ რელიგი გადადის ჩართულობის ფორმების განხილვაზე. **ჩანაცვლებული ჩართულობის** დროს ადგილების აღქმა ხორციელდება რაიმე მედიუმის (მხატვრული ნაწარმოები, ფერწერული ტილო, მხატვრული ფილმი) მეშვეობით. ასეთ დროს განცდის ინტენსივობა დამოკიდებულია ხელოვანის ოსტატობასა და აღქმელი სუბიექტის წარმოსახვით უნარებზე. შემთხვევითი გარემყოფობისაგან განსხვავებით, **ბიჰევიორული ჩართულობის** დროს, ინდივიდი ცნობიერად აქცევს ყურადღებას ადგილის ვიზუალურ მხარეს (სად რა მდებარეობს, როგორ ქმნიან ადგილის ელემენტები ერთობლიობაში ამ კონკრეტულ ადგილს). ბიჰევიორული ჩართულობა თანდათანობით გადადის **ემფათეტურ ჩართულობაში**: ადგილის გარეგანი თვისებებიდან ყურადღება მახვილდება ემოციურ ჩართულობაზე. ემფათეტური ჩართულობა გულისხმობს არა მხოლოდ ადგილის ხედვას (ვიზუალურად აღქმული ადგილი), არამედ მისი იდენტობის შემადგენელი არსებითი ელემენტების გააზრებას. ემფათეტური ჩართულობა გულისხმობს ადგილის მნიშვნელობათა სიმდიდრის წვდომას და ადგილთან იდენტიფიცირებას.⁶⁵⁰

ექსისტენციალური ჩართულობა ჩართულობის ყველაზე ინტენსიური ფორმაა. ის გულისხმობს ადგილების მნიშვნელობის სრულად აღქმას გაუცნობიერებლად, ბუნებრივად. ექსისტენციალური ჩართულობა ნიშნავს ადგილისადმი მიკუთვნებულობას და ადგილთან მიჯაჭვულობას, რაც ადგილის ცნების საფუძველს წარმოადგენს. ექსისტენციალური ჩართულობის დროს ინდივიდი ადგილის ნაწილია და ამავე დროს, ადგილი არის ინდივიდის ნაწილი.⁶⁵¹

ადგილის იდენტობის გასაგებად მნიშვნელოვანია **ადგილის ხატის** (*image of the place*) ცნების ნათელყოფა. „ადგილის ხატი შედგება ყველა იმ ელემენტისაგან, რომლებიც ინდივიდების ან ჯგუფების გამოცდილებებსა და ადგილის მიმართ მათ ინტენციებს უკავშირდება.“⁶⁵² ადგილის ხატს გააჩნია როგორც ვერტიკალური, ასევე, ჰორიზონტალური სტრუქტურა. ვერტიკალური სტრუქტურა განცდის ინტენსივობას ასახავს და ჩართულობა/გარემყოფობის ხარისხებს შეესაბამება. ადგილის ხატის ჰორიზონტალური სტრუქტურა ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის **ადგილების ცოდნის** (*knowledge of places*) სოციალურ განაწილებას ასახავს.

სხვადასხვა ჯგუფებისათვის ერთსა და იმავე ადგილს განსხვავებული იდენტობა გააჩნია. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს გარკვეუ-

650 იქვე, გვ. 52-55.

651 იქვე, გვ. 55.

652 იქვე, გვ. 56.

ლი საერთო შეხედულება მოცემული ადგილის იდენტობის შესახებ, რომელსაც **კონსენსუალური იდენტობა** (*consensus identity*) ეწოდება. თავის მხრივ, კონსენსუალური იდენტობა საჯარო (*public identity*) და მასობრივ იდენტობებს (*mass identity*) მოიცავს. **საჯარო იდენტობა** მოცემული საზოგადოების შიგნით ყალიბდება (ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების გამოცდილებების თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე. ის წარმოადგენს კონსენსუსს ადგილის ფიზიკური თვისებებისა და სხვა კომპონენტების შესახებ. ადგილის საჯარო იდენტობა ინტერესთა ინტეგრაციის ზედაპირულ საფეხურს გამოხატავს, რომელიც ჯგუფების მიერ შექმნილი ადგილების ხატებს აერთიანებს.⁶⁵³

რაც შეეხება **მასობრივ იდენტობებს**, ისინი იმ ადამიანების მიერ იქმნება, რომლებსაც, თავიანთი ძალაუფლების მეშვეობით, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შეუძლიათ. მასობრივი იდენტობები საზოგადოებას მზა ფორმით მიეწოდება და მათი დისტრიბუცია მასმედიის საშუალებით ხორციელდება. მასობრივი იდენტობები ადგილის ყველაზე ზედაპირულ იდენტობას განასახიერებენ, რადგან არ იძლევიან ემფათეტური ჩართულობის საშუალებას და ძირს უთხრიან ექსისტენციალურ ჩართულობას. მასობრივი იდენტობები ეფუძნება ზედაპირულ და ხელოვნურ სტერეოტიპებს, რომლებიც თვითნებურად იქმნება. შესაბამისად, მასობრივი იდენტობების გავრცელებით, მასმედია ხელს უწყობს ფსევდო-ადგილებისგან შექმნილი ფსევდოსამყაროების ფაბრიკაციას და წარმოქმნის საფრთხეს, რომ რეალური ადგილების აღქმა აღნიშნული სტერეოტიპების საფუძველზე მოხდებ. ⁶⁵⁴ მასობრივი, ტრივიალური იდენტობების გავრცელებას განსაკუთრებით უწყობს ხელს ტურიზმი, რომელიც ზუსტად ისეთ ადგილებს ქმნის, რომლებიც დამსვენებელთა ოცნებებსა და მოლოდინებს შეესატყვისება. ადგილების ასეთი ფაბრიკაციის დროს იქმნება ადგილები ფსევდო-იდენტობებით, რომლებიც ინდივიდების ცნობიერებას განმსჭვალავენ.⁶⁵⁵ ადგილის მასობრივი იდენტობა ნიშნებისა და სიმბოლოების ხელოვნურად ფაბრიკირებული ერთობლიობაა. ის არ ავითარებს ადგილისადმი მიკუთვნებულობის გრძნობას და მკვეთრ წინააღმდეგობაშია ადგილების ისეთ იდენტობებთან, რომლებიც სიღრმისეული ინდივიდუალური და სოციალური გამოცდილებების საფუძველზე განვითარდა.⁶⁵⁶

„მას შემდეგ, რაც ადგილის იდენტობა ჩამოყალიბებულია ინ-

653 იქვე, გვ. 58.

654 იქვე.

655 იქვე, გვ. 59-60.

656 იქვე, გვ. 61.

დივიდის, ჯგუფის, თუ მასის მიერ, ის შენარჩუნებულია, ვიდრე ის სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას იძლევა ანუ ვიდრე მისი ლეგიტიმაცია შესაძლებელია საზოგადოების შიგნით.⁶⁵⁷ იქ, სადაც ადგილის იდენტობა საერთო სიმბოლოებსა და გამოცდილებებს ეფუძნება, ის დიდხანს შენარჩუნდება. მისგან განსხვავებით, ადგილის მასობრივი იდენტობა უფრო ფოტოებსა და ფაქტობრივ აღწერებზე რეფერირებს, ამიტომ ის უფრო სწრაფად იცვლება. ზოგადად, ადგილის იდენტობა, შესაძლოა, ორი ძირითადი მიზეზის გამო შეიცვალოს: 1. გარემო პირობების ცვლილება, რამაც, შესაძლოა მოცემული ადგილი შეუსაბამო გახადოს სოციალური ინტერაქციისათვის; 2. დამოკიდებულებებისა და შეხედულებების შეცვლა. მაგალითად, ინდუსტრიული ქალაქი, შესაძლოა, თავდაპირველად განიხილებოდეს, როგორც პროგრესის ცენტრი, მაგრამ გარემოს დაცვის მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, ის, შეიძლება, გარემოს დაბინძურების მთავარ წყაროდ მიიჩნიონ.⁶⁵⁸

მოუხედავად იმისა, რომ ყოველი ადგილი თავისებურად უნიკალურია, ისინი, ამავე დროს, გარკვეულ ასპექტებში ერთმანეთს ჰგვანან. ამის საფუძველზე რელფი გამოყოფს ადგილების იდენტობის შვიდ ტიპს, რომელთაგან ექვსი ჩართულობა-გარემყოფობის ფორმებს შეესატყვისება. ჩანაცვლებული ჩართულობის შესატყვისი ადგილის იდენტობა არ გვხვდება, მის ნაცვლად, ობიექტურ გარემყოფობასა და ექსისტენციალურ გარემყოფობას შორის მოქცეულია ადგილის მასობრივი იდენტობა. პირველი სამი ტიპი ჩართულობას გულისხმობს, ბოლო ოთხი – გარემყოფობას. საბოლოოდ, ადგილის იდენტობის ტიპები, რელფის მიხედვით, შემდეგი სახისაა: 1. ექსისტენციალური (ადგილი განიცდება და აღიქმება ცნობიერი რეფლექსიის გარეშე); 2. ემფათეტური (ადგილი წარმოადგენს კულტურული ღირებულებებისა და გამოცდილებების გამოხატულებას); 3. ბიჰევიორული (შეიძლება გავიაზროთ, როგორც საჯარო ანუ კონსენსუალური იდენტობა); 4. შემთხვევითი (ყურადღება მახვილდება ადგილის კონკრეტულ ფუნქციაზე, თავად ადგილი ფონს ქმნის); 5. ობიექტური (ადგილი განიხილება სივრცეში სხვა ადგილებთან ერთად); 6. მასობრივი (კონსენსუალური იდენტობა, რომელიც მასმედიას ემყარება. ის იდენტობის ტრივიალური, მაგრამ გავრცელებადი ფორმაა, რომელიც ინდივიდთა ცნობიერებას განმსჭვალავს); 7. ექსისტენციალურად გარე (ადგილს საერთოდ არ ენიჭება პოზიტიური

657 იქვე, გვ. 60.

658 იქვე.

მნიშვნელობა).⁶⁵⁹

ადგილის იდენტობების განხილვის შემდეგ, „ადგილი და უადგილობის“ მეხუთე თავში რელფი აანალიზებს ადგილის გრძნობას (*sense of place*). ის, შესაძლოა, იყოს აუტენტური ანუ ჭეშმარიტი, ან არააუტენტური ანუ ყალბი, ხელოვნური. ეს კატეგორიები არ არის აბსოლუტური. ისინი უფრო ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნიან. აუტენტურობა, შესაძლოა, არააუტენტურობიდან წარმოიშვას და პირიქით. ადგილის მიმართ აუტენტური გრძნობა ადგილის უშუალო განცდაა, რომელზეც გავლენას არ ახდენს შემთხვევითი სოციალური და ინტელექტუალური აღქმის შაბლონები (თუ როგორი უნდა იყოს ადგილის აღქმა). აუტენტური მიმართების დროს ადგილების იდენტობების მთელი კომპლექსი მის უშუალობაში განიცდება. აუტენტური მიმართება გულისხმობს ადგილების მნიშვნელობის სრულ წვდომას და ადგილების გააზრებას მნიშვნელობების ცენტრებად, რომლებშიც ადამიანთა აქტივობები ხორციელდება.⁶⁶⁰ აუტენტური გრძნობა ადგილისადმი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ინდივიდების იდენტობისათვის, ხოლო მათი მეშვეობით – საზოგადოებისათვის. თანამედროვე საზოგადოებაში აუტენტური გრძნობის განვითარებას ხელს უშლის გაძლიერებული მობილობა და ადგილების სიმბოლური მნიშვნელობების შესუსტება. „თუ პრიმიტიული მონადირის ან შუა საუკუნეების ხელოსნისთვის ადგილისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა მთელ მის არსებობას განმსჭვალავდა, თანამედროვე ქალაქის მაცხოვრებლისათვის ეს გრძნობა იშვიათადაა წინა პლანზე და ის, ჩვეულებრივ, ადვილად შეიძლება გაიცვალოს უკეთეს სახლზე უკეთეს სამეზობლოში.“⁶⁶¹

ადგილი, შესაძლოა, იყოს აუტენტურად შექმნილი. აუტენტურად შექმნილი ადგილი მოიცავს გაცნობიერებულ დამოკიდებულებას

659 იქვე, გვ. 61-62. ინდივიდებს, შესაძლოა, ერთი და იმავე ადგილის რამდენიმე იდენტობა ჰქონდეთ. მაგალითად, პიროვნება, შესაძლოა, თავის მშობლიურ ქალაქს ექსისტენციალური პერსპექტივიდან განიხილავდეს და, ამავე დროს, როგორც პროფესიონალმა მგემამა, ქალაქის ქუჩები და უბნები ობიექტური გარემყოფობის პერსპექტივიდან განიხილოს. გარდა ამისა, მან, ასევე, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღოს ქალაქის მასობრივი იდენტობის ჩამოყალიბებაში. ადგილის იდენტობა სტატიკური როდია. ვერც ექსისტენციალურ ჩართულობას გავუიგივებთ აუცილებლად ადგილობრივის პოზიციას. არა-ადგილობრივი, გარკვეულ ასპექტებში, შესაძლოა, უფრო წვდეს ადგილის იდენტობას და მის არსებას, ვიდრე ადგილობრივი (იქვე, გვ. 62).

660 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 63-64.

661 იქვე, გვ. 66; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 44-45.

ტრანსცენდენტურისა და ბუნებისადმი. აუტენტური ადგილის ცნების საფუძველს რელფისთვის ჰაიდეგერის ნააზრევი წარმოადგენს.⁶⁶²

არააუტენტური ადგილების აღსანიშნავად რელფი იყენებს ტერმინს „უადგილობა“ (*placelessness*). უადგილობა არის ადგილის გრძნობის დაკარგვა. უადგილობა დამოკიდებულებაა, რომელიც თანდათან უფრო და უფრო დომინანტური ხდება.⁶⁶³ ამ ფონზე, სულ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი ადგილის მიმართ ძლიერი გრძნობის ქონა და აუტენტური ადგილების შექმნა. არააუტენტურობის ასახსნელად რელფი ჰაიდეგერის „ყოფიერება და დროზე“ მიუთითებს. არააუტენტური ცხოვრების მოდუსი, ეს „სხვების“ (*das Mann*) არსებობის მოდუსია, რაც მასის ღირებულებების აღიარებას და მათ თანახმად ცხოვრებას ნიშნავს. საკუთრივ ინდივიდუალური არსებობის მოდუსი ამ დროს დაკარგულია.⁶⁶⁴ ინდუსტრიულ და მასობრივ საზოგადოებებში არააუტენტურობა ცხოვრების ჩვეულებრივ მოდუსს წარმოად-

662 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 67.

663 ფრანგი ანთროპოლოგის, მარკ ოჟეს აზრით, თანამედროვე სამყარო, რომელსაც იგი „სუპერმოდერნულობას“ უწოდებს, „არა-ადგილებს“ (*non-lieux*) წარმოშობს. არა-ადგილები (რომლებსაც ოჟე „დაუსრულებელ ადგილებსაც“ უწოდებს და რომლებშიც გულისხმობს სუპერმარკეტებს, აეროპორტებს, ჩქაროსნულ გზატკეცილებს, მეტროპოლიტენის სადგურებს და ა. შ.) მაღალი მობილობით ხასიათდება და ისინი, ძირითადად, მოგზაურებისთვისაა განკუთვნილი. არა-ადგილებს ოჟე უპირისპირებს „ანთროპოლოგიურ ადგილებს“, რომლებიც ორგანულ სოციალურობას წარმოქმნიან. ანთროპოლოგიური ადგილი ყალიბდება ინდივიდუალური იდენტობების, ენის თავისებურებების, ლოკალური რეფერენციების სისტემისა და ცხოვრების დაუნერული წესების მეშვეობით. ამისგან განსხვავებით, არა-ადგილები წარმოშობს მგზავრების, მომხმარებლებისა და მძლოლების კოლექტიურ იდენტობას, რომლებიც არა-ადგილებთან კონტრაქტუალურ მიმართებაში იმყოფებიან (მგზავრმა უნდა შეიძინოს ბილეთი, მომხმარებელმა სუპერმარკეტის რიგში უნდა დაიცადოს, მძლოელმა პარკირების წესები უნდა დაიცვას). ამრიგად, არა-ადგილები ერთგვაროვნებას წარმოქმნის, სადაც ანმყო დომინირებს. ადგილები-საგან განსხვავებით, სადაც, შესაძლოა, წარსული მძლავრად იგრძნობოდეს, არა-ადგილები ანმყოთი ცოცხლობენ. თუმცა, რელფისაგან განსხვავებით, ოჟეს დამოკიდებულება არა-ადგილების მიმართ, მკვეთრად ნეგატიური არაა. ოჟე თვლის, რომ ანთროპოლოგიამ უნდა გაიაზროს და უკეთ შეისწავლოს არა-ადგილების ფენომენი, რადგან თანამედროვე სამყაროში ადგილები და არა-ადგილები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. იხ. M. Augé, *Non-Places. Introduction to an Anthropology of Supermodernity*. Translated by J. Howe, London: Verso, 1995, გვ. 77 და შმდ.; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 45-46.

664 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 80-81.

გენს, რომლის გამოხატულებაც მასობრივი ღირებულებები და ანონ-იმური დაგეგმვაა.⁶⁶⁵

რელფი გამოყოფს ადგილისადმი არააუტენტური დამოკიდებულების ორ ძირითად ფორმას: 1. კიტჩი და 2. ტექნოლოგია (*technique*) და დაგეგმვა. კიტჩი ადგილებისადმი არაცნობიერი დამოკიდებულებაა, რომლის დროსაც ხდება მასობრივი ღირებულებების უკრიტიკო მიღება.⁶⁶⁶ რაც შეეხება ტექნოლოგიასა და დაგეგმვას, ისინი ცნობიერი დამოკიდებულებებია, რომელთა უპირველეს მიზანს ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს. ასეთი მიდგომის დროს სივრცე განიხილება, როგორც ჰომოგენური, სადაც, უბრალოდ, არ არსებობს ექსისტენციალურად მნიშვნელოვანი ადგილები.⁶⁶⁷

ადგილებისადმი არააუტენტური გრძნობის გაღვივებას, რელფის თანახმად, ყველაზე მეტად ხელს უწყობს მასმედია და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, მსხვილი ბიზნესი,⁶⁶⁸ ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება⁶⁶⁹ და ეკონომიკური სისტემა, რომელიც ამ

665 იქვე, გვ. 81-82.

666 რელფი ანალიზებს კიტჩის ზემოქმედების ქვეშ „სახლის“ ექსისტენციალური მნიშვნელობის შესუსტებას. განსაკუთრებით მტრულადაა იგი განწყობილი ტურიზმის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, ადგილისადმი არააუტენტურ დამოკიდებულებას ყველაზე ნათლად განასახიერებს. ტურისტები უფრო მეტად ესწრაფიან „ადგილების შეგროვებას“ (ფოტოაპარტის მეშვეობით), ვიდრე ადგილების განცდას (იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 83-87). ტურიზმის რელფისეული კრიტიკა საკმაოდ რადიკალურია. შეიძლება ითქვას, რომ რელფი არც კი ცდილობს, გააანალიზოს, თუ როგორ შეიძლება შეუწყოს ხელი ტურიზმმა, მაგალითად, ემფათეტიური ჩართულობის გაღვივებას. ტურიზმთან მიმართებაში მსგავსი დამოკიდებულება აქვს ი-ფუ ტუანსაც. იხ. Y.-F. Tuan, *Topophilia*, გვ. 95.

667 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 82; D. Seamon, *A Geography of the Lifeworld*, გვ. 64.

668 მოგვიანებით რელფმა ცალკე განიხილა კორპორატიზაციის ფენომენი, როგორც ადგილების იდენტობის შემცველი ძალა. იხ. E. Relph, *Modernity and the Reclamation of Place*, გვ. 28-30.

669 რელფი მიუთითებს ა. დე ტოკვილზე („ნებისმიერი ცენტრალური ხელისუფლება ეთავყვანება ერთგვაროვნებას.“ იხ. ა. დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“. ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიქემ. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011 წ., გვ. 523), რომლის თანახმად, დემოკრატია, საბოლოო ჯამში, ძალაუფლების ცენტრალიზაციას გამოიწვევს. ამის შედეგად რელფი ასკვნის: „აღბათ, ერთგვაროვნება და უადგილობა დემოკრატის ამერიკული ფორმის გარდაუვალ შედეგებს წარმოადგენს.“ იხ. E. Relph, *Place and*

ყველაფერს მოიცავს. ყოველივე ამის შედეგია უადგილობის გამოვლინებები, რომლებსაც რელიფი შემდეგნაირად აჯგუფებებს: 1. „სხვებზე“ მიმართული ადგილები: ა). ტურისტებისათვის შექმნილი ლანდშაფტი; ბ). გასართობი რაიონები; გ). კომერციული ქუჩები; დ). დისნეიფიცირებული ადგილები (ადგილები უზარმაზარი გასართობი ცენტრებით); ე). მუზეუმიფიცირებული ადგილები (ისტორიის იდეალიზაცია და რომანტიზაცია); ვ). ფუტურისტული ადგილები; 2. სტანდარტიზებული ადგილები: ა). ახალი ქალაქები და გარეუბნები, რომელთა წარმოშობა მყისიერად ხდება; ბ). ინდუსტრიულ-კომერციული პროექტები; გ). ახალი გზები და აეროპორტები; დ). საერთაშორისო სტილი დიზაინსა და არქიტექტურაში; 3. უფორმობა: ა). სუბტოპია⁶⁷⁰; ბ). გიგანტიზმი (ვათამბჯენები); გ). ინდივიდუალური თვისებები, რომლებიც კულტურულ გარემოს არ უკავშირდება; 4. ადგილების განადგურება: ა). ომი; ბ). უკვე არსებული ადგილების დესტრუქცია ახალი მშენებლობისათვის; გ). დესტრუქცია გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად (მაგალითად, ურბანული ექსპანსია); 5. ადგილების არასტაბილურობა: ა). მუდმივად ცვალებადი ადგილები (მაგალითად, ქალაქის ცენტრალური ბიზნეს-უბნები); ბ). მიტოვებული ადგილები.⁶⁷¹

მეშვიდე თავში რელიფი განიხილავს თანამედროვე ლანდშაფტების აღქმის ფორმებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ლანდშაფტის ერთ ტიპზე, რომელსაც **რეფლექსურ ლანდშაფტს** უწოდებს.⁶⁷² ეს არის ლანდშაფტის ტიპი, რომელიც რაციონალურ-

Placelessness, გვ. 115.

670 გარეუბანი სტანდარტული შენობებით, რომელიც უშუალოდ ერწყმის სოფელს. ეს ტერმინი 1955 წელს შემოიტანა ბრიტანელმა არქიტექტურის კრიტიკოსმა იან ნეირნმა.

671 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 118-119. რელიფის ნეგატიური დამოკიდებულება ადგილების მთელი ამ კომპლექსის მიმართ საკამათოა. მაგალითად, დისნეილენდი, მიუხედავად მისი „სტანდარტული“ სახისა, შესაძლოა, ინტენსიური სოციალური ინტერაქციის წყარო გახდეს (და არის კიდევ), როდესაც იქ ოჯახები თავიანთ ბავშვებთან ერთად მიდიან. ყველა ადგილი ვერ იქნება ინტერაქციისა და იდენტიფიკაციის თვითმიზანი *par excellence*. ადგილები, მართალია, ყველა სოციალური ქმედების საფუძველს და ფონს ქმნიან (რადგან ყველა სოციალური ქმედება **სადმე ხდება**), მაგრამ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ინდივიდებისათვის საკმაოდ ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვანია **ინტერაქცია ინტერაქციისათვის** ანუ, **ინტერაქცია, როგორც ინტერაქცია**.

672 გარდა რეფლექსური ლანდშაფტისა, რელიფი, ასევე, განიხილავს აბსურდულ, ყოველდღიურ და მარტივ ლანდშაფტებს. აბსურდული ლანდშაფტი აღმქმელი სუბიექტის განცდებისაგან მოწყვეტილი და იზოლირებულია, ყოველდღიური ლანდშაფტი ინდივიდთა ყოველდღიური

მეცნიერული ტექნოლოგიების გამოყენებით იქმნება და განიცდება რაციონალიზმისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულებების შესაბამისად. რეფლექსური ლანდშაფტების შემქმნელებს (დამგეგმავები, ბიუროკრატები) ნაკლებად აინტერესებთ ადგილის ისტორია და ის გარემოება, რომ ლანდშაფტმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ადამიანთა ცხოვრებაში. ისინი დაინტერესებული არიან ადგილის ეფექტურობის გაზრდით და კაპიტალის დაგროვებით. რეფლექსური ლანდშაფტები მოხმარების მიზნით იქმნება. ის ნიველირებული ლანდშაფტია, რადგან მან ყველა სოციალურ-ეკონომიკური კლასის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს. ის მისაღებია და არ გვთავაზობს არც ამაღლელებს და არც შემანუხებებს. ის სასიამოვნო და კომფორტულია. ის ადეკვატურად ფუნქციონირებს. ეს არის ყოველგვარ იდენტობას მოკლებული ლანდშაფტი.⁶⁷³

ლანდშაფტის ცნებასთან, რელფის მიხედვით, მჭიდრო კავშირშია რ. ჯ. ლიფთონის მიერ შემოტანილი „პროტევისული ადამიანის“ ცნება. ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, პროტევისი ზღვის ერთ-ერთი ღვთაებაა, რომელსაც შეუძლია, მრავალი სახე მიიღოს. პროტევისული ადამიანი თანამედროვე ადამიანია, რომელიც თავის იდენტობას და ცხოვრების წესს განუწყვეტლივ იცვლის. პროტევისული ადამიანი განსხვავდება ტრადიციული ეპოქის ადამიანისაგან, როდესაც ადამიანის იდენტობა, არსებითად, უცვლელი რჩებოდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.⁶⁷⁴

პროტეანიზმი და საზღვრების ნაშლა მკაფიოდ აისახება თანამედროვე ლანდშაფტებზე. ამის შედეგია არქიტექტურული სტილის გამუდმებული ცვლა, მაღაზიების მშენებლობა ქალაქის ცენტრში, სადაც საცხოვრებელი ფართები ნაკლებადაა; ახალი საოფისე შენობები, რომლებიც აშენების შემდეგ რამდენიმე წელი ცარიელია და ა.შ. რელფის მიხედვით, ყოველივე ეს ადამიანებს აბნევს. ლანდშაფტების ერთგვაროვნება და პროტეანიზმი საზოგადოებაში მიმდინარე ახალი პროცესებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრების გამოხატულებაა.⁶⁷⁵ თანამედროვე ლანდშაფტები ხასიათდება არა

ცხოვრებისეული რუტინის ფონს ქმნის, ხოლო მარტივი ლანდშაფტი არ შეიცავს ღრმა სიმბოლოებს; ის ღია, მონესრიგებული და უნიფუნქციურია. იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 127-136.

673 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 125-127.

674 იქვე, გვ. 133. თავის ნაშრომში „სოციალური იდენტობა“, სოციოლოგი რ. ჯენკინსი ამტკიცებს, რომ „ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობები სისტემატურად იქმნება და რეპროდუცირდება“. იხ. R. Jenkins, *Social Identity*. London / New York: Routledge, 2008, გვ. 45.

675 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 134-135.

ღრმა სიმბოლური მნიშვნელობებით, არამედ რაციონალურობითა და აბსურდულობით და აღქმელი სუბიექტისაგან განცალკევებით. უადგილობა, ამგვარად მათ კონტექსტს კი არ ქმნის, არამედ მათ არსებით ნაწილს და პროდუქტს წარმოადგენს. „რაციონალიზმი და აბსურდულობა ძირს უთხრის ადგილისადმი მიჯაჭვულობას, ყოველდღიურობა და სიმარტივე ერთფეროვნებას წარმოქმნის, პროტეან-იზმი კი არსებულ ადგილებს ანადგურებს.“⁶⁷⁶

მიუხედავად ამისა, რეალობის დასკვნები არც ისე უარყოფითია, როგორც ეს შეიძლება ზემოთ განხილულმა მსჯელობებმა გვაფიქრებინოს. თანამედროვე ლანდშაფტების ყველა აღქმა უსარგებლო ნამდვილად არაა. ინდივიდები ყოველთვის ცინიკურად და აბსურდულად როდი აღიქვამენ მათ გარშემო არსებულ ლანდშაფტებს. საკმაოდ ბევრი თანამედროვე შენობა და ლანდშაფტი სასიამოვნო ან ძლიერი ემოციების აღმძვრელია. „უადგილობა ადგილისაგან თავისუფლება-საც ნიშნავს, ხოლო ყოველდღიურობა – როგორც კომფორტსა და უსაფრთხოებას, ასევე, ბიუროკრატიულ-მომხმარებლური საზოგადოების ტყვეობაში ყოფნას.“⁶⁷⁷ სიღრმისეული მნიშვნელობის მქონე ადგილები, შესაძლოა, თანამედროვე ლანდშაფტის პირობებშიც შეიქმნას.⁶⁷⁸ ახალმა მიდგომამ უნდა გაითვალისწინოს ადგილის ექ-

676 იქვე, გვ. 139-140.

677 იქვე, გვ. 140.

678 ე. კეისი მიიჩნევს, რომ ადგილების შესუსტებას მათი გაქრობა როდი მოჰყვება. ადგილი ვერ შეერწყმება სივრცეს. ასეთი მიდგომა, კეისის მიხედვით, ერთმანეთში ურევს ორ განსხვავებულ წესრიგს. ანალოგიურად, „მე“, შესაძლოა, ძალიან ზედაპირული და ექსისტენციალურ სიღრმეს მოკლებული იყოს, თუმცა ის არასოდეს დაკარგავს პერსონალური იდენტობისათვის აუცილებელ მინიმალურ ნიშნებს. უფრო მეტიც, კეისის აზრით, ადგილების ნიველირებას თან ახლავს ადამიანთა **გაძლიერებული** მისწრაფება ისეთი ადგილების მიმართ, რომლებიც ექსისტენციალურად მნიშვნელოვანი იქნება (იხ. E. S. Casey, 'Between Geography and Philosophy: What does it mean to Be in the Place-World?' *Annals of the Association of American Geographers*, 91 (2001), გვ. 685 და 691; მისივე, 'On Habitus and Place: Responding to My Critics'. *Annals of the Association of American Geographers*, 91 (2001), გვ. 720. ადგილის გრძნობის შესუსტების მიზეზად კეისი მიიჩნევს ადგილისა და მე-ს დამაკავშირებელი ჰაბიტუსის (ჰაბიტუდების ერთობლიობის) სხვა ჰაბიტუსით ჩანაცვლებას, რასაც შედეგად მოჰყვება როგორც ადგილის, ასევე, მე-ს დაკნინება. ეს დაკნინების პროცესი ზემოთ აღწერილი პროცესის (რაც უფრო მეტია ადგილების ნიველირება, მით უფრო მეტია ადგილებისაკენ ინდივიდების სწრაფვა) ნეგატიური ინვერსიაა (იხ. E. S. Casey, *Between Geography and Philosophy*, გვ. 686-687). ჰაბიტუსის ცნების შესახებ იხ. ქვეთავი 4.6.

სისტენციალური მნიშვნელობა და ადამიანთა მოთხოვნილება ასეთი ადგილების მიმართ. ასეთმა მიდგომამ უნდა შექმნას გარემო, რომელშიც შესაძლებელი იქნება როგორც ყოველდღიური, ასევე, განსაკუთრებული გამოცდილებები. ეს მიდგომა სენსიტიური უნდა იყოს მნიშვნელობისა და გამოცდილებების ლოკალური სტრუქტურების, კონკრეტული სიტუაციების, ადგილების მნიშვნელობების განსხვავებული შრეების და, ასევე, ჰაიდეგერის მიერ ჩამოყალიბებული ცხოვრებისა და დანდობის ონტოლოგიური პრინციპების მიმართ. აღნიშნული მიდგომა მზა რეცეპტებს ვერ გამოძებნის, თუმცა, ის ინდივიდებსა და ჯგუფებს შესაძლებლობას მისცემს, შექმნან საკუთარი, აუტენტური და მნიშვნელობით აღსავსე ადგილები, სადაც ისინი იცხოვრებენ.⁶⁷⁹ მაგრამ თუ ადამიანები უგულუბელყოფენ თავიანთ უშინაგანეს მიდრეკილებას – მნიშვნელოვან ადგილებთან ასოციაციას – და არ შეენინააღმდეგებიან უადგილობის ძალებს, მაშინ მომავალში მივიღებთ ისეთ გარემოს, სადაც ადგილებს არანაირი მნიშვნელობა არ ექნებათ. ხოლო თუ ადამიანები შეეცდებიან უადგილობის დაძლევის, მაშინ არსებობს პოტენციალი ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც იარსებებს ადგილები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ დატვირთვას მიაჩქებენ ადამიანურ ექსისტენციას. „რომელია ამ შესაძლებლობებიდან უფრო სავარაუდო ან არსებობს თუ არა სხვა შესაძლებლობები, არც თუ ისე ნათელია. თუმცა, ერთი რამ აშკარაა: როგორი გეოგრაფია აქვს იმ სამყაროს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, – მნიშვნელოვანი ადგილების, თუ ადგილების არმქონე – მხოლოდ ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხია.“⁶⁸⁰

რელფის მიერ განვითარებული კონცეპტუალური აპარატი დღესაც ნაყოფიერ სტიმულებს სთავაზობს ადგილის ფენომენით დაინტერესებულ მკვლევარებს.⁶⁸¹ ექსისტენციალური ჩართულობისა და

679 „ადგილები, უმეტესწილად, უნდა შეიქმნას იმ ადამიანების ჩართულობისა და თავდადების შედეგად, რომლებიც ამ ადგილებზე ცხოვრობენ და მუშაობენ. ადგილები შიგნიდან უნდა შეიქმნას.“ იხ. E. Relph, *Modernity and the Reclamation of Place*, გვ. 34.

680 იხ. E. Relph, *Place and Placelessness*, გვ. 147. ამ მხრივ რელფი გამოყოფს არქიტექტორების, ლანდშაფტის დიზაინერების, დამგეგმავებისა და სოციალური მეცნიერების როლს. მათი ამოცანაა, განივითარონ მგრძობელობა ადგილის გარკვეული ატრიბუტების მიმართ, ხოლო შემდეგ შეეცადონ ლოკალური ინიციატივების წარმართვას. ამ პროცესის დროს განსაკუთრებით საჭიროა ფაქიზი მიდგომა და მოთმინების უნარი. იხ. E. Relph, *Modernity and the Reclamation of Place*, გვ. 38-39.

681 რელფის აღნიშნული ნაშრომის გავლენა საგრძნობია დ. სიმონზე. იხ. D. Seamon, *A Geography of the Lifeworld*. ანალოგიურად, ვ. ფ. ჩეფინი და ლ. მილიონი თავიანთ შრომებში რელფის მიერ განვითარებულ

გარემყოფობის, აუტენტურობისა და არააუტენტურობის, ექსისტენციალური სივრცის, უადგილობის, ტოპოფობიის და სხვა ცნებები, რომლებზეც რელფმა გაამახვილა ყურადღება, ფილოსოფიური გეოგრაფიის ემპირიულ განზომილებაში მაორიენტირებელი კონცეპტების როლს ასრულებენ.⁶⁸² ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რელფის იდეებისა და შეხედულებების უპირობო და უკრიტიკო მიღებას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მოხდეს მთელი რიგი ცნებებისა და დეფინიციების რეკონცეპტუალიზაცია თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. რელფის უმთავრესი დამსახურება ისაა, რომ „ადგილსა და უადგილობაში“ განვითარებული საკითხები და პრობლემები დღესაც არ კარგავენ აქტუალობას. პირიქით, ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ (1976 წლიდან), გლობალიზაციის ტემპები კიდევ უფრო აჩქარდა. ლოკალურისა და გლობალურის თავბრუდამხვევ ურთიერთქმედებას, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „გლოკალიზაციისაკენ“ მივყავართ.⁶⁸³ ასეთ ფონზე, რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი ცნებების ანალიზი, როგორებიცაა „ადგილი“, „რეგიონი“ და „გლობალური სამყარო“. ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ აღნიშნული სამი ცნება მათ განუყრელ კავშირში უნდა განიხილოს. მაგრამ „რეგიონისა“ და „გლობალურის“ ცნებებს სათანადოდ ვერ გავიგებთ, თუ ჯეროვნად არ გავიაზრებთ „ადგილის“ ანუ ლოკალურის ცნებას. რელფის ნაშრომი სწორედ ამაში გვეხმარება. ის ერთგვარი ბიძგის მომცემი და ამოსავალი ნერტილია შემდგომი კვლევებისათვის.

რელფის ფენომენოლოგიური მიდგომა ნაყოფიერად განავითარა გეოგრაფმა დევიდ სიმონმა, რომელიც, რელფის მსგავსად, ფენომენოლოგიური მიდგომის მომხრეა.

კონცეპტუალურ აპარატს ეყრდნობიან. იხ. D. Seamon, J. Sowers, *Place and Placelessness* (1976): Edward Relph, გვ. 46-47.

682 იხ. გ. თავაძე, „შატლი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, გვ. 58 და შმდ.

683 იხ. R. Robertson, ‘Glocalization: Time-Space and Homogeneity-Heterogeneity’. In: M. Featherstone, S. Lash, R. Robertson (eds.), *Global Modernities*. London: Sage, 1995, გვ. 25-44.

4.5. დევიდ სიმონი დროით-სივრცითი რუტინისა და სხეულისა და ადგილის ქორეოგრაფიების შესახებ

დევიდ სიმონი (დაიბ. 1948 წ.), რომელიც ფენომენოლოგი ფილოსოფოსებიდან მერლო-პონტის გავლენას განიცდის, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სხეულის ყოველდღიურ მოძრაობებზე. იგი თვლის, რომ ბიჰევიორიზმი სხეულის ყოველდღიურ მოძრაობებს „სტიმული-პასუხი“ სქემის ფარგლებში განიხილავს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გავლენით, ბიჰევიორისტები მხოლოდ ისეთ მოძრაობებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელთა ემპირიული გაზომვაც შეიძლება, ხოლო მკაცრი ბიჰევიორისტები საერთოდ უარყოფენ მენტალური პროცესების მნიშვნელობას, რადგან, მათი აზრით, ეს ფენომენები მხოლოდ განმცდელი სუბიექტებისთვისაა ცნობილი.⁶⁸⁴

ბიჰევიორიზმისაგან განსხვავებით, თეორიები სივრცობრივი ორიენტაციის შესახებ ადამიანის სივრცობრივ ქცევას ისეთ კონკრეტულ პროცესებზე დამოკიდებულად განიხილავენ, როგორებიცაა აზროვნება, გაგება და გადაწყვეტილების მიღება. ამ თეორიის მომხრეები შეისწავლიან ინდივიდის ან ჯგუფის სივრცის კონკრეტულ რეპრეზენტაციებს ანუ კონკრეტულ რუკებს და მიიჩნევენ, რომ კონკრეტული რუკების ანალიზის მეშვეობით შეიძლება სივრცეში ინდივიდისა და ჯგუფის ქმედებების გაგებას.

ფენომენოლოგია უარყოფს როგორც ბიჰევიორიზმს, ასევე, კონკრეტულ მიდგომასაც და ფოკუსირდება ყოველდღიური მოძრაობის ფენომენზე ინდივიდის სასიცოცხლო სამყაროში. ფენომენოლოგიური მიდგომა, სიმონის მიხედვით, ფრჩხილებში სვამს დაშვებას იმის შესახებ, რომ 1. მოძრაობა სტიმული-პასუხი სქემის მიხედვით ხორციელდება და 2. მოძრაობა დამოკიდებულია კონკრეტულ რუკებზე.⁶⁸⁵

ყოველდღიური მოძრაობისადმი ფენომენოლოგიურმა მიდგომამ,⁶⁸⁶ სიმონის მიხედვით, სამი მნიშვნელოვანი თავისებურება გა-

684 იხ. D. Seamon, 'Body-Subject, Time-Space Routines, and Place-Ballets'. In: A. Buttimer, D. Seamon (eds.), *The Human Experience of Space and Place*. New York: St. Martin's Press, 1980, გვ. 150.

685 იქვე, გვ. 151.

686 სიმონი მიუთითებს, თუ რა მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული ყოველდღიური მოძრაობის შესასწავლად. ესენია ინტერვიუები, თავისუფალი საუბრები, ლიტერატურის ანალიზი. თავისი კვლევაში იგი ეყრდნობოდა იმ ინფორმაციას, რომელიც საგანგებოდ მისი კვლევისათვის შექმნილი ჯგუფიდან მიიღო. ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. D.

მოავლინა: 1. ყოველდღიური მოძრაობის ჩვევითი ხასიათი; 2. სხეულის მნიშვნელობა 3. სხეულისა და ადგილის „ქორეოგრაფიები“.⁶⁸⁷

ჩვევა ყოველდღიური მოძრაობის განუყოფელი ნაწილია. სმირად ჩვენი სხეული, ჩვენთვის „უკითხავად“, გარკვეულ მოძრაობას ან მოძრაობებს ასრულებს (მაგალითად, ჩვენ, შესაძლოა, ხელი წავიღოთ კალმისკენ, რომელიც მოცემულ მომენტში არ დევს მაგიდაზე, მაგრამ რომელიც, როგორც წესი, იქ უნდა იყოს. შესაძლოა, ადამიანმა მისთვის ნაცნობ ქუჩებზე ისე იაროს, რომ სრულიად სხვა რამეებზე იფიქროს). ეს ფაქტორი, სიმონის აზრით, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საკმაოდ ბევრი მოძრაობის რეგულირება ხდება ისეთ დონეზე, რომელშიც ცნობიერება აქტიურად ჩართული არ არის. წამყვან როლს ასეთ დროს სხეული ასრულებს.⁶⁸⁸

მერლო-პონტის მსგავსად, სიმონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სხეულის ინტენციონალობას და მას სხეულ-სუბიექტს (*body-subject*) უწოდებს. „სხეული-სუბიექტი – ეს არის სხეულისთვის შინაგანად დამახასიათებელი უნარი, გონივრულად წარმართოს სხეულებრივი ქმედებები და, ამრიგად, განახორციელოს ფუნქციონირება, როგორც თავისებური სახის სუბიექტმა, რომელიც საკუთარ თავს ქვეცნობიერად გამოხატავს და რომლის ქმედებებიც აღინერება ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა *ავტომატური, ჩვევითი, უნებლიე და მექანიკური*.“⁶⁸⁹ სხეული-სუბიექტის მეშვეობით ინდივიდმა იცის, თუ სად იმყოფება ნაცნობ ობიექტებთან, ადგილებთან და გარემოსთან (რომლებიც ერთიანობაში მის ყოველდღიურ გეოგრაფიულ სამყაროს ქმნის) მიმართებაში. სივრცე, უპირველეს ყოვლისა, სხეულს ეფუძნება.⁶⁹⁰

სხეულისა და ადგილის ქორეოგრაფიები გამოავლენს ადგილის დინამიკურ ბუნებას. „**სხეულის ბალეტის**“ (*body-ballet*) ცნება, სიმონის მიხედვით, გულისხმობს სხეულის მიერ დღის განმავლობაში განხორციელებულ რუტინულ მოძრაობებს (სიარული, ჭურჭლის გარეცხვა, ნადირობა და ა.შ.). ერთობლიობაში „სხეულის ბალეტები“ წარმოქმნის „**დროით-სივრცით რუტინას**“ – ჩვევით სხეულებრივ ქცევებს, რომლებიც დროის გარკვეულ, შედარებით ხანგრძლივ მონაკვეთში მეორდება. თავის მხრივ, დროით-სივრცითი რუტინებისა და სხეულის ბალეტების შერწყმა წარმოქმნის სივრცობრივ დინამიკას, ე. წ.

Seamon, *A Geography of the Lifeworld*, გვ. 24 და შშდ.

687 იხ. D. Seamon, *Body-Subject, Time-Space Routines, and Place-Ballets*, გვ. 152.

688 იქვე, გვ. 152-154.

689 იქვე, გვ. 155.

690 იქვე, გვ. 161.

„ადგილის ბალეტს“ (*place-ballet*). ადგილის ბალეტი ხელს უწყობს ადგილის ძლიერი გრძნობის ჩამოყალიბებას, რადგან ის რეგულარულ ადამიანურ აქტივობას ეფუძნება. ინდივიდუალური რუტინები ერთმანეთს კვეთს მოცემულ ადგილზე. როდესაც ასეთი კვეთები რეგულარულ ხასიათს იღებს, ინდივიდუალური რუტინის მონაწილეებს უჩნდებათ მიჯაჭვულობის გრძნობა ერთმანეთისა და იმ ადგილის მიმართ, სადაც მათი ყოველდღიური რუტინების კვეთა ხდება, რადგან აღნიშნული კვეთები ხელს უწყობს ინდივიდებს შორის ინტერაქციებს და განამტკიცებს ადგილის შეგრძნებას. სიმონის აზრით, აღნიშნული ცნებების (სხეულისა და ადგილის ბალეტი, დროით-სივრცითი რუტინა) მისადაგება შესაძლებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის.⁶⁹¹ საბოლოო ჯამში, სიმონის მიხედვით, დროით-სივრცითი რუტინების კვეთა და ადგილის ბალეტი ხელს უწყობს ექსისტენციალური ჩართულობის ჩამოყალიბებას, თუმცა, რელფის გავლენით, იგი, ასევე, მიუთითებს, რომ ადგილის ბალეტების მრავალრიცხოვნებამ, შესაძლოა, ადგილებს საფრთხე შეუქმნას. ამ ფონზე, მიიჩნევა სიმონი, ადგილის ბალეტის ცნებას არსებითი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.⁶⁹² „ის ადამიანებს, დროსა და ადგილს ორგანულ

691 მაგალითად, მენომინის ტომის ინდიელი ქალების ერთი ჩვეულებრივი დღე მრავალ რუტინულ მოძრაობას მოიცავს: დილით ქალები ადრე დგებიან. მათ მოაქვთ წყალი და საუზმეს ამზადებენ. საუზმის შემდეგ მამაკაცები სანადიროდ ან სათევზაოდ მიდიან, ხოლო ქალები აგროვებენ მცენარეებს, უვლიან ბავშვებს და ქსოვენ. ქალების ინდივიდუალურ რუტინაში შედის დილით მდინარიდან წყლის მოტანა. ამ დროს მდინარის პირას მრავალი ინდივიდუალური ქალის ყოველდღიური რუტინა იკვეთება. რა თქმა უნდა, შეხვედრისას ისინი ერთმანეთთან ინტერაქციას ამყარებენ, განიხილავენ სოფლის ამბებს და ა. შ. აღნიშნული ქმედებები ხელს უწყობს მათ შორის სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებას და ადგილისადმი მიკუთვნებულობის განმტკიცებას (იხ. D. Seamon, *Body-Subject, Time-Space Routines, and Place-Ballets*, გვ. 160-161). იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე საზოგადოებებზეც: ის ადამიანები, რომლებიც ქალაქის ერთ-ერთ კაფეში ხშირად ხვდებიან ერთმანეთს თავიანთი ინდივიდუალური რუტინების წყალობით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ერთმანეთთან ინტერაქციებს ამყარებენ. ასეთი სახის ყოველდღიური ურთიერთობები შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ყოველდღიური რუტინები **კონკრეტულ ადგილზე** კვეთს ერთმანეთს. ამრიგად, ადგილის ბალეტი ხელს უწყობს ინტერსუბიექტური ურთიერთობებისა და ურთიერთნდობის განმტკიცებას. სიმონი იქვე მიუთითებს, რომ ყოველდღიური რუტინა არ ნიშნავს მექანიკურ განმეორებადობას: რუტინების კვეთისა და ინტერაქციების შედეგად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი სიახლეები და მოულოდნელობები მოხდეს (იქვე, გვ. 162-163).

692 იხ. D. Seamon, *A Geography of the Lifeworld*, გვ. 54 და შმდ.; მისივე, *Body-*

მთლიანობაში მოაქცევს და წარმოაჩენს ადგილს, როგორც განსხვავებულსა და აუტენტურს. [...] ადგილი დინამიკურად არსებული ერთეულია, რომელსაც ისეთივე გამორჩეული იდენტობა აქვს, როგორც ცალკეულ ინდივიდს.⁶⁹³ შესაბამისად, აქტუალობას იძენს შემდეგი შეკითხვები: რა სახის ადგილის ბალეტი ხდება მოცემულ ადგილზე, როგორ არის შესაძლებელი მოცემულ ადგილზე ადგილის ბალეტის დაწყება და ა. შ.

სიმონის მიერ შემოტანილი ადგილის ბალეტის ცნება მნიშვნელოვნად ამდიდრებს ადგილის აღქმის პერსპექტივებს. აღნიშნული ცნება იმითაცაა საინტერესო, რომ შესაძლებელია მისი, როგორც კონცეპტუალური ინსტრუმენტის, გამოყენება ემპირიული კვლევების დროს.⁶⁹⁴ გარდა ამისა, ფენომენოლოგიური პერსპექტივა საშუალებას გვაძლევს, ყურადღება გავამახვილოთ ერთი შეხედვით ადგილის ისეთ უმნიშვნელო ასპექტებზე, როგორც ადამიანთა ყოველდღიური მოძრაობები და მათთან დაკავშირებული ინტერაქციები.

გვიანდელ შრომებში სიმონმა უფრო განავრცო თავისი მიდგომა ადგილების მიმართ. ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ბენეთის (1897-1974 წწ.) შრომებზე დაყრდნობით მან ადამიანებისა და ადგილების ურთიერთმიმართებაში გამოყო სამი ასპექტი: **გეოგრაფიული ანსამბლი** (*geographic ensemble*), **ადამიანები ადგილებში** (*people-in-place*) და **ადგილის სული** (*genius loci*). ასეთი ტიპის მიმართებას სიმონმა ადამიანებისა და ადგილის ტრიადა (*people-place triad*) უწოდა.⁶⁹⁵ გეოგრაფიულ ანსამბლში სიმონი მოიაზრებს ადგილის მატერიალურ მახასიათებლებს (ტოპოგრაფია, გეოლოგია, ამინდი, ფლორა და ფაუნა,

Subject, Time-Space Routines, and Place-Ballets, გვ. 157-163; T. Cresswell, *Place. A Short Introduction*, გვ. 33-34.

693 იხ. D. Seamon, *Body-Subject, Time-Space Routines, and Place-Ballets*, გვ. 163.

694 იხ. გ. თავაძე, „შატლი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, გვ. 58 და შმდ. თუმცა, მიმაჩნია, რომ „ადგილის პულისი“ ცნება უფრო უკეთ გადმოსცემს ადგილის დინამიკურ ხასიათს: ადგილის პულისი, შესაძლოა, აჩქარდეს, შენელებს ან სულაც, შეწყდეს. იხ. გ. თავაძე, „ახალი რუსული იმპერიალიზმი და საქართველო: რუსეთის ძალადობრივი სივრცობრივი პოლიტიკა“, // თ. ირემაძე (რედ.), „ახალი რუსული იმპერიალიზმი და კავკასია“. თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2015 წ., გვ. 85. ადგილის პულისი „იზომება“ ინდივიდთა ურთიერთქმედების ინტენსივობით ერთმანეთთან და მოცემულ ადგილში შემავალ სხვა ადგილებთან.

695 იხ. D. Seamon, 'Place, Place Identity, and Phenomenology: A Triadic Interpretation Based on J.G. Bennett's Systematics'. In: H. Casakin, F. Bernardo (eds.), *The Role of Place Identity in the Perception, Understanding, and Design of Built Environments*. London: Betham Science Publishers, 2012, გვ. 10.

ადამიანთა მიერ შექმნილი კონსტრუქციები).⁶⁹⁶ მეორე ცნება (ადამიანები ადგილებში) მოიცავს იმ სასიცოცხლო სამყაროებს, რომლებიც გეოგრაფიული ანსამბლის ნიაღში ვითარდებიან (ადამიანთა მოქმედებები, ყოველდღიური რუტინები და დამოკიდებულებები, რომლებიც ამა თუ იმ ადგილს უკავშირდება). დაბოლოს, ადგილის სული აღნიშნავს მოცემული ადგილისათვის დამახასიათებელ უნიკალურ აურას (მაგალითად, ის, რაც ლონდონს და პარიზს ლონდონად და პარიზად ხდის).⁶⁹⁷

აღნიშნული ტრიადის პირველი აქტიური კომპონენტი ადგილებზე მყოფი ადამიანებია, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ მოქმედ სუბიექტებს, რომლებიც თავიანთ გარემოს ცვლიან. გეოგრაფიული ანსამბლი ტრიადის მეორე კომპონენტია, რომელიც ადამიანთა ზემოქმედების შედეგად, ცვლილებას ექვემდებარება. მიუხედავად თავისი პასიური ბუნებისა, გეოგრაფიული ანსამბლი ადგილების შექმნის პროცესში **დამოუკიდებელ** როლს ასრულებს. ის, თუ რა ხვდებათ ადამიანებს მოცემულ ადგილზე, საკმაო ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ ინდივიდები მოცემულ ადგილთან დაკავშირებით. რაც შეეხება მესამე კომპონენტს (ადგილის სული), სიმონის აზრით, ის ტრიადის შუალედურ, დამახალანსებელ კომპონენტს წარმოადგენს.⁶⁹⁸

ტრიადის კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება შემდეგი პროცესები (ექვსი ახალი ტრიადა, სადაც გეოგრაფიული ანსამბლი, ადამიანები ადგილებში და ადგილის სული ერთმანეთს განსხვავებული კომბინაციებით უკავშირდებიან): ადგილის ინტერაქცია, ადგილის იდენტობა, ადგილის განმუხტვა, ადგილის რეალიზაცია, ადგილის შექმნა და ადგილის ინტენსიფიკაცია.

ადგილის ინტერაქცია გულისხმობს იმ პროცესებს, რომლებიც მოცემულ ადგილზე ხორციელდება (რეგულარული ქმედებები, ქცევები, სიტუაციები და მოვლენები). აქ შედის როგორც ინტერაქციები ინდივიდთა შორის, ასევე, ინდივიდების ურთიერთქმედება ადგილებთან. ინტერაქცია ადგილის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის

696 აღნიშნული ცნება ახლოს დგას იმასთან, რასაც ჯ. ეგნიუ „მოქმედების ადგილს“ (*locale*) უწოდებს. იხ. ქვეთავი 4.1.

697 იხ. D. Seamon, *Place, Place Identity, and Phenomenology: A Triadic Interpretation Based on J.G. Bennett's Systematics*, გვ. 10-11. სიმონი უარყოფს ადგილის სულის მიმართ სოციალური კონსტრუქციონიზმის მიდგომას და მიიჩნევს, რომ ადგილის სული დამოუკიდებელ რეალობას ფლობს, რომელსაც მოცემულ ადგილზე მყოფი ადამიანები აწყდებიან და რომლის ინტერპრეტაციასაც ისინი ახდენენ (იქვე, გვ. 11).

698 იხ. D. Seamon, *Place, Place Identity, and Phenomenology*, გვ. 12.

მეშვეობით ინდივიდები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას ახორციელებენ.⁶⁹⁹

ადგილის იდენტობა წარმოადგენს იმ პროცესების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით მოცემულ ადგილთან დაკავშირებული ადამიანები ამ ადგილს საკუთარი სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილად აღიქვამენ. ადგილის იდენტობა და ადგილის ინტერაქცია ორმხრივი პროცესებია, რადგან ინტერაქციის მეშვეობით ინდივიდები აქტიურ კავშირს ამყარებენ ადგილთან და საკუთარ თავს ადგილის ნაწილად შეიგრძნობენ.⁷⁰⁰

ადგილის განმუხტვა გულისხმობს მოულოდნელ შეხვედრებსა და მოვლენებს, რომლებიც მოცემულ ადგილზე ხორციელდება (შემთხვევითი შეხვედრა ძველ მეგობართან, ქუჩის მუსიკოსის იმპროვიზირებული წარმოდგენით ტკობა და ა.შ.); **ადგილის რეალიზაცია** გამოიხატება ადგილის შეგრძნებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ადგილის მატერიალური განზომილება და იქ განხორციელებული მოვლენები, რაც ადგილს უნიკალურობას და თავისთავადობას ანიჭებს.⁷⁰¹

ადგილის შექმნა მოიცავს იმ საშუალებებს, რომელთა მეშვეობით ადგილის ინტერაქცია, იდენტობა, განმუხტვა და რეალიზაცია პოზიტიურ ელფერს იძენს. აქ იგულისხმება ის ცვლილებები, რომლებიც დაგეგმვისა და დიზაინის სფეროში ხორციელდება. დაბოლოს, **ადგილის ინტენსიფიკაცია** აღნიშნავს მატერიალური და სივრცობრივი გარემოს დამოუკიდებელ ძალას (დიზაინი და კონსტრუქცია), რომელიც აყალიბებს და განამტკიცებს მოცემულ ადგილს. ინტენსიფიკაცია ადგილებს გამძლეობას ანიჭებს.⁷⁰²

ადგილის სამი ტრიადა (ინტერაქცია, იდენტობა, რეალიზაცია), სიმონის მიხედვით, უკავშირდება ადგილის „ყოფნას“ (*being of place*) ანუ ადგილის მოცემულობას, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდებსა და ჯგუფებზე, ხოლო შემდეგი სამი ტრიადა (შექმნა, ინტენსიფიკაცია, განმუხტვა) მიემართება „ადგილის ადგილად ქცევას“ (*becoming of place*) ანუ იმ საშუალებებს, რომელთა მეშვეობით ადამიანთა ჩართულობა ადგილებს აუმჯობესებს ან აუარესებს.⁷⁰³ თუკი ჩვენ რეალური ადგილების განახლება და ადგილის იდენტობის განმტკი-

699 იხ. D. Seamon, 'Understanding Place Holistically: Cities, Synergistic Relationality, and Space Syntax'. *Journal of Space Syntax*, 6 (2015), გვ. 25.

700 იქვე.

701 იქვე, გვ. 26.

702 იქვე, გვ. 26-27.

703 იხ. D. Seamon, Place, Place Identity, and Phenomenology, გვ. 15-16.

ცება გვსურს, მაშინ ექვსივე ტრიადა უნდა მოქმედებდეს.⁷⁰⁴ აღნიშნული ექვსი ტრიადა ურთიერთდამოკიდებულია: ისინი ერთმანეთს განამტკიცებენ (ან ასუსტებენ) და ამით პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენენ ადგილებზე.⁷⁰⁵

ამრიგად, სიმონი ადგილს ჰოლისტიურად განიხილავს: ადგილი ინტეგრალურ მთლიანობას წარმოადგენს, რომლის დინამიკა მოიცავს ინტერაქციას, იდენტობას, განმუხტვას, რეალიზაციას, შექმნას და ინტენსიფიკაციას. აღნიშნული პროცესები, კონკრეტული ადგილის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებული ინტენსივობითა და რეგულარობით იკვეთებიან; შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან იზოლირება ან მათი დაყვანა დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული ცვლადების ამა თუ იმ ერთობლიობაზე.⁷⁰⁶

თავის შრომებში სიმონი ადგილის შესახებ ერთიანი და მომცველი ფენომენოლოგიური მიდგომის შემუშავებას ცდილობს. ამ მიმართულებით საგულისხმოა ფილოსოფოს ედუარდ კეისის შრომები, რომელმაც ადგილის ფენომენოლოგიური კვლევა თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა.

704 იქვე, გვ. 18.

705 იხ. D. Seamon, *Understanding Place Holistically: Cities, Synergistic Relationality, and Space Syntax*, გვ. 27.

706 იქვე, გვ. 31. ამ მიდგომას სიმონი „სინერგიულ რელაციურობას“ უწოდებს და განასხვავებს მას „ანალიტიკური რელაციურობისაგან“, რომლის თანახმად, ადგილი გაიგება როგორც ნაწილების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან გაზომვადი (უფრო ძლიერი ან უფრო სუსტი) მიმართებებით არიან დაკავშირებული (იქვე, გვ. 19 და შმდ.).

4.6. ედუარდ კეისი: უკან, ადგილისაკენ!

ედუარდ კეისი (დაიბ. 1939 წ.) თანამედროვე ფენომენოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი გამოკვეთილად დაინტერესებული ადგილის ფენომენით, რომელსაც არაერთი მონოგრაფია და სტატია მიუძღვნა. მათგან აღსანიშნავია „უკან, ადგილისაკენ! ადგილის სამყაროს ახალი გაგების შესახებ“ (1993 წ.),⁷⁰⁷ „როგორ მივიდეთ სივრციდან ადგილამდე დროის მოკლე მონაკვეთში. ფენომენოლოგიური პროლეგომენა“ (1997 წ.),⁷⁰⁸ „ადგილის ხვედრი. ფილოსოფიური ისტორია“ (1997 წ.),⁷⁰⁹ „ადგილის რეპრეზენტაცია. პეიზაჟური ფერწერა და რუკები“ (2002 წ.).⁷¹⁰ კეისის პოზიციის ანალიზისას, განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებ მის სტატიებზე „როგორ მივიდეთ სივრციდან ადგილამდე დროის მცირე მონაკვეთში“. ჩემი აზრით, აღნიშნული ნაშრომი თვალსაჩინოდ და, ამავე დროს, შეკუმშულად გადმოსცემს კეისის შეხედულებებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.⁷¹¹

კეისი ეწინააღმდეგება დებულებას, რომლის თანახმად სივრცე აბსოლუტური, უსასრულო, ცარიელი და აპრიორული სტატუსის მქონეა. ასეთ შემთხვევაში ადგილი განიხილება, როგორც სივრცის უბრალო ნაწილი, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება. კეისი მიიჩნევს, რომ ადგილი წინ უსწრებს სივრცეს.⁷¹² ამ დებულების მართებულობის დასამტკიცებლად მას

707 იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place: Toward a renewed Understanding of the Place-World*. Bloomington: Indiana University Press, 1993; new and expanded edition: 2009.

708 იხ. E. S. Casey, 'How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time: Phenomenological Prolegomena'. In: S. Feld, K. H. Basso, *Senses of Place*. Santa Fe, NM: School of American Research Press, 1997, გვ. 13-52.

709 იხ. E. S. Casey, *The Fate of Place: A Philosophical History*. Berkeley: University of California Press, 1997.

710 იხ. E. S. Casey, *Representing Place: Landscape Paintings and Maps*. Minneapolis, MN: University of Minnesota Press, 2002.

711 აღნიშნული ნაშრომი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ კეისი ადგილის ფენომენს ანთროპოლოგიასთან მიმართებაში განიხილავს. შესაბამისად, კეისის ფილოსოფიურ ანალიზს ინტერდისციპლინული მიდგომა უძევს საფუძვლად.

712 თავის ნაშრომში „უკან, ადგილისაკენ!“ კეისი წერს: „ცხოველებს შორის ადამიანებს ყველაზე დიდი მობილობა ახასიათებთ. [...] ჩვენ ყოველთვის ადგილებს შორის ვმოძრაობთ. როდესაც ერთ ადგილს დაცარიელების

ყველაზე მიზანშეწონილად ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენება მიაჩნია.⁷¹³

ადგილის ფენომენოლოგიურ ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პერცეფციის, შეგრძნების როლს. ჰუსერლისა და მერლო-პონტის თანახმად, პერცეფცია პირველადია. ამავე დროს, ადამიანები ყოველთვის კონკრეტულ ადგილზე არიან და ამ ადგილს შეგრძნებების მეშვეობით აღიქვამენ.⁷¹⁴ თუ შეგრძნება მართლაც პირველადია, როგორც ეს მოაზროვნეები ამტკიცებენ, მაშინ მან

საფრთხე ემქურება, ჩვენ მყისვე მეორე ადგილისაკენ მივისწრაფვით. [...] რამდენადაც არ უნდა ვამჯობინებდეთ, ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რა ხდება ადგილზე, ვიდრე ვიფიქროთ თავად ადგილის შესახებ, ჩვენ განუყრელად და ყოველწამიერად ადგილზე ვართ მიჯაჭვულნი“ (იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place: Toward a renewed Understanding of the Place-World*, 1993, გვ. xii-xiii). უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში დასავლურ აზროვნებაში ადგილის ცნება იგნორირებული იყო დროისა და სივრცის ცნებებისათვის უპირატესობის მინიჭების ხარჯზე. მოდერნის ეპოქა, დიდწილად, უადგილობის ეპოქაა (იქვე, გვ. xiv).

713 იხ. E. S. Casey, *How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time: Phenomenological Prolegomena*, გვ. 16. უფრო კონკრეტულად კეისი თავის მეთოდს, გ. ბაშლიარის გავლენით, „ფენომენოლოგიურ ტოპოანალიზს“ უწოდებს (იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place*, 1993, გვ. xv; მისივე, *How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time*, გვ. 24). ადგილის ფენომენოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ სამყაროში ყოფნა და ადგილზე ყოფნა ერთი და იგივეა. „ადგილი ‘სამყაროში ყოფნის’ ფენომენალურ პარტიკულარიზაციას წარმოადგენს“ (იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place*, 1993, გვ. xv).

714 როგორც კეისი აღნიშნავს, შემეცნებელი სუბიექტის ასეთი გაგება ენიშნავს ტრადიციულ გაგებას, რომლის პარადიგმატულ ნიშნულად კეისის მიაჩნია ჯ. ლოკის მოძღვრება. ლოკის თანახმად, მე-ს იდენტობა, არსებითად, ცნობიერებას ემყარება, რომელიც მე-ს აწმყო მდგომარეობებს მე-ს წარსულის მდგომარეობებს უკავშირებს. თავის, მხრივ, ლოკის შეხედულება, ზოგადად მოდერნის ეპოქის შეხედულებაა ადგილისა და სუბიექტის შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადგილსა და სუბიექტს შორის კავშირი, უბრალოდ, არ არსებობს. თანამედროვე ფილოსოფია, კერძოდ, ფენომენოლოგია, კეისის მიხედვით, უპირისპირდება ასეთ მიდგომას: დეკარტის საპირისპიროდ, სხეული თვითობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა. ამ დაშვების შედეგია ის გარემოება, რომ უკვე შეუძლებელი ხდება მკვეთრი ზღვარის გავლება ფიზიკურ და პერსონალურ იდენტობას შორის. „ლოკის საპირისპიროდ მიიჩნევა, რომ ადგილი ადამიანის თვითობის მაკონსტრუირებელია.“ იხ. E. S. Casey, ‘Between Geography and Philosophy: What does it mean to Be in the Place-World?’ *Annals of the Association of American Geographers*, 91 (2001), გვ. 683-684.

უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მოგვანოდოს, ვიდრე უბრალოდ ინფორმაცია გარესამყაროში არსებული საგნების თვისებების შესახებ. ის გარემოება, რომ კონკრეტულ ადგილზე მყოფი ადამიანები შეგრძნებათა ქაოტურ, კალიდოსკოპურ სურათს კი არ იღებენ, არამედ მათ მოცემული ადგილი შეგრძნებათა ერთიან სურათში მოცემვით, განპირობებულია მოცემული ადგილის სიღრმითა და ჰორიზონტებით (როგორც თავად აღნიშნავს, „სიღრმის“ ცნებას კეისი მერლო-პონტისგან იღებს, ხოლო „ჰორიზონტის“ – ჰუსერლისაგან).⁷¹⁵ ამით კეისის იმის თქმა სურს, რომ ადგილის ცოდნა ადგილიდან მიღებული შეგრძნებების **შემდეგ** კი არ მიიღება, არამედ ის ამ შეგრძნებების **განყოფილ** ნაწილს წარმოადგენს. ასეთ ცოდნას კეისი „ლოკალურ ცოდნას“ უწოდებს. ის თავისი არსებით ემპირიულია და უფრო ჰგავს იმ მდგომარეობას, რაც აღინერება გერმანული სიტყვით *Erlebnis* (განცდა). ის უნდა განვასხვაოთ გამოცდილებისაგან (*Erfahrung*), რომელიც ანალიზური ანუ აბსტრაქტული ცოდნის ობიექტს წარმოადგენს.⁷¹⁶

„პირველად საფეხურზე პერცეფცია სინესთეტიკურია“,⁷¹⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პროცესში მთელი სხეულია ჩართული. აქედან გამომდინარეობს, რომ აღმქმელი სუბიექტი პასიური კი არ არის, არამედ აქტიურად პასიურია ანუ იგი ერთსა და იმავე დროს გვევლინება როგორც მიმღებად, ასევე მაკონსტიტუირებლად. გარდა ამისა, პერცეფცია, თავის მხრივ, „კონსტიტუირებულია კულტურული და სოციალური სტრუქტურებით, რომლებიც პერცეფციის უღრმეს შრეებშია დაღეჭილი. პერცეფციის პირველადობა არ ნიშნავს, რომ ადამიანური მგრძნობელობა და მოძრაობა წინაკულტურული და პრესოციალურია“.⁷¹⁸ კულტურული პრაქტიკები და სოციალური ინსტიტუტები პერცეფციის ყოველ საფეხურს განმსჭვალავს, თვით წინაკონცეპტუალურ საფეხურზეც კი. სოციოკულტურული მოცემულობები პერცეფციის სტრუქტურის განყოფილი ნაწილებია. საბოლოო ჯამში, პერცეფციის პირველადობა სხეულის პირველადობას ნიშნავს. სხეული ინერტული და არათვითმოძრავი როდია, რომელიც მხოლოდ გრავიტაციისა და მოძრაობის კანონებს ემორჩილება: სხეულებრივი ინტენციონალობის (მერლო-პონტის ტერმინი) მეშვეობით სხეული ინტეგრირდება თავის გარემოსთან ანუ კონკრეტულ ადგ-

715 იხ. E. S. Casey, How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time, გვ. 17-18.

716 იქვე, გვ. 18.

717 იქვე.

718 იქვე.

ილთან. ადგილს, თავის მხრივ, აქვს „ოპერატიული ინტენციონალობა“, რომლითაც ის აღქმული სუბიექტის სხეულებრივ ინტენციონალობას პასუხობს. „ამრიგად, ადგილი ინტეგრირდება სხეულთან ისევე, როგორც სხეული – ადგილთან.“⁷¹⁹ ადგილისა და სხეულის ინტერაქციის პროცესში კეისი ხუთ ასპექტს გამოყოფს: 1. სხვადასხვა სახის კინესთეზია და სინესთეზია, რომლებიც სხეულის თვითმოძრაობას ემსახურება; 2. სხეულისათვის იმანენტური განზომილებები (ზემოთ – ქვემოთ, წინ – უკან, მარჯვნივ – მარცხნივ) სხეულს ადგილთან აკავშირებს; 3. სხეულის კონკრეტულობა (მაგალითად, სხეულის მასა) მოცემული ადგილის კონკრეტულობას (ფიზიკურ გარემოს) შეესაბამება; 4. მოცემული სხეული და მის მიერ აღქმული ადგილი გვევლინება როგორც თავისებურად უნიკალური (ეს სხეული ამ ადგილზე) 5. სხეულის ზედაპირის ფოროვანი, ღია სტრუქტურა შეესატყვისება ადგილის საზღვრების ღიაობას. დაბოლოს, ამ ხუთი ფაქტორის გარდა, კეისი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სხეულს, ადგილსა და მოძრაობას შორის არსებულ ინტერაქციაზე, რომელსაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს.⁷²⁰ ადგილთან მიმართებაში იგი გამოყოფს სხეულის მოძრაობის სამ ტიპს; 1. ადგილზე გაჩერება; 2. მოძრაობა მოცემული ადგილის შიგნით; 3. მოძრაობა ერთი ადგილიდან მეორე ადგილისაკენ. პირველს შეესატყვისება **პოზიცია**, მეორეს – საკუთრივ **ადგილი**, ხოლო მესამეს – **რეგიონი**.⁷²¹

ზემოთქმულიდან კეისისთვის გამომდინარეობს, რომ სხეულები ეკუთვნის ადგილებს და, ამავე დროს, ადგილები ეკუთვნის სხეულებს და დამოკიდებულია მათზე. „სხეული ადგილის სამყაროს (*place-world*) აღქმის სპეციფიკური მედიუმია“⁷²² და მის მატერიალურ ნინაპირობას წარმოადგენს.⁷²³

სხეულის როლის გარდა ფენომენოლოგიური ტოპოანალიზი გამოაშკარავებს, ასევე, ადგილის მეორე არსებით თვისებას: მის **შე-**

719 იქვე, გვ. 22; მისივე, *Between Geography and Philosophy*, გვ. 687-688. მ. ჰაიდეგერს და გ. ბაშლიარს კეისი სწორედ ამ კუთხით აკრიტიკებს: „ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო, ადეკვატურად შეეფასებინა სხეულის როლი ადგილების აღქმის პროცესში.“ იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place*, 1993, გვ. xv.

720 იხ. E. S. Casey, *How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time*, გვ. 22-23.

721 იქვე, გვ. 23-24.

722 იქვე, გვ. 24.

723 შდრ. E. S. Casey, *Between Geography and Philosophy*, გვ. 689. სხეულთან დაკავშირებით უფრო დანვრილებით იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place*, 1993, გვ. 47 და შმდ.

მომკრებ უნარს. ჰაიდეგერზე დაყრდნობით კეისი მიიჩნევს, რომ ადგილი შემოიკრებს თავის თავში ნივთებს, სადაც „ნივთი“ სულიერ და უსულო მოცემულობებს აღნიშნავს. „ადგილები, ასევე, შემოიკრებენ გამოცდილებებსა და ისტორიებს, თვით ენებსა და აზრებსაც კი.“⁷²⁴ ამის ნათელსაყოფად კეისის მოჰყავს ნაცნობ ადგილზე დაბრუნებული ადამიანის მაგალითი, რომლისთვისაც ეს ადგილი სასვება მოგონებებით, ნაცნობი თუ უცნობი საგნებით.

ადგილის მიერ შემოკრება უბრალო შეგროვებას როდი ნიშნავს. ადგილი ერთგვარად ამაგრებს საგნებს გარკვეული კონფიგურაციის შესაბამისად ისე, რომ აღქმისას ადგილში საგნები აღიქმება, როგორც ერთმანეთთან გარკვეული წესით დაკავშირებული. „დამაგრების“ მეშვეობით ადგილი საგნებს თავის საზღვრებში მიუჩენს ადგილს. შემოკრების თვისება ადგილს განსაკუთრებულ **მდგრადობას** ანიჭებს, რაც, ადგილისათვის დამახასიათებელი დინამიკის მიუხედავად, ადამიანებს საშუალებას აძლევს, გარკვეული დროის შემდეგ, **იმავე** ადგილებს დაუბრუნდნენ, რომლებიც ადრე დატოვეს, რათა ძალები აღიდგინონ (მითიური ანტიქოსის მსგავსად, რომელიც დედამიწას ეხებოდა და ისე იბრუნებდა ძალას).⁷²⁵

ადგილი, თავისი არსებით, წმინდა ფიზიკური მოცემულობა როდია, მიიჩნევს კეისი. ის უფრო ხდომილებაა.⁷²⁶ მოცემული ადგილი იძენს მისი მაცხოვრებლების თვისებებს და მათ მოვლენის სახით გამოხატავს (მაგალითად, აგორა ხასიათდება იმ ადამიანებით, რომლებიც იქ თავს იყრიან). ამავე დროს, ადგილი, კეისის აზრით, მეტაფიზიკურად ნეიტრალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია გარკვეული სუბსტრატი, რომელიც მის არსებას განსაზღვრავდა.⁷²⁷ ადგილის პრიმატის საჩვენებლად კეისი აანალიზებს სუბსტანციური და ფორმალური უნივერსალების ცნებებს. პირველი მათგანი

724 იხ. E. S. Casey, How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time, გვ. 24.

725 იქვე, გვ. 25-26.

726 „ადგილი არის ის, რაც **ხდება** სხეულსა და ლანდშაფტს შორის“ (იხ. E. S. Casey, *Getting Back into Place*, 1993, გვ. 29; გამოყოფა ჩემია – გ. თ.). სხეული და ლანდშაფტი ადგილთან მიმართებაში ორმაგ ჰორიზონტს წარმოქმნის, რომელიც თავისი არსებით ღიაა და არა დახურული.

727 იხ. E. S. Casey, How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time, გვ. 27. კეისის მიხედვით, ადგილი უფრო „არასრულყოფილი მუდმივობით“ ხასიათდება, ვიდრე მეტაფიზიკური უცვლელობით. ადგილის არასრულყოფილი მუდმივობა, თავის მხრივ, სხეულის ცვალებად ბუნებასთანაა გადანწეული. იხ. E. S. Casey, 'On Habitus and Place: Responding to My Critics'. *Annals of the Association of American Geographers*, 91 (2001), გვ. 721.

შინაარსის, ხოლო მეორე – ფორმის იგივეობაზე დაიყვანება. ვერც ერთი მათგანი ვერ ახასიათებს ზუსტად ადგილის არსებას, რომლის უნივერსალურობაც, კეისის მიხედვით, ამავე დროს, კონკრეტული, რელაციური და რეგიონალურია. ამასთან, კეისი უპირატესობას ანიჭებს რეგიონის ცნებას, რომელიც, მისი აზრით, კარგად აფიქსირებს ადგილების უნივერსალურობას: ადგილში, როგორც ზოგად რეგიონში (*Place as a generic region*), მრავალი კონკრეტული ადგილი არსებობს. მეორე მხრივ, მოცემული ადგილი განუყრელადაა დაკავშირებული იმ კონკრეტულ რეგიონთან, სადაც ის მდებარეობს და მასში გვხვდება ის თვისებები, რაც რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, დიდი კანიონი ხასიათდება თვისებებით, რომლებიც გეოლოგიური თვალსაზრისით რეგიონალურია.⁷²⁸ ამავე დროს, შენიშნავს კეისი, დიდ კანიონს, შესაძლოა, მოცემული ადამიანის მეხსიერებაში გარკვეული ადგილი (რეგიონი) ეჭიროს. ამრიგად, ასკვნის კეისი, ადგილი არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქიკურიცაა. მაგრამ ის, ასევე, ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ ფენომენს წარმოადგენს.⁷²⁹ კულტურა უფრო მეტად არსებობს ადგილებში, ვიდრე გონებასა და სიმბოლოებში. „კულტურის ქონა ნიშნავს ადგილზე იმ ინტენსივობით ცხოვრებას, რომ შესაძლებელი იყოს მისი დამუშავება, პასუხისმგებლობის ქონა მის მიმართ და მასზე ზრუნვა.“⁷³⁰

კულტურა, ასევე, გულისხმობს სხეულის ქონასაც. სხეული თავის ძირითად ქმედებებში კულტურულ შაბლონებს აერთიანებს. ეს ქმედებები დამოკიდებულია „ჰაბიტუსზე“ (პ. ბურდიეს ტერმინი).⁷³¹

728 ადგილები აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს რეგიონალური სპეციფიკაციისათვის. ადგილების გარეშე რეგიონი ცარიელი იქნებოდა და ის აბსტრაქტულ სივრცეს შეერწყებოდა. ისევე, როგორც ადგილი აუცილებლობითაა რეგიონალური, ასევე, რეგიონი, თავის მხრივ, აუცილებლად ეფუძნება კონკრეტულ ადგილებს (იხ. E. S. Casey, *How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time*, გვ. 32). რეგიონალური ზოგადობის მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია ანთროპოლოგიისათვის. მოცემულ ადგილზე ყოფნით და მისი გაგებით ანუ „ლოკალური ცოდნის“ მოპოვებით, ანთროპოლოგს საშუალება ეძლევა, გაიგოს იმავე რეგიონში მდებარე სხვა ადგილები, რადგან ის სტრუქტურები, რომლებიც მოქმედებს მოცემულ ადგილზე, იმოქმედებს იმავე რეგიონის სხვა ადგილებშიც (იქვე, გვ. 45).

729 იხ. E. S. Casey, *How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time*, გვ. 30-31.

730 იქვე, გვ. 34.

731 „მოცემული ჰაბიტუსი როგორც მყარი მიდრეკილება ანუ ‘ჰაბიტუდი’, ნებისმიერ სფეროში და ნებისმიერ ადგილში მოქმედების საფუძველს წარმოადგენს“ (იხ. E. S. Casey, *Between Geography and Philosophy*, გვ. 686).

მაგრამ სხეული კულტურული შაბლონების პასიური მიმღები როდია. ის თავად ახდენს კულტურული პრაქტიკების რეალიზებას ინკორ-

ჰაბიტუსი – ეს არის სოციალიზაციის პროცესი, რომლის მეშვეობით აზროვნებისა და აღქმის დომინანტური ფორმები, რომლებიც მოცემული სოციალურ-ფიზიკური სამყაროსთვისაა დამახასიათებელი, სოციალური აგენტების მიერ ინტერნალიზდება. ჰაბიტუსის ცნება ზოგჯერ განსაზღვრავენ როგორც „თამაშისაკენ მიდრეკილებას“, „პრაქტიკულ გრძნობას“, რომელიც მოქმედ აგენტებს მოცემულ სიტუაციაში ისეთი ქმედებებისაკენ განაწყობს, რომლებიც არ არის ყოველთვის კალკულირებული და არსებული წესებისადმი ცნობიერ მორჩილებაზე გათვლილი. ჰაბიტუსი უფრო მიდრეკილებების ერთობლიობაა, რომელიც შესაბამის პრაქტიკებსა და პერცეფციებს წარმოშობს. ჰაბიტუსი შეხედულებებისა და იდეების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის პროდუქტია, რომელიც ბავშვობიდან იწყება. ბურდიუს თანახმად, ის მიდრეკილებები, რომლებსაც ჰაბიტუსი განასახიერებს, მდგრადია, რადგან ისინი ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოქმედებენ. აღნიშნული მიდრეკილებები, ასევე, „სტრუქტურირებული სტრუქტურებია“, რადგან ისინი თავის თავში მოიცავს მათი დანერგვის ობიექტურ სოციალურ წინაპირობებს. ამის საფუძველზე ბურდიე საუბრობს იმ აგენტების ჰაბიტუსების მსგავსებაზე, რომლებიც ერთსა და იმავე სოციალურ კლასს განეკუთვნებიან. დაბოლოს, ეს მიდრეკილებები „მასტრუქტურირებელი სტრუქტურებია“, რადგან მათ ძალუძთ მოცემული სიტუაციის შესაბამისი პრაქტიკების გენერირება (იხ. R. Johnson, ‘Editor’s Introduction: Pierre Bourdieu on Art, Literature and Culture’. In: P. Bourdieu, *The Field of Cultural Production. Essays on Art and Literature*. Edited and introduced by R. Johnson. New York: Columbia University Press, 1993, გვ. 5; R. Peet, *Modern Geographical Thought*, გვ. 154). თავის ფენომენოლოგიურ ანალიზში ბურდიესეული ჰაბიტუსის ცნების ინტეგრირებისათვის კეისი გეოგრაფებმა გააკრიტიკეს. ამასთან დაკავშირებით იხ. E. S. Casey, *On Habitus and Place: Responding to My Critics*; J. N. Entrikin, ‘Hiding Places’. *Annals of the Association of American Geographers*, 91 (2001), გვ. 694-697; T. R. Schatzki, ‘Subject, Body, Place’. *Annals of the Association of American Geographers*, vol. 91 (2001), გვ. 698-702. თუმცა, ჩემი აზრით, ჰაბიტუსის ცნების შემოტანით კეისის სურს, უფრო მეტად გაუსვას ხაზი ადგილისა და კულტურის ურთიერთზემოქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებას. ჰაბიტუსისა და ჰაბიტაციის (ეს უკანასკნელი კოორდინირებული ქმედებების მქონე ინტენციონალურ სუბიექტს გულისხმობს) ცნებების გარდა, კეისის, ასევე, შემოაქვს **იდიოლოკალურობის** ცნება. იდიოლოკალურობა გულისხმობს სუბიექტს, რომელიც გამოხატავს და თავის თავში მოიცავს კონკრეტულ ადგილს. იდიოლოკალურობის მატარებელი არის სხეული. იხ. E. S. Casey, *Between Geography and Philosophy*, გვ. 688-689; მისივე, ‘Body, Self, and Landscape: A Geophilosophical Inquiry into the Place-World’. In: P. C. Adams, S. Hoelscher, K. E. Till (eds.), *Textures of Place. Exploring Humanist Geographies*. Minneapolis / London: University of Minnesota Press, 2001, გვ. 415 და შმდ.

პორაციის, ჰაბიტუაციის და გამოხატვის მეშვეობით. კეისი უთითებს მერლო-პონტიზე, რომლის თანახმად, ჩვენში ყველაფერი კულტურულია (ჩვენი პერცეფცია კულტურულ-ისტორიულია) და, ამავე დროს, ბუნებრივია. ადგილში ბუნებრივისა და კულტურულის გაერთიანება მუდმივად ხდება.⁷³²

თუმცა, ადგილი არა მხოლოდ შემომკრები და გამაერთიანებელია, როგორც ეს ზემოთ იყო დახასიათებული. ის, ასევე, დეკონსტრუქციას უკეთებს იმ წინააღმდეგობებს, რომლებსაც თავის გარემოში შემოიკრებს და ამაგრებს. კეისის მხედველობაში აქვს ის ბინარული კოცეპტები, რომლებიც დასავლურ აზროვნებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ (სუბიექტი – ობიექტი, მე – სხვა, ფორმალური – სუბსტანციური, სული – სხეული, შინაგანი – გარეგანი, პერცეფცია – წარმოსახვა, ბუნება – კულტურა). ადგილის პერსპექტივიდან ეს ბინარული ოპოზიციები კარგავენ დაპირისპირებულ ხასიათს და ერთმანეთს ერწყმიან. აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რაც კეისის ადგილის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად მიაჩნია (რაც განაპირობებს მის ონტოლოგიურ პრიმატს), კერძოდ, ის, რომ სივრცე და დრო ადგილში ერთიანდება. ადგილზე ყოფნით ჩვენ სივრცესა და დროს ერთდროულად აღვიქვამთ დროით-სივრცითი კონტინუუმის ლოკუსში. დრო და სივრცე ავტონომიური და აბსოლუტური განზომილებები კი არაა, არამედ ისინი ყოველთვის ადგილებშია ჩაფესვილი.⁷³³ ამრიგად, ადამიანები იმთავითვე ადგილებში მყოფობენ და ადგილების სამყაროთი არიან გარშემორტყმულები. თუმცა სივრცის ან დროის უპირობო პრიმატის აღიარებას არ უნდა ჩაენაცვლოს ისეთი პოზიცია, რომელიც უპირობოდ აღიარებს ადგილის უპირატესობას. ამ პოზიციის თავიდან არიდება შესაძლებელია იმის აღიარებით, რომ ადგილები და კულტურები ერთმანეთს განმსჭვალავს.⁷³⁴

აღნიშნულ დასკვნებამდე მივყავართ ადგილის მიმართ ფენომენოლოგიურ მიდგომას. ეს მიდგომა, ერთი მხრივ, ნათელს ხდის ადგილისათვის დამახასიათებელ იმ ნიუანსებს, რომლებიც თავისთავად ცხადად მიიჩნევა, მაგრამ, რომლებზე რეფლექსიაც ნაკლებად ხდება; მეორე მხრივ, ფენომენოლოგიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს, დავუპირისპირდეთ დებულებას, რომლის თანახმად ადგილი მხოლოდ ერთი ნერტილია ჰომოგენურ სივრცეში. კეისის ანალიზი აჩვენებს,

732 იხ. E. S. Casey, How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time, გვ. 34-36; მისივე, *Getting Back into Place*, 1993, გვ. 29-31.

733 იხ. E. S. Casey, How to get from Space to Place in a fairly short stretch of Time, გვ. 36-37.

734 იქვე, გვ. 46.

გიორგი თაყაძე

რომ, პირიქით, სწორედ ადგილია სივრცის საფუძველი. დაბოლოს, ფენომენოლოგიური მიდგომა ადგილისა და ადგილებისადმი აღწერს იმ მიმართებებს, რომლებიც არსებობს ადგილსა და აღმქმელი სუბიექტის სხეულს, ადგილსა და კულტურას, ადგილსა და ადგილის სამყაროს შორის. კეისის ანალიზი, ასევე, ცხადყოფს, რომ ფენომენოლოგიური განაზრებები ადგილის შესახებ, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს სოციალური მეცნიერებებისათვის, კერძოდ, ანთროპოლოგიისათვის. ასეთი ანალიზის საჭიროება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ დონეზე, სადაც ადგილების მნიშვნელობების (ექსისტენციალური, სოციალური და ა. შ.) დადგენის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ჩართული დაკვირვების მეთოდი წარმოადგენს.⁷³⁵

735 შდრ. გ. თაყაძე, „მატილი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“, გვ. 23-24.

4.7. ჯეფ მალპასი: ადგილი, როგორც ემპირიული გამოცდილების წინაპირობა

აღნიშნული თავი ჯეფ მალპასის ნააზრევის განხილვით სრულდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლოგიკური დასასრულია. ტასმანიის უნივერსიტეტის პროფესორი მალპასი (დაიბ. 1958) თავის ნაშრომებში ფილოსოფიურად ანალიზებს ადგილის კონცეპტს. იგი თვლის, რომ ადგილი ყოველგვარი ფილოსოფიისა და ფილოსოფოსობის საფუძველმდებარე ცნებაა. ქვემოთ სწორედ იმ ნაშრომს განვიხილავ, სადაც მალპასი თავის ამ დებულებას აფუძნებს.

ნაშრომს ეწოდება „ადგილი და გამოცდილება. ფილოსოფიური ტოპოგრაფია“ (1999 წ.).⁷³⁶ ის იმითაა საყურადღებო, რომ აქ არა მხოლოდ თემატიზებულია ადგილის ცნება, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მას გადამწყვეტი და საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ფილოსოფიისათვის. მალპასი შესავალშივე აღნიშნავს, რომ „იდეას, რომლის თანახმად, ადამიანის იდენტობა რალაცნაირად მიჯაჭვულია ადგილმდებარეობაზე [...] მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ის განსხვავებულ კულტურებში საყოველთაოდაა აღიარებული.“⁷³⁷ ჩემს მიერ ზემოთ განხილული ავტორებიდან მალპასი მიუთითებს გასტონ ბაშლიარზე და აღნიშნავს, რომ ბაშლიარის „სივრცის პოეტიკის“ ცენტრალურ იდეას წარმოადგენს დებულება, რომლის თანახმად თვითობის (*self*) აღმოჩენა შესაძლებელია იმ ადგილების გამოკვლევით, რომლებშიც ეს თვითობა ცხოვრობს. თავის ფენომენოლოგიურ-ფსიქონალიტიკურ გამოკვლევაში ბაშლიარი იყენებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „ტოპოფილია“ (ადგილის სიყვარული) და „ტოპოანალიზი“ (ადგილების გამოკვლევა). ის ადგილები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, მათ მოგონებებზე, შეგრძნებებსა და აზრებზე ზემოქმედებენ.⁷³⁸

ადამიანებისა და იმ ადგილების კავშირი, სადაც ეს ადამიანები

736 იხ. J. Malpas, *Place and Experience. A Philosophical Topography*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.

737 იხ. J. Malpas, *Place and Experience. A Philosophical Topography*, გვ. 2. ამ თეზის მალპასი „პრუსტის პრინციპს“ უწოდებს (იქვე, გვ. 14). მ. პრუსტის ნაწარმოებებში პერსონაჟების იდენტობის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ის ადგილები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ (იქვე, გვ. 176). მიუხედავად ამისა, ნაშრომის დასასრულს მალპასი აღნიშნავს, რომ სუბიექტის იდენტობასა და ადგილებს შორის არსებული კავშირები არ არის სრულად გამოკვლეული (იქვე, გვ. 175).

738 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 5.

ცხოვრობენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემაა მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიაში, მიიჩნევენ მალპასი. ადგილისა და ლოკალობის ცნება ცენტრალურ ადგილს იკავებს ჰაიდეგერის გვიანდელ აზროვნებაში.⁷³⁹ მ. მერლო-პონტი თავის შრომებში ლოკალურობის ცნებას ფილოსოფიურად აფუძნებს, ხოლო ჟ. დელიოზი და ფ. გატარი თავიანთ ნაშრომში „ათასი პლატო“ ადგილისა და სივრცის ცნებას ანალიზებენ, როგორც სტრატეგიულ კონცეპტებს, რომელთა მიღმა კონკრეტული პოლიტიკური მიზანი არსებობს.⁷⁴⁰ მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილისა და სივრცის ცნებები გაანალიზებულია არა დამოუკიდებლად, არამედ პოლიტიკურ განზომილებასთან მიმართებაში. რაც შეეხება მალპასს, მას აღნიშნული ცნებები მათ თავისთავადობაში აინტერესებს, რადგან „გონების სტრუქტურა არსებით კავშირშია ლოკალობასა და სივრცობრიობასთან“.⁷⁴¹ ამ კონტექსტში მალპასი უთითებს ექსტერნალისტური თეორიის ნარმომადგენლებზე, კერძოდ, დ. დევიდსონზე, რომლის თანახმად, მენტალური სამყაროს წვდომა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გავითვალისწინებთ მის დამოკიდებულებას გარესამყაროსთან. გონების კონსტიტუირება ხდება იმ ობიექტებსა და მოვლენებთან ინტერაქციისა და ჩართულობის შედეგად, რომლებსაც გონება გარესამყაროში აღმოაჩენს.⁷⁴² შესაბამისად, მალპასის აზრით, ადამიანის მიმართება ადგილთან არის ფუნდამენტური სტრუქტურა, რომელიც შესაძლებელს ხდის იმას, რასაც ჩვენ ადამიანური ცხოვრების წესს ვუწოდებთ.⁷⁴³ ეს სტრუქტურა, ასევე, გავლენას ახდენს ადამიანის იდენტობაზე. „ადგილი არის ის, სადაც და რისი მემკვიდრეობაც სამყარო საკუთარ

739 თავის ნაშრომში „ჰაიდეგერის ტოპოლოგია: ყოფიერება, ადგილი, სამყარო“ მალპასი ამტკიცებს, რომ ადგილის ცნება ცენტრალურ როლს თამაშობს ჰაიდეგერის ფილოსოფიაში. იხ. J. Malpas, *Heidegger's Topology: Being, Place, World*. Cambridge / London: the MIT Press, 2006, გვ. 3 და შმდ.; მისივე, 'The place of Topology: Responding to Crowell, Beistegui, and Young'. *International Journal of Philosophical Studies*, vol. 19 (2011), გვ. 295. აღნიშნული საკითხი მალპასმა კიდევ უფრო განავრცო თავის მომდევნო ნაშრომში. იხ. J. Malpas, *Heidegger and the Thinking of Place. Explorations in the Topology of Being*. Cambridge / London: the MIT Press, 2012.

740 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 7-10.

741 იქვე, გვ. 10.

742 იქვე, გვ. 11.

743 „მე უბრალოდ მსურს, ჩამოვაყალიბო ადგილის ისეთი გაგება [...] როგორც ისეთი რამ, რომელიც საფუძველს ანიჭებს ყოფიერების ისეთ წესს, რომელიც სპეციფიკურად ადამიანურია.“ იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 33.

თავს წარმოაჩენს.⁷⁴⁴

ზემოთქმულის საფუძველზე, მალპასი თავის გამოკვლევას ახასიათებს, როგორც „ონტოლოგიურს“, რომლის მიზანია, გამოიკვლიოს ადგილი, როგორც ისეთი რამ, სადაც ადამიანის „სამყაროში ყოფნაა“ ჩაფესვილი. ადამიანის აზროვნებისა და გამოცდილების გაგება შეუძლებელია ადგილისა და ლოკალობის გაგების გარეშე.⁷⁴⁵ „გამოცდილებაში“ მალპასი გულისხმობს ადამიანურ არსებობას, რომელიც მოიცავს ისეთ უნარებს, როგორებიცაა აზროვნება, გრძნობა, მოქმედება და ა. შ., ერთი სიტყვით, „გამოცდილება“ მალპასთან უფართოესი აზრით გამოიყენება.⁷⁴⁶

ვიდრე ადგილის ფუნდამენტური სტრუქტურის ანალიზს შეუდგებოდეს, მალპასი განიხილავს ადგილის ცნების მნიშვნელობას თანამედროვე მოაზროვნებთან (გ. ბაშლიარი, მ. ფუკო, ე. კეისი) და აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამ მოაზროვნების მცდელობებისა, ვერ მოხერხდა ადგილის ცნების სათანადო ექსპლიკაცია, კერძოდ, ადგილის ცნება არ არის გამიჯნული ადგილმდებარეობის ცნებისაგან. მალპასი თვლის, რომ ადგილის სტრუქტურის შესწავლა შეუძლებელი იქნება, თუ არ დადგინდება ადგილის ცნება, რომელიც მკაფიოდ განასხვავებს ამ ცნებას ისეთი კონცეპტებისაგან, როგორებიცაა სივრცე და ადგილმდებარეობა.⁷⁴⁷ ასევე, უნდა მოხდეს დისტანცირება ადგილის ისეთი გაგებისაგან, რომელიც ადგილს მოიაზრებს, როგორც სუბიექტურ ან ფსიქოლოგიურ ფენომენს.⁷⁴⁸ ადგილი გააზ-

744 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 15.

745 „ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვართ მოცემული ტიპის მოაზროვნე, მესხიერების მქონე და განმცდელი არსებები, რომ აქტიურად ვართ ჩართულები ადგილთან. მენტალური ცხოვრების შესაძლებლობა აუცილებლობითაა დაკავშირებული ასეთ აქტიურ ჩართულობასთან. [...] შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი იდენტობები აუცილებლად და ჩახლართულად ადგილებთანაა დაკავშირებული.“ იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 177.

746 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 15-16.

747 იქვე, გვ. 19-20.

748 იქვე, გვ. 29. მიუხედავად იმისა, რომ ი-ფუ ტუანი ცდილობს ადგილის ცნების რეაბილიტაციას, მასთან ადგილი გაიგება, როგორც ადამიანის პასუხი მის გარემომცველ ფიზიკურ გარემოზე და ამდენად, როგორც ფსიქოლოგიური კონსტრუქტი, მიიჩნევა მალპასი. აღნიშნული დაშვების გამო, ტუანთან ერთად, მალპასი აკრიტიკებს ზოგადად ჰუმანისტურ გეოგრაფიასაც. ასეთი სუბიექტივისტურ-ფსიქოლოგიური მიდგომის დროს, მალპასის აზრით, ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება არა ადგილის ცნებას, არამედ ემოციურ მგრძნობელობას ფიზიკურ გარემოზე. ეს მგრძნობელობა კი, თავის მხრივ, არ ემყარება ადგილის ან ლოკალობის ცნებებს. ასეთ შემთხვევაში კონკრეტულ სივრცესა და მასთან დაკავ-

რებული უნდა იქნას, როგორც ფენომენი, რომელიც სპეციფიკურად ადამიანურ ყოფიერებას აძლევს საფუძველს. ადამიანური გამოცდილების სტრუქტურისა და შესაძლებლობის გაგება განუყრელ კავშირშია ადგილის ცნების გაგებასთან.⁷⁴⁹

თავად ადგილს მალპასი განსაზღვრავს, როგორც „ღია, თუმცა, ამავე დროს, შემოზღუდულ მიდამოს, სადაც მოვლენები ხდება და სადაც სამყაროში არსებული საგნები იჩენს თავს.“⁷⁵⁰ ქალაქში არსებული მოედანი ამის თვალსაჩინო მაგალითია: მოედანი ღიაა, თუმცა, ამავე დროს, ის შემოზღუდულია, მას თავისი საზღვრები აქვს. მოედანზე ხდება მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ქალაქის ცხოვრებას უკავშირდება და ამ მოვლენებში მონაწილეობას იღებენ ადამიანები, ქალაქის მაცხოვრებლები.⁷⁵¹ ადგილი ყოველთვის გარკვეულ მიმართებაშია სხვა ადგილებთან. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთი ადგილი სხვა ადგილს მოიცავდეს და, ამავე დროს, თვითონ იყოს სხვა ადგილის ნაწილი (მაგალითად, ქალაქი მოედანს მოიცავს, მაგრამ ქალაქი თავადაა მოცემული რეგიონის ნაწილი).⁷⁵² მაგრამ ად-

შირებული ემოციური თვისებების კავშირი წმინდად შემთხვევით ხასიათს ატარებს (იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 30; მისივე, 'Finding Place: Spatiality, Locality, and Subjectivity'. In: A. Light and J. M. Smith, *Philosophy and Geography III. Philosophies of Place*. Lanham: Rowman & Littlefield Publishers, 1998, გვ. 32-33). ადგილის „აღმოჩენა“ გამოცდილებაში კი არ ხდება, არამედ ადგილი წარმოადგენს გამოცდილების სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს (იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 32; მისივე, Finding Place: Spatiality, Locality, and Subjectivity, გვ. 33). ჰუმანიტური გეოგრაფიის წარმომადგენლებისაგან მალპასს ისიც განასხვავებს, რომ მას ნაკლებად აინტერესებს ის, თუ როგორ განიცდება ადგილი. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, განიხილოს ადგილის სტრუქტურა, როგორც ისეთი რამ, რომლის ფარგლებშიც გამოცდილება (და, ასევე, მოქმედება, აზროვნება და მსჯელობა) არის შესაძლებელი (იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 71). ეს მსჯელობა მალპასის პოზიციას კანტიანურ ელფერს სძენს. იხ. E. S. Casey, 'J. E. Malpas's Place and Experience: A Philosophical Topography. Converging and Diverging in/on Place'. In: *Philosophy & Geography*, vol. 4, (2001), გვ. 226.

749 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 33.

750 იქვე. 1998 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მალპასი ადგილს განსაზღვრავს, როგორც „ღია რეგიონს, სადაც საგნები არსებობს და სადაც შესაძლებელია მიმართებების დამყარება ამ საგნებს შორის.“ იხ. J. Malpas, Finding Place: Spatiality, Locality, and Subjectivity, გვ. 36.

751 იხ. J. Malpas, Finding Place: Spatiality, Locality, and Subjectivity, გვ. 36-37.

752 ადგილებისათვის დამახასიათებელი ამ თვისების მეშვეობით სუბიექტს შეუძლია, წვდეს სხვადასხვა ადგილების ურთიერთკავშირს თავისი

გილის ცნება არ დაიყვანება ობიექტურ სივრცეში ადგილმდებარეობის ცნებაზე. ამრიგად, მალპასი უარყოფს, როგორც ადგილის ობიექტივისტურ, ასევე, სუბიექტივისტურ გაგებას. მისი აზრით, ადგილი კი არ ეფუძნება სუბიექტურობას, არამედ თავად სუბიექტურობა ემყარება ადგილს: **სუბიექტურობის სტრუქტურა ადგილის სტრუქტურაშია მოცემული**. ადგილის სტრუქტურა თავის თავში აერთიანებს როგორც სუბიექტურს, ასევე, ობიექტურსა და ინტერსუბიექტურს. ადგილის ასეთი ცნება მოიცავს, ასევე, იმ სოციალურ მოქმედებებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც კონკრეტული ადგილის სტრუქტურით პოულობენ გამოხატულებას.⁷⁵³

როდესაც მალპასი წერს რომ ადგილის სტრუქტურა მოიცავს ინტერსუბიექტურს და, შესაბამისად, სოციალურს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან უნდა განსაზღვროს, **კონკრეტულად** რა მიმართება არსებობს ადგილსა და სოციალურს შორის. „ეჭვს გარეშეა, რომ კონკრეტული ადგილის მოწესრიგება (ისევე, როგორც ის წესი, რომლის საშუალებითაც საზოგადოება სივრცესა და დროს აწესრიგებს) დამოკიდებულია სოციალურ მოწესრიგებაზე. იმდენად, რამდენადაც ადგილი მოიცავს სოციალურს, ის ნაწილობრივ განისაზღვრება სოციალურით. [...] თუმცა, ეს არ ამართლებს იმ დებულებას, რომლის თანახმად ადგილი, სივრცე ან დრო, **მხოლოდ** სოციალური კონსტრუქციებია. მართლაც, სოციალური არ არსებობს ადგილამდე და ის მხოლოდ ადგილის მეშვეობით და ადგილში ამჟღავნებს თავს. [...] სოციალურობის შესაძლებლობა ადგილის სტრუქტურის ფარგლებში წარმოიშობა.“⁷⁵⁴ ადგილის მთლიანობა მჟღავნდება ამ ადგილზე მც-

კონკრეტული ადგილიდან. „ამრიგად, ერთი ადგილის გაცნობით შესაძლებელი ხდება ადგილების უფრო ფართო ქსელის გაცნობა“ (იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 105). ადგილების ასეთი ჩართულობა სხვა, უფრო მომცველ ადგილებში (*nesting*) სპეციფიკურად ადგილებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რაც განასხვავებს კიდევ ადგილის ცნებას მდებარეობის ცნებისაგან: მდებარეობა სივრცეში შეიძლება განვსაზღვროთ უნივერსალური საკოორდინატო სისტემის მეშვეობით, მაშინ როცა ადგილები ჩართული არიან სხვა, უფრო მომცველი და ფართო ადგილების ქსელში. იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 102.

753 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 34-35 და 105.

754 იქვე, გვ. 35-36. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: რა თქმა უნდა, ადგილი, როგორც ფიზიკური გარემო, წინ უსწრებს ყოველგვარ სოციალურობას, რადგან სოციალურობის ნებისმიერი სახის გამოვლინება ამა თუ იმ ადგილზე უნდა მოხდეს (აღამიანთა ქმედებები ყოველთვის რაღაც ადგილზე ხდება). აღნიშნული დებულების პოსტულირებით მალპასი ადგილის **ონტოლოგიურ პრიმატს** აღიარებს და ეს შესაბამისობაშია მის განზრახვასთან, – დაადგინოს ადგილი, როგორც ყოველის-

ხოვრები ადამიანების ორგანიზებული აქტივობების შედეგად. მიუხედავად ამისა, ადგილი რჩება ისეთ სტრუქტურად, რომელიც ვერ დაემყარება მხოლოდ ინდივიდუალური სუბიექტის ცნებას. მალპასი ხაზგასმით და არაერთგზის აღნიშნავს, რომ ადგილის სტრუქტურა ურთიერთდამოკიდებული ელემენტებისაგან (სუბიექტურობა, ობიექტურობა, ინტერსუბიექტურობა) შედგება.⁷⁵⁵

ადგილის სტრუქტურის ნათელსაყოფად, რომელიც განუყრელ კავშირშია გამოცდილების სტრუქტურასთან, მალპასს აუცილებლად მიაჩნია არა მხოლოდ ადგილის ცნების ექსპლიკაცია, არამედ იმ ცნებების ექსპლიკაციაც, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილის ცნებასთან. ეს ცნებებია **სივრცობრიობა**, **სუბიექტურობა** და **ობიექტურობა**. ამ წამოწეებას მალპასი ადარებს ტოპოგრაფიული აგეგმვის პროცესს: აგეგმვის ჩასატარებლად ტოპოგრაფმა მთელი რეგიონი უნდა მოიაროს და ისე უნდა შეადგინოს რეგიონის ტოპოგრაფიული რუკა. ასევე, ზემოთ დასახელებული განსხვავებული ელემენტების სანვდომად საჭიროა არა რაღაც საფუძველმდებარე სტრუქტურის დაშვება, არამედ ამ ელემენტებს შორის არსებული ურთიერთკავშირების დადგენა. შესაბამისად, ადგილის საკვანძო მნიშვნელობის აღიარება არ ნიშნავს სივრცის მნიშვნელობის დაკნინებას: ადგილის ცნებას ვერ გავმიჯნავთ სივრცის ცნებისაგან, ისევე, როგორც სივრცის ცნებას ვერ გავმიჯნავთ დროის ცნებისაგან. თავის მხრივ, სივრცის ცნება მოიცავს როგორც სუბიექტურ, ასევე, ობიექტურ ასპექტებს. საბოლოო ჯამში, მალპასი აღიარებს ჰოლისტური მიდგომის აუცილებლობას, რომელიც ადგილის ყოვლისმომცველი სტრუქტურის ფაგრლებში გამოკვეთს და დაადგენს მიმართებებს ისეთ ცნებებს შორის, როგორებიცაა სივრცობრიობა, სუბიექტურობა, ობიექტურობა, ინტერსუბიექტურობა, მოქმედება

მომცველი სტრუქტურა, რომელიც თავის თავში მოიცავს სუბიექტურის, ობიექტურისა და ინტერსუბიექტურის შესაძლებლობას. მალპასის მიერ სოციალური კონსტრუქციონიზმის კრიტიკისთვის იხ. ქვეთავი 4.1. მალპასის მსგავსად, ე. კეისიცი უარყოფს ადგილის ისეთ გაგებას, რომელიც მას სოციალურ ან პოლიტიკურ კონსტრუქტად მიიჩნევს. თუმცა, კეისი, ასევე, მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რაც მასსა და მალპასს შორის არსებობს ადგილის ცნებასთან დაკავშირებით: მალპასი „ყურადღებას ამახვილებს ადგილზე, როგორც შესაძლებლობის ტრანსცენდენტალურ (თუმცა, მატერიალურ) წინაპირობაზე, მე კი – ადგილის კონკრეტულ აღწერაზე.“ იხ. E. S. Casey, J. E. Malpas's Place and Experience, გვ. 227.

755 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 185. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ადგილის სტრუქტურა მალპასთან მხოლოდ ამ ელემენტებით არ ამოიწურება.

და მიზეზობრიობა.⁷⁵⁶

სივრცობრიობის ცნებასთან მიმართებაში მალპასი გამოყოფს სუბიექტური და ობიექტური სივრცის ცნებებს. სუბიექტური სივრცე ეგოცენტრული სივრცეა⁷⁵⁷ და ის ცოცხალი არსების ცნობიერებასა და გამოცდილებასთანაა კავშირში. სუბიექტური სივრცის წვდომა განუყოფელია ცოცხალი არსების სენსომოტორული და კოგნიტური უნარებისაგან. სწორედ ეს უნარები განსაზღვრავს დიდწილად იმ პერსპექტივას, რომელთან მიმართებაშიც ხდება კონკრეტული სუბიექტური სივრცის კონსტიტუირება.⁷⁵⁸ რაც უფრო კომპლექსურია ცოცხალი არსების სენსომოტორული და კოგნიტური უნარები, მით უფრო კომპლექსური და მრავალნახნაგოვანია ის სუბიექტური სივრცე, რომელშიც ეს არსება ცხოვრობს.⁷⁵⁹ რაც შეეხება ობიექტურ სივრცეს, ის არ არის ორგანიზებული ცოცხალი არსების სუბიექტური უნარების გარშემო. ობიექტური სივრცე წარმოადგენს სივრცეს, რომელიც დამოუკიდებელია ამ სივრცეში ფუნქციონირებადი კონკრეტული არსებებისგან და რომელშიც არც ერთ თვისებას ან მდებარეობას არა აქვს უპირატესობა სხვა თვისებასთან ან მდებარეობასთან მიმართებაში. სუბიექტურ და ობიექტურ სივრცეებთან მიმართებაში გამაშუალებელ რგოლს ასრულებს **ალოცენტრული სივრცე**, რომელიც ორგანიზებულია ფიზიკური გარემოს კონკრეტული, თვალმისაცემი თვისებების გარშემო. ცოცხალი არსებისთვის ალოცენტრული სივრცე წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ის ახდენს ორიენტირებას საკუთარი სუბიექტური სივრცის პერსპექტივიდან იმ ობიექტურ სივრცეში, რომელშიც ის მდებარეობს.⁷⁶⁰ ამრიგად, მალპასის აზრით, სუბიექტური სივრცის წვდომა იმთავითვე კავშირშია ობიექტური სივრცის წვდომასთან. თუ ცოცხალ არსებას შეუძლია აბსტრაქტირება თავისი უშუალო სუბიექტური სივრცისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ არსებას უკვე აქვს ობიექტური სივრცის წვდომის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტური და ობიექტური სივრცე კონცეპტუალურად განსხვავებული ცნებებია და ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ცნებებია. „იმისათვის,

756 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 40-43.

757 შდრ. ეგოცენტრული სივრცის ცნება ე. რელფთან. იხ. ქვეთავი 4.4.

758 „სუბიექტური სივრცის კონსტიტუირების დროს არსებული პერსპექტივა პასიური 'პოზიცია' კი არ არის, არამედ ის აქტიური ჩართულობის პერსპექტივაა.“ იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 51.

759 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 50-52.

760 იქვე, გვ. 53-54.

რათა ცოცხალ არსებას ჰქონდეს სუბიექტური სივრცის ცნება, მას, ასევე, უნდა ჰქონდეს ობიექტური სივრცის წვდომის უნარი და პირობით. [...] სუბიექტური სივრცის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უფრო მომცველ, ობიექტურ სივრცესთან მიმართებაში, რომელშიც მდებარეობს ის არსება, რომელზეც ფოკუსირებულია მოცემული სუბიექტური სივრცე.⁷⁶¹

მას შემდეგ, რაც სუბიექტურ, ობიექტურ და ალოცენტრულ სივრცეებს შორის კავშირი დადგენილია, მალპასი უბრუნდება ადგილის ცნებას. სივრცობრიობის ცნება, რომელიც სუბიექტური და ობიექტური სივრცეების ცნებებს მოიცავს, თავისი დაფუძნებისათვის ადგილის ცნებას მოითხოვს. თავის მხრივ, სუბიექტური და ობიექტური სივრცეების ცნებები წარმოადგენს უფრო ზოგადი ცნებების – **სუბიექტურობისა** და **ობიექტურობის** – კონკრეტულ შემთხვევებს. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სუბიექტური და ობიექტური სივრცეები გვევლინება, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტები ადგილის სტრუქტურის ფარგლებში, მალპასის აზრით, მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ადგილის ცნება თავის თავში მოიცავს როგორც სუბიექტურობის, ასევე, ობიექტურობის ცნებებსაც.⁷⁶²

დეკარტისთვის და შემდგომი კარტეზიანული აზროვნებისთვის დამახასიათებელია თვალსაზრისი, რომლის თანახმად, სუბიექტი წინ უსწრებს სუბიექტურ სივრცეს. ასეთი მიდგომის მიხედვით, სუბიექტურობა არსებობს ადგილამდე. ადგილი არის ის, რასაც სუბიექტი „მონიშნავს“ სივრცეში. იგივე შეიძლება ითქვას მენტალური მდგომარეობების მიმართაც, რომლებიც, უბრალოდ მიენერება სუბიექტს. მაგრამ, მალპასი მიიჩნევს, რომ აზროვნებისა და გრძნობების განცალკევება იმ სუბიექტისაგან, რომელსაც ეკუთვნის ეს აზროვნება და გრძნობები, გაუმართლებელია.⁷⁶³ „ისევე, როგორც მენტალური მდგომარეობების კონსტიტუირება ხდება ამ მდგომარეობების ურთიერთკავშირის შედეგად, ასევე, სუბიექტურობა წარ-

761 იქვე, გვ. 65.

762 იქვე, გვ. 70. ამ კონტექსტში მალპასი აკრიტიკებს ამერიკელი გეოგრაფის, ნიკოლას ენთრიკინის შეხედულებას ნარატიული ფორმების შესახებ. ადგილი, ენთრიკინის მიხედვით, სუბიექტურსა და ობიექტურს შორის მდებარეობს. ნარატივი თავისი ბუნებით სუბიექტურიცაა და ობიექტურიც. ამიტომ ის ადგილის გაგებაში მეტად მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, მალპასი მიიჩნევს, რომ ენთრიკინის თეორია სუბიექტივიზმის ფარგლებში რჩება (იქვე, გვ. 71. იხ. ასევე, N. J. Entrikin, *The Betweenness of Place. Towards a Geography of Modernity*. Baltimore: John Hopkins University Press, 1991).

763 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 73-75.

მოადგენს სტრუქტურას, რომლის ერთიანობაც განისაზღვრება მხოლოდ აზროვნებასა და გამოცდილებას შორის არსებული გარკვეული ურთიერთკავშირით.⁷⁶⁴ სუბიექტი კი არ წარმოადგენს სუბიექტურ სივრცის საფუძველს (ან, პირიქით), არამედ ამ ცნებების გაგება უნდა მოხდეს მხოლოდ მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.

მენტალური მდგომარეობების ცნებას უკავშირდება მოქმედების ცნებაც. მენტალური მდგომარეობები და მოქმედება ერთიანობაში „ერთ სისტემას“ აყალიბებს.⁷⁶⁵ მოქმედება, თავის მხრივ, განუყრელ კავშირშია „რწმენების, სურვილებისა და სხვა ატიტუდების“ ერთობლიობასთან. შესაბამისად, სუბიექტურობის ცნებას ვერ განვიხილავთ მოქმედების ცნებისაგან დამოუკიდებლად. „მაგრამ მოქმედების შესაძლებლობა, თავის მხრივ, კონკრეტული სუბიექტური სივრცის იდეას უკავშირდება,⁷⁶⁶ რომელიც მოქმედების განსახორციელებელი უნარების არსებობით განისაზღვრება. ამრიგად, „სუბიექტური სივრცის მონესრიგება და მოქმედი აგენტის აზროვნებისა და გამოცდილებების მონესრიგება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.“⁷⁶⁷ მაგრამ მოქმედი აგენტის აზროვნება და გამოცდილება ყოველთვის გარესამყაროსთან მიმართებაში განისაზღვრება. შესაბამისად, მენტალური მდგომარეობების სტრუქტურა განუყოფელია მოქმედი აგენტის სამყაროში ჩართულობის სტრუქტურისაგან. სუბიექტის ცნება განუყრელ კავშირშია სხეულის ცნებასთან, რომელიც ობიექტურ სივრცეში მდებარეობს.⁷⁶⁸ ობიექტურობის ნვდომა გულისხმობს სივრცობრიობის ისეთ გაგებას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სხვა ობიექტების არსებობა (მათი ერთმანეთთან დაკავშირება, განსხვავება და მათთან მიმართების განსაზღვრა). ობიექტური სივრცის ანონიმურობა, მალპასის თანახმად, ინტერსუბიექტურობის შესაძლებლობას იძლევა. სუბიექტის უნარი, მოახდინოს საკუთარი თავის ლოკალიზება ობიექტურ სივრცეში, სადაც სხვა სუბიექტები და ობიექტები არიან ლოკალიზებული და დაადგინოს მათთან გარკვეული მიმართებები, ქმნის კიდევ ინტერსუბიექტურობის წინაპირობას.⁷⁶⁹

764 იქვე, გვ. 90.

765 იქვე, გვ. 93.

766 იქვე, გვ. 99.

767 იქვე.

768 იქვე, გვ. 136.

769 იქვე, გვ. 149. მალპასის მიხედვით, მცდარია ის თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ინტერსუბიექტურობის დამყარების პროცესში სუბიექტი ჯერ საკუთარ თავს აღმოაჩენს და შემდეგ ამყარებს მიმართებებს სხვა სუბიექტებთან. სუბიექტის მიერ საკუთარი თავის, როგორც

ზემოთ განხილული მსჯელობების საფუძველზე იკვეთება ადგილის სტრუქტურის შემადგენელი ელემენტები მალპასთან. ესენია: სივრცობრიობა და დროითობა,⁷⁷⁰ სუბიექტურობა და ობიექტურობა (რომლებიც მოიცავს ინტერსუბიექტურობას), თვითობა და სხვა. ამ ელემენტების დადგენა მხოლოდ მათი ურთიერთმიმართების გათვალისწინებითა და ჰოლისტური მიდგომის გამოყენებით უნდა განხორციელდეს.⁷⁷¹ ადგილი ელემენტთა კომპლექსური ერთიანობაა.⁷⁷² მალპასი მიიჩნევს, რომ ადგილი „თავს უყრის“ აღნიშნულ ელემენტებს,⁷⁷³ ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს მათ ისე, რომ ამ ელემენტთა მრავალფეროვნება არ იკარგება. რაც შეეხება ადგილის იდენტობას, ის დამოკიდებულია არა კონკრეტულად განსაზღვრულ პარამეტრებზე, არამედ იმ კომპლექსურ ფაქტორებზე, რომლებიც ადგილის შემადგენელი ელემენტებიდან იღებენ დასაბამს (ფიზიკური გარემო, ჰავა, სივრცისა და რესურსების გარკვეული სახით მოწესრიგება ადამიანის მიერ, დაბოლოს, ინდივიდუალური და კოლექტიური ნარატივები, რომლებიც კონკრეტულ ადგილს უკავშირდებათ).⁷⁷⁴ ადგილი, როგორც ასეთი, შესაძლოა ორნაირად გამოვლინდეს: 1. ადგილი, როგორც გამოცდილების წინაპირობა და, ამრი-

სუბიექტის გაცნობიერება, სხვების სუბიექტურობების გაცნობიერების პარალელურად მიმდინარეობს. იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 151.

770 დროითობის (ტემპორალობის) ცნების ადგილის ცნებასთან მიმართების ექსპლიკაციას მალპასი ახდენს მ. პრუსტის ნაშრომის – „დაკარგული დროის ძიებაში“ – ანალიზის მეშვეობით. ჟ. პულეზე მითითებით მალპასი აჩვენებს, რომ დაკარგული დროის ძიება, ფაქტობრივად, დაკარგული ადგილების ძიებაა (იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 158 და შმდ.). მალპასი, ასევე, მიუთითებს, რომ წარსულის წვდომა ადგილისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია. „არსება, რომელსაც ექნება წარსულის, აწმყოს ან მომავლის წვდომის უნარი, რაიმე ადგილზე უნდა იყოს“ (იქვე, გვ. 180). „წარსულისა და მომავლის, სიახლოვისა და სიშორის, დროითობისა და სივრცობრიობის შესაძლებლობის აღმოჩენა მხოლოდ და მხოლოდ ადგილის მეშვეობითაა შესაძლებელი“ (იქვე, გვ. 181).

771 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 163 და 173.

772 იხ. J. Malpas, *The place of Topology: Responding to Crowell, Beistegui, and Young*, გვ. 300.

773 ადგილის, როგორც „თავმოყრელის“, „შემომკრების“ ცნება ჩვენ უკვე განვიხილეთ მ. ჰაიდეგერთან. იხ. ქვეთავი 3.4. ე. კეისის აზრით, ჰაიდეგერისეული „თავმოყრის“ კონტექსტში ცნება „სტრუქტურის“ გამოყენება ადგილთან მიმართებაში ზედმეტია. იხ. E. S. Casey, *J. E. Malpas's Place and Experience*, გვ. 229.

774 ადგილის იდენტობის კონცეპტუალურად უფრო დახვეწილი მოდელი ე. რელფს ეკუთვნის. იხ. ქვეთავი 4.4.

გად, როგორც ამ გამოცდილების ადგილი და 2. ადგილი, როგორც კონკრეტულობისაგან აბსტრაჰირებული და კონცეპტუალიზაციის მეშვეობით წარმოდგენილი (მაგალითად, ადგილების რეპრეზენტაცია გეოგრაფიული რუკის მეშვეობით). საკმაოდ ხშირად ადგილები განიხილება მათი აბსტრაქტული, რეპრეზენტაციული სახით, რაც, მაღპასის აზრით, ხელს უშლის ადგილის წვდომას მის კონკრეტულობაში. ასეთი მიდგომის დროს ადგილები განიხილება, როგორც გარკვეული მოქმედებების ფონი და არა როგორც ამ მოქმედებების წინაპირობა და საფუძველი.⁷⁷⁵ ამის მიზეზი, შესაძლოა, იყოს ის, რომ ადამიანთა მიმართება ადგილთან, ხშირ შემთხვევაში, არ არის ექსპლიციტურად გამოკვეთილი. მიუხედავად ამისა, ადგილის როლის სათანადო შეფასება მოითხოვს ვალიაროთ, რომ „სუბიექტურობისა და მენტალური ცხოვრების ფუნდამენტური ჩაფესვილობა (*fundamental grounding*) ადგილში ასახვას ჰპოვებს სუბიექტის მიერ ადგილისა და მდებარეობის ცნებების გამოყენებით საკუთარი თავის თვითკონცეპტუალიზაციაში“.⁷⁷⁶

ადგილის ცნების ასეთი მნიშვნელობის აღიარებას (რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ეს ერთი შეხედვით) მაღპასი მიჰყავს ადგილების წარმავლობის, მათი სიმყიფის (*fragility of places*) თემამდე. ადგილების სიმყიფე ადამიანური ბუნების სიმყიფეს შეესატყვისება, მიიჩნევს მაღპასი. მაგრამ, რელფისაგან განსხვავებით, რომელიც უკიდურესად ნეგატიურად ახასიათებს უადგილობას (*placelessness*), მაღპასი თვლის, რომ ცვლილება არის ის, რისი მეშვეობითაც ადგილი საკუთარ თავს ამჟღავნებს. „ისეთი ადგილის ცნება, რომელიც იქნებოდა შეუვალი ცვლილების, განადგურებისა და დეზინტეგრაციის მიმართ, არის ცნება ადგილის შესახებ, სადაც არაფერი შეიძლება

775 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 172-173.

776 იქვე, გვ. 179. ამ პროცესში მაღპასი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მესხიერებას (იქვე, გვ. 182 და შმდ.). მაგრამ ინდივიდუალური მესხიერების გარდა, ადგილებზე მიჯაჭვულია, ასევე, კულტურული მესხიერება და კოლექტიური იდენტობაც. დედამიწის ზედაპირი თავისი მთებით, ტბებით, გზებითა და ტყეებით „ინახავს“ ხსოვნას სხვადასხვა ისტორიული მოვლენების შესახებ, რომლებიც ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის კოლექტიურ იდენტობის ნაწილია (იქვე, გვ. 186-187). შესაბამისად, იდენტობა (როგორც ინდივიდუალური, ასევე, კოლექტიური) დამოკიდებულია ადგილზე არა იმიტომ, რომ იდენტობა გარკვეულ „ემოციურ მოგონებას“ უკავშირდება, არამედ იმიტომ, რომ სუბიექტურობა, თავისი არსებით, აუცილებლად დამოკიდებულია იმ ადგილებზე, სადაც ადამიანები ცხოვრობენ (იქვე, გვ. 188).

მოხდეს.⁷⁷⁷ ჩვენს გარემოსთან მიჯაჭვულობის აღიარება, მალპასის აზრით, ჩვენი საკუთარი სასრულობისა და მოკვდავობის აღიარებას ნიშნავს. ადგილების წარმავლობის აღიარება გვეხმარება, უკეთ გა-
ვიაზროთ მათი მნიშვნელობა.

თავის ნაშრომს ადგილისა და გამოცდილების შესახებ მალპასი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ პრობლემაზე – ადამიანის სასრულობასა და მოკვდავობაზე – მითითებით ასრულებს. ადგილების წარმავლობის თემატიკაზე ადამიანის სასრულობის თემატიკაზე ინვესს, რადგან მალპასთან ადგილი ადამიანური გამოცდილების წინაპირობად და შესაძლებლობად გვევლინება. ადგილის ცნების ონტოლოგიური პრიმატის დაფუძნების მალპასისეულ მოდელს ჰაიდეგერის გავლენის კვალი ეტყობა. ნაშრომის დასასრულს ადგილების სიმყიფესა და, აქედან გამომდინარე, ადამიანთა სასრულობაზე ყურადღების გამახვილება წარმოაჩენს იმ საკითხების მნიშვნელობას, რომლებიც მალპასის გამოკვლევის მიზანი არ ყოფილა. როგორ განიცდება ადგილი? რა მიმართებაა ადგილების ინდივიდუალურ და სოციალურ აღქმას შორის? კონკრეტულად რა ზეგავლენას ახდენს ადგილები ინდივიდისა და ინდივიდთა ჯგუფის იდენტობის ჩამოყალიბებაზე? როგორ იცვლება ადამიანთა ზემოქმედების შედეგად ადგილების იდენტობა? რა როლს თამაშობს ამ პროცესებში ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა კლასი, რასა, გენდერი, ეთნიკურობა? ამ შეკითხვების მნიშვნელობას ნაშრომის ბოლოს თავად მალპასიც აღიარებს.⁷⁷⁸ ფილოსოფიური ტოპოგრაფიის მალპასისეული პროექტი ადგილის ცნებას ონტოლოგიურად აფუძნებს. მაგრამ რჩება კითხვები, რომლებზეც აღნიშნული პროექტი პასუხს ვერ გასცემს თავისი მიზნებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ფილოსოფიური ტოპოგრაფია ემპირიულ განზომილებას მოისაკლისებს და მალპასის მიერ განვითარებული კონცეპტუალური სქემა, მიუხედავად ფილოსოფიური სიღრმისა, ემპირიული კვლევების ჩასატარებლად არ გამოდგება. ემპირიული განზომილების გარეშე კი ისეთი ცნებების კვლევა, როგორებიცაა იდენტობა, ინტერსუბიექტურობა და სოციალურობა, უაღრესად რთულია. შესაბამისად, ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ სწორედ ეს ამოცანა უნდა განახორციელოს: ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით გააანალიზოს და გამოიკვლიოს ემპირიული რეალობა ისეთი კონცეპტუალური ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც წინამდებარე კვლევის თეორიულ ბაზისს წარმოადგენს.⁷⁷⁹

777 იხ. J. Malpas, *Place and Experience*, გვ. 191-192.

778 იქვე, გვ. 197.

779 აღნიშნული კონცეპტუალური ჩარჩო წინამდებარე ნაშრომის შესავალშია განხილული.

4.8. დასკვნა

აღნიშნულ თავში შევეცადე, მეჩვენებინა, რომ ადგილისა და იდენტობის ცნებები საკვანძო მნიშვნელობისაა ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ადგილის ცნება საკმაოდ აქტუალური იყო როგორც ფილოსოფიაში, ასევე, გეოგრაფიაში. მიშელ ფუკო, ედუარდ კეისი, ჯეფ მალპასი, ი-ფუ ტუანი, ედუარდ რელფი, რობერტ დევიდ სეკი და სხვა მოაზროვნეები განსხვავებული პერსპექტივებიდან განიხილავდნენ ადგილის ცნებას, ადგილის იდენტობას და ადგილების ზემოქმედებას იდენტობებზე. ფუკოსთან ჯერ კიდევ არ არის მკვეთრი განსხვავება ადგილსა და სივრცეს შორის, თუმცა ჰეტეროტოპიების მისეული ანალიზი საკმაოდ საგულისხმოა. ტუანმა ჰუმანისტური გეოგრაფიის კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა გაამახვილა ადგილის ცნებაზე გეოგრაფიისათვის და ადგილის სტატიკური მოდელი შეიმუშავა. რელფმა ადგილის ცნება უადგილობის ფენომენთან შეაპირისპირა და მზარდი უადგილობიდან მომდინარე საფრთხეებზე ისაუბრა. მან ფენომენოლოგიური მიდგომის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადგილისადმი მიკუთვნებულობის სახეებზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ექსისტენციალური ჩართულობაა. მასვე ეკუთვნის ადგილების იდენტობებისა და ადგილებსა და იდენტობას შორის არსებული მიმართებების საგულისხმო ანალიზი. დევიდ სიმონმა ფენომენოლოგიურად განიხილა ყოველდღიური მოძრაობა და ამის საფუძველზე ადგილის ბალეტის ცნება შემოიტანა. დასავლურ აზროვნებაში ადგილისა და სივრცის ცნებების ისტორიის ანალიზის მეშვეობით ედუარდ კეისი აჩვენებს ადგილის ცნების მნიშვნელობას ფილოსოფიისთვის, ხოლო მალპასთან ადგილი ყოველგვარი ემპირიული გამოცდილების აუცილებელ წინაპირობად გვევლინება. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ადგილის ცნების რეცეფციას, რომელიც იწყება ადგილების მნიშვნელობის გააზრებით და სრულდება ადგილის, როგორც გამოცდილების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის კონსტანტირებით. ადგილისა და იდენტობის ცნებები ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალურ ბირთვს ქმნიან და ისინი კვლევის სამივე დონეზე (ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე) ინარჩუნებენ საკვანძო მნიშვნელობას.

ზემოთ განხილულმა მოაზროვნეებმა, ძირითადად, ადგილებისა და იდენტობების ურთიერთქმედების თეორიული მოდელები განავითარეს. ეს განსაკუთრებით ითქმის კეისსა და მალპასზე. თუმცა, ადგილებისა და იდენტობების სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია

გიორგი თაყაიძე

მხოლოდ თეორიულ სიბრტყეში. მათი სათანადოდ გააზრებისთვის აუცილებელია იმ ურთიერთქმედების შესწავლა, რომელიც ადამიანთა ჯგუფებსა და ადგილებს შორის ხდება (ადამიანები თავიანთი აქტივობით სახეს უცვლიან ადგილებს. თავის მხრივ, ადგილები ზემოქმედებენ და გავლენას ახდენენ ადამიანთა იდენტობასა და მათ ქცევაზე) ანუ ადგილებისა და იდენტობების ანალიზი დინამიკურ კონტექსტებში (რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიური გეოგრაფიისათვის ადგილის დინამიკური მოდელია მისაღები). ეს, თავის მხრივ, კონკრეტული ადგილებისა და მათთან დაკავშირებული სოციოკულტურული გარემოს ემპირიულ ანალიზს მოითხოვს. ფილოსოფიურმა გეოგრაფიამ, თავისი ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, ადგილებისა და იდენტობების კვლევისას ჰოლისტური მიდგომით უნდა იხელმძღვანელოს. ეს მიდგომა საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავიაზროთ ადგილებისა და იდენტობების დინამიკური ურთიერთქმედება.

თავი V. ფილოსოფიური გეოგრაფია: ნაშრომის შეჯამება და კვლევის სამომავლო პერსპექტივები

წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია ფილოსოფიური გეოგრაფიის, როგორც ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური ფილოსოფიური დარგის, **ახალ საწყისებზე** დაფუძნების მცდელობა. ნაშრომში წარმოდგენილი კონცეპტუალური ჩარჩო ადგენს ფილოსოფიური გეოგრაფიის კვლევის დონეებს: ლოკალურს, რეგიონალურს და გლობალურს. ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალური, რეგიონალური და გლობალური დონეები, მისი თეორიული და ემპირიული განზომილებები განუყრელ კავშირშია ერთმანეთთან და ისინი ჰოლისტური მიდგომის ფარგლებში უნდა იქნეს გააზრებული. ფილოსოფიური გეოგრაფიის სამივე დონის კონცეპტუალურ საყრდენებს ქმნის **ადგილისა და იდენტობის** ცნებები, რომელთა დინამიკური ურთიერთქმედების შესწავლა ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე ფილოსოფიური გეოგრაფიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

მოცემულ ნაშრომში ფილოსოფიური გეოგრაფია გაგებულია, როგორც ერთგვარი „ხიდი“ ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებებს შორის. ინტერდისციპლინურობა და ინტერკულტურულობა ფილოსოფიური გეოგრაფიის უმთავრესი მახასიათებელია. მომავალი კვლევებიც (**ადგილების, იდენტობებისა და მობილობების ურთიერთქმედების შესწავლა ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კონტექსტში**) სწორედ ამ მიმართულებით უნდა იყოს ორიენტირებული.

იმ გარემოებამ, რომ წინამდებარე გამოკვლევა, ძირითადად, ისტორიულია, არ უნდა გვიბიძგოს ნაჩქარევი დასკვნისაკენ, რომლის თანახმად ფილოსოფიური გეოგრაფიის სამომავლო კვლევებიც **მხოლოდ** ასეთი სახის იქნება. თანამედროვე ფილოსოფიაში არსებული მწვავე დაპირისპირება ისტორიულ და სისტემურ მიდგომებს შორის, რომელიც აკადემიური სფეროს ფარგლებსაც კი სცდება,⁷⁸⁰ ხშირად მხოლოდ ამა თუ იმ მიდგომის სასარგებლოდ მიღებული გადანყვებილებების სახით იჩენს თავს, რაც მართებულად არ მიმაჩნია. ფილოსოფიურ კვლევაში ისტორიული და სისტემური მომენტები და-

780 იხ., მაგალითად, T. Rosefeldt, 'Wir sollten mit eigenen Worten denken'. FAZ.NET, 14.10.2015; R.-P. Horstmann, 'Ein Schisma in der Philosophie?' FAZ.NET, 11.11.2015. აღნიშნული პოლემიკა აკადემიური ფილოსოფიის წარმომადგენლებს შორის, რომელიც პოპულარული გამოცემის გვერდებზე მიმდინარეობდა, ანალიზური და კონტინენტური ფილოსოფიების დაპირისპირების კონტექსტში წარიმართა.

ბალანსებულად უნდა იქნეს წარმოდგენილი, ანუ ისეთი სახით, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ისტორიულ-სისტემურ გამოკვლევაზე ვისაუბროთ.⁷⁸¹

იგივე შეიძლება ითქვას ფილოსოფიური გეოგრაფიის შესახებაც. ერთი შეხედვით, ლოკალურ დონეზე კვლევა სისტემურ ხასიათს ატარებს (კონკრეტული ადგილის ემპირიული კვლევა და მისი თავისებურებების ანალიზი), თუმცა მოცემული ადგილის ისტორიის სათანადო გააზრების გარეშე აღნიშნული კვლევა ნაკლებად მოგვცემს ნაყოფიერ შედეგებს.

ჩემს წინა გამოკვლევაში⁷⁸² (პირიქითა ხევსურეთში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის შედეგების ანალიზი, რომელიც წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულ კონცეპტუალურ ჩარჩოს ემყარება) შესაძლოა, გამოიყოს ორი ძირითადი დებულება, რომელთა განვრცობა შემდგომი კვლევების მეშვეობით აუცილებლად მიმართება. ამ დებულებებს ასეთი სახე აქვთ: 1. საკრალური, ისტორიული და ყოველდღიური სივრცეები, ინდივიდთა მოქმედებებისა და ინტერაქციების მეშვეობით, **ერთმანეთს განმსჭვალავენ**; 2. **საკრალური ადგილები და სივრცეები არ არის თვითკმარი**. მათი არსებობისათვის საჭიროა ისეთი ყოველდღიური მოძრაობისა და მოქმედების სივრცის არსებობა, რომელშიც ადგილების პულსი მკაფიოდ იგრძნობა. ჩემს შემდგომ ნაშრომში, რომელშიც სოფ. კისტანში ჩატარებული კვლევის შედეგებს გადმოვცემ, სწორედ აღნიშნული დებულებების ვერიფიცირებას შევეცდები.

აქ, შესაძლოა, შემდეგი სახის შეკითხვები გაჩნდეს: რატომ არის მნიშვნელოვანი ფილოსოფიისათვის ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილზე მომხდარი პროცესების აღწერა? იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ვალიარებთ ადგილის ფუნდამენტურ ბუნებას ადამიანის სასიცოცხლო სამყაროსა და ექსისტენციისათვის, ხომ არ იქნება კონკრეტული ადგილების შესწავლა ზედმეტი და ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე დაყრდნობით შევეცდები.

თავის „ლოგიკაში“ ი. კანტმა ფილოსოფიის ამოცანები ოთხი ცნობილი შეკითხვის სახით ჩამოაყალიბა: 1. რა შემიძლია ვიცოდე? 2. რა უნდა გავაკეთო? 3. რისი იმედი შეიძლება მქონდეს? 4. რა არის ადამიანი?⁷⁸³ ვფიქრობ, რომ ადგილების, განსაკუთრებით კი საკრალური ადგილებისა და სივრცეების ყოველდღიურ ადგილებთან

781 შდრ. თ. ირემაძე, „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“, გვ. 7-10.

782 იხ. გ. თავაძე, „შატლი ფილოსოფიური გეოგრაფიის პერსპექტივიდან“.

783 იხ. I. Kant, *Immanuel Kants Logik. Ein Handbuch zu Vorlesungen*. Königsberg: Friedrich Nicolovius, 1800, გვ. 25.

და სივრცეებთან არსებული ურთიერთმიმართებების კვლევა დაგვეხმარება იმ მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის (რა თქმა უნდა, ნაწილობრივი და არასრული პასუხის!) გაცემაში, რომელიც ადამიანის ბუნების რაობითაა დაინტერესებული. საკრალური განზომილება, ამა თუ იმ ფორმით, კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებებში. საკრალური, როგორც ასეთი, საკრალურ ადგილებშია მატერიალიზებული.⁷⁸⁴ საკრალური ადგილები და სივრცეები ყოველდღიური მოძრაობისა და მოქმედების სივრცის გვერდით თანაარსებობენ. ინდივიდები განუწყვეტლივ მოძრაობენ აღნიშნულ სივრცეებს შორის, გარდაქმნიან მათ და თავის მხრივ, მათ ზეგავლენას განიცდიან. ამრიგად, ადგილებისა და სივრცეების შესწავლის მემკვიდრით ჩვენ არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ადგილისა და სივრცის თავისებურებებს ვიგებთ, არამედ, პირველ რიგში, უკეთ ვეცნობით იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ადგილებსა და სივრცეებს შორის გადაადგილდებიან. ხოლო თუკი ფილოსოფია ადამიანთა შორის უნივერსალური კომუნიკაციის დამყარებისკენაა მონოდებული,⁷⁸⁵ მაშინ, ჩემი ღრმა რწმენით, განსხვავებული ადგილებისა და სივრცეების კვლევამ, ჩვენს გვერდით უცხოს აღმოჩენამ⁷⁸⁶ საკუთარი არსების უკეთ გააზრებისა და კომუნიკაციის ახალი მეთოდების შემუშავებისაკენ უნდა გვიბიძგოს.

ზემოთქმული, ძირითადად, ფილოსოფიური გეოგრაფიის ლოკალურ დონეს ეხებოდა. მაგრამ რა შეიძლება ითქვას რეგიონალური და გლობალური დონეების შესახებ? კვლევის რა პერსპექტივებს გვთავაზობენ ისინი? აღნიშნულ შეკითხვებს პირველ თავში კვლევის შესაბამის დონეებზე მოყვანილ მაგალითებზე (საქართველო-ევრო-

784 „საკრალური“ ამ შემთხვევაში მხოლოდ რელიგიური განზომილების ფარგლებში არ უნდა მოვიაზროთ. გარკვეულ შემთხვევებში ისტორიულ ადგილებს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ისინი, ფაქტიურად, საკრალური ადგილების როლს ასრულებენ. მაგალითად, თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკში (აშშ), კ. ხორტიცა მდ. დნებრზე (უკრაინა), დიდგორის ველი საქართველოში და ა.შ. იხ., ასევე, M. Eliade, *The Sacred and the Profane. The Nature of Religion*. New York: Harcourt, Brace & World, 1959.

785 იხ. თ. ირემაძე, „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე“, გვ. 7.

786 უცხოს ფენომენის ფენომენოლოგიური ანალიზისათვის იხ. ბ. ვალდენ-ფელსი, „გზები ფენომენოლოგიისა, პასუხს რომ იძლევა“, ფრანგულიდან თარგმნა დ. ლაბუჩიძემ. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2013 წ.; მისივე, *Topographie des Fremden. Studien zur Phänomenologie des Fremden*. Frankfurt am Main: Suhrkamp, 1999. მასვე ეკუთვნის ადგილებისა და ტემპორალობის მეტად საინტერესო ფენომენოლოგიური ანალიზი. იხ. B. Waldenfels, *Ortsverschiebungen, Zeitverschiebungen. Modi leibhaftiger Erfahrung*. Frankfurt am Main: Suhrkamp, 2009.

პის ურთიერთმიმართების ანალიზი რეგიონალურ დონეზე და სივრცობრივი ცნობიერების გაფართოების საკითხი გლობალურ დონეზე) მითითებით ვუპასუხებ.

ორივე შემთხვევაში კვლევა ისტორიული წყაროების ანალიზს უნდა დაეფუძნოს. თუკი გვსურს, სათანადოდ გავიაზროთ თუ როგორ კონსტრუირდებოდა საქართველოში ევროპის ცნება და რას მოიაზრებდნენ ევროპაში „საქართველოს“ ცნებაში, შესაბამისი ისტორიული დოკუმენტები (მოგზაურთა ჩანაწერები, ეთნოგრაფიული კვლევების ანგარიშები, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები და ა.შ.) უნდა შევისწავლოთ. თუმცა, მხოლოდ ისტორიული ანალიზი ვერ მოგვცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს. იმისათვის, რათა ისტორიული ანალიზი შიშველი ფაქტების შეგროვებად არ გადაიქცეს, საჭიროა ისეთი მაორიენტირებელი კონცეპტების (მაგალითად, „გზაგასაყარი“, „პერიფერია/ცენტრი“, „იდეების რეცეფცია და ტრანსფორმაცია“ და ა.შ.) მოშველიება, რომელთა მეშვეობით აღნიშნული ფაქტები სისტემურ ჩრილში იქნება განხილული. გარდა ამისა, გასაანალიზებელია, თუ რა გავლენას ახდენს ევროპის, – როგორც რეგიონალური სივრცობრივი კონცეპტის, – ცნება ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებზე თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. ამისთვის, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ემპირიული კვლევის სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებაა საჭირო.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას კვლევის გლობალურ დონეზეც. უკანასკნელი ექვსი ათეული წლის განმავლობაში კოსმოსის კვლევის მხრივ თვალსაჩინო წარმატებები იქნა მიღწეული, რამაც არსებითად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები სამყაროს შესახებ. სივრცობრივი ჰორიზონტები კიდევ უფრო გაფართოვდა, რაც ადამიანთა სივრცობრივ ცნობიერებაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგია. თანამედროვე ფილოსოფია ამ პროცესებს გვერდს ვერ აუვლის. წინააღმდეგ შემთხვევაში ის თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ფიზიკის (განსაკუთრებით კოსმოლოგიის) სფეროში გაკეთებულმა აღმოჩენებმა, შესაძლოა, არსებითად შეცვალონ ჩვენი წარმოდგენა ისეთი ფილოსოფიური პრობლემების მიმართ, როგორებიცაა ცოდნის ბუნება და შემეცნების პროცესი ზოგადად.

ამრიგად, ფილოსოფიური გეოგრაფიის გლობალურ დონეზე შესაძლოა, გაანალიზებულ იქნეს ადამიანთა სივრცობრივი ცნობიერების ცვლილება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, რაც ისტორიული და სისტემური მიდგომების სინთეზირებით შეიძლება განხორციელდეს (კოსმოსის კვლევების ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი; მასმედიის მიერ „დედამიწის, როგორც ადამიანთა საერთო საცხოვრებელი სახლის“ იდეის პოპულარიზება; ინტერნეტის

გავრცელება და მისი ზეგავლენა ადამიანების მიერ გეოგრაფიული ადგილებისა და სივრცეების აღქმაზე და ა.შ.).

აქ, შესაძლოა, კვლავ იჩინოს თავი შემდეგმა შეკითხვებმა: ხომ არ არის ფილოსოფიური გეოგრაფიის კონცეპტუალური ჩარჩო ყოვლისმომცველი და, შესაბამისად, არაფრისმომცემიც? ხომ არ არის ის ხელოვნური იმ აზრით, რომ ის საკმაოდ განსხვავებული კვლევითი პერსპექტივების გაერთიანებითაა მიღებული?

ამ შეკითხვებს უარყოფითად უნდა ვუპასუხო. ფილოსოფიური გეოგრაფია არ არის ყოვლისმომცველი ნეგატიური აზრით. ჩემი აზრით, **ფილოსოფიური გეოგრაფია ტრადიციული ფილოსოფიური საკითხების გეოგრაფიულ ქრილში (ადგილებისა და სივრცეების კონტექსტში) გააზრების მცდელობას წარმოადგენს.** შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ კონცეპტუალურ ჩარჩოში განსხვავებული მასშტაბის ადგილები და სივრცეებია (ლოკალური – რეგიონალური – გლობალური) ინტეგრირებული. შესაბამისად, ის, რაც ერთი შეხედვით ხელოვნურ კონსტრუქციად შეიძლება ჩანდეს, სინამდვილეში გარკვეულ ლოგიკურ ბმას (გეოგრაფია მთელი დედამიწის მასშტაბით შეისწავლის კონკრეტულ ადგილებს და ამ ადგილებისაგან „შექმნილ“ რეგიონებს) ექვემდებარება.

დაბოლოს, ფილოსოფიური გეოგრაფია არ უნდა გავიაზროთ როგორც „მონოლითური“ წამოწყება, რომელიც ურყევი ქეშმარიტებების დადგენას ცდილობს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ის უფრო ფილოსოფიური საკითხების გეოგრაფიულ კონტექსტში გააზრების მცდელობას წარმოადგენს. ფილოსოფიური გეოგრაფიის სხვადასხვა დონეზე განხორციელებული კვლევების მიზანი უნდა იყოს კონკრეტული ადგილებისა და სივრცეების მნიშვნელობების წარმოჩენა ადამიანური ექსისტენციისათვის და ამით ადამიანის მრავალნაზნაგოვანი ბუნების უკეთ შეცნობა. ამ მხრივ ფილოსოფიური გეოგრაფია ნამდვილი ფილოსოფიური მუხტის მატარებელია, რადგან ის ადამიანის შემეცნებით აქტივობას ქეშმარიტად კეთილშობილური მიზნისაკენ წარმართავს: ჩვენთვის ნაცნობი თუ უცნობი ადგილებისა და სივრცეების შესწავლით ჩვენივე სულის კუთხე-კუნჭულებს შევისწავლით და, დარწმუნებული ვარ, საინტერესო აღმოჩენებსაც გავაკეთებთ. ამ აღმოჩენებმა, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ფილოსოფოსობის პროცესი ერთგვარ მოგზაურობად განვიხილოთ (ეს ტრადიცია საკმაოდ ძველია: პლატონის „სახელმწიფოში“ ფილოსოფოსი გამოქვაბულს ტოვებს, რის შემდეგაც იწყება მისი საოცარი თავგადასავალი იდეათა სამყაროში), ხელი უნდა შეუწყონ სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარებას და ურთიერთგაგების სივრცეების შექმნას.

გიორგი თაყაი

თანამედროვე სამყაროში, სადაც ძალადობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, ამგვარი წამოწყება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს. ადგილებისა და სივრცეების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიაზროთ ჩვენი პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების მიმართ, რაც ჩვენს მიერ უფრო უკეთესი, უფრო უსაფრთხო და ზრუნვით განმსჭვალული ადგილების შექმნასა და მათ დაცვაში უნდა გამოიხატოს.

SYNOPSIS

Since the second half of the 20th century philosophers have discussed intensively questions which lie at the border between philosophy and geography. Also geographers have intensively dealt with philosophical issues. Several important concepts have been introduced in this context such as “geophilosophy” (G. Deleuze and F. Guattari) “philosophical topography” (J. Malpas), “atlas of philosophy” (E. Holenstein), “placelessness” (E. Relph), “topophilia” (G. Bachelard) and so on. There have been different approaches, but no attempt to establish a *unitary conceptual framework* which would enable to analyse systematically “borderline” issues of philosophy and human geography. Accordingly, no empirical research has been conducted which would build on such a theoretical framework. To undertake such an attempt is very necessary, because in the contemporary world, *interdisciplinarity* is one of the main features of philosophy. In this work, *philosophical geography* is considered as such an attempt and as an interdisciplinary “bridge” between philosophy on the one hand and human geography, cultural anthropology and sociology on the other hand.

My view of philosophical geography has as its basis the *conceptual framework of philosophical geography* which I have developed in my previous work.¹ Thoughts and ideas of those thinkers who are discussed in the given work, have significantly influenced my vision of this conceptual framework.

Geography explores relationships between society and the natural environment. Human beings transform the natural environment, which in turn influences and, to a certain degree, conditions society. Some geographical elements (for example place and space) exert a powerful influence on individual and collective identities, self-awareness and actions. Philosophical geography studies the relations between these geographical elements and individual / collective identities and human agency. Because of its interdisciplinary nature, the student of philosophical geography should, in the research process, employ the methodology of both humanities and social sciences.

In the first chapter the conceptual framework of philosophical geography is formulated. The conceptual framework of philosophical geography includes three levels of analysis: local, regional, and global. *At the local level philosophical geography should study those relationships which exist between places/spaces and individual/collective identities.* Place is understood here not as a static point in a homogeneous space, but as a *process and an*

1 G. Tavadze, *Shatili from the Perspective of Philosophical Geography*. Tbilisi: Nakeri, 2013.

event. In this process places acquire new identities and lose the old ones; they are constantly redefined and *reinterpreted* in *ongoing interactions* with humans and other places. Thus, philosophical geography should rely on a dynamic understanding of place.

Places create spaces. The spaces which are created by the interaction between places and humans are of a different nature. At the local level of philosophical geography I distinguish three types of spaces: sacred space, historical space and space of everyday movement and action (in short: everyday space). In each of these spaces there exist places which interact with human beings, enable them to interact and thereby create the given space.

Sacred, historical and everyday spaces are dynamically intertwined: in the course of social life they define, influence and penetrate one other. Sacred, historical and everyday spaces unite in *social space* which is the space of human action in general. Social space is created by humans when they transform the *geographical space* by creating places and spaces.

The interactions between humans, places and spaces are not always smooth and harmonic (which is already implicated in the fact that there can be places which negate each other). In the course of interaction, tensions could arise. At the local level philosophical geography should study and highlight these tensions and conflicts.

Thus the crucial concepts at the local level of philosophical geography are: *places – spaces – identities – interactions*. I use the plural form purposely, in order to underline the *dynamic* nature of these concepts. In the light of the aforesaid, it is possible to specify further the subject matter of philosophical geography at the local level: *philosophical geography studies relations between places (and spaces which are created by those places) and individual and collective identities*. By outlining elements of spaces which, in their turn, are contained in places,² philosophical geography analyses: 1. influences which individuals exert on a place and on the spaces which are contained in a given place; 2. influences which the elements of place/space exert on individuals' identities and actions; 3. tensions/conflicts which arise in the course of interaction between individuals, places and spaces.

At the local level philosophical geography should employ an interdisci-

2 It was noted above that spaces are created by places. In addition to this, in a given place it is possible to outline the spaces which are contained in it and which, in their turn, are created by specific places. For example, in the city, as a place, it is possible to outline spaces (districts) which are comprised of specific places. About the "nesting" nature of places see J. Malpas, *Place and Experience. A Philosophical Topography*. Cambridge: Cambridge University Press, 1999, pp. 33-34.

SYNOPSIS

plinary methodology. When studying places theoretically, a phenomenological method could be successfully used and in empirical research considerable attention should be paid to participant observation and in-depth interviews. It is desirable to use flexible research strategies using triangulation in order to better understand the dynamic interconnections between places, spaces, and identities.

At the regional level the subject matter of philosophical geography is the relationships between regional spatial concepts and identities. At this level philosophical geography is interested in answering the following questions: what aspects can be distinguished in the process(es) of formation of regional spatial concepts? What is the influence of regional spatial concepts on the identities of inhabitants of a given region? Is it possible to assert that after a specific period of time different regional spatial concepts are associated with different traditions of thought? From these questions it is clear that *the regional level of philosophical geography should be understood in the context of intercultural philosophy*.

In order to have a clearer view of the subject matter of philosophical geography at this level, I will formulate the following questions regarding the relationships between Georgia and Europe (which are of interest to philosophical geography): how was the notion of Europe constructed in Georgia? What kind of values and political alternatives were associated with the notion of Europe in different periods of time? How did Europeans perceive Georgia and the Georgians? What did Europeans think about the Caucasus? What the influence had the European/non-European dichotomy on Georgian identity? What can be said about this nowadays? Was Europe conceived as a centre? Does it follow from this that Georgia was located on a conceptual periphery? What influence had this fact on Georgian thought?³ In what context can

3 In his recent work Tengiz Iremadze explores the relationships between Georgian and European thought in a manner which is quite different from the traditional approach (subordination of periphery to centre) to this question. "... [T]here does not exist a strict boundary between so called more important (European) and less important (non-European) philosophical traditions. Moreover, even the desirability of recognizing such a division is questioned. This is because this strict division, which is a consequence of European philosophical historiography, has slowed the process of the convergence and mutual understanding of eastern and western cultures. It can be said that such an approach turned out to be harmful even to the development of European thought and it has considerably slowed the process of intercultural dialogue" (T. Iremadze, *filosofia epokata da kulturata gzagasakarze [Philosophy at the Crossroads of Epochs and Cultures]*. Tbilisi: Neker, 2013, pp. 137-138). The main concept used by the author of the work is that of *crossroad*: "This is a *topos* which can be understood as a place where

we speak about the Caucasus as a region in the light of Georgian-European relations? This is a partial list of the questions which philosophical geography should answer at the regional level in the context of Georgian-European relations. Of course there are no ready-made answers to these questions. To answer these and other questions concerning the regional level of philosophical geography the student of philosophical geography should employ an interdisciplinary methodology which includes the analysis of historical sources and discursive practices, using questionnaires and so on.

Finally, *philosophical geography at a global level should study the interconnection of geographical factors and human agency on a global scale*. Climate change and the development and current state of humans' spatial consciousness are important issues to be analyzed in the spatial context. The former represents a serious challenge to humanity, while the latter has radically transformed the humans' way of life. The important concept of philosophical geography at this level is that of *the earth as a dwelling house of mankind*. The earth is considered as a place and a centre of meaning which, in itself, comprises and makes possible the existence of all places and spaces. The dialectical relationship between the place and the region is synthesized in the notion of the earth which includes in itself all places and regions. In this context the earth is thought of as "a place of all places". The concept of the earth as a dwelling house of mankind makes it possible to consider the relationships between places, regions and the earth in a dynamic context. The expansion of spatial horizons linked different places and produced new regional concepts. The development of science and technology compressed time and

different cultures, beliefs and worldviews meet and depart. The peculiarity of a crossroad is that in this topos of thought various cultures are meeting each other in their totality. This is the starting point where the *same* and the *other* really meet each other. The crossroad can also become a concept designating intercultural dialogue. If the process of genuine communication and mutual understanding between individuals of different cultures and traditions is possible, then it will definitely happen at the crossroads" (ibid., p. 139). The author emphasizes the connection between intercultural philosophy and philosophical geography and indicates the necessity of further researches in this direction (ibid., p. 117). See also, G. Khuroshvili, 'Jerusalem and Athens in Medieval Georgian Thought', in: T. Iremadze, U. R. Jeck, and H. Schneider (eds.), *Philosophie und Sozialtheorie*, vol. 1, *Leben verstehen*. Berlin: Logos Verlag, 2014, pp. 97-101.; G. Tavadze, *The Power of Maps. Gelati and the Concept of "Caucasian Philosophy" in the Context of Intercultural Philosophy*. Tbilisi: Neker, 2013 (in Georgian); id., 'Gelati as a Pivotal Topos of Caucasian Philosophy and its Importance to Georgian Philosophical Thought', in: T. Iremadze (ed.), *Philosophy and Theology in Medieval Georgia*. Tbilisi: Pavoriti Stili, 2016, pp. 179-193 (in Georgian).

SYNOPSIS

space and transformed the earth into a “global village”. Globalization fosters the development of global consciousness and concomitant processes of globalization emerge. These processes influence individual and collective identities and shape the ways in which global spaces are perceived. As it was noted regarding the local and regional levels of analysis, the issues relating to the global level should be studied by using an interdisciplinary methodology.

The concepts of place and identity are of crucial importance to all three levels of philosophical geography. Therefore these concepts form the “conceptual core” of philosophical geography. At the local level place-identity relationships are connected to humans’ activity which transforms the geographical space into social space. At the regional level places are united into larger spaces which are called regions. Regional spatial concepts have a strong influence on individual and collective identities. Finally, at the global level the concepts of place and identity are connected to the concept of the global space (the Earth as the dwelling house of mankind). In the light of the aforesaid, philosophical geography can be defined broadly in a way which underlines the elements of its conceptual core: *philosophical geography studies place-identity relationships at local, regional and global levels in an intercultural and interdisciplinary context.*

In the second chapter the beginnings of philosophical geography are analyzed. The contributions of the following authors are discussed: Charles-Louis Montesquieu, Johann Gottfried Herder, Immanuel Kant, Alexander von Humboldt, Carl Ritter, Georg Wilhelm Friedrich Hegel and Ernst Kapp.

The end of the 17th and the beginning of the 18th century is a period of rapid development within the natural sciences. Discoveries in physics, astronomy, chemistry and biology gave important stimuli to the scientific progress. Travellers brought to Europe new information about hitherto unknown peoples and tribes from various parts of the Earth. The customs of these peoples and tribes, described by the travellers in their travel journals, differed significantly from the European ones. European thinkers who used travellers’ narratives, tried to explain these differences scientifically. These thinkers used as their sources classical authors (Herodotus, Strabo, Hippocrates etc.) and information provided by contemporary travellers. Travel journals, of course, were not totally reliable, rather quite often they were a strange mix of imagined and truthful stories. Nevertheless the reference to these new sources was a step forward towards the development of new, scientifically verifiable knowledge about other peoples.

From the second half of the 18th century important scientific expeditions (for example, those of James Cook, Jean François Laperouse, Louis-Antoine de Bougainville and George Vancouver) were accompanied by leading nat-

uralists who were directly observing interesting phenomena and collecting data according to established scientific methods. From these expeditions, which left a significant impact in the 18th century, one can without disregarding the others, single out the expeditions of James Cook (1727-1779). The second pacific expedition of Cook (1772-1775) involved the German naturalist Johann Reinhold Forster (1729-1798) and his son Georg Forster (1754-1794). In the course of the expedition the Forsters made many important observations which covered the fields of geography, oceanography, geology, botany, zoology, anthropology, ethnography etc. Georg Forster's account of the journey *Observations Made During a Voyage Round the World* (London, 1778), based on his father's journals, made a real sensation in scientific circles. The work of the Forsters' had significant impact on geography's further development as it helped to establish "a new tradition of disciplined, first-hand observation as the basis for an authoritative geography".⁴ Alexander von Humboldt knew Georg Forster personally and this acquaintance fostered young Humboldt's longing for travel.

The climate issue was very important in the 18th century. The most comprehensive analysis of this issue belongs to Charles-Louis Montesquieu (1689-1755), who outlined his views on this subject in his work *The Spirit of the Laws* (1748). Montesquieu's influence is felt in *Sage of Orient*, the work of the Georgian thinker Alexander Amilakhvari (1750-1802).

Montesquieu's climate theory is important in many respects: he paid particular attention to the climatic factor and to its influence on human agency. Montesquieu systematically analyzed relationships between climate and social-political factors (types of state, religion, commerce, mores). According to C. Glacken, Montesquieu's work "marks a turning point in the prehistory of the social sciences, laying out a route that ultimately leads to human geography".⁵ For S. Günzel, with Montesquieu, an understanding of the geographical foundations of history comes to the front of the stage.⁶

Montesquieu's views were criticized by Voltaire (1694-1778) and Johann Gottfried Herder (1744-1803). Voltaire thought that an exaggeration of the importance of climatic factors would leave no room for the effective

4 M. Church, 'Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography'. In: S. Elden, E. Mendieta (eds), *Reading Kant's Geography*. Albany: State University of New York Press, 2011, p. 24.

5 C. J. Glacken, *Traces on the Rhodian Shore. Nature and Culture in Western Thought from Ancient Times to the End of the Eighteenth Century*. Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1967, p. 566.

6 S. Günzel, 'Geographie der Aufklärung. Klimapolitik von Montesquieu zu Kant'. *Aufklärung und Kritik*, 2 (2004), p. 66.

SYNOPSIS

critique of bad government. As for Herder, he embraced the broader notion of the climate. Both Montesquieu and Herder explained Europe's political supremacy according to geographical factors. For Montesquieu Europe's strength derives from its temperate climate. On the other hand, Herder thought that Europe's superiority rested on its landscape diversity. Besides, Herder disagreed with Montesquieu's climate theory and acknowledged that in studying climatic phenomena one should pay attention to many factors (plants, animals, human agency). Human agency plays an important role in Herder's work: humans can easily break the subtle balance existing in nature, therefore humans should act cautiously towards nature. Nevertheless, the acknowledgment of human agency is somehow faded by Herder with acknowledging the decisive importance of morphological factors (most importantly, mountain systems). Perhaps these contradictions were unavoidable if one considers the huge task that Herder wanted to fulfil – to bring about a synthesis of history and natural sciences.

There were significant developments in geographical thought in 18th century Georgia. The most important work, *Description of the Kingdom of Georgia* (1745) from this period belongs to Vakhushti Bagrationi (1696-1757). For Bagrationi geography, “description of place”, is a part of history. In his work, he sequentially considers different regions of Georgia and describes in a detailed way their climate, relief, hydrography, plants, animals etc. According to the Georgian geographer L. Maruashvili (1912-1992) Bagrationi is “one among other scientists who had described the phenomenon of vertical zonality before Alexander von Humboldt had formulated his theory regarding this issue”.⁷

From the 18th century philosophers who were actively engaged with geography, Immanuel Kant (1724-1804) is the most distinguished. During his lectureship at the University of Königsberg, Kant read geography courses forty-nine times. The only courses which Kant offered more frequently were logic and metaphysics. Some researchers think that Kant's geographical views are closely connected with his philosophy. According to J. Malpas and K. Thiel “Kant can be construed as one of the pioneers, perhaps the very first, in the project of a ‘philosophical topography’ – a project that aims to explore the manner in which space, and also place, figure in human knowledge and experience as both the object of such knowledge and experience, and as part of its very structure”.⁸

7 L. Maruashvili, ‘Vakhushti Bagrationi’. In: Sh. Javakhishvili, G. Dondua (eds.), *gamochenili mogzaurebi da bunebis mkvlevarebi* [Famous travellers and naturalists]. Tbilisi: Ganatleba, 1989, p. 41 (in Georgian).

8 J. Malpas, K. Thiel, ‘Kant's Geography of Reason’. In: S. Elden, E. Mendieta

Contemporary geographers consider that Kant had considerable influence on the further development of geography. Kant smashed to smithereens the remains of old teleological geography and firmly established the notion of geography as a discipline which studies the phenomena on the Earth's surface. Kant, also, "adopted the classical concept of the *chorography* of earth space, meaning the description of space according to perceived differences from place to place. This has remained a recurring *leitmotif* of academic and practical geography ever since".⁹

In the beginning of the 19th century the importance of systematic study of empirical phenomena in geography was widely established. The most important representative of this approach is Alexander von Humboldt (1769-1859). Humboldt's travels in Latin America and the observations which he made there became standard for the future generation of researchers.

Humboldt was not a philosopher, but Goethe's and Herder's philosophical views influenced his thought to some degree. Through Georg Forster he knew Kant's views about geography. Humboldt did not limit himself merely to the description of empirical phenomena (observations and experiments), rather he attempted to make generalizations from observable facts and to establish general relationships between them (holistic approach).

Humboldt's contemporary was the German geographer Carl Ritter (1779-1859). He was the person for whom the Berlin University established the first chair in geography.¹⁰ Of course, geography was taught at German universities before Ritter (J. M. Franz, A. F. Büsching and I. Kant), but there did not exist such a speciality as geography. Ritter made considerable efforts to establish geography as a university discipline. In his monumental work *Die Erdkunde im Verhältnis zur Natur und Geschichte des Menschen* (19 vol., 1822-1859) he systematically analyzed the surface of the Earth as the product of interplay between nature and history. Ritter sharply distinguished subject matter and research methods of geography from other sciences. Ritter's influential students were Élisée Reclus (1830-1905) and Arnold Henry Guyot (1807-1884).

Ritter's colleague at Berlin University, the German philosopher Georg Wilhelm Friedrich Hegel (1770-1831) developed views about the geographical foundations of world history. For Hegel, world history has a geographical basis. Within this basis the world spirit moves to freedom. Nevertheless the

(eds), *Reading Kant's Geography*. p. 195.

9 M. Church, Immanuel Kant and the Emergence of Modern Geography, p. 26.

10 Ritter did not have direct followers. The new chair in geography was established only in 1871, after the unification of Germany. Oscar Peschel (1826-1875) became the Head of Department.

SYNOPSIS

geographical basis does not determine the movement of history, it is simply consistent with it. It is clearly evident in the case of the sea. "Land – in the sense of the broad river valleys – binds man to the soil; consequently a whole series of ties attaches him to the locality he lives in. But the sea lifts him out of these narrow confines. The sea awakens his courage; it lures him on to conquest and piracy, but also to profit and acquisition."¹¹ But this thesis does not apply equally to all nations. Europeans developed the art of navigation and attained the heights, but the Chinese failed to do so. For the Chinese the sea "is merely the termination of the land, and they have no positive relationship with it".¹² The reason for this lies in the fact that according to Hegel world history – which at the same time is the realization of freedom – begins in the east and then moves westwards. This movement from east to west correlates with the corresponding geographical basis. World history moves through Asia and reaches its culmination in Europe. The prerequisite of this is the unity in Europe's landscape forms.

Hegel's views were further developed by Ernst Kapp (1808-1896) in his work *Philosophische oder vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung der Erdverhältnisse und des Menschenlebens nach ihrem innern Zusammenhang* (1845).¹³ Kapp tried to consider contemporary geography in Hegelian terms. According to Kapp, philosophical geography does not consider the earth only in its "being for himself" (*in ihrem Fürsichsein*), but also as shaping the development of spirit and simultaneously as shaped and changed by the spirit. Philosophical geography must show that during the process of world history different parts of the earth's spaces are the "natural aspects" of the states. Thus philosophical geography is a necessary prerequisite of history.¹⁴ Kapp's philosophical geography is influenced by Hegel and Ritter. It is speculative and descriptive and less oriented towards empirical reality. Because of this, Kapp was criticized later. In addition to this, the development of geography in the second half of the 19th century was more connected with natural sciences rather than with history. The next generation of geographers did not want geography to be the "servant" of history. Nevertheless Kapp's thoughts influenced to some degree the German

11 G. W. F. Hegel, *Lectures on the Philosophy of World History. Introduction: Reason in History*. Translated by H. B. Nisbet. Cambridge: Cambridge University Press, 1998, p. 160.

12 *Ibid.*, p. 161.

13 Second edition: *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*. Zweite verbesserte Auflage. Braunschweig: George Westermann, 1868.

14 E. Kapp, *Vergleichende allgemeine Erdkunde in wissenschaftlicher Darstellung*. Zweite verbesserte Auflage. Braunschweig: George Westermann, 1868, p. vii.

geographer Friedrich Ratzel (1844-1904).

Alexander von Humboldt died in 1859, the same year as Carl Ritter. This year also was marked by the appearance of Darwin's work *On the Origin of Species*. The natural sciences entered a new stage of development. As for geography, it would soon face the „identity crisis“: the leading geographers tried – in the face of rapid specialization and rapid advancement of scientific truth – to establish the scopes and the limits of geography, its subject matter and its methods.

